ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

1(14)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“
ა-984

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი გაბისონია
ზურაბ გამეზარდაშვილი
გია გელაშვილი
ოთარ გოგოლიშვილი
შოთა ვადაჭკორია
ნუგზარ ზოსიძე
ვასილ კაჭარავა
იგორ კვესელავა
ვაჟა კიკნაძე
ლუიჯი მაგაროტო
(ვენეციის უნივერსიტეტი)
ვოიცეხ მატერსკი
(პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია)
უჩა ოქროპირიძე
გელა საითიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ლელა სარალიძე
ავთანდილ სონღულაშვილი
(რედაქტორი)
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ავთანდილ ღელაღუტაშვილი
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ნიკო ჯავახიშვილი

EDITORIAL BOARD:

Irakli Gabisonia
Zurab Gamezardashvili
Gia Gelashvili
Otar Gogolishvili
Shota Vadachkoria
Nugzar Zosidze
Vasil Kacharava
Igor Kveselava
Vazha Kiknadze
Luiji Magaroto
(Venice University)
Wojciech Materski
(Academy of Sciences of Poland)
Ucha Okropiridze
Gela Saitidze
(Deputy editor)
Lela Saralidze
Avtandil Songulashvili
(Editor)
Khatuna Kokrashvili
(Executive secretary)
Avtandil Gelagutashvili
Dodo Chumburidze
(Deputy editor)
Niko Javakhishvili

საგამომცემლო საბჭო:
ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.

PUBLISHING COUNCIL:
Irina Arabidze, Lela Mikiashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი
Contents

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა
The History of the Georgia

დავით ჯავახიშვილი 15
ქართლის მეფის იესეს ოჯახური გარემო და მისი პირდაპირი შთამომავლები

Davit Javakhishvili
The Family Environment of Kartli King Yese and His Straight Descendants

დავით ჯავახიშვილი 25
ქართლის მეფის ბაქარის პირდაპირი შთამომავლები

Davit Javakhishvili
Bakars, King of Kartli, Straight Descendants

არჩილ ჩაჩხიანი 31
აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის სათავეებთან

Archil Chachkhiani
At the Beginnings of the Abkhaz Separatist Movement

შოთა ვადაჭკორია 46
საქართველოს გასაბჭოება და ოსი სეპარატისტების ბრძოლა შიდა ქართლში გავლენის სფეროების გასაფართოებლად

Shota Vadachkoria
Sovietisation of Georgia and the Ossetian Separatists' Fight For Widening the Spheres of Influence

ლელა სარალიძე 69
საქართველოს დეოკუპაციისთვის ბრძოლის ისტორიიდან (1922-1923 წწ.)

Lela Saralidze
From the History of Struggle for Georgian Deoccupation (1922 -1923)

ირმა გიკაშვილი 80
1922 წლის აჯანყება და ერთი უცნობი, ქართველი გმირი ქალის ისტორია (მზე-ქალა)

Irma Gikashvili
The Rebellion in 1922 and the History of an Unknown Georgian Heroine

გელა საითიძე 87
„სამშობლოს სიყვარულით ათამაშებული...“
(იროდიონ ევდოშვილის დაბადების 140 წლის გამო)
Gela Saitidze
For the 140th anniversary of Irodion Evdoshvili

ჯემალ გახოკიძე, სოფო მიდელაშვილი 106
რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ?!
Jemal Gakhokidze, Sophie Midelashvili
Which Way to Go to Abkhazia?!

ალექსანდრე მოსიაშვილი 114
დისიდენტიზმის მნიშვნელობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის
Aleksandre Mosiashvili
Mean of the Disidentizm for the Georgian National-liberation Movement

ალექსანდრე მოსიაშვილი 121
საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შემაფერხებელი გარემოებები 1989-1990 წლებში
Aleksandre Mosiashvili
Hindrance to the Circumastences of Georgia Aspiration for Independence in 1989-1990 Years

საქართველო და მსოფლიო
Georgia and the World

დოდო ჭუმბურიძე 127
რუსეთის ლიბერალ-დემოკრატი არისტოკრატია საქართველოსა და კავკასიის შესახებ
Dodo Chumburidze
Russian Liberal-Democrat Aristocracy about Georgia and the Caucasus

ნატო სონღულაშვილი 139
ქართულ-დასავლური ურთიერთობები (1991-1992)
Nato Songulashvili
Georgian-Western Relations (1991-1992)

გიორგი გოცირიძე 150
ქართველები პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე
Giorgi Gotsiridze
Georgians in the Fronts of the World War I

უჩა ოქროპირიძე 159
საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი
ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში
Ucha Okropiridze
Some Aspects of Georgia-Turkey's Relationship with the Modern Turkish Historiography

ნათია ლაცაბიძე 172
იტალია-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები
და საქართველო პოსტსაბჭოთა პერიოდში
Natia Latsabidze
Economic Cooperation Between Azerbaijan and Italy in Post-soviet Period and Georgia

გიორგი ჩხიკვიშვილი, დავით ტაბატაძე 179
რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი
მიმართულებები და ქართული პოლიტიკის
პარადიგმები
Giorgi Chkhikvishvili, Davit Tabatadze
Main Vector of Russian Foreign Policy and Paradigms of Politics of Georgia

კავკასიის ისტორია
The History of the Caucasus

Николай Джавахишвили 189
ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКОГО ВОЕННОГО
СОТРУДНИЧЕСТВА (На рубеже XVIII-XIX веков)

Nikolai Javakhishvili
From The History of Georgian-dagestanian Military Collaboration (The End of The XVIII - The Beginning of The XIX Centuries)

მზია ტყავაშვილი 205
ნოღაელთა ყოფა-ცხოვრება და გადასახლებები (XVI-XIX სს.)
Mzia Tkavashvili
Noghayans' Habits and Life and Resettlement (XVI – XIX centuries)

მსოფლიო ისტორია
The History of the World

მიხეილ ბარნოვი 213
აშშ-ის ფრონტირის რეგიონსა და შორეულ დასავლეთს შორის კომუნიკაციის პრობლემის ძირითადი ასპექტები 1850-იან წლებში
Mikheil Barnovi
Main Aspect of Communication Problem Between the U.S.'s Frontier and the Far West Settlements in 1850-ies

სამხედრო ისტორია
Military History

არჩილ ჩაჩხიანი 219
ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ...“
Archil Chachkhiani
The Fateful Lessons of the History – „We are Facing the Deadly Threat“

დიპლომატიის ისტორია
The History of the Diplomacy

მარიამ გაბუნია 247
ნიკიფორე ირბახი და ორი იბერიის ნათესაობის საკითხი ქართულ-ესპანურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში (1626-1627 წწ.)
Mariam Gabunia
Niceforo Irbachi and the Issue of Kindship of Both Iberian in the Georgian-Spanish Diplomatic Discussions (1626-1627)

პოლიტიკური პორტრეტები
Political Portraits

ლელა მიქიაშვილი 257
მასალები აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძის პიროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პორტრეტისათვის
Lela Mikiashvili
Materials for the Personal and Socio-political Portrait of Michael Shervashidze – the Last Ruler of Abkhazia

ოთარ გოგოლიშვილი 283
გამოჩენილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ გურიელი
Otar Gogolishvili
Grigol Gurieli – the Famous Person and Public Figure

ნიკო ჯავახიშვილი 288
უცნობი სტალინი (დაკვირვებანი მის წარმომავლობაზე, გარეგნობასა და პიროვნულ ხასიათზე)
Niko Javakhishvili
Unknown Stalin (Observations on his Provenance, Appearance and Personal Character)

თამარ დარჩია 326
შტრიხები მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკური ბიოგრაფიიდან
Tamar Darchia
Traits of Mikhail Gorbachev's Political Biography

პოლიტოლოგია
Political Science

იგორ კვესელავა 337
საქართველო რუსულ, ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ განზომილებებში (მეორე ნაწილი)
Igor Kveselava
Georgia in Russian, European and American Political Dimension

ავთანდილ სონღულაშვილი 352
„ცივი ომის“ ანატომია
Avtandil songulashvili
Anatomy of the „Cold War“

წყაროთმცოდნეობა
Source Study

გია გელაშვილი 364
რამდენიმე დოკუმენტი ბრიტანეთის ნაციონალური არქივიდან
Gia Gelashvili
Some Documents from the British National Archives

ვაჟა კიკნაძე 384
დოკუმენტები საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში
Vazha Kiknadze
The Documents from the History of Georgian Church in the 19th century

ხათუნა ქოქრაშვილი 395
რამდენიმე დოკუმენტი ეროვნული მოძრაობის ისტორიისთვის (1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში)
Khatuna Kokrashvili
Some Documents about the National Movement History (Political Action in Kakheti in 1802)

შოთა ვადაჭკორია 404
ევროპული დაპირებები და საბრძოლო ვაზნების გარეშე დარჩენილი საქართველო (1919–1921 წლები)
Shota Vadachkoria
Promises of Europe and Georgia Left Without Cartridges (1919-1921)

არჩილ ჩაჩხიანი 413
ერთი უცნობი მემუარი ქართველი იუნკრების შესახებ
Archil Chachkhiani
An Unknown Memoir about the Georgian Officer-cadets (Junkers)

მერაბ კალანდაძე 424
პროფესორი კოტე ანთაძე და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები

Merab Kalandadze
Professor Kote Antadze and Issues of Source Study of the New History of the Western Europe

ეთნოლოგია
The Ethnology

ავთანდილ ღელაღუტაშვილი 436
ღვინის ისტორია — რეალობა და მითოლოგია
Avtandil Gelagutashvili
Vine History – Reality and Mythology

განათლება და კულტურა
Education and Culture

მზია მაისურაძე 444
საქველმოქმედო დაწესებულებები და ქველმოქმედთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ცარიზმის პერიოდის კახეთში
Mzia Maisuradze
Philanthropy and Charity Agencies, Cultural - educational Activities in the Kakheti Region of the Tsarist Period

სამართალი
The Low

სალომე პირველი 456
საქართველოში მიწის საკუთრების დარეგისტრირების პრობლემები
Salome Pirveli
Registration of Land Ownership In Georgia

ლიტერატურის ისტორიიდან
From the History of the Literature

მადონა ბედინაშვილი 464
მწერლის ტექსტის იდეოლოგიისა და გმირის
ხასიათის პოლიფონიურობისათვის
Madona Bedinashvili
For the Writer's Text Ideology and the Character's
Polyphony of Nature

პოლიტიკური პამფლეტი
Political Pamphlet

ბადრი ცხადაძე 470
პოლიტიკური ორძელეხიანობა საქართველოში
Badri Tskhadadze
Political Dual Funeral Repast in Georgia

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
Criticism and Bibliography

გურამ ყორანაშვილი 479
ერაზმ როტერდამელის „ქებაა სისულელისას“
გამოცემის შესახებ
Guram Koranashvili
About the Georgian Translation of "Prise to stupidity" (published in 1993)

უჩა ოქროპირიძე 492
მნიშვნელოვანი ნაშრომი თანამედროვე
ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის შესახებ
Ucha Okropiridze
Important Works about Contemporary Georgian National –
liberation Movement

დოდო ჭუმბურიძე 503
საისტორიოგრაფიო სიახლენი
Dodo Chumburidze
Historiography Novelties

ინფორმაცია
Information

Николай Джавахишвили 512
МЕЖДУНАРОДНЫЙ МЕДИА ФОРУМ В АСТАНЕ
(Личные впечатления грузинского делегата)
Nikolai Javakhishvili
Interantional Media Forum in Astana

თვალსაზრისი
View Point

ავთანდილ ღელაღუტაშვილი 517
ალექსანდრე ბატონიშვილი და „ქართველი“ შამილი
Avtandil Gelagutashvili
Prince Aleksandre Bagrationi and "Georgian" Shamil

Николай Джавахишвили 522
ЛАТВИЯ, ЛАТЫШИ И ИХ ДОБРЫЕ ДРУЗЬЯ ГРУЗИНЫ
В МОЕМ ВИДЕНИИ
Nikolai Javakhishvili
Latvia, Latvians and theirs Kind Georgian Friends by my Imagination

ზეიმი იუბილარი
Anniversary

მამია ჯიჯეიშვილი 546
Mamia Jijeishvili

კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული
ტელეფონი: 2 93 41 37

დავით ჯავახიშვილი

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართლის მეფის იესეს ოჯახური გარემო და მისი პირდაპირი შთამომავლები

XVIII საუკუნის პირველ მესამედში, ქართლის სამეფოს ჯერ ორ (1714-1716), ხოლო შემდეგ სამ (1724-1727) წელიწადს, ანუ საერთო ჯამში – 5 წელიწადს განაგებდა მეფე იესე I (1681/6-1727). იგი განეკუთვნებოდა ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ქართლის (მუხრანის) შტოს, კერძოდ, იყო ქართლის მეფის ვახტანგ V, იგივე შაჰ ნავაზის (მეფობდა 1658-1675 წლებში) შვილიშვილი და უფლისწულ ლევან ვახტანგის ძე ბაგრატიონის (გარდაიცვალა 1709 წელს) ვაჟი – მეორე ქორწინებიდან.

ქვემოთ მოთხრობილია მეფე იესეს ოჯახური გარემოს, კერძოდ, მშობლების, და-ძმის და ცოლ-შვილის, ასევე, მისი პირდაპირი (ანუ მამრობითი ხაზით) შთამომავლობის შესახებ, რაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დემოგრაფიული განვითარების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. ეს პრობლემა ჯერაც არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი. აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი, კერძოდ, კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორია მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი [9].

* * *

უფლისწულ ლევან ვახტანგის ძის პირველი მეუღლე – თუთა ქაიხოსროს ასული გურიელი 1678 წელს გარდაიცვალა. დაქვრივებულმა უფლისწულმა მეორედ იქორწინა. 1680 წელს მან ცოლად შეირთო თინათინი, ასული ქართლის წარჩინებული თავადისა გიორგი ავალიშვილისა.

თინათინ ავალიშვილმა შვა და აღზარდა 3 ვაჟი – უფლისწულები იესე, სვიმონ და თეიმურაზ ბაგრატიონები. იმავდროულად,

მან აღზარდა თავისი გერები (მეუღლის შვილები პირველი ქორწინებიდან), ქართლის მომავალი მეფეები: ქაიხოსრო I, ვახტანგ VI (რომელიც სამი წლის ასაკში დაობლდა) და მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი.

აქვე უნდა ითქვას, რომ უფლისწულ ლევანს ჰყავდა მხევალთაგან შეძენილი შვილებიც, კერძოდ, უფლისწულები კონსტანტინე, ადარნასე (ათანასე), როსტომი და ხორეშან ბატონიშვილი [3, 6]. ასე, რომ იესეს მრავალი და-ძმა ჰყავდა.

იესეს დაბადების თარიღი დანამდვილებით დადგენილი არ არის. იგი უნდა დაბადებულიყო არა უადრეს 1681 წლისა (ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი მშობლები 1680 წელს დაქორწინდნენ, ხოლო იესე მათი უფროსი შვილი იყო) და არა უგვიანეს – 1686 წლისა, როგორც ამას მკვლევარი მანანა ქიქოძე ვარაუდობდა [5, 48].

უფლისწულ ვახუშტი ბაგრატიონის შეფასებით, იესე "იყო მხნე, ახოანი, ჰაეროვანი, მოწყალე, უხვი, მაღალთა და მდაბალთა მიმცემი, ლხინ-სიხარულთა, შუება-განცხრომათა მოყუარე, სამღუდელოთა პატივისმცემელი... და იყო ესე ფრიად მიქცეულ მაჰმადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი" [2, 493-493].

1701 წელს, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში, შაჰინშაჰ ჰუსეინ I სეფიანთან ჩასულმა უფლისწულმა ლევანმა თან იახლა თავისი ვაჟი – იესე ბატონიშვილი [2, 481], რომელიც იმხანად დაახლოებით 16-20 წლის ჭაბუკი უნდა ყოფილიყო.

1705-1714 წლებში სპარსეთის შაჰინშაჰს იესე ბატონიშვილი ერთგულად ემსახურებოდა. გამაჰმადიანების შემდეგ იესე – ალიყული-ხანად იწოდა. იგი მონაწილეობდა აჯანყებული ავღანელებისა და ბელუჯების წინააღმდეგ წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯერ იესეს გვირგვინოსანი ბიძა – გიორგი XI, ხოლო მისი მოკვლის (1709 წ.) შემდეგ, მისი ნახევარი ძმა, ასევე მეფე – ქაიხოსრო I, რომელიც 1711 წელს დაიღუპა.

1708 წელს ჰუსეინ I-მა ალიყული-ხანი დაადგინა ქირმანის მხარის ნაიბად, ხოლო მომდევნო წელს მას ბეგლარ-ბეგობა უბოძა. 1711 წელს იგი სპარსეთის არტილერიის უფროსად ანუ თოფჩიბაშად დანიშნეს.

1714 წელს შაჰინშაჰმა ჰუსეინ I-მა სეფიანმა სპარსეთში დაიბარა უფლისწული ვახტანგ ლევანის ძე (1675-1737, მომავალში – მეფე ვახტანგ VI) და მეფობის ბოძების სანაცვლოდ მას გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგი თავდაპირველად უარზე იყო. იგი ორ

წელიწადს ყოყმანობდა. სწორედ ამ პერიოდიდან ქართლში მეფობდა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა – იესე I, იგივე ალიყულიხანი. იგი ორი (1714-1716) წლის განმავლობაში ვალის ანუ მეფისნაცვლის რანგში მართავდა ქართლს, ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ნახევარძმისა (მამამისის კანონიერი ვაჟისა) – ვახტანგისა.

საგულისხმოა, რომ მეფე იესე კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა და ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელებაზეც ზრუნავდა. მისი ხელშეწყობით, 1716 წელს, თბილისში, განახლებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა "დავითნი", რომლის თავსართიც იუწყებოდა: "დავითნი აწ, მეოთხედ დაბეჭდილ ქართულ ენასა ზედა, ჟამსა ამაღლებულსა მეფისა უფლისაი იესესი." როგორც ირკვევა, იმ პერიოდში, იესემ უარყო ისლამი და კვლავ გაქრისტიანდა [5, 48-50].

ორწლიანი ყოყმანის შემდეგ, 1716 წელს ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი და მეფობაც მიიღო, თუმცა სამშობლოში დაბრუნება მან მხოლოდ 1719 წელს შეძლო. 1717-1719 წლებში ქართლს მართავდა ბაქარ ვახტანგის ძე.

1719 წელს სპარსეთიდან დაბრუნებული ვახტანგ VI ქართლში მეფობას შეუდგა. მართალია, თავდაპირველად, იესე ეურჩებოდა თავის უფროს ძმას, მაგრამ შემდეგ შეურიგდა ვახტანგის მეფობას და ბოლოს მისი მხარდამჭერიც გახდა. მისი ძალისხმევით, ქართლის სამეფომ დაიბრუნა ქალაქი მცხეთა, რომელიც დროებით კახეთის სამეფომ შეიერთა.

მადლიერმა ვახტანგ VI-მ იესეს ყველა შეცოდება დიდსულოვნად მიუტევა. 1721 წელს, მეფის ბრძანებით, იესე ქართლის მსახურთუფროსად დაინიშნა. იმავდროულად, მას მთლიანად დაუბრუნდა ჩამორთმეული ქონება, ხოლო საუფლისწულო მამულად მუხრანი ებოძა.

საგულისხმოა, რომ 1723 წლის დასაწყისში, როდესაც ოსმალთა არმია ქართლში შეიჭრა, ხოლო თბილისი კახეთის მეფე კონსტანტინე II-მ ანუ მაჰმად-ყული-ხანმა დაიკავა, იესე ვახტანგისა და ბაქარის მხარდამხარ იბრძოდა.

1724 წელს მეფე ვახტანგ VI იძულებული გახდა, რომ თავისი ცოლ-შვილით რუსეთში გადახვეწილიყო. ქართლში მყოფმა ოსმალებმა ივნისში თბილისიც დაიკავეს. შექმნილ ურთულეს ვითარებაში იესემ ოსმალური ორიენტაციის დაკავება ამჯობინა და არცთუ უშედეგოდ. სუნიტური ისლამის მიღების შემდეგ, იგი მუსტაფად იწოდა. ამის სანაცვლოდ, ოსმალებმა ქართლი მუსტაფა-ფაშად მონათლულ იესეს ჩააბარეს.

უფლისწულ ვახუშტის ცნობით: "იესე მიიქცა სჯულსა მათსა ზედა...და აწ ყო ესე, ვინაითგან იყო ხორცთმოყუარე. ამისთვის მიენდუნენ მას ურუმნი" [2, 507].

მუსტაფა-ფაშა (ანუ ყოფილი იესე და ალიყული-ხანი) ქართლში ამჯერად სამი (1724-1727) წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე მეფობდა [4, 200-205].

მანანა ქიქოძის მართებული შეფასებით, "იესეს საბოლოო პოზიცია, მისი მოღვაწეობის ბოლოს ერთგვარად გამოიკვეთა. იგი წმინდა სოციალური სულისკვეთებით, ფეოდალური ფსიქიკის დაძლევის უუნარობით შეპყრობილი, ერთხელ მოპოვებული და შემდეგ დაკარგული ქართლის სამეფოს გამგებლობის უფლებების აღდგენაზე ფიქრს შეუდგა" [5, 51].

ვფიქრობთ, საინტერესოა, თუ ვინ ჰყავდა ცოლად იესეს, ან ვინ იყვნენ მისი შთამომავლები.

ცნობილია, რომ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (1466 წ.) შემდეგ, ბაგრატიონთა სამივე სამეფო სახლის – კახეთის, ქართლისა და იმერეთის წარმომადგენლები, ქორწინდებოდნენ ძირითადად ქართველ წარჩინებულებზე [6, 450], თუმცა ზოგჯერ უცხოტომელებზეც.

ბაგრატიონთა ქორწინებებს ქართველ და უცხოტომელ წარჩინებულებზე მივუძღვენით რამდენიმე სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართველოში [6-8; 13; 15], ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა [11; 14] და დაღესტანში [12].

იესეს პირველი მეუღლე იყო მარიამ ვახუშტის ასული ყაფლანიშვილი (ქვემო ქართლის თავად ორბელიანთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოება), რომელიც მანამდე ცოლად ჰყავდა თავად ქაიხოსრო ამირეჯიბს. მათ შეეძინათ ვაჟი – გიორგი [10, 51].

იესეს მეორე მეუღლე იყო ბატონიშვილი ელენე-ბეგუმი (1687-1750), ასული ქართლის (შემდგომ – კახეთის) მეფისა ერეკლე I-ისა [2, 494]. მათ შეეძინათ ექვსი შვილი, მათგან ოთხი ვაჟი და ორი ასული. მათ შორის იყვნენ ბატონიშვილები (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): **გიორგი** (იგივე ალივერდი, გურგენ-ბეგი), **იოანე** (?-1717), **ნიკოლოზი, დავითი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1716-1738 წლებში), **ანასტასია** (?-1731/3), **მარიამი** (ჩანს 1750-1754 წლებში) და **თეიმურაზი** (1720-1788), რომელიც მოგვიანებით კათოლიკოს-პატრიარქი გახდა და ცნობილია ანტონ I-ის სახელით.

მეფეს მხევალთაგან შეეძინა კიდევ ოთხი შვილი, კერძოდ, სამი ვაჟი: **არჩილი,** იგივე **აბდულა-ბეგი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1716-1762 წლებში), **ლევანი,** იგივე **ჰუსეინ-ბეგი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1743-1758 წლებში), **ალექსანდრე,** იგივე **ისაყ-ბეგი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1775/81 წლებში) და ერთი ასული, რომლის სახელიც უცნობია [1, ნუსხა № 4].

ქვემოთ ჩამოვთვლით იესე I-ის შვილებს და მიმოვიხილავთ როგორც მათ ოჯახებს, ასევე ხსენებული მეფის შთამომავლებს (შვილიშვილებს, შვილთაშვილებს და შვილთაშვილის შვილებს) მხოლოდ პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით.

იესე I-ის პირველმა შვილმა, უფლისწულმა **გიორგიმ** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1724-1762 წლებში), ცოლად შეირთო თამარ ციციშვილი. მათმა ერთადერთმა ვაჟმა დიმიტრიმ (1746-1826) ცოლად შეირთო მარიამ დიმიტრის ასული ციციშვილი (1767-1808). მათ შეეძინათ ორი ასული – ელისაბედი (?-1863) და ანასტასია (1796-1857).

ასე, რომ ქართლის მეფის იესეს შთამომავლობა პირველი ქორწინებიდან, პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1826 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი შვილიშვილი დიმიტრი გიორგის ძე (1746-1826).

იესე I-ის მეორე ქორწინებიდან დაბადებული ვაჟები, უფლისწულები: **იოანე** (?-1717), **ნიკოლოზი, დავითი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1716-1738 წლებში) და **თეიმურაზი** (1720-1788) – არ დაოჯახებულან და მათ არც მემკვიდრე დაუტოვებიათ.

მარიამ ბატონიშვილი (ჩანს 1750-1754 წლებში) ცოლად გაჰყვა თავად იესე გიორგის ძე ქსნის ერისთავს (გარდაიცვალა 1787 წელს).

ასე, რომ მეფე იესეს შთამომავლობა მეორე ქორწინებიდან, პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1788 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი ვაჟი თეიმურაზი (1720-1788) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I [1, ნუსხა № 4].

იესე I-ის ვაჟს, მხევლისაგან დაბადებულ უფლისწულ **არჩილს,** იგივე **აბდულა-ბეგს** (1696-1756) ცოლად ჰყავდა ქეთევან ბატონიშვილი (ჩანს 1742-1752 წლებში), ასული მეფე ერეკლე I-ისა. მათ შეეძინათ 5 ვაჟი: აღასი (?-1765), როსტომ-მირზა (საისტორიო წყაროში ჩანს 1736-1755 წლებში), არსენი (იესე) თბილელი (?-1812), დავითი (სიკვდილით დასაჯეს 1765 წელს), ასან-მირზა (საისტორიო წყაროში ჩანს 1736 წელს) და ერთი ასული – მარიამ-ბეგუმი.

დავით არჩილის ძემ ცოლად შეირთო თინათინ ელიზბარის ასული თაქთაქიშვილი. მათ შთამომავლობა არ დარჩენიათ.

მარიამ-ბეგუმ არჩილის ასული ცოლად გააყოლეს ჯერ თავრიზის მფლობელს აზატ-ხანს (გარდაიცვალა 1760 წელს), ხოლო შემდეგ – თავად რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილს (გარდაიცვალა 1772 წელს).

იესე I-ის ვაჟს, მხევლისაგან დაბადებულ უფლისწულ **ალექსანდრეს,** იგივე **ისაყ-ბეგს** (გარდაიცვალა 1775/81 წლებში) შეეძინა სამი ვაჟი: იოანე/ივანე (1730-1795), სოლომონი (ჩანს 1750 წელს), თომა (1743-?) და კირილე (1749-1828) და ერთი ასული – ანა (1723-1780).

სოლომონ და თომა ალექსანდრეს (ისაყ-ბეგის) ძეთა დაოჯახების შესახებ ცნობები არ შემოგვრჩა. ცნობილია, რომ მათ შთამომავლობა არ დარჩენიათ.

ივანე ალექსანდრეს (ისაყ-ბეგის) ძეს (1730-1795) ჰყავდა სამი ვაჟი – პეტრე (1765-1812), ალექსანდრე (1771-1820) და რევაზი, იგივე რომანი (1778-1834).

გამოჩენილ მხედართმთავარს პეტრე ივანეს ძეს (1765-1812) ცოლად ჰყავდა ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია (1783-1857). მათ შვილი არ შესძენიათ.

ალექსანდრე ივანეს ძეს (1771-1820) ჰყავდა ოთხი ვაჟი: პეტრე (1806-?), ნიკოლოზი (1808-?), რომანი (1808-?), ალექსანდრე (1815-?) და ერთი ასული – ალექსანდრა (ჩანს 1821 წელს).

პეტრე ალექსანდრეს ძეს (1806-?) ცოლად ჰყავდა ელისაბედ ივანეს ასული ნასეკინა.

რევაზ, იგივე რომან ივანეს ძეს (1778-1834) ცოლად ჰყავდა ანა სემიონის ასული ივანოვა (1799-1875), რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი – პეტრე (1818-1876), ივანე (1824-1860) და სამი ასული – ანა, ელისაბედი (1820-1867) და ალექსანდრა (1829-?).

პეტრე რევაზის (რომანის) ძეს (1818-1876) ცოლად ჰყავდა ანა ალექსის ასული მარტინოვა (?-1908), რომელთანაც შეეძინა ორი ასული – ევგენია (1846-1903) და ელისაბედი (1846-1868).

ივანე რევაზის (რომანის) ძეს (1824-1860) შეეძინა ერთადერთი ვაჟი რომანი (ჩანს 1855 წელს).

კირილე ალექსანდრეს (ისაყ-ბეგის) ძეს (1749-1828) ცოლად ჰყავდა ჯერ ვარვარა ალექსის ასული ხოვანსკაია (1769-1788), ხოლო შემდეგ ალექსანდრა ივანეს ასული გოლიკოვა (1778-1853). პირველ მეუღლესთან მას შეეძინა ორი ვაჟი – ალექსი (1786-1824)

და ალექსანდრე (1778-?), ხოლო მეორე მეუღლესთან – ერთი ვაჟი – პეტრე (1811-?) და სამი ასული – ნატალია (1803-1873), ანა (1804-1875) და დარია (1809-1831).

ალექსი კირილეს ძეს (1786-1824) ცოლად ჰყავდა ზოია ვოკარესკუ, რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი – კონსტანტინე (1818-1860), ალექსანდრე და ორი ასული – ალექსანდრა და ელენე (ჩანს 1849 წელს).

ალექსანდრე ალექსის ასულს შეეძინა ერთადერთი ასული – ზოია (1840-1884).

ალექსანდრე კირილეს ძეს (1778-?) ცოლად ჰყავდა ვერა ალექსანდრეს ასული სოლნცევა (1799-1875), რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი – პეტრე (1824-?), ვალერიანი (1825-?) და ორი ასული – ვარვარა (1823-?) და სოფიო (1827-?).

პეტრე ალექსანდრეს ძეს (1824-?) ჰყავდა ორი ვაჟი – ალექსანდრე (1862-1920), დიმიტრი (1863-1919) და სამი ასული – ნინა (1864-1913), ელისაბედი (1865-1940) და ვერა (1872-1946).

დიმიტრი პეტრეს ძეს (1863-1919) ჰყავდა ერთადერთი ასული – ნინა.

ქართლის მეფის იესეს შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1920 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი შვილთაშვილის შვილთაშვილი – ალექსანდრე პეტრეს ძე ბაგრატიონი (1862-1920) [1, ნუსხა № 4].

ამრიგად, მეფე იესე I-ს ჰყავდა 8 ვაჟი. მათგან ერთის დედა იყო მარიამ ვახუშის ასული ყაფლანიშვილი (ორბელიანი), ოთხისა – დედოფალი ელენე-ბეგუმი, ხოლო სამისა – მხევლები.

მეფის შვილიშვილები და მათ შთამომავლები – რუსეთში თავად ბაგრატიონის გვარს ატარებდნენ.

იესე I-ის შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1920 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი შთამომავალი (მეექვსე თაობა) – ალექსანდრე პეტრეს ძე ბაგრატიონი (1862-1920).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.

2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნში: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.

3. გიორგი პაიჭაძე, ვახტანგ VI, თბილისი, 1981.

4. საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომი აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქციით, 2000.

5. მანანა ქიქოძე, ქართლის მეფე იესე ალიყული ხან ბაგრატიონის მოღვაწეობა (1686-1727), კრებულში ანალები, ტ. II, 2004.

6. დავით ჯავახიშვილი, ქართველ მეფეთა მეუღლეები (ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო), კრებულში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტ. IV, 2008.

7. დავით ჯავახიშვილი, ექვსი ეტიუდი ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებების ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები), კრებულში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტ. X, 2011.

8. დავით ჯავახიშვილი, ერეკლე II-ის მეუღლეები, კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XIII–XIV, 2011/2012.

9. დავით ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, 2011.

10. Дворянские роды Российской империи, т. III, Князья, под редакцией С. Думина, Москва, 1996.

11. Джавахишвили Д., Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв.), Сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки“, Гянджа (Азербайджанская республика), 2010, № 2.

12. Джавахишвили Д., Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской зна-

ти, Общественно-политический и культурно-исторический научный журнал „Ахульго", Махачкала (Дагестанская республика), 2010, № 12.

13. Джавахишвили Д., Династические браки на службе дипломатии (на примере кахетинской ветви царской династии Багратионов), материалы международной научной конференции: „Археология, этнология, фольклористика Кавказа" Тбилиси, 27-30. IX. 2010 г., Тбилиси, 2011.

14. Джавахишвили Д., Семья царя Ираклия II, Сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки", Гянджа (Азербайджанская республика), 2013, № 1.

15. Джавахишвили Д., Восточногрузинский Царский Дом в период царствования Ираклия II и Георгия XII, Сборник научных трудов отделения новой и новейшей истории Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили „Вопросы новой и новейшей истории", 2013, № 13.

Davit Javakhishvili

Doctor of History, Jakob Gogebashvili Telavi State University

The Family Environment of Kartli King Yese and His Straight Descendants

Summary

The essay studies the family environment of King of Kartli (Kartalinia) Yese I (1681/6-1727, reigned in 1714-1716 and 1724-1727 years) specifically, his parents, sister and brother, wife and children, also the demographic development of his direct (from the man line) descendants.

Father of Yese was prince Levan, son of King of Kartli (Kartalinia) Vakhtang V, mother – Tinatin, was the daughters of the noble Giorgi Avalishvili.

The first wife of Yese was Maryam, the daughter of the noble Vakhushti Kaplanishvili (Orbeliani). They had son – prince Giorgi.

The second wife of Iese was princess Elene (1687-1750), daughter of the king Erekle I. They had six children: prince Giorgi, prince Yoane (?-1717), prince Nikoloz, prince Davit (appears in the historical sources in 1716-1738 years), princess Anastasia (?-1731/3), princess Maryam (appears in 1750-1754 years) and prince Teimuraz (1720-1788), who later became Catholicos-Patriarch of East Georgia and was famous with the name of Anton I.

The king had four children from unofficial wives: prince Archil (appears in 1716-1762 years), Levan (appears in 1743-1758 years), prince Alexandre (appears in 1775/81 years) and one daughter (the name is unknown).

Thus, Yese I had 11 sons – 8 sons and 3 daughters.

Yese I posterity with the direct line was stopped in 1920, when his descendant (the sixth generation) – prince Alexandre Bagrationi (1862-1920) died.

დავით ჯავახიშვილი

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართლის მეფის ბაქარის პირდაპირი შთამომავლები

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის სამეფოს თითქმის სამ წელიწადს, კერძოდ, 1717-1719 წლებში განაგებდა ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონი (1700-1750), იგივე მეფე ბაქარი [2, 496].

ბაქარი განეკუთვნებოდა ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ქართლის შტოს. კერძოდ, ის იყო შვილთაშვილი ქართლის მეფისა ვახტანგ V-ისა (შაჰ ნავაზისა) და შვილი მეფე ვახტანგ VI-ისა [4], და რუსუდან დედოფლისა, ყაბარდოს მთავრის ასულისა [9, 45-46].

ბაქარის მამა – ვახტანგ ლევანის ძე, ანუ იგივე ვახტანგ VI თერთმეტი წლის განმავლობაში ჯანიშინის ანუ მეფისნაცვლის რანგში მართავდა ქართლს, კერძოდ, 1703-1709 წლებში – ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ბიძისა (მამის ძმისა), მეფე გიორგი XI-ისა (დაიღუპა 1709 წელს), 1709-1711 წლებში – ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ძმისა, მეფე ქაიხოსროსი (დაიღუპა 1711 წელს), ხოლო 1711-1714 წლებში – სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ მეფედ დამტკიცების მოლოდინში. 1712 წელს შაჰინშაჰმა ჰუსეინ I-მა სეფიანმა ვახტანგი სპარსეთში დაიბარა და მეფობის ბოძების სანაცვლოდ მას გამაჰმადიანება მოსთხოვა.

1712-1714 წლებში ქართლს გამგებლის რანგში მართავდა ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა – სვიმონი [2, 491]. 1714-1716 წლებში ქართლში მეფობდა ვახტანგ VI-ის ასევე უმცროსი ძმა – იესე I, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ – ალი ყული ხანი უწოდეს.

ორწლიანი ყოყმანის შემდეგ, 1716 წელს ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი და მეფობაც მიიღო, თუმცა სამშობლოში დაბრუნება მან მხოლოდ 1719 წელს შეძლო.

1717-1719 წლებში ქართლს მეფის რანგში განაგებდა ბაქარ I, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ – შაჰ ნავაზ ხანი უწოდეს.

უფლისწული ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (1696-1756) თავისი უფროსი ძმის მეფობის შესახებ მოგვითხრობს: "ვინა-

ითგან ჰგონებდა მეფე ვახტანგ წარსვლასა ხორასანს, ამისთვის ჰკადრა ყეენსა, რათა მისცეს მეფობა ქართლისა ძესა თვისსა ბაქარს. უსმინა და მოსცა და მიაქციეს რჯულსა მათსა მხოლოდ სიტყვითა და არა საქმითაცა“ [2, 496].

ქვემოთ მოთხრობილია მეფე ბაქარის ქორწინების, ცოლშვილისა და პირდაპირი (ანუ მამრობითი ხაზით) შთამომავლობის შესახებ, რაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დემოგრაფიული განვითარების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. ეს პრობლემა ჯერაც არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი.

აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორია მონოგრაფიულად შევისწავლეთ ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში [8].

* * *

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (1466 წ.) შემდეგ, ბაგრატიონთა სამივე სამეფო სახლის – კახეთის, ქართლისა და იმერეთის წარმომადგენლები, ქორწინდებოდნენ ძირითადად ქართველ წარჩინებულებზე [5, 450], თუმცა ზოგჯერ უცხოტომელებზეც.

ბაგრატიონთა ქორწინებებს ქართველ და უცხოტომელ წარჩინებულებზე მივუძღვენით რამდენიმე სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართველოში [5-7], ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა [11] და დაღესტანში [12].

მეფე ვახტანგ VI-ს რუსუდან დედოფალთან შეეძინა ოთხი შვილი, მათგან სამი ვაჟი და ერთი ასული. მათ შორის იყვნენ ბატონიშვილები (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): როსტომი (1695-1698); თამარი (1696-1746); ანა (1698-1746); ბაქარი (1700-1750) და გიორგი (1712-1786) [1, ნუსხა № 4].

მეფეს მხევალთაგან შეეძინა კიდევ ორი ვაჟი, უფლისწულები ვახუშტი (1696-1756), პაატა (1720-1765) და ერთი ასული – მარიამი (თუთა) (1699-1746) [3, 75].

ასე, რომ ბაქარს ჰყავდა ექვსი და-ძმა, კერძოდ, 4 - ძმა და 3-და.

1724 წლისათვის ქართლში შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, გვირგვინოსანი მამა-შვილი – ვახტანგ VI და ბაქარ I იძულებულნი გახდნენ, რომ სამშობლო დაეტოვებინათ და ცოლშვილისა და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით რუსეთში გადახვეწილიყვნენ. ხსენებულ მეფეთა და მათი ძმე-

ბის შთამომავლები – რუსეთში ატარებდნენ თავად გრუზინსკის გვარს [10, 46].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგ VI-ის ვაჟი პირველი ქორწინებიდან – **უფლისწული ბაქარი** – მამის სპარსეთში ყოფნის (1717-1719 წლები) პერიოდში განაგებდა ქართლს. რუსეთში წასვლის შემდეგ ის გახდა საიმპერიო არმიის არტილერიის გენერალ-პორუჩიკი და უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი.

ქვემოთ ჩამოვთვლით ბაქარ I-ის შვილებს და მიმოვიხილავთ როგორც მათ ოჯახებს, ასევე ხსენებული მეფის შთამომავლებს (შვილიშვილებს, შვილთაშვილებს და შვილთაშვილის შვილებს) მხოლოდ პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით. აქვე ჩამოვთვლით ბაქარის შთამომავალ იმ მანდილოსნებსაც, რომლებიც გრუზინსკის გვარს ატარებდნენ.

ბაქარს ცოლად ჰყავდა ანა ერისთავი (1706-1780), ასული გიორგი არაგვის ერისთავისა [13, 263]. მათ შეეძინათ 2 ვაჟი: ალექსანდრე (1726-1791), ლევანი (1728-1763) და 3 ასული: ელისაბედი (?-1768), მარიამი (?-1807) და კიდევ ერთი ასული, რომლის სახელიც უცნობია. **ალექსანდრე ბაქარის ძეს** (1726-1791) ცოლად ჰყავდა გრაფინია დარია ალექსანდრეს ასული მენშიკოვა (გარდაიცვალა 1817 წელს). მათ შეეძინათ 3 ვაჟი: გიორგი (1762-1832), ალექსანდრე (1763-1823) და იოანე (გარდაიცვალა ბავშვობაში), ასევე 2 ასული: ანა (1760-1842) და დარია (?-1796).

გიორგი ალექსანდრეს ძეს (1762-1832) ცოლად ჰყავდა ვარვარა პეტრეს ასული ბახმეტიევა. მათ შეეძინათ ვაჟი – იოანე, რომელიც ბავშვობაში გარდაიცვალა და ასული – ანა (1798-1889). მათ გარდა, გიორგის ჰყავდა 2 არაკანონიერი ვაჟიც, რომლებიც უმემკვიდრეოდ გადაეგნენ.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1763-1823) – უმემკვიდრეოდ გადაეგო.

ლევან ბაქარის ძეს (1728-1763) ცოლად ჰყავდა ალექსანდრა იაკობის ასული სიბირსკაია (1728-1793). მათ შეეძინათ 4 ვაჟი: იაკობი (1757-1835), ლევანი (1764-1800), დიმიტრი, ალექსანდრე და 6 ასული: ანა (1753-1812), მართა, დარია, მარია, სოფიო და ანასტასია.

იაკობ ლევანის ძეს (1757-1835) ცოლად ჰყავდა ვერა პეტრეს ასული ურუსოვა (1765-1835). მათ შეეძინათ 6 ვაჟი: ნიკოლოზი (1783-1861), პეტრე (1785-1812), დიმიტრი, იაკობი (1793-1866), სერ-

გეი (1795-1880) და ალექსანდრე (1802-1828) და 2 ასული: ალექსანდრა (1787-1853) და ვერა (1801-1860).

ნიკოლოზ იაკობის ძეს (1783-1861) ჰყავდა სამი ვაჟი: ივანე (1831-1898), კონსტანტინე (გარდაიცვალა 1884), პეტრე (1840-1892) და ერთი ასული – ალექსანდრა (?-1888).

იაკობ იაკობის ძეს (1793-1866) ჰყავდა ვაჟი – ივანე.

ლევან ლევანის ძეს (1764-1800) ცოლად ჰყავდა პრასკოვია ევგრაფის ასული ტატიშჩევა (1767-1841). მათ შეეძინათ 2 ვაჟი: დავითი, ევგრაფი (1788-1794) და 4 ასული: სოფიო (?-1862), ეკატერინე, მარიამი (?-1791), ოლღა (1800-1850).

ქართლის მეფის შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1898 წელს, როდესაც გარდაიცვალა უფლისწულ ბაქარის შვილთაშვილის შვილი – ივანე ნიკოლოზის ძე გრუზინსკი (1831-1898) [1, ნუსხა № 4].

ამრიგად, ქართლის მეფე ბაქარ I-ს (1700-1750) ცოლად ჰყავდა ანა ერისთავი (1706-1780), ასული გიორგი არაგვის ერისთავისა. მათ შეეძინათ 2 ვაჟი: ალექსანდრე (1726-1791) და ლევანი (1728-1763).

მეფის შვილიშვილები და მათი შთამომავლები რუსეთში თავად გრუზინსკის გვარს ატარებდნენ.

მეფე ბაქარის შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1898 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი შვილთაშვილის შვილიშვილი (მეოთხე თაობა ბაქარიდან) – ივანე ნიკოლოზის ძე გრუზინსკი (1831-1898).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.

2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.

3. როინ მეტრეველი, ნიკო ჯადუგიშვილი, მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, თბილისი, 2007.

4. გიორგი პაიჭაძე, ვახტანგ VI, თბილისი, 1981.

5. დავით ჯავახიშვილი, ქართველ მეფეთა მეუღლეები (ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო), კრებული "ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. IV, თბილისი, 2008.

6. დავით ჯავახიშვილი, ექვსი ეტიუდი ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებების ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები), კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტ. X, თბილისი, 2011.

7. დავით ჯავახიშვილი, ერეკლე II-ის მეუღლეები, კრებული ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XIII–XIV, თბილისი 2011/2012.

8. დავით ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, 2011.

9. ნიკო ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2005.

10. Дворянские роды Российской империи, т. III, Князья, под редакцией С. Думина, Москва, 1996.

11. Д. Джавахишвили, Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв.). Сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки."№ 2. Гянджа (2010).

12. Д. Джавахишвили, Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской знати, Общественно-политический и культурно-исторический научный журнал „Ахульго", № 12, Махачкала, 2010.

13. С. Думин, Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва, 1998.

Davit Javakhishvili

Doctor of History, Jakob Gogebashvili Telavi State University

Bakars, King of Kartli, Straight Descendants

Summary

The work consecutively narrates about King of Kartalinia/Kartli (Central part of Georgia) – Bakar the I's (1700-1750) straight descendents. King Bakar the I reigning in 1717-1719.

King Bakars wife was Queen Anna (1706-1780), daughter of prince George Eristavi of Aragvi.

King Bakar the I and Queen Anna had a 5 children:

1) prince Alexander/Alexandre (1726-1791);
2) prince Leon/Levan (1728-1763);
3) princess Elisabeth/Elisabed (?-1768);
4) princess Maria/Maryam (?-1807);
5) princess (name is unknown).

King Bakar the I posterity with the direct line was stopped in 1898, when died his descendant (the fourth generation) – prince Ivan Nikolaevich Gruzinsky/Bagrationi (1831-1898).

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის სათავეებთან

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და მეფის დამხობამ მძლავრი ბიძგი მისცა ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე რევოლუციური აქტივობის ზრდას. სულ მალე ამ მოვლენებმა არაკონტროლირებადი ჯაჭვური რეაქციის სახე მიიღო და მისმა ექომ ჩრდილოეთ კავკასიამდეც მოაღწია. იმპერიის დაშლას კავკასიის დამონებული ხალხები ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების იდეით შეხვდნენ, საერთო ქაოსმა კი ხელი შეუწყო ჩრდილო-კავკასიელი ხალხების „რევოლუციური“ და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას. ასე ჩამოყალიბდა „კავკასიის მთიელთა გაერთიანებული კავშირი“, რომელიც ვლადიკავკაზში, 1917 წლის მაისში შეიქმნა მთიელთა I ყრილობაზე. ამ ორგანიზაციაში უნდა მომხდარიყო რევოლუციური მასების ენერგიის აკუმულირება, რომლის მიზანსაც იმპერიის წნეხისაგან დასხლტომა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის მისაღები ფორმების ძიება წარმოადგენდა. ამ „კავშირს“ ხელმძღვანელობდნენ ჩეჩენი ტ. ჩერმოევი, ყუმუხი რ. კაპლანოვი, ყაბარდოელი პ. კოცევი, ინგუში ბ. ჯაბაგიევი და სხვები [1, 134].

მსგავსი სცენარით განვითარდა „რევოლუციური“ პროცესები აფხაზეთშიც, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქში. მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიისაგან განსხვავებით, სოხუმის ოლქში მიმდინარე პროცესებმა მკვეთრად განსაზღვრული ნაციონალისტური, ანტიქართული და სეპარატისტული ელფერი მიიღო. აქ ჩაბუდებულმა ბოლშევიკებმა და აფსუა სეპარატისტებმა მოხერხებულად ისარგებლეს ლენინური „ერთა თვითგამორკვევის“ დეკლარირებული პრინციპებით და აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის პოლიტიკაზე აიღეს კურსი. აფხაზთა სეპარატისტულ მოძრაობას „ახალი აფხაზები“, აფხაზური ე.წ. „სახალხო ინტელიგენციის“ წარ-

მომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში: სიმონ ბასარია, სიმონ აშხაცავა, ვასილ აგრბა და სხვა. ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ზურაბ პაპასქირი, რომ „ახალ სიტუაციას მომზადებული შეხვდნენ ანტიქართულად განწყობილი აფხაზური „სახალხო ინტელიგენციის“ ლიდერები... აფხაზეთში რუსეთის იმპერიული რეჟიმის მიერ ათეული წლების მანძილზე გატარებულმა თანმიმდევრულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ რეალური ნაყოფი უკვე 1905-1907 წწ. რევოლუციის პერიოდში გამოიღო, როდესაც ოდესღაც რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოძულე აფხაზობამ, რომელთა დიდი ნაწილი თავის ჩრდილო-კავკასიელ მუსლიმ თანამოძმეებთან ერთად თითქმის 70 წლის განმავლობაში „საღვთო ომს“ ეწეოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, დიამეტრალურად შეიცვალა ორიენტაცია და იმპერიის ყველაზე ლოიალურ და ერთგულ ხალხად იქცა“ [2, 3].

როგორც იტყვიან, იმპერიულმა პრინციპმა “Devide et Impera“ შესაბამისად იმუშავა და თავისი შხამიანი ნაყოფიც გამოიღო. მუჰაჯირობის პროცესის დასრულებისა და აფხაზი ხალხის სრული დამორჩილების შემდეგ, აფხაზებს „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი მოეხსნათ და იმპერიის მხრიდან მათზე დაწოლაც შემცირდა. დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან კი, კავკასიაში ყველაზე ურჩ, რევოლუციური იდეებით შთაგონებულ და იმპერიისათვის საშიშ ხალხად უკვე ქართველები იქცნენ. იმპერიამ ჩათვალა, რომ 1905-1907 წლების რევოლუცია და მასში ქართველი რევოლუციონერების დიდი როლი და ადგილი, ამის სრული დასტური იყო. იმპერიის უსაფრთხოებისათვის, იმპერიაში მცხოვრებ ხალხებთან დამოკიდებულებაში საჭირო იყო სტრატეგიული ვექტორების მიმართულების შეცვლა და კავკასიაში ძალთა შემდგომი დაბალანსება. საჭირო იყო ქართველთა რევოლუციური სულისკვეთების ჩაქრობა, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხებსა და დიასპორებში პრორუსული განწყობების გაზრდა. პირველ რიგში კი, ამ ხალხების ცნობიერებაში ანტიქართული განწყობების მუხტი უნდა შექმნილიყო. ხალხებს შორის სიძულვილის ნაპერწკლის შემდგომი გაღვივება კი, იმპერიისათვის ძალიან მარტივ ამოცანას წარმოადგენდა. ამის გამოცდილება და მეთოდები იმპერიას უკვე კარგად ჰქონდა დამუშავებული. ქართველთაგან მომავალი „რევოლუციური საფრთხის“ ნეიტრალიზებისა და პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის საჭირო იყო დაპირისპირების იდეოლოგიურიდან სულ სხვა, ეროვნებათაშორისი დაპირისპირების ჭრილში გა-

დატანა, თუმცა იგი მაინც გარკვეული იდეოლოგიური საბურველით უნდა შენიღბულიყო. და ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. იმპერიის მიერ ასეთ ხელსაყრელ ხალხებად საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები და დიასპორები, ოსები და აფხაზები იქცნენ, განსაკუთრებით – ეს უკანასკნელნი [3, 61].

უკვე 1917 წლისათვის სწორედ ზემოთ ხსენებული რუსოფილი „ახალი აფხაზები" აღმოჩნდნენ ახალი „რევოლუციური ქარიშხლის" ავანგარდში და სასწრაფოდ შეუდგნენ ყოფილი იმპერიისაგან მართული ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებას. ყველაფერი ეს კი, ერთა თვითგამორკვევის პრინციპებითა და დემოკრატიის შირმით უნდა შენიღბულიყო. რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივ (აფხაზეთის) ორგანოს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებით კომიტეტს (შეიქმნა 1917 წლის 10 მარტს) სწორედ რუსოფილი „ახალი აფხაზები" და „სახალხო ინტელიგენციის" წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში. ამ ორგანოს ხელმძღვანელი ქართველთმოძულე აფხაზი თავადი ალექსანდრე შარვაშიძე გახდა [2, 4]. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: თავადი ჯოტო შარვაშიძე, ვარლამ ლაკერბაია, თავადი არზაყან ემუხვარი, თავადი ვლადიმერ ემუხვარი და ანდრია ჭოჭუა. ამასთან, ჭოჭუას არყოფნის შემთხვევაში მას მიხეილ ცაგურია შეცვლიდა [4, 14]. სოხუმის ოლქის მილიციის უფროსად თავადი ტატაშ მარშანია იქნა არჩეული, ქალაქ სოხუმის თავად კი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი და ძველი რევოლუციონერი – ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი. საყურადღებოა, რომ ზემოთ ხსენებული კომიტეტის შემადგენლობა სოხუმის ოლქის მხოლოდ აფხაზური მოსახლეობის შეკრებაზე იქნა მიღებული. ამ საკითხში აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნებების ინტერესები იგნორირებულ იქნა. ამიტომ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს ე.წ. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტი" ხელისუფლების არალეგიტიმურ ორგანოს წარმოადგენდა და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა სოხუმის ოლქის მთელი მოსახლეობის ინტერესებს.

ერთობ საინტერესოა ამ კომიტეტის თავმჯდომარის, თავად ალექსანდრე შარვაშიძის, ოლდენბურგის პრინცის პირადი მეგობრის პიროვნება, მისი კრედო და იდეოლოგიურ-პოლიტიკური პოზიციები, მისი ცვალებადი ხასიათი და ზოგადად, მისი წინააღმდეგობებით აღსავსე პერსონა. ალექსანდრე შარვაშიძის დასახასიათებლად ერთი უცნობი ავტორის საინტერესო მემუარს მოვიყვანთ,

რომელმაც „მეგობრის“ (Друг) ფსევდონიმით გამოაქვეყნა იგი. მემუარიდან ჩანს, რომ იგი ქართველია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. კარგადაა გარკვეული იმდროინდელ აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ პროცესებში. უფრო მეტიც, იგი ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველი და მონაწილეცაა. პირველად ეს მემუარი გერმანიაში დაიბეჭდა 1931 წელს, ქართველი ემიგრანტების მიერ გამოცემულ გაზეთში „თეთრი გიორგი“ [5, 80].

მაშ ასე – „მეგობარი“:

“...მე ძალიან კარგად ვიცნობდი ალექსანდრე შარვაშიძეს. იგი ძალიან უმეცარი და მახინჯად აღზრდილი კაცი იყო: არც აფხაზი, არც რუსი, არც ქართველი. და ამავე დროს თავის თავს რაღაცად წარმოიდგენდა, მაგრამ არაფერი არ გამოსდიოდა, იმიტომ რომ თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, რას ესწრაფვოდა... ალექსანდრე შარვაშიძე მცირედით კმაყოფილდებოდა და უსაგნო სიამაყით იყო გაბერილი, რაღაცად მიაჩნდა თავი. და ქართველებმაც ჩააგდეს კაცად, სოხუმის ქალაქის თავად აირჩიეს. მაგრამ არაფერს არ აკეთებდა, არც ცუდს, არც კარგს. იმიტომ რომ ცოდნა არ გააჩნდა, არაფრის კეთების სურვილიც არ ჰქონდა. იგი რუსოფილი იყო, იმდენად, რამდენადაც 1905 წლის რევოლუციას, და საერთოდ რევოლუციას, სოციალიზმს და მისთანებს, ქართველების მონაგონად და მათ მიერვე მოწყობილად თვლიდა...

1917 წელს მან გადაწყვიტა დისპუტი გაემართა ბატონ მიხეილ წერეთელთან. ბატონი წერეთელი შეეკითხა თუ რა უნდოდა მას, და რა უნდოდათ საერთოდ აფხაზებს, ებრძანებინათ მისთვის. ეს კი აქეთ-იქით მიედ-მოედო და ბოლოს გაახსენდა თითქოს, სოხუმში მეჩეთი მინდა აშენდესო! ბატონმა წერეთელმა უპასუხა: „კი ბატონო, ნება თქვენია, ააშენეთ, ვინ დაგიშალათ!“ ასეთმა პასუხმა სრულიად დააბნია შარვაშიძე და შემდგომში სულ იძახდა თუ რამდენად კარგი კაცი იყო ეს წერეთელი. თუმცა ასეთებს ხომ არაფერს არ ეკითხებიან და მას რა უნდა გაეკეთებინა!

ერთი სიტყვით, ამ ადამიანს უნდოდა ეთამაშა რაღაც როლი, რაც ბევრ ჩვენგანსაც უყვარს. თუნდაც ისეთის, რომელსაც იგი თამაშობდა რუსების დროს. მაგრამ მან არ იცოდა, როგორ მიეღწია ამისათვის. იგი აქეთ-იქით მიედ-მოედებოდა და დიდი ზიანი მოუტანა აფხაზეთსაც და საქართველოსაც. მას მცირე რაოდენობით მხარდამჭერები ჰყავდა, სულ ორი-სამი კაცი, მაგრამ მაინც მოა-

ხერხა თავისი ცუდი როლი ეთამაშა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში" [6, 80].

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სოხუმის კომიტეტმა ინტერესი ჩრდილოეთ კავკასიისა და „კავკასიის მთიელთა გაერთიანებულ კავშირთან" მიმართებაში თავიდანვე გამოიჩინა. და ეს არც იყო გასაკვირი. 1917 წლის აგვისტოში აფხაზური დელეგაცია მონაწილეობდა მაიკოპთან, აულ ხა-კურინოხაბლში გამართულ მთიელთა შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა „ყუბანის ოლქის მთიელთა დამოკიდებულება აფხაზ ხალხთან მიმართებაში."ამავე წლის ოქტომბერში კი, აფხაზური დელეგაციის (ალექსანდრე შარვაშიძე, ტატაშ მარშანია, სიმონ ბასარია, სიმონ აშხაცავა, ვასილ აგრბა და სხვა) მონაწილეობით მსგავსი შეხვედრა უკვე ვლადიკავკაზში გაიმართა, სადაც შეიქმნა ე.წ. „კაზაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი" [7]. ჯერ დასახელება რად ღირს... აფხაზი ხალხის წარმომადგენლად ამ „კავშირში" სიმონ აშხაცავა დაინიშნა.

გაუგებარი და ერთობ ბუნდოვანი იყო ამ ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" – ორგანიზაციისა თუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, მისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნები და ამოცანები. და ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად, „კავშირის" ერთ-ერთ მთავარ ამოცანად „რევოლუციის მონაპოვრების" დაცვის საბაბით კარგად შენიღბული სეპარატისტული იდეა დაედო საფუძვლად.

აი ამ ე.წ. „კავშირის" შემადგენლობა, მიზნები და ამოცანები, რომელიც 1917 წლის 20 ოქტომბრის შეთანხმებაში იყო წარმოდგენილი:

Мы нижепоименованные Казачьи войска, Горские народы Кавказа и Вольные народы степей, заключаем между собой союз с целью способствовать установлению наилучшего государственного строя, внешней безопасности и порядка в государстве Российском, а также обеспечить членам союза их неприкосновенность, поддержать внутреннее спокойствие, поднять общее благосостояние и тем закрепить завоеванные революцией благодеяния свободы.

„კავშირის" შემადგენლობა კი ასეთი უნდა ყოფილიყო:

I Состав союза:

Ст.1. Союз составляют казачьи войска: войско Донское, войско Кубанское, войско Терское и войско Астраханское, примкнувший к

войску Астраханскому Калмыцкий народ и объединенные в особый союз Горцев Кавказа следующие горские и степные народы:

а) Все народы Дагестана (аварцы, даргинцы, лаки, они же кази кумыки, коринцы, кумыки, табасаранцы и иные) и Закатальского округа (лезгинцы).

б) Все терские народы Кубанского края (карачаевцы, абазинцы, черкесы, ногайцы и иные);

в) Горский народ Сухумского округа (Абхазцы);

2) Степные народы Терского края (ногайцы и караногайцы) и ставропольской губернии (ногайцы и туркмены).

Ст.2. Территорию членов союза составляют земли, а принадлежащие названным в статье 1-й казачьим войскам, горцам Кавказа и Вольным народам степей...[8]

დიახ, I სტატიის в) პუნქტის მიხედვით ამ „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს" „შეადგენდა" „სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი (აფხაზები)", და არა სოხუმის ოლქი და მისი მთელი მოსახლეობა. მით უმეტეს, აქ საერთოდ არაა საუბარი მთლიანად აფხაზეთზე და იქ მაცხოვრებელ ხალხებზე. ანუ, „კავშირს", დოკუმენტის მიხედვით, შეადგენდა სოხუმის ოლქის მთიელი მოსახლეობა, მხოლოდ აფხაზები და არა ოლქში მაცხოვრებელი სხვა ხალხები. თავისთავად ცხადია, ეს ნაბიჯი ერთი მუჭა სეპარატისტების მერკანტილურ ინტერესებზე დაფუძნებული თვითნებური გადაწყვეტილება იყო და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა არა თუ სოხუმის ოლქის მთელი მოსახლეობის, არამედ სოხუმის ოლქის თვით აფხაზი მოსახლეობის ინტერესებსაც კი. სოხუმის ოლქის მთიელ აფხაზებთან მიმართებაში, ასეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისათვის მათ არც შესაბამისი რწმუნებები გააჩნდათ და არც შესაბამისი ნდობის მანდატით იყვნენ აღჭურვილები. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აფხაზური ეთნოსი მთელი აფხაზეთის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო საკუთრივ აფხაზებით ძირითადში გუდაუთის მთიანი ზონა იყო დასახლებული, მაშინ გასაგები ხდება ამ ხელოვნური პოლიტიკურ-სეპარატისტული ინსინუაციების მთელი სიყალბე და არალეგიტიმურობა.

ახლა კი მცირე სტატისტიკა.

ცნობილი ქართველი მეცნიერის, აფხაზეთის პრობლემატიკაზე მომუშავე მკვლევარის, პროფესორ ჯემალ გამახარიას მიხედ-

ვით, 1914 წლის მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 181382 კაცს. აქედან ქართველები შეადგენდნენ უმეტესობას – 70114 კაცს (38,5%), მთიელები და აფხაზები – 45705-ს, (25%), სხვადასხვა აზიური ხალხი – 20196 (11,1%), რუსები – 18097-ს, (9,9%), სხვა ევროპული ხალხები – 13784-ს (7,6%), სომხები – 13038-ს (7,5%), ებრაელები – 448-ს (0,3%) [9, 113].

ცნობილი რუსი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეროვნებათაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ვაშინგტონის ვუდრო ვილსონის სახელობის სამეცნიერო ცენტრთან არსებული რუსული კვლევების ქენანის ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი, სვეტლანა ჩერვონნაია თავის ნაშრომში „Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея", აღნიშნავს:

„1918 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შემდეგი იყო: ქართველები – 42,1%, აფხაზები – 21,4%, რუსები – 11,7%, ბერძნები – 11,7%, სომხები – 10,2%, სხვა ეროვნებები – 2,9%.[7] სამსონ ფირცხალავას მიხედვით კი, უშუალოდ ქალაქ სოხუმში იმ დროისათვის 40000 კაცი ცხოვრობდა, სადაც აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, რუსები – 15000, ხოლო სომხები – 5500.[10]

„სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის" წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ აფხაზი მწერალი, აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრი, სამსონ ჭანბა, „მთიელთა კავშირის" ბეჭდურ ორგანოში „Горская жизнь", 1917 წლის 14 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „Союз горцев и права нации", წერდა:

„Удар великой революции мигом уничтожил тиски под которыми задыхались десятки лет свободные сыни Кавказа и распались цепи и преграды изолировавшие столько лет горские племена...

Задачи Союза велики. Его цель – защита свободы и революции, защита прав свободного самоопределения народов. А потому Союз Объединенных Горских племен не есть нечто замкнутое в сфере только своего быта, своей национальной нити, он широко открывает свои двери всем, кому дорога защита свободы, защита прав национальностей...

Каждой национальности должно быть предоставлено свободное развитие внутри государства, обеспеченное соответствующими правовыми нормами и государственными учреждениями. Это ее естественное право. При этом, условии для каждой национальности явится возможность выяснить свою оригинальность, самобытность и культуру, и перекрещивать их с теми же качествами других национальностей, что, естественно, создает отношение между ними, что нормальное свободное развитие каждой, не разъединяет их, а, наоборот, роднит их одним в крепости и незыблемости, его залог исполнения наших чаяний" [11, 15-16].

როგორც ვხედავთ, სამსონ ჭანბა „დიადი რევოლუციის" დამსახურებად კავკასიის დამონებული ტომების იზოლაციიდან გამოსვლას თვლიდა, ხოლო კავშირის მიზნად თავისუფლების, რევოლუციისა და ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების დაცვა მიაჩნდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირში" არსებულ წინააღმდეგობებზე, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თავიდანვე მიუთითებდა მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, ჩეჩენი ასლანბეკ შერიფოვი. ფაქტია, რომ შექმნიდან სულ მცირე ხანში, კავშირის შექმნას იგი პოლიტიკურ ავანტიურად მიიჩნევდა. „მუდმივი ეკონომიკური მტრების ამ არაბუნებრივმა კავშირმა, – წერდა ასლანბეკოვი, – მრავალი უბედურება მოუტანა მთიელებს" [12, 164].

მართალი იყო ასლანბეკ შერიფოვი, სრულიად ახალგაზრდა ჩეჩენი რევოლუციონერი თავის შეფასებებში. დიახ, ეს გაუგებარი ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი" რაღაც დროებითი სამხედრო-პოლიტიკური თუ სამხედრო-ტერიტორიული გაერთიანების შეკოწიწების მცდელობას წარმოადგენდა, რომლის შექმნის იდეაც თებერვლის რევოლუციის ზვირთებმა მოიტანეს დონი-ყუბანის აუზსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში.

გალელებმა არ მიიღეს ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირში" შესვლის იდეა და მხარი საქართველოსთან ერთიანობის იდეას დაუჭირეს. ისინი იმითაც კი დაიმუქრნენ, რომ გამოეყოფოდნენ აფხაზეთს და ასე შევიდოდნენ საქართველოს შემადგენლობაში. ამ ფაქტს ისეთი ოდიოზური პიროვნებაც კი ვერ უარყოფს თავის მემუარში, როგორიც მიხეილ ტარნავაა, აფხაზთა სახალხო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. თავის მემუარში იგი წერს – „მაგრამ ეს

არ მოხდა, რადგან მთიელთა სახელმწიფოსთან გაერთიანება არ იყო მყარი...“ [13, 194-212].

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ მთიელთა ამ ე.წ. „სახელმწიფოსთან“ აფხაზეთის გაერთიანება არა თუ მყარი არ იყო, სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული ერთიანობის თვალსაზრისით, იგი უბრალოდ არც არსებობდა. აქ საუბარი მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების სურვილს ეხებოდა და არა რაიმე ტიპის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნას, ესაა და ეს, მეტი არაფერი. თავისთავად ცხადია, ამ სურვილის ხორცშესხმაც, საერთო ჯამში, ვერ მოხერხდა.

1917 წლის 4 დეკემბერს გამოცემულ იქნა „მთიელთა კავშირის“ დროებითი მთავრობის №1 დეკრეტი, სადაც ეწერა:

1. მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სრულად ვრცელდება დაღესტანის ოლქზე, ხასავ-იურტის, გროზნოს, ვედენოს, ნაზრანის, ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის ოკრუგებზე, თერგის ოლქის ყარანოღაის ოკრუგზე, ასევე სტავროპოლის გუბერნიის ნოღაურ და თურქმანულ ტერიტორიებზე.

2. ზაქათალისა და სოხუმის ოლქებთან დაკავშირებით მთიელთა დროებით მთავრობას გააჩნია სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ხასიათის ხელისუფლება. მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სრულად გავრცელების საკითხი ამ ოკრუგებზე წარდგენილ იქნას განსახილველად ზაქათალისა და სოხუმის სახალხო საბჭოებზე.

თავმჯდომარის მოადგილე – რ. კაპლანოვი.

იუსტიციის უწყების მმართველი – ბ. დალგატი [14].

როგორც ვხედავთ, ამ „სამხრეთ-აღმოსავლურ კავშირს“ და მის „მთავრობას“ აფხაზეთთან მიმართებაში არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა ხელისუფლების გავრცელებისა და სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული კუთვნილების პრეტენზიები. ეს დღესავით ნათელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ დასმული საკითხის განსაზღვრა და ამ ე.წ. „დეკრეტის“ მე-2 სტატიის მოთხოვნა, ანუ, „მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სრულად გავრცელების საკითხი“, აფხაზთა სახალხო საბჭოს დღის წესრიგში არც არასდროს არ დამდგარა.

ღრმა კვლევა და ანალიტიკური წიაღსვლები არ სჭირდება იმის დადგენასაც, რომ ეს „კავშირი“ არაფორმალურ ორგანოს წარმოადგენდა და არა რეალურ სამართლებრივ სუბიექტს. მისი დასახელებიდანვე ჩანს, რომ ამ ეფემერული კავშირის შექმნის იდეა, იდეად უნდა დარჩენილიყო, რადგან ამ მკვდრადშობილ კავშირს შექმნის არავითარი საერთო საფუძვლები და წანამძღვრები არ გააჩნდა – არც ისტორიული, არც ტერიტორიული, არც ეთნიკური, არც სოციალური, არც რელიგიური, არც ეკონომიკური და არც გეოგრაფიული. და ალბათ ამიტომაც სულ მალე, თავად შერიფოვი, „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი, დაჯერებულ ბოლშევიკად, ორჯონიკიძისა და კიროვის ერთგულ ხელქვეითად, თანამებრძოლად და წითელ მეთაურად იქცა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მკვდრადშობილი ორგანიზაციის არსებობის ისტორიაც ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა – სულ რამდენიმე თვე. „1918 წლის დასაწყისისათვის „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის“ გაძლიერებისათვის ზრუნვა ზედმეტიც კი იყო, იმდენად, რამდენადაც კავშირმა ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა, რადგანაც იგი ხალხების გარეშე არსებული მთავრობების კავშირად იქცა“[15] – სამართლიანად აღნიშნავს რუსი ავტორი, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ანდრეი ზაიცევი თავის სადოქტორო ნაშრომში „Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (На материалах Дона и Кубано-Черноморья).“

ისტორია ხშირად მეორდება... და მეორდება საზარელი გარდუვალობით. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, აღწერილი ამბებიდან ზუსტად 73 წლის შემდეგ, მსგავსი მოვლენები განვითარდა იგივე ჩრდილოეთ კავკასიაში. საბჭოთა კავშირში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების პარალელურად, 1990 წლის 4 ნოემბერს, რუსული სპეცსამსახურების ჩარევითა და მხარდაჭერით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ნალჩიკში გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე იქმნება გასამხედროებული პოლიტიკური ორგანიზაცია, ე.წ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ (Конфедерация горских народов Кавказа). ყრილობაზე გამოცხადდა, რომ ეს ორგანიზაცია 1917 წლის ნიმუშის „მთიელ ხალხთა რესპუბლიკის“ სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა. მასში რუსეთის ფედერაციიდან შევიდნენ საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების (ადიღეა, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდი-

ლოეთ ოსეთი, დაღესტანი, ჩეჩნეთი) პრორუსული ელემენტები და კლეპტოკრატია. საქართველოდან კი, დამკვირვებლის სტატუსით – სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტულად განწყობილი ასევე პრორუსული ელემენტები და კლეპტოკრატია.

რუსული სპეცსამსახურების მიერ მხარდაჭერილი კონფედერაციის შექმნის მიზანს, ისევე როგორც 1917 წელს, საქართველოში საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ 80-იანი წლების ბოლოს აზვირთებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და ანტიიმპერიული გამოსვლების ნეიტრალიზება წარმოადგენდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული და სეპარატისტული მუხტის გაძლიერების გზით. იმპერია კიდევ ერთხელ შეეცადა ქართველთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის ეროვნებათაშორისი შუღლი დაეპირისპირებინა.

1991 წლის 1-2 ნოემბერს სოხუმში გამართულ კონფედერაციის ყრილობაზე თორმეტი ხალხის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას კონფედერაციული კავშირის ჩამოყალიბებაზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო გარკვეული სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული მართვის ორგანოები. უნდა შექმნილიყო ე.წ. კავკასიის პარლამენტი, თავდაცვის კომიტეტი და სხვა მილიტარისტული სტრუქტურები. ქალაქი სოხუმი კი, კონფედერაციის შტაბ-ბინად დადგინდა. ამ თვითგამოცხადებული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ე.წ. „პრეზიდენტად“ ყაბარდოელი მუსა შანიბოვი იქნა არჩეული, პროფესიით იურისტი საბჭოთა ფუნქციონერი, ე.წ. „პარლამენტის თავმჯდომარედ“ – კრიმინალური წარსულის მქონე იუსუფ სოსლანბეკოვი, შემდგომში ჩეჩნეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი. ხოლო საბჭოთა არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი, ყაბარდოელი სულთან სოსნალიევი – კონფედერაციის სამხედრო განყოფილების უფროსად, შემდგომში აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. „გენერალური შტაბის უფროსი“ და ე.წ. „სამხედრო მინისტრი.“

სულ მალე, 1992 წლის ოქტომბერში ამ წინააღმდეგობებით აღსავსე თვითგამოცხადებული ორგანიზაციის გავლენის არეალი ფართოვდება და მას სახელი ეცვლება. დასახელებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „მთიელ“ და ორგანიზაციას ეწოდა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია.“კონფედერაციამ და მისმა დაქირავებულმა ე.წ.

„მოხალისეებმა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აფხაზური სეპარატიზმის გაღვივებასა და ქართულ-აფხაზური ხელოვნური დაპირისპირების ესკალაციაში. ხოლო 1992-1993 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე რუსეთ-საქართველოს მორიგ ომში განხორციელებულ ქართველთა ეთნიკურ წმენდაში მნიშვნელოვანი სწორედ ამ კონფედერაციის დაქირავებულ ე.წ. „მოხალისეთა“ როლი იყო. ფაქტობრივად და იურიდიულად დადასტურებული ეს ჭეშმარიტება აღიარებულ იქნა ადამიანთა უფლებების დაცვის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.[16], [17], [18]

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Лакоба Станислав, К ВОПРОСУ О КАВКАЗСКОЙ КОНФЕДЕРАЦИИ. Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 гг.), Горская республика (1918-1920 гг.). Документы и материалы. Махачкала, 1994. http://fatiha. ru/fatih/ konfederac.htm.

2. ზურაბ პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი, 2007.

3. არჩილ ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა, თბილისი, 2014.

4. Протокол. Совещания представителей абхазского населения Сухумского округа. 10 марта 1917 года. Абгосмузей, подл. Ф. 3, оп. 1., д. 39, лл. 17-18, Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.), Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja– dokumenty–i– materialy –1917–1921.pdf.

5. „Кавказский Акцент“, 2000, №3,4,5, Абхазия – документы и материалы (1917-1921), Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja– dokumenty–i– materialy –1917– 1921.pdf

6. Друг, Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г. г., Абхазия – документы и материалы (1917-1921), Сухуми, 2009. http://-apsnyteka.org/file/ Abkhazja– dokumenty –i– materialy –1917–1921.pdf.

7. Светлана Червонная, Абхазия – 1992: Посткомунистическая вандея, Москва, 1993. http://www.conflicts.rem33.com/ images/abkhazia/ Czerwon na.htm.

8. Из союзного договора Юго-Восточного Союза казачьих войск, горцев Кавказа и вольных народов степей 20 октября, 1917 г. ЦГАА, ф. И-39, оп.1, Д.2, л.3. http://abkhazeti.info/history/ 20050-617224534872448.php.

9. Леван Тоидзе, К вопросу о политическом статусе Абхазии. (Страницы истории 1921-1931). Джемал Гамахария, Из истории грузино-абхазских взаимоотношений, Тбилиси, 1991, с. 113 (на груз. яз.). http://www.georgianweb.com/history/rus/abkhazia.html#30.

10. С. Пирцхалава, Забытый край - о положении в Абхазии, Газета Сахалхо Пурцели, 1915, 25 октября, http://abkhazeti. info/ history/200506164938 90032439.php.

11. Самсон Чанба, Союз горцев и права нации, Газета „Горская жизнь," 1917, 14 ноября. Абхазия – документы и материалы (1917-1921), Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja– dokumenty–i–materialy –1917–1921.pdf.

12. Е. Эшба, Асланбек Шерипов, http://abkhazeti.info/history/ 20050617224534872448. php.

13. Михаил Тарнава, Воспоминания о революционном движении в Абхазии за 1917-1921 годы, Фрагменты. Действительный съезд Абхазских крестьянских депутатов. Журнал „Литературная Абхазия." Сухуми, 1991. №1. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja–dokumenty–i– materialy –1917–1921.pdf.

14. Декрет №1 Временного правительства союза горцев, 4 декабря 1917. ЦГАА, ф. И-39, оп.1, д.2, л.5. http://abkhazeti. info/ history/2005061739234906 1106.php.

15. Зайцев Андрей Алексеевич, Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (На материалах дона и кубано-черноморья). Автореферат. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова.

Москва – 2009, http://oldvak.ed. gov.ru/ common/img/uploaded/ files/ vak/ announcements/istorich/2009/07-09/ Zaytsev A.A.doc.

16. Human Rights Watch report, Georgia/Abkhazia: Violations of the laws of war and Russia's role in the confjict, March 1995. http://www.-hrw.org/reports/pdfs/g/georgia /georgia 953.pdf.

17. Chervonnaia, Svetlana Mikhailovna, Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow, Gothic Image Publications, 1994. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/ georgia/ georgia 953. pdf.

18. U.S. State Department, Country Reports on Human Rights Practices for 1993, February 1994. http://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/georgia953.pdf.

Archil Chachkhiani

Doctor of History, Colonel, Senior Instructor on the Course of the War History and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

At the Beginnings of the Abkhaz Separatist Movement

Summary

The February Revolution of Russia and overthrowing of Russian monarchy gave the strong stimulus to revolutionary acivities all over the territories of the former empire. Those developments proceeded very fast, like a chain reaction out of control and it echoed in the Caucasia as well.

The nations of Caucasia met the disintegration of the Empire with the ideas and expectations of obtaining national indepenedance. The „revolutionary" processes took place in the Transcaucasia, particularily, in Sokhumi district of Kutaisi gubernia. But it should be noted that the revolutionary processes in Abkhazia turned to be sheerly nationalistic and anti-Georgian in character.The Bolsheviks and Apsua-separatists embedded there aptly made use of the principles of „national self-determination"

declared by Lenin and immediately choose separating Abkhazia from Georgia their strategic direction.

This article shows the development of Apsua-separatism in Abkhazia in 1917, its ties with the so-called „South-East Union of the Kazak armies, Caucasian highlanders and free nations of steppes."The parallels are drawn between those developments and the activities of the so-called „Confederation of Mountain Peoples of the Caucasus" in the 90-ies of the last century and supported by Russian special servicies.

შოთა ვადაჭკორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს გასაბჭოება და ოსი სეპარატისტების ბრძოლა შიდა ქართლში გავლენის სფეროების გასაფართოებლად

საქართველოს ძალდატანებითი გზით გასაბჭოებამ და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ რევკომის გამოცხადებამ, ოს სეპარატისტებს თავიანთი გეგმის მესამე საფეხურის განხორციელების რეალური შანსი გაუჩინა. მხედველობაში მაქვს: ა)შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის და მისი მომიჯნავე მაზრების გარკვეული ტერიტორიის მიტაცების წარმატებული მცდელობა, ბ)ქართული მოსახლეობის გამოდევნის ხარჯზე, ოსების განსახლების არეალის გაფართოება. ქართველი ერის საწინააღმდეგოდ მიმართული ამ მავნებლური ჩანაფიქრის შესრულების შესაძლებლობას, საქართველოს რევკომის 1921 წლის 12 მარტის დადგენილება იძლეოდა. შიდა ქართლში, სადაც წმინდა ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა, ამ დოკუმენტის მიხედვით „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი უნდა შექმნილიყო. თბილისში მოკალათებული ქართველი რენეგატი ბოლშევიკებისაგან გაცემული ნებართვის საფუძველზე, ოსმა სეპარატისტებმაც არ დააყოვნა და შიდა ქართლში „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის შექმნა ხელმეორედ გამოაცხადა. იმავე რევკომის მიერ 1921 წლის 26 მარტს მიღებული №1 ბრძანების მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის უფლებამოსილება, მთიანი შიდა ქართლის– მათ მიერ მოაზრებულ, მაგრამ ჯერ კიდევ სამართლებრივად არარსებულ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე“ გაავრცელა. მეტიც, გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში შემავალი რაიონები, თემები, სოფლები და დაწესებულებები „სამხრეთ ოსეთის“ რევკომს თვითნებურად დაუქვემდებარა [1, 75-76].

რამდენადაც „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოქმედების საზღვრები იმ ეტაპზე ოფიციალურად მკაცრად არ იყო შემოფარგლული. ეს ფაქტი: 1) შიდა ქართლში შექმნილი ქართული

და ოსური რევკომების ურთიერთდაპირისპირების რეალურ საფუძველს ქმნიდა; 2) ოსი სეპარატისტების რევკომს, შიდა ქართლში მოქმედებისა და უფლებების სურვილისამებრ განვრცობის ფართო შესაძლებლობას აძლევდა. მითუმეტეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 15 დღის შემდეგ, „სამხრეთ ოსეთის" ნიღბით შიდა ქართლის მთიან ზონაში ფორმალურად საბჭოთა ხელისუფლების ხელმეორედ „გამარჯვების" გამოცხადებას ქონდა ადგილი. ამ ფაქტით, შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი, საქართველოსგან ხელოვნურად იქნა გაუცხოებული. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ „სამხრეთ ოსეთის" რევკომი, ქართველთა საზიანოდ შექმნილ არსებულ პოლიტიკურ რეალობას მაქსიმალურად იყენებდა. ამ თვალსაზრისით, ისინი შეუდარებელნი იყვნენ. მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ გამოვლინებას, „სამხრეთ ოსეთის" რევკომის ცხინვალში თვითნებურად განთავსებაზე და ოსური რევკომის მიერ ცხინვალის რეზიდენციად გამოცხადებაზე რეაგირების არგაკეთება წარმოადგენდა. მომხდარი ფაქტით, ოსურმა რევკომა შესანიშნავად ისარგებლა და ცხინვალის „ქართულ რევკომს" მმართველობის უფლებები წაართვა. ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით, ცხინვალის გარშემო არსებული 26 ქართული სოფლის მოსახლეობის „სამართლებრივად" გავლენის სფეროში მოქცევას შეეცადა.

ამ მიმართულებით, ოსური რევკომების თვითნებობის გამოვლენის ერთ– ერთ დადასტურებას, სოფელ სათიხარის თემის რევკომის თავმჯდომარის ოფიციალური განცხადება წარმოადგენს: „სათიხარის თემის რევკომი ემორჩილება სამხრეთ ოსეთის რევკომს და არა სხვას". ამ ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გორის მაზრის რევკომის თავმჯდომარის მიერ 1921 წლის ივლისში გაგზავნილ შეკითხვაზე – რა ზომები მიეღო სათიხარის რევკომის თვითნებობასთან მიმართებაში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი პასუხობდა: 1) სოფ. სათიხარი, ჭარები, სნეკვი და ხელჩუა, ტყვიავის რაიონის მერეთის თემის შემადგენლობაში შედის და მასზე გორის მაზრის რევკომის ხელისუფლება ვრცელდება; 2) სათიხარის თემის რევკომის თავმჯდომარის განცხადება კანონიერ საფუძველს მოკლებულად უნდა ჩაითვალოს; 3) თუკი სათიხარის თემის რევკომი გორის მაზრის რევკომთან მიმართებაში ურჩობას გააგრძელებდა, მისი ხელ-

მძღვანელობა „სარევოლუციო დროის კანონების მიხედვით“ დაისჯებოდა. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აღნიშნული დაპირების შესრულება დოკუმენტური მასალით არ დასტურდება. ამის თვალსაჩინო მაგალითს გორის მაზრის რევკომის თავმჯდომარის და იმავე მაზრის სასურსათო კომისარის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1921 წლის 28 სექტემბერს გაგზავნილი წერილი წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალური ხელისუფლება და სათიხარის თემის რევკომის თავმჯდომარე ურჩობას ისევ აგრძელებდა, სახელმწიფოს შესაბამისი უწყების მიერ გამოყოფილ კომისიას მოსახლეობისაგან ნატურალური გადასახადის ამოღების უფლებას არ აძლევდა. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, იგივე დოკუმენტი ურჩი მოხელეების უკანგაწვევისა და დასჯის მექანიზმის ამოქმედების აუცილებლობას კატეგორიული ფორმით მოითხოვდა. ამ წერილში მოტანილ ფაქტთან მიმართებაში, ცენტრალურ ხელისუფლებას მკაცრი რეაგირება არ გაუკეთებია. საარქივო მასალით მხოლოდ ის ირკვევა, რომ შიდა ქართლში არსებული ურთულესი სიტუაციის შესწავლის მიზნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მხოლოდ საგანგებო კომისია შექმნა. იგი რამდენიმე ქვე კომისიად დაიყო და შიდა ქართლში სხვადასხვა მიმართულებით დაიგზავნა. ამ შემთხვევაში, ჩვენი ყურადღება ერთ-ერთი ქვეკომისიის თავმჯდომარის შველიძის მოხსენებამ მიიქცია. „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მიერ ცხინვალსა და მის გარშემო მიმდებარე ქართულ სოფლებში შექმნილი მძიმე სიტუაციის აღწერის ფონზე, მასში კონკრეტულად იყო დასმული კითხვა: „ვინ არის იმ ტერიტორიის გამგებელი, რომელიც ცხინვალისა და ოსებით დასახლებული ტერიტორიის შუა იმყოფება? ვინ არის გამგებელი იმ ქართული სოფლებისა, რომლებიც ოსურ სოფლებთან იმყოფებიან, ან ოსური სოფლებისა, რომლის ირგვლივ ქართული სოფლებია? ამ კითხვების გადაუჭრელობა – წერს შველიძე – დიდს უბედურებას იწვევს და ისედაც გაბოროტებულ ხალხს აღიზიანებს. თვით ცხინვალში... არის ერთგვარი გაუგებრობა და მცხოვრებლებმა არ იციან ვის ხელშია სოფელი. სოფლები: ვანათი, ბელოთი, საცხენეთი, აწრისხევი და სხვა, ქართველებით არის დასახლებული. ცხინვალის რაიონის ქართულმა რევკომმა ამ სოფლებში რევკომის წევრებად ქართველები გაგზავნა, მაგრამ, ოსების რევკომმა ისინი გადააყენა და მათ მაგიერ ოსები დანიშნა. ამას შედეგად ხალხის აღშფოთება მო-

ჰყვა და ბევრმა ოსეთის რევკომის ქვეშ დარჩენას გადასახლება ამჯობინა.“ ეს ვრცელი ამონაწერი, ქართულ სოფლებზე ოსური რევკომების მხრიდან ძალმომრეობის გზით ძალაუფლების გავრცელების მცდელობას, უსამართლობის დამკვიდრებას და ამ დანაშაულებრივ ფაქტებთან მიმართებაში ქვეყნის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უსუსურობას ერთხელ კიდევ ადასტურებს.

რამდენადაც, ცხინვალის რაიონში ოსების თვითნებობის დაუსჯელობა, უკანონობა და განუკითხაობა ზეიმობდა, ოსი სეპარატისტები არსებულ სიტუაციას შესანიშნავად იყენებდა და იმისდამიხედვით მოქმედებდა, რასაც მათი ეროვნული ინტერესები მოითხოვდა – კერძოდ: ა) არარსებული „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრებში მოაზრებულ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძალაუფლების გავრცელების დაჩქარება და მისი ანექსიის აუცილებლობა; ბ) მომხდარი ფაქტით მომავალში „სამხრეთ ოსეთის“ სამართლებრივად დაკანონების საჭიროებისათვის შესაბამისი ფუნდამენტის მომზადება. ამ მიმართულებით ოსების პარტიული ელიტის მხრიდან გაწეული პრაქტიკული საქმიანობა საფეხურებრივად მიმდინარეობდა. მხედველობაში მაქვს, ოსური მილიციის განყოფილებების ქართულ სოფლებში უნებართვოდ შექმნა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გორის მაზრის პოლიტიკური ბიუროს მიერ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისადმი 1921 წლის 28 ივნისს გაგზავნილ წერილში ხაზგასმით იყო მითითებული. „სამხრეთ ოსეთის რევკომმა – ვკითხულობთ დოკუმენტში – თავისი მილიცია შექმნა ოქონაში და მეჯვრისხევში. ეს რაიონები გორის მაზრას ეკუთვნის და გორის სამაზრო მილიციაა გახსნილი. ამჟამად ორი მილიციაა. ისინი ერთმანეთის მუშაობას აფერხებენ. მოსახლეობაში ეს ფაქტი ქმნის ანტაგონიზმს ოსებსა და ქართველებს შორის. სასწრაფოდ მიიღეთ ზომები ერთ-ერთი რომელიმე მილიციის სალიკვიდაციოდ.“ მართალია, ეს დოკუმენტი ზემოაღნიშნულ სოფლებში ოსური მილიციის განყოფილებებს უკანონოდ გახსნილად აცხადებდა, მაგრამ კონკრეტულად მისი გაუქმების საკითხს არ აყენებდა. შერბილებული ფორმით, ქართულსა და ოსურ მილიციას შორის არჩევანის გაკეთების უფლებას შრომის სახალხო კომისარიატს აძლევდა. არადა, გორის მაზრაში შექმნილი უმძიმესი სიტუაციიდან გამომდინარე, ყოველგვარი სახის უკანონობის დაუყოვნებლივი აღმოფხვრა პრინციპული და კატეგორიული ფორმით უნდა ყოფილიყო ამ წერილში დასმული. თუკი ასე არ გაკეთდა, ეს იყო დანაშაული, რადგან ოსების რევკომთან და მილიცი-

ასთან მიმართებაში სამთავრობო სტრუქტურების ნებისმიერი კომპრომისი, ოს სეპარატისტებს აქტიური მოქმედებისათვის კიდევ უფრო განაწყობდა. საარქივო მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ოსური რევკომებისა და ოსური მილიციის მხრიდან ზემოაღნიშნული გადამეტებული თვითნებობის მსგავს ფაქტებს ქონდა ადგილი ჩასავლის, რეხულის, ხურვალეთისა და სხვა სასოფლო თემებში. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ ჩასავლის საზოგადოების (რაჭის მაზრა) თავმჯდომარემ, აღნიშნული საზოგადოება, ჯერ კიდევ ოფიციალურად არარსებული „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა, ხოლო „სამხრეთ ოსეთის“ მესამე რაიონის მილიციის უფროსმა ქოქოევმა, სოფელ რეხულის, მონასტრის და ქსანის მოსახლეობა იძულებით ოსური მილიციის უფლებებს დაუქვემდებარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გორის მაზრის კომისარმა მილიციის მთავარ სამმართველოს 1921 წლის 8 აგვისტოს თხოვნით მიმართა აღნიშნულ სოფლებში „სამხრეთ ოსეთის რევკომის განკარგულებით უკანონოდ აღმოცენებული ოსური მილიციის განყოფილებების“ დაუყოვნებლივი გაუქმებისა და სათანადო ზომების მიღების შესახებ. ოსური მილიციის განყოფილებები თვითნებურად იქნა შექმნილი ცხინვალზე მიწერილ 9 ქართულ სოფელშიაც (ვანათი, ბელოთი, აწრისხევი, საცხენეთი, ხოშურა, ხადურიანთკარი, დვანი, ზემო ავნევი და ქვემო ავნევი). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, იმავე გორის მაზრის რევკომმა, მილიციის მთავარ სამმართველოს ანალოგიური შინაარსის წერილი გაუგზავნა. **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ფონდის შესაბამისი საქმეების საფუძვლიანად შესწავლის მიუხედავად, ჯერჯერობით არ აღმოჩნდა ისეთი დოკუმენტი, რომელიც გორის მაზრის რევკომის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებდა, ოსური რევკომებისა და ოსური მილიციის განყოფილებების თვითნებობას ალაგმავდა, მათ ხელმძღვანელ პირებსა და ხელქვეით პერსონალს კანონის შესაბამისად პასუხისგებაში მისცემდა. არადა, იმავე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტების მიხედვით, საქართველოს რევკომი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და მაკონტროლებელ ორგანოდ ითვლებოდა. ხოლო ნებისმიერი სარაიონო რევკომის შექმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პრეროგატივას წარმოადგენდა. ამის დამადასტურებლად, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ“**

1921 წლის აპრილში მიღებული დეკრეტი №27 გამოდგება. მასში გარკვევითაა ნათქვამი: „1)რევოლუციური კომიტეტი არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის ორგანო. შენიშვნა: სარაიონო რევკომი არსდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით იქ, სადაც ადგილობრივ და სხვა გარემოების გამო არის ამის საჭიროება“ [2, 9].

„სამხრეთ ოსეთის“ რევკომი, რამდენადაც ოფიციალურად საქართველოს რევკომის მიერ იყო დაარსებული და სამართლებრივად მის ქვემდებარე ორგანოს წარმოადგენდა, საქართველოს რევკომსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ზემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებაში უმკაცრესი ღონისძიების გატარების სრული უფლება გააჩნდა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მათი მხრიდან დროული პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა.

ოსური რევკომებისა და ოსური მილიციის განყოფილებების ზღვარგადაცილებულ ქმედებებს, შიდა ქართლის ქართული სოფლების მოსახლეობა აპროტესტებდა და საქართველოს ხელისუფლებისაგან დამნაშავეების დაუყოვნებლივ დასჯას მოითხოვდა. საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ქართული სოფლების მოსახლეობის რწმუნებულთა მიერ შეტანილ განცხადებაში (1921 წლის მაისი) ვკითხულობთ: „სიფელ ვანათში, ბელოთში, საცხენეთში და აწრისხევში იყო... შემდგარი ქართული რევკომი, რომელიც ეკუთვნოდა ცხინვალის რევკომს. რამდენადაც ეს სოფლები არიან ქართული სოფლები, ოსეთის რევკომმა ამ სოფლებში გაგზავნა მილიცია და გამოაცხადა თავისი ორიენტაცია. ასე რომ ეს სოფლელები იძახიან, თუ ჩვენ ამათ ხელში დავრჩებით, მაშინ აქედან ავიყრებით. ასეც მოხდა, მოსახლეობის ნაწილი აიყარა და ბარისკენ წავიდა“. ანალოგიური ხასიათისაა ქვემო ჭალის თემის 7 ქართული სოფლის მცხოვრებთა მიერ 1921 წლის 12 მარტს მიღებული დადგენილება: „ჩვენ ქვემო ჭალის რაიონის სოფლების: ზემო ბაღების, ქვემო ბაღების, გუდიაანთკარის, საღორეთის, ბიჩიაანთკარის, მეტესმანის და ღვდულეთის წარმომადგენლებმა დავადგინეთ: რადგანაც აწრისხევის მე- 3 რაიონის აღმასკომი ძალით მოითხოვს ამ სოფლების მცხოვრებთაგან მათთან ადმინისტრაციულად შეერთებას და ახდენს ჩვენს მიმართ სხვადასხვა განკარგულებებს, ჩვენ კი მათთან კავშირი არ გვაქვს, ვუგზავნით დადგენილებას უმაღლეს მთავრობას, რათა მან წინადადება მისცეს მე-3 რაიონის აწრისხე-

ვის აღმასკომს (ოსური აღმასკომია), რომ იგი ჩამოგვეხსნას, რადგან ჩვენი ღრმა სურვილია ვექვემდებარებოდეთ ქვემო ჭალის რაიონის აღმასკომს (ქართული აღმასკომია), როგორც ეს მთავრობისგან არის დაწერილი".

„სამხრეთ ოსეთის" რევკომისა და ოსური მილიციის განყოფილებებისაგან შეწუხებული ქართული მოსახლეობის გასაჭირი, მათ მიერ წარდგენილი საჩივრების საფუძველზე გაკეთებული მოხსენებები და დასკვნები საგანგებო განხილვის მიზნით, გასბჭოებული საქართველოს მაშინდელ პარტიულ ელიტას, სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის არცერთი პლენუმის სხდომის დღის წესრიგში არ შეუტანია. მითუმეტეს, 1921 წლის 24 მარტიდან 26 ნოემბრის ჩათვლით, სკპ (ბ) პლენუმის 40 სხდომა ჩატარდა. დადგენილების სახით საარქივო მასალებში ჯერჯერობით ისეთი დოკუმენტს ვერ მივაკვლიეთ, რომელიც „სამხრეთ ოსეთის" რევკომის ანტიქართულ ქმედებებს ოფიციალურად მთელი სიმკაცრით დაგმობდა, ოსური მილიციის უკანონო განყოფილებებს გააუქმებდა, დამნაშავეებს განსასჯელთა სკამზე დასვამდა და შიდა ქართლის მთიანი ზოლის ქართულ მოსახლეობას მამაპაპეულ მიწა-წყალზე ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა. რესპუბლიკის რევკომი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი უმაღლესი ორგანო – პლენუმი და კავბიურო, აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში სრულ უმოქმედობას იჩენდა და ქართველთა გასაჭირს თითქმის უყურადღებოდ ტოვებდა. ისიც ხაზგასასმელია, რომ ცხინვალის რაიონის ქართველთა საპროტესტო საჩივრებს მაქსიმალურად ასაიდუმლოებდა და ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელს ხდიდა. ამის უდაო დადასტურებას იმ პერიოდის ბოლშევიკური პრესა წარმოადგენს. შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, მის ფურცლებზე მცირეოდენ ინფორმაციასაც ვერ წავაწყდი. ერთადერთი გაზეთი, რომელმაც გაბედა და „სამხრეთ ოსეთის" რევკომის დანაშაულებრივ ქმედებებს ფარდა ახადა, გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი" იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას ჭიყოს ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია „ცხინვალის რაიონის ქართველობა მოითხოვს მთავრობის ყურადღებას" იქცევს. შიდა ქართლის ქართველების მთელი რიგი პრობლემების წინ წამოწევის პარალელურად, მასში „სამხრეთ ოსეთის" რევკომის თვითნებობაზეა აქცენტირება გაკეთებული. სტატიის ავტორი მკითხველ საზოგადოებას აუწყებ-

და, რომ „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი თავს შიდა ქართლის ბატონ-პატრონად და განმკარგულებლად თვლიდა, ქართული მოსახლეობის დამორჩილებას ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდა. ამის დამადასტურებლად იმავე სტატიაში „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მიერ სოფელ შინდისის თემის რევკომისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი ბრძანებაა მოტანილი. „ვინაიდან სამხრეთ ოსეთის რევკომი – ვკითხულობთ დოკუმენტში – არ ექვემდებარება საქართველოს რევკომს, წინადადებას გაძლევთ ყოველივე ჩვენი მოწერილობა დაუყოვნებლივ იქნეს სისრულეში მოყვანილი.“ ეს ფაქტი მრავალმხრივაა საყურადღებო; 1) საქართველოს რევკომის დადგენილების საფუძველზე შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი, საქართველოს რევკომს ოფიციალურად დაუმორჩილებლობას უცხადებდა და 2) „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი, შიდა ქართლის მთიანი ზოლის, ოსი სეპარატისტების მიერ „სამხრეთ ოსეთად“ მოაზრებული ტერიტორიის ბატონ-პატრონად და მის განმკარგულებლად აცხადებდა თავს. აქედან გამომდინარე, ქართული მოსახლეობისგან მორჩილებას და ოსების სურვილის აღსრულებას კატეგორიული ფორმით მოითხოვდა. ყოველივე ამას, ოფიციალური ბრძანებებითა და შესაბამისი წერილებით ადასტურებდა. **ასეთ ფაქტებთან მიმართებაში, რესპუბლიკის რევკომის ხელმძღვანელობა არანაირ რეაგირებას არ აკეთებდა, რითაც ოს სეპარატისტებს თავიანთი პრეტენზიული მისწრაფებების გამოვლენის და ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლის შესაძლებლობას აძლევდა. ნებისმიერი თავმოყვარე ერის მთავრობა, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის აღნიშნული ქმედებისა და ქვეყნის ხელისუფლების შეურაცმყოფელი განცხადებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სადამსჯელო ღონისძიებებს დაუყოვნებლივ გაატარებდა. თუკი იგი ამ მიმართულებით რაიმე სახის ადექვატურ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას არ ღებულობდა, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომს „დამოუკიდებელ“ ორგანოდ, ხოლო შიდა ქართლის მთიან ზოლს საქართველოსგან გაუცხოებულ „სამხრეთ ოსეთის ქვეყნად“ მოიაზრებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს რევკომს აღნიშნული სტატიის ავტორისაგან იმ ფაქტის შეხსენება არ დასჭირდებოდა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოქმედება საქართველოს მთავრობის უფლებების მითვისებასა და მის შეურაცყოფას წარმოადგენდა.** ამასთან დაკავშირებით იმავე სტატიაში ვკითხულობთ: „გუშინდელ სტრაჟნიკებს და დღეს კომუნისტურ ქუდებში გამოწყობილთ ავიწყდებათ, რომ შინდისის რევკომს

იგივე უფლება აქვს თავის რაიონში, რაც ჯავის რევკომს თავის ფარგლებში. ამგვარი თვითნებობა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის უფლებათა მითვისება არის ჩვენი სახელმწიფოს უფლებების შეურაცმყოფა და ანარქიის შექმნა მმართველობაში... ყოველივე ამას უნდა მიექცეს სათანადო და სერიოზული ყურადღება. ხალხი იტანჯება, მას დღეს თუ არა ხვალ მოთმინების ფიალა აევსება და არასასურველი შედეგების მომსწრე გავხვდებით თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული ვისგანაც ჯერ არს" [3].

იგივე გაზეთი, „სამხრეთ ოსეთის" რევკომის თვითნებობის შესახებ მეორე ფაქტზედაც ამახვილებდა ყურადღებას. საქმე ეხება „სამხრეთ ოსეთის" რევკომის მიერ სოფელ მერეთის რევკომისადმი დასჯის მუქარით გაგზავნილ წერილს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმინოს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „ცხინვალის რაიონი საფრთხეშია" ვკითხულობთ: „სოფ. მერეთი წმინდა ქართული სოფელია, შედის ტყვიავის საზოგადოებაში. სამხრეთ ოსეთის რევკომთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და ჩვენ გვიკვირს, რომ ოსების რევკომი ისეთ კადნიერებამდის მიდის, რომ თავის თანავე რევკომს დასჯით ემუქრება. მკითხველი ამის შემდეგ ადვილად მიხვდება, სამხრეთ ოსეთის რევკომის გავლენაში მყოფი ქართული სოფლები რა სიამ– ტკბილ ყოფაში იქნებიან" [4].

მართალია, გაზეთის მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები და საქართველოს ხელისუფლების მისამართით გაკეთებული საყვედური შიდა ქართლის მთიანი ქართული მოსახლეობის დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებისაკენ მოწოდებას წარმოადგენდა, მაგრამ იგი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან უყურადღებოდ დარჩა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, გასაბჭოებული საქართველოს მთავრობა, „სამხრეთ ოსეთის" რევკომის დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებაში თითქოს შეგნებულად ხუჭავდა თვალს და ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობა გასაწირად ჰყავდა გამეტებული. ასეთი მკაცრი თვალსაზრისი, იმავე სტატიაში მოტანილ ფაქტებს ემყარება. მხედველობაში მაქვს „სამხრეთ ოსეთის" რევკომთან არსებული „დამნაშავეთა სამძებრო განყოფილების" მიერ ქართული მოსახლეობის დაშინების მიზნით გატარებული ღონისძიება. „განყოფილება – ვკითხულობთ სტატიაში – რაიონში ისეთ განკარგულებებს იძლევა, რომელსაც უკანონობის და თვითნებობის ბეჭედი აზის. ჩვენ შემთხვე-

ვა გვქონდა გავცნობოდით... ზემოთ დასახელებული დაწესებულების უფროსის 4 მაისის 139-ე ნომრით ნიკ. ქობულოვის სახელზე გაცემულ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, ქობულოვს უფლება ჰქონდა მინიჭებული – დაეტუსაღებინა ყველა, ვისაც მოისურვებდა, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში იარაღი ეხმარა“ [4]. ადვილი წარმოსასდგენია, ოსი სეპარატისტები თუ რას დამართებდა შიდა ქართლის იმ ქართველებს, ვინც ოსური რევკომისა და ოსური მილიციის უკანონო ქმედებებს ასაჩივრებდა. მსგავს ფაქტებთან მიმართებაში, მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების ქმედითი რეაგირების დადასტურების კვალი იმ ეტაპზე სამწუხაროდ არ იკვეთება. საარქივო მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ერთადერთი, რაც საქართველოს რევკომმა იმ ეტაპზე გააკეთა, ცხინვალის რაიონში წესრიგის დასამყარებლად და არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად ხუტულაშვილის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი სამეული გაგზავნა. ეს ფაქტი, გარეგნულად მოვალეობის მოხდის ელფერს ატარებდა და იგი შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის დამცავი მექანიზმის შესაქმნელად გადადგმულ ნაბიჯს ნამდვილად არ წარმოადგენდა. საარქივო მასალებით არ დასტურდება, რომ აღნიშნული „სამეულის“ საქმიანობას რაიმე დადებითი შედეგი გამოეღო. პირიქით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაუსჯელობის იმედიდან გამომდინარე, ოსი სეპარატისტები პირვანდელ პოზიციაზე იდგნენ, მხედველობაში მაქვს: ა) ცხინვალის ისევ „სამხრეთ ოსეთის“ რეზიდენციად მიჩნევა; ბ) ცხინვალის გარშემო არსებულ 26 ქართულ სოფელზე მმართველობის უფლების შესანარჩუნებლად სწრაფვა; გ) რაჭისა და დუშეთის მაზრების ტერიტორიების გარკვეულ ნაწილზე თვითნებურად, ძალდატანების მეთოდის გამოყენებით „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ძალაუფლების გავრცელების მაქსიმალურად მცდელობა. ამას ბედავდნენ და აკეთებდნენ მაშინ, როცა ჯერ კიდევ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი სამართლებრივად არ იყო შექმნილი და მისი საზღვრების დამდგენი კომისია მუშაობას აგრძელებდა. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ საქართველოს რევკომი იძულებული გახდა საზღვრების დამდგენ კომისიასთან მიმართებაში შემდეგი სახის დადგენილება (1921 წლის 11 ივლისი) მიეღო: „დაევალოს არსებულ კომისიას სასწრაფოდ გამოარკვიოს სამხრეთ ოსეთისა და სხვა მეზობელი რევკომების სამოქმედო საზღვრები“ [5, 68]. ეს დოკუმენტი არაპრაგმატულ ხასიათს ატარებდა იმ თვალსაზრისით,

რომ მომქმედ კომისიას, დასმული საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა ნამდვილად არ შეეძლო, რადგან ეს პროცედურა თავისი სირთულით გარკვეულ დროს მოითხოვდა. ამის დადასტურებას ის საარქივო დოკუმენტური მასალა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც „სამხრეთ ოსეთისა“ და მისი რევკომის სამოქმედო საზღვრები 1922 წლის მარტისთვისაც არ იყო გარკვეული. აქედან გამომდინარე, ერთადერთ გამოსავალს „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის უმკაცრესი ფორმით გაფრთხილება, მისი უფლებამოსილების ქართულ და შერეულ სოფლებზე მანამდე შეჩერება წარმოადგენდა, სანამ ავტონომიის საზღვრები არ დაზუსტდებოდა და ოსების ავტონომია ოფიციალურად სამართლებრივ სტატუსს არ შეიძენდა. შიდა ქართლში „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მიერ მიზანმიმართულად შექმნილი განუკითხაობის სიტუაციის მიუხედავად, საქართველოს რევკომი, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და კავბიურო, აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში „სამხრეთ ოსეთის“ რევკომისადმი არწყენინების პოზიციას ადგა. ეს იქედანაც ჩანს, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, არსებული რეალობის ოფიციალურ შეფასებას არ ახდენდა და შესაბამისი ხასიათის დადგენილების მიღებისაგან თავს იკავებდა. ამის უდაო დადასტურებას, ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიღებიდან ოთხი თვის შემდეგ, საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 20 დეკემბერს მიღებული დადგენილება წარმოადგენს. „იმ დრომდე – ვკითხულობთ დოკუმენტში – სანამ ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობის სულიერი მდგომარეობა არ შეიცვლება ქ.ცხინვალის რაიონის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მიჩნევის სასარგებლოდ, ქ.ცხინვალში და მის ირგვლივ არსებული ქართული მოსახლეობის სოფლებში ძალაუფლება დაუტოვოს სარაიონო რევკომს, რომელიც შედის გორის მაზრაში“. მართალია, აქ საკითხი კონკრეტულადაა გამოკვეთილი და ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს გორის სამაზრო რევკომის დაქვემდებარებაში ტოვებს, მაგრამ, იგი ორაზროვანი ფორმითაა (იმ დრომდე... სანამ...) შედგენილი და „სამხრეთ ოსეთის“ რევკომთან მიმართებაში მბრძანებლურ ხასიათს არ ატარებს. და რაც მთავარია, მისი არშესრულების შემთხვევაში პასუხისმგებლობას არავის აკისრებს. ამიტომ იყო, რომ ეს დადგენილებაც „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მხრიდან შეუსრულებელი დარჩა. არადა, ცხინვალის რაიონის ქართველთა უმძიმესი ყოფა, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ამბიციური ქმედებების დაუყოვნებლივ მოთოკვას, ტერიტორიების მიტაცების მიზნით გავლე-

ნის სფეროების გაფართოების მცდელობების დროულად შეჩერების აუცილებლობას მოითხოვდა. შიდა ქართლში ამ მხრივ არსებული განუკითხაობის დამადასტურებელი მასალები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შექმნილი კომისიების მოხსენებებში და იმავე კომისარიატში შეტანილი ქართველი მოსახლეობის საპროტესტო წერილებში მრავლად იყო წარმოდგენილი.

სამწუხაროდ, საქართველოს რევკომის ფონდის შესაბამის საქმეებში არ აღმოჩნდა ისეთი დოკუმენტი, რომელიც „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის დანაშაულებრივ ქმედებებს ამხელდა და მისი ქვემდებარე უწყებისადმი მბრძანებლური ხასიათის მითითებები იქნებოდა დაფიქსირებული. როგორც სჩანს, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის არწყენინებას და შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის მოგვარებას, საქართველოს რევკომი გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე შეგნებულად გაურბოდა. მხედველობაშია მისაღები სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი შეიარაღებული ოსების მხრიდან დაპირისპირების დიდი ალბათობა. მითუმეტეს, ამ მხრივ რამდენიმე პრეცედენტს ჰქონდა ადგილი. ამის ერთ-ერთ მაგალითს, დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარიატისა და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებისადმი, კობისა და ახალგორის რაიონის ოსების დაუმორჩილებლობა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარის მიერ სამხედრო, საზღვაო კომისარიატის შტაბის უფროსისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1921 წლის 11 აგვისტოს გაგზავნილ პატაკი იქცევს. „დამატებით ჩემი პატაკისა ა/წ. 28 ივნისიდან №1136 განმეორებით მოგახსენებთ, – ვკითხულობთ დოკუმენტში – რომ კობის და ახალგორის რაიონის მობანაკე ოსები არ ემორჩილებიან ადგილობრივ ადმინისტრაციას და ილაშქრებენ უკანასკნელთა წინააღმდეგ შეიარაღებული ძალით, რაც იმით აიხსნება, რომ 1899–1900 წლებში დაბადებული არცერთი სამხედრო ვალდებული დღემდის არ გამოცხადებულა და სიებს 1901-1902 წლებში დაბადებულებით ადგენენ. ზემოაღნიშნულის შესახებ ჩემს მიერ ეცნობა ჩრდილოეთ-ოსეთის რევკომს განკარგულებისათვის 21 ივნისიდან №1067, მაგრამ დღემდის პასუხი არ მაქვს. გარდა ამისა, როგორც პატაკში №1136 მოგახსენებდით, ისინი შესამჩნევად არიან შეიარაღებულნი და ადგილობრივი მილიცია მათ ვერ დაიმორჩილებს თუ არ იქნა დამხმარე სამხედრო ჯარის ნაწილი. ასეთი არასასურველი მოვლენა მოქმედებს მათ მეზობლად მობანაკე

მცხოვრებლებზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს ფართო არასასურველი შედეგი. ზემოაღნიშნულიდან გთხოვთ განკარგულებას". **ეს დოკუმენტი მრავალმხრივაა საყურადღებო: 1) საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად შეიარაღებული ოსები, იმავე იარაღით გასაბჭოებული საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებას იმ დონეზე დაუპირისპირდა, რომ მათი დამორჩილება და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა სამხედრო ჯარის ნაწილების ჩარევის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოსი სეპარატისტები და მისი მფარველი ოსური რევკომები წინასწარ დასახული მიზნის მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში იარაღის გამოყენებითაც მოქმედებდნენ; 2) იმავე დოკუმენტიდან აშკარად იკვეთება, რომ ა) ოს სეპარატისტებს და მის რევკომებს, ჩრდილოეთ ოსეთის რევკომისგან გარკვეული მხარდაჭერა ქონდა, ან ბ) შეიარაღებული ოსები, ჩრდილოეთ ოსეთის რევკომის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ნაწილის წევრებს წარმოადგენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარს ჩრდილოეთ ოსეთის რევკომისადმი შესაბამისი მიმართვის გაგზავნა არ დასჭირდებოდა; 3) შეიარაღებული ოსებისადმი სახელმწიფოს მხრიდან ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას, შესაძლოა ოსების აჯანყება გამოეწვია.** მითუმეტეს, 1921 წლის მარტის დასაწყისში ჩრდილოეთიდან შემოსული ოსი „პარტიზანების" რამდენიმე შენაერთი, იმ ეტაპზე მაღალ დონეზე იყო შეიარაღებული. შესაბამისი უწყებისადმი ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების აუცილებლობის მეორედ შეხსენების მიუხედავად, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლება, ოსებთან იარაღით დაპირისპირებას და შიდა ქართლის 1920 წლის მოვლენების შესაძლო განმეორებას მაქსიმალურად გაურბოდა. ამ დათმობით, ოსების მიერ საპრეტენზიოდ ქცეულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ქართველთა ინტერესები, არსებულ ხელისუფლებას, საბჭოური იდეოლოგიის სამსხვერპლოზე შესაწირად მიქონდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი ერისთვის იმ ურთულეს სიტუაციაში, „სამხრეთ ოსეთის" რევკომზე საქართველოს ხელისუფლების უფლებები თითქმის ნომინალურ ხასიათს ატარებდა და ბუნებრივია, გორის, დუშეთისა და შორაპნის მაზრების ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ქართველთა ინტერესების დაცვა არ შეეძლო. ყოველ

შემთხვევაში, ამ მიმართულებით პრაგმატული ხასიათის უმკაცრესი ღონისძიების გატარებას მაქსიმალურად ერიდებოდა. აღნიშნული ხმამაღალ განცხადებად რომ არ ჩამეთვალოს, ამის დამადასტურებლად შესაბამის ფაქტს მოვიტან: „სამხრეთ ოსეთის“ რევკომთან არსებული სამხედრო საზღვაო კომისარის მოადგილის ბრძანების თანახმად (1921 წელი) „სამხრეთ ოსეთის სამაზრო, იგივე ცხინვალის სამაზრო სამხედრო კომისრები ამიერიდან უნდა იწოდებოდეს სამხრეთ ოსეთის სამხედრო კომისრებად“. როგორც ვხედავთ, სახელწოდებიდან ამოღებული იქნა სიტყვა – სამაზრო, რადგან მაზრის ცნების ოფიციალურად ფიგურირება, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომს ხელს არ აძლევდა. იმ პერიოდის საბჭოური კანონმდებლობის მიხედვით, ამა თუ იმ სახელმწიფო უწყების ან მისი ქვემდებარე ორგანიზაციის სახელწოდებაში სათანადო ცვლილების შეტანა, მხოლოდ საქართველოს რევკომის პრეროგატივას წარმოადგენდა. იგი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (იმ ეტაპზე რევკომის) შესაბამისი დეკრეტით ან დადგენილებით უნდა მომხდარიყო. „სამხრეთ ოსეთის“ რევკომმა ეს საკითხი თვითნებურად, მისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტა, ხოლო საქართველოს რევკომს აღნიშნულ დარღვევასთან მიმართებაში შესაბამისი რეაგირება არ გაუკეთებია. შიდა ქართლის მთიანი ზოლის ქართველთა პრობლემის მოუგვარებლობას, ოსური რევკომის გადამეტებულ თვითნებობას და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სადამსჯელო ღონისძიებების არგატარებას, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტორებიც განაპირობებდა.

შიდა ქართლში შექმნილი ურთულესი პრობლემისადმი ცენტრალური ხელისუფლების წაყრუებამ, გორის მაზრის რევკომის თავმჯდომარეს აქტიური მოქმედებისაკენ და მაზრაში შექმნილი დაძაბული სიტუაციის დარეგულირების გზების ძიების აუცილებლობისაკენ უბიძგა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოქმედების არეალი, გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდა და ამ სამაზრო ერთეულის ამფორიაქებლის ფუნქციას ასრულებდა. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, გორის სამაზრო რევკომის 1921 წლის 13 მაისის განკარგულებით, გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულთა დამყოფი კომისია (ქ. ქარუმიძე, დ. ქარუმიძე, გ. მარტაშვილი) იქნა შექმნილი. მის მიერ შეგროვილი მასალები საფუძვლად იმ პროექტს დაედო, რომელიც 1921 წლის 31 მაისს გორის სამაზრო რევკომის პრეზიდიუმს განსახილველად წარედგინა.

აღნიშნული დოკუმენტი სამი ნაწილისაგან შედგება: 1)გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დამყოფი კომისიის დადგენილება; 2) გორის მაზრის რაიონებად და თემებად დაყოფის დამადასტურებელი აქტი და 3) გორის მაზრის რაიონებად და თემებად დაყოფის პროექტის სქემა. პროექტის სქემისადმი თანდართული აქტის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, პროექტის შედგენისას კომისიის წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეთნოგრაფიული, სტრატეგიული, გეოგრაფიული და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები დაედო საფუძვლად. აქედან გამომდინარე, კომისიამ გორის მაზრა 12 ადმინისტრაციულ რაიონად დაყო (მეჯვრისხევი, ქვემო ჭალა, ტყვიავი, ცხინვალი, რუისი, გომი, ქარელი, ხაშური, ბორჯომი, ხიდისთავი, ახალქალაქი (სოფ. კასპის რაიონში), კავთისხევი). რაც შეეხება ქალაქ გორს – სადგურის ნაწილით, იგი მე-13-ე რაიონის სახით იქნა პროექტში შეტანილი. იმავე პროექტის მიხედვით, ზემოაღნიშნული რაიონები თემებად (სულ 32 თემი) დაიყო. (იხ. ცხრილი №1) ამ შემთხვევაში, კომისია გორის მაზრის ყოველი რაიონისა და თემის მოსახლეობის რაოდენობასაც ითვალისწინებდა. ამის დადასტურებას იმავე დოკუმენტში მოტანილი სტატისტიკური მონაცემები წარმოადგენს. თითოეული თემის შექმნა წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით – მოსახლეობის გარკვეული კომლობრივი რაოდენობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდებოდა. რაც შეეხება გორის მაზრის მოსახლეობის საერთო რაოდენობის დადგენას, კომისია ამ შემთხვევაში 1907 წლის აღწერის სტატისტიკით ხელმძღვანელობდა, რადგან გორის მაზრის მცხოვრებთა 1917 წლის აღწერის მონაცემები კომისიამ არასრულყოფილად მიიჩნია. იმავე კომისიის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, გორის მაზრაში 35394 კომლი ცხოვრობდა, რომელთა სულადობრივი რაოდენობა 176970 კაცს შეადგენდა. ისიც საყურადღებოა, რომ კომისიამ, გორის მაზრის მთელ რიგ რაიონებში მცხოვრები ოსების პროცენტული რაოდენობაც დაადგინა. მის მიერ მოტანილი სტატისტიკის მიხედვით, მეჯვრისხევის რაიონში ოსების მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2,98 %- ს შეადგენდა, ქვემო ჭალის რაიონის – 5,13 %- ს, ტყვიავის რაიონის – 1,27 %- ს, ქარელის რაიონის – 4,27 %- ს, ხიდისთავის რაიონის – 2,74 %- ს, ბორჯომის რაიონის – 1,3 %- ს. საკითხის გადაწყვეტისას, კომისია აღნიშნულ მონაცემებსაც ითვალისწინებდა. საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის №23 დეკრეტის მეორე განყოფილების $2-ის საფუძველზე, კომისიამ რევკომების შექმნა მიზანშეწონილად შემ-

დეგ რაიონებში ჩათვალა: მეჯვრისხევში, ხაშურში, ცხინვალში, ახალქალაქში (სოფ. კასპის რაიონში) და ბორჯომში. ამის აუცილებლობას, კომისიის წევრთა აზრით, იმავე რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის ტრადიციული და ადმინისტრაციული გარემოს გათვალისწინება მოითხოვდა. პროექტი შიდა ქართლის მთის ოსების საკითხსაც ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით, პროექტისადმი თანდართულ აქტში ვკითხულობთ: „რაც შეეხება მთა ოსეთის ნაწილს, ყოფილი ძველი მთავრობის საზოგადოებებს: ორტევის 16 სოფლით, გარდა ვანათისა, რომელიც შევიდა დიცის სათემოში – ცხინვალის რაიონში; 2) ბელოთის 31 სოფლით, გარდა აწრისხევის, საცხენეთის, ხოშორისა და ხადურიანთკარისა, რომლებიც მიეწერენ დიცის სათემოს და ცხინვალის რაიონს; 3) ყორნისის 12 სოფლით; 4) ჯავის 23 სოფლით; 5) ყემულთის 20 სოფლით; 6) როკის 33 სოფლით; 7) წუნარის 30 სოფლით, გარდა დვანისა, ზემო და ქვემო ავნევისა, რომლებიც მიეწერენ დირბის სათემოს და რუისის რაიონს, – დატოვა თანახმად მთავრობის განკარგულებისა სამხრეთ ოსეთის გამგებლობაში“ (იხ. ცხრილი № 2). ამ ამონაწერის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის დაქვემდებარებას ბევრი ქართული და შერეული სოფლები ჩამოცილდა და ისინი გორის მაზრის წინანდელ თემებზე მანამდე რჩებოდა მიწერილი, სანამ „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრის საკითხს საგანგებოდ გამოყოფილი კომისია საბოლოოდ არ გაარკვევდა. შიდა ქართლის მთიან ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ძალადობრივი და უკანონო ქმედებებიდან გამომდინარე, **ამ პროექტის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ; 1) იგი „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოქმედების არეალს კვეცავდა და გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში აქცევდა; 2) ცხინვალის რაიონსა და მის გარშემო არსებულ 51 ქართულ სოფელს გორის მაზრის რევკომის მმართველობას უქვემდებარებდა და რაც მთავარია, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის რეზიდენციად ცხინვალი აღარ იქნებოდა; 3) გორის სამაზრო რევკომის შემადგენლობაში შემავალი რაიონები და თემები, პროექტით გამოკვეთილი ფორმით იყო წარმოდგენილი.** იმავე კომისიის მიერ ამ დოკუმენტისადმი გაკეთებულ დასკვნაში ვკითხულობთ: „ვინაიდან გორის მაზრა... ტერიტორიული სივრცით და მოსახლეობის შემადგენლობით... სხვა მაზრებთან შედარებით უდიდესი მაზრა არის... მისი დაყოფა იმაზედ ნაკლებ თემების რიცხვზედ, როგორც ამჟამად დაიყო, ყოვლად შეუძლებელია, ხოლო მათი გამრავლება მაზრას არავითარ სარგებლობას არ

მოუტანს. ამიტომ, პრეზიდიუმის სხდომამ ამნაირი გადაწყვეტილება სცნო ფრიად მიზანშეწონილად და საქმისათვის სასარგებლოდ. ამასთანავე დასძენს, რომ მაზრა არის დაყოფილი: ერთ სამაზრო რევკომად, სადაც არის მოთავსებული მაზრის ცენტრალური ორგანო თორმეტი რაიონის რევკომით (ამ რაიონშივე იქნებიან ადმინისტრაციული რაიონის პუნქტებიც) და ოცდაორი თემის რევკომით, სულ ოცდათხუთმეტ ერთეულად".

აღნიშნულ დოკუმენტი გორის მაზრის რევკომმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განსახილველად წარუდგინა. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ იგი გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე დაწუნებული იქნა. მართალია, პროექტი გარკვეულ ხარვეზებსაც შეიცავდა, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ გადამუშავებას ექვემდებარებოდა და იმ ეტაპზე მისი ხელაღებით უარყოფა, შიდა ქართლში არსებილ დამძიმებულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა. მითუმეტეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს იმ მომენტში გორის სამაზრო რევკომის ხელმძღვანელობისათვის ალტერნატული პროექტი არ შეუთავაზებია. ოსი სეპარატისტების მხრიდან მდგომარეობა დროთა განმავლობაში იმდენად რთულდებოდა, რომ ცხინვალის რაიონის გარშემო არსებული 25 სოფლის რევკომების წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობამ, შექმნილი მდგომარეობის შესახებ სპეციალურად იმსჯელა და პრობლემის მოგვარების მიზნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შესაბამისი თხოვნით მიმართა. „სამხრეთ ოსეთის" რევკომისა და ოსების მილიციის განყოფილებებისაგან გატანჯული ქართული სოფლების მცხოვრებთა გოდების შესმენა, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მხედველობაში მაქვს იმავე კომისარიატის მიერ 1921 წლის 9 აგვისტოს მიღებული დადგენილება №30. სანამ უშუალოდ ამ დოკუმენტის განხილვას შევუდგებოდე, ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე მინდა გავამახვილო. საქმე ეხება ზოგიერთი ჩემი კოლეგის მიერ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომში გატარებულ მცდარ შეხედულებას; საქართველოში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში საბჭოთა მთავრობა საერთოდ არ იყენებდა ტერმინს – „სამხრეთ ოსეთი" [6, 148]. ამ დებულების გასამყარებლად, ავტორს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული დადგენილება აქვს დამოწმებული. ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო, რომ ეს დოკუმენტი ეხება არა შიდა ქართლის მთიან ზოლს, რომელსაც იმ პერიოდში „სამხრეთ ოსეთად" მოიაზ-

რებდნენ, არამედ ცხინვალის რაიონის გარშემო მდებარე მხოლოდ 31 ქართულ სოფელს, რომლებიც ყველაზე მძიმე მდგომარეობასი იმყოფებოდა, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი თვითნებურად აცხადებდა პრეტენზიას და მის დამორჩილებას ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით ცდილობდა. 9 აგვისტოს დადგენილება, სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებდა და ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს კანონით ოფიციალურად გორის სამაზრო რევკომს უქვემდებარებდა. შესაბამისი განკარგულების ამ საკითხთან დაკავშირებით დროულად მიღების მიზნით, იმავე დადგენილების მესამე მუხლით, გორის სამაზრო რევკომი და რესპუბლიკის მილიციის სამმართველო საქმის კურსში იქნა ჩაყენებული. ეს დოკუმენტი, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოქმედების არეალს ზღუდავდა და რაც მთავარია, ქართულ სოფლებზე ზემოქმედების გატარების უფლებას ართმევდა. რამდენადაც აღნიშნული დადგენილება ცხინვალის რაიონის ქართული სოფლებისა და მის ბაზაზე შექმნილი სათემო რევკომების გორის მაზრისადმი უშუალოდ დაქვემდებარების დაკანონებას ახდენდა, ბუნებრივია, ტერმინი – „სამხრეთ ოსეთის“ მასში ჩაწერა, საკანონმდებლო თვალსაზრისით მიზანშეუწონელი იყო. რაც შეეხება გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების შესაბამის უწყებებს, ტერმინს – „სამხრეთ ოსეთს“ დანიშნულებისამებრ შეუზღუდავად ხმარობდა. თუკი 1921 წლის 25 თებერვლიდან იმავე წლის 9 აგვისტომდე განვლილი პერიოდი „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებად“ შეიძლება ჩაითვალოს, ამ ექვსთვიან მონაკვეთში მიღებულ დადგენილებებში „სამხრეთ ოსეთი“ ხშირადაა გამოყენებული. ამის დამამტკიცებლად თვეების მიხედვით მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტს დავასახელებ: 1) საქართველოს რევკომის 1921 წლის 26 მარტის დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის შექმნის შესახებ; 2) საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 7 აპრილის დადგენილების მეორე პუნქტი, რომელიც „სამხრეთ ოსეთის“ სოფლების აღდგენისათვის თანხის გამოყოფას ეხება; 3) საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 11 მაისის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, სოფლების აღდგენის შესახებ „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ინიციატივა იქნა მოწონებული; 4) 1921 წლის 27 ივნისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ რევკომისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც „სამხრეთ ოსეთი“ რამდენჯერმეა ნახსენები; 5) საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 11 ივლისის დადგენილება, სადაც „სამხრეთ ოსეთი“

ხუთჯერაა ნახსენები; 6) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1921 წლის 20 ივლისის დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. ამ ხუთპუნქტიან დოკუმენტში „სამხრეთ ოსეთი“ ხუთჯერაა ნახსენები. ასეთი სახის საარქივო დოკუმენტების მოტანა მრავლად შეიძლება. ვფიქრობ, აღნიშნულიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყებები (1921 წლის 25 თებერვლიდან 9 აგვისტომდე) ტერმინს – „სამხრეთ ოსეთს“ არ თუ საერთოდ არ იყენებდა, არამედ მას თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხმარობდა.

რაც შეეხება 1921 წლის 9 აგვისტოს მიღებულ დადგენილებას, ამ დოკუმენტის მიხედვით, გორის მაზრის ცხინვალის რაიონში რამდენიმე სოფლის გაერთიანების საფუძველზე 5 სათემო რევკომი უნდა შექმნილიყო: 1) ქვემო აჩაბეთის თემი (სოფლები: დგვრისი, თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, კვერნეთი და მონასტერი); 2) ზემო ნიქოზის თემი (სოფლები: ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, დვანი, ავნევი და ნული); 3) დიცის თემი (სოფლები: კოდი, არბო, ერედვი, ბჟოლეთი, ტირძნისი, მეღვრეკისი და ერგნეთი); 4) ძარწემის თემი (სოფლები: ქემერტი, ხეითი და სვერი); 5)ვანათის თემი (სოფლები: საცხენეთი, ბელოთი და აწრისხევი) [7, 14]. თუკი აღნიშნულ დადგენილებასა და გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დამყოფი კომისიის მიერ შედგენილ პროექტს ერთმანეთს შევადარებთ, ცხინვალის რაიონის საკითხთან მიმართებაში უდიდეს სხვაობას დავინახავთ. კერძოდ, გორის სამაზრო კომისია ცხინვალის რაიონს მართალია 4 სათემო რევკომად ყოფდა, მაგრამ მის მმართველობას 51 ქართულ სოფელს უქვემდებარებდა. ესენია: 1) ცხინვალის თემი: ცხინვალი, გუჯაბაური; 2) დიცის თემი: არბო, ბროწლეთი, დიცი, კოხათი, ქორდი, მეღვრეკისი, ფრისი, სარაბუკი, ტირძნისი, თერგვისი, ერგნეთი, ერედვი, ვანათი, საცხენეთი, ხოშური, ბელოთი, აწრისხევი, ხადურიანთკარი; 3) თამარაშენის თემი: დგვრისი, თამარაშენი, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, მონასტერი, კეხვი, ქემერტი, სვერი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, ხეითი, ზღუდარის უბანი, საბაწმინდა, ხეითისფრისი; 4) შინდისის თემი: არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, ყელქცეული, საქაშეთი, ფხვენისი, შინდისი. გორის სამაზრო რევკომის კომისიის მიერ შედგენილ პროექტსა და საქართველოს რევკომის 9 აგვისტოს დადგენილებას შორის ის განსაკუთრებული სხვაობაც შეინიშნება,

რომ ამ უკანასკნელი დოკუმენტის მიხედვით, ცხინვალის ხუთი სათემო რევკომი 51-ის ნაცვლად, მხოლოდ 31 ქართულ სოფელს, ე.ი. 20 სოფლით ნაკლებს აერთიანებდა.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ გორის სამაზრო რევკომის კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის სამოქმედო არეალს მეტად კვეცავდა, ვინემ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება. მიუხედავად ამისა, ცხინვალის რაიონში შექმნილი სიტუაციის ფონზე, იგი წინგადადგმულ ნაბიჯად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, თუკი არსებული პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტა ამ დოკუმენტის მიხედვით მოხდებოდა. ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის შეუპოვარი „სასაზღვრო ბრძოლა“ და ქართულ სოფლებზე ზემოქმედების ბერკეტების შენარჩუნების წარმატებული მცდელობის ამსახველი საარქივო მასალები იძლევა. ფაქტიურად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოსათოკად უძლური აღმოჩნდა. მის მიერ მიღებული დადგენილება, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის თვითნებური მოქმედებიდან გამომდინარე შეუსრულებელი დარჩა. ეს იმდენად არ არის გასაკვირი, რამდენადაც, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის ელიტარული ნაწილის ამოწყვეტისა და ოსების ბატონობის საპროტესტო მუხტის მატარებელი ქართული მოსახლეობის მამაპაპეული საცხოვრისიდან მიზანმიმართულად გამოძევების დანაშაულებრივი ქმედების გამო, ოსი სეპარატისტები, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებას არ დაუსჯია. ეს ფაქტორი, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ხელმძღვანელობასა და მისადმი დაქვემდებარებულ უწყებებს, შიდა ქართლის მთიან ზონაში და მომიჯნავე მაზრების (დუშეთი, რაჭა, შორაპანი) გარკვეულ ტერიტორიაზე, არა მარტო გავლენის სფეროების გაფართოების, არამედ, ქართველთა ისტორიული მიწა-წყლის ოსების კუთვნილებად გათავისების და ამ მიმართულებით შესაბამისი პროპაგანდის გაწევის შესაძლებლობას აძლევდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დოკუმენტური მასალის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: 1) საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ, შიდა ქართლის მთიან ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ ნიღბით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ფორმალურად გამოცხადება, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის ხელმეორედ ოფიციალურად შექმნა

და მისი ცხინვალში განთავსება, ოსების რევკომისადმი ქართული სოფლების დაქვემდებარებაში მოქცევასა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსაგან ხელოვნურად გაუცხოებას ისახავდა მიზნად; 2) საარქივო მასალით დასტურდება, რომ „სამხრეთ ოსეთის“ რევკომისა და მის მიერ ქართულ სოფლებში შექმნილი ოსური მილიციის განყოფილებების თვითნებური საქმიანობა (ქართული მოსახლეობის მიზანმიმართული შევიწროება), „სარევოლუციო დროის კანონების“ დარღვევას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს რევკომი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომთან მიმართებაში რადიკალურ ზომებს არ ღებულობდა, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის გასაჭირს შეგნებულად ასაიდუმლოებდა და ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელს ხდიდა. დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, რომ შეიარაღებული ოსური მოსახლეობის საბჭოთა ხელისუფლებისადმი არდაპირისპირების მიზნით, საქართველოს მაშინდელი მმართველი წრეები, ოსებთან მიმართებაში ყოველგვარი სახის დათმობაზე მიდიოდა და შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის ინტერესები, საბჭოური იდეოლოგიის სამსხვერპლოზე მიჰქონდა; 3)გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დამყოფი კომისიის მიერ შედგენილი პროექტი, მაზრის ეთნოგრაფიული, სტრატეგიული, გეოგრაფიული და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებაზე იყო დამყარებული. მისი პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში: ა)ცხინვალის რაიონის 47 ქართული სოფელი გორის მაზრას დაექვემდებარებოდა; ბ) „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის მოქმედების არეალი შეიკვეცებოდა და გარკვეულ ჩარჩოში მოექცეოდა; გ) „სამხრეთ ოსეთის“ რეზიდენციად ცხინვალი არ იქნებოდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1921 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №30, გორის მაზრის შემადგენლობაში ცხინვალის რაიონის მხოლოდ 31 ქართული სოფლის (16-ით ნაკლების) შეყვანას ითვალისწინებდა. აღნიშნული დეფექტის მიუხედავად, გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლებოდა. „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის შეუპოვარი „სასაზღვრო ბრძოლისა“ და საქართველოს ხელისუფლების კომპრომისული პოლიტიკიდან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთის“ რევკომმა ქართულ სოფლებზე ბატონობის

შენარჩუნება შეძლო. ამ ფაქტით, დასახულ მიზანს ძირითადად მიაღწია და მომდევნო ეტაპისათვის საბრძოლველად შესაბამისი საფეხური მოამზადა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968.
2. ჟურნალი მოამბე, 1921, №3.
3. გაზეთი სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 24 მაისი.
4. გაზეთი სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 22 მაისი.
5. სუიცა. ფ. 281. აღწ. 1. საქ. 23. ფურც. 68.
6. ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917– 1922 წწ.), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7), 2010.
7. ჟურნალი მოამბე, 1921, №15.

Shota Vadachkoria

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Tbilisi Javakhishvili State University, Main research-scientist of the Department of Modern and Contemporary History

Sovietisation of Georgia and the Ossetian Separatists' Fight For Widening the Spheres of Influence

Summary

On the basis of the documentary materials it is stated that: 1) after the forced Sovietisation of Georgia in the mountainous region of Shida Kartli (Inner Kartli) formal announcement of the Soviet rule under the mask of the "South Ossetia", official creation of the "South Ossetia" Revolutionary Committee for the second time and its location in Tskhinvali aimed to sub-

ordinate Georgian villages to the Revolutionary Committee of Ossetia and artificially alienate Tskhinvali region from the rest Georgia; 2) with the help of the archive material it is proved that the willful activities (deliberate oppression of the Georgian population) of the Revolutionary Committee of the "South Ossetia" and departments of the Ossetian militia formed by the Revolutionary Committee in Georgian villages were the violations of the "revolutionary period legislations." In spite of this the Revolutionary Committee of Georgia together with People's Commissariat of Internal Affairs were not carrying out radical measures towards the Revolutionary Committee of "South Ossetia", was purposely concealing the troubles of the Shida Kartli (Inner Kartli) Georgian population and thus, making it unavailable for wide circles of society. With the help of the documentary materials we become aware that for preventing the opposition of the armed Ossetian population towards the Soviet rule the ruling circles of those days Georgia were ready for all kinds of concessions and thus, were sacrificing the interests of Shida Kartli Georgian population on the altar of the Soviet ideology; 3) the project that was worked out by The Commission of Dividing the Gori District into Administrative Units was based on taking into consideration ethnographic, strategic, geographical etc. factors. If the project should have been carried out practically, 47 Georgian villages should have been under the control of the Gori district; the area of the "South Ossetia" Revolutionary Committee influence should have been narrowed and enclosed in certain frames; Tskhinvali should not have been the residence of "South Ossetia." According to the resolution of the People's Commissariat of Internal Affairs, 1921, August, 9, [130] only 31 Georgian villages (instead of 16 more villages) should have been united into the Gori district. Despite the mentioned imperfection, on the background of the political situation in the North of the Gori district, to carry out practically the resolution should have been a step forward. Because of the obstinate "fights on the border" of the Revolutionary Committee of the "South Ossetia" and the compromise policy of the Georgian government the Revolutionary Committee of the "South Ossetia" was able to keep control on Georgian villages. In fact it helped it to reach the goal and prepare for another step.

ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს დეოკუპაციისთვის ბრძოლის ისტორიიდან (1922-1923 წწ.)

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია არ უცვნია და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების წინაშე კაპიტულაცია არ მოუხდენია. 1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ასევე, დამფუძნებელი კრების წევრთა დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა, რათა იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. საქართველოში დარჩენილი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა გაერთიანების მიზნით, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა. გაერთიანების იდეის ინიციატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, ანტისაბჭოთა პარტიების წინაშე ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის საკითხი დაისვა, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკოსებსა და საქართველოში დარჩენილ პოლიტიკურ ძალებს შორის კავშირი, თავდაპირველად, სუსტი იყო. საქართველოში მყოფი პოლიტიკოსები, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, სასტიკი ტერორის ქვეშ მოექცნენ. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, საქართველოში რუსეთის ანალოგიური ძალოვანი სტრუქტურების ფორმირება დაიწყო. 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისში, მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პირველი სხდომა გაიმარ-

თა. სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, გიორგი ელისაბედაშვილი, შოთა გაბრიჩიძე (სხდომის მდივანი). სხდომაზე მოისმინეს საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანიზების და კომისიის დროებით თავმჯდომარედ გიორგი ელისაბედაშვილის დანიშვნის საკითხი. 1921 წლის 26 თებერვალს, საქართველოს რევკომის ბრძანებით, „კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო საგამომძიებლო კომისია“ შეიქმნა. თავის მხრივ, საქართველოს და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიები ანტისაბჭოთა მიმართულების ქართული პოლიტიკური პარტიების დასაშლელად და გასანადგურებლად ამზადებდნენ ნიადაგს. ბოლშევიკების მიერ დაარსებულ საქართველოს საგანგებო კომისიაში, სპეციალურად შეიქმნა მესამე და მეოთხე ქვეგანყოფილებები, რომლებიც მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ აქტიურად მუშაობდნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა მთავრობა აქტიურად ადევნებდა თვალ-ყურს ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების მოღვაწეობას. საბჭოთა ხელისუფლებისთვის მათი გადაადგილების ყოველი ნაბიჯი ცნობილი იყო.

საბჭოთა რეჟიმის მხრიდან არსებული ზეწოლის მიუხედავად, საქართველოს დეოკუპაციის მიზნით, 1922 წლის აგვისტოში, თბილისში, საქართველოს ხუთი პოლიტიკური პარტიისგან სპეციალური ორგანო – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი), იგივე პარიტეტული კომიტეტი შეიქმნა. 1922-1924 წლებში კომიტეტი აქტიურ იატაკქვეშა ბრძოლას წარმართავდა საბჭოთა ოკუპაციისა და ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ანტისაბჭოთა პარტიების აღნიშნულმა ბლოკმა საქართველოში, ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული, საერთო სახალხო აჯანყების ორგანიზება საკუთარ თავზე აიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, დამოუკიდებლობის კომიტეტი, მართალია, პარიტეტულ საწყისებზე იყო დაკომპლექტებული, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარე მუდმივად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის თაობაზე, თბილისში შემუშავებული შეთანხმების ტექსტი, იოსებ გობეჩიას ხელით, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მთავრობას გაეგზავნა. საჭირო იყო საქართველოში მყოფ, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ

მებრძოლ, პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება ეცნოთ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და ქართული პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთ არსებულ ორგანიზაციებს, რაც შემდეგში მიღწეული იქნა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: გოგიტა ფაღავა (სოციალ-დემოკრატი), იასონ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), გრიგოლ რცხილაძე (სოციალისტ-ფედერალისტი), მუხრან ხოჭოლავა (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან), იოსებ გობეჩია (სოციალისტ-რევოლუციონერი). შეთანხმების თანახმად, დამკომ-ის პირველი თავმჯდომარე გოგიტა ფაღავა გახდა, ხოლო მდივანი – იასონ ჯავახიშვილი. 1922 წლის აგვისტოშივე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გოგიტა ფაღავა ნიკოლოზ ქარცივაძემ შეცვალა, რომელიც შესაბამისად, დამკომის თავმჯდომარე გახდა. ნ. ქარცივაძე დამკომ-ს 1922 წლის აგვისტოდან 1923 წლის მარტამდე (დაპატიმრებამდე) ხელმძღვანელობდა. 1923 წლის მარტიდან დამკომ-ის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი იყო, რომელიც კომიტეტს მის ლიკვიდაციამდე (1924 წლის სექტემბრამდე) ხელმძღვანელობდა. 1923 წლის დასაწყისიდან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი დამკომის განკარგულებაში გადავიდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოორდინაციაში იყო საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წევრებთან და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, უცხოეთში მყოფი საქართველოს მთავრობის წევრები ცდილობდნენ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გავრცელებული ცილისმწამებლური სიცრუის გამოაშკარავებას, თითქოს საქართველოში რუსეთის ჯარი არ იმყოფებოდა, იქ არავითარი ომი არ ყოფილა და აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა ჩამოაგდო მენშევიკური მთავრობა, რომელიც ბოლშევიკური მთავრობით შეიცვალა.

თავის მხრივ, საქართველოს ემიგრაციული მთავრობა რუსი ოკუპანტების მიერ დანიშნულ მთავრობას საქართველოსთვის კანონიერად არ ცნობდა და უცხოეთიდან აგრძელებდა ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსადგენად.

უცხოეთში მოღვაწე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მუშაობის ანგარიში წარმოდგენილია, ემიგ-

რაციაში მყოფი მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას წერილში, რომელიც მან საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, პარიზიდან, გამოუგზავნა. წერილში დაწვრილებით არის განხილული უცხოეთში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების მცდელობა რუსული ოკუპაციისგან საქართველოს გათავისუფლების საქმეში. საინტერესოა ნოე ჟორდანიას ხედვა, მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების ფონზე, საქართველოს დეოკუპაციის საკითხთან დაკავშირებით. წერილში დასმული საკითხები დღესაც აქტუალურია, რადგან რუსეთის ხელისუფლება XXI-ე საუკუნეშიც ძველი, იმპერიული მეთოდების გამოყენებით ცდილობს უცხო ქვეყნების ტერიტორიების მითვისებას და საერთაშორისო სამართლის და საზოგადოებრივი აზრის სრულ იგნორირებას ახდენს. გთავაზობთ, წერილის სრულ ვარიანტს.

ნოე ჟორდანიას წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს თბილისში

პარიზი. 9 აპრილი, 1923 წელი

მოქალაქენო, ამასწინეთ ჩვენ გამოგიგზავნეთ გამოსაქვეყნებლად მოწოდება „ქართველ ერს“, ხელმოწერილი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და პარტიათა წარმომადგენლების მიერ. ახლა საჭიროდ ვცნობთ დამოუკიდებლობის კომიტეტს წარმოუგზავნოთ განმარტებითი ბარათი, გავაცნოთ მას მოკლედ ჩვენ მიერ უცხოეთში განვლილი გზა და მომავლის პერსპექტივები. მთავრობის მუშაობა უცხოეთში დღიდან მისი საქართველოდან წამოსვლისა წარმოებდა ორი მიმართულებით: ერთის მხრით, ჩვენ ვეწეოდით აგიტაციას და პროპაგანდას საქართველოს სასარგებლოდ საზოგადოების ფართე მასაში – მუშათა კლასში, დემოკრატიაში, პარტიებში, ყოველ წრესა და ყველა მხარეში, სადაც კი ხმა და ფეხი მიგვიწვდებოდა. ამ მიზნით, ჩვენ ვიყენებდით, როგორც ჩვენ ოფიციალურ საელჩოებს, ისე აქ მყოფ დამფუძნებელ კრებას და მის პრეზიდიუმის წევრებს. არ ყოფილა ისეთი თვალსაჩინო ყრილობა, პარტიული თუ სახელმწიფოებრივი, სადაც ჩვენი წარმომადგენელი არ მისულიყოს და იქ საქართველოს ინტერესები არ დაეცვას. გარდა პირადი აგიტაციისა, ჩვენ ფართედ ვიყენებდით ბეჭდვით სიტყვას, ბროშურებს, მოწოდებას. პრესის საშუალებით მივმართავდით ევროპას. ამ მიზნის უკეთ მისაღწევად ჩვენ დავაარსეთ

განსაკუთრებული საინფორმაციო დაწესებულება სტამბოლში, რომში, ჟენევაში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, სადაც საქართველოდან მოსული ცნობები და ჩვენი მიმართვანი იგზავნებოდა, ითარგმნებოდა და პრესას ეცნობოდა. უცხოელთა შორის ჩვენ ამ მუშაობაში განსაკუთრებით გვეხმარებოდა და გვისმენდა მუშათა სინდიკატები და სოციალისტური პარტიები ორივე – ლონდონისა და ვენის ინტერნაციონალისა.

ეს ჩვენი ორი წლის მუშაობა, შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, დაგვირგვინდა მეტად ნაყოფიერად, თუ წინათ საქართველოს სახელი კანტი-კუნტად, აქა-იქ ქონდათ გაგონილი, ხოლო წარმოდგენა მასზე სრულიად ზერელე, ახლა არ მოიძებნება არც ერთი საზოგადოებრივი წრე, არც ერთი ორგანო, არც ერთი კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელმაც არ იცოდეს ვინ არის ქართველი ერი, რა სურს და რა უჭირს მას. არც ერთი პატარა ერი, არც ერთი პოლიტიკური კითხვა არ იწვევს ევროპაში ამჟამად ისეთ საერთო თანაგრძნობას, ისეთ უდაო გამოხმაურებას, როგორსაც იწვევს ქართველი ერი და საქართველოს საკითხი.

ევროპის დემოკრატია ამ ერთ კითხვაში სავსებით შეერთებულია, აქ დავა და უთანხმოება არ არის პარტიათა და კლასთა შორის. ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს მხოლოდ ერთადერთი პარტია – კომუნისტებისა, რომელიც მოსკოვის ხარჯზე დაარსდა და მოსკოვის იმედით სულდგმულობს. ეს მოსკოვის აგენტები, ეს მათი მოჯამაგირენი, რასაკვირველია იცავენ მათ და ჩვენ გვებრძვიან. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ საზოგადო აზრი იმდენად ღრმა და ფართეა ჩვენს სასარგებლოდ, რომ ეს მოსკოვის აგენტები ძალაუნებურად მას ანგარიშს უწევენ და საქართველოს წინააღმდეგ აშკარად, პირდაპირ ვერ გამოდიან. მათი ორგანოები ისევ მოსკოველებს (ტროცკის [1] და სხვ.) ალაპარაკებენ ჩვენს წინააღმდეგ, თვითონ კი დუმან. მაგრამ ვინაიდან ეს პარტიები ახლა აქეთ ყველგან სულს ღაფავენ, მათ ყოველნაირი მორალური ძალაუფლება დაკარგეს და აღარავინ არაფერს უჯერებს, ცხადია მათ ვნების მოტანა არ შეუძლიათ და საერთო სიმპატიას ჩვენს მიმართ ვეღარ შეარყევენ. მათი წირვა გამოწირულია.

ევროპის საზოგადოება შეურიგდა რუსეთში ბოლშევიკების ბატონობას, ამაზე აქ არავინ დაობს. როგორც ხალხი ისეთი მთავრობა – ამბობენ აქ. მაგრამ ის არ შეურიგდება საქართველოს ოკუპაციას ამ მთავრობის მიერ. აქ არ ითქმის როგორც ხალხი, ისე მთავრობაო, ვინაიდან ქართველმა ხალხმა შექმნა დემოკრატიული

მთავრობა, ხოლო ბოლშევიკური კი გარედან, რუსის ხალხიდან შემოტანილი მთავრობაა. აი, ამიტომ საქართველოს საკითხი მუშათა ინტერნაციონალმა წამოაყენა ერთ-ერთ პირობად ბოლშევიკების ინტერნაციონალთან მოსათანხმებლად. ის გადაიქცა პრინციპიალურ საკითხად და ეხება ერის თვითგამორკვევის ძირითად დებულებას.

ჩვენი მიზანია ამ ხანათ ეს მიღწეული შედეგი შევინარჩუნოთ, გავამაგროთ, გავაღრმაოთ და მით ევროპის საზოგადო აზრში სამუდამოდ დავისადგუროთ და რომ ჩვენ სწორედ ამ მხრით მივდივართ, დაგვანახა ევროპის უკანასკნელმა გამოძახილმა საქართველოში დატრიალებულ საშინელ ტერორზე. გურიის აკლებამ, ასობით უდანაშაულო ხალხის დახვრეტამ გამოიწვია აქ საერთო აღშფოთება და პროტესტი. მთავრობის თავმჯდომარის ტელეგრამამ მეორე ინტერნაციონალის მიმართ და მოწოდებამ „განათლებულ კაცობრიობას“ მოიარა ყველა ქვეყნის პრესა. განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება მოვიპოვეთ ინგლისში.

ასეთია მოკლედ ჩვენი მუშაობის მსვლელობა საზოგადოებრივ სფეროში. მეორე მხარე ჩვენი მუშაობისა შეიცავს დიპლომატიურ სფეროს. ეს მუშაობა ისე ადვილი არ გამოდგა, როგორც პირველი. მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული აოხრება და ზარალი იმდენად დიდია ყველა დიდ სახელმწიფოებში, რომ მის გამოსწორებას და ანაზღაურებას უნდება სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონე. არცერთი მთავრობა თავის ქვეყნის გარეთ არ იხედება, ყველა თავის წინანდელ საქმეს მისტირის. ხარჯის შემოკლება, სახელმწიფოს ყაირათობა – აი საითკენ არის მიქცეული თვითოეულის ყურადღება. განსაკუთრებით დაჩრდილა ყველა საკითხი საფრანგეთ-გერმანიის განხეთქილებამ. რურის ოკუპაცია დაეპატრონა დიპლომატიის ყურადღებას. ამ საერთო დიპლომატიურ ატმოსფეროში ამუშავდა ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა მოსკოვის სასარგებლოდ. მან გადაწყვიტა მოსკოვის და მისი აქტების დადასტურება არა მარტო ინგლისის, არამედ ევროპის მიერაც და თავს იდვა კანი-გენუას [2] კონფერენციის მოწვევა (აღსანიშნავია, რომ ლოიდ ჯორჯის [3] მთავარი მრჩეველი ფრ. ფ. უაზი გამოდგა მოსკოვის აგენტი, რომელიც ახლა მის სამსახურში შევიდა). მისი ხმაურობის და გავლენის წყალობით ბოლშევიკურ რუსეთს საარშიყოთ შემოადგა მთელი ევროპა, ის მოდაში შემოვიდა, საერთაშორისო დიპლომატიის საგნად გადაიქცა.

ასეთ ჩვენთვის არასასარგებლო პირობებში მთავარ მიზნად დავისახეთ ერთი საკითხი–ჩვენი ინტერნაციონალური სტატუსის დაცვა, ე. ი. ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობის შერჩენა და მაშასადამე, ბრძოლა ყველა ისეთ ნაბიჯებთან, რომელიც მიმართული იქნებოდა ოკუპაციის დასუსტებისკენ. ლოიდ ჯორჯის პლანების (გეგმების-ლ.ს.) ჩაფუშვა იქნებოდა ამავე დროს ჩვენი გამარჯვება. ვინაიდან ლოიდ ჯორჯის მთავრობა ჩვენ არ გვცნობილობდა და არც გვიკარებდა, ჩვენ დავეყრდენით საფრანგეთის მთავრობას, რომელიც თავიდანვე ჩვენს მხარეზე იდგა და გვიცავდა.

შარშან გამოქვეყნებულ ლოიდ ჯორჯის – კლემანსოს [4] მიწერ-მოწერიდან აშკარა გახდა, რომ ვერსალის ზავიდან ორი აზრი ებრძოდა ერთიმეორეს რუსეთის შესახებ. ლოიდ ჯორჯი ყოფილა მომხრე დიდი რუსეთის და მასთან მორიგებით ყველა კითხვების გადაწყვეტის. ეს ტრადიციული პოლიტიკაა ინგლისის ლიბერალიზმისა. კლემანსო კი პირიქით, დიდ რუსეთს აღარ სცნობს დროის შესაფერისათ და ამიტომ მფარველობას რუსეთიდან გამოყოფილი სახელმწიფოებისა სცნობდა მიზანშეწონილად. საფრანგეთმა რუსეთის საზღვარზე მოიპოვა ახალი ერთგული მოკავშირე – პოლონეთი და რუმინია, რომელთა ინტერესი არ ეთანხმება დიდი რუსეთის ინტერესებს და მაშასადამე, ამ ორ მოპირდაპირეთა შორის ერთ-ერთი უნდა გაეწირა. აი, ეს პრო-პოლონური და ანტიდიდრუსეთული მიმართულება დარჩა დღევანდლამდე საფრანგეთის პოლიტიკათ და ამიტომ ჩვენც აქ ვპოვეთ ბინა და მფარველობა.

ჩვენს საკითხში ინგლისის პრემიერს დაუპირისპირდა საფრანგეთის პრემიერი [5] როგორც კანში, ისე გენუაში და ორივე ალაგას დაამარცხა ის. რუსეთის წარმომადგენელი არ იქნა ცნობილი საქართველოს წარმომადგენლად. ასე თუ ისე, საშიშროება თავიდან ავიშორეთ იმავე საფრანგეთის წყალობით ლოზანის კონფერენციაზე, ხოლო თვით კონფერენციის მსვლელობაში ინგლისის წარმომადგენელი – ლორდი კერზონი სავსებით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა და ჩვენი იურიდიული სტატუს ქვო დაცულ იქმნა. ლოიდ ჯორჯის დაცემამ ინგლისში შექმნა ჩვენი სასარგებლო დიპლომატიური ატმოსფერო და ის ამჟამათ თანდათან ჩვენსკენ იხრება.

ამნაირათ, დიპლომატიურ სფეროში ჩვენ შევინარჩუნეთ ის, რაც გვქონდა. საქართველო ცნობილია დღესაც დამოუკიდებლად ყველა სახელმწიფოების მიერ, ვინც კი წინეთ გვიცნო, გარდა ერთადერთი გერმანიისა. მაგრამ დღევანდელი ევროპის კონცერტში

გერმანიის ხმა მეტად დაბლად ფასობს და მისი მაგალითი არავისათვის სახარბიელო და მისაბაძავი არ არის. გერმანიამ პირველად იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, მანვე დაგმო პირველად [6], თუმცა მისი მესვეურები ახლაც ამბობენ, რომ მათ იცვნეს ბოლშევიკური საქართველო და არა ოკუპაციის. ჩვენთვის კი ეს ორივე ერთი და იგივეა.

ასეთია ჩვენი მუშაობა დღემდე. როგორია ჩვენი პერსპექტივები? ამ მხრით საყურადღებოა სამი გარემოება: ლოიდ ჯორჯის კაბინეტის დაცემა ინგლისში, ოსმალეთ-ევროპის მოსალოდნელი მორიგება და მოსკოვის პრესტიჟის საბოლოოდ დაცემა ევროპაში. სამივე ეს ფაქტორი ამუშავდა ლოზანაში. აქ მოსკოვი დაამარცხა ინგლისმა ოსმალეთის დახმარებით. შავი ზღვის საკითხში, რაც ნიშნავს ამიერკავკასიის საკითხს, აქ გამოაშკარავდა საჯაროდ ინგლის-ოსმალეთის საერთო შეხედულებები. მოსკოვის ცდა შავი ზღვა გადააქციოს რუსეთის დახურულ ტბად, როგორც ეს იყო ცარიზმის დროს შეეჯახა ინგლის-ოსმალეთის საერთო იტერესებს და დამარცხდა, ლოზანიდან დაიწყო მოსკოვის გარიყვა დიპლომატიაში, ხოლო საზოგადოებიდან ხომ კარგა ხანია გარიყულია. ინგლის-ოსმალეთის დაახლოება დღეს ფაქტია. ლოზანის მეორე კონფერენციაზე დღეს დავაც კი აღარ არის მათ შორის. მათი ურთიერთობის კითხვები გადაჭრილია. მათ შორის ზავი ფაქტიურად ჩამოვარდნილია. ლოზანაში იხსნება, ამჟამად, მხოლოდ ოსმალეთ-საფრანგეთს შორის არსებული ეკონომიკური კვანძი. ეს უმთავრესად ოსმალეთ-საფრანგეთის კონფერენციაა.

ამნაირად, ოსმალეთ-ინგლისის მორიგება მოხდა რუსეთის წინააღმდეგ და მის ხარჯზე. ორივე სახელმწიფო შეერთდა იმაში, რომ შავი ზღვა და იქედან მომავალი გზები აღმოსავლეთში–რუსეთის მონოპოლია არ უნდა იყოს. აქ მათაც აქვთ ინტერესები. ინგლისი ამ გზისკენ უფრო და უფრო იხრება. ამით აიხსნება დამოკიდებულება რუსეთისაგან. ოსმალეთის არშიყობა ცარიელი სიტყვებია, ბოლშევიკების მოსატყუებლად დროებით, სანამ საბოლოო ზავზე ხელი არ მოუწერიათ. საინტერესოა არა ეს სიტყვები, არამედ საქმე, ხოლო საქმეს კი ანგორა ანტი-მოსკოვურს აწარმოებს.

ჩვენ დღევანდლამდე დიპლომატიურ სფეროში ვეყრდნობოდით საფრანგეთს, როგორც ზევით ვსთქვით. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლო მომავალში მთელი მუშაობა არა მარტო დიპლომატიური, არამედ რეალურ-პრაქტიკულიც დაეყრდნობა აგრეთვე ინგლის-ოსმალეთის შეერთებულ კომბინაციას. ეს არ ნიშ-

ნავს იმას, რომ საფრანგეთი და მისი მოკავშირენი: პოლონეთი, რუმინია უკვე გამოვარდა ჩვენი პერსპექტივებიდან, არა, ეს რჩება და მის გვერდით დგება ეს მეორე, ახლად შექმნილი პოლიტიკური კომბინაცია, რომელიც პირდაპირ, უშუალოდ გადაბმულია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან.

მოქალაქენო, ერის თავისუფლება ნაჩქარევი, მოსაგები საქმე არ არის; ის ბეჯითი, ხანგრძლივი შრომის და ბრძოლის ნაყოფია. ვერავითარი საგარეო ძალა ვერ უშველის ერს, თუ მას არ სურს თავისუფლება, თუ მას არ ძალუძს მისთვის ბრძოლა. შორს არ არის ის დრო, როცა საგარეო კომბინაცია (საგარეო კომბინაციაში ვგულისხმობ აგრეთვე მოსკოვის მთავრობის შიგნიდან დაცემას) გვეტყვის: გააქნიე ხელი და ჩვენც შეგეწევითო და თუ მაშინ ხელი ვერ გავაქნიეთ, თუ ჩვენი მხნეობა და სულიერი ძალა გატეხილი აღმოჩნდა – საქართველო მონობიდან ვერ გამოვა და ევროპაც საბუთიანად გვეტყვის – არ ყოფილხართ ღირსი თავისუფლებისო!

სულიერი გაუტეხელობა და ორგანიზაციული მომზადება – აი, რა გვჭირია ჩვენ აი, რა მოგვცემს საბოლოო გამარჯვებას.

კომენტარები:

[1] ტროცკი – ლეიბა დავითის ძე ბრონშტეინის (Лейба Давидович Бронштейн) (1879-1940 წწ.) ფსევდონიმი. XX საუკუნის რუსეთის რევოლუციური მოღვაწე, საბჭოთა მარქსისტი და თეორეტიკოსი, პოლიტიკოსი. რუსეთის წითელი არმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირველ საბჭოთა მთავრობაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი ეჭირა, ხოლო 1918-1925 წლებში სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი იყო. სტალინთან პოლიტიკური უთანხმოების გამო ტროცკი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და საბჭოთა კავშირიდან გააძევეს. 1940 წელს, იგი მექსიკაში საბჭოთა აგენტმა რამონ მერკადერმა მოკლა.

[2] კანი-გენუა – იგულისხმება საფრანგეთის ქალაქ კანში გამართული კონფერენცია (1922 წ.), სადაც ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების ძალისხმევით, კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციის VI მუხლი საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებისგან საქართველოდან ჯარის გაყვანას მოითხოვდა. გენუა, იგულისხმება იტალიის ქალაქ გენუაში გამართული საერთაშორისო კონფერენცია (1922 წლის 10 აპრილი-19 მაისი). კონფერენციაზე არალეგალურად მუშაობდა ქართული დელეგაცია, რომელიც

კატეგორიულად მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი, გენუის კონფერენციაზე საქართველოს სახელით არ ყოფილიყო დაშვებული.

[3] ლოიდ ჯორჯი (David Lloyd George) (1863-1946 წწ.), დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი.

[4] ჟორჟ კლემანსო (Georges Benjamin Clemenceau) (1841-1929 წწ.), საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე 1917-1920 წლებში.

[5] იგულისხმება რაიმონდ პუანკარე (Raymond Poincaré) (1860-1934 წწ.), ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე 1922-1924 წლებში.

[6] იგულისხმება 1922 წლის 16 აპრილს (გენუის კონფერენციის მსვლელობის დროს) რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის, რითაც მოხდა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ამ ორ ქვეყანას შორის.

Lela Saralidze

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior researcher-scientist of the Department of Modern and Contemporary History

From the History of Struggle for Georgian Deoccupation (1922-1923)

Summary

According to the archival materials the work shows the struggle of anti-soviet political parties, who ware trying their best to regain freedom not only in Soviet Georgia but from the Emigration. The work also shows that the power Georgian Democratic Republic didn't declared the occupation or annexation of the country and didn't surrender to Soviet Union. On 18 march in 1921 the main part of the Georgian Government and members of the Constituent Assembly left Georgia and went in Emigration to continue

the battle for independence. On August of 1922 five Georgian political parties established freedom committee (DAMCOM) for returning lost independence for country. Between 1922-1924 years committee produced underground battles against Soviet Union and Bolshevik regime.

Committee had permanent connection to the members of the government in Emigration and they ware providing information about the events in Georgia. The work also shows the letter written by the chairman of Georgian Government, Noe Jordania who was emigrated in Paris.

The letter shows in detail the work of emigrated citizens who ware trying their best for Georgian Independence. The vision of Noe Jordania about returning Independence is quite interesting. This issues are actual in nowadays, because Russian Government is using the same Imperial methods which was used in XXI century also tries to appropriate the foreign country lands and ignores international public opinion.

ირმა გიკაშვილი

ისტორიკოსი, თბილისის 178-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

1922 წლის აჯანყება და ერთი უცნობი ქართველი გმირი ქალის ისტორია (მზე-ქალა)

საქართველოს უახლოეს ისტორიაში 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა... მასზე ბევრი რამ დაწერილა და გამოქვეყნებულა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

1922 წლის ხევსურთა ამბოხი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული პირდაპირ არის დაკავშირებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელთან.

ჩოლოყაშვილების გვარი საქართველოს ერთ- ერთი ცნობილი ისტორიული გვარია. ამ გვარმა საქართველოს მისცა ბევრი ცნობილი სახელმწიფო, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

„შეფიცულთა“ სახელით ცნობილი ქაქუცას რაზმის მთელი ისტორია, დაწყებული რაზმის ნათლობიდან, დამთავრებული საქართველოს მიწაზე გატარებული უკანასკნელი დღით, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ხევსურების აჯანყებასთან.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, 1922 წლის ხევსურთა გამოსვლაც და 1924 წლის საყოველთაო ამბოხიც მარცხით დამთავრდა. ხელმოცარულმა ჩოლოყაშვილმა უახლოეს გარემოცვასთან ერთად სამშობლო დატოვა და თავი საფრანგეთს შეაფარა.

ემიგრანტული მთავრობა, რომელიც პარიზში 1921 წლის მარტიდან იმყოფებოდა, თბილად დახვდა 1924 წლის აჯანყების თავგადადებულ მებრძოლს. ჩოლოყაშვილმა დარჩენილი სიცოცხლე საფრანგეთში გაატარა...

ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, საქართველოდან დევნილ მსხვილ პოლიტიკურ პარტიებს სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრტებს, სოციალისტ-ფედერალისტებს ისღა დარჩენოდათ გაერთიანებულიყვნენ და პარიზში შეექმნათ საქართველოს პოლიტიკურ პატრიათა გაერთიანება, რომლის ორგანოც გახლდათ 1926 წლის იანვრიდან პარიზში გამომავალი ყოველთვიური გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, რომელსაც ხელმძღვანელობდა

სოციალისტ-რევოლუციონერი – იოსებ გობეჩია, შემდეგ კი სოციალ-დემოკრატი – გრიგოლ ურატაძე. მაშინდელი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რასაც გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ არ გამოხმაურებია. ამ გაზეთში აქვეყნებდა თავის სტატიებსა და მოგონებებს ნ. ჟორდანია, გ. კვინიტაძე, ნ. რამიშვილი, მიხ. წერეთელი, ექ. თაყაიშვილი, ა. ჩხენკელი, და მრავალი სხვა ემიგრანტი ქართველი. ამ გაზეთთან მჭიდროდ თანამშრომლობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც.

1926 წლის დეკემბრის ნომერში მან გამოაქვეყნა მოგონებები ხევსურეთის აჯანყების მონაწილე ერთი უცნობი ქართველი ქალის -მზექალას გმირობის შესახებ... ამით მაია წყნეთელის და თამარ ვაშლოვნელის სახელს ემატება უცნობი ხევსური მზექალას სახელი, რომელსაც ერთი ფრანგი მწერალი ჟანა დარკსაც კი ადარებს.

აი, რას წერდა ქართველი შეფიცულების ბელადი გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში (გაზეთი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში): „1922 წლის სექტემბერში, ქ. დუშეთთან შეტაკების შემდეგ ხევსურეთში გადავედი. ხევსურებმა სიხარულით მიმიღეს, ჩემი სახელი გაგონილი ჰქონდათ, ამას გარდა, ჩვენს გვარს მუდამ ჰქონდა პატივი ამ ხალხში, რადგანაც ისტორიულად ჩოლოყაშვილები ამ კუთხის მოურავები იყვნენ. ისინი გამოცხადდნენ ჩემთან და მითხრეს, რომ მზად არიან რუსებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ“ [1]. ქაქუცას შვიდკაციან ჯგუფს ხევსურეთში მრავალი პატრიოტი მიემატა, მათ შორის გამორჩეულები აბიკა და დიმიტრი ჭინჭარაულები და თომა ბალიაური იყო, (იგი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა შეურიგებელ ბრძოლას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ).

იმ დროს ქაქუცას რაზმის ადგილსამყოფელი იყო ორწყალი, მაშინდელი თავდაცვითი ოპერაციებისათვის უნიკალური ბუნებრივი სიმაგრე. ალ. სულხანიშვილი მას ასე აღწერს: „...ორწყალი უთოსავით წამოწვდილი უზარმაზარი კლდეა. ამგვარად, ვინც კი მას დაიკავებს, თამამად შეძლებს გზის გადაკეტვას, რომ ხევსურეთში არავინ შეუშვას“ [4, 150].

ხევსურეთის მოსახლეობისა და ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის ძირითადი ამოცანა იყო ხევსურეთში მტრის არ შეშვე-

ბა, მისთვის სერიოზული დარტყმის მიყენება და აქედან მთელი ერის გათავისუფლებისათვის ძლევამოსილი ლაშქრობის დაწყება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩოლოყაშვილმა ორწყალის ბუნებრივი სიმაგრის გამოყენება გადაწყვიტა. ფართო მოსამზადებელმა სამუშაოებმა კი მთელი ხევსურეთი მოიცვა, ყველა რაიონში, ყველა სოფელში იყვნენ დანიშნულნი ასისთავები და ათასისთავები, ხალხს იარაღი ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული და ნიშანს ელოდა ჩოლოყაშვილისაგან.

ამბოხება 1922 წლის 6 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო... ფშავის არაგვის შუა წელზე ხეობა განსაკუთრებით ვიწროვდება, აქვეა ხიდი, მაშინ გრძელ ხიდად წოდებული. ორწყლის ხიდსა და გრძელ ხიდს შორის კიდევ ერთი ხიდი იყო – „ლამიანის ხიდი". სწორედ ეს მონაკვეთი იქცა ხევსურეთის ომის ასპარეზად...

საბჭოური ძალების დიდი შენაერთი მოიწევდა ხევსურეთისაკენ (ამ არმიის ერთ-ერთი მონაწილე, თელავის სამხედრო კომისარი პ. ჭიჭინაძე, იგონებდა „20 – ათასამდე ვიყავითო"). ჯარი მოდიოდა მძიმედ შეიარაღებული, ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით აღჭურვილი. მაღაროსკარიდან ორწყალამდე ამოსვლას მათ 2-3 დღე მოანდომეს. ქაქუცა „უთოსავით კლდის" თავზე იყო გამაგრებული, ეს სტრატეგიულად უაღრესად ხელსაყრელი ადგილი ირიბად იყო დახრილი არაგვის კალაპოტსა და ჯარის გამაგრების ხაზის მიმართ და საიმედოდ იცავდა გამაგრებულებს ტყვიებისა და ზარბაზნის ჭურვებისაგან.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი იგონებს: „მტერი ჯერ არ ჩანდა.მე ორწყალთან ახლოს, მწვერვალზე ვიყავი დაბანაკებული და ნიშანს ველოდი. საღამო ხანს ჩემს თვალებს საუცხოო სურათი გადაეშალა. სოფლის ერთი კოშკიდან ძახილი გაისმა. ეს იყო განგაში... ეს ხმა ატყობინებდა დანარჩენ სოფლებს, რომ ხევსურეთი ომს იწყებდა.

დაინთო ცეცხლები და მახლობელმა სოფლებმა განგაშითვე უპასუხეს. ერთი ღამის განმავლობაში ყოველმა ხევსურმა იცოდა, რომ დილას იარაღით უნდა გამოსულიყო. გუდამაყარის მხრიდგან თოფი გავარდა. ეს მტრის მოახლოების ნიშანი იყო. გაიარა ღამემაც და დილაზედ რუსებმა შემოტევა დაიწყეს. ტყვია ზუზუნებდა და ზარბაზანი გრიალებდა. ჩემთან სულ სამი კაცი იყო. ეს სიმცირე არ იყო ჩემი გასაჭირი. ნაბადში გახვეული მიწაზედ ვეგდე და ციება, ასე ხშირი ჩვენს პარტიზანულ ყოფაში, შედეგი ჩვენი გამუდმებული მიწაზედ წოლისა, სულსა მღაფავდა. დამეწყო ღამით

და დილაზედ სიცხეც მომცა. მოდიოდნენ კაცები და მოჰქონდათ ამბები და მიჰქონდათ ბრძანება, მაგრამ დამიჯერებთ? დღესაც არ ვიცი რა ბრძანებანი იყვნენ ისინი“ [1, 214].

ცუდ დროს მოუსწრო ჩოლოყაშვილს ციებ-ცხელებამ. ნაბადში გახვეული, სიცხისგან გათანგული იწვა და შორიდან ადევნებდა თვალს საბრძოლო მოქმედებებს. მაგრამ, უცებ ხმაური ატყდა და „...ერთმა ხევსურმა ცხენი ზედ ნაბადზედ მომაგდოო - იგონებს ჩოლოყაშვილი...

- რომელია ჩოლოყაშვილი? – დაიძახა მან. კაცებმა ჩემზედ მიუთითეს. მან დამხედა და წამოიძახა :

- რა დროს წოლაა, ვაჟაუ, არ გაგიგია, ხევსურეთს მტერი მოადგა?!

მე შევხედე. ჩემს წინ სულ ახალგაზრდა, უწვერულვაშო ხევსური იდგა. მხარზედ პატრონტაში ჰქონდა გადაგდებული, ხელში თოფი ეჭირა და უბელო ცხენზედ იჯდა. მე ისევ თვალის დახუჭვა მინდოდა, იმ იმედით, რომ პასუხს ჩემები გასცემდნენ, რომ მოსულს პატრონტაშის ქვეშ ქალის ღია მკერდი დავუნახე.

ასეთი უჩვეულო გარეგნობის სტუმრის მოსვლამ გამომარკვია და წამოვიწიე. ვიდრე მისი უცნაური მოსვლის მიზეზს ვიკითხავდი, მე თვით მინდოდა ამეხსნა მიზეზი ჩემი წოლისა, რადგანაც მოსული ქალი იყო, ეჭვს გარეშე და მის სიტყვებზედ, ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი.

- ავად ვარ, - წავილაპარაკე მე.

- განა სიკვდილი ავადმყოფს არ შეუძლიან? ორ წყალში ომია!

- მიპასუხა მან.

- ვინა ხარ დისავ? – ვკითხე, როცა დავატყვე, რომ ჩემი სტუმარი ჩვეულებრივ ქალს არ ჰგავდა.

- მზე-ქალას მეძახიან, არაშულის ქალი! ნეტაი, თუ შენც ჩოლოყაშვილი ხარ?

- გახლავარ. რას მიბრძანებ?

- ბრძანება შენი იყოს, მე ორ წყალზედ მინდა მიგაცილო. ხევსურნი გელოდებიან. ომია!

- სთქვა და თვალებში ჩამაშტერდა“ [1, 214].

- ქაქუცა მიხვდა, რომ წაუსვლელობა არ იქნებოდა. იგი ცხენზე ძლივს შეჯდა და ქალს გაჰყვა. წინ მზე-ქალა მიუძღოდა. ტყვია ზუზუნებდა, მაგრამ, ქალი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ჩოლოყაშვილი ვერ მიმხვდარიყო, როგორ მიაგნო მზე-ქალამ მას.

მისი კაცებისგან რომ არ იყო გამოგზავნილი, ეს დანამდვილებით იცოდა. ერთ სოფელს რომ გაუსწორდნენ, ცხენი შემოატრიალა და სოფელს ერთი მაგრად დასჭყივლა, სახლში დარჩენილებს უძახოდა. სოფლიდან მხოლოდ ძაღლმა გასცა ხმა. ყველანი წასულანო-ჩაილაპარაკა მან. სწორედ აქ შეძლო ჩოლოყაშვილმა მისი სახის გარჩევა: „იქნებოდა თვრამეტი წლისა. სახე ჰქონდა კუშტი და ეშხიანი, ისეთი, როგორსაც გვიხატავენ ყაზბეგი და ვაჟა ფშაველა თავის მთიულურ მოთხრობებში. მკერდი ჩამოღეღილი ჰქონდა, როგორც ვთქვი და მხრებზე შავი თმა ეყარა. ტუჩები იმ გარეგანი სილამაზის ჰქონდა აწყობილი, რომ მთელ მის არსებას მშველს ამზგავსებდა“ [1, 215].

„მიუახლოვდნენ თუ არა ხევსურთა სანგრებს, მზე-ქალა წინ გაიჭრა, მთელი ხეობის გასაგონად დაიძახა ქაქუცას სახელი და მტრისკენ თოფი დასცალა.

ბრძოლამ რამდენიმე დღეს გასტანა... რუსები უტევდნენ, ხევსურები კი უკან ერეკებოდნენ... თუმცა ზარბაზნის ცეცხლმა, ყუმბარის სიდიდემ და მისი აფეთქების შედეგებმა ხევსურებზე დიდი მორალური და ფსიქოლოგიური შედეგები გამოიღო. კიდევ უფრო დამთრგუნავი აღმოჩნდა ხევსურთათვის თვითმფრინავის გამოჩენა და მის მიერ ჩამოყრილი ბომბების პანიკური ზეგავლენა. გავა დრო და ხევსური თათარ ლიქოკელი ამ მოვლენსთან დაკავშირებით იტყვის:

„დგას ზარბაზნის ქუხილი და
პულიმეტის კაკანიო,
მაღლით მადის ჰეროპლანი,
ახლა მაგის ღაღანიო“ [2, 118].

ამ ხნის განმავლობაში მზე- ქალამ ბრძოლის ველზე რამდენჯერმე ჩაიქროლა... ისევ ის უბელო ცხენი... ისევ ის ღია მკერდი...ისევ ის თოფი ხელში. მაგრამ ჩოლოყაშვილთან აღარცერთხელ შეჩერებულა, თითქოს ვერ ამჩნევსო. უსაქმოდ კი ერთხელაც არ ყოფილა: ხან მამაკაცებთან ერთად ისროდა, ხან კარგა ხნით სადღაც გაქრებოდა და მოჰყავდა ახალ-ახალი ხალხი...

ხევსურეთის აჯანყება მარცხით დასრულდა. რუსებმა გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინეს მთიელთა მისამართით, როგორიც გახლავთ სახლების, დავრდომილი ადამიანების ცოცხლად გადაწვა, სურსათ-სანოვაგის, ცოცხალი პირუტყვის განადგურება, უამრავი ხევსურის დახვრეტა და დახოცილთა დაუმარხავად მიტოვება. დედამიწის ამ პატარა ტერიტორიაზე, მთა-გორებზე,

მდინარეთა ხეობებში თითქმის ორი თვის განმავლობაში მძვინვარე ხოცვა-ჟლეტვა მიმდინარეობდა.

ჩოლოყაშვილი კი ისე უვნებლად გააცილეს ხევსურებმა ჩეჩნეთში, რომ მის შეფიცულებს კაცი არ დაკლებიათ...

გავა დრო და პარიზში, გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე შეფიცულთა ლიდერი დაწერს: „...ჩეჩნეთში მიმავალს გზა ისევ ხევსურეთზე მედო, რუსები წასულიყვნენ. დაეწვათ სოფლები და დაეხვრიტათ ხალხი, დახვრეტილთა შორის ხუთი ქალიც ერია. უნდა გვეფიქრა, რომ ამ ხუთში მზექალაც იქნებოდა. მაგრად მზექალას ამბავი სულ სხვანაირად მიამბეს: დახევის დროს ხევსურები მთებში წავიდნენ და პირველი სოფელი, რომელშიაც გამარჯვებული რუსები შევიდნენ, მზექალას სოფელი იყო. (სოფ. აკუშო) ქალები, ბავშვები და მოხუცები აჯანყებულთ გაჰყვნენ. ცარიელ სოფელს რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს. სროლა რომ შეწყდა, სოფელს რუსის სალდათები მოედვნენ და დაიწყეს ჩვეულებრივი ძარცვა. ჯარის კაცთა ერთი ჯგუფი მზექალას სახლისაკენ გაემართა. სახლიდგან ორი ტყვია გამოვარდა და ორი ჯარის კაცი მოჰკლა, რუსებმა სროლითვე უპასუხეს. ბოლი რომ განიბნა და რუსები სახლში შევიდნენ, მიწაზედ ახალგაზრდა ქალის უსულო გვამი ნახეს. მოკლული მზექალა იყო! როცა სოფელი ხალხისაგან დაიცალა, ის მაინც თავის სახლში დარჩენილიყო და ფიცი დაედვა თავის კერაზედ რუსი არ გაეტარებინა. მზე-ქალამ სიტყვა შეასრულა და რუსები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შევიდნენ მის სახლში. რუსის ტყვია სწორედ იმ ადგილას მოხვედროდა, რომელიც მზექალას ისეთის უმანკო მოურიდებლობით დაჰქონდა - ღია მკერდში. მაგრამ პატრონტაში ისევ მხარზედ ჰქონდა და თოფიც ხელში ჩარჩენოდა. თავზედ უბელო ცხენი ადგა“ [1, 216].

ამ ფაქტის შესახებ ივანე ლიქოკელი წერს: „გულდასმით კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აკუშოში ასეთი ამბავი არ მომხდარა, იმიტომ რომ, როცა მტერი შევიდა, სოფელი უკვე გადამწვარი იყო. მეორეც – მთელ ომში ერთი ქალი იქნა მოკლული, სოფ. ბაქჩვილოში – მზექალა ლიქოკელი. მოქმედების შესახებ ნაკლები ინფორმაციაა და გაუხმაურებლობა კი გასაგებია. „გაუხმაურებლობის მიზეზს ივანე ლიქოკელი ასე ხსნის:“ ხევსურული ეთიკის მიხედვით, კაცის კვლა არ არის დიაცის საქმე. ეს მას სახელად კი არა, ცოდვად ჩაეთვლებოდა. მეორე მხრივ, ამით ჩრდილი და სირცხვილი ეყრებათ იქაურ ვაჟკაცებს, რად გაიხადეს თავი დიაცთა საპატრონოდ.

ასე უნდა აიხსნას ფაქტი ამ საგანზე სიჩუმისა (ი. ლიქოკელი, „ხევსურები და ქაქუცა“).

თუმცა, სულ სხვას გვეუბნება ძველი ხევსურული ლექსი:

„შინ არ ას ხახმატელები,
მარტო ომობდა ქალია“.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი, ტ. II 2001.
2. ივანე ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა, თბილისი, 2006.
3. სოლომონ ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1989.
4. ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, არტანუჯი, 2007.

Irma Gikashvili

Historian, teacher of the 178th Public School

The Rebellion in 1922 and the History of an Unknown Georgian Heroine

Summary

In the spring of 1922, the Committee for the Independence of Georgia and the military bodies were set up to fight for the national independence of Georgia. These bodies planned and set up the organization to struggle to free Georgia from the Russian Bolsheviks. One of the starting points of this organization was the national uprising starting with Khevsureti uprising, led by Kakutsa Cholokashvili. Unfortunately, the national revolt failed, it was only limited by the Khevsurs rebellion, which was put down with Soviet forces by the brutal and inhuman methods.

გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი

„სამშობლოს სიყვარულის ცრემლით ათამაშებული...“ *(გრ. რობაქიძე)*

(იროდიონ ევდოშვილის დაბადების 140 წლის გამო)

გასულ, 2013 წელს, გამოჩენილი ქართველი პოეტის იროდიონ ევდოშვილის დაბადებიდან 140 წელი შესრულდა. ისე, როგორც წინათ, არც ამჟამად გახსენებია ვინმეს მისი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. არადა, ირ. ევდოშვილის შემოქმედება, მისი სახელი, ნამდვილად არ არის დავიწყების ფერფლწასაყრელი. შეიძლება ვირწმუნოთ და თამამად გავიმეოროთ ჩვენამდე გამოთქმული მოსაზრება: მისმა პოეზიამ საეტაპო როლი ითამაშა რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი მშრომელების საბრძოლველად დარაზმვის საქმეში.

* * *

ირ. ევდოშვილი დაბადებული იყო ქიზიყში – სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბის ხევში. მამამისი ისაკ თადეოზის ძე ხოსიტაშვილი, იმავე სოფლის ეკლესიის მთავარდიაკონი იყო, ხოლო დედა – ევდო (ევდოკია) ხუნაშვილი, სათნო და კეთილი მანდილოსანი – მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისი გახლდათ. სწორედ დედისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა ის, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა იროდიონმა თავის ძირითად ფსევდონიმად ევდოშვილი აირჩია და ამ სახელით დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

პატარა იროდიონი, უფროსმა ძმამ – ილარიონმა, თბილისში ჩამოიყვანა და ერთ-ერთ პანსიონში მიაბარა. შემდეგ მან თელავის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი დაამთავრა და თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. აქ მას მხოლოდ სამი წელი მოუწია დარჩენა, რადგან მესამე კლასში იყო, როცა

„არაკეთილსაიმედოობის“ მიზეზით, სემინარიიდან დაითხოვეს... [1, 17], ცოტა ხანს თბილისის იუნკერთა სასწავლებელში სწავლობდა [1, 17], ხოლო შემდეგ ყუბის პოლკის „ვოლნოოპრედელიაიუშჩი“ გახდა. 1894 წლის თებერვალში ბაქოს 153-ე ქვეითთა პოლკში განაგრძო სამსახური; რამოდენიმე თვეში კი უნტერ-ოფიცრის ჩინიც მიიღო, მაგრამ ოქტომბრის დასაწყისში ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან საერთოდ დაითხოვეს და თადარიგში გადაიყვანეს [1, 18-19].

1895 წელს ირ. ევდოშვილი ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობს; სწორედ იქ ბეჭდავს თავის პირველ ლექსებს.

1896-1899 წლებში ირ. ევდოშვილი ბაქოში ნობელის ქარხანაში მუშაობდა და იქ არსებულ მუშათა სოც.-დემოკრატიული წრეების საქმიანობაში მონაწილეობდა.

მალე მან პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის – „მესამე დასის“ მსოფლმხედველობა გაითავისა და მათი ბეჭდური ორგანოს, გაზეთ „კვალის“ სასურველი ავტორი გახდა; აქტიურად მონაწილეობდა ხსენებული ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში. 900-იანი წლებიდან დაწყებული განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მისი ბეჭდური თუ ზეპირი გამოსვლები. პოეტი-ტრიბუნის ლექსები ბარიკადებზე დგომისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს.

ისტორიული სინამდვილე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ხანებში იგი ეცნობა ლადო კეცხოველს, იოსებ ჯუღაშვილს და სხვებს (ე. წ. „მესამე დასელთა“ მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებს) და მათი არალეგალური გაზეთის „ბრძოლის“ ფურცლებზე აქვეყნებს რამდენიმე ორიგინალურ ლექსს და თარგმანებს რევოლუციური ლექსებისას: „ვარშაული“ [2, 3] და „მარსელიოზა“ [3, 17]... უაღრესად პოპულარული გახდა მისი ლექსი – „მეგობრებო, წინ... წინ გასწით“, რომელსაც ბარიკადებზე და დემონსტრაციებზე მღეროდნენ მშრომელები:

„მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს – ოფლის ნაკადული!
...წინ, წინ! მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხ-უკუღმართ ამ ჩვენ დროსა
ჭირის ოფლში გავატაროთ

სიმართლის და ძმობის დროშა!...“ და ა. შ.

გრ. რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ირ. ევდოშვილის ამ პერიოდის პოეზია, გარითმული პროკლამაციები იყო, მაგრამ თავისი პათოსით აღფრთოვანებას იწვევდა რევოლუციის ბარიკადებზე, თუ დემონსტრანტთა რიგებში მდგომი ადამიანებისას [20, 2].

1904 წლის ოქტომბერში, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ირ. ევდოშვილი, როგორც სამხედროვალდებული ჯარში გაიწვიეს და ქ. განჯაში მდგარ ასლანდუზის სათადარიგო ბატალიონში გაამწესეს, სადაც 1905 წლის დეკემბრის ბოლომდე დაჰყო.. აქ იგი ჯარისკაცთა შორის ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას, რის შესახებაც ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „აგენტურის მონაცემებით, ქ. ელიზავეტპოლის ასლანდუზის ბატალიონში მყოფი თადარიგის პროპორშიკი იროდიონ ხოსიტოვი (ხოსიტაშვილი), ქართველი პოეტი, რომელიც სწერს ევდოშვილის ფსევდონიმით, აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას დასახელებული ბატალიონის ჯარისკაცთა შორის. აგენტის სიტყვით, ბათალიონის თითქმის ყველა ჯარისკაცი იმყოფება მისი პროპაგანდის გავლენის ქვეშ. გარდა ამისა, დასახელებული ხოსიტოვი სოციალ-დემოკრატებს აწვდის იარაღს: ბერდანის თოფებს, ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლვრებს. იარაღს იწერს ქარხნიდან და იარაღის მაღაზიების პატრონებისაგან. უფროსების ყურადღება რომ არ მიიქციოს ხშირი თხოვნით იარაღის შეძენის ნებართვის მიღებაზე, ხოსიტოვს განზრახვა აქვს ბათალიონის ბეჭედი გააყალბოს და იარაღი ყალბი მოწმობით შეიძინოს [32, 1].

ერთი სიტყვით, ირ. ევდოშვილს ცეიხგაუზის გატეხისა და იარაღის გატაცების გეგმა ჰქონია შემუშავებული, შეთქმულთა შორის შესულ ერთ დამბეზღებელს გაუცია... პოლკის უფროსს, რომელსაც ბრძანება ჰქონია მიღებული მის დასატუსაღებლად, გაუფრთხილებია: თავს უშველეო. იმავე ღამით იროდიონს თბილისისაკენ გამოუწევია და იარაღის ნაწილის გამოტაცება მაინც მოუხერხებია [32, 3].

მისი დის, მწერალ ბაბილინა ხოსიტაშვილის მოგონებით, 1905 წლის რევოლუციის დროს ირ. ევდოშვილი ნაძალადევსა და ორთაჭალაში მუშათა ჯგუფებს თოფის სროლაში ავარჯიშებდა [იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №26, 1906 წლის 18 მაისი].

1906-1907 წლებში ირ. ევდოშვილი ლეგალურად გამომავალი ქართული ბოლშევიკური გაზეთების – „ახალი ცხოვრების“, „ახალი

დროების“, „მნათობის“, „ჩვენი ცხოვრების“ და „დროს“ თანამშრომელია. მათ ფურცლებზე დაბეჭდილი მისი ლექსები და სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები არა მარტო ფართო საზოგადოების, არამედ სოც.-დემოკრატთა (მენშევიკთა) ყურადღებას და გაღიზიანებას იწვევდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მუდმივი მეთვალყურეობაც არ აკლდა... [7].

რევოლუციის დამარცხებამ და გამარჯვებული რეაქციის უკიდეგანო პარპაშმა, დამთრგუნველად იმოქმედა ირ. ევდოშვილის პოეტურ აღმაფრენაზე; რასაც თან ერთვოდა გამუდმებული დევნა-შევიწროვება და ციხისწამებანი, როგორც ხელისუფლების, ისე განაწყებენებულ თანამოაზრე (მენშევიკთა) მხრიდან... გასაგებია მის მიმართ ხელისუფლების პოზიცია, მაგრამ გასარკვევია ყოფილ თანამოაზრეთა განწყობის მიზეზი. მიზეზი კი წინამურთან დატრიალებული ტრაგედია, ანუ ერის მამის, დიდი ილიას მკვლელობა იყო. აღსანიშნავია, რომ იმ დღეებში ირ. ევდოშვილი მკვეთრად ცვლის თავის დამოკიდებულებას სოციალ-დემოკრატებთან და ეროვნულ პოზიციაზე დგება. მუშაობას იწყებს ვალ. გუნიას ჟურნ. „ნიშადურში“ (1907-1908). სწორედ აქ აქვეყნებს ილიასადმი მიძღვნილ ლექსს – „ი. ჭავჭავაძეს“ და უდიდეს შეფასებას აძლევს სამშობლოს მოჭირნახულე მგოსანს, რომელსაც ორმოცდაათი წელიწადი ხელში ეჭირა სამშობლოს დროშა და „ჩვენს საქართველოს ედგა დარაჯად და ფარად“.

„არ გქონდა ძილი და მოსვენება,
მარად ხელთ გეპყრა იმისი მაჯა,
კავკასიონის თეთრი მწვერვალი
ოჰ, რა უდროოდ, ბედმა დაგსაჯა!
ლომო მგოსანო, შენებრივ შვილი
დღეს საქართველომ ბევრიც ინატროს,
მაგრამ ვაი თუ ტკბილმა ბუნებამ
ძაბუნთა შორის არ გაიმეტოს“!

[6, 220].

როგორც ჩანს, ასეთი სტრიქონები მიუღებელი გამხდარა დიდი ილიას ჯალათებისათვის და იროდიონისათვის გაჩუმება მოუთხოვიათ, მაგრამ არც ისე იოლი გამხდარა მისი დაშინება...პირიქით, იგი წერს ახალ ლექს-ბრალდებას, ლექს-განაჩენს იმათ მიმართ ვინც ეს ეპოქალური დანაშაული ჩაიდინა არა ერთი კონკრეტული პიროვნების, არამედ მთელი მისი მშობელი ერის მიმართ...

„ვისაც უნდა ის გაჩუმდეს,
მე არ ძალმიძს მოთმინება;
თვით კალამი ბრაზ-ნაღველით
ათრთოლდა და ილესება.
თქვენა გკითხავთ ავაზაკნო,
რომ აჰმართეთ ურცხვად ხელი,
მოაშორეთ წუთისოფელს
ერის შვილი, მის სახელი!
რას ფიქრობდით ნეტა იმ დროს,
როცა სწყვეტდით წმინდა სიმებს,
უწმინდურნო, საზიზღარნო,
თავს ადარებთ იქნებ გმირებს?!
არა თქვენ ხართ მუხანათნი,
ჭაობისა გველ-ბაყაყნი,
მაგრამ კმარა! თქვენთან არ ღირს
კამათი და ლაპარაკი.
მე მივმართავ აკვნესებულს,
ატირებულ ქართველ ერსა,
იგი დასდებს შესაფერ მსჯავრს
თქვენს უღმერთო საქციელსა!
მან დაჰკარგა თვისი შვილი,
სიამაყე, თვის დიდება,
იმან იცის თვისი მგოსნის
პატივი და მის ღირსება!
თქვენ-კი, მოდით გვამთან ახლო,
ავაზაკნო, თუ გაქვთ გული,
დაინახეთ ერის ცრემლი,
დაინახეთ მისი წყლული,
იქნებ მაშინ იუდასებრ
დაიკრიფოთ გულს ხელები:
ჯერ მიწას არ უშობნია
თქვენისთანა ჯალათები!
უგვანონო, მას კი-არა
თქვენი ტყვია მოხვდა ერსა,
ისტორიის საზიზღარნო,
ფურთხი, კრულვა თქვენს სახელსა“.

[6, 207-208].

იმ ვითარებაში ასეთი განაჩენის გამოტანა თავისსავე თანამოაზრისაგან საშინელ დარტყმას წარმოადგენდა ქართველი სოც.-დემოკრატებისათვის (მენშევიკებისათვის) და მათაც რაღა დარჩენოდათ, დაიწყეს იროდიონის მიმართ დაუნდობელი ცილისმწამებლური გამოხდომები და მისი განაპირება თავიანთი რიგებიდან... მაგრამ პოეტი არ უშინდება ავ-ენიანთა სისინს და ახალი ლექსით ცდილობს მათ შეჩერებას... სწორედ ეს დამოკიდებულება სჩანს ლექსში – „ავ-ენანო...“:

„ავ-ენანნო ოდეს დასცხრეთ,
მოასვენოთ თქვენი სული
შხამ-ბოროტით, შხამ ნაღველით,
გაჟღენთილი, ავსებული?
ავ-ენანო, ავ-ენანო,
კაენისა გიძევთ გული,
შური, მტრობა, ვერაგობა
თქვენს გვამშია ჩაწმახნული!
რა გსურთ? აჰა, მე მზადა ვარ,
რომ ავიდე სამსხვერპლოზე!
ცხოვრებისა ნაძირალნო,
ნეტა როდის მოხვალთ გონზე!
მე ჩემს გრძნობას არა ვფარავ,
არც შინა და არც თუ გარეთ,
თქვენ-კი ცილისწამებითა
ვერაგულად მომეპარეთ.
გსურთ შემბღალოთ, დამამციროთ,
ჰპოვეთ დრო თვით არეული,
სჩანს, კაენის გრძნობით არი
გამსჭვალული თქვენი გული.
მაგრამ ჩვენ გვყავს სხვა მსაჯულიც –
ზარდამცემი, მომავალი,
იქ-კი ნათლად გამოჩნდება
კაენის და
მის ძმის ბრალი!“

[6, 211].

ლექსს – „გველებს“ ირ. ევდოშვილი ასევე თავის ყოფილ თანამოაზრეებს უძღვნის, სადაც ისინი მეგობრის უბეში ჩამძვრომ

გველ-გესლებად ჰყავს წარმოდგენილი და, რომლებიც მისი პოეზიის შავ დამღადამჩენებად არიან გამოყვანილნი...

„დავხედე გველებს, სიმებზე
გაჭიმულიყვნენ მწკრივათა,
თავი ჩემს მკერდზე მოეყრდნოთ,
ისარს მიბნევდნენ ცივათა...
დავხედე, ვიცან „ერთგული
მეგობარ-ამხანაგები“.
მას აქეთ ჩემი ჩანგითა
მათგან შორს დავიარები!“

[6, 217].

დიახ, თვითონ კი სურდა „მათგან შორს ყოფილიყო“, მაგრამ ვინღა ასვენებდა: მოგვიანებით იმაშიც „წაეხმარნენ“ რომ ციმბირისკენ გაემგზავრებინათ...

ირ. ევდოშვილი „ნამდვილი მოწაფე იყო ილიასი და აკაკისა, და უფრო პირველის წერის კილო და მანერა ჰქონდა შეთვისებული... მე მოგახსენებთ, იროდიონი ილიას მოწაფე იყო... მოწაფე ერთგული, მოყვარული და თავდადებული, მათ შორის იყო გაბმული განუწყვეტელი ჯაჭვი, რომელიც აერთიანებს დიდ მოძღვარს პატარა მოყვარულ მოწაფესთან და ამიტომაც არცერთს ჩვენს მწერალს, თვით ვაჟასაც კი არ უგრძვნია დიდებული მოძღვრის წამება ისეთი ტრაგიზმით, როგორც მან მთელს მის არსებაში კატასტროფა მოახდინა... მართალია ჩვენს დროში ბანაკის გამოცვლა უფრო ადვილად ხდება, ვიდრე ხელთათმანისა, მაგრამ იროდიონმა განიცადა უდიდესი სულიერი ტანჯვა უდიდესი საერო უბედურებისაგან და სისხლის ნარევი ცრემლით მორწყო თავისი ჰანგები ამის გამო“, – წერდა მოგვიანებით კიტა აბაშიძე [20].

ირ. ევდოშვილი 1909 წლის 22 ოქტომბერს თბილისში დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ათთვიანი პატიმრობის შემდეგ გაასამართლეს და სამი წლით ვოლოგდის გუბერნიის ქალაქ სოლვიჩეგოდსკში გადაასახლეს. აღსანიშნავია, რომ იგი ისედაც დაავადებული და დასუსტებული – ეტაპით გააგზავნეს მითითებულ ადგილას... ამ უმძიმესმა მგზავრობამ კიდევ უფრო დაასნეულა და საბოლოოდ გატეხა იროდიონის ჯანმრთელობა. უკურნებელი სენით – ჭლექით დაავადებული გაუსაძლის პირობებში მყოფი პატიმარი, ორი წლის შემდეგ ექიმების შუამდგომლობით ასტრახანის გუბერნიის პატარა დასახლებულ პუნქტში – ჩორნი-იარში გადმოიყვანეს.

სასჯელის მოხდის შემდეგ, 1913 წლის გაზაფხულზე, ირ. ევდოშვილი სამშობლოში დაბრუნდა... თავის ცოლ-შვილთან ერთად, უმთავრესად, თბილისში ცხოვრობდა და მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას აგრძელებდა.

„სამშობლოში დაბრუნებული იროდიონი მეგობრებში მოტრიალებამ საკმაოდ გამოაცოცხლა, თვალებში იმედი ჩაუდგა და გულიც გაუხალისა, მაგრამ ეკლიან გზაზე შეძენილი სენი მაინც თავის საქმეს აკეთებდა“, – წერდა პოეტი სიკო ფაშალიშვილი [10, 110].

მისი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა; პოეტი ლოგინს მიეჯაჭვა... ცემში დასვენებამ და მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა ავადმყოფს...

1913 წელს იროდიონი სოხუმში გაემგზავრა, სადაც მან მომდევნო წლის მარტის ბოლომდე დაჰყო. როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, სოხუმის ჰავას მასზე სასწაულებრივად უმოქმედნია: ჯან-ღონე აღუდგენია და განახლებული ენერგიით დაბრუნებულა თბილისში. ამ პერიოდისათვის, კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის მძვინვარებისას, ირ. ევდოშვილი აქტიურ პარტიულ მუშაობას აღარ ეწევა, ჯერ კიდევ გადასახლებამდე, გაწყვიტა ურთიერთობა სოციალ-დემოკრატებთან (როგორც მენშევიკებთან, ისე ბოლშევიკებთან), თუმცა მისი პოეტური მუზა და პუბლიცისტის გაწაფული კალამი შეძლებისდაგვარად მაინც ეხმიანება საქვეყნო პრობლემებს... გაზეთ „საქართველოს“ თქმით: თბილისში ახლადჩამოსული იყო, როდესაც სომხურ გაზეთ „ჰორიზონს“ თავის ფურცლებზე „ისტორიული სიცრუე ზღაპრულ ჩოხოსან-ფაფახიან ქართველებზე“ დაუსტამბავს, რომლებსაც თითქოს ქართველი ერის სახელით მოლაპარაკებები გაუმართიათ სტამბოლის მთავრობასთან. ამ ამბავს საშინლად აუღელვებია ავადმყოფი მგოსანი, საპასუხო წერილი დაუწერია და გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში მიუტანია... იქ კი წერილის გამოქვეყნებაზე უარი უთქვამთ... რედაქციიდან ერევნის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი – გ. ს.) გამოსულ იროდიონს ტრამვაის ვაგონში ჩაჯდომის დროს პირიდან სისხლის ღებინება დაწყებია. პირველი დახმარება კავკასიის სააფთიაქო საქონლის ამხანაგობის მაღაზიაში აღმოუჩენიათ და სასწრაფო დახმარების ეტლით თავის ბინაზე გადაუყვანიათ [23, 3], სადაც ავადმყოფის მიმართ დიდი ყურადღება გამოუჩენიათ იმდროისათვის ცნობილ ქართველ ექიმებს: შალვა მიქელაძეს, ვახტანგ ღამბაშიძეს და ივანე გომართელს. ცოტა მოღონიერების შემ-

დეგ წაღვერში წაუყვანიათ სააგარაკოდ. პირველი მსოფლიო ომი დაწყებული იყო და ყველაფერი ომის კანონებს ექვემდებარებოდა. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, იროდიონს, როგორც თადარიგის პროპორშიკს, თბილისში ორჯერ ჩამოსვლა და შესაბამის უწყებაში გამოცხადება დასჭირვებია. მისი, ისედაც დასუსტებული ორგანიზმისთვის საბედისწერო გამხდარა ზედმეტი დაძაბულობა. 1915 წლის ნოემბერში კვლავ სოხუმში გაუსტუმრებიათ... თუმცა მისი გამოჯანმრთელება უსაშველო გამხდარა.

1916 წლის 22 აპრილს ირ. ევდოშვილი სოხუმიდან თბილისში ბრუნდება. ცხოვრობდა თავის სახლში, ქართული გიმნაზიის მოპირდაპირე მხარეს (დღევანდელი თსუ-ს პირველი კორპუსი – გ. ს.) და ზემოთ დასახელებული ექიმების ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. ფიქრობდნენ: ავადმყოფი ისევ წაღვერის აგარაკზე წაეყვანათ. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. 2 მაისს, ღამის 3-ის ნახევარზე, ოჯახის წევრების გარემოცვაში მყოფი იროდიონ ევდოშვილი გარდაცვლილა. სიკო ფაშალიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: "... ხალხის სიყვარულში დაფერფლილი მისი გული დადუმდა, მისი მკვნესარე ჩანგი დამგლოვიარდა" [10, 112; 23, 3].

გარდაიცვალა ირ. ევდოშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი... გაუბედურდა მისი ოჯახი – დედა, მეუღლე და უმწეოდ და უსახსროდ დარჩენილი ოთხი შვილი. სხვა რომ არაფერი, მიცვალებულს ქრისტიანული წესით მიწისათვის მიბარება ხომ სჭირდებოდა?!. ეს, არც-თუ იოლად მოსაგვარებელი საქმე – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ და სხვა კულტურულ დაწესებულებებთა წარმომადგენლებთან ერთად სოც.-ფედერალისტური პარტიის გაზეთის — „სახალხო ფურცლის" რედაქციამ იკისრა... შეიქმნა დამკრძალავი კომისია სოფრომ მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით, კომისიაში შეყვანილ იქნენ – ნინო ნაკაშიძე, ვალერიან გუნია, სანდრო შანშიაშვილი, რ. ბებიაშვილი, არისტო ჭუმბაძე, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, იოსებ იმედაშვილი, დ. იმნაიშვილი და სხვა [26]. გამოქვეყნდა სამგლოვიარო განცხადება და მოწოდება ქართული საზოგადოებისადმი, რათა ყველას გაეღო თანხა, რომელიც დაკრძალვის ხარჯებს მოხმარდებოდა, ხოლო თუ რამ დარჩებოდა, განსვენებულის ოჯახს გადაეცემოდა. „საჭირო იყო მათი დახმარება, რათა ძვირფასი მგოსნის შვილები, რომელთაგან უფროსი შვილი 15 წლის ვაჟი და სამი ქალი, ქართული გიმნაზიის მოსწავლენი იყვნენ, უსწავლელნი არ უნდა დარჩენილიყვნენ..." [24].

შემდეგ, როგორც იტყვიან, ყველაფერი რიგით და წესით წარიმართა. მოხერხდა სასაფლაოსთვის ადგილის გამოყოფა დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. სამგლოვიარო განცხადებები გამოაქვეყნეს პერიოდულმა გამოცემებმა („საქართველო“, „სამშობლო“, „თანამედროვე აზრი“ და სხვ.). პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამწერლო მოღვაწეობა ფართოდ წამოაჩინეს ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა (კიტა აბაშიძე, გრიგოლ რობაქიძე, ივანე გომართელი, სამსონ ფირცხალავა, ია ეკალაძე, ნოე ჩხიკვაძე, კიკნა-ფშაველა, სიკო ფაშალიშვილი, დავით ბააზოვი და სხვ.).

განსვენებულის ცხედარი დასვენებული იყო ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, სადაც ქართველი სამღვდელოების მიერ ასეულობით პატივისმცემლის თანდასწრებით ხდებოდა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდების გადახდა. უკანასკნელი პანაშვიდი გორის ეპარქიის დეკანოზმა ანტონ თოთიბაძემ აღავლინა. თბილისის მცხოვრებთა თითქმის ყველა ფენისა და კლასის წარმომადგენელი თვალცრემლიანი ეთხოვებოდა სახალხო მგოსნის ნეშტს. ქაშვეთის ეკლესიიდან პოეტის ცხედარი ხელით წაასვენეს დიდუბის ტაძრისკენ... გზაში რამდენიმე ადგილას გაიმართა გამოსათხოვარი მიტინგები, წარმოითქვა სიტყვები... დღის ოთხ საათზე კი ირ. ევდოშვილის გვამი მიწას მიაბარეს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, ვაჟა-ფშაველას გვერდით. ეს მოხდა 1916 წლის 8 მაისს, კვირას. პატივისმცემელთა შორის ძალზე ცოტანი იყვნენ მუშებისა და მათი პარტიის – სოც.-დემოკრატების წარმომადგენლები. ეს არ იყო შემთხვევითობა, არამედ ასეთი იყო ნება პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობისა, რომელთაც მათ წინაშე ჩადენილი „დანაშაული“ არ აპატიეს იმ ადამიანს, რომლის პოეტური სიტყვით და მოწოდებით აღფრთოვანებული მშრომელები უშიშრად ილაშქრებდნენ ცარისტური ხელისუფლების წინააღმდეგ.

სოც.-დემოკრატთა (მენშევიკთა) ეს საქციელი ახსნილი იყო მათსავე გაზეთის „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე დაბეჭდილ სარედაქციო წერილში – „იროდიონ ევდოშვილი“.

ვინაიდან, ირ. ევდოშვილის მოღვაწეობის შემსწავლელ არც ერთ მკვლევარს დღემდე მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არა აქვს მიქცეული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღევანდელ მკითხველს გავაცნოთ იგი. „რომაელების სიბრძნე გვასწავლის, – ნათქვამი იყო სარედაქციო წერილში, – მიცვალებულზე ან არაფერი უნდა სთქვა, ან უნდა აქოვო. ამ სიბრძნეზე აღზრდილი საზოგა-

დოება, ვიცით, გვისაყვედურებს, რომ ამას ვიგონებთ დღეს, როცა ევდოშვილის ნეშთი საფლავისთვისაც არ მიუბარებიათ, მაგრამ, რა გაეწყობა; მუშათა კლასს და მის ორგანოს რომაელთა ამ სიბრძნით ხელმძღვანელობა არ შეუძლია; ის ვერ დაინდობს მისი ინტერესების მოღალატეს. მუშათა კლასი, ეს გოგოლის ტარას ბულბაა, რომელიც თავისივე ხელით სიცოცხლეს უსპობს თავის ღვიძლ შვილს ანდრიას, როცა ის ღალატობს თავისიანებს და მტერთა ბანაკში გადადის.

აბა რა დასამალავია, რომ ევდოშვილმა უღალატა მუშათა კლასს! ეს სრულიად მოულოდნელად მოხდა 1907 წელს, როცა ჩვენმა მოსისხლე მტრებმა „წინამურის ტრაგედია“ გამოიყენეს მუშათა მთელი პარტიის სახელის გასატეხად, როცა მთელს პარტიას თავს მოახვიეს ბოროტი ხელით დაღვრილი პოეტის სისხლი.

1907 წელს, ამ პოლიტიკური და სოციალური რეაქციის დროს, როცა დევნილი მუშათა კლასის მაჯისცემა შესუსტდა; როცა სოროებში მიმალული ბნელი ძალები ხელახლა გამოძვრნენ დღის სინათლეზე და ყოველი მხრიდან მედგარი იერიში მიიტანეს მუშათა კლასზე, ჩვენს მამულიშვილებს მუშათა საქმე დასამარებული ეგონათ ჩვენში და შავბნელი რეაქციის წყალობით მოინდომეს თავისი დანგრეული ბატონობის აღდგენა. მათ მაგრად ჩასჭიდეს ხელი ილიას მკვლელობას, მოინდომეს მისი ავტორიტეტით სარგებლობა და პოეტის სისხლში ჩახრჩობა მოუნდომეს მთელს მიმართულებას...

პოლიტიკურმა და სოციალურმა წყვდიადმა მოიცო მთელი საქართველოს ტერიტორია. სისხლის სუნი დატრიალდა ჩვენში... ის იმთავიდან ჩვენი ამხანაგი იყო. ჩვენთან ეწეოდა უღელს და შეძლების და გვარად ემსახურებოდა ქართველი მშრომელი ხალხის გაცნობიერების საქმეს.

მესამე დასი იყო ევდოშვილის აკვანიც და მისი სამოქმედო წრეც. მესამე დასის გამოსვლის დროს ევდოშვილი თითქმის ერთად ერთი პოეტი იყო, რომელმაც შეითვისა დასის მსოფლმხედველობა და თავისი ხალხის უმწეო და დაბეჩავებული ნაწილის მოსარჩლედ გამოდიოდა.

მისი ჩინებული ლექსი – „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!...“ ნამდვილი ჰიმნი იყო.

ევდოშვილი თავისი ლიტერატურული დაბადების დღიდან დავაჟკაცებამდე მესამე დასს ეკუთვნოდა.

და აი, სწორედ ასეთ დროს დავინახეთ ჩვენს კალთაში აღზრდილი ევდოშვილი ჩვენს მოსისხლე მტერთა ბანაკში.ეს გუშინ ჩვენი თანამებრძოლი ევდოშვილი დღეს წინ მიუძღოდა ჩვენზე ამხედრებულ ქართველ შავრაზმელთა ლაშქარს...

ევდოშვილმა უღალატა მუშათა კლასს და მუშათა კლასისთვის ამ დღიდან მოკვდა იგი.

მესამე დასმა მაშინ დაიტირა ევდოშვილი.

დღეს მას მესამე დასის მტრები დაიტირებენ".

[28, 2].

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო ფურცელი" წერდა: „მომავალი დაამტკიცებს და ყველასთვის ნათელს ჰყოფს, თუ ვინ უღალატა ქართველ მუშათა ხალხს – განსვენებულმა პოეტმა, რომელმაც შეიგნო და შეითვისა ეროვნების დიადი მცნება, თუ იმ დასელებმა, რომელთაც ფეხით გასთელეს ყველაფერი ეროვნული! ეს მომავალი ღრმა გულისტკივილით აღნიშნავს იმ სტრიქონებსაც, რომლებიც უძღვნეს ჩვენმა დასელებმა ახალი ქართული პოეზიის ერთს საუკეთესო წარმომადგენელთაგანს, იმ გულღვარძლიანობას და ველურ სიბოროტეს, რომელიც გამოიჩინეს სულით და გულით ღატაკებმა ნიჭიერი ადამიანის წინაშე" [25].

გაზ. „თანამედროვე აზრის" მოსაზრებას: ევდოშვილმა უღალატა მშრომელებსო და სხვა, გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი ია ეკალაძე აღშფოთებული ეხმაურებოდა:

„გაიხარეთ, ბატონნო, ხალხისთვის ვითომდა მეტად თავდადებულნო! მოკვდა „მოღალატე" ი. ევდოშვილი... ნუთუ მართლა თვით ხალხს მიაჩნია მოღალატედ იროდიონ ევდოშვილი?

თუ ეს ასეა, თუ „თანამედროვე აზრის" სიტყვები მართლა ქართველი შეგნებული ხალხის ხმაა, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ცრემლმორეული თვალებით შევძახოთ:

- ხალხნო და ჯამაათნო, რამ დაგაბრმავათ და რამ დაგაყრუვათ აგრე, რომ თქვენ უკეთეს მებრძოლს მოღალატეთა ნათლავთ?

ვინ, ვინ არის მოღალატე? იროდიონ ევდოშვილი? – თქვენი უპირველესი მგოსანი, თქვენი ჭირისა და ლხინის მომღერალი?..

ვინ, ვინ არის მოღალატე?

იროდიონ ევდოშვილი?..

გონს მოდით, ხალხნო და ჯამაათნო! ნუ დაუჯერებთ ნურავის, ნუ დაუჯერებთ დემაგოგ და ცალკერძ კალმოსნებს, ნუ დაგვიჯერებთ ნურაც ჩვენ, ნურაც ნურავის!..

გაიხსენეთ ის ვაჟკაცური, თავდადებული კიჟინა, ის წმინდა და უანგარო ჰანგები, რომელიც მან თქვენ გასწავლათ! გაიხსენეთ ის თავგანწირული შეძახილი, რომლითაც მან დასჭყივლა თქვენს მტრებს, თქვენს შემარცხვენელებს...“ [29].

ირ. ევდოშვილის გარდაცვალების დღეებში გაზეთ „სახალხო ფურცელში“ „სიტყვა“ (სამსონ ფირცხალავა) წერდა: „ირ. ევდოშვილი მეტად თავისებური პოეტია ჩვენს მწერლობაში... მისი ლექსი საკმაოდ შესწავლილი არ არის, მისი ნიჭი აქამდის არავის შეუსწავლია და დაუფასებია, და როცა ფართო საზოგადოება ახლოს გაიცნობს მგოსნის შემოქმედებას, როცა მისი ნაწარმოებები უკლებლივ იქნება გამოცემული, მაშინ ირ. ევდოშვილის სახელი უფრო ამაღლდება და უფრო გაიზრდება პატივისცემა და სიყვარული მისდამი...

... ირ. ევდოშვილი მხოლოდ გარედან არ უცქერდა დღევანდელი ცხოვრების სიავეს და პირადად განიცადა უსამართლო დევნა, შევიწროება, ციხე და ბოლოს ციმბირში გადასახლება. მშობელი ქვეყნის სევდამ, ჩრდილოეთის თოვლმა და ყინვამ მოსტეხა მაგარი სხეული და სამი წლის შემდეგ პოეტი დაგვიბრუნდა სამშობლოში სამუდამოდ დაავადებული... [22].

ივანე გომართელის აზრით: „იროდიონის პოეზია სევდიანია, მისი სევდა არის სევდა განახლებული, გაღვიძებული საქართველოსი... ჩვენი დემოკრატიის გათვითცნობიერება მჭიდროდ არის შეკავშირებული იროდიონის პოეზიასთან და პიროვნებასთან. იროდიონი დემოკრატიის ერთი საუკეთესო მედროშეა, მისი იდეალების ერთი საუკეთესო გამომხატველი.

იროდიონს სწამს დემოკრატიის მხოლოდ ეროვნულს ნიადაგზე. უკანასკნელი აზრის ქადაგებისათვის მას ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე. ამიტომ არის საყვარელი ის ქართველი ხალხისათვის და რაც უფრო გაიზრდება ქართველი ხალხის ცნობიერება, მით უფრო იმატებს იროდიონისადმი სიყვარული.

ქართველი ხალხის წინმსვლელობას ვერავითარი ძალა ვეღარ შეაფერხებს და ის მოიპოვებს იმ ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც ასე სევდიანად და ასე ტკბილად უგალობდა იროდიონის ჩანგი“ [17, 3].

იმავე დღეებში ირ. ევდოშვილის პოეტურ შემოქმედებაზე თავის კომპეტენტურ აზრს გამოთქვამდა გრ. რობაქიძე. იგი ირ. ევდოშვილის შემოქმედებას ორ პერიოდად ჰყოფდა: პირველი, რომელიც უმთავრესად სოციალური მოტივებით იყო გაჯერებული

„მეტად სუსტად“ მიაჩნდა, ვინაიდან „მრავალი მისი ლექსი ამ მხრივ მხოლოდ გარითმული პროკლამაციაა სარევოლუციო“, მაგრამ უფრო მდიდარ და ძლიერად თვლიდა მისი შემოქმედების მეორე პერიოდს, როცა „მან სავსებით იგრძნო სამშობლო დედის ძუძუ (განსაკუთრებით გადახვეწილობის ჟამს) და მრავალი მარგალიტი გადმოშალა, სამშობლოს სიყვარულის ცრემლით ათამაშებული.“ასეთებად თვლიდა ლექსებს: „უცნობი მდინარის ნაპირზე“, „პირსისხლიანო ყორანო“, „გადატეხილი ჩანგი“ და სხვ.; ხოლო ლექსი – „თვით ჩემი მუზაც ველარ იცლის“, გრ. რობაქიძეს მიაჩნდა: იროდიონის ყველა ლექსზე უკეთესად, რომელშიაც „ცხადყოფილი იყო მისი შემოქმედი ბუნება.“თავისი აზრის საილუსტრაციოდ ამ ლექსიდან იმოწმებდა ერთ სტროფს:

„მე ფერფლი-ღა ვარ ცეცხლზე დამწვარ სალამურისა,
მე გმინვა-ღა ვარ – შველის გმინვა – განგმირულისა,
მე ვარ ორბის ფრთა მოტეხილი, მოდუნებული,
მე ვარ ვარდის ძირს მიგდებული მკვდარი ბულბული...“

და დაასკვნიდა: „დიდი განცდაა ამ ლექსში ჩამარხული“-ო [22].

ირ. ევდოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში – „ევდოშვილის კუბოსთან“ პოეტი ნოე ჩხიკვაძე ასე მამართავდა პოეტს:

„შენ, მშობელ ერის უანგარო მსხვერპლათ იწვოდი,
ქვეყნის ვაება-მწუხარებით გულ-დათუთქული,
ზეციურ ხმათა, თაფლ-სამსალით აღმოიტყოდი
ოცნების მეფე, სიყვარულის კილო – ბულბული...“

ნ. ჩხიკვაძე დაუნდობლად ააშკარავებდა იმ ფარისეველთაც, რომლებმაც ირიოდინის გარდაცვალების შემდეგ ატეხეს დიდი ვაი-უშველებელი და გულდათუთქულ ჭირისუფლებად მოევლინენ გაჭირვებაში სულ-ამოხდილ მგოსანს...

„აწ რაღა უნდათ, რა აწუხებთ შენს მტერ-მოყვარეთ,
როცა სიკვდილმა დაგიკრიბა უკვე ხელები?
- მოდით გულ-ძვირნო, სასოებით მუხლთ მოიყარეთ
და მგოსნის კუბოს დააფრქვიეთ თქვენი ცრემლები!...
..., ვაი, თქვენ, თორემ არ მომკვდარა სული ვნებული:

ცათა წიაღში ჰპოვა სფერო განახლებისა,
და საუკუნო სიყვარულით გაბრწყინებული,
თავზე ადგია მას გვირგვინი უკვდავებია!“

[14, 2].

პოეტის კუბოსთან ქაშვეთის ეკლესიიდან მისი გამოსვენების დროს „მეტად ლამაზი, შინაარსიანი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ონის ქართველ ებრაელთა რაბინმა დავით ბააზოვმა. მან ძალზე შთამბეჭდავად დახატა პოეტის მიერ ტანჯვა-წვალებით განვილი ცხოვრების გზა და ხაზგასმით მიუთითა იმაზე, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის ოდითგან კარგი დამოკიდებულება არსებობდა. დავით ბააზოვს მიაჩნდა, რომ იროდიონი არა მარტო თავისი ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, არამედ სხვა ერების მწუხარებისა და უბედურების გულწრფელი თანამგრძნობიც იყო. მადლიერებით მოიხსენია ებრაელი ერისადმი მიძღვნილი პოეტის ლექსები, რომლებშიც გადმოცემული იყო ამ ერის ტრაგიკული ბედი, მისი ტკივილიანი ისტორია... „თვალით თუ გინდათ იტირეთ მგოსანი, – მიმართავდა რაბინი დამწუხრებულ საზოგადოებას, – მაგრამ გულით ნუ იტირებთ უკვდავებით გასხივოსნებულ იროდიონს... სატირალნი არიან მხოლოდ ისინი ვინც თავის სამშობლოსა და ერისაგან გამდგარან“ [26, 3].

ახალგაზრდა ქართველი პოეტების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, კიკნა-ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი), იროდიონისადმი მიძღვნილ წერილში – „წამების რაინდი“ აღნიშნავდა:

“... ბედმა იგი ერის მომავლის თავგანწირულ გმირად წარმოშვა. წამების ჯვარი ატვირთა და ბოლოს გოლგოთით დააგვირგვინა მისი მოწამეობრივი შარავანდედით მოსილი, მაგრამ უხნო, ხანმოკლე სიცოცხლე... ვაგლახ! დაჰკარგა წმინდა იერუსალიმისაკენ მიმავალმა ნორჩმა თაობამ ბელადი!.. ვაგლახ! ერის ყმა მოზვავებულს ძალას დაეკარგა სულით ძლიერი, მძლე მებაირახტრე, მესვური...“ [15, 3].

1916 წელს, იროდიონის გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე, გამოვიდა მის ნაწარმოებთა „კრებული“, რომელშიც შეტანილია ლექსები, პოემები და პროზის რამდენიმე ნიმუში.

„კრებულისათვის“ წამძღვარებულ მიმართვაში – „მკითხველის საგულისხმოდ“, ნიჭიერი პუბლიცისტი და რედაქტორი, ნიკო კურდღელაშვილი (იგი ირ. ევდოშვილის დის – ბაბილინა ხოსიტაშვილის მეუღლე იყო) აღნიშნავდა: „მეტად ხელშემშლელ პირობებში

მოგვიხდა ამ კრებულის გამოცემა. ომიანობამ მთლად ააფორიაქა საზოგადოებრივი ცხოვრება და ჩვეულებრივ კალაპოტიდანაც გამოიყვანა – ყოველი ქართველის ოჯახი. ბრძოლის ველზე განწირულ მახლობელთა დაკარგვამ ძაძით შეჰმოსა მთელი საქართველო... ამ გლოვა-ცრემლის ხანაში მაინც შევუდექით ირ. ევდოშვილის კრებულის დასტამბვას.

... ქართველმა საზოგადოებამ ამ სისხლის-წვიმის დროსაც ნათლად დაგვიმტკიცა, რომ მის ბუნებაში უმჭკნარად არის ჩამარხული მარადიული ევროვნულ-კაცობრიული მისწრაფებანი", რომლის მორალური და მატერიალური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა, ირ. ევდოშვილის თხზულებათა ამ კრებულის გამოცემა"-ო [6, 3-4].

აქვე, გვსურს დღევანდელი მკითხველს ირ. ევდოშვილის ბიოგრაფიიდან, ერთ მეტად ტრაგიკულ ფაქტზე მივაქცევინო ყურადღება, მითუმეტეს მასზე დღემდე ასევე არავის არაფერი აქვს ნათქვამი...

პოეტის გარდაცვალებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რაც რუსეთის ცარისტული რეჟიმი დაემხო. ასრულდა ნატვრა, რისთვისაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე „ხიშტით და კალმით" იბრძოდა ირ. ევდოშვილი. შესაძლებელი გახდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება.

ამ დღეს მოესწრო ირ. ევდოშვილის ცოლ-შვილიც – მეუღლე მარიამ ივანეს ასული ჯანყარაშვილი, შვილები: ვანო, თამარ, ბეტა და თინა ხოსიტაშვილები, რომლებიც დაუყოვნებლივ ჩადგნენ ახალი საქართველოს მშენებელთა რიგებში. თუმცა დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში უმრავლესობით მოსულმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა), ვერ გამოიჩინეს დიდსულოვნება და, მათი აზრით, „მოსისხლე მტერთა ბანაკში" გადასული ირ. ევდოშვილის არა თუ პოლიტიკური დამსახურება, არამედ მისი როგორც პოეტის სახელიც დასავიწყებლად გაიმეტეს. მამის „ცოდვა" მის შვილებზეც გაავრცელეს. აბა, რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, როცა 1920 წლის იანვარში მისი ერთადერთი ვაჟი, 20 წლის ვანო ხოსიტაშვილი, ქართული უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი სახადით გარდაიცვალა, ერთი სამგლოვიარო განცხადებით, ერთი სტრიქონითაც კი არსად აღნიშნეს. არა-და მამის სახელის ამოფარების გარეშეც მიუძღოდა ახალგაზრდა მამულიშვილს სამშობლოს წინაშე დამსახურება.

ამის შესახებ იმ დღეებში მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გაზეთი „საქართველო“ აუწყებდა მკითხველებს: „გიმნაზიის გათავების შემდეგ, 1920 წლის ზაფხულში ვანო ხოსიტაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა... ვანო ახალგაზრდულის გატაცებით იბრძოდა ორ წელიწადს სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. იგი ხან ერთ ფრონტზე იყო, ხან მეორეზედ. იბრძოდა ყველგან: ახალციხეში, როდესაც ოსმალები გვიტევდნენ, ქართლში – ოსების აჯანყების ჩასახშობად, სომხებთან ბრძოლაში.

ყველგან მხნეობისა და ვაჟკაცობის მაგალითს იძლეოდა. ორი გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული. მთელი შემოდგომა მალარიით იტანჯებოდა, რომელიც ბათომიდან ჩამოჰყვა: როცა ჩვენმა რესპუბლიკამ ბათომი ჩაიბარა, ვანო, როგორც მოხალისე, გვარდიის ნაწილში იყო. დარჩენია ლიტერატურული ნაშრომებიც“ [19, 1].

* * *

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ირ. ევდოშვილი იყო ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე, პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, რომლისთვისაც უმთავრესი თავისი სამშობლოს და მშობელი ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო; იგი თავის ადგილს ქვეყნისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში მიიჩნევდა და „კალმით და ხიშტით“ უშიშრად ემსახურებოდა ამ წმინდა საქმეს... იგი არც ერთი პარტიის კუთვნილებას არ წარმოადგენდა, მისი პოეტური აღმაფრენა თავს დასტრიალებდა ილიას მიერ დასახული ტრიადის – „მამული, ენა, სარწმუნოების“ რეალობად ქცევას. მისი „დაფი და ნაღარა“ ქვეყნის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა ქართველ მამულიშვილებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 31, საქ. 564.
2. გაზეთი ბრძოლა, №1, 1901.
3. გაზეთი ბრძოლა, №2-3, 1901.
4. ქსე, ტ. 4, თბილისი, 1979.

5. ბარამიძე შოთა, ირიოდიონ ევდოშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბილისი, 1985, გვ. 24-25.
6. ევდოშვილი ირიოდიონ, კრებული, ტფილისი, 1916.
7. გოზალიშვილი შ., ირ. ევდოშვილის შემოქმედება ქართულ ლეგალურსა და არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, თბილისი, 1955.
8. იმედაშვილი იოსებ, ჩემი ცხოვრების წიგნი, თბილისი, 1978, გვ. 340-343.
9. ყორანაშვილი გურამ, ილიას ფენომენი, თბილისი, 2007.
10. ფაშალიშვილი სიკო, შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან, თბილისი, 1961.
11. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 217.
12. გაზ. „ივერია“, №77, 1990, 9 აპრილი.
13. გაზ. „საქართველო“, №298, 1916, 3 მაისი.
14. გაზ. „საქართველო“, №99, 1916, 4 მაისი.
15. გაზ. „საქართველო“, №100, 1916, 5 მაისი.
16. გაზ. „საქართველო“, №102, 1916, 7 მაისი.
17. გაზ. „საქართველო“, №104, 1916, 11 მაისი.
18. გაზ. „საქართველო“, №105, 1916, 12 მაისი.
19. გაზ. „საქართველო“, №11, 1920, 16 იანვარი.
20. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №570, 1916, 8 მაისი.
21. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №..... 1916, მაისი.
22. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №570, 1916, 8 მაისი.
23. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №565, 1916, 3 მაისი.
24. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №567, 1916, 5 მაისი.
25. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №568, 1916, 6 მაისი.
26. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №571, 1916, 7 მაისი.
27. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №571, 1916, 11 მაისი.
28. გაზ. „თანამედროვე აზრი“, №100, 1916, 5 მაისი.
29. გაზ. „სამშობლო“, №349, 1916, 6 მაისი.
30. გაზ. „სამშობლო“, №352, 1916, 1 მაისი.
31. გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, №4, 1907 წლის 22 თებერვალი, გვ.2.
32. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1, საქმე 48.

Gela Saitidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology Chief Researcher scientist of the Department of Modern and Contemporary History

For the 140th anniversary of Irodion Evdoshvili

Summary

1. In 2013 was 140th anniversary of the famous Georgian poet and public figure I. Evdoshvili. Officially this date was not remembered and celebrated. His name as a "tribune of revolution" does not deserve to be forgotten indeed.
2. As Kita Abashidze said: "Irodion was a pupil of Ilia...and none of us, even Vazha felt so tragically the torment of such a great figure as Irodion did and because of this watered his tuneswith tears mixed with blood" (see newspaper "Sakhalkho Purtseli", 1570, 1916, May, 8).
3. On the basis of the newly revealed and for the first time used in the article factual material and the statements expressed by poet in a certain works ("I. Chavchavadze", "I will not be Silent", "Evil Tongues" etc.) we came to a conclusion that the complices of Ilia's murder were Georgian Social – Democrats. I. Evdoshvili, their ex party comrade, had an information about this indeed. This was the ultimate reason for him to cut all ties with them finally and fight against them for life and death. It was obvious in those days of Ilia's funeral and burial (May, 1916); was obvious in the speeches of the prominent representatives of the Georgian intelligentsia: Kita Abashidze, Grigol Robakidze, Samson Pirtskhalava, Ivane Gomarteli, Ia Ekaladze-Tsintsadze, Noe Chkhikvadze, Siko Pashalishvili, Kikna-Pshavela, David Baazov etc. and in boycott and refusal of Social – Democrats (Mensheviks) to particiPatein carrying out and the burial ceremony of the poet.
4. I. Evdoshvili was not belonging to any party. In the first he was a Georgian poet, writer, publicist and public figure. The main goal of his activity was the fight for the independence and freedom of his motherland and people he courageously served with "pen and bayonet" all his life.

ჯემალ გახოკიძე

პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესირი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერი

სოფო მიდელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ?!

თავისი დამღუპველი შედეგებით საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის შემდეგაც რეგიონში პოლიტიკური რეალობა შეიძლება ითქვას რადიკალურად შეიცვალა. იგი მთელი სიგრძე-სიგანით შეეხო პირველ რიგში საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, მათ შორის უპირველესად კონფლიქტების გადაწყვეტის პერსპექტივებს. ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 %. მთლიანად დავკარგეთ კონტროლი კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონზე. სხვათაშორის, 1993 წლიდან მოყოლებული 2008 წლის აგვისტოს ომამდე აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხრიდან კოდორისა და ახალგორის დაბრუნების სერიოზული მცდელობა არ დაფიქსირებულა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს თავის საზღვრებში აღიარების მიუხედავად, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების (ტერიტორიული მთლიანობის) უგულებელყოფით ცნო აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ომის შემდეგ საქართველოსთან მიმართებაში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი უნდა განვიხილოთ, როგორც ტიპიური განდგომილი რეგიონები.

2008 წლიდან დღემდე კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხი გაიყინა, ჩიხში შევიდა და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, რაიმე პერსპექტივას ვერ ვხედავთ. ასეთ ვითარებაში საჭიროა ახალი გზების ძიება, რომელიც რეალპოლიტიკას დაემყარება. ახალ პოლიტიკურ რეალობას სულ სხვა ახალი სტრატეგია სჭირდება კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ ოცი წელი გავიდა. მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ძალისხმევისა მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა, პირიქით – კი. ე.წ. ბოდენის გეგმა თბილისსა და სოხუმს შორის „საიდუმლოდ მოგზაურობის“ დროს უკვალოდ დაიკარგა. ყველანაირი მცდელობა მისი გაცოცხლებისა მარცხით დამთავრდა. კონფლიქტების დარეგულირების საკითხის ჟენევის მოლაპარაკებებისა და ამ ფორმატის იმედად დატოვებაც, რბილად, რომ ვთქვათ თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. სხვა პერსპექტივებიც არ ჩანს.

რაც შეეხება ტერიტორიული მოწყობის საკითხს, აქაც სირთულის წინაშე დგას საქართველო. არსებობს მხოლოდ 2 ძირითადი ფორმა ტერიტორიული მოწყობისა – უნიტარული და ფედერაციული. მაგრამ საკითხავია პასუხობს თუ არა სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებებში აღიარებული სახელმწიფო მოწყობის ეს ორი ტიპი თანამედროვე გამოწვევებს, შესაძლებელია თუ არა ამ ორი ტიპიდან ერთ-ერთის შეთავაზება იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ განდგომილი რეგიონები, თუნდაც, საქართველოს მაგალითზე. ჩვენი პასუხი ცალსახაა – არა. არგუმენტად გვინდა მოვიყვანოთ შემდეგი: საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 10 აგვისტოს განაცხადა შემდეგი: „მე ვადასტურებ სამი წლის წინ ჩემს მიერ წამოყენებულ, წლების განმავლობაში გავრცობილ გეგმას სამხრეთ ოსეთისათვის პრაქტიკულად შეუზღუდავი ავტონომიის და თვითმართველობის შესახებ, ყველა ეთნიკური ოსის უფლების განსაკუთრებული დაცვის თაობაზე. საერთაშორისო გარანტიების ქვეშ მყოფ ავტონომიას, ევროკავშირის სტანდარტებით შექმნილ ავტონომიურ ერთეულს და მე, ასევე, ვთავაზობდი და ვთავაზობ რუსეთის ფედერაციას იყოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გარანტი საქართველოს ტერიტორიაზე“ (სტილი დაცულია).

ავტონომიასთან დაკავშირებით საქართველოს ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან განდგომილი რეგიონებისადმი გაჩნდა ახალი მიდგომები: პირველი – შეუზღუდავი ავტონომია; მეორე – საერთაშორისო გარანტიების ქვეშ მყოფი ავტონომია და მესამე – რუსეთის ფედერაცია, როგორც ავტონომიის გარანტი საქართველოს ტერიტორიაზე.

რა დინამიკაა ამ თვალსაზრისით მსოფლიოში და რა მიდგომები ფიქსირდება განდგომილი რეგიონების სამომავლო სტატუს-

თან დაკავშირებით. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობილმა ლიდერმა დენ-სიაოპინმა განაცხადა, რომ თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ერთ სახელმწიფოში ორი სისტემის არსებობა (რა თქმა უნდა, იგი გულისხმობდა ჩინეთის სახელმწიფოსა და მისი განდგომილი რეგიონის ჰონკონგის სამომავლო თანაარსებობის შესაძლებლობას).

აქვე აღსანიშნავია, რომ 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერომ, აფხაზური კონფლიქტის გადასაჭრელად, შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით „სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების შესახებ.“თავისი არსით, ეს იყო გაეროს მცდელობა, რათა, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის საჭირო პირობებზე სასაუბროდ, აფხაზური და ქართული მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან დაესვა. დოკუმენტში წინასწარ არის განსაზღვრული, რა ჩარჩოებში უნდა მოხდეს დიალოგი. კერძოდ, მის მეორე მუხლში ვკითხულობთ: „აფხაზეთი არის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში კანონით განსაზღვრული სუვერენული ერთეული“.

მაშინ გაეროს უშიშროების საბჭოს უკლებლივ ყველა წევრი თანხმდებოდა ერთ რამეში, რომ სხვადასხვა გარემოებების გავლენით შეიქმნა ისეთი უნიკალური სიტუაცია, როცა პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა კონფლიქტის მოგვარება მისი უმთავრესი პრობლემის – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის – გადაჭრის საფუძველზე [1].

როგორც ვხედავთ, როგორც სააკაშვილის, ისე დენ-სიაოპინის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოებრივი მოწყობა დიდი ხნის წინ აღიარებულ არც ფედერაციულ და არც უნიტარულ სახელმწიფო მოწყობის მოდელში არ ჯდება. მით უფრო არ ჯდება დიტერ ბოდენის შემოთავაზება საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში აფხაზეთის, როგორც სუვერენული ერთეულის არსებობა.

აქვე, ჩნდება კითხვა – შეესაბამება თუ არა ზემოთქმული ავტონომიასთან დაკავშირებული ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის მოდელები ქართულ სინამდვილეს?

საჭიროა სახელმწიფოდმცოდნეებმა, პოლიტიკოსებმა და არა მარტო მათ საერთაშორისო თანამეგობრობას შესთავაზონ ახალი ტიპის სახელმწიფო მოწყობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც უნდა იყოს თავისი შინაარსით ტიპიური, ტრადიციული, როგორც ფედერაციული, ისე უნიტარული სახელმწიფოებისაგან განსხვავებული. რაც მთავარა, უნდა შეიქმნას სახელმწიფოს ისე-

თი ტიპი, რომელიც მოხსნის მკვეთრ გამიჯვნას ცენტრსა და სახელმწიფოში შემავალ სახელმწიფო წარმონაქმნებს შორის, კერძოდ: ერთის მხრივ მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გახდის რეგიონებისათვის ცენტრალურ ხელისუფლებაში კონსტიტუციურად გარანტირებულ მონაწილეობას და მეორე მხრივ არ გამოიწვევს ცენტრისათვის საშიშროებას, რაც გამოიხატება რეგიონის მუდმივ მისწრაფებაში განდგომისაკენ რაც თანდათან, როგორც წესი, გადაიზრდება სეპარატიზმში. ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას სახელმწიფო მოწყობის ახალი მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება, როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული სახელმწიფოს ნიშან-თვისებები, კერძოდ: სპეციალურ ავტონომიურ რეგიონს უნდა ენიჭებოდეს სახელმწიფო წარმონაქმნისათვის დამახასიათებელი თვისებები გარდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა, დედა-სახელმწიფოს შემადგენლობაში მუდმივად მისი არსებობა კონსტიტუციით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, კონსტიტუციებში უნდა არსებობდეს საკანონმდებლო ჰარმონია, რაც განაპირობებს ცენტრისა და რეგიონების სახელისუფლებო სტრუქტურების უკონფლიქტო საქმიანობას, რაც დაფუძნებული არ იქნება არც პოლიტიკურ და არც სამართლებრივ დისკრიმინაციაზე. ასევე, დედა-სახელმწიფოსა და რეგიონს შორის ურთიერთვალდებულებების შესრულების გარანტი, ვფიქრობთ, შეიძლება იყოს საერთაშორისო თანამეგობრობა, საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგალითად როგორიც არის გაერო. ასევე შესაძლებელია გაეროსთან შეიქმნას სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც აიღებს ვალდებულებას იყოს მყარი გარანტორი დედა-სახელმწიფოსა და რეგიონს შორის სტაბილური და მშვიდობიანი თანაცხოვრებისა. არ გამოვრიცხავთ ასეთი როლი შეასრულოს ცალკე სახელმწიფომ. რაც შეეხება სახელმწიფოთა ჯგუფს საქართველოსთან მიმართებაში, ამის პრეცენდენტი უკვე გვაქვს მეგობარი ქვეყნების სახით: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ჩინეთის ლიდერის დენ-სიაოპინის დამოკიდებულება ჰონკონგთან. ჰონკონგი არა მხოლოდ ამიტომ არის ჩვენთვის საინტერესო, არამედ იმითაც, რომ მისი ჩინეთის სახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენაა. ამიტომ მნიშვნელოვნად გვეჩვენება კონფლიქტის ჰონკონგისეული გადაწყვეტის როგორც ისტორიული, ისე პორლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების ანალიზი და შესაძლებელი პარალელების გავლება, მსგავსებისა და განსხვავებების ძიება საქართველოსა და მის გან-

დგომილ რეგიონებთან მიმართებაში. ვფიქრობთ საჭიროა შესაბამისი წინადადებების შემუშავება არამარტო მისი თეორიულ დონეზე განსჯისათვის, არამედ პრაგმატული, კონფლიქტის მხარეებისათვის მისაღები და რეალური გადაწყვეტილებების მისაღებად.

როგორც ცნობილია, ჰონკონგი უძველესი დროიდან ჩინეთის ტერიტორიის ნაწილი იყო. ოპიუმის ომის (1840 წელი) შემდგომ ჰონკონგი ოკუპირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის მიერ. 1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ ხემოწერილ იქნა ერთობლივი დეკლარაცია ჰონკონგის შესახებ და დადასტურდა, რომ 1997 წლის 1 ივლისიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება აღადგენდა სუვერენიტეტს ჰონკონგზე. ამგვარად, ჩინელი ხალხის დიდი ხნის მისწრაფება განდგომილი რეგიონის დაბრუნების თაობაზე რეალობად იქცა. ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ჰონკონგისთვის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების პირობით, ასევე, მისი ისტორიისა და რეალობის გათვალისწინებით მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსების შესახებ, თანახმად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 31 მუხლისა, პრინციპით „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა.“ფრიად საყურადღებოა, რომ 1984 წლიდან 1997 წლის 1 ივლისამდე, თითქმის 13 წლის განმავლობაში, შუამავლის ფუნქციით მოქმედებდა ერთობლივ მოკავშირეთა ჯგუფი, რომელმაც დაკისრებულ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი, რაზეც დამდგარი შედეგი მეტყველებს. ამასთან, არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებული პოზიტიური როლი, როგორც ფაქტობრივად შუამავლისა, აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. სხვათაშორის სამწუხარო ფაქტია, რომ არცერთი დოკუმენტი, არც ჰონკონგის კონსტიტუცია და არც დიდი ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამთავრობათაშორისო ერთობლივი დეკლარაცია ჰონკონგის საკითხზე დღემდე ქართულად არ თარგმნილა).

თავისუფლად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს მოდელი დღეს მსოფლიოში აღიარებულ ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოთა მოდელში არ ჯდება და ამ თვალსაზრისითაც ახალ რეალობასთან გვაქვს საქმე.

ფაქტობრივად, ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნება მოხდა მშვიდობიანად და თითქმის უპრობლემოდ. ამ თვალსაზრი-

სით იგი შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ მოვლენად კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების თვალსაზრისით. თუმცა, შეუთავსებლობის და დაპირისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად დაპირისპირებული ორი სისტემის არსებობა: ერთის მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალიზმი და მეორეს მხრივ ჰონკონგის კაპიტალიზმი. ეს წინააღმდეგობა გადაილახა ძირითადად ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დაყრდნობილი პოლიტიკური ნებით. ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციის მე-5 მუხლში ჩაწერილია: „სოციალისტური სისტემა და პოლიტიკა არ იქნება დამკვიდრებული ჰონკონგში და კაპიტალისტური სისტემა და ცხოვრების სტილი უცვლელი დარჩება 50 წლის განმავლობაში“ [2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა დენ სიაოპინმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ იმდენად მნიშვნელოვანია ჩინეთისათვის განდგომილი რეგიონის (ჰონკონგის) დედასახელმწიფოში დაბრუნება, რომ დასაშვებად მიიჩნია ერთ სახელმწიფოში ორი სისტემის არსებობა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩინეთისათვის ტერიტორიების დაბრუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მუდმივ და უპირველეს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა ყოველთვის და შედეგმაც არ დააყოვნა.

უპირველესად თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ჰონკონგს ეწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. აქ საქმე მარტო დასახელებაში არ არის. სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონკონგის კონსტიტუციით (ძირითადი კანონით) სწორედ სპეციალური უფლებამოსილება მიენიჭა. ჩინეთის სხვა ადმინისტრაციული რეგიონებისაგან განსხვავებით ჰონკონგში ძალიან მაღალია დამოუკიდებლობისა და მართვის ხარისხი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში, კომპეტენციათა და უფლებათა გამიჯვნაში ცენტრსა და რეგიონს შორის. ძალიან საინტერესო ჩანს ჰონკონგის კონსტიტუციის პირველი მუხლი: „ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის განუყოფელი ნაწილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა“ [2]. კონსტიტუციის მე-13 და მე-14 მუხლებში აღნიშნულია, რომ ცენტრალური სახალხო მთავრობა იქნება პასუხისმგებელი ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული

რეგიონის საგარეო საქმეებსა და თავდაცვაზე. ერთი სიტყვით, ჰონკონგმა ცენტრალურ ხელისუფლებას დაუთმო მხოლოდ საგარეო და თავდაცვითი ფუნქციები. სამაგიეროდ, იმავე კონსტიტუციის მე-19 მუხლით, ჰონკონგის სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასამართლოებში. ასევე, ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს შეუნარჩუნდა თავისუფალი პორტისა და ცალკე საბაჟო ტერიტორიის სტატუსი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკას წარმართავს ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება, ჰონკონგში შესასვლელად უხცოელ მოქალაქეს სჭრიდება ცალკე ვიზა სპეციალურად გაცემული ამ მიზნისათვის.

როგორც ვხედავთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთ მხარეს არ ჰქონდა მცდელობა ცალმხრივად გადაეწყვიტათ პრობლემა და მხოლოდ ორივე მხარისათვის მისაღებ და ამასთანავე რეალურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რასაც მოწმობს ერთობლივ მოკავშირეთა ჯგუფის შექმნა, რომელიც 1984 წლიდან 1997 წლის 1 ივლისამდე, თითქმის 13 წლის განმავლობაში, შუამავლის ფუნქციით მოქმედებდა ინგლისელების მონაწილეობით, და რომელმაც დაკისრებულ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი, რაზეც დამდგარი შედეგი მეტყველებს.

ჩვენ შევეხეთ ძალიან მცირე ნაწილს იმ პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტებისას, რომელმაც განაპირობა ჩინეთისა და ჰონკონგის ინტერესთა თანხვედრა. ერთი სტატია მეტის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ზემოთ აღნიშნული გვაძლევს იმის შესაძლებლობას ბევრი რამ გამოვიყენოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ბევრი რამ ჩვენს სინამდვილეში გასათვალისწინებელია, ბევრი კრიტიკულად შესაფასებელი, ზოგი ყურადსაღებო და ზოგიც მიუღებელია. სამომავლოდ ვგეგმავთ აღნიშნული საკითხის ძირეულ შესწავლას, რადგან ჰონკონგის პრობლემის ასეთი ნოვატორული გადაწყვეტა ძალზედ საინტერსო და ყურადსაღებია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. http://resonancedaily.com/index.php?id–rub=11&id–artc=8067.
2. The Basic Law of the Hong Kong special administrative region of the people's republic of China.
3. Sino-British Joint Declaration (Joint Declaration of the Government of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland and the Government of the People's Republic of China on the Question of Hong Kong).

Jemal Gakhokidze

Doctor of Political and Law sciences, Full Professor, Speaker of Senate of Georgian Technical University

Sophie Midelashvili

Doctor of Social Sciences, Assistant Professor

Which Way to Go to Abkhazia?!

Summary

The most important problem of Georgia is regulation of the conflict with Abkhazia and South Ossetia. We thought the new form of territorial arrangement, our attention was drawn to Chinese government's innovative approach towards Hong Kong and it became interesting as historical, political and legal precedent. The Hong Kong Special Administrative Region in the People's Republic of China is an absolutely new model of territorial arrangement, we think it was a manifestation of China's realpolitics and we hope, that the model will be very useful, if not completely at least partially, for the future of Georgia, for its territorial integrity.

ალექსანდრე მოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი, თელავის იაკობ გო-გებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

დისიდენტიზმის მნიშვნელობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ ჯერი მიდგა დანარჩენი საქართველოს „რუსეთის მფარველობის ქვეშ" გაერთიანებაზე, რაც თანდათანობით სისრულეში იქნა მოყვანილი. აღსანიშნავია, რომ 1802 წლიდანვე საქართველოში იწყება ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობამ საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. მნიშვნელოვანია სწორედ ყოველი ის ეტაპი, რომელიც ამ მოძრაობის დროს იქნა გავლილი. ჯერ კიდევ 1802 წელს კახეთში მოეწყო ქელმენჩურის შეთქმულება, 1804 წელს კი იფეთქა ქართლის მთიანეთის აჯანყებამ. მძლავრი აჯანყება მიმდინარეობდა კახეთში 1812-1813 წლებში, ხოლო 1819-1820 წლებში — იმერეთში [9].

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის უმნიშვნელოვანესია 1832 წლის განუხორციელებელი შეთქმულება, რადგანაც, სწორედ აქ გამოჩნდა ყველა სოციალური ფენის უკმაყოფილება ქვეყანაში არსებული ეროვნული ჩაგვრით. აჯანყებათა ნუსხა, რათქმა უნდა, ამით არ სრულდება, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან „თერგდალეულების" გამოსვლა ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსება. აქ ჩვენ უკვე ვხედავთ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ უფრო განვითარების მორიგ ეტაპს, როდესაც ბრძოლის იარაღად გამოყენებულია ეროვნული ცნობიერება: წიგნი, კალამი და იდეები. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ჩნდებიან სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები [1].

ქართველი ერისთვის უდავოდ დიდი გამარჯვებაა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული ქვეყნის დამოუკიდებლობა, რომელიც სამწუხაროდ 1921 წლის თებერვალში დაიკარგა [4]. შემდგომი პერიოდი ბრძოლის პარტიზანული მეთოდებით წარმოებით გამოირჩევა. სხვადასხვა აჯანყებებს შორის ყველაზე მძლავრი 1924 წლის აგვისტოში დაწყებული აჯანყება იყო [8; 11], რომელსაც სათავეში საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ედგა.მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც ე.

წ. საბჭოთა კავშირში ამოქმედდა რეპრესიული მანქანა. გადასახლებით ან სიკვდილით ისჯებოდა ყველა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანი. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა ემიგრანტებმა ჩამოყალებებული სამხედრო შენაერთებით მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას გერმანელთა მხარდაჭერით და ხელშეწყობით სცადეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოღწევა, რაც ასევე წარუმატებლად დამთავრდა.

1956 წლის მარტის ცნობილი მოვლენების მიმდინარეობისას გაჟღერდა მოწოდებები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.მართალია, ეს გამოსვლები დიდი ტრაგედიით დასრულდა, [6] მაგრამ იმავე წელს პირველად დააპატიმრეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებისთვის და ასევე, საინტერესოა, რომ მათმიერვე ფარულად იქნა დაფუძნებული პოლიტიკური მოძრაობა „გორგასლიანი.“ ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში დისიდენტური მოძრაობა. დისიდენტი ლათინურიდან მომდინარეობს და გულისხმობს პირს, რომელიც არ იზიარებს ქვეყანაში გაბატონებულ იდეოლოგიას და იბრძვის მის წინააღმდეგ. ის სხვაგვარად მოაზროვნეა [12].

სახელმწიფოში გამეფებული უკანონობა, უზნეობა, დანაშაულის დაფარვა, სიყალბე კიდევ უფრო აძლიერებდა მოსახლეობის შიშს არსებული რეჟიმის მიმართ.კომუნისტური მონსტრი კი სწორედ ამ შიშის წყალობით იხანგრძლივებდა არსებობას. ხალხში შიშის დათრგუნვა მხოლოდ სიმართლით შეიძლებოდა. სიმართლის თქმა კი დისიდენტურმა თვითგამოცემებმა იკისრეს. 1970 წლიდან დაიწყო „ოქროს საწმისის“ გამოცემა [2].

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ დარღვევებზე, კულტურის ძეგლების ხელყოფისა და საქართველოს ეკლესიის წიაღში ფეხმოკიდებულ დანაშაულთა შესახებ, განათლების სისტემასა და დაწესებულებებში გამეფებულ რუსიფიკაციაზე, აკრძალულ საეკლესიო დღესასწაულებზე, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში არსებულ ცენზურაზე. სათანადო მასალების მოძიებასა და გამოცემის რთულ საქმეს საქართველოში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის რამდენიმე წევრი ახირციელებდა: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, მ. არჩვაძე-გამსახურდია, ლედა არჩვაძე, თ. ჯანელიძე, ისაი და გრიგორი გოლდშტეინები, ნ. სამხარაძე. მთავარი კრედო საინიციატივო ჯგუფისა გახლდათ: „ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის, ჩვენ უნდა გავიღოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მარადიულ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს წარდგომა. ეს იქნება პრაქტიკული დადასტურება

ჩვენს მიერ უმაღლესი მოვალეობის გაგებისა, ამით მიეცემა ჩვენს ყოფას აზრი!“ (ზვიად გამსახურდია).

1976-1977 წლებში უკვე ხდებოდა „საქართველოს მოამბის” ნომრების გამოცემა. 70-იანი წლებიდან ძლიერდება სუკი-ს მხრიდან თვალთვალი, დაკითხვები, დაბარებები, მუქარა. ამ პერიოდიდან იწყება იმ მძიმე ხვედრთან ზიარება, რასაც დისიდენტური ცხოვრება ჰქვია. იგი სავსეა ყოველდღიური უსიამოვნებებით, დევნით, შანტაჟით, რომელიც ბრძოლის ძლიერ სტიმულს გაძლევს, გრძნობ სიმართლის ძალას, ცდილობ, რაც შეიძლება მეტი გააკეთო სამშობლოსა და ხალხის გადასარჩენად.

1972 წლიდან საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი უკავშირდება რუსეთის დისიდენტურ წრეებს, მოსკოვისა და ლენინგრადის თვითგამოცემებს. ამავე წლიდან თანამშრომლობს აკად.ა. სახაროვთან, ი. შაფარევიჩთან, ვ. ჭელიძესთან, ს. კოვალიოვთან, ალექსანდრე და ალინა გინზბურგებთან, ა. ლავუტთან, ი. გასტევთან, ა. ტვერდოხლებოვთან, ვ. ბორისოვთან, ტ. ველიკანოვთან, ი. ალექსეევთან, ა. ამალრიკთან და სხვ. თბილისში არალეგალური სტამბების პირობებში ფაქტობრივად იატაკქვეშეთში იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა სხვადასხვა თვითგამოცემები.

საქმე №131-ის საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ: „გამსახურდიამ მიზნად დაისახა ანტისაბჭოთა ლიტერატურის მასიური გავრცელება. 1974 წლის გაზაფხულზე მან მოიპოვა ა. სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგის“ ოთხივე ნაწილი, იმ ავტორისა, რომელიც გაძევებულ იქნა სსრკ-დან მისადმი მტრული მოღვაწეობის გამო. „გულაგის არქიპელაგი“ გამოიცა პარიზში, „უმკა-პრესში“, რომელიც გმობს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალისტურ რევოლუციაზე“.

თვითგამოცემის გამრავლებისა და გავრცელების პარალელურად, საქართველოს დისიდენტური მოძრაობა პოზიციებს იძლიერებდა საერთაშორისო მასშტაბით. 1975 წლის აპრილში მოსკოვში ვ. ტურჩინისა და ა. ტვერდოხლებოვის მიერ ყალიბდება „საერთაშორისო ამნისტიის მოსკოვის ჯგუფი“, სადაც საქართველოს წარმომადგენლად ზვიად გამსახურდიას ირჩევენ.

1979 წელს მოსკოვში აკადემიკოს ი. ორლოვის მიერ იქმნება ჰელსინკის ხელშეკრულებათა საშემსრულებლო ჯგუფი. იმავე წლის ივნისში საქართველოში ზვიად გამსახურდია ქმნის ანალოგიურ ჯგუფს რომლის ძირითადი მიზანია ინფორმაციებისა და სტატიების შეკრება ადმიანის უფლებათა საკითხებში, რაც ქვეყნდებოდა ქართული თვითგამოცემის ჟურნალში — „საქართველოს მოამბე“.

ამავდროულად, მოსკოვისა და საქართველოს ჯგუფები ადგენდნენ კოლექტიურ დოკუმენტებსა და საპროტესტო განცხადებებს ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. დისიდენტურ გამოცემებში ბეჭდავენ სუკ-ისა და კომუნისტური ცენზურის მიერ აკრძალული მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს.ისინი ამხელდნენ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი ხელისუფლებისათვის არასახარბიელო ინფორმაციის დაფარვას ყველა სფეროში.ინფორმაციას აწვდიდნენ საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ეროვნულ, რელიგიურ და სოციალურ პრობლემებზე. ასევე საერთო მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილი იყო სსრკ-ში. „საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი იწყება გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციით, რომელზეც სსრკ-ის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა; ასევე განხილული იყო: საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხი ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რუსიფიკაციის მცდელობის შესახებ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა, კულტურის ძეგლების დაცვა საქართველოში, პატიმრების წამება საქართველოს ციხეებში, ხანძრები და დივერსიები საქართველოში, ანგარიშსწორება პოლიტპატიმრების მიმართ, საქართველოს საპატრიარქოს გაძარცვა, რომელშიც მხილებულნი არიან ცკ-ს წევრები,თანამდებობის პირები, შსს, სუკ-ის თანამშრომლები — მათი ოჯახის წევრები, მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებული და მათი თანამშრომლები, სასულიერო პირები და სხვ. „საქართველოს მოამბის" მომდევნო ნომერში მხილებული არიან სუკ-ის ზოგიერთი აგენტები „წითელი ინტელიგენციიდან," რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია. პრესაში დაიწყო თავდასხმები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე, სტატიის ავტორები დაუფარავად ითხოვდნენ მათ დაპატიმრებას (პროფ. რ. გორდეზიანი, ვ. ქვაჩახია, ა. სურგულაძე, გ. ხავთასი და სხვ.) [3].

თუ მანამდე არ ხორციელდებოდა რეპრესიები ზვიად გამსახურდიასა და მისი მეგობრების მიმართ, ამის მიზეზი უდავოდ იყო მათ უკან მდგომი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი საქართველოში, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია. მისი უკვდავი ნაწარმოებები საკმაოდ დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და მისი შვილის დაპატიმრება თვითგამოცემების დაბეჭდვა-გავრცელებისთვის სერიოზულ უსიამოვნებებს შეამთხვევდათ ხელისუფალთ დასავლეთის მხრიდან. კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ უკვე იწყება დისიდენტური მოძრაობის განადგურების მცდელობები: დაპატიმრება, წამება, გადასახლება, დევნა, თვალთვალი, იძულებითი წესით მოთავსება

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში და შესაბამისად, ყალბი, ცნობების გაცემა ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა [7,10].

1977 წელს ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. რამდენიმე დღის შემდეგ ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიდანაც გაათავისუფლეს „უღირსი საქმიანობის" მოტივით. XX-საუკუნის 80-იანი წლები სსრ კავშირისათვის ღრმა კრიზისებით გამოირჩეოდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეკონომიკის სფეროში. 1985 წლიდან სსრ კავშირში დაშვებულმა ერთგვარმა ლიბერალიზაციამ, რაც გარდაქმნის პოლიტიკაში გამოიხატა, ახალი ბიძგი მისცა ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას. 1987 წლიდან საქართველოში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.მათ გამოცხადებული საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ფონზე ფართო მასშტაბით დაიწყეს მიტინგებისა თუ სხვა საინფორმაციო ან საპროტესტო აქციების ჩატარება. ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში იმ თავითვე გამოიკვეთა ყოფილი დისიდენტების აქტიურობა. მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის 13ოქტომბერს ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა [5], ზვიად გამსახურდიამ მაინც შეძლო დაწყებული ბრძოლის ბოლომდე მიყვანა; მან შექმნილი პოლიტიკური ბლოკით „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება და არსებული უკანონო კომუნისტური რეჟიმი დაამარცხა, რის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში მოსულმა, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.რაც შეეხება ქვეყნის დამოუკიდებლად აღიარების საკითხს, ის უკვე 1991-1992 წლების მიჯნაზე განხორციელდა, რითაც საქართველომ მიიღო სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისიდანვე იწყება. ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია მოძალადე მტრის ბატონობას, ყოველთვის იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ, ყოველთვის ესწრაფვოდა თავისუფლებას, ყველა პერიოდი გარკვეული თავისებურებებით გამოირჩა. ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დასჭირდა ბრძოლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება სხვადასხვა ეტაპზე, მაგრამ თავგანწირვა მას არასდროს აკლდა. ქართული დისიდენტური მოძრაობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამ ბრძოლის პირობებში. მან თავისი ომახიანი სიტყვა თქვა საქართველოს უახლეს ისტორიაში. სწორედ მის გაგრძელებად იქ-

ცა 80-იან წლებში ახალი ძალით დაწყებული მოძრაობა, რამაც საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა ქართველი ერი. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ქართველ დისიდენტებს არასდროს შეუწყვეტიათ თავიანთი საქმიანობა, ბოლომდე უმკლავდებოდნენ არსებულ რეჟიმს, ამხელდნენ მათ დანაშაულებრივ ქმედებებს, მრავალ საკითხზე სწორ ინფორმაციას ავრცელებდნენ საზოგადოებაში, რაც გარკვეულწილად ინარჩუნებდა ხალხში ეროვნულ მუხტს და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, თბილისი, 2013.
2. არჩვაძე-გამსახურდია მ., ოქროს საწმისი, თბილისი, 2006.
3. არჩვაძე-გამსახურდია მ., საქართველოს მოამბე, თბილისი, 2007.
4. ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2001.
5. გაგნიძე ბ., შავლეგო, თბილისი, 1990.
6. ნათაძე ნ., სისხლიანი პარასკევი, თბილისი, 1991.
7. საჯაია ს., კოლხური კოშკის ლასკარი და ცხუმ-აფხაზეთი, თბილისი, 1999.
8. სულხანიშვილი ა., მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბილისი, 2007.
9. ღელაღუტაშვილი ა., ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში. ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი, თბილისი, 2009.
10. შამანაური ნ., ჩემი სიმართლე — ჩემი მტერია, თბილისი, 1991.
11. შარაძე გ., გვერდწითელი გ., ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თბილისი, 1989.
12. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1999.

Aleksandre Mosiashvili

Doctor of History, Assistant-Professor of Jakob Gogebashvili Telavi State University

Mean of the Disidentizm for the Georgian National-liberation Movement

Summary

At the beginning of the XIX century, after the abolished of the Kartl-Kakheti Royal by the Russian Imperator, Developments in the country has led to emergence of the Georgian National-Liberation movement. Full restoration of the country's independence which have been implemented in 1991,took a number of generation's fight. At the different step of the war, were used different methods and forms. There were Rebellions, Collusions. Fighting through the intellectual methods. Guerrilla movement, foreign military assistance, Georgian dissident movement is one of the conspicuous place in the struggle for the country's independence and freedom.

Since the beginning of 50th years, this movement despite great difficulties, harassment, abuse, surveillance, violence, terror, torture, imprisonment or resettlement, and in spite of its a number of attempts to discredit, at least proved to be the decisive and its struggle ended with a great victory of the Georgian nation.

ალექსანდრე მოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შემაფერხებელი გარემოებები 1989-1990 წლებში

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან აშკარად გამოჩნდა, რომ საქართველოში აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყნის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებდა. 1988 წლის ნოემბრის აქციებმაც ცხადყო, რომ საქართველოში არსებულ ეროვნულ ძალებს შეეძლოთ ერთობლივი მოქმედება სსრკ-ის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მაშინდელი საბჭოთა პარტიული ნომენკლატურა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი არ აპირებდნენ არსებულ სიტუაციასთან შერიგებას. აქ ისმის კითხვა, რა შეიძლებოდა მოემოქმედებინათ მათ კრემლის ხელშეწყობით, რითაც გაანელებდნენ არსებულ ეროვნულ მუხტს?

პირველად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა 1989 წლის აპრილის ცნობილი აქციების დროს გაჟღერდა [1]. ასეთი მშვიდობიანი აქციების მოწყობა მაშინდელი ხელისუფლების მიერ დაშვებული იყო გამოცხადებული დემოკრატიზაციის და საჯაროობის პირობებში, მაგრამ 9 აპრილს გამთენიისას თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ოფიციალური მოსკოვი, მიუხედავად არსებული სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისისა, არ დაუშვებდა ე.წ. საბჭოთა კავშირის დაშლას. აღსანიშნავია, ისიც, რომ მომხდარმა ტრაგედიამ პოზიტიური როლი ითამაშა საქართველოს შემდგომდროინდელ პილიტიკურ ცხოვრებაში.აქციის ვანდალური მეთოდებით დარბევამ, მომიტინგეთა დახოცვამ, კიდევ ერთხელ შეარყია მკვეთრად„საბჭოთა კავშირის" — „დემოკრატიული იმიჯი."

წინასწარ აღმოჩნდა მომზადებული პროვოკაციები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 1989 წლის 18 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფელ ლიხნში შეკრებილმა აფხაზთა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის საკითხი დააყენა. გამოყოფის აუცილებლობას შეკრების ხელმძღვანელები ისტორიის გაყალბებით ასაბუთებდნენ. ისინი, როგორც აღნიშნავდნენ, თითქოს აფხაზეთს საქართველოსთან არაფერი აკავშირებდა... რომ წინათაც და ახ-

ლაც „აფხაზი ერი“ ქართველებისაგან მხოლოდ შევიწროებასა და ჩაგვრას განიცდის, ამიტომ მათი თანაცხოვრება შეუძლებელია და სხვ. ასე ნელ-ნელა ყალიბდებოდა სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში. ხელოვნურად წამოშობილმა სეპარატიზმმა, რასაც თან ახლდა ექსტრემიზმი, 1989 წლის 15-16 ივლისს ქართველები და აფხაზები სისხლისმღვრელ დაპირისპირებამდე მიიყვანა [3].

სწორედ ამ დაპირისპირების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად თბილისში 4 აპრილს მთავრობის სასახლის წინ დაწყებული აქციები, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ე. წ. საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვი მიზნად ისახავდნენ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი მომხრეების დათრგუნვა-განადგურებას და ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საწინააღმდეგო პროცესების მართვას, რომლებიც შეაფერხებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას.

1989 წლის 13 ოქტომბერს მომხდარი ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი მერაბ კოსტავა. ამავე შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა კიდევ ერთი ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე. მათ ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართველ საზოგადოებაში მაშინვე აღიძრა გარკვეული ეჭვები, დაისვა გარკვეული კითხვები და მართლაც, არ იყო გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი ყოფილიყო მოწყობილი სუკ-ის მიერ. საბჭოთა სინამდვილისთვის პოლიტიკური ნიშნით დევნა, წამება, ტერორი არ იყო უცხო. ამის მოწმეა ქართული დისიდენტიზმი.

ოდნავ ადრე, 24 ივნისს გვიან ღამით, ზვიად გამსახურდიასთან „კოლხურ კოშკში“, შეკრებილნი იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები: ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები. დილის 3 საათზე, ჭიშკრიდან გამოსვლისას, როდესაც ბატონი ზვიადი აცილებდა მათ, მანქანასთან მიახლოებისას ესროლეს ფ-1 სისტემის ხელყუმბარა. აფეთქების შედეგად, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა [4]. ტერორისტული აქტების მოწყობას არსებული რეჟიმი მომდევნო პერიოდშიც ცდილობდა...

საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1990 წელს სცადა ეროვნული ძალებისთვის თავს მოეხვია 25 მარტის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მაშინ ოცამდე დასახელების პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შექმნა ეროვნული ფორუმი, რომლის წევრებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს დანიშნულ არჩევნებს.ისინი განმარტავდნენ, რომ არჩევნები უკანონო და არალეგიტიმური იყო, რადგან უკანონო იყო არჩევნების დამნიშვნელი თვით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, როგორც საბჭოური სტრუქტურა. დაახლოებით ერთი

თვის შემდეგ ეროვნულ ფორუმს გამოეყო რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია და ზვიად გამსახურდიას თაოსნობით 1990 წლის 7 მაისს დაფუძნდა ახალი პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა.“ მრგვალი მაგიდის ძალისხმევით, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში დაინიშნა პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამ არჩევნებსაც ბოიკოტი გამოუცხადეს. მათ შექმნეს ეროვნული კონგრესი [1]

28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველო”, რომლის წინა საარჩევნო პროგრამაც ითვალისწინებდა, გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. რასაკვირველია, საქართველოს კომუნისტური პარტია და მისი მოსკოველი ხელმძღვანელები ვერ შეეგუებოდნენ ასეთ მარცხს და ყველა საშუალებით გააგრძელებდნენ ბრძოლას ახალგაზრდა ხელისუფლების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, კრემლში ვარაუდობდნენ, რომ ასეთი ფორმით შეძლებდნენ საქართველოში, სოციალურ ნიადაგზე, მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდას ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს და მისი თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიმართ.მთავრობის მიერ გამოცხადებული გარდამავალი პერიოდი, რასაკვირველია, გულისხმობდა გარკვეული რეფორმების გატარებას, არსებული საბჭოური მოდელის რღვევას და ახლის ჩამოყალიბებას.რათქმაუნდა, ეს პროცესი არ იყო იოლი საქართველოს რესპუბლიკისათვის — როგორც მას ეწოდა არჩევნების შემდეგ. ნელნელა იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, იზრდებოდა ინფლაციაც.

ახალი მთავრობის ხელისუფლების სათავეში მოსვლის პარალელურად ქვეყანაში გააქტიურდნენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ეროვნული კონგრესი და სხვა დანარჩენი პოლიტიკური ძალები. ისინი, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში აწყობდნენ სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციებს, რაც მიმართული იყო არსებული ხელისუფლების დისკრედიტაციისაკენ.ასევე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების არსებობაც. სამწუხაროა, მაგრამ როგორც შემდგომში გამოიკვეთა, ზემოხსენებული ძალები მოქმედებდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით [5]

ძალზე გამწვავდა მდგომარეობა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით.საქმე იქამდე მივიდა, რომ კრემლიდან წაქეზებულმა ოსმა სეპარატისტებმა დამოუკიდებელი რესპუბლიკაც კი გამოაცხადეს. დაძაბულობა იმდენად გამწვავდა, რომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმე-

ბის შესახებ" [6]. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პერიოდისათვის იქნა მიღებული, გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც ქართველი წვევამდელები საბჭოთა საოკუპაციო ჯარის ნაცვლად იმსახურებდნენ ქართულ ეროვნულ გვარდიაში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. რასაკვირველია, რთული იყო საბჭოთა მილიციის ერთბაშად ეროვნულ პოლიციად გარდაქმნა. მილიციისა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოურ ფორმებში იყო გამოწყობილი.სერიოზულ პრობლემას ქმნიდა, აგრეთვე, არსებული სუკ-ის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურად გარდაქმნის საკითხიც და ა.შ.

რაც შეეხება გარემო ფაქტორებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის დასავლეთში ჯერ-ჯერობით მხოლოდ დისკუსიები იმართებოდა დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი საქართველოს და სხვა რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით. თვით აშშ-ის პრეზიდენტ ბუშს ჰყავდა ოპოზიცია, რომლებიც აკრიტიკებდნენ მის პრაგმატულ პოზიციას და მისგან მოითხოვდნენ ჩაგრული ხალხების მხარდაჭერას [7].

ამავე პერიოდისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბირთვული იარაღიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლებას არ აწყობდა მასზე კონტროლის დაკარგვა, ხოლო დასავლეთს, თავის მხრივ, გარკვეულწილად აფიქრებდა ამ იარაღის შემდგომი ბედი [7].

ზემოთ ნახსენები აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონების გარდა, გარკვეული დაძაბულობა შეინიშნებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზეც, სადაც ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის დეზინფორმაცია დაძაბულობის კიდევ ერთი კერის შესაქმნელად. გარკვეული პროვოკაციები ხდებოდა ქვემო ქართლის რეგიონშიც და ა.შ. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება იბრძოდა თავგამოდებით, იყენებდა ყველა საშუალებას, რათა მომხდარიყო რევანში.

შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა გარკვეული პროვოკაციების მოწყობის გზით ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამეფების მცდელობები. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, „მრგვალი მაგიდა" მიზანმიმართულად აგრძელებდა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით მოეწყო მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა. მის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?" რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3მილიონ სამასიათასზე მეტმა ამომრჩეველმა. გამოკითხულთა 98%-მა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა.საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობის უმეტესობამაც.

რეფერენდუმის შედეგებმა ქვეყნის ხელისუფლებას მეტი საფუძველი მისცა საქართველოს პოლიტიკური ბედის გადასაწყვეტად. დაეყრდნო რა 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატული რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა [2].

1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ნაწილს (დე-ფაქტო). რაც შეეხება მეორე ეტაპს, ანუ დე-იურეს, ის უკვე განხორციელდა 1991-92 წლების მიჯნაზე, როდესაც საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, მიმდინარეობდა საქართველოს მაშინდელი კანონიერი ხელისუფლების დამხობის პროცესი, რუსული ჯარის სპეცნაწილების დახმარებით. მაშინ, საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 28 სახელმწიფომ და ამით დასრულდა საქართველოს 1921 წლის თებერვალში დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი. ეს უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენდა, როგორც ქართველი ერის, ასევე, პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ და მისი ლიდერის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასათვის, რომელმაც მიუხედავად არსებული სირთულეებისა, შეძლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და წინასაარჩევნო დანაპირების შესრულება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

13. აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, თბილისი, 2013.
14. ანთელავა ი., გაფრინდაშვილი მ., ვაჩნაძე მ., მელიქიშვილი გ., მეტრეველი რ., საქართველოს ისტორია, თბილისი, 1996.
15. გამახარია ჯ., ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.), თბილისი, 2004.
16. გვენეტაძე ე., კალანდია ზ., საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, თბილისი, 2011.
17. შველიძე დ., პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.), თბილისი, 2008.
18. გაზ. „მამული“, თბილისი, 1990, № 23.
19. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1990, № 289.

Aleksandre Mosiashvili

Assistant-Professor of Jakob Gogebashvili Telavi State University

Hindrance to the Circumastences of Georgia Aspiration for Independence in 1989-1990 Years

Summary

Tragedy which happened in Tbilisi in 9 april of 1989,determined the consolidation of Georgian nation.The national liberation movement for the complete political independence of Georgia with more energy.In October 28 of 1990,carried out first multiparty which really ensured the current regime change of communist by the nation forces,and gave the ability ti the new Govement,to put Georgia on the road to independence.Is doomed to fail the communist regime was not going to put up with the current situation.It tried all the way to discredit-destruction the national-liberation movement and national government.Because of this, they were applied so-called stirring up of conflicts of Ethno in different region of Georgia.Promition of the extremism and separatism,Destrabilization,Illegal arrests,Terrors and etc.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატი არისტოკრატია საქართველოსა და კავკასიის შესახებ

საკითხი ეხება მეტად ფაქიზ, დღესაც აქტუალურ თემას: იყო და არის თუ არა რუსეთის ინტელიგენცია იმ იმპერიული პოლიტიკური კურსის მხარდამჭერი, რასაც ყოველთვის ატარებდა და ატარებს რუსული ხელისუფლება ზოგადად, კონკრეტულადკი – საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. ორი რუსეთის პრობლემა ქართულ ცნობიერებაში სულ იდგა და ყოფდა საზოგადოებრივ აზრს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ორი რუსეთის თეორია დომინანტობდა, თანამედროვე ისტორიკოსები კი, ამ საკითხზე მსჯელობისას, სიმართლეს თვალს უსწორებენ და წერენ, რომ „„ორი რუსეთი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით არც არსებულა და არც არსებობს, იგი მხოლოდ მითია, ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან“ [1, 36].

თუ სიმართლეს არ გავექცევით, რუსულ საზოგადოებაში XIX საუკუნეშიც და შემდეგაც იყვნენ ისეთი ლიბერალურ-ჰუმანური აზროვნების მქონე პიროვნებები, რომლებიც პატივს სცემდნენ საქართველოს წარსულს, მის მდიდარ კულტურასა და ლიტერატურას, ეთნოტრადიციებს, სიყვარულს გამოხატავდნენ ამ ტრადიციების მატარებელი ხალხისადმი. ზოგი ამ გრძნობებში გულწრფელი იყო, ზოგი ამას დიპლომატიური მანევრის გამო აკეთებდა, ზოგიც მოჩვენებით და ყალბად. ამის მიუხედავად, თითქმის არცერთი მათგანი არ უჭერდა მხარს საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობას, ცალკე სახელმწიფოებრიობას. ამის მაგალითად გამოგვადგება ყველაზე გამორჩეული რუსული ინტელიგენციის წარ-

მომადგენელთა დამოკიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი. ამ მხრივ საოცრად ზუსტია იტალიელი ქართველოლოგის, პროფესორ ლუიჯი მაგაროტოს თვალსაზრისი: „XIX საუკუნის I ათეული წლების რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში როგორც იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხებისადმი, ასევე მოსაზღვრე მცირე ქვეყნებისადმი დამპყრობლური და იმპერიული დამოკიდებულება იყო გაბატონებული. ეს ითქმის როგორც ცარისტულ და სხვა კონსერვატიულ, ასევე ლიბერალურ, თუ ლამის რევოლუციურ წრეებზე დეკაბრისტების ჩათვლით. შეიძლება დავსძინოთ, რომ დაპყრობა-ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობის ამგვარ იდეას მხურვალედ იზიარებდნენ როგორც ჯარში მომსახურე მოაზროვნეები, ასევე რუსული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის– მრავალი ლიბერალურად განწყობილი მწერალი, პუშკინის ჩათვლით, რომელმაც თავისი პოემის–„კავკასიის ტყვე“–ეპილოგში ხოტბაც კი შეასხა რუსი გენერლების კოლონიალისტურ ომს კავკასიაში. მართალია, ზოგიერთი მოაზროვნე არ თანაუგრძნობდა პუშკინის აღტაცებას რუსული ჯარის ძალადობით (ო, კოტლიარევსკი, კავკასიის შოლტო! სადაც კი გაჩნდი ელვად და მეხად– იქ შენი მისვლა შავი ჭირივით აცამტვერებდა და სპობდა ტომებს!) და აკრიტიკებდა მას ხელისუფლების წინაშე მლიქვნელობისა და ქედის მოხრისათვის (პოეტი და კრიტიკოსი პეტრე ვიაზემსკი, სხვათა შორის პუშკინის მეგობარი, მას იმაში ადანაშაულებდა, რომ „სისხლით შებღალა თავისი პოემის ბოლო სტრიქონები“), მაგრამ ასეთი ადამიანები იშვიათობას წარმოადგენდნენ და, ცხადია, ისინი ვერ აღუდგებოდნენ წინ რუსეთის საზოგადოებაში გამეფებულ საერთო სულისკვეთებას“ [2, 153-154].

რაც შეეხება ამ ციტატაში ნახსენებ დეკაბრისტებს, მათი მოსაზრებები, რაც დეკაბრისტულ პროგრამებში აისახა, ნათლად მეტყველებს „ორი რუსეთის“არსებობის აბსურდულობას.

დეკაბრისტები, – ეს რუსი რევოლუციონერები, რუსული სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც რუსეთ-საფრანგეთის 1812 წლის ომში და 1813-1814 წლებში რუსეთის მიერ მოწყობილ ევროპულ სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, არ მალავდნენ თავიანთ იმპერიულ თვალსაზრისს კავკასიისა და კავკასიელებისადმი. როგორც ვიცით, რუსეთში დაბრუნების შემდეგ მათ გადაწყვიტეს თავიანთი ქვეყნის გარდაქმნა და ევროპული რეფორმების გატარება. ამ მიზნით, დეკაბრისტებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოებები: „ჩრდილოეთის საზოგადოება“ – პეტერბურგში და „სამხრეთის საზოგადოება“ – ოდესაში. ამ საზოგადოებებს ხელმძღვანელობდნენ პავლე

პესტელი და ალექსანდრე მურავიოვი. ევროპული აზროვნება და რეფორმები მათ სულაც არ უშლიდათ ხელს იმპერიულ აზროვნებაში. მათი აჯანყება დაგეგმილი იყო 1825 წლის 14 დეკემბრისათვის, როდესაც პეტერბურგის სენატის მოედანზე იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლის ცერემონია ტარდებოდა. აჯანყებულებს სურდათ მონარქიის შეცვლა რესპუბლიკური, ან კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილებით, ახალ სახელმწიფოში კი ისევე დამამცირებელ როლში მოიაზრებდნენ დაპყრობილ ხალხებს, როგორშიც ისინი მანამდე, იმპერიულ რუსეთში იყვნენ.

მოძრაობის ლიდერებმა შეადგინეს პროექტები რუსეთის შემდგომი მოწყობის შესახებ. ამ დოკუმენტებში მათი მიდგომა რუსეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ხალხებისადმი, ცარიზმის მსგავსად რეაქციული, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მეტად აგრესიულიც იყო. მაგალითად: „მშვიდობიან" კავკასიელებს ისინი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში ტოვებდნენ, ოღონდ მთლიანად უნდა წაშლილიყო მათი ეროვნული ნიშნები და გარუსებულიყვნენ. „მღელვარენი" უნდა აეყარათ და რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაესახლებინათ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მომხდარ ანტირუსულ აჯანყებებს (1802, 1804, 1812-1813, 1819-1820 წ. წ.), ქართველები სწორედ „მღელვარე" ხალხში იქნებოდნენ ჩაწერილნი.

დეკაბრისტთა ამ რეაქციულ თვალსაზრისს კარგად აჩვენებს შემდეგი დოკუმენტი : **პავლე პესტელის „რუსსკაია პრავდა" კავკასიელი ხალხების შესახებ, პარაგრაფი 11.**

„კავკასიელი ხალხები ცალკეულ სამფლობელოთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ისინი სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელნი არიან, განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ, მრავალფეროვანი ადათები და მართვა-გამგეობის წესები გააჩნიათ; ერთმანეთს მხოლოდ ერთ რამეში, სიფიცხესა და მძარცველობაში ჰგვანან. მუდმივმა საომარმა მოქმედებებმა, რაც ამ ხალხების ცხოვრების წესია, ისინი გამორჩეული სიმამაცითა და მოხერხებულობით დააჯილდოვა. მაგრამ ცხოვრების იგივე წესია დამნაშავე იმაში, რომ ეს ხალხები ძალიან ღარიბნი და გაუნათლებლები არიან. მიწა, რომელზედაც ცხოვრობენ, დალოცვილია და ძველთაგანვე განთქმულია იმით, რომ აქაური ბუნება ადამიანის შრომას უხვად ანაზღაურებს. ეს ოდესღაც აყვავებული და უმშვენიერესი მხარე, დღეს გაუდაბურებულია და ნახევრად ველური ხალხებით არის დასახლებული.

სპარსეთისა და მცირე აზიის მოსაზღვრე ამ მხარის დაკავება რუსეთს კარგ საშუალებას მისცემდა აქტიური და მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობები დაემყარებინა სამხრეთ აზიასთან და ამით გაემდიდრებინა სახელმწიფო. ეს ყოველივე კი იმიტომ არ ხერხდება, რომ კავკასიელი ხალხები ძალიან საშიში და მშფოთვარე მეზობლები და არასაიმედო, უსარგებლო მოკავშირეები არიან. მხედველობაში ვიღებთ რა იმ გარემოებას, რომ ამ ხალხების მშვიდობიანი ხერხებით მოთვინიერება შეუძლებელია, საჭიროა ამ მიწებზე დამყარდეს დროებითი უმაღლესი მმართველობა:

აუცილებლად უნდა იქნას დაპყრობილი ყველა ხალხი, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის საზღვრიდან სპარსეთსა და თურქეთამდე გადაჭიმულ მიწებზე, დღეს თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ზღვისპირეთის ჩათვლით.

ყველა ეს კავკასიელი ხალხები დაიყოს ორ კატეგორიად: მშვიდობიანებად და მღელვარეებად. პირველები დატოვებულ იქნან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე, ოღონდ დავუმყაროთ მათ რუსული წყობილება და მმართველობა; მეორენი დავანაწილოთ მცირე ჯგუფებად და ჩავასახლოთ რუსეთის შუაგულში მდებარე სხვადასხვა რუსულ სამფლობელოებში.

კავკასიურ მიწებზე დავაარსოთ რუსული დასახლებები. იქ ჩასახლებულ რუსებს საკუთრებაში გადავცეთ მღელვარე კავკასიელებისათვის ჩამორთმეული მიწები. ამ ხერხით, კავკასიაში წაიშალოს ყოველგვარი ნიშანწყალი უწინდელი (ანუ ახლანდელი) მცხოვრებლებისა და ეს მხარე კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად გადაიქცეს. ამ ღონისძიებების გატარების ყველა დეტალი დროებით უმაღლეს მმართველობას დაექვემდებაროს და მისი განკარგულებით განხორციელდეს“ [3, 490-493].

დეკაბრისტთა ნაწილი კავკასიაში გადმოასახლეს. ისინი ქართველ არისტოკრატიას დაუმეგობრდნენ. ქართველები განათლებული და ლიბერალური ღირებულებებით მოაზროვნე რუსი რევოლუციონერებით მოიხიბლნენ. ადამიანური ურთიერთობები ადვილად გაიბა. ამ ჭეშმარიტად გულწრფელი და თბილი ურთიერთობის მიღმა იმალებოდა დეკაბრისტთა გეგმები კავკასიელების მიმართ, რაც მათთან დამეგობრებული ქართველებისთვის ძირითადად უცნობი იყო.

ბევრ სხვა ისტორიულ ფაქტთან ერთად, კავკასიელ ხალხებზე დეკაბრისტების თვალსაზრისი კიდევ ერთხელ აქარწყლებს მითს, თითქოს რუსეთში ოდესმე რომელიმე პოლიტიკური ძალა იყო სხვა ერების ინტერესების დამცველი. ლიბერალური და პროგრესული

იდეების მიუხედავად, როდესაც საქმე „ინოროდცებს“, ამ შემთხვევაში კავკასიელებს შეეხო, იმპერიული აზროვნებისგან ვერც დეკაბრისტები განთავისუფლდნენ. თავიანთ სამშობლოში ისინიც გაორებულნი იყვნენ: თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის აშენება სურდათ, იმპერიულ იდეებს კი ვერ ელეოდნენ.

სამწუხაროდ, ცარიზმის დროინდელი ქართული არისტოკრატიის დიდი ნაწილი, ისევე, როგორც დეკაბრისტებისადმი, ზოგადად რუსი მოხელეებისადმი მიმნდობი იყო. მხოლოდ მოწინავე და გაბედული ნაწილი ამხელდა ცალკეულ მოხელეთა სისასტიკესა და ნაციონალურ შოვინიზმს, მაგრამ, შეცდომით, მიაჩნდათ, რომ ამგვარ მოხელეებს კავშირი არ ჰქონდათ უმაღლეს ხელისუფლებასთან, იმპერატორთან. იმპერატორისა და უმაღლესი ხელისუფლების კრიტიკას ტაბუ ჰქონდა დადებული. ამგვარ დამოკიდებულებას ცნობილი საზოგადო მოღვაწე – არჩილ ჯორჯაძე ასე ხსნიდა: „თავადაზნაურთა საუკეთესო წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ თუ რაიმე საერო და სახელმწიფოებრივი მუშაობა იყო საქართველოში, ეს იყო ნაყოფი დიდი მეფეების და მათი ერთგული საერო და სამღვდელო პირების თანამშრომლობისა. მეფე იყო ფეოდალთა ამლაგმველი, წესიერების დამამყარებელი, ეროვნული და პოლიტიკური სხეულის განმამტკიცებელი. მეფის ერთგულება და მომხრეობა იყო პროგრესისტობა და მოწინავეობა...გრძნობა, მიმართული წინათ ქართველი მეფეებისადმი, დღეს ახალ მფარველებს ეკუთვნოდათ... ახალი რეჟიმის უვარგისობა ასეთ ადამიანთა თვალში პოლიტიკური მმართველობის უვარგისობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მოხელეთა უვარგისობით, რომელნიც გარს ეხვეოდნენ უანგარო და ყოველი სიკეთის მქონე მეფეს“ [4, 424].

ამ მხრივ საინტერესოა დიდი ქართველი პედაგოგისა და განმანათლებლის – იაკობ გოგებაშვილის შეხედულებაც. ისიც, თავისი თაობის სხვა მოაზროვნეებთან ერთად, აკრიტიკებდა შოვინისტ მოხელეებს: ვოსტორგოვს, იანოვსკის, განათლების მინისტრს – დელიანოვს, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სკოლების დირექტორებს – ლევიტსკისა და ზავადსკის, რუს პედაგოგებს, რომლებიც ებრძოდნენ მის ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკას. ამ მოხელეთა მოღვაწეობას ის არ უკავშირებდა იმპერიის მესვეურთა პოლიტიკას, მიაჩნდა, თუ მალავდა ნამდვილ აზრს იმის თაობაზე, რომ მოხელეები ანხორციელებდნენ სახელმწიფოს გეგმებსა და ინტერესებს. გამორჩეული აზრი ჰქონდა მას გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორზე. ამ სამთავრობო, იმპერიული და რეაქციული პოლი-

ტიკის გამტარებელ გაზეთს რედაქტორობდა წარმოშობით უკრაინელი, ლიბერალ-დემოკრატის ამბიციით განმსჭვალული ჟურნალისტი და მწერალი – ვასილ ველიჩკო. მას ბებია ჰყავდა ქართველი, ამითაც ხსნიდნენ მის სიმპათიას ქართველებისადმი. თუმცა, ველიჩკოსაც არ აკლდა კრიტიკოსები. ბევრი მას ვორონცოვს ადარებდა და არ ივიწყებდა მის იმპერიულ-დერჟავულ ინტერესებს, რასაც ატარებდა რუსეთის ოფიციალური ორგანო – გაზეთი „კავკაზი“, რომლის რედაქტორი იყო ვასილ ველიჩკო.

გოგებაშვილი შეეცადა გაემიჯნა ველიჩკოს პიროვნებასა და მოღვაწეობაში ერთმანეთისაგან დადებითი და უარყოფითი მომენტები და ამ რუსი მოხელის რეალური სურათი წარმოედგინა. სტატია –„მოყვარე თუ მტერი?“, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ 1904 წელს გამოქვეყნდა[5, 133], ეძღვნებოდა ველიჩკოს გარდაცვალებას. ცნობილი პოეტი, რედქტორი და გამომცემელი პეტერბურგში გარდაიცვალა 1903 წელს. იაკობი ეხმიანებოდა გაზეთებში –„ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ ველიჩკოსადმი მიძღვნილი სტატიების პათოსს და არკვევდა ქართველებისადმი მის დამოკიდებულებას. „ივერია“ აქებდა ველიჩკოს და ქართველების დიდ მოყვარედ გამოჰყავდა, „ცნობის ფურცელი“ კი, პირიქით. ამის გამო, იაკობის აზრით, „ზოგის თვალში ველიჩკო დარჩა ჩვენს მტრად, ზოგს კი დღესაც ჩვენს მეგობრად მიაჩნია.“სტატიაში იაკობი შეეცადა ეჩვენებინა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გოგებაშვილმა ცხოვრებისეული მაგალითებით დახატა ამ ადამიანის პორტრეტი. სტატიაში ის იხსენებდა ველიჩკოს გაცნობას, როდესაც, გოგებაშვილმა სცადა გაეგო ველიჩკოს ეროვნული ინტერესები, რამდენად იყო ის რუსული იმპერიული აზროვნების მქონე და წვეულებაზე მის გვერდით მოხვედრილს საუბარი დაუწყო მალოროსიელთა უფლებებზე, რუსეთის მიერ მათი ასიმილაციის ცდაზე. იაკობი მისგან ელოდა უკრაინელთა ინტერესების დაცვას, თუმცა, ველიჩკომ უპასუხა, რომ ეს პრობლემა არ იყო, რადგან მალოროსიელები ამას სიხარულით ეგებებიან, ასიმილაცია თავადაც მოსწონთო. ამაზე გოგებაშვილს ქართველთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც ველიჩკოს აქებდა, უთქვამს: ეგ კაცი თავისი საკუთარი სამშობლოს გადაგვარებას არ წუხს და ჩვენ როგორ დაგვიჭერს მხარსო, რაზეც მისთვის უპასუხნიათ: ველიკოროსიელნი და მალოროსიელნი თითქმის ერთი და იგივე ხალხია, ჩვენ კი დიდად განვსხვავდებით რუსებისაგან, ამიტომ, მისი უნდა გვჯეროდესო. სამი რამისთვის ვემდუროდიო, – წერს გოგებაშვილი: 1. ის იყო

რეტროგრადი, და მტრული თვალით უყურებდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის რეფორმების გატარებას ჩვენში, ისეთს, როგორიც ერობის და ნაფიც მსაჯულთა სამართალია; 2. ველიჩკო ხშირად უხმობდა პოლიციელებს ბრძოლაში დასახმარებლად; 3. ქადაგებდა რეპრესიებს მეზობელი ხალხის წინააღმდეგ (გულისხმობდა სომხებს, რომელთაც ველიჩკო მუდამ აკრიტიკებდა, დ. ჭ.), რეპრესიები კი გადამდებია, როგორც სახადი, ხორველა და შავი ჭირიო. ყველაფერ ამის გამო „კავკაზშიც“ არ დავდიოდიო. ველიჩკო იყო მიმდევარი დენაციონალიზაციისა და რუსებთან მცირე ერების ასიმილაციისაო. გოგებაშვილი ველიჩკოს ამ მცდარ მოსაზრებას ასე აქარწყლებდა: „დენაციონალიზაციას აუცილებლად მოსდევს დემორალიზაცია, გახრწნა და დაცემა ერისა, მეტადრე იმისთანასი, რომელსაც თავისი საკუთარი ისტორიული ცხოვრება ჰქონია მრავალი საუკუნის განმავლობაში და საკუთარი კულტურა შეუქმნია. **ყლორტი შეიძლება ამყნოთ სხვა ხეზე, მაგრამ თუ დასრულებულს და ხნიერ ხეს მოუნდომებთ ამას, იგი უთუოდ დაჭკნება და გახმება.“**

60-იანი წლების მამულიშვილთა აღტაცებასა და პატივისცემას ველიჩკოსადმი ასე ხსნიდა იაკობ გოგებაშვილი: „ეს აიხსნება იმითი, რომ **ველიჩკო უპირატესობას აძლევდა ქართველებს რუსეთის ყველა უცხო ტომთა შორის და რუსების შემდეგ პირველ ადგილს უთმობდა. მხოლოდ მარტო ქართველებისთვის მოითხოვდა თანაბარ უფლებებს მებატონე ერთანა.“**

გოგებაშვილი ეხმიანებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავზე ველიჩკოს წერილებს „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ში. ამ სტატიებში საქართველოს ბედით შეწუხებული ავტორი რუსეთს პირდაპირ უჩვენებდა და უშლიდა სურათს, თუ რა დამსახურება ჰქონდა ქართველ ხალხს მის წინაშე, ურჩევდა მასთან დამოკიდებულების შეცვლას, ქართველები ჩვენი ერთგული მეგობრები არიან და დროა ცვლილებები შეიტანოთ მის საერო და საეკლესიო მართვაშიო.

გოგებაშვილს მოსწონდა ველიჩკოს წერილები დედა-ენის შესახებ, რომელიც მან „Русский вестник“-ში გამოაქვეყნა. ამ წერილებში ის იცავდა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობას და სრულად პასუხობდა თავად გოგებაშვილის შეხედულებას იმდროის საქართველოში, მეტად რთულ და საკამათო საკითხზე.

ეს ყველაფერი გოგებაშვილს მაინც არ მიაჩნდა საკმარისად – ველიჩკოში დაენახა ქართველთა ეროვნული ინტერესების სრულად დამცველი და მოკავშირე. გოგებაშვილი ამჩნევდა, რომ ველიჩკო არ იყო თამამი დემოკრატიულ-ლიბერალური მოაზროვნე, ის შებოჭილი იყო საზოგადოებრივი აზრის თუ ხელისუფლების შიშით, ამიტომ, ფსევდონიმებით როდესაც წერდა სხვაგვარი იყო, უფრო თამამი, ვიდრე „უპირბადოდ.“ასეთი იყო ის ქართველებისადმი პოზიციის გამოხატვისას. მისი "თანაგრძნობა ხშირად სუსტდებოდა და ირყეოდა, როდესაც საკუთარი სახელით გამოდიოდა მკითხველი საზოგადოების წინაშე. ველიჩკოს ეშინოდა მთავრობის თვალში ქართველების ქების გამო ნდობა არ დაეკარგა. არ ვიცით ამის, თუ სხვა რამის გამო, მან მხარი არ დაუჭირა რკინიგზის გაყვანას ფოთიდან თბილისამდე," ამას გოგებაშვილი იგონებდა და ველიჩკოს ამგვარი მოქცევის მიზეზსაც ასახელებდა: ქართველები ნერვიული ხალხია და მათი დაკავშირება საშიშიაო [6, 26].

გოგებაშვილი ველიჩკოს მაგალითით საუბრობდა მტერ-მოყვარეობის გარჩევასა და ერის კონსოლიდაციის აუცილებლობაზე.

„ზოგი ჩვენებური ინტელიგენტნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ველიჩკოს მტერ-მოყვარეობას ისევ წმინდა მტერობა სჯობიანო. დიაღაც ემჯობინებოდა, ჩვენი მდგომარეობა რომ მეტად კრიტიკული არ იყოს. მოგეხსენებათ, რომ რკინას ცემა სიმტკიცეს უმატებს და აფოლადებს. მაგრამ თუ თუჯს დაუშენთ დიდ ჩაქუჩებს, იგი კი არ გამაგრდება, გატყდება. ხან ხალხი არის რკინის მდგომარეობაში, ხან თუჯს მოგაგონებთ და ბევრს ცემას ვერ აიტანს, ბევრს მტერს ვერ გაუძლებს. საუბედუროდ, ჩვენი სამშობლო ამჟამად სწორედ თუჯს ემსგავსება. წოდებანი ერთმანეთს ებრძვიან, პროვინციალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, ბატონყმობა ფაქტიურად ჯერ კიდევ არსებობს, ინტელიგენცია დაყოფილია პატარ-პატარა ჯგუფებად, საერთო პროგრამა არ არსებობს, და ყველა ამის გამო ქართველობა შეკუმშულს ერს არ წარმოადგენს. ამისთანა ყოფაში მტერ-მოყვარენი მტრად არ უნდა გადავაქციოთ, მოწინააღმდეგე ძალა არ უნდა გავაძლიეროთ, თორემ ადვილად შეიძლება ერის ორგანიზმი სამუდამოდ გატყდეს, სუსტი თუჯივითა. როცა ჩვენი სამშობლო გამოვა ამ მდგომარეობიდან, ბატონყმობა ფაქტიურად მოისპობა, პროვინციალიზმი გაქრება, ინტელიგენცია სოლიდარობის გზას მტკიცედ დაადგება, და ჩვენი ერის სოციალური ორგანიზმი რკინის სიმტკიცეს მოიპოვებს, მაშინ თამამად და უშიშრად

შეგვეძლება მტერ-მოყვრებს ზურგი შევაქციოთ და მათ წმინდა მტრობას სრულიად აღარ შევუშინდეთ“ [6, 27].

ბევრი ქართველი განათლებული არისტოკრატი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ფიქრობდა რუსეთის ერთგულება და სამშობლოს სამსახური ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა. მათ სწამდათ, რაც უფრო მეტად უერთგულებდნენ ხელისუფლებას, სამშობლოს მეტ სარგებლობას მოუტანდნენ. რუსეთის მთავრობა თავის სამსახურში გამორჩეულებს მისცემდა ქართული საქმეების კეთების საშუალებას. ეს ასე არ მოხდა. ამის საუკეთესო მაგალითი არის **დიმიტრი ყიფიანის** ცხოვრება.

ღრმად განათლებული, პრინციპული და სამართლიანი **დიმიტრი ყიფიანი საქართველოს ეროვნული გმირი, თავდადებული ადამიანი და ყველა ეროვნული საქმის სულისჩამდგმელი იყო.** იგი ახალგაზრდობის წლებში, ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეით განმსჭვალული, მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც ვოლოგდაში გადაასახლეს. 1837 წელს სამშობლოში დაბრუნებული გახდა კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ბევრითად ასრულებდა ტახტის უერთგულესი ქვეშევრდომის როლს, იყო თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა გუბერნიების წინამძღოლი, თბილისის ქალაქის თავი. **კავკასიის ადმინისტრაციის სამოხელეო ელიტაში ყოფნის პარალელურად, ის აქტიურად მონაწილეობდა ისეთი ეროვნული დაწესებულებების დაფუძნებაში, როგორიც სათავადაზნაურო ბანკი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო**. როდესაც XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ყოველივე ქართულის დევნა და ქართველი ერის გარუსების მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება, მან ვერ შეძლო დაეფარა თავისი უკმაყოფილება, დაუპირისპირდა ხელისუფლებას და სასტიკად დაისაჯა კიდეც.

1885 წელს, დიმიტრი ყიფიანის ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლობის დროს, ქუთაისს ეწვია დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. მას ყიფიანმა საუბარში უთხრა: რომ თავადაზნაურობა, საერთოდ ქართველობა, წინანდებურად ერთგულია ხელმწიფის, ფიცისთვის არ უღალატნია, და რით უნდა აიხსნას ადგილობრივი მმართველობის მიერ ქართველების ასეთი დევნაო. ყიფიანმა ეს თვალსაზრისი წერილობითაც შეადგინა და ბორჯომში გადასცა დიდ მთავარს. კრიტიკა ძირითადად კავკასიის მაშინდელ მთავარმართებელს – დონდუკოვ-კორსაკოვს

ეხებოდა, ხოლო თავისი დიდი პატივისცემა და ერთგულება რუსეთის იმპერატორისადმი აქაც დაადასტურა. დიდმა მთავარმა დიმიტრი ყიფიანის მოხსენების შინაარსი აცნობა მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელმაც ახსნა-განმარტება მოსთხოვა დიმიტრი ყიფიანს. ყიფიანმა უპასუხა, რასაც გულისხმობდა: 1. ქართველთათვის სახელმწიფო სამსახურში მიღების დროს დაბრკოლებების შექმნას; 2. სახალხო განათლების სფეროში მიმდინარე ანტიქართულ მოვლენებს.

ახსნა-განმარტების ტექსტი ასე მთავრდებოდა: **„არსებობს მიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის. ამჟამად კი ახალ კულტურას ჰნერგავენ – მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ენის საშუალებით.** ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ-ხევსურისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ეს ყოველივე იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებლური საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულება დაიმსახურა?

მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვსთვლი მუდამ ამ მადლობის და ერთგულების გრძნობაზე ვიდგე და სწორედ რომ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისთვის?..“

ამის შედეგი ის იყო, რომ 1885 წლის 13 დეკემბერს იმპერატორმა საგანგებოდ განიხილა ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლის საქციელი, რაც ეცნობა მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს: **„ხელმწიფე იმპერატორი სცნობს რა ბ-ნ ყიფიანის ამგვარ მოქმედებას უადგილოთ, თქვენ ბრწყინვალებას ავალებს გამოუცხადოს მას შესაფერისი გაკიცხვა.**“დონდუკოვ-კორსაკოვის და მის მსგავსთა მოქმედება საქართველოში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო, რომლის სათავეში იმპერატორი იდგა...

1886 წელს თბილისის სემინარიის მოსწავლემ იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა ამ სასწავლებლის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი. ეს იყო საქართველოში განხორციელებული რეპრესიებითა და მთავრობის რეაქციულ-შოვინისტური პოლიტიკით გამოწვეული მკვლელობა. ხელისუფლება შეშფოთდა, ცენტრალური რუსული პრესა ალაპარაკდა ქართველების ველურობაზე, ხოლო ეგზარქოსმა პავლემ ჩუდეცკის დასაფლავების დროს დასწყევ-

ლა და შეაჩვენა ის ერი, რომლის წრიდანაც მკვლელი ლაღიაშვილი გამოვიდა.

დიმიტრი ყიფიანმა წერილი მისწერა ეგზარქოსს და ურჩია: თუ მართალი იყო ეს ამბავი, დაეტოვებინა საქართველო, რადგან ვეღარ იქნებოდა სულიერი მოძღვარი იმ ერისა, რომელიც დაწყევლა. ეგზარქოსმა მეორე დღესვე უპასუხა და მიუთითა გაზეთ „კავკაზ"-ში გამოქვეყნებულ თავის სიტყვაზე, რომელშიც სწორედ სადავო ადგილი (წყევლა) იყო ამოღებული. ყიფიანი ცილისწამებაში დაადანაშაულეს.

დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს თავადაზნაურთა წინამძღოლობიდან და საცხოვრებლად ქ. სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წლის 24 ოქტომბერს რუსეთის მთავრობამ თავისი აგენტების საშუალებით სიცოცხლეს გამოასალმა მძინარე მოხუცი. ეგზარქოს პავლეს კი, ერთგული სამსახურისთვის ხელმწიფემ უბოძა ბრილიანტის ჯვარი ბარტყულზე სატარებლად. ამის გარდა, ამავე პერიოდში, რუსული თავადაზნაურობა გამორჩეულად იქნა მიჩნეული მთელს იმპერიაში, რასაც იმპერატორი რესკრიპტით ამოწმებდა: „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის კეთილ ვცანით, რომ რუსეთის თავადაზნაურობას, როგორც წინეთ, ისე ეხლაც, უნდა შერჩეს პირველობა სარდლობაში, ადგილობრივ მმართველობაში და სასამართლოში... და ის უანგაროდ უნდა ზრუნავდეს ხალხის საჭიროებაზე"[7, 93].

ყველაფერმა ამან ცხადი გახადა, რომ ერთდროულად რუსეთის ტახტის ერთგულება და სამშობლოს სამსახურის იდეა, რომელსაც ქართველი არისტოკრატიის ერთი ნაწილი მისდევდა, უშედეგო იყო. რუსეთის იმპერიისა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები რადიკალურად განსხვავდებოდა და მათი შეთავსება შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ამ დამარცხებულ იდეოლოგიას ჩვენში შემდეგაც მიმართავდნენ, რასაც მარტოოდენ ზიანი მოჰქონდა ქვეყნისა და ხალხისათვის. ზოგიერთები, სამწუხაროდ, დღესაც არ გამორიცხავენ მსგავსი ვითარების შესაძლებლობას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2014.
2. ლუიჯი მაგაროტო, საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა, თბილისი, 2008.
3. Русская Правда (Конституционный проект П. И. Пестеля), 1825 г., წიგნში: С. Бертолисси, (под ред А. Н. Сахарова), Конституционные проекты в России, XVIII–начала XX в., Москва, 2000.
4. არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბილისი, 1989.
5. გაზეთი „ივერია, 1904, №133.
6. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი 5 ტომად, ტომი III, 1990.
7. 1885 წლის 21 აპრილს რუსეთის იმპერატორის უმაღლესი რესკრიპტი თავადაზნაურობის შესახებ, გაზ. „დროება", 1885, № 93.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,Chief Research scientist of the Department of Modern and Contemporary History

Russian Liberal-Democrat Aristocracy about Georgia and the Caucasus

Summary

The article deals with a topical issue in the past untiltoday: Do the progressive society of Russia support Russia's imperial policy in the Caucasus or not. In exemple Decembrist nd other Russian Liberal-Democrat, it is shown that the Russian educated society always supported and justified his country's policy towards small nations.Russian officials, who featured expressed their love and friendship to the Georgian nation, frequently have changed attitudes. InThe letter it is shown Vasil velichko's, The editor of newspaper "Caucasus" activitis "black - white" sides.. Jacob gogebashvili colled once velichko as "an enemy - a friend". The article criticizes Georgians and other small nations "obedience" policy toward Russia, which many Georgians are still support. However historically, this policy has always ended in failure. The reason was that the national interests of both Georgians and Russians excluded.

ნატო სონღულაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

აღნიშნული სტატია დაიწერა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (52154) მეშვეობით

ქართულ-დასავლური ურთიერთობები (1991-1992)

ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისთვის და მათ შორის, საქართველოსთვის აუცილებელია გარკვეული ღირებულებების ერთობლიობა. XX საუკუნის 90-იან წლებში მწვავედ დადგა საკითხი, როგორ უნდა განვითარებულიყო დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობა. საჭირო გახდა გამოკვეთილიყო იმ ფასეულობების მნიშვნელობა, რაზეც საქართველოს მომავალი აიგებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული საზოგადოების და სახელმწიფოებრიობის იდეა გარკვეულ გადასინჯვას საჭიროებდა და ეს ბუნებრივიც იყო.

ტრადიციული ქართული ღირებულებების აღორძინება-განვითარებასთან ერთად აღნიშნულ პერიოდში აქტუალური იყო ქართულ-დასავლური ურთიერთობის საკითხი. საქართველო პრეტენზიას აცხადებდა დასავლურ სახელმწიფოთა ოჯახში გაწევრიანებაზე. ეს პროცესი ცვლილებებისა და გარდაქმნების ფონზე მიმდინარეობდა.

საქართველოსთვის, საერთაშორისო ურთიერთობების ქსელში საკუთარი ადგილის დამკვიდრება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. 1989-1992 წლები გადამწყვეტი იყო ეროვნული თვითშეგნების გამოკვეთასა და აღორძინებაში. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა დასავლეთთან ურთიერთობის საკითხი. ამას მოწმობს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტისა და წმინდა ილია

მართლის საზოგადოების გამგეობის დეკლარაცია მიღებული 1989 წლის 17 აგვისტოს გაფართოებულ სხდომაზე: „საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: უნდა შედგეს სპეციალური მიმართვები, რომლებიც გაიგზავნება ისეთ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა, გაერო, ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია, გაერთიანებული ქვეყნების მთავრობები. მოთხოვნილ იქნას საერთაშორისო მისიების ჩამოსვლა საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის დასმისა და განხილვის მიზნით. აგრეთვე, გაეროს ექსპერტების ჩამოყვანა 9 აპრილისა და 15 ივლისის გენოციდის ფაქტების შესასწავლად“ [7, 258]. აღნიშნულის გამოხატულებაა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუელიარისადმი: „უმორჩილესად გთხოვთ არ დარჩეთ გულგრილი ანექსირებული ერის ბედის მიმართ. შექმნათ საერთაშორისო კომისია და გამოგზავნოთ ექსპერტები ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესასწავლად. (ანალოგიური შინარსის წერილები გაეგზავნა აშშ-ს პრეზიდენტს ბ-ნ ჯორჯ ბუშს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ქ-ნ მარგარეტ ტეტჩერს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ ფრანსუა მიტერანს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლკის ფედერალურ კანცლერს ბ-ნ ჰელმუტ კოლს, მის უწმინდესობას რომის პაპს იოანე პავლე მეორეს)“ [7, 61-62].

აი, რას ვკითხულობთ აშშ სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მიმართ გაგზავნილ წერილში: „ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებული ქართველი ხალხის სახელით მოგმართავთ თქვენ, სახელმწიფო მდივანს ამერიკის შეერთებული შტატებისა, ქვეყნისა, რომელიც წარმოადგენს თავისუფლებისა და დემოკრატიის დასაყრდენს მთელ მსოფლიოში, საბჭოთა მხარესთან მოლაპარაკებისას განიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. აშშ საკონსულოს გახსნა თბილისში.

2. ამერიკული საინფორმაციო სააგენტოების საკორესპონდენტო პუნქტების გახსნა თბილისში, რაც ხელს შეუწყობს ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების ობიექტურ გაშუქებას.

3. ქართველი და ამერიკელი ხალხების კულტურული, სამეცნიერო, შემოქმედებითი კონტაქტების გაღრმავებისათვის აშშ კულტურული ცენტრის გახსნა თბილისში.

4. 9 აპრილის მოვლენების შემდეგ დაპატიმრებული ქართველი პოლიტპატიმრების დაუყოვნებელ განთავისუფლებას.

5. 9 აპრილის ამბების გამოსაძიებლად საერთაშორისო კომისიის შექმნა [7, 73].

საქართველოს მისწრაფებას დასავლეთისაკენ მოწმობდა ის ფაქტიც, რომ ქვეყანა ორიენტირებული იყო რაც შეიძლება მეტი უცხოელი ექსპერტის საქართველოში მოწვევაზე, ქვეყნის გაცნობაზე და შემდეგში დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. „28 ოქტომბრის არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებელთა სოლიდური კორპუსი დაესწრო. უცხოელ დამკვირვებელთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, ბელგიის, შვეციის, ესპანეთის, ფინეთისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები – პარლამენტის წევრები, სენატორები, კონგრესმენები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ექსპერტები, ჟურნალისტები. არჩევნების გასაშუქებლად საქართველოში აკრედიტებული იყო საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი გაზეთებისა და ტელევიზიების 70-მდე კორესპონდენტი“ [15, 11]. სწრაფვა დასავლეთისაკენ განსაკუთრებით გააქტიურდა 1991 წლიდან. „საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიზანს როგორც გარდამავლ პერიოდში, ისე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმოადგენდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან, ხოლო 1991 წლის 9 აპრილის დეკლარაციის შემდეგ – ქვეყნის დე იურედ აღიარებისათვის ბრძოლა. საქართველოს ძირითადი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისაკენ იყო მიმართული, თუმცა სასურველი იყო აგრეთვე ხელსაყრელი განვითარება აღმოსავლეთ ქვეყნებთანაც“ [2, 42].

1991 წლის 14 მაისს ირაკლი კაკაბაძე აღნიშნავდა: „თანამედროვე დასავლური სამყარო არამცთუ წინააღმდეგია, არამედ დაინტერესებული თავისუფალ საქართველოსთან ურთიერთობით. უპირველეს ყოვლისა ამას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და საქართველოს ისტორიული მისია – იყოს ქრისტიანული და ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში. თუკი ყველაფერი ისე წავა, როგორც საჭიროა, დარწმუნებული

ვარ შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპა და ისრაელი დიდ დახმარებას აღმოუჩენენ თავიანთ ახალ მეგობარს“ [8, 213].

1991 წლის 18 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას: „საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ესწრაფვის მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებას, ცნობს საერთაშორისო სამართლის პრიმატს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და მზად არის უმოკლეს ვადაში შეუერთდეს საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს კონვენციებს, დეკლარაციებს, პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მხარი დაუჭიროთ საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამით ხელი შეუწყოთ ქვეყანაში დემოკრატიის და სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას. თქვენი მხარდაჭერის მკაფიო გამოვლინება იქნება საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევა გაერთიანებული ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის“ [8, 297].

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიმართავდა აშშ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს: „ვიმედოვნებთ, რომ ამერიკელი ხალხი და აშშ-ის მთავრობა მიესალმებიან ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, რაც გამოიხატა მის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას მსოფლიოს ერთა თანამეგობრობის დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში აშშ-სა და პირადად თქვენი მხარდაჭერით ბ-ო პრეზიდენტო“ [2, 53].

1991 წლის 29 მარტს, საქართველოს ლიდერი ზვიად გამსახურდია შეხვდა აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს და მასთან ერთად საქართველოში ჩამოსულ ამერიკის დელეგაციას. ნიქსონმა განაცხადა, რომ „ჩვენი ვიზიტი არ არის ოფიციალური ხასიათისა, მაგრამ ჩვენ პრეზიდენტის დავალებით ვართ ჩამოსული და გვევალება საქართველოს პოლიტიკური ვითარების მისთვის გაცნობა. თქვენგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა დელეგაციების გაცვლას ინტენსიური ხასიათი მიეცეს, ურთიერთდამოკიდებულება საქართველოსთან იქნეს არა ისეთი, როგორიც საბჭოთა კავშირთან იყო. ეს იქნება არსებითად ახალი სახის ურთიერთკავშირი. ამერიკის მხარე დიდად არის დაინტერე-

სებული საქართველოსთან ურთიერთობით“ [6, 32]. კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებით: „ნიქსონის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაეყოლიებინა საქართველოს პრეზიდენტი, რათა ამ უკანასკნელს შეეწყვიტა კონფრონტაციული კურსი გორბაჩოვთან. ეს კი ნიშნავდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, რომლის საჭიროებაზეც გორბაჩოვი თავის გამოსვლებში უკვე ლაპარაკობდა. თუ როგორ დასრულდა ეს საკმაოდ გულთბილი შეხვედრა, ჩანს ნიქსონის სიტყვებიდან, რომელიც მან უთხრა მასპინძელს: „მე ვხედავ, რომ თქვენ არ შეცვლილხართ. თქვენ ისევ ის მამაცი კაცი ხართ, ამ ოცი წლის წინათ რომ იყავით.“ დიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავდა, დიდი განსაცდელი გელითო წინ. ნიქსონს ახსოვდა ბევრი რამ, რადგან დისიდენტური მოძრაობის აღმავლობა საბჭოთა კავშირში მის პრეზიდენტობას დაემთხვა“ [2, 106].

აღნიშნულ ვიზიტს ნოდარ ნათაძე შემდეგნაირად აფასებს: “... რიჩარდ ნიქსონი, სხვათა შორის „საპარლამენტო ოპოზიციასაც“ შეგვხვდა კრწანისში... მაგრამ, ნიქსონის ჩამოსვლის მიზანი, ცხადია მხოლოდ ოპოზიციასთან საუბარი არ იყო. როგორც ახლა ვხედავ და როგორც „მრგვალებისაგან“ მიღებული ინფორმაციაც მიგვითითებს, მისი (და, ალბათ არა მხოლოდ მისი) პირით საქართველოს პრეზიდენტს გადმოეცა რეგიონის, ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს ჩვენთან დაკავშირებული დანარჩენი ნაწილის მოწყობის რაღაც გარკვეული კონცეფცია, რომელიც საქართველოსთვის და, მაშასადამე საქართველოს პრეზიდენტისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ამ გეგმის სავარაუდო პუნქტები. არ გამოვრიცხავ (თუმცა, რასაკვირველია, არც ვამტკიცებ და არც დაბეჯითებით ვვარაუდობ), რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა დასავლეთიდან დასახმარებლად გამოწვდილი ხელიდან სწორედ ასეთი ან ამის მსგავსი გეგმა მიიღო წინადადების სახით, მაგრამ იგი არ შეინყნარა... და ასევე არ გამოვრიცხავ, რომ ბუშის სიტყვები, რომლებიც მას, გადმოცემით, ზ. გამსახურდიას პოლიტიკის მიმართ უხმარია საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო - სწორედ ამ არჩევანს ეხება“ [5, 176].

1991 წლის 24 ივნისს აშშ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიამ შემდეგნაირად მიმართა: „ვიმედოვნებთ, რომ ამერიკელი ხალხი და აშშ-ს მთავრობა მიესალმებიან ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, რაც გამოიხატა მის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლო-

ბას მსოფლიოს ერთა თანამეგობრობის დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში აშშ-სა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო“ [4, 212].

როგორც ვხედავთ, საწყის ეტაპზე გამსახურდია გამოირჩეოდა აქტიურობით დასავლეთთან მიმართებაში. თუმცა 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩის შემდეგ ამერიკამ პირდაპირ განაცხადა, რომ გამსახურდიას არასწორი პოლიტიკური კურსი ჰქონდა არჩეული. „ამერიკისა და საქართველოს იმჟამინდელ ურთიერთობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი მოსკოვში 1991 წლის 11 ნოემბერს სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის განცხადებამ. მაშინ ბეიკერი გორბაჩოვსა და შევარდნაძეს შეხვდა და განაცხადა, რომ შტატები არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ცხადია, ეს თავისებური სიგნალი იყო კრემლისა და ოპოზიციისათვის“ [3, 167].

აშშ თანდათანობით აცხადებდა თავის ახალ მიდგომას ყოფილ და ჯერ კიდევ, იურიდიულად არსებული საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. „1991 წლის 12 დეკემბერს პრინსტონში წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა თავისი კეთილგანწყობილება გამოხატა რამდენიმე რესპუბლიკის მიმართ: რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა „დემოკრატიული იდეალებისადმი მიდრეკილებების დემონსტრირება მოახდინეს,“ – აღნიშნავდა ჯეიმს ბეიკერი და ადასტურებდა, რომ მათ დასავლეთის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდათ.

მაგრამ აქვე, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ის რესპუბლკებიც დაასახელა, რომლებსაც დასავლეთისაგან ასეთი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამგვარი რესპუბლიკების რიცხვი სულ ორი გახლდათ: – საქართველო და აზერბაიჯანი. ბეიკერმა განსაკუთრებული ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ და მის პერსონალურად დასახელებასაც არ მოერიდა: „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იმის დადასტურებაა, თუ როგორ შეიძლება კომუნიზმის შემცვლელად მოვიდეს სხვა ავტორიტარული რეჟიმი. ხილულ მომავალში დასავლეთი არ აპირებს დახმარება აღმოუჩინოს ბაქოს და თბილისს“ [11, 411].

გიორგი წიქარიშვილის შეფასებით: „9 აპრილმა კატეგორიულად გამორიცხა არათუ კომპრომისის შესაძლებლობა, არამედ ყოველგვარი პოლიტიკური ტექნოლოგია და ერთადერთ დომინანტად აქცია ლოზუნგი: „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია.“ეს ლოზუნგი საქართველოსთვის ძალზე წამგებიანი აღმოჩნდა საერთაშორისო

თვალსაზრისით... მაშინ, როდესაც ამერიკელებმა და ევროპელებმა „შვებით ამოისუნთქეს“ და გორბაჩოვის წყალობით მოიშორეს ბირთვული ომის, საბჭოთა აგრესიის მაჯლაჯუნა შიში, როდესაც გამოჩნდა პირველი სიმპტომები აღმოსავლეთ ევროპის შესაძლო გათავისუფლებისა, – აი სწორედ ამ დროს საიდანღაც გამოჩნდნენ ეს „აბეზარი ქართველები“, „კეთილ გორბაჩოვს“ პროვოკაციებს უწყობენ და პერესტროიკის წინააღმდეგ ილაქრებენ, რითაც აძლიერებენ მოსკოვში იმ ძალებს, რომლებიც ებრძვიან გორბაჩოვს და სურთ მსოფლიო დააბრუნონ ცივი ომის ეპოქაში. ასე აღიქვეს დასავლეთში 9 აპრილი და ამიტომ უწოდა მომხდარს ყველაზე სოლიდურმა, ლიბერალურმა ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა“ – „ბუნტი და პროვოკაცია.“ამასთანავე დასავლეთში ძალიან არ მოეწონათ თბილისურ მოვლენათა აშკარა ანტირუსული შეფერილობა. ჩვენგან განსხვავებით, ისინი კომუნისტურ ფენომენს არ აიგივებდნენ რუსულ ფენომენთან“ [13, 71].

ზვიად გამსახურდია ჟურნალისტებთან საუბარში ასე აფასებდა აღნიშნულ მოვლენებს:

„-როგორ გგონიათ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის არსებობა შეწყდა, დასავლეთი შეიცვლის თავის თვალსაზრისს საქართველოზე თუ არა?

-ჯერჯერობით არ ჩანს, და არა მგონია, რომ ეს ასე სწრაფად მოხდეს.

-თქვენ საკმაოდ ცუდი დამოკიდებულება გაქვთ დასავლეთის ლიდერებთან?

-დიახ, ეს მათი ბრალია, რადგან ისინი არ არიან დაინტერესებული იმპერიის დაშლით. ეს ხომ ცნობილია. ჩემი სახით კი ისინი ხედავენ კაცს, რომელიც იმპერიის დეზინტეგრაციის მომხრეა“ [12, 6].

აგრეთვე: „დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ, კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ მას გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთო ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლება და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია გაანადგურონ ერის ცნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში

მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა“ [12, 17].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდია დასავლეთის მხარდაჭერას მოითხოვდა „ხუნტის“ შემდეგაც. „მე მივმართავ გაეროს, მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს, ამხილონ ხუნტის მიერ ადამიანის უფლებათა უხეშზე უხეში დარღვევები საქართველოში, მოითხოვონ კონსტიტუციურად არჩეული ხელისუფლების აღდგენა, აგრეთვე, ყველა საშუალებით დაეხმარონ ქართველ ხალხს თავი დააღწიოს იმ მძიმე განსაცდელს, რაც მას თავს დაატყდა სამხედრო ხუნტის ავანტიურისტული მოქმედების წყალობით“ [9, 13]. ასეთივე აზრს ავითარებს გამსახურდია აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერისადმი მიწერილ წერილში: „აშშ ადმინისტრაციის მიერ დანაშაულებრივი რეჟიმის მხარდაჭერა ნიშნავს ამერიკის საზოგადოების დემოკრატიული ტრადიციების ფეხქვეშ გათელვას, ჰელსინკის შეთანხმების და პარიზის ქარტიის პრინციპების უარყოფას. ყოველივე ეს ქართველი ერის აღშფოთებას იწვევს და აძლიერებს ანტიამერიკულ განწყობილებებს; მოვითხოვ შეწყდეს სახელმწიფო დამნაშავეთა მხარდაჭერა, ურთიერთობა უნდა დამყარდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან, რომელიც ამჟამად სამშობლოდან განდევნილია“ [10, 12].

1992 წლიდან ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ისტორიაში. 1992 წელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების წელი იყო. 30 იანვრისათვის საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო 24-მა ქვეყანამ. „1992 წლის 23 მარტს პორტუგალიამ, რომელიც მაშინ თავმჯდომარეობდა ევროპის ეკონომკურ გაერთიანებას, გამოაცხადა გაერთიანების წევრების მიერ საქართველოს კოლექტიური აღიარების შესახებ. ეს იყო ენერგიული ნაბიჯი საერთაშორისო იზოლაციის გასარღვევად, რომელშიც ქვეყანა ყოფილმა რეჟიმმა მოაქცია“ [11, 314].

„17 აპრილს თბილისში მეგობრულ ვიზიტად იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დიტრიხ გენშერი. 25 მაისს საქართველოს ეწვია აშშ-ს სახელმწიფო მდივანი

ჯეიმს ბეიკერი. მას ახლდა გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი. დაიწყო ახალი ეტაპი ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში.

ფაქტობრივად, 1992 წლიდან ახალი ეტაპი დაიწყო საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებში. „საქართველოს წარმომადგენელმა პირველად მიიღო მონაწილეობა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (ნაქსი) შეხვედრაში 1992 წლის 1 აპრილს, ხოლო ჩვენი ქვეყნის სრული გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში მოხდა 1992 წლის 5 ივნისს ოსლოში გამართულ ნაქსი-ს წევრ-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე (დელეგაციეს ხელმძღვანელი – საგარეო საქმეთა მინისტრყ ა. ჩიკვაიძე). ამგვარად, ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის დასაწყისად სწორე დღეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს“ [1, 83].

1992 წლის 8 ივლისს, საქართველოს დელეგაცია ე. შევარდნაძის მეთაურობით მონაწილეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბოლოო აქტის ხელმოწერაში. „შევარდნაძე შეხვდა აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰ. კოლს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჯ. მეიჯორს, საფრანგეთის პრეზიდენტს ფ. მიტერანს, თურქეთის პრემიერ-მინისტრს ს. დემირელს და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებს“ [4, 340].

1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ საქართველო მიიღო ამ ორგანიზაციის 179-ე წევრად. ეს აქტი განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგან საქართველოს მაშინ არ ჰყავდა ლეგიტიმური ხელისუფლება. ე. შევარდნაძის შეფასებით, ამ აღიარებით, „ფაქტობრივად, 1992 წლის 31 ივლისს დაიბადა ახალი საქართველო“ [4, 341].

ამდენად, წარმოდგენილი მასალა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო აქტიურად მიისწრაფვოდა დასავლეთისაკენ და ეს მიმართება გამოიხატებოდა მის სრულუფლებიან წევრად გახდომაში. ბუნებრივია, ეს ორიენტაცია ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარეობდა და პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ცვლილება-განვითარებაზე იყო დამოკიდებული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. აბაშიძე, ნატო და საქართველო, უტოპიიდან რეალობისაკენ, თბილისი, 2000
2. ზ. გამსახურდია, კონსტანტინე გამსახურდია, დინების საწინააღმდეგოდ, თბილისი, 1997
3. ი. კვესელავა, საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები, II, ზვიად გამსახურდია დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე, თბილისი, 2008
4. გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, თბილისი, 1999
5. ნ. ნათაძე, რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი), თბილისი, 2002
6. ოთხმოცდათერთმეტი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი, 1995
7. საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011
8. საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. II, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011
9. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I, ზვიად გამსახურდია, თბილისი, 2013
10. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. II, ზვიად გამსახურდია, თბილისი, 2013
11. ე. შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, თბილისი, 2006
12. დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992წ.წ.), თბილისი, 2008
13. ცხრა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი, 1995
14. გ. ნიქარიშვილი, ჟამი ჭეშმარიტი, თბილისი, 2003

15. ო. ჯანელიძე, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში, კრებულში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წლის 31 მარტი – 9 აპრილი), თბილისი, 2008

Nato Songulashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research scientist of the Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology

Georgian-Western Relations (1991-1992)

Summary

For any state and its existence, also for Georgia, it is necessary some values. In 90th of XX century, the issue, how to develop a way of Georgian governmental thinking and as a subject, was acute. It was necessary to outline the importance of those values, on which would be built the future of Georgia. After the collapse of the Soviet Union, the idea of Georgian society and statehood needed some revision and it was natural.

Together with the development of traditional Georgian values, in this period, Georgian- Western relations were actual. Georgia claimed to join the family of the western states. This process was going with changes and transformation.

For Gerogia, like every small country, it is important to take own place in the international relations. 1989-1992 years were decisive in formation of national consciousness. It was a time when the Soviet Union was collapsed and first national movements appeared in Georgia. After April 9, 1989, relations with the West made more active especially.

გიორგი გოცირიძე

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქართველები პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე

პირველი მსოფლიო ომი ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მასში იმდროინდელი მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო მონაწილეობდა. მობილიზებულ იქნა დაახლოებით 70 000 000 ადამიანი. საომარმა ოპერაციებმა მოიცვა დედამიწის პრაქტიკულად მთელი ტერიტორია, ზღვაც და ჰაერიც. თუმცა ბრძოლების უდიდესი ნაწილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე წარმოებდა, თავისი არსით არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ სხვა ფრონტებიც, მაგ. კავკასიის ფრონტი. ჩვენი კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ ქართველების მონაწილეობა პირველი მსოფლიო ომის საომარ ოპერაციებში, მათი დამოკიდებულება მეომარი ბანაკებისადმი, ბრძოლის რეალური მიზეზები, მათი მიზნები და მისწრაფებები.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ქართველი ხალხის დამოკიდებულებას პირველი მსოფლიო ომისადმი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა თავისუფალი ეროვნული განვითარების იმედი. ამ რწმენით ისინი ხალისიანად იბრძოდნენ, როგორც რუსეთის დროშის ქვეშ, ისე მის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი ფაქტები უხვად მოიპოვება საარქივო მასალებსა თუ იმდროინდელი პრესის ფურცლებზე.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ მსოფლიო ომში დაახლოებით 70 000 000 ადამიანი იქნა მობილიზებული. ამ კონტექსტში საინტერესოა ომში გაწვეულ ქართველთა რაოდენობის გარკვევა. საარქივო მასალებში, პერიოდულ პრესაში თუ მემუარულ ლიტერატურაში სხვადასხვა მონაცემებია მოყვანილი: 180 000 [12]; 200 000 [15, 374]; 300 000 [21; 7]. ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორ ციფრად 200 000-ია მიჩნეული. ჩვენი კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა, გარკვეული კორექტივები შეგვეტანა ამ საკითხთან დაკავშირებით. პავლე ინგოროყვას მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1916 წელს შეადგენდა 3 365 000 კაცს, აქედან ქართველები იყვნენ 2 349 000 [9, 16-17]. საქართველოდან 1916 წლისათვის ჯარში გაწვეულთა 239 000 კაციდან 186 000 ქართველი იყო [9, 16-17]. ამას უდავოდ დაემატებოდნენ ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმისა და არ-

ტაანის ქრისტიანი ქართველები, მეფის არმიაში მომსახურე უამრავი ქართველი ოფიცერი და გენერალი და ეს რიცხვი 1916 წლისათვის, ვფიქრობთ, დაახლოებით 200 000 კაცამდე გაიზრდებოდა. ცხადია, ეს სია მაინც არასრულია, რადგანაც მასში გათვალისწინებული არ არის 1917-18 წლების მონაცემები. სუმბათოვის მიხდვით (В мощных объятиях, общия очертания 117 лет русско-грузинского объединения, 1919), საქართველოში 2 250 000 ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. რუსეთის მთელი მოსახლეობიდან (170 000 000) ჯარში გაიწვიეს მაქსიმუმ 7%, მაშინ როდესაც „მეომარ ქართველთა“ რიცხვი ომის მიმდინარეობის ყოველ მომენტში შეადგენდა 14 %-ზე მეტს, ანუ დაახლოებით მთელი მოსახლეობის 1/7 ნაწილს" ე.ი. ჯარში გაწვეული ქართველები იყვნენ ორჯერ მეტი იმპერიის საერთო მოსახლეობასთან შედარებით. ამის შესაბამისად საქართველოს უნდა გაეგზავნა 160 000 კაცი, მაგრამ გაგზავნა 320 000 [24, 86—88]. სუმბათოვი იყო მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე, ფრიად მიღებული პირი რუსეთის სამთავრობო წრეებში, მას ხელეწიფებოდა ესარგებლა იმ მონაცემებით, რომელთა საფუძველზეც შეეძლო, დაედგინა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველთა რიცხვი — 320 000 კაცი.

ჩვენ ვიზიარებთ მის შეხედულებებს. იმდროინდელი ქართული ემიგრაციის ბრწყინვალე წარმომადგენლები — გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი, აგრეთვე დ. ჭიაბროვი წიგნში „ომი და ქართველები" [25, 65] 300 000 კაცს ასახელებენ [21]. ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს იმდროინდელი პრესის მასალებიც. მაგ., 1914 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში" ალ. წერეთელი წერდა: „შემთხვევა მქონდა დამეთვალიერებინა ზემო იმერეთის რამოდენიმე სოფელი და თითქმის ვერსად ვიპოვე ისეთი ოჯახი, რომელსაც ერთი წევრი მაინც არ ჰყავდა ბრძოლის ველზე. უფრო ხშირად კი შეხვდები ისეთ ოჯახებს, რომელთაც 3-4 წევრი გაუგზავნია ომში [14]; ან შემდეგი ცნობა: „იშვიათია 10-15 კომლიანი პატარა სოფელი საიდამაც 2-4 ვაჟკაცი არ იყოს წასული ბრძოლის ველზე [13]. 1915 წლის 20 ივნისის გაზეთ „საქართველოში'' მოყვანილია საქართველოდან გაწვეულ ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა - 200 000 კაცი. ომის დამთავრებამდე კი ხომ სამი წელი კიდევ იყო დარჩენილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ მსოფლიო ომში დაახლოებით 300 000 ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ეს კი იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13% იყო.

ჯარში გაწვევა არ შეეხო აჭარის მაჰმადიან ქართველობას [12]. 1916 წელს პირველად გაიწვიეს ჯარში აფხაზები და ინგილოები [11]. ამ წლისათვის საქართველოდან პირველი მსოფლიო ომის

ფრონტებზე იბრძოდა 53 000 არაქართველი, მათ შორის 31 000 სომეხი იყო [9, 16-17].

ომის პირველ პერიოდში ქართველებს მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტზე იწვევდნენ, მეორე პერიოდში ჯარში გაწვევის ეს სისტემა შეიცვალა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის დანიშვნასთან დაკავშირებით: მან შეცვალა თავისი წინამორბედის მკვეთრად გამოხატული ანტიქართული პოლიტიკა.

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ 1917 წლის 404-ე ნომერში მკითხველს აცნობებდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ყველაზე მძიმე ოპერაციებს ქართული კორპუსები ასრულებდნენ. გენერალ გ. კვინიტაძის ცნობით, პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე 25 ქართველი გენერალი იბრძოდა, მათგან 23 წმინდა გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული [10].

ომში თავი გამოიჩინა ბევრმა ქართველმა გენერალმა: დიმიტრი გედევანიშვილმა, გიორგი ერისთავმა, გიორგი მაზნიაშვილმა, გივი ამილახვარმა, აბრაამ ვაჩნაძემ, ალექსანდრე მიქელაძემ, გიორგი ანდღულაძემ, ზაქარია ბაქრაძემ, პოლკოვნიკმა ნიჟარაძემ, ლეგენდარულმა კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ, რომელსაც თურქებმა „შეითან კაპიტანი” უწოდეს.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა გენერალ-მაიორი დავით აფხაზი [23,15,], დასავლეთის ფრონტზე — გენერალ-მაიორი კონსტანტინე აფხაზი, რომელმაც საკუთარი სახსრებით შეადგინა საველე საარტილერიო ბრიგადა [23, 17], კავკასიის ფრონტზე მსახურობდა მრავალი ორდენის კავალერი, გენერალ-მაიორი ვასილ დიმიტრის ძე ლიონიძე. 1917 წელს იგი კავკასიის არმიის 222-ე ფეხოსანთა პოლკს მეთაურობდა. პოლკის ლიკვიდაციის შემდეგ, 1918 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის სამსახურში ჩადგა [22]. ამავე ფრონტზე იბრძოდა გენერალ-მაიორი გიორგი არჯევანიძე [23, 38].

თავდადებით იბრძოდა ომში გენერალი შ. ბაქრაძეც, რომელსაც წმ. გიორგის ორი ჯვარი ჰქონდა მიღებული. როგორც მოგვიანებით შ. მაღლაკელიძე შენიშნავს თავის მოგონებებში, ასეთი რამ იშვიათი იყო [1]. ომის დროს მოღვაწეობდნენ გენერლები ლ. და ა. ვაჩნაძეები, წულუკიძე, ანდრონიკაშვილი, იმნაძე, მდივანი, ქუთათელაძე. ამ უკანასკნელს მოგვიანებით ბათუმის ციხე-სიმაგრე ჩააბარეს [16].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯარში გაიწვიეს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. იმავე წელს იგი ავსტრიის ფრონტზე დაიჭრა, რის შემდეგაც კავკასიის ფრონტზე იქნა გადმოყვანილი. სარიყამიშში ჩადენილი გმირობისათვის იგი ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

ავსტრიის საზღვარზე გმირულად იბრძოდა მრავალგზის ორდენოსანი ევგენი სოლომონის ძე აფხაზავა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუმინეთში მებრძოლი პრაპორშჩიკი ქორქაძე, რომელიც 17-18 წლის ასაკში წარადგინეს წმინდა გიორგის სააფიცრო ჯვარზე და დააჯილდოვეს ოქროს ხმლით [6]. უნდა დავასახელოთ აგრეთვე პეტროგრადის ალექსანდროვის თეატრის მსახიობი, რუსული თეატრის ცნობილი რეჟისორის მეირჰოლდის მოწაფე ალექსანდრე ზაქარიას ძე როსტომაშვილი, რომელიც ფრონტზე მოხალისედ წავიდა. გერმანული ენის ბრწყინვალე ცოდნა მას საშუალებას აძლევდა, მტრის ზურგში თავისუფლად ემოქმედა. იგი მეთაურობდა მზვერავთა რაზმს სამსონოვის კორპუსში, სადაც წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა [5].

მოხალისედ გაემგზავრა ფრონტზე შტაბს-კაპიტანი გიორგი მიხეილის ძე ხერხეულიძე. იგი გმირულად დაიღუპა პოლონეთში 1914 წლის 25 ნოემბერს [8]. გმირულად დაიღუპნენ: პოლონეთში, ქალაქ ლოძთან, პოლოკოვნიკი ალექსანდრე გიორგის ძე ყაზბეგი, კარპატებში კი მისი ძმა — ცხენოსანი ლეგიონის შტაბის როტმისტრი ნიკოლოზ ყაზბეგი.

პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ ქართველი ქალებიც. მაგალითად, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნინო ჯორჯაძე ომის დაწყებისთანავე წავიდა ფრონტზე მოწყალების დად, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო წმინდა გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვარი. მთელს იმპერიაში ამგვარად დაჯილდოვებული მეორე ქალი იყო.

ასე რომ, ქართველი მეომრები ერთგულად და თავდადებით იბრძოდნენ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე რუსეთის დროშის ქვეშ. ამ ომმა გამოაწრთო და დიდ მხედართმთავრად ჩამოაყალიბა მრავალი ქართველი ოფიცერი, მსოფლიოსათვის ცნობილი გახადა ბევრი მათგანის სახელი. ქართველმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უამრავი მედალი, ორდენი და მადლობა დაიმსახურეს როგორც რუსეთის, ისე ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისა და პირველი პირებისაგან. თავიანთი გმირობით მათ კავკასიაში გამეფებული ანტიქართული პოლიტიკის შეცვლასაც გარკვეულწილად შეუწყვეს ხელი. რუსეთისადმი მათ თავგანწირვას განაპირობებდა იმედი იმისა, რომ ომი ქართველ ერს ჩაგრული მდგომარეობიდან დაიხსნიდა.

მართალია, ქართველების უმრავლესობა რუსეთის სამსახურში იდგა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა რიცხვი გაცილებით მცირე იყო რუსეთის დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველებთან შედარებით. მათ რიცხვს ძირითადად შეადგენდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ემიგრანტი

ქართველი პატრიოტები, გერმანიის, თურქეთისა და ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა ბანაკებში მყოფი ქართველები და თითო-ოროლა, ანტირუსულად განწყობილი, ომის დროს საზღვარგარეთ გაქცეული პიროვნება. ისინი გაერთიანებული იყვნენ „ქართულ ლეგიონში". მის საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგანაც მასში დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერი ჯარის ჩანასახს ხედავდნენ. „ქართული ლეგიონისადმი" არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს. თუ გერმანია-ავსტრია-უნგრეთის მთავრობები მას მაქსიმალურ დახმარებას უწევდნენ, თურქეთის მმართველი წრეები ეწინააღმდეგებოდნენ, რადგანაც მასში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ.

გერმანელები დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ „ქართული ლეგიონი" რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი ყოფილიყო. ამის ნათელი დადასტურება იყო, „ქართული ლეგიონის" საქმიანობის გააქტიურების მიზნით, მის მეთაურად 1915 წლიდან გრაფ ფონ დერ შულენბურგის დანიშვნა; გერმანიის გენშტაბთან სპეციალური აღმოსავლეთის განყოფილების შექმნა ბარონ ოპენჰაიმის მეთაურობით, რომელიც ქართველ ტყვეებთან მუშაობდა; მიხაკო წერეთლისა და გიორგი მაჩაბლის ხელმძღვანელობით გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა ბანაკებში მეომრების მოძიება ქართული ლეგიონისათვის, რომლებსაც, გერმანიის მთავრობის დავალებით, ეხმარებოდნენ გერმანიის აღმოსავლეთის საქმეთა საინფორმაციო ბიუროს თანამშრომლები ჰარალდ კოზაკი და სხვები. ამ მიზნით ისინი ბანაკებში მოწოდებებს ავრცელებდნენ.

1914 წლის დეკემბრისათვის ენვერ ფაშამ რუსეთის წინაარმდეგ საომარი ოპერაციების დაწყების მიზნით ლეგიონი არზრუმის მიმართულებით გააგზავნა და გერმანელ პოდპოლკოვნიკ შტანკეს დაუქვემდებარა. მათი ერთობლივი მოქმედებების შედეგად გარღვეულ იქნა რუსთა თავდაცვითი ზღუდეები და აღებულ იქნა არტაანი. სწორედ აქ მოხდა ქართული ლეგიონის პირველი საბრძოლო ნათლობა. შემდგომშიც არაერთხელ ისახელეს თავი ლეგიონერებმა, რითაც დღითიდღე გერმანელების სიმპათიებს იმსახურებდნენ. სამაგიეროდ, თურქები შიშით ადევნებდნენ თვალყურს ლეგიონის საქმიანობის გააქტიურებას. ისინი, ბუნებრივია, ამის წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან მასში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ. ამიტომაც მიმართა თურქეთის არმიის ხელმძღვანელობამ გერმანიის მთავრობას თხოვნით, დაეშალა ქართული ლეგიონი და პროვოკაციებიც მოაწყო მის წინააღმდეგ [26, 79]. თურქეთის პოზიცია აშფოთებდათ საქართველოს დამოუკიდებლობის კომი-

ტეტის წევრებს, რადგანაც ქართულ ლეგიონში ისინი მომავალი საქართველოს ძლიერ ჯარს ხედავდნენ [18].

ლეგიონერთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით 1915 წელს დაწესდა თამარ მეფის ორდენი. გამოქვეყნდა დოკუმენტი, სადაც მოცემული იყო მისი აღწერილობა, შემოღების და დაჯილდოვების წესი [19].

1916 წლის 12 დეკემბერს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი გერმანიის გენშტაბს და მისი პოლიტიკური სექციის უფროსს ფონ ვეზენდონკს უგზავნის მემორანდუმს (მას ხელს აწერდნენ: პ. სურგულაძე, მ. ქარცივაძე, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები), რომელშიც ლეგიონის შენარჩუნების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზეა საუბარი. ამავე დროს მემორანდუმში დელიკატურად იყო მითითებული, რომ ლეგიონი ქართველებისათვის გერმანიის თანადგომის იმედიც იყო რუსეთის წინააღმდეგ და მისი დაშლით მათ ეს იმედიც ესპობოდათ. ვფიქრობთ, დასაფასებელია კომიტეტის წევრთა დიპლომატიური ალღო. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლეგიონის გასვლასაც ევროპაში, ამიტომ გერმანიის გენერალურ შტაბს სთხოვდნენ მის გადაყვანას გერმანია-რუსეთის ფრონტზე.

15 დეკემბერს გერმანიის გენშტაბმა მემორანდუმის განხილვის შედეგად მოიწონა ლეგიონის გერმანია-რუსეთის ფრონტზე გადაყვანის იდეა. ამ საქმის ორგანიზაციისათვის სამსუნში მივლინებულ იქნენ პ. სურგულაძე და მ. ქარცივაძე [20]. მათ 1917 წლის მაისისათვის მოახერხეს ლეგიონერთა თურქეთიდან რუმინეთში ჩაყვანა. აქ ისინი ფრონტზე საომარი მოქმედებებისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ და რუსეთის ომიდან გამოსვლამ ჩაშალა მათი გეგმები. რუმინეთში 1918 წლის ივლისამდე დარჩნენ, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდნენ — უკვე დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში [3].

გერმანული დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველ პატრიოტებს, მთელი რიგი წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც სწამდათ, რომ რუსეთი ომში აუცილებლად დამარცხდებოდა. ალბათ, ამიტომაც მოადგნენ რამდენჯერმე საქართველოს ნაპირებს გერმანული საბრძოლო მასალით დატვირთული წყალქვეშა ნავები 1916-1917 წლებში [2, 163]. 1915 წლის ოქტომბერში დ. ვაჩნაძემ და გ. გაბაშვილმა გერმანიაში გააგზავნეს ლეიტენანტი ვლადიმერ მძინარაშვილი, რომელიც საქართველოში რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა გ. მაჩაბელთან ერთად წყალქვეშა ნავით [4, 127]. ამ იმედით ჩამოდიოდა გიორგი მაჩაბელი საქართველოში, ამ იმედით მოგზაურობდა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში, რათა ქართველი სტუდენტები ეროვნული კომიტეტის აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად მოემზადებინა [17]. გერმანიის საიმპერატორო მთავრობისა

და ქართველი საზოგადოებრიობის პროგერმანული ორიენტაციის წარმომადგენლების დიდი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში ანტიცარისტული აჯანყება ვერ განხორციელდა.

შესწავლილმა მასალამ ცხადყო, რომ პირველ მსოფლიო ომში დაახლოებით 300 000 ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ომისადმი და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მომავლისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამო ისინი იმთავითვე ორ საპირისპირო ბანაკში აღმოჩნდნენ. პირველი ბანაკის ქართველები იბრძოდნენ რუსეთის დროშის ქვეშ ოთხთა კავშირში შემავალი ქვეყნების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ბანაკის ქართველები რუსეთის წინააღმდეგ ოთხთა კავშირის მხარეზე. ქართველთა დიდი ნაწილი პირველ ბანაკში იყო, ხოლო უმცირესობა — მეორე ბანაკში. ოთხთა კავშირსა და ანტანტას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ, რაც თავისთავად პირველი მსოფლიო ომის განმსაზღვრელი იყო, გარკვეულწილად საქართველოშიც იჩინა თავი, ოღონდ თვისობრივად განსხვავებულ ასპექტში: ქართველთა შორის დაპირისპირებას, ბუნებრივია, არ ჰქონია იმპერიალისტური ხასიათი. იგი ეროვნული ნიშნით ხასიათდებოდა. სხვადასხვაგვარი იყო ეროვნული იდეალი ორ საპირისპირო ბანაკში განაწილებული ქართველებისა და მათ შორის წინააღმდეგობასაც ეს განაპირობებდა. მთავარი ის არის, რომ ორივე მხარე თავისი ქვეყნის ნათელ მომავალზე ოცნებობდა. სხვა საკითხია, რომ ეს მომავალი მათ სხვადასხვაგვარად ესახებოდათ: ნაწილს რუსეთთან, ხოლო მეორე ნაწილს კი გერმანიასთან ერთად. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ბანაკის ქართველობა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის იბრძოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. „ახალგაზრდა კომუნისტი", № 103, 1959.
2. გაბაშვილი რ., რაც მახსოვს: დაბრუნება, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა , ტ. 3, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1992.
3. „ერთობა", №30, 1919.
4. ვაჩნაძე დ., სამშობლოს სამსახურში, მოგონებანი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ივერია" 1992, №1.
5. „თბილისი", №4, 1960.
6. „თეატრი და ცხოვრება", №3 1917.
7. „იმერეთი", №6, 1915.
8. „იმერეთი", 2. 1, 1915.

9. ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990.
10. კვინიტაძე გ., ჩემი პასუხი: ჟურნალი „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №3, 1990.
11. „საქართველო," №155, 1916.
12. „სახალხო განათლება", 22,II, 1990.
13. „სახალხო ფურცელი №142, 1914.
14. „სახალხო ფურცელი", №150, 1914.
15. ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1991.
16. სცა, ფ. 1818, ანაწ. 2, საქ. 2, ფურც. 51-55.
17. სცა,ფ. 157, ანაწ. 1, საქ. 320, ფურც. 398.
18. სცა,ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 5432, ფურც. 4.
19. სცა,ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 5439, ფურც. 48-50.
20. სცა,ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 5439, ფურც. 30.
21. „ქართული გაზეთი", 27, 1917.
22. „Вечерний Тбилиси" 8. VI. 1960.
23. Гогитидзе М., Военная Элита, I, Генералы и Адмирали из Грузии, Тбилиси, 2007.
24. Сумбатов А. В., Мощных обьятиях (общия очертания 117 лет руского-грузинского объединения), Петроград, 1919.
25. Чиабров Д. З., Война и грузины, Петроград, 1915.
26. Lang D., A modern history of Georgia, L., 1962.

Giorgi Gotsiridze

Doctor of History, Professor of Iakob Gogebashvili Telavi State University

Georgians in the Fronts of the World War I

Summary

The given work deals with Georgian participations in military positions during the World War I, their attitude toward Military Barak, real reasons of the War, their goals and their aspirations. Approximately 300 000 Georgians participated in the World War I. They took their positions in the opposite camps and everything happened for the better future of Georgia.

Georgians from the first camp were fighting against the countries, which were included by the countries of "Unions of Four Countries". And from the second camp, Georgians were fighting on the side of Russia. Majority of Georgians were in the first camp, and the minorities were in the second one. National ideal was different in those camps and it was the reason of their resistance between them. However, Georgians from both of the camps were fighting for defending Georgia's interests and its prosperity.

უჩა ოქროპირიძე

ისტორიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში

ბოლო პერიოდში შეინიშნება თურქი ისტორიკოსების და, საერთოდ, თურქული საზოგადოების გარკვეული ნაწილის დიდი დაინტერესება ქართული პრობლემატიკით, რაც მისასალმებელია და ახალ პერსპექტივას უქმნის ორი მეზობელი ხალხის ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი ჯანსაღი ინტერესის დაკმაყოფილებას. მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს ერთმანეთის თითქმის ხელახლა გაცნობისა და ურთიერთდაახლოების პროცესი უნდა ემყარებოდეს განვლილი ისტორიული მოვლენების ღრმად გააზრებულ და შინაარსობრივად მართებულ ხედვებს, რათა ეს ურთიერთობები თავიდანვე აიგოს ისეთ საძირკვლზე, სადაც სიყალბე და რაღაცის გამო მწვავე ისტორიული მოვლენების სასურველად წარმოჩენის მცდელობები გამორიცხული იქნება.

თუ გვსურს ღირსეული სამომავლო ურთიერთობანი, იგი უნდა აიგოს ორივე მხარის მიერ ღირსების გრძნობით გააზრებულ წარსულის ცოდნასა და ჩვენივე ღირსებების თუ ცდომილებების ამღიარებელ ისტორიულ ნაშრომებზე, სადაც გამორიცხული იქნება ვიღაცის უპირატესობის უპირობო მიღებაზე აგებული იმპერიული თვალთახედვა. ჩვენ თუ მართლა გვსურს ერთმანეთთან ჭეშმარიტი მეგობრობა, ასეთი მეგობრობის საძირკველი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი ისტორიის აღიარებაა, სადაც დამპყრობელს დამპყრობელი ერქმევა, მჩაგვრელს – მჩაგვრელი, მოყვარეს – მოყვარე, მტერს – მტერი და ა. შ.

ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ „თავსა ახლად ვერვინ იშობს“, მაგრამ ჩვენი ურთიერთობის მომავლისათვის, ვალდებული ვართ დავივიწყოთ არცთუ სასიამოვნო წარსული, მაგრამ არა ტყუილებისა და ერთმანეთის კიდევ ერთხელ გაცუცურაკების ხარჯზე, არამედ ჩვენი ნამდვილად ადამიანური შეცდომებისა და სისუსტე-

ების აღიარებით, რომელიც გაბრწყინებული იქნება ჭეშმარიტი მონანიების მადლით.

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულების ტენდენცია საერთოდ არ შეინიშნება თურქული საისტორიო სკოლის წარმომადგენელთა მიერ ამ ბოლო ხანს გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომლებიც საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიის ახალსა და უახლეს პერიოდს ეხება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი მოვლენები ძალიან ტენდენციურად არის გაშუქებული თურქი მკვლევრების – ესინ დაის [1, 2001, 89-99], ნურჰან აიდინს [2, 134, 149], ენვერ ქონუქჩუს [3, 59], ქამილ აღაჯანის [4, 2002; 8, 1] და სხვათა ნაშრომებში, რაც მათში განხილულ საკითხთა ჭეშმარიტ ისტორიულ არსს ვერაფერს სძენს. მაგრამ, რადგანაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, აჭარის) გარშემო შექმნილი გარემოებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ისტორიული ტერიტორიების სუვერენული მფლობელობის უფლების პრობლემასთან, ამიტომაც აუცილებლად მივიჩნიეთ, აზრი გამოგვეთქვა ზოგიერთ ამ საკითხზე.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თურქი პროფესორი ესინ დაი, რომელიც თავის ნაშრომს, "ელვიე-ი სელასე, სამი სანჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტაანი) ასე იწყებს: "ელვიე-ი სელასე ყარსის, არტაანის და ბათუმის სანჯაყების შესახებ გამოყენებული ძველი ტერმინია"... შემდეგ კი იქვე განაგრძობს, – „1878 წლის სან სტეფანოს ზავის მე-19 მუხლის მიხედვით ნახსენები, მილიარდ ოთხასი მილიონ რუბლად შეფასებული ელვიე-ი სელასე, ანუ ბათუმის, ყარსისა და არტაანის, მათთან ერთად ბაიაზეთის სანჯაყი კონტრიბუციის სახით რუსეთის ხელში გადადიოდა [1, 90].

პირველ რიგში, რადგან პატივცემული ავტორი ამ ტერმინის (ელვიე-ი სელასე) სიძველეზე ლაპარაკობს, ეტყობა ამით მას სურს აღნიშნული ტერიტორიების თითქოსდა ოსმალურ წარმოშობაზე მითითება. ასეთ შემთხვევაში, უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ღრმად პატივცემული ავტორი დაინტერესებულიყო მაინც, რომ ხომ არ არსებობდა ამ ე. წ. სანჯაყების შესახებ გამოყენებული უფრო ძველი სახელები, რომლებიც ზუსტად მიუთითებდნენ მის ისტორიულ ფესვებზე, – რის გაკეთებაც მისი პროფილის მეცნიერისათვის სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, და მეორეც, – როცა აღნიშნული თემების ოსმალეთის მიერ რუსეთზე კონტრიბუციის სახით გადა-

ცემაზე საუბრობენ, თურქ ავტორებს არ უნდა დაავიწყდეთ ისიც, რომ ამ ისტორიულად ქართული მიწების (ვგულისხმობ მხოლოდ სამუსლიმანო საქართველოს აჭარითურთ) დაპყრობისას თვით ოსმალეთი რა პრინციპით ხელმძღვანელობდა?! კონტრიბუციის სახით მიითვისა საქართველოს ისტორიული სანახები, თუ დამპყრობლის უფლებით?! ხოლო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ, გრძნობდა თუ არა რაიმე პასუხისმგებლობას მისი საუკუნოვანი მონობის გამო, როდესაც ისევ სცადა და კვლავ მისატაცებლად წაეპოტინა საქართველოს მიწა-წყალს? (რაც მოახერხა კიდეც იმავე რუსეთთან შესაშურ ტანდემში, რომელსაც თითქოს კონტრიბუციის სახით მიღებულ მიწებს აყვედრის. – უ. ო.)

ესენ დაის ეს სრულებითაც არ აწუხებს. პირიქით, ცდილობს ამ ტერიტორიათა მიმართ ოსმალთა მტაცებლური მადა გაამართლოს და აღნიშნულ რეგიონში „ეროვნული ორგანიზაციების“ გააქტიურებაზე საუბრობს: „ოსმალეთმა ომის შედეგად დაკარგული ნახსენები ტერიტორიები არ დაივიწყა და არც აქაური ხალხი დაემორჩილა რუსეთთან შეერთებას. ჩვენი ინტერესების სფეროში შედის ის ორმოცწლიანი ტყვეობის პერიოდი (1878-1918 წლებს შორის პერიოდს გულისხმობს – უ. ო.), რომელშიც იმყოფებოდა ელვიე-ი სელასეს ხალხი და რომელშიც მუდმივად ცოცხლობდა სამშობლოსთან შეერთების იდეა და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთიდან მოწყვეტას“ – აღნიშნავს პატივცემული მეცნიერი და შემდეგ ჩვეული რიხით განაგრძობს, – „ამ პერიოდში ელვიე-ი სელასეში, სხვადასხვა ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზნით, იქმნებოდა საზოგადოებები, მაგ: პანისლამიზმის, პანთურქიზმის, ეროვნული დაცვის კომიტეტი, დიფაის პარტია, ჯანბიზარი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

აღნიშნული საზოგადოებები ელვიეი სელასეს ხალხში რწმენის, კულტურის, ეროვნული სულის შენარჩუნების მიზნით იქმნებოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხალხის რწმენის და ეროვნული უფლებების დაცვის, სწავლა- განათლებაში თურქების განვითარებისათვის შეიქმნა [1, 91-92].

ესინ დაის ამ მსჯელობას თუ ვერწმუნებით, ოსმალეთის იმპერიაში დაბრუნებაზე დღესაც უნდა ოცნებობდნენ ადრე მის შემადგენლობაში მყოფი ხალხები, რომელთაც დიდი ბრძოლის შემდეგ ძლივს დააღწიეს თავი ოსმალთა ბატონობას და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, ან ისევ ნამდვილი სამშობ-

ლოს ფარგლებში დაბრუნდნენ... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ავტორი ლაპარაკობს ელვიეი სელასეში ეროვნული ორგანიზაციების შექმნაზე, მათი ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა პანისლამიზმი და პანთურქიზმი სრულიად გამორიცხავს ამ ორგანიზაციათა ეროვნულ ხასიათს, რადგან პანისლამიზმი და პანთურქიზმი ისევე იყო ოსმალურ-თურქული „ეროვნული“ ინტერესების სამსახურში, როგორც მარქსიზმი, ბოლშევიზმი თუ კომუნიზმი საბჭოურ-რუსული სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში. ეს იყო მათი აგრესიული, იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგიური ბაზისი და მასაზრდოებელი, მისი განხორციელების იარაღი. რაც შეეხება ე. წ. ელვიეი სელასეს, მისი მოსახლეობის უმრავლესობა უმთავრესად არათურქული წარმოშობის იყო და მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია იმის მტკიცება, რომ აღნიშნული საზოგადოებები ელვიეი სელასეს ხალხში რწმენის, კულტურის, და, მითუმეტეს, – „ეროვნული სულის შენარჩუნების მიზნით იქმნებოდა.“და საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ თურქების ეროვნული უფლებების დაცვაზე (რისი წინააღმდეგიც არავინაა – უ. ო.), არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ხალხის უფლებებიც, რომლებიც ამ მხარეთა ისტორიულ, ავტოქტონ მოსახლეობას წარმოადგენს. ეს ორგანიზაციები თურქებისთვის შეიძლება აღქმული იქნას როგორც ეროვნული, რადგან ოსმალურ-თურქული ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდნენ! თურქული სახელმწიფოს საძირკვლის განმტკიცება, მოსახლეობის თურქიზაცია და სხვა (ალბათ არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ეს საზოგადოებები ამ ხალხში ეროვნული აღორძინებისთვის იბრძოდნენ?! – უ. ო.). მაგრამ ხალხისათვის, რომლებსაც ოსმალებთან მხოლოდ საერთო სახელმწიფოს ტერიტორია და შეიძლება ისლამური რწმენაც აერთიანებდა, მათი ეროვნულ ორგანიზაციებად შესაღება, ცინიზმია. ჩვენ გვესმის, რომ ათა თურქი და მისი მიმდევრები, თურქული სახელმწიფოს შენარჩუნება-აღორძინებისთვის იბრძოდნენ და, სხვათაშორის, კარგადაც იბრძოდნენ. ხოლო რამდენად იყო მათი ეს ბრძოლა ეროვნული ნიშნის მატარებელი ოსმალეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ხალხებისათვის, ეს სულ სხვა და ძალზე საეჭვო საკითხია. ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ამ მართლაც შეუპოვარ ბრძოლაში თურქი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ გამოჩენილ შეუდრეკლობასა და სიმამაცეს, რითაც მათ შესძლეს თურქეთის სუვერენული სახელმწიფოს გარკვეულ საზღვრებში არ მარტო შენარჩუნება, არამედ მისი გაფართოებაც, მაგრამ ამ მოვლენების

ისეთი ფორმით წარმოჩენას, რომელიც ლახავს ადრე ოსმალეთის იმპერიაში ძალად გაერთიანებული სხვა ძირძველი ისტორიული ხალხების უფლებებსა და ღირსებას, ვერ დავეთანხმებით. და თუ ოსმალებმა იმდენი მოახერხეს, რომ ამ ხალხს თავიანთი ეროვნული ვინაობა გადაავიწყეს და ზოგიერთები პანისლამური თუ პანთურქისტული იდეალების განმახორციელებელი ორგანიზაციების საზარბაზნე ხორცად აქციეს, ეს ამ ხალხის ისტორიული უბედურებაა და არა მათი ღირსება.

„კავკასიაში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების შედეგად დიდ ომში (პირველ მსოფლიო ომს გულისხმობს–უ. ო.) ოსმალეთის მთავრობის მიზანი გახდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება“, (1, 92) წერს იგივე თურქი ავტორი და შემდეგ მიუთითებს, რომ„პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსებთან 1917 წლის 17 დეკემბერს ხელმოწერილი ერზინჯანის ზავისა და 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავის ძალით ელვიე-ი სელასე კვლავ დაუბრუნდა ოსმალეთის იმპერიას... 1918 წლის 12 ივნისს ჩატარდა პლებისციტი, ხმათა უმრავლესობით, ანუ 85 პროცენტით ელვიე-ი სელასე ოფიციალურად თურქეთს შეუერთდა, მაგრამ ეს სიხარული ელვიე-ი სელასეში დიდხანს არ გაგრძელდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს ხელმოწერილი და ანტანტის ქვეყნების მიერ ძალით შეთავაზებულ მუდროსის ზავის ძალით იგი ისევ დაიკარგა (იქვე, 94),–დამწუხრებული აცხადებს ესინ დაი; მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თურქებმა აღნიშნული პლებისციტი ხიშტების ქვეშ და ისეთი დარღვევებით ჩაატარეს, რომ მისი შედეგები არ სცნო არც მისმა მოკავშირე გერმანიამ და არც კონსტანტინეპოლის საზავო კონფერენციამ. ბრესტის ზავზე აპელირებისას თურქ ავტორებს არ უნდა დაავიწყდეთ ისიც, რომ ოსმალებმა არ დაიცვეს მისი ის პუნქტი, რომლის ძალითაც ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქებში პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო ყველა მეზობელი ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თურქებმა კი იარაღის ქვეშ მოაწყვეს, როგორც ქართული გაზეთები სამართლიანად აღნიშნავდნენ, ბათუმის ოლქის მოსახლეობის დაკითხვა [5, 55-58].

რა იურიდიული ძალა შეიძლებოდა ჰქონოდა მოსახლეობის ასეთ დაკითხვას, ამაზე თავიდანვე მართებული პოზიცია ჩამოყალიბდა არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. სწორედ ამაზეა ლაპარაკი გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 11 აგვისტოს ნომერში, სადაც ვკითხულობთ: „გერმანიის დელეგაციის უფროსი, გენერალი ფონ კრესი აუწყებს საგარეო სამი-

ნისტროს, რომ ამ უკანასკნელის მიერ აღძრული პროტესტი ბათუმში მომხდარი რეფერენდუმის შესახებ მან შეატყობინა ბერლინის მთავრობას. ეხლა განერალი ფონ კრესი ატყობინებს ჩვენს (საქართველოს – უ. ო.) საგარეო სამინისტროს გერმანიის საგარეო სამინისტროსგან მიღებულ ცნობას, რომ გერმანიის ელჩს სტამბოლში მოუვიდა ინსტრუქცია, შეატყობინოს საიმპერატორო მთავრობას შემდეგი: ის ფაქტი, რომ ოტომანის მთავრობამ თვით მოაწყო ბათუმში ამა წლის 14 ივლისს პლებისციტი სხვათა მონაწილეობის მიუღებლად, ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის დადგენილებას, რომლის ძალით წესწყობილების დამყარება სამ (ბათუმის, ყარსისა და არდაგანის) ოლქში უნდა მომხდარიყო თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ამის გამო, თუ ვინიცობაა, რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანი განაცხადებდა პროტესტს ოტომანის მთავრობის წინაშე ამნაირი მოქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ასეთი გამოსვლა კანონიერ საფუძველს მოკლებულად ეცნო“ [6].

ასე, რომ თურქულ ოკუპაციასა და ძალმომრეობის პირობებში აღნიშნული პლებისციტის კანონიერებასა და მისი მეშვეობით ამ ე. წ. ელვიე-ი სელასეს ოფიციალურად თურქეთთან შეერთებაზე ავტორის მიერ სიტყვის ჩამოგდება მას ისეთ მდგომარეობაში აყენებს, როცა მისთვის სასურველს სინამდვილედ წარმოიდგენენ ხოლმე. ხოლო, რაც შეეხება სიხარულს, – გააჩნია ვისთვის.

მოკლედ, ასეთია იმ პერიოდში სამუსლიმანო საქართველოს, კერძოდ კი, აჭარის გარშემო შექმნილი ისტორიული სინამდვილე, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხე აჭარა დედა-სამშობლოს წიაღს დაუბრუნდა და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმის გახსენებას, რომ ბათუმი (აჭარა), ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებთან ერთად, რუსეთმა კონტრიბუციის სახით მიიღო. ეს იყო ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნების ახდენა, ამასთან, ისტორიული სამართლიანობის აღსრულება, შეეერთებინა თანამოძმე გამუსლიმანებული ქართველებით დასახლებული საქართველოს ძნელბედობისას დაკარგული ისტორიული ტერიტორიები. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა რუსეთის სამხედრო ძალამ და დიპლომატიამ, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთიც, ისევე, როგორც თავის დროზე ოსმალეთი, თავისი სამფლობელოების გაფართოებასა და შავი ზღვის აუზსა და ამიერკავ-

კასიაში თავისი პოზიციების გაძლიერება-გამტკიცებას ისახავდა მიზნად და არა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას, მისი მთლიანობის აღდგენას. ეს იყო მისი ბუნებრივი განვრცობის ჩვეულებრივი პროცესი, რომელსაც რაიმე კეთილშობილური მისწრაფება არ წარმართავდა და წარმოადგენდა კავკასიაში რუსეთის ძლიერების მეთოდური დემონსტრირების შედეგს. აღნიშნული პროცესი, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ირიბად დაემთხვა ქართველი ერის გაერთიანებისაკენ მისწრაფებას. აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებაც ამ პროცესის (რუსეთის იმპერიის სივრცული გაფართოება) ლოგიკური შედეგი იყო. ხოლო მისი ისტორიული ბედუკუღმართობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ორ უცხო დამპყრობელს შორის ხშირად აღიქმებოდა როგორც მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის საგანი და საკონტრიბუციო ობიექტი. დადგა დრო, ჩამოვაყალიბოთ ახალი ურთიერთობები და უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი ეს გავითვალისწინოთ მომავლის დიპლომატიაში.

მეტად სასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო დროს თურქეთში საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის ეგიდით გამოიცა მურად ქასაბისა [7] და მუმინ ილდიზთაშის [8] მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მეტად საინტერესო ნაშრომები. მისასალმებელია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ჩვენი თანამოძმეების საკუთარი ისტორიითა და ქართული პრობლემატიკით დაინტერესება, მათ მიერ ამ მიმართულებით გაწეული დიდი მუშაობა, რომელიც აღნიშნულ მონოგრაფიებში აისახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ისინი ახერხებენ, თავი დააღწიონ ზემოთ ჩვენ მიერ გაკრიტიკებულ გაუგებრობათ.

მურად ქასაბი თავისი წიგნის ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „ოსმალეთის იმპერია არ ატარებდა სხვა ერებისა და რელიგიების ასიმილაციის პოლიტიკას, არ ძალადობდა მისი მმართველობის ქვეშ მყოფ არამუსლიმ ხალხებზე... შეძლო მათი არსებობის გადარჩენა“... და შემდეგ იქვე განაგრძობს,–„ოსმალეთის ქართველებისათვის ისლამური აღმსარებლობა სისხლხორცეული რწმენაა. არ არის არანაირი ისტორიული საბუთი მათი ძალით გამუსლიმანების შესახებ... საქართველოში ქრისტიანობის გაუქმების პოლიტიკა არ გატარებულა“ [7]. აქ უნდა ითქვას, რომ იმის აღიარებაც კი, თითქოს ოსმალეთმა „შეძლო მათი არსებობის გადარჩენა“, უკვე იმის ირიბი აღიარებაცაა, რომ ეს ხალხი მართლაც ყოფილა ვიღაცის ძალმომრეობისაგან გადასარჩენი და რომელი ძა-

ლა შეიძლებოდა ყოფილიყო იგი, თუ არა ქართველი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი „არაბობის“, „დიდი თურქობის“, „ყიზილბაშობის“, „ოსმალობის“ და სხვათა ავბედითი პერიოდების ისტორიული აქტიორები. ან იმაზე მეტი რა ისტორიული საბუთი უნდა დარჩენილიყო, ვიდრე თუნდაც ერთი იოანე საბანისძის აბოს წამება და ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალური ჟანრი აგიოგრაფიაა. ქართული საერო და საეკლესიო ისტორია სავსეა საქართველოში მუსლიმთა შემოსევების დროს ათასეულობით ქრისტიანის ზვარაკად შეწირვის ამბავთა აღწერით (დავით და კონსტანტანტინეს წამება, ჯალალ ედ-დინის მიერ ათასობით თბილისელის ამოჟლეტა თუ თემურ-ლენგის საქართველოში 8 გზის ლაშქრობისას ჩადენილი მხეცობანი და სხვა). ან კიდევ, იქნებ შემთხვევით აღიქვა კოლექტიურმა ქართულმა ისტორიულმა ცნობიერებამ მურვან ყრუ და ბუღა-თურქი საქართველოსა და ყოველივე ქართულის დაუძინებელ მტრებად და მათაც საქართველოსთვის, ავტორის ლოგიკას თუ მივყვებით, სიკეთის მეტი არაფერი უნდოდათ?!.

1918 წლის ივნისში სამუსლიმანო საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ იქვე, სადაც ამის შესახებ წერს, ბატონი მურადიც სიხარულით აღნიშნავს, რომ „...1992 წლის საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრობისა, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ სცნო ყარსის ხელშეკრულებით დადგენილი თურქეთის აღმოსავლეთი საზღვარი“ [7, 24],– მაგრამ რა არის აქ სასიხარულო?! ნუთუ თურქეთში არავის აფიქრებს ის ფაქტი, რომ არც 1921 წელს ყარსისა და 1992 წლის საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებებზე ხელმოწერა არ გაუკეთებია საქართველოს ლეგიტიმურ, კანონიერ ხელისუფლებას და როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მან ხელშეკრულება გააფორმა ქართველ ხალხზე მოძალადე უზურპატორებთან. თუ თურქეთის მთავრობისა და ხელისუფლების მესვეურთათვის სულ ერთია, ოღონდაც მათთვის სასარგებლო რამე მიიღონ და რა გზით, ეს საერთოდ არ ანაღვლებთ? ანდა, ორივე შემთხვევაში, ეს საქართველოს კეთილისმყოფელი ოსმალეთი თუ თურქეთი, რატომ აღმოჩნდა ქართველი ხალხის ნების უარმყოფელთა მხარეს?! ყველამ კარგად ვიცოდეთ, რომ იმპერიები შეიძლება ისევე გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, როგორც ეს ადრევე მომხდარა, ეს კითხვები და ჭეშმარიტება კი დარჩება სამარადისოდ, თუ ქართველი ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთან, რომელიც ამისათვის აუცი-

ლებელი ქართველი ხალხის ნდობის მანდატით იქნება აღჭურვილი, არ გადაწყდება მათი მოგვარება.

მაგრამ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, წიგნი გვაცნობს ოსმალეთის იმპერიასა და თურქეთის სახელმწიფოში მოღვაწე ქართული წარმოშობის ცნობილ სამხედრო და პოლიტიკურ, სასულიერო თუ საერო პირთა მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას, რის გამოც უდიდესია მისი მნიშვნელობა ქართული საისტორიო მეცნიერებისთვისაც, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, უფრო მტკივნეულად თუ არ გამოგვივა ნათქვამი, გადამეტებულია ისეთი თავდადებული ქართული ორიენტაციის პიროვნებებისა და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის აქტიური მოღვაწეების ოსმალეთის სახელმწიფოს მესვეურებად მოხსენიება, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი სააკაძე, ბატონიშვილი დავითი (იადიგარ დავუდის ავტორი), თეიმურაზ პირველი თუ სხვანი, და, რა თქმა უნდა, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე სამუსლიმანო საქართველოდან, კერძოდ კი აჭარიდან, მემედ-ბეგ აბაშიძე და მისი ძმა, პირველი ქართველი გენერალი მაშინდელი სამუსლიმანო საქართველოდან, ასლან აბაშიძე. სწორედ მათ შეიტანეს უდიდესი წვლილი, რომ აჭარა ქართული სახელმწიფოს საზღვრებში დაბრუნებულიყო.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მურად ქასაბის მონოგრაფია, „ოსმალეთის ქართველები", თურქული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და ქართული ისტორიული მეცნიერებისთვისაც მეტად საინტერესო დიდძალ მასალას შეიცავს, ამიტომაც მისი გადმოქართულებული ვარიანტის 2012 წლისთვის გამოცემა, სასიამოვნო ფაქტია. აქვე შეიძლება ითქვას, რომ მასში წარმოდგენილ პიროვნებათა ისტორიები, შესაძლოა, იქცეს ქართველ ისტორიკოსთა განსაკუთრებული კვლევის საგნად და სავარაუდოა, რომ ზოგიერთ მათგანზე ცალკე წიგნებიც კი დაიწეროს.

რაც შეეხება მუმინ ილდიზთაშის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან მონოგრაფიას, ამჯერად მასში გადმოცემულ იმ ნიუანსებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოთგანხილულ თემატიკას ეხმიანება და თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ მისი ნაშრომიც არ აღმოჩნდა ამ მხრივ უნაკლო და დაზღვეული.

ნაშრომის წარდგენისას ბატონი ალი რიზა ალთუნი აღნიშნავს, რომ „გამოცემის მთავარი მიზანია... რათა მომავალი უფრო ჯანსაღ საფუძველზე აშენდეს",–რაც სავსებით გასაგები და მისა-

სალმებელია; მაგრამ ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „საქართველოში ყოფნისას ოსმალებისა და თურქების შესახებ გაგონილმა გამონათქვამებმა ჩემში მწვავე განცდები გამოიწვია",–უფრო მეტიც,–„საუკუნეების მანძილზე რეგიონისათვის კანონებისა და სამართლიანობის მომტანი ხალხის მიმართ წინასწარგანზრახული ცილისწამებით ჩირქის მოცხების მაყურებლის როლში მეტი ვეღარ დავრჩებოდი."

ჩვენ კარგად გვესმის პატივცემული ოპონენტის და ვთვლით, რომ მისასალმებელია მისი მხრიდან ამგვარი პატრიოტიზმი, და იმედს ვიტოვებთ, თავადაც სწორად გაიგებს ჩვენს პოზიციას, თუ მის მიერ გამომჟღავნებული ამ უმართებულო რეაქციის გამო, ვერც ჩვენ შევძელით თავის შეკავება და მას ქართული პირდაპირობით ვეტყვით: თუმცა ყველა დამპყრობელი ამ პრეტენზიით გამოდის, მაგრამ არცერთს მოუტანია დაპყრობილი ხალხისათვის კანონიერება და, მით უმეტეს სამართლიანობა. მარტო ის ფაქტიც კი, რომ ისინი ასე ურცხვად აყენებენ თავიანთ თავს ათასეული წლების ისტორიული მეხსიერების მქონე ხალხებზე მაღლა, შეურაცხმყოფელია. და საერთოდ, კანონიერებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით, რა უნდა ესწავლებინათ ოსმალებს იმ ხალხისთვის, რომლებმაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში გააუქმეს სიკვდილით დასჯა და დამსახიჩრებელი სასჯელები თავიანთ სახელმწიფოში... ხოლო ოსმალეთის სულთნების კარზე თუ ვინმე დიდ თანამდებობებს აღწევდა, ეს მათი ნიჭიერების დადასტურებაა და არა ოსმალური კეთილმოქმედების, რადგან ისიც ცნობილია, რამდენი დიდად ნაღვაწი ასეთი პიროვნებების სიცოცხლე შეიწირა ფადიშაჰების ტირანიამ (მურად ქასაბის წიგნში მოცემული 18 სადრაზამიდან 6 სიკვდილით დასაჯეს–უ. ო.). მართლაც, თქვენს თვალწინ უნდა ჩაიაროს სისხლით შეღებილი მტკვრისა და ჭოროხის ტალღებმა, რომ მისი რეალობა ირწმუნოთ?! ნუთუ ამისათვის საკმარისი არ არის გადავხედოთ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს, საქართველოს, ისტორიას, რომლის ფურცლებიც აღსავსეა „არაბობის", „დიდი თურქობის", „ოსმალობის", „ყიზილბაშობის", „ლეკიანობისა" თუ „რუსობის" სწორედ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის უტყუარი დოკუმენტებით, მათი არსებობისა და ცხოვრების შინაარსით აღსავსე ამბებით. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ისტორიაში ეს უკვე კატეგორიებად ჩამოყალიბებული ისტორიული მსაზღვრელები, შინაარსისგან დაცლილი, არაფრისმთქმელი სიტყვებია და სხვა არაფერი?!. თუ ეს ასეა, ძალიან სცდებით!...და არც იმის სწავლება გვჭირდება ვინმეს-

გან, ვისი და რისი დავიწყების უფლება გვაქვს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმთავრესია, თუ რა დამსახურება მიუძღვის ამა თუ იმ პიროვნებას საქართველოს წინაშე.

თქვენ კარგად გესმით თქვენი დღევანდელი სამშობლოს სატკივარი და მისი გადმოსახედიდან მსჯელობთ, მაგრამ თქვენი ზემოთ დასახული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია გაიგოთ თქვენი ძველი თანამოძმეების გულისტკივილი და ისტორიაც უფრო ღრმად, ვიდრე ამას დღეს ახერხებთ. ამისთვის კი საჭიროა მათი პოზიციიდანაც და უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოთ ამ ისტორიაში, გაიგოთ რითი და სად კვნესის მათი გულისთქმის ძარღვი და ფესვი, ხოლო როცა მას თვალცრემლიანს დაინახავ, შენც უტყუარად უნდა მიხვდე, სად იღებს ცრემლის წყარო სათავეს, – და მაშინ იმასაც გაიგებ, თუ რატომ აქვს ჩვენს საერთო მოდგმას და ჯილაგს ასეთი უდიდესი ოპტიმიზმი და მომავლის დაუშრეტელი რწმენა, რომელთან ბრძოლასაც არა ერთი იმპერია შეეწირა. რაც შეეხება ისეთ მოსაზრებებს, რომ „ოსმალეთის სახელმწიფო ერთის მხრივ ყოველგვარი იძულების გარეშე უზრუნველყოფდა ქართველების მიერ ისლამის მიღებას, მეორე მხრივ კი ქრისტიანი ქართველების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებსაც ყურადღებით და გაგებით ეკიდებოდა“–ესენი ერთიმეორეს გამორიცხავს, რადგან ქრისტიანი, მართლმადიდებელი ქართველისათვის მისი „უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა“, პირველ რიგში ქართველობის, ე. ი. ქრისტიანობის შენარჩუნებას ნიშნავდა. იმ პერიოდში ხომ ეს ორი ცნება ერთმანეთის შემცველი იყო, და როცა „ზოგიერთ ადგილობრივ ლიდერს“ უყენებთ ბრალდებას, რომ ის “ცდილობდა ეპოვა გზები მათი გამუსლიმანების წინააღდეგ“... [8, 23] უნდა იცოდეთ, რომ ეს მათთვის ქართველობისათვის ბრძოლას ნიშნავდა და ოფიციალური სტამბოლის აქტიურობა ამის წინააღმდეგ, იყო ქართველთა კანონიერი უფლების დათრგუნვისაკენ მიმართული ძალადობა და მიმტაცებლობა. (სწორედ ასეთი „კანონიერებისა და უფლებების“ დასაცავად იბრძვის რუსეთი დღესაც საქართველოში მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე).

ასევე, თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიული სკოლისათვის ნიშანდობლივ აზრობრივ ნიუანსებს შეიცავს,–რომ „ოსმალოს სახელმწიფოში მონად ჩაყვანილ ბევრ ქართველს საბოლოოდ ვეზირის, სარდლის და დიდვეზირის თანამდებობისთვისაც მიუღწევია... ოსმალეთის სახელმწიფო... არ ეწინააღმდეგებოდა მასზე დამოკიდებული ტომებისა და ბეგების მიერ დამოუკიდებელი

ქართველი და სხვა თემებისაგან ტყვეების წაყვანას“... –ბატონებო, სხვას რას ნიშნავს ძალადობა?!. გამოდის, რომ თუ დამოუკიდებელი ხარ და ოსმალოს უღელი არ გადგას, არაფრით ყოფილხარ დაცული მანამ, სანამ ოსმალოზე ტყვედ არ გაგყიდდნენ და ამით არ „გაგაბედნიერებდნენენ“... მსგავსი ლოგიკა ჩვეულებრივია იმპერიული, მპყრობელი სახელმწიფოს აზროვნებისათვის, მაგრამ მათ მსხვერპლთ ვკითხოთ!...ამასთან ტყვეს უკვე აღარავინ ეკითხებოდა, სურდა თუ არა გამუსლიმანება.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ტერმინს „ქართველი ოსმალები.“პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ქართველობა არა მარტო წარმომავლობითი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ქართული კულტურის, სოციალ-ზნეობრივი გარემოს და ცხოვრების წესის შემოქმედებითი ნაერთია,– ეს ეროვნებაა და არა იდეოლოგიურად გაბატონებული მმართველი კასტა, რომელიც ყველასა და ყველაფრის თავის მორჩილებაში მოყვანის სურვილით შეპყრობილი და სამართლიანობის სახელით შენიღბული, საკუთარი ბატონობის უზრუნველყოფას ცდილობს, როგორც ამას თავის დროზე ბოლშევიკ-კომუნისტები, ან თუნდაც პანისლამისტები თუ ოსმალები აკეთებდნენ. ამიტომაც, ჩვენი ღრმა რწმენით, შეიძლება იყოს გაოსმალებული ქართველი, ისევე როგორც გაბოლშევიკებული ქართველი, მაგრამ „ქართველი საბჭოელი“ (ე. ი. კომუნისტი),ან „ქართველი ოსმალო“, ეს ის სუროგატია, რომელიც ყოველგვარ ქართულს განადგურებით ემუქრებოდა და ემუქრება დღესაც და მისი დაკავშირება რაიმე ქართულთან დიდი შეცდომა და გაუგებრობაა.

ჩვენ კიდევ ერთხელ მივესალმებით თანამედროვე თურქი ავტორების საქართველოს ისტორიისა და საერთოდ, ქართული პრობლემატიკით ჯანსაღ დაინტერესებას. ამასთან ერთად, ჩვენ მიერ განხილული ნაშრომების ავტორებს უდიდესი პატივისცემის გამოცხადებით ვთხოვთ, დიდსულოვნად მოგვიტევონ, თუ ჩვენი კეთილმოსურნე კრიტიკით მათში არასასიამოვნო განცდები აღვძარით, მაგრამ ამ შემთხვევაში გვამოძრავებდა მეტად კეთილშობილური მიზანი, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა უახლესი ფურცლები სამომავლოდ უნდა გადაიშალოს ურთიერთპატივისცემისა და უდიდესი ურთიერთნდობის ნიშნით [9, 91, 94], რასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, დიდად შეუწყობს ხელს საკუთარ მოსაზრებათა თავისუფალი ურთიერთგაზიარება, სიმართლისა და ისტორიული სამართლიანობის პრიორიტეტთა წინ წამოწევა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ესინ დაი, ელვიე ი სელასე, სამი სანჯაყი: ყარსი, ბათუმი, არტაანი, კრებულში: სიმპოზიუმის შრომები, ახალციხე-ყარსი, 2001.
2. ნურჰან აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა კრებულში: სიმპოზიუმის შრომები, ახალციხე-ყარსი, 2001.
3. ენვერ ქონუქჩუ, აღმოსავლეთ ანატოლიის უახლესი ისტორია, კრებულში: სიმპოზიუმის შრომები, ახალციხე-ყარსი, 2001.
4. ქამილ აღაჯანი, ერთი ავტონომიის ანატომია, გაზეთში: „ახალი ერა", 1(177), 2002, 8, I;
5. გაზეთში „საქართველო", №141, 1918.
6. გაზეთში „საქართველო", №153, 1918.
7. მურად ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, ბათუმი, 2012.
8. მუმინ ილდიზთაში, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბული, 2012.
9. უჩა ოქროპირიძე, ჩამოვაყალიბოთ ახალი ურთიერთობები, ჟურნალში: „ჭოროხი", 6, 2006.

Ucha Okropiridze

Doctor of History, Shota Rustaveli Batumi State University, Chief Scientist researcher of the Niko Berdzenishvili Instute.

Some Aspects of Georgia - Turkey's Relationship with the Modern Turkish Historiography

Summary

The article deals with the views of the modern Turkish historians - Enver konukchu, Kemal aghajanisa and others, also fundamental studies by the mumin ildiztashis and Murad kasabis about Georgia - Turkish relations, int he past and the modern stage. There is some criticism of their views . It is concluded , Georgian - Turkish relationship with a better perspective.

ნათია ლაცაბიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

იტალია-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები და საქართველო პოსტსაბჭოთა პერიოდში

იტალიის მიერ აზერბაიჯანის აღიარება 1992 წლის 1 იანვარს იმ ექვს რესპუბლიკასთან ერთად მოხდა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიქმნენ (საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წლის დეკემბერში ალმაატის სამიტზე იქნა დეკლერირებული). იმავე წლის 8 მაისს იტალიამ ხელი მოაწერა ბაქოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შეთანხმებას. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველი ეკონომიკური პარტნიორიც დასავლეთიდან სწორედ იტალია გახდა [1].

ეკონომიკური თანამშრომლობა, კერძოდ ნავთობისა და გაზის სფეროში, აზერბაიჯანსა და იტალიას შორის ორმხრივი ურთიერთობების ნიშანსვეტი გახდა [2]. ამ კონტექსტში, 1995 წლის ნოემბერიდან ყარაბაღის ნავთობის ოფშორული ზონის ექსპლუატაციაზე უფლებების გადაცემით კასპიის ნავთობის საერთაშორისო კომპანიისთვის (Cipco), Agip-თან ერთად (იტალიის საყოველთაო ნავთობკომპანია), რომელიც 30%-იანი წილის მფლობელია, იტალია ბაქოსათვის გახდა ათვლის წერტილი და პრივილეგირებული პარტნიორი.

მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ჭაბურღილების ფაქტობრივი რეზერვები აღმოჩნდა მნიშვნელოვნად დაბალი, ვიდრე თავდაპირველი შეფასებით, რამაც გამოიწვია კონსორციუმის დახურვის საჭიროება 1999 წელს, ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა თანდათანობით მაინც გააქტიურდა და განვითარდა ორივე ქვეყნის ხელისუფლების მუდმივი მხარდაჭერის წყალობით. 1997 წლის სექტემბერში პრეზიდენტ ალიევისა და იტალიის პრემიერ მინისტრის რომანო პროდის, შეხვედრის ფარგლებში ENI-სა („Ente Nazionale Idrocarburi“) და აზერბაიჯანის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია SOCAR-ს შორი გაფორმდა წინასწარი შეთანხმება ექსპლუატაციის უფლების გადაცემის, განვითარებისა და ნახშირწყალბადების (თხევადი საწვავის) წარმოების შესახებ ბაქოს ოფ-

შორულ სანაპიროსთან. 1998 წლის ივნისში დადებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების საფუძველზე იტალიური კომპანია 25% -იანი წილის მფლობელი გახდა. ამას გარდა 2001 წელს ENI განიხილება კონსორციუმის აქციების 5% -იანი წილის მფლობელად რომელიც პასუხისმგებელია ბაქო-თბილისი ჯეიჰანის (BTC), ნავთობსადენის მშენებლობაზე და მიზნად ისახავს ევროპულ ბაზარზე აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირებას [3].

ენერგოსექტორში მზარდი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იტალიამ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ 1998 წელს დაიწყო აზერბაიჯანიდან ნავთობის იმპორტი თანდათანობით მზარდი კვოტებით და გახდა ნახშირწყალბადების ქვეყნის პირველი იმპორტიორი და აგრეთვე პირველი სავაჭრო (კომერციული) პარტნიორი. ნახშირწყალბადების ექსპორტი რეალურად წარმოადგენს აზერბაიჯანის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 92% -ს.

იტალია, რომელიც 1998 წელს წარმოადგენდა აზერბაიჯანის რიგით მეოთხე პარტნიორს და იყო 7.4% წილის მფლობელი, 1999 წელს უკვე გახდა აზერბაიჯანის პირველი პარტნიორი და აზერბაიჯანული ექსპორტის დაახლოებით 33 % წილის მფლობელი, თუ არ ჩავთვლით 2007 წლის ხანმოკლე შეფერხებას, იგი დღემდე ინარჩუნებს ამ მდგომარეობას. 2009 წელს იტალიაში იმპორტირებული იქნა აზერბაიჯანში წარმოებული ნავთობის 12.3%. იგი ნაციონალური მიწოდების მესამე არხს წარმოადგენს ლიბიისა და რუსეთის შემდეგ [4].

თუ 1999 წლიდან, ნავთობის ექსპორტი შეადგენდა იტალიასა და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ურთიერთგაცვლის თითქმის მთელ წილს, თანდათანობით გაიზარდა ბუნებრივი გაზის მოხმარების შესაძლებლობები, რამაც გააძლიერა ინტერესი ბაქოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიმართ და დასაბამი მისცა ორმხრივი თანამშრომლობის ახალ და მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. 2007 წლიდან შაჰ დენიზის საბადოდან გაზის წარმოების დაწყების შემდეგ აზერბაიჯანი ფაქტობრივად გახდა ექსპორტიორი გაზის ევროპულ ბაზარზე, რომელიც უფრო და უფრო ეძებს რუსეთის ალტერნატიულ მეთანის ახალ მომწოდებლებს. შაჰ დენიზის საბადოს ექსპლუატაციის მეორე ფაზის დაწყებამ -2015 წლამდე უნდა

უზრუნველყოს ექსპორტის ზრდა და უნდა შეადგინოს წლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრი.

ბაქო არის წამყვანი კანდიდატი ბუნებრივი აირის მიწოდებაში, რომელმაც უნდა გახსნას ახალი ენერგეტიკული კორიდორი კავშირის სამხრეთით და რომელიც ევროკომისიის მიერ დიდი ხნის წინაა ჩასმული ტრანსევროპული ქსელების „პრიორიტეტებში". 2005 წლიდან კონტინენტთაშორისი პროექტის თურქეთი-საბერძნეთი-იტალია (ITGI) ამოქმედებით, ბერძნულმა კომპანია Edison-მა, Defa - სთან და თურქულ Botas -სთან(თურქეთის მილსადენების სახელმწიფო კომპანია) შეთანხმებით გაზის სამხრეთიდან იმპორტირების ნიადაგი შექმნა. გაზის სატრანზიტო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობის აღიარებით იტალიის და აზერბაიჯანის მთავრობებმა 2007 წლის დეკემბერში ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს რომელიც მიზნად ისახავს EDISON-სა და SOCAR-ს შორის გაზის მიწოდების შესახებ მოლაპარაკებების წარმოების მხარდაჭერასა და მონიტორინგს [5, 52–53].

აზერბაიჯანის მნიშვნელობა კვლავ დომინირებს შაჰ დენიზის მეორე ფაზის განხორციელებაში. სამხრეთის დერეფანს ევროკავშირი გაზის მიღების ახალ დამოუკიდებელ მარშრუტად განიხილავს [6, 12-13]. ევროპა ამ პროექტით დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიღებას შეძლებს.იმისათვის, რომ ამ მოცულობამ მიაღწიოს ჩაფიქრებულ ბაზრებამდე, ბოლო მონაცემებით, გადაწყდა, რომ BP და მისი პარტნიორები რიგ პროექტებს განახორციელებენ. კერძოდ, აშენდება ორი გაზსადენი – TANAP-ი და TAP-ი. ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP) სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაგრძელება იქნება თურქეთის აღმოსავლეთ საზღვართან. გაზსადენი საქართველო-თურქეთის საზღვართან აიღებს სათავეს და თურქეთ-ბულგარეთის საზღვრამდე გაგრძელდება. TANAP-ი თურქეთის დასავლეთ საზღვართან ტრანსადრიატიკულ გაზსადენს (TAP) შეუერთდება. აქედან TAP-ი გადაკვეთს საბერძნეთს და ალბანეთს ადრიატიკის ზღვის ნაპირამდე, შემდეგ მილსადენი წყალქვეშ გაივლის იტალიამდე. აქედან კი უკვე იტალიის გაზის ტრანსპორტაციის ქსელს შეუერთდება. ნაბუქოს პროექტის ტრანსადრიატიკული მილსადენით ჩანაცვლების გადაწყვეტილება შაჰ დენიზ II-ის კონსორციუმმა 2013 წლის 28 ივნისს მიიღო. არჩევანი იმავე დღეს მოიწონა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა [7]. მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად იყო ჩართული

იტალიის ხელისუფლებაც, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობას TAP–ის უპირატესობაში არწმუნებდა.

ენერგეტიკის სფეროს გარდა აზერბაიჯანში იტალიის ეკონომიკური წარმომადგენლობა მაინც საკმაოდ მწირია და 2009 წლის მონაცემების შესაბამისად ეროვნული კვოტით უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 0.1% -ს შეადგენს. მიუხედავად იტალიის დიდი მცდელობისა, ხელი შეუწყოს სავაჭრო კავშირების განვითარებას ორ ქვეყანას შორის – შექმნას ორმხრივი სავაჭრო პალატა, ორგანიზებული იქნას იტალიური ბაზრობები – იტალიის ყოფნა აზერბაიჯანში სამეწარმეო პრეროგატივად რჩება იმ დიდი სამეწარმეო ჯგუფებისათვის რომლებიც კონცენტრირებულნი არიან ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, საბანკო და საავტომობილო მრეწველობის სექტორებში. იტალიის წილი აზერბაიჯანში იმპორტის საერთო მოცულობაში რჩება დაბალი (2,1%– 2009 წელს), ქმნის რა სავაჭრო დისბალანსს, რომელმაც 2009 წელს, 3.5 მილიარდ ევროს გადააჭარბა [5, 53]. ამჟამად 50 – მდე იტალიური კომპანია მოღვაწეობს აზერბაიჯანში. გასულ წელს ექსპორტმა აზერბაიჯანიდან ევროკავშირში 7 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო ევროკავშირიდან აზერბაიჯანში – 400 მილიონი. ხელი მოეწერა და შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

ახალი შესაძლებლობები წარმოშობს ახალ ეკონომიკურ კონიუნქტურას, რომელიც ერთი მხრივ ქმნის იტალიური ფირმების მიმართ ინტერნაციონალიზაციის საჭიროებას და მეორე მხრივ აუცილებლობას, რომ აზერბაიჯანის მიერ წახალისებული იქნას ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რომელიც ენერგეტიკის სფეროზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის დივერსიფიკაციის საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია აზერბაიჯანის მთავრობის მხრიდან და ქვეყანა არ არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, გარკვეული ძვრები მაინც შეინიშნება და ქვეყნის სამეურნეო და სამრეწველო სექტორში იდიალური პირობები იქმნება აღორძინებისთვის. ამ ფონზე, იტალიის ეკონომიკა, რომელიც ხასიათდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ძლიერი წარმომადგენლობით, ხელს უწყობს აზერბაიჯანის ინდუსტრიალიზაციის პროცესს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისია (2006 წ).

აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაღრმავებისადმი მზარდი ინტერესის დასტურია იტალიური საწარმოო ბიზნესის მისია აზერბაიჯანში, რომელიც განხორციელდა 2010 წლის აპრილში ბაქოში და რომელსაც ხელმძღვანელობდა საგარეო ეკონომიკური განვითარების მინისტრი ადოლფო ურსო. აგრეთვე მისიაში მონაწილეობდნენ Ice (საგარეო ვაჭრობის ეროვნული ინსტიტუტი) და Simest Finest (ჩრდილო აღმოსავლეთის მეწარმეების საჰოლდინგო კომპანია) [9]. მეორე მხრივ, მცდელობა გაიხსნას სამრეწველო და ლოჯისტიკურ ზონა იტალიურ პორტში Aktau და კასპიის ყაზახურ სანაპიროებზე, ხაზს უსვამს კიდევ ერთხელ აზერბაიჯანის როლს ცენტრალური აზიის ბაზრებზე.

ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა ევროპული და სამხრეთ კორიდორის გასწვრივ მაღალია. იტალია, რომელიც გაზსადენის დანიშნულების ბოლო პუნქტია, ევროპაში ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია: აქ გაზის მოხმარება 70 მილიარდ კუბურ მეტრს აღწევს, ხოლო ბაქოს, როგორც ენერგეტიკული პარტნიორის შესაძლებლობები ამოუწურავია. თუკი ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის დინამიკას დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ ბევრ სასიკეთო სიგნალს, როგორც რეგიონისთვის ასევე ჩვენი ქვეყნისთვის. მხოლოდ შაჰ დენიზ-ის მეორე ფაზის დაწყებით საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ უფრო მეტი გაზი გაივლის, საქართველო გააძლიერებს საკუთარ, როგორც ტრანზიტორი ქვეყნის, როლს; დამატებითი გაზის გატარების შემთხვევაში, საქართველოში შესაძლებელი გახდება გაზზე არსებული მოთხოვნის 75%-ის დაკმაყოფილება მსოფლიოში არსებულ საბაზრო ფასებთან შედარებით თითქმის სამჯერ უფრო იაფად და გაზსადენის ოპერირების პერიოდში მუდმივ სამუშაო ადგილს მიიღებს 130 ადამიანი. არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს შეუძლია ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირი 5% შეღავათიან ფასად შეისყიდოს, რაც გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, წელიწადში დამატებით მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე მეტს შეადგენს. ამასთან, პარალელური მილსადენების მშენებლობისათვის საქართველოს პორტებისა და რკინიგზის გამოყენებით დაახლოებით 350 000 ტონა სამშენებლო ტვირთისა და მასალების გადაზიდვა განხორციელდება [8, 17-18].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. „Heydar Aliyev's Heritage" Iinternational Online Library, www. library.aliyev-heritage.org.
2. პრესის სააგენტო „APA", APA's interview with Italian Ambassador to Azerbaijan Giampaolo Cutillo, 05 November 2013.
3. http://www.eni.com/portal/search/search.do?locale=en–IT&section=news&keyword=SOCAR.
4. State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan, www.azstat.org.
5. Litalia e I vicini oriental dell Unione Europea, ISPI, 2011.
6. La politica energetica dell'Unione europea; Arianna Checchi. p.12-13; 2009.
7. http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2013/06/211313.htm Selection of Pipeline Route for the Southern Gas Corridor; Press Statement; Patrick Ventrell Acting Deputy Spokesperson, Office of Press Relations; Washington, DC, June 28, 201.
8. ენერგოდაიჯესტი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2014, №4.
9. http://www.ambbaku.esteri.it/

Natia Iatsabidze

Doctoral Student of Technical University of Georgia

Economic Cooperation Between Azerbaijan and Italy in Post-soviet Period and Georgia

Since restoration of its independence in 1991 Azerbaijan has paid particular attention to development of its political and economic ties with developed market economies. One of the countries which became strategic partner for Azerbaijan is Italy. During recent years Italy and Azerbaijan have signed a number of bilateral documents related to development of economic relations thus creating solid legislative basis for bilateral cooperation.

Italy and Azerbaijan made remarkable achievements in developing bilateral cooperation in oil and gas sector, including oil and gas refinery and

transportation. Cooperation in this area will definitely continue due to the strategic locations both Italy and Azerbaijan. Oil and Gas is the key sector at the moment, TAP is a very important step and great opportunity, both for Italy and the European Union, to diversify energy supplies from an important and stable provider like Azerbaijan.

On the other hand, Italian companies can be also actively involved in development of non-oil sector of economy of Azerbaijan. Forms of cooperation may include 100% FDI, joint ventures, sub-contracting, license agreements, franchising. Cooperation on equity and non equity basis taking into consideration experience of Italy in developing of small and medium size enterprises (SMEs) could be right direction for expansion of bilateral economic relations.

Cooperation with such economically advanced country as Italy would help Azerbaijan to increase further its competitiveness. Besides technical assistance, cooperation with developed market economies will allow Azerbaijan to attract more FDI, portfolio investment, technology and know-how and gradually increase competiveness of its economy.

If examine the dynamics of cooperation of these two countries, we'll see many positive signals not only for the region also for Georgia. Due to launching second phase of Shah Deniz, three times more natural gas will pass through Georgia. Consequently, Georgia will strengthen its role as a transistor.

გიორგი ჩხიკვიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

დავით ტაბატაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკარატიის განვითარების, ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ თავმჯდომარე

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ქართული პოლიტიკის პარადიგმები

რუსეთის საკითხი შიშველი ნერვივით ფეთქავს ქართულ ცნობიერებაში. შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებ მოიძებნება თანამედროვე სახელმწიფოთა ურთიერთობების ისტორიაში ორი მეზობელი ქვეყანა, რომელთა თანაცხოვრება იმ დოზით იყო გადატვირთული დრამატული მოვლენებით, როგორც ეს საქართველო-რუსეთის მაგალითზეა. სამწუხაროდ, საქართველოში მეცნიერულ დონეზე ნაკლებად არის შესწავლილი „მარშზე მყოფი რუსეთის“ [ჰ. კისინჯერის გამოთქმით] საგარეო პოლიტიკის ვექტორები, მისი ადგილი რეგიონსა და თანამედროვე მსოფლიოში, არადა ამ პრობლემის პოლიტოლოგიური ანალიზის გარეშე ვერ გავაკეთებთ დასკვნებს – რას უნდა ველოდეთ ხვალინდელი რუსეთისაგან, საგრძნობლად გართულდება რუსეთის მიერ პერმანენტულ გამოწვევათა სწორი „ინვენტარიზაცია“ და ადექვატურად დამცავი მექანიზმების შექმნა.

ისტორიულად, რუსეთი ყოველთვის იყო სახელმწიფო, რომლის ნდობაც სარისკო იყო. უინსტონ ჩერჩილს თუ დავესესხებით „რუსებთან დადებული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქაღალდის ფურცლის ფასს, რომელზეც იგია დაბეჭდილი.“მართლაც, მან არაერთხელ დაარღვია დადებული ხელშეკრულება და გატეხა სიტყვა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფარატინა ქაღალდად აქცია გიორგიევსკის ტრაქტატი – არათუ არ დაიცვა და დაიფარა საქართველო, არამედ თვითონ დაიპყრო: მეფის ხელისუფლება და ავტოკეფალია გააუქმა და ხანგრძლივ კოლონიურ მონობაშიც ჩააგდო. ფარატინა ქაღალდად აქცია, აგრეთვე, 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის. საქართველოში გაბატონებიდან სულ რაღაც საუკუ-

ნენახევარში რუსეთმა (სსრ კავშირის ჩათვლით) 11 დიდი ომი გადაიხადა, რომელთა საერთო ხანგრძლივობა 25 წელს აღემატება. მათგან შვიდი ომის ფრონტის ხაზი საქართველოზე გადიოდა [1. 341]. შედეგი ადვილად წარმოსადგენია. იგივე ბედი ეწია მედვედევ-სარკოზის ცნობილ ხელშეკრულებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე რუსეთი ძალისმიერ კომპონენტს ე.წ. „უხეშ ძალას" იყენებს პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე, რომელსაც იგი ჯერ კიდევ მის გავლენის სფეროდ მიიჩნევს. ამის დამადასტურებელია საქართველოს ტერიტორიის ნაწილების ოკუპაცია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და და ყირიმის ანექსია. რაც შეეხება დასავლეთთან ურთიერთობებს, ცივი ომის შემდეგ რუსეთმა პოლიტიკური მიდგომები მკვეთრად შეცვალა. ბელოვეჟის სამიტის შემდეგ, როდესაც იგი იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა სრულუფლებიან სუბიექტად, (როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი ავტომატურად გახდა როგორც გაეროს, ასევე, მისი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი), საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად აქცია დასავლეთთან თანამშრომლობა და საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანება. 2007 წლის 10 თებერვალს უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნჰენის ტრადიციულ კონფერენციაზე „პუტინის დოქტრინის" სახით, რუსეთმა გააკეთა განაცხადი ევროპული უსაფრთხოების სისტემის მთავარ არქიტექტორად გახდომის შესახებ. ნაწილობრივ მოდერნიზებულმა რუსეთმა უხეში ძალის გაკეთილშობილების მიზნით სამხედრო კომპონენტები ჩაანაცვლა ზეგავლენის არაძალისმიერი ფორმებით, ქმედებებით, რომელიც პოლიტიკის თეორიაში „რბილი ძალის" სახელითაა ცნობილი.

„რბილის ძალის" კონცეფციის ავტორი არის ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ნაი, რომელმაც 2004 წ. გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „რბილი ძალა – მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება", წამოაყენა ახალი მიდგომა თანამედროვე საგარეო ურთიერთობებში. ეს თეორია ემიჯნება „უხეში ძალის" თეორიას. იგი დაფუძნებულია იძულებისა და ზეწოლის მექანიზმზე და სასურველი მიზნის მისაღწევად აქცენტს აკეთებს თანამშრომლობაზე, ენერგეტიკულ, ეკონომიკურ და ინტელექტუალურ რესურსებზე. „რბილი ძალის" კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაცია აქტიურად დაიწყო აშშ-ს მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. მისი „გადატვირთვის პოლიტიკა" არის „რბილი ძალის" პოლიტიკის განხორციელების კლასიკუ-

რი ნიმუში. რუსეთიც უკრაინის პროცესებამდე ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ამერიკის ახალი ადმინისტრაციას. „რბილი ძალის“ რეალიზაციის მიზნით მოსკოვი იყენებდა სახელმწიფო სტრუქტურებს და ინსტიტუტებს, მედიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფონდებს, ცნობილ სახეებს, მეცნიერებს, ექსპერტებს, უცხოეთში სახელგანთქმულ პიროვნებებს, ემიგრაციას და ე.წ. „მეხუთე კოლონას.“მან ეს მექანიზმი დაამუშავა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. დასავლეთთან მიმართებაში რუსული „რბილი ძალის“ სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია:

პირველი, აშშ-სთან ურთიერთობის დროს გაუჭრელი კოზირია რუსეთის ხელში „ვეტოს“ უფლება უშიშროების საბჭოში და გლობალური უსაფრთხოების პროექტებში მონაწილეობა. ევროპასთან ურთიერთობის დროს კი ძირითადად ეკონომიკის პოლიტიკური მიზნებით გამოყენება, კერძოდ:

ა) რუსეთის ენერგეტიკული დიპლომატიის განვითარება, მისი ძირითადი მიზანი არის ზეგავლენის მოხდენა მეზობლებსა და ევროკავშირის ქვეყნებზე. დასავლეთში რუსეთის მიერ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების მაგალითებია: ავსტრიაში – „გაზპრომის“ მიერ რამდენიმე გაზის სავაჭრო და მარკეტინგული კომპანიის კონტროლი. 2012 წლის თებერვალში რუსული „სბერბანკის“ მიერ შეძენილი ავსტრიული VBI ბანკის 100%-იანი წილი, რამაც მოიცვა VBI-ის შვილობილი ბანკები ბოსნიაში, სერბეთში, სლოვენიასა და ხორვატიაში. რუსეთი არის ავსტრიისათვის გაზის საკვანძო მიმწოდებელი; ბულგარეთში – „გაზპრომის“ მიერ გაზის სავაჭრო და ტრანსპორტირების კომპანია „ტოპენერგო“-სა და გაზის დისტრიბუციის კომპანიის „ოვერგაზის“ კონტროლი. გაზით მომარაგების თვალსაზრისით, ბულგარეთი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული; სერბეთში – „გაზპრომი“ აკონტროლებს გაზის სადისერტაციო კომპანია „იუგოროსგაზს.“ამასთან ერთად, სერბეთის გაზის მომარაგება რუსეთზეა დამოკიდებული; ჩეხეთში – „გაზპრომი აკონტროლებს გაზის სადისტრიბუციო კომპანია „ვემექსს.“2011 წელს „გაზპრომმა“ შეიძინა 51%-იანი წილი ჩეხურ „RSP Energy“-ში, რომელის არის ჩეხი მომხმარებლისათვის ელექტროენერგიისა და გაზის ერთ-ერთი მიმწოდებელი [2. 22]. ჩეხეთი გაზით ძირითადად რუსეთიდან მარაგდება. გარდა ამისა, რუსეთი არის გაზის ძირითადი წყარო თურქეთისათვის, მაკედონიისათვის, საბერძნეთისათვის, სლოვაკეთისათვის, სლოვენიისათვის, ფინეთისათვის, ჩერნოგორიისათვის, პოლონეთისათვის; მნიშვნელოვა-

ნი მიმწოდებელია გერმანიისათვის, იტალიისათვის, რუმინეთისა და ხორვატიისათვის.

ბ) „რბილი ძალის“ ინსტრუმენტის სახით რუსეთი მოიაზრებს ფინანსურ დახმარებებს, რომელზეც დამოკიდებულნი არიან დიდი და პატარა ქვეყნები. კოლონიური პოლიტიკის პერიოდში ინგლისში არსებობდა გამოთქმა, რომელიც კოლონიური დაპყრობის სქემას ასახავდა: „ჯერ ჩნდება ვაჭარი, მერე ხიშტი და დროშა.“რუსეთი სულ უფრო ზრდის ევროპული ქვეყნებისათვის გაცემულ კრედიტებს და კრემლის მიერ კონტროლირებადი რუსული კომპანიების მიერ შეძენილი ევროპული კომპანიების აქციების რიცხვს. ძალიან დიდია რუსეთის გავლენა ევროპული სახელმწიფოების ფინანსურ სისტემებში, კერძოდ, კვიპროსი 2005-2011 წლების მონაცემებით ოფიციალურად იყო მესამე ადგილზე რუსეთში ჩადებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, რაც გამოწვეული იყო რუსული ფულის მოძრაობით რუსეთიდან კვიპროსზე და იქიდან ისევ რუსეთში; სერბეთს 2013 წელს მიღებული აქვს რუსეთის მიერ 5-წლიანი კრედიტი 800 მილიონი დოლარის ოდენობით, სერბული სატრანსპორტო სისტემის, უპირველეს ყოვლისა, რკინიგზის მოდერნიზაციისათვის, მოგვიანებით დაემატა 500 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად, ჩერნოგორიის უამრავი ქონების დიდ ნაწილს რუსეთის მოქალაქეები ფლობენ, უნგრეთს 2014 წლის ხელშეკრულებით რუსეთის მიერ გადაეცემა 13.7 მილიარდი დოლარის ოდენობით კრედიტი, რომელიც უნდა მოხმარდეს არსებული ატომური ენერგოსადგურების განახლებას და ა. შ. [2. 24].

გ) რუსეთის ეკონომიკური აქტივობის სხვა ფორმებსაც იყენებს მისი პოლიტიკური ინტერესების მხარდასაჭერად. მაგალითად, იარაღით ვაჭრობს ევროპის ფარგლებს გარეთ რიგ სახელმწიფოებრთან: სუდანთან, ბოლივიასთან, ინდოეთთან, ეკვადორთან, ზიმბაბვესთან, ირანთან, ვიეტნამთან, სირიასთან, ვენესუელასთან და ა. შ., რასაც მოწმობს სხვადასხვა წლებში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დევნილთა დაბრუნების შესახებ გაეროს ყოველწლიური რეზოლუციების წინააღმდეგ მიცემული ხმები.

მეორე, „რბილი ძალის“ ერთ-ერთი კომპონენტია სხვა ქვეყნების შინაგან პროცესებზე ზეგავლენის ტაქტიკა, რომელიც გამოიხატება ხელისუფლებაში კანონიერი გზით პრორუსული ძალების მოსვლით. ეს ტექნოლოგია ძირითადად გამოიყენება პოსტაბჭოურ

სივრცეში, რამაც უკვე გამოკვეთა გარკვეული შედეგები. პრორუსული ორიენტაციის პრეზიდენტების არჩევით ბელარუსში, უკრაინაში, მოლდოვაში, სომხეთში რუსებმა შეძლეს გავლენის აღდგენა ამ ქვეყნებში ასევე, შუა აზიის სახელმწიფოებში: ყაზახეთში, ყირგიზეთში, სადაც ე.წ. „მეამბოხეებმა“ დაამხეს კანონიერი პრეზიდენტი ბაკიევი და ა. შ. ამჟამად მიმდინარეობს „რბილი ძალის“ გამოყენების მცდელობა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან მიმართებაში.

მესამე, „რბილი ძალის“ ერთ-ერთი ინსტრუმენტია კრემლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მსოფლიოში რუსეთის საინფორმაციო-კულტურული ზეგავლენის მისაღწევად. რუსული „რბილი ძალის“ კონცეფტი ეფუძნება „ველიკორუსულ ფასეულობებს“, „ტრადიციების დაცვას“, რომელიც გაზავებულია რუსული ნაციონალიზმითა და მესიანიზმით და მათი გაკეთილშობილების ახალი მცდელობაა. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ანტისემიზიტმი და ანტივესტერნიზმი, რამდენადაც „ტრადიციების დაკარგა“ ებრაელების ან დასავლეთის კულტურული ზეგავლენის შედეგად აღიქმება; და ასევე ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზაცია, რომელიც რუსეთის მეზობელ ქვეყნებში ანტიევროპული განწყობილების შესაქმნელად და რუსეთის გარშემო მათ დასარაზმავად გამოიყენება. მართლაც, ჰომოსექსუალობის თემა კრემლის „ტრადიციონალისტური“ იდეოლოგიის წყალობით საზოგადოებრივი ყურადღეის ეპიცენტრში მოექცა თითქმის მთელ პოსტაბჭოთა სივრცეში, თუმცა სექსუალური უმცირესობების სტატუსის თემას ევროპული ქვეყნების საჯარო დისკურსებში არცთუ იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, როგორც ამის წარმოჩენას კრემლი ცდილობს. პუტინის რუსეთის იდეოლოგიურ ფასადს რიგი მეცნიერები, ძირითადად ანტიგლობალისტები და ნაციონალისტები, ჩვენშიც და დასავლეთშიც სინამდვილედ აღიქვამს. ამ წრეებში პუტინი განიხილება დასავლური ლიბერალიზმის ალტერნატივად.

მეოთხე, რუსული „რბილი ძალის“ პოლიტიკის ერთ-ერთი კომპონენტია რუსეთის საგარეო პოლიტიკის „ჰუმანიტარული მიმართულება“, რომელიც დაკავშირებულია უცხოეთში რუსეთის ინტერესებისა და ერთა თვითგამორკვევის უფლებათა დაცვასთან. მოსკოვი სამხედრო ოპერაციების განხორციელების დროს ყირიმის ანექსიამდე ყოველთვის აპელირებდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და ჰუმანიტარული მოტივაციით. ყირიმის

ანექსიით მან დაარღვია საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული „თამაშის წესები“, რომლებიც აღიარეს სუვერენულმა სახელმწიფოებმა და რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. კერძოდ, რუსეთმა ყირიმის ანექსიით დაარღვია 1994 წლის აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გარანტორობით მის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება უკრაინის საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. ამით რუსეთმა წყალი შეუყენა არსებულ მსოფლიო წესრიგს და ევროპის საზღვრების ურღვევობას და გააკეთა განაცხადი „რბილი ძალის“ პოლიტიკის თამაშის წესების იგნორირების, საკუთარი პოლიტიკური დომინაციის ღიად აღდგენისა და ახალი გეოპოლიტიკურ მსოფლიო მოთამაშედ გახდომის შესახებ.

თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის შემდგომი კორექტირება დაკავშირებულია აშშ-ს მიერ განხორციელებულ ქმედებებთან – რამდენად შეძლებს იგი ამ წესრიგის გარანტორის როლის შენარჩუნებას და რუსეთის დაბრუნებას საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში. ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოზიციაც რუსეთის მიმართ – რამდენად შეძლებს ის პოლიტიკური დაქსაქსულობის დაძლევას და ეკონომიკურ დისტანცირებას რუსეთისგან. გრძელვადიან გათვლებში ევროპის გაზით მომარაგების ალტერნატიული გზების მოძიების, ასევე თხევადი გაზის ტრანსპორტირებისა და ფიქლის გაზის ტექნოლოგიების განვითარების შემთხვევაში ეს სავსებით რეალურია. მოკლევადიან გათვლებში რუსეთისაგან უნდა ველოდეთ ახალ-ახალ სიურპრიზებს დემოკრატიული დასავლეთისათვის, და გამოწვევებს პერმანენტულ რეჟიმში მის სამეზობლოში რჩება. განსაკუთრებით კი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისა და სექტემბრის ნატოს სამიტზე მაპის მიღების სურვილის გამო.

გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი დღეს უკრაინის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე აგრესიულად განწყობილი საქართველოს წინააღმდეგ არის, საქართველო რჩება რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრეტენზიების სამიზნედ და კვლავ არსებობს საფრთხე რეალური სუვერენიტეტის ხელყოფის ჭრილში, განსაკუთრებით უკრაინის მოვლენების შემდეგ. ამიტომაც, რაც არ უნდა რთული მისაღწევი იყოს, ქართულმა დიპლომატიამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სამომავლო რეალობა, რომლის დროსაც რუსეთთან ნებისმიერი ინტენსიურობისა და ხასიათის კონფლიქტის დროს საქართველო რუსეთთან პირისპირ არ აღმოჩნდება მოვლენათა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი სცენარე-

ბის განვითარების შემთხვევაშიც კი. დიპლომატიის ისტორიამ იცის პრეცენდენტი, როდესაც საერთაშორისო ზეგავლენით რუსეთი იძულებული გახდა ელიარებინა საკუთარი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის კანონიერი მიუღებლობა სხვა სახელმწიფოებისათვის და დათანხმებულიყო მის ძირეულ კორექტირებაზე. მხედველობაში გვაქვს 1878 წლის ივნისში ბერლინის კონგრესზე ლონდონში რუსეთის ელჩის გრაფ შუვალოვის პოზიცია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აღიარა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ სოლსბერის ცნობილი მემორანდუმის სამართლიანობა, სადაც დამაჯერებლად იყო დასაბუთებული, თუ რატომ იყო ევროპის სიმშვიდისათვის ობიექტურად მიუღებელი სან-სტეფანოს ზავი და საჯაროდ დაუჭირა მხარი რუსეთისათვის უპრეცენდენტოდ ხელსაყრელ თურქეთთან ზავის გადასინჯვას. მართალია, ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ერთადერთია რუსეთის პოლიტიკურ ისტორიაში, მაგრამ გლობალიზაციის განვითარების ლოგიკა თანამედროვე ეტაპზე იძლევა შანსს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის საქართველოს სახელმწიფოს ინტერესის ირგვლივ მობილიზების შემთხვევაში ეს ფაქტი არ დარჩეს მხოლოდ პრეცენდენტად. ამავე დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მობილიზების რეალური ჩარჩოები, ვაწარმოოთ სწორი გათვლები დასავლეთის მხარდაჭერის მასშტაბებსა და შესაძლებლობებზე, რათა გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი ან პოლიტიკური აქცია არ იქცეს სიურპრიზად თბილისისათვის და საქართველოს არ მოუწიოს მოქმედება პოსტ-ფაქტუმ. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას სწორად განსაზღვრული და შეფასებული რუსეთის, როგორც ახალი გეოპოლიტიკური მსოფლიო მოთამაშის როლი გლობალური პოლიტიკის არენაზე, მისი დასავლეთთან ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი და მარგი ქმედების კოეფიციენტი. უცხოელ მოკავშირეთა რეალური ზეგავლენის განსაზღვრა აუცილებელია, რათა შევძლოთ რუსეთთან მოსალოდნელი აგრესიის ნეიტრალიზება.

რუსეთთან ჩვენი ურთიერთობისას ამოსავალი პოსტულატი უნდა იყოს პრაგმატიზმი, ამავე დროს, უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად, რადგან საქართველოს არა აქვს დიდი ხნის ლოდინისა და კუს ნაბიჯით სიარულის ფუფუნება. უნდა მოხდეს მოსკოვიდან მომდინარე ყველა შესაძლო რისკების ანალიზი, რუსეთს ზეწოლის საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანი არსენალი გააჩნია. უნდა მოხდეს

თითოეული მათგანის გათვლა და მის ასაცილებლად შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება. კერძოდ: რთული არ არის იმის პროგნოზირება, რომ შესაძლოა ყირიმის მოვლენებმა „დომინოს თეორიის“ მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზეც გადმოინაცვლოს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დავასწროთ მოვლენებს და მივიღოთ პრევენციული ზომები, რომლის თანახმადაც რუსეთმა თავისი კოზირი – ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართლის პრინციპით აპელირება – ვერ გამოიყენოს. მითუმეტეს, მსოფლიოში არსებობს ასეთი მიდგომის პრეცენდენტი. კერძოდ, კანადის ფედერალურმა მთავრობამ 1998 წელს მიმართა ქვეყნის უზენაეს სასამართლოს კვებეკის ცალმხრივად გამოყოფის ლეგიტიმურობის განსასაზღვრად. სასამართლომ დაადგინა, რომ კანადის კანონმდებლობის მიხედვით, კვებეკს არა აქვს ცალმხრივად გამოყოფის უფლება და დაადასტურა, რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და ამ შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა ვერ დადგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სახელმწიფოს რომელიმე შემადგენელი ნაწილის აღიარება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ესპანეთში შექმნილი პოლიტიკური ანალიზის გათვალისწინებით არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე წესით მოხდება მსჯელობა კატალონიის თაობაზე. დასანანია, რომ დღემდე არ მომხდარა ასეთი მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მით უმეტეს, რომ ასეთ აკრძალვებს ისევე, როგორც კანადის, ჩვენი ეროვნული კანონმდებლობაც ითვალისწინებს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ დღეს მაინც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად არაქართული მოსახლეობითაა დასახლებული, რათა მოსკოვის სამომავლო პროვოკაციებს ზურგს არ უმაგრებდეს პოლიტიკურ-სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება.

საქართველოზე რუსეთის ზეწოლის ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ საზოგადოებრივ აზრში ცვლილებებიც. თავის დროზე ნატოში გაწევრიანების მხარდამჭერთა 70%-ზე მეტმა მაჩვენებელმა ზედმეტი თავდაჯერებულობის ატმოსფერო შექმნა. ალიანსში გაწევრიანებაზე საზოგადოება ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა და ამიტომაც, როგორც ყოველთვის ხდება, დიდ მოლოდინს დიდი იმედგაცრუება მოჰყვა. პირველივე სერიოზულ წინააღ-

მდეგობაზე ბუქარესტის სამიტზე მოხდა ილუზიების ჩანაცვლება იმედგაცრუებით. ამ ფონზე ძალიან გააქტიურდა პრორუსული ძალები, რომლებიც ღიად პრორუსულ პროპაგანდას ჯერჯერობით ვერ ბედავენ, მაგრამ იმავე მიზანს დასავლეთისა და მისი ფასეულობების კრიტიკით აღწევენ. დღეს პროდასავლური ინფრასტრუქტურის თითქმის ყველა კომპონენტი დარტყმის ქვეშაა. იმისათვის, რომ გარკვეულ წინააღმდეგობებს და მოსალოდნელ პროვოკაციებს არ მოჰყვეს ილუზიების ჩანაცვლება და იმედგაცრუება აუცილებლად მიგვაჩნია თბილისში ფართო საზოგადოების მონაწილეობით იქნას მოწყობილი დისკურსიები, სამეცნიერო კონფერენციები თუ სხვა სახის ღონისძიებები, სადაც იქნება სერიოზული მეცნიერული კვლევა ჩატარებული თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის და მისი პოლიტიკური დოქტრინის, ლიდერთა მენტალობის, რუსების ეთნოფსიქოლოგიისა და სხვა საკითხების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული დილემებისა თუ სახვალიო საფრთხეების ანალიზის, პროგნოზირების, დამცავი პრევენციული ზომების გათვლისა თუ სხვა გამოწვევების თაობაზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008.
2. ჟურნალი „ტაბულა“, №35, 2014.

Giorgi Chkhikvishvili

Assistan-proffesor of the Georgian Technical University

Davit Tabatadze

Chief of N.G.O „Center of Development, Analysis and Forecasting of Democracy"

Main Vector of Russian Foreign Policy and Paradigms of Politics of Georgia

Summary

Considered in the article, the new trend of modern Russian foreign policy in global politics according to which military components are replaced not by force impact forms. Such an approach in political science is known as the principle of ''soft power."

'Soft power', Russia in Global Affairs, applies and in the former Soviet Union, which Russia still considers its sphere of influence, not even trying hard to elevate the power and uses of neighboring states to meet their real claim due to their sovereignty

In the letter is concluded on the basis, politological analysis of problems. What we should expect from tomorrow's Russia and given advice about the possible avoidance of danger.

Николай Джавахишвили

Доктор исторических наук, профессор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, главный научный сотрудник Отделения новой и новейшей истории Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКОГО ВОЕННОГО СОТРУДНИЧЕСТВА (на рубеже XVIII-XIX веков)

История взаимоотношений грузинского и северокавказских народов берет свое начало в глубине веков. Грузинские цари и владетельные князья всегда придавали большое военно-политическое значение тесным связям с горцами, проживающими по ту сторону Кавказского хребта. Поэтому они старались поддерживать с северокавказскими народами добрососедские, дружественные отношения. Воины-северокавказцы служили в войсках грузинских царей еще до нашего летосчисления [13, 22-45].

Царская династия Багратионов правила Грузией в продолжение тысячелетия (IX–XIX вв.) [40, 615-622], дав родине многих выдающихся царей [1].

Традиционное военное сотрудничество грузин и северокавказцев успешно продолжалось и развивалось вплоть до последних лет существования грузинской монархии. В этом отношении особенно выделялся период царствования (1744-1798) Ираклия II (1720-1798), в войсках которого систематически числились северокавказцы [22, 92-120], в том числе и дагестанцы [14, 39].

История взаимоотношений грузинского и дагестанских народов насчитывает многие века [5; 17; 28]. Правда, на протяжении столь долгой истории сосуществования между нашими народами, к сожалению, нередко случалась и вражда, но между грузинами и дагестанцами – не только историческими соседями, но и родственными с

генетической и языковой точек зрения царили также дружба и сотрудничество [33-34].

Одним из значительных периодов истории грузино-дагестанского военного сотрудничества является конец XVIII – начало XIX веков. В этот период на территории Грузии существовало два царства – Карталино-Кахетия (Восточная Грузия) и Имеретия (Западная Грузия), а также княжества: Мегрелии, Абхазии, Гурии и Сванетии (Западная Грузия).

Последними царями из династии Багратионов были: в Имеретии – Давид II (1755-1795) и сын его двоюродного брата – Соломон II (1772-1815), в Карталино-Кахетии – Георгий XII (1746-1800) и его внук – Григорий I (1789-1830).

Настоящий очерк делится на две подглавы: 1. Дагестанцы на службе последних царей Имеретии – Давида II и Соломона II; 2. Дагестанцы на службе последних царей Карталино-Кахетии – Георгия XII и Григория I.

1. Дагестанцы на службе последних царей Имеретии Давида II и Соломона II

Соломон I (1735-1784), царь Имеретии, царствовал в течение 32 лет (1752-1784). По его завещанию на имеретинский престол должен был взойти сын его брата, царевича Арчила – Давид (1772-1815), будущий царь Соломон II. Заметим, что мать Давида, царевна Елена (1753-1786) была дочерью царя Ираклия II.

Поскольку по смерти Соломона I (1784) его племяннику Давиду Арчиловичу было всего 12 лет, было решено до его совершеннолетия временно возвести на престол двоюродного брата скончавшегося царя 29-летнего Давида Георгиевича (1755-1795), который известен в истории под именем Давида II [16, 280-281].

Давид II царствовал в течение 1784-1789 гг. Для осуществления собственных целей он часто использовал дагестанское войско, которое шедро вознаграждал.

В 1789 году против Давида II сформировалась коалиция, в которой объединились недовольные его правлением феодалы. Последние пытались возвести на престол законного наследника имеретинского престола 17-летнего Давида Арчиловича. В свою очередь, Давид II стал готовиться к войне.

Как отмечает историк Николай (Нико) Дадиани (1764-1834), „царь Давид собрал войско грузин и дагестанцев" [7, 184].

11 июля 1789 года недалеко от города Хони, в битве, разыгравшейся в Хунц-Матходжской роще, Давид Арчилович победил Давида II и изгнал его из Имеретии. На имеретинский престол взошел Давид Арчилович, известный под именем царя Соломона II.

Изгнанный царь нашел пристанище у Ахалцихского паши, подданного турецкого султана. Он не собирался уступать имеретинского престола и 11 июля 1790 года вторгся в Имеретию и на недолгое время вернул себе престол. В его войске сражались и дагестанцы [7, 185-186].

Следует сказать, что в борьбе за овладение имеретинским престолом дагестанские отряды служили в войсках обоих претендентов – Давида II и Соломона II.

В том же 1790 году коалиционная армия, в состав которой входили войска Карталино-Кахетии и Мегрелии, повергла Давида II и взяла г. Кутаиси. На этот раз дагестанцы боролись на стороне Соломона II [16, 303].

Давид II еще раз попытался вернуть трон с помощью турок и дагестанцев, но тщетно. Сторонникам Соломона II удалось склонить на свою сторону влиятельного лезгинского вождя Дурмаму, который вместе со своим отрядом покинул войско Давида II.

Но оставшиеся в войске Давида II дагестанцы продолжили борьбу. Особую самоотверженность в этой войне проявили прославленные воины – князь Свимон Абашидзе и дагестанец Амирхан. Однако численный перевес противника вынудил Давида II покинуть поле бытвы [7, 187].

Победивший в борьбе Соломон II окончательно вернул себе царский престол и процарствовал до 1810 года.

Соломон II желал утвердить свою власть и в княжествах, существовавших в ту пору на территории Западной Грузии. В его личной охране служили отборные дагестанские воины [24, 447], которых царь использовал и для покорения мятежных владетельных князей Мегрелии и Гурии [7, 190-192].

В 1802 году Соломон II нанял дагестанский отряд численностью 600 человек под предводительством Нур-Мамеда [23, 375], а также другой отряд, которым руководил Джама, платя каждому воину по 20 курушов [23, 669].

Здесь следует отметить, что упомянутый выше Нур-Мамед или Нур-Мухаммад Османилав был из сел. Унцукуль (по грузински – „Осоколо"), жители которого считались подданными шамхалов Тарковских, хотя по языку они являются аварцами.

25 апреля 1804 года Соломон II был вынужден подписать документ, согласно которому Имеретия вошла под подкровительство Российской империи. Однако, несмотря на это, царь не скрывал своего недовольства произволом имперского военного руководства и готовился к изгнанию русских войск. В 1808 году командование русской армией узнало, что Соломон II планировал использовать против русских дагестанское войско [16, 353].

По такому случаю 20 февраля 1810 года по указу командующего дислоцированной в Имеретии русской армией генерала А. Тормасова в церквах Кутаиси публично объявили об упразднении Имеретинского царства [25, 219].

Однако сам царь был еще на свободе и не намеревался покориться, тем более, что народ его поддерживал. Естественно поэтому, что русские мечтали схватить его.

12 марта 1810 года офицеры имперской армии Симонович и Могилевский публично поклялись, что не схватят царя, если он согласится на переговоры с генералом Тормасовым. Но офицеры не сдержали клятвы, 15 марта пленили приглашенного на переговоры царя и привезли его в Тбилиси [16, 372].

10 мая Соломону II удалось бежать из плена и покинуть Тбилиси. В сопровождении 23 грузинских конников царь направлялся в Ахалцихе, когда на Триалетской дороге ему повстречался отряд мародёрствующих дагестанцев в составе 300 человек. Однако, узнав царя, дагестанцы приветствовали Соломона II и с большими почестями сопроводили его до Ахалцихе. Ахалцихский паша в знак особого уважения торжественно встретил царя и преподнес породистого коня и украшенную золотом сбрую [8, 105].

Укрывшийся в Ахалцихе царь готовился вернуть потерянный престол. По его призыву в июне в Имеретию вспыхнуло народное восстание.

В середине июня Соломон II вместе с преданными ему князьями и дагестанским отрядом в 600 человек вторгся в Имеретии и возглавил восстание [7, 202].

Кровопролитная борьба продолжалась три месяца. Восставшие стойко, самоотверженно противостояли врагу, однако, когда русским на подмогу пришли значительные силы, продолжать борьбу стало невозможно.

25 сентября Соломон II окончательно покинул территорию своего царства и укрылся в Ахалцихе. Последние годы своей жизни гонимый царь провел в Трапезунте, где скончался 7 февраля1815 года в возрасте 42 лет [16, 377-387].

Как видим, дагестанские воины преданно служили в войсках последних имеретинских царей: одни из них – у царя Давида II, другие – у царя Соломона II.

2. Дагестанцы на службе последних царей Карталино-Кахетии – Георгия XII и Григория I

14 января 1798 года царем Карталино-Кахетии был благословлен наследник престола, старший сын покойного царя Ираклия II (1720-1798) – Георгий XII (1746-1800), который процарствовал три года (1798-1800).

В личной охране Георгия XII некоторое время служили и наемные дагестанские (аварские) воины.

Как пишет известный грузинский историк XIX века Платон Иоселиани (1809-1875), „1200 дагестанских бойцов были приглашены в Тбилиси в ранге личной охраны царя. Каждый из них ежемесячно получал 30 рублей серебром. По приказу царя дагестанцев опекал дворянин Фома Мегвинетухуцесишвили, который хорошо знал их язык" [10, 198-199].

Царевичи Юлон и Александр, братья Георгия XII по отцу, попытались настроить против царя свою личную охрану [10, 198-199], но этот заговор провалился, как так вожак аварцев – Мурат оказался преданным царю человеком [10, 58].

28 декабря 1800 года Георгий XII скончался. За десять дней до его кончины император Павел I подписал тайный манифест, по которому Карталино-Кахетинское царство упразднялось и входило в состав Российской империи. Этим было нарушено обещание самого императора о сохранении царству автономии [27, 461-462] и упразднялось царствование династии Багратионов.

12 сентября 1801 года новый император России Александр I издал новый манифест об упразднении Карталино-Кахетинского царства и воссоединении его с Российской империей. Таким образом, Восточная Грузия стала частью России.

В 1801-1917 гг. российские императоры разумели себя одновременно и царями Грузии. В их титуловании термин „Царь Грузинский" стоял до титулов „Великий князь Литовский", „Великий князь Финляндский", „Князь Эстляндский, Лифляндский, Курляндский" (т. е. владетелей Прибалтийских стран) и т. д. [39, 7].

В XIX веке в Большой и Средний государственные гербы России был внесен "Герб Царства Грузинского", в основе которого был положен Большой государственный герб Карталино-Кахетинского царства времен царя Ираклия II.

На Большом государственном гербе России были изображены гербы различных владений, входящих в состав Российской империи, среди которых самое пространное описание имел „Герб Царства Грузинского."На нем, наряду с гербами грузинских царств, были изображены и гербы кавказских владений, которые когда-либо входили в состав Грузии или находились в ее подчинении: Северный Кавказ и ханства, находящиеся на территории нынешнего Азербайджана и Армении, в частности, „герб Кабардинских земель", „герб Черкасских и горских князей" и „герб Армении" [30, 38-39].

В официальном описании Большого государственного герба Российской империи читаем: ***"Герб Царства Грузинского*** – щит четверочастный, с оконечностью и малым в середине щитом:

в среднем малом щите – *герб Грузии:* в золотом поле святой Георгий Победоносец в лазуревом вооружении, с золотым на груди крестом, в червленой мантии, сидящий на черном коне, покрытом багряной с золотом бахромою и поражающий червленым копьем зеленого, с черными крыльями и червленными глазами и языком дракона;

в первой части – *герб Иверии:* в червленом щите серебряный скачущий конь; в углах, верхнем левом и нижнем правом, серебряные восьмилучевые звезды;

во второй части – *герб Карталинии:* в золотом щите огнедышащая гора, пронзенная крестообразно двумя черными стрелами, остриями вверх;

в третьей части – *герб Кабардинских земель:* в лазурном щите, на двух серебряных крестообразно, остриями вверх положенных стрелах – малый золотой щит с червленым, обращенным вправо полумесяцем; в трех четвертях серебряные шестилучевые звезды;

в четвертой части – *герб Армении:* в золотом поле червленый коронованный лев;

в оконечности – *герб Черкасских и Горских князей:* скачущий на черном коне черкес, в серебряном вооружении, червленой одежде и черной из меха мантии, с черным копьем на правом плече" [30, 38-39].

Этот многообразный герб, увенчанный грузинской царской короной, представляет собой уникальный геральдический образец. Он символически олицетворяет весь Кавказ, объединенный под царской короной тысячелетней династии Багратионов. Тем самым правители Российской империи на значительнейшем ее символе – государственном гербе официально зафиксировали, что среди стран Кавказского региона Грузия традиционно являлась государством-гегемоном.

Упразднение грузинской государственности дорого обошлось династии Романовых. Симптоматично, что за столь коварное действо по отношению к единоверной стране провидение наказало Павла I рукой обрусевшего грузинского князя – в покушении на императора участвовал и генерал-майор Владимир Михайлович Яшвиль/Яшвили (1764-1815) [41, 78-79].

После этого ни один император России, кроме Александра III, не умирал естественной смертью [37; 41].

Потеря национальной государственности вызвала большое недовольство свободолюбивого грузинского народа. За этим последовали бунт в Кахетии (1802 г.) и восстания в Мтиулети (1804 г.), которые были утоплены в крови имперской администрацией.

Однако, при всем при том, здравомыслящая часть грузинского населения не оставляла надежды на вновь воцарение Багратионов, видя в этой династии живой символ грузинской государственности. Именно поэтому большинство членов Карталино-Кахетинской царской семьи с 1803 года были насильно переселены в Санкт-Петербург. Позже их судьбу разделили и остальные члены царской семьи. Избежали этого лишь два царевича: сбежавший в Персию Александр Ираклиевич (1770-1844) и его племянник (внук брата по отцу)

Григорий (на грузинском языке – Григол) Иоаннович (1789-1830), которому удалось остаться на родине до марта 1812 года.

Самоуправство имперской администрации вызывало глубокое недовольство населения Грузии, готовя почву для очередных волнений.

С 31 января 1812 года в Кахетии вновь вспыхнуло народное восстание. В то время Грузией управлял назначенный императором „главнокомандующим" маркиз итальянского происхождения Филлип Осипович Паулуччи (1779-1849).

В восстание включился правнук Карталино-Кахетинского царя Ираклия II – Григорий Иоаннович Багратиони – представительный, рослый мужчина, которому в ту пору было 23 года.

Отцом Григория был известный грузинский государственный деятель, просветитель, энциклопедист, писатель и ученый, лексикограф, фельдцехмейстер грузинской артиллерии – царевич Иоанн (1768-1830), сын царя Карталино-Кахетии Георгия XII (1746-1800). Его супруга, мать Григория – Кетеван (1772-1823) – была дочерью влиятельного имеретинского князя Зураба Церетели.

Григорий рос при дворе своего прадеда Ираклия II и деда Георгия XII. Именно здесь, в атмосфере культурных и литературных традиций причастился он к писательству. Будущий поэт и каллиграф вращался в кругу избранного общества того времени.

Появление в Кахетии молодого потомка славных грузинских царей стало большим стимулом для восставших. Кахетинцы провозгласили его своим предводителем и объявили царем Карталино-Кахетии.

Григорий I царствовал в Восточной Грузии с 20 февраля до 6 марта 1812 года.

Официальная историография периода Российской империи и СССР считала Григория не царем, а претендентом на престол. Однако в последнее время в грузинской историографии мною было высказано мнение, что Григория I следует считать последним царем Карталино-Кахетинского царства, поскольку он царствовал в течение двух недель. Этому вопросу было посвящено наше монографическое исследование „Григорий I – последний грузинский царь" [21], изданное на грузинском языке.

Материал о Григории I и кахетинском восстании 1812 года содержится как в грузиноязычных, так и русскоязычных изданиях [2-4;

6; 8-12; 15; 18-21; 26; 29; 31-36; 38]. Поэтому мы не будем останавливаться на данном вопросе.

Григорий I проявил большие организаторские способности и развернул широкую пропагандистскую деятельность, призывая все народы Кавказа объединиться против общего врага.

Ликование грузин в связи с обретением собственного монарха разделили все свободолюбивые народы Кавказа, в том числе дагестанцы, осетины, а также живущие в юго-восточной приграничной зоне Карталино-Кахетии тюркские племена – борчалинцы, шамшадильцы и казахцы, традиционно преданные грузинским царем.

Царь Григорий I разослал письма агаларам (управителям) Борчало, Шамшадило и Казаха с призывом „истребить покорителей" [18, 116-118].

Делегация восставших прибыла в Ахалцихе и предложила Шериф-паше, ярому противнику русских: „Коли хочешь отомстить маркизу, как раз наступило время. Восстала вся Восточная Грузия, маркиз в Карабахе, атакуй русских с Триалети" [18, 149].

21 февраля отряд Шериф-паши напал на русский гарнизон, располагавшийся в Ахалцихской крепости, но был разбит. Однако радость Паулуччи была недолгой – управитель Казаха сообщил ему печальное известие: „1000 дагестанских воинов прибыли к Алазани и соединились с восставшими грузинами. И здесь нет покоя от бунтовщиков, шлют своих представителей и подстрекают здешних мусульман против императорской армии" [18, 133].

По сведению царевича Теймураза, в войсках Григория I плечом к плечу с грузинами сражались 4000 дагестанцев [2, 81].

Восставшими командовал князь Отар Кобулашвили. Они создали серьезные проблемы оккупантам и изгнали из Кахетии русских чиновников [8, 119].

Царская власть Григория I распространялась почти по всей территории Кахетии и на северо-восточной части Картли, т. е. на Арагвское ущелье. В Кахетии русские гарнизоны оставались лишь в Телави и Карагаджи.

Восставшие призвали к помощи и осетин, проживающих в Тагаурской общине. Таким образом, это восстание постепенно перешло границы Грузии и приняло общекавказский характер, в связи с чем генерал Паулуччи не скрывал своего беспокойства.

Выдающийся грузинский историк Иван Александрович Джавахишвили (1876-1940) писал: „Восстание, вспыхнувшее сразу, начинало организовываться: были посланы от грузин агенты для переговоров с пограничными народами, началось брожение в Дагестане, стал волноваться и Ширванский хан Мустафа, борчалинские, шамшадильские и казахские татары. Одновременно должны были напасть и персиане с грузинским царевичем Александром...

Главнокомандующий..., храбрившийся маркиз вначале находился в критическом положении, дела повстанцев шли хорошо, но восстание все же было подавлено оружием" [32, 443-444].

Имперские власти хорошо осознавали все последствия вспыхнувшего в Кахетии восстания и развившихся параллельно с ним событий на Кавказе.

В рапорте генерала Паулуччи председателю Государственного Совета и Кабинета министров Российской империи Николаю Румянцеву (1754-1826), посланном 22 февраля 1812 года, отмечалось: „Побег к Арагвским бунтовщикам сына царевича Иоанна, в Москве пребывающего, кн. Григория, о котором ныне получен мною рапорт, что он старается склонить к мятежу Ксанских жителей и всю Карталинию, где некоторые деревни начинают обнаруживать склонность к измене, – не оставляет ни малейшего сомнения в том, что здесь скрывался умышленный заговор, чрез который все владения В.И.В. от самого Кавказа должны бы быть потерянными вместе с войсками, оныя защищающими" [26, 60].

Паулуччи докладывал Н. Румянцеву, что Григорий I „весьма важен... по уважению, каковое народ здешнего края имеет к его происхождению и по правам... на наследство Грузии" [26, 44-45].

Повстанцы изо всех сил сопротивлялись русской армии, которая превосходила их по численности и лучше была вооружена. Пленным солдатам они обривали головы. По просьбе Паулуччи грузины освободили триста обритых русских офицеров и солдат [8, 44].

Угроза распространения восстания по всему Кавказу вынудила имперские власти принять решительные меры. Вскоре с Северного Кавказа оккупационные войска получили внушительную подмогу в виде живой силы и военного снаряжения. Это обусловило поражение

восстания. Однако, несмотря ни на это, Григорий I все же продолжал борьбу.

5 марта 1812 года у села Тианети восставшие дали русским последний бой. Их самоотверженность не знала границ, „натыкались на штыки, бросались со скал, совершали самоубийство, но не сдавались в плен" [4, 197]. Однако восстание была потоплено в крови.

После поражения восстания царь Григорий I вместе со своими соратниками укрылся на Северном Кавказе. Они нашли убежище в Дагестане, где анцухские горцы с большим почетом приняли их [8: 120] и устроили царя в доме старосты Анцухской общины [26, 80] – Али-хана [38, 78].

Схватить скрывшегося в Анцухи грузинского царя генералу Паулуччи удалось обманным путем, с помощью сахлтухуцеса (управителя) домена отца Григория [11, 24].

В рапорте Н. Румянцеву от 11 марта 1812 года генерал Паулуччи писал: „Царевич Григорий, сын царевича Иоанна, в Москве пребывающего, провозглашенный кахетинскими мятежниками царем Грузии и издавший от имени своего возмутительные прокламации, также коего имя в церквах бунтовщиками поминаемо было как царя Грузии и который, собрав мятежную толпу, дрался против войск В. И. В., но был мною разбит, бежал было в Дагестан, к анцухским лезгинам, но средствами, мною изысканными... находится теперь в моих руках.

Сей царевич, к коему столь охотно прилепились кахетинские бунтовщики... важнее... и вреднее для Грузии, потому что немалая часть легковерных грузин признают его имеющим законное право на Грузию, основываясь на том, что прежде бывший настоящий наследник Грузии царевич Давид – бездетен, что потому сей Григорий, как сын первого по нём брата, царевича Иоанна, находящегося в отсутствии, должен быть наследником Грузии.

Итак, для спокойствия сего края, я не умедлю сего царевича за надлежащим присмотром препроводить в Россию чрез несколько дней" [26, 63].

Таким образом, восстание было подавлено, последний грузинский царь, достойный представитель славной династии Багратионов Григорий I был побежден в неравной борьбе.

Победа дорого обошлась покорителям. По официальным данным в течение лишь одного месяца русские потеряли 1350 бойцов,

212 были ранены, а 510 попали в плен. Кроме того русской армии был причинен и значительный материальный ущерб, в частности они потеряли огромное множество коней и большую часть военного имущества [38, 82-84].

Однако, следует отметить, что восстание на этом отнюдь не потухло, и с апреля того же года вновь вспыхнуло в Кахетии с новой силой.

17 марта 1812 года имперские власти сослали Григория Багратиони в Россию, где он год провел под арестом. После помилования, он жил в Санкт-Петербурге, где стал одним из видных членов грузинской колонии и сформировался как писатель и книжник. Сохранились в рукописи его стихотворения, а также переводы с русского языка [29, 107-108].

Григорий Багратиони всегда тепло вспоминал своих дагестанских союзников, подчеркивая их смелость и гостеприимство.

22 сентября 1830 года, в Санкт-Петербурге, в возрасте 41 года Григорий Багратиони скончался. Похоронен в Александро-Невской лавре [21, 60].

Таким образом, военное сотрудничество дагестанского и грузинского народов насчитывает века, а особой интенсивностью этих отношений характеризуется конец XVIII – начало XIX веков. Дагестанцы были верными союзниками последних грузинских царей, которые, в свою очередь, щедро одаривали их своей милостью.

Указанные источники и литература:

1. Багратионы. Научное и культурное наследие. Сборник научных статей с генеалогическими таблицами, Тбилиси, 2003.
2. Багратиони Т., Новая история, текст подготовила к печати, исследованием и указателями снабдила Л. Микиашвили, Тбилиси, 1983.
3. Бепиева Н., Григорий Багратиони (жизнь и творчество), Тбилиси, 2006.
4. Бердзенишвили Н., Вопросы истории Грузии, кн. II, Тбилиси, 1959.
5. Боцвадзе Т., Из истории грузино-дагестанских взаимоотношений XV-XVIII вв., Тбилиси, 1968.

6. Гелашвили А., Восстание 1812 года в Кахети, Тбилиси, 2003.
7. Дадиани Н., Жизнь грузин, текст издал, предисловием, исследованием, комментариями, указателями и словарем снабдил Ш. Бурджанадзе, Тбилиси, 1962.
8. Царевич Давид, Новая история. Царевич Баграт, Новое сказание. Издание Т. Ломоури, Тбилиси, 1941.
9. Документы к истории восстания 1812 г. в Кахети, подготовил к изданию Ш. Хантадзе, Тбилиси, 1999.
10. Иоселиани П., Жизнь Георгия XII, введение, редакция и примечания А. Гацерелия, Тифлис, 1936.
11. Кекелидзе Л., Жизнь и творчество Григория Багратиони. В сборнике: „Вопросы древней грузинской письменности и руставелологии", т. IV, Тбилиси, 1973.
12. Киквидзе А., Крестьянское восстание 1812 года в Кахетии, Тбилиси, 1941.
13. Леонтий Мровели, Жизнь грузинских царей, в книге: „Картлис цховреба" (История Грузии), текст установлен по основным рукописям С. Каухчишвили, т. I, Тбилиси, 1955.
14. Лионидзе С., Оплакивание с причитанием царя Грузии Геркулеса, блаженства достойного. По автографической рукописи XVIII в. текст установил, очерком и указателями снабдил Н. Канделаки, Тбилиси, 1957.
15. Махатадзе Н., Петербургский очаг грузинской культуры (XVIII-XIX вв.), Тбилиси, 1967.
16. Рехвиашвили М., Имеретинское царство (1462-1810 гг.), Тбилиси, 1989.
17. Ткавашвили М., Грузино-дагестанские взаимоотношения в первой трети XIX века, Тбилиси, 1990.
18. Пронели (Кипшидзе) А., Кахетинское восстание (1812 г.), Тифлис, 1907.
19. Чиковани М., Багратиони Григорий Иоаннович, Энциклопедия „Грузия", т. I, Тбилиси, 1997.
20. Чиковани М., История грузинской народной словесности, т. I, Тбилиси, 1975.
21. Джавахишвили Н., Григорий I – последний грузинский царь, Тбилиси, 2008.

22. Джавахишвили Н., Очерки из истории взаимоотношений грузинского и адыгских народов, Тбилиси, 2005.
23. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского, под редакцией А. Берже, т. I, Тифлис, 1866.
24. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского, под редакцией А. Берже, т. II, Тифлис, 1868.
25. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Архив Главного управления наместника Кавказского, под редакцией А. Берже, т. IV, Тифлис, 1870.
26. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского, под редакцией А. Берже, т. V, Тифлис, 1873.
27. Бутков В., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., т. II, СПб., 1869.
28. Гасанов М., Исторические связи Дагестана и Грузии, Махачкала, 1991.
29. Горгидзе М., Грузины в Петербурге (страницы летописи культурных связей), Тбилиси, 1976.
30. Дворянские роды Российской империи. т. I, Князья. Руководитель авторского коллектива П. Гребельский, под редакцией С. Думина, СПб., 1993.
31. Дворянские роды Российской империи. т. III, Князья. Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин, под редакцией С. Думина, Москва, 1996.
32. Джавахов (Джавахишвили) И., Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, СПб., 1906.
33. Джавахишвили Н., Дагестанские союзники последних грузинских царей. Материалы VI международной научной конференции: „Кавказские языки (генетические, типологические и ареальные связи)" (Махачкала, 14-16 октября 2008 г.). Организаторы конференции: Российская Академия Наук, Институт языка, литературы и искусства имени Гамзата Цадасы Дагестанского научного центра, Махачкала, 2008.
34. Джавахишвили Н., Из истории грузино-дагестанского военного сотрудничества (на рубеже XVIII-XIX веков). Материалы III меж-

дународного конгресса кавказоведов: „Мультикультурализм и толерантность на Кавказе" (Тбилиси, 23-26 октября 2013 г.). Организаторы конференции: Институт кавказоведения факультета гуманитарных наук Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили и Институт языкознания имени Арнольда Чикобава, Тбилиси, 2013.
35. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703–1917 гг.), Тбилиси, 2003.
36. Джавахишвили Н., Санкт-Петербург – центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003), Тбилиси, 2003.
37. Коняев Н., Романовы. Расцвет и гибель династии, Москва, 2003.
38. Маркова О., Восстания в Кахетии 1812 г., Москва, 1951.
39. Мурашев Г., Титулы, чины, награды, СПб., 2002.
40. Сычев Н., Книга династий, Москва, 2006.
41. Чулков Г., Императоры России (Психологические портреты), Москва, 2003.

Nikolai Javakhishvili

Doctor of historical sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

From The History of Georgian-dagestanian Military Collaboration (The End of The XVIII - The Beginning of The XIX Centuries)

Summary

The history of Georgian-Dagestanian relations traces back to the ancient times.

The present essay deals with a survey of one of the important sections of the centuries – old history of Georgian-Dagestanian relationship of the end of the 18th and the beginning of the 19th centuries. The Georgian

kings, under the grave international and domestic conditions existed in that period of history, had a reliable support in the people of the North Caucasian mountaineers.

The military alliance of the Georgians and nations of Dagestan became especially intensive in the period of ruling of the last kings of Imereti – David II (ruling in 1784-1789) and Solomon II (ruling in 1789-1810) and the last kings of Kartli-Kakheti – George/Giorgi XII (ruling in 1798-1800) and his grandson, Gregory/Grigol I (ruling in March-February of 1812).

The Dagestanians, as faithful warriors of the last Georgian kings, were always regarded with favor by them.

მზია ტყავაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ნოღაელთა ყოფა-ცხოვრება და გადასახლებები (XVI-XIX სს.)

რუსი ისტორიკოსი ს. ბრონევსკი ნოღაელთა ისტორიას 1262 წლიდან, მანგუ ყაენის სიკვდილის შემდეგ, იწყებს. მისი მოსაზრებით, ამ წელს მონღოლთა მხედართმთავარმა ნოღაიმ შეძლო „დიდი ურდოსგან გამოყოფა და რამდენიმე ხნის განმავლობაში მართავდა დაშტე-ყივჩაღს ანუ ოქროს ურდოს“ [7, 206]. მისი სიკვდილის შემდეგ ნოღაელები შევიდნენ განსაკუთრებულ სამმართველოში, რომელიც იყო რა მუდმივად ჩაბმული სხვა თათრულ ურდოებთან ომებში, თანდათან დასუსტდა. რუსეთის მიერ ოქროს ურდოს დამარცხებას ნოღაელთა მოსკოვის სამთავროს გავლენის ქვეშ მოქცევა მოჰყვა. 1552, 1556 წლებში, ივანე მრისხანის მიერ ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის შემდეგ, ვოლგასთან მცხოვრებმა ნოღაელებმა მას ასტრახანის მეფე იამგუჩისგან დაცვის თხოვნით მიმართეს და ამის შემდეგ მალევე მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა. ს. ბრონევსკის მოსაზრებით, ყველა ნოღაელი ერთიდაიგივე წარმოშობის იყო და ვოლგის ურდოს ნარჩენებს წარმოადგენდა. ისინი კავკასიაში სხვადასხვა მიზეზით იყვნენ გადასახლებულნი და აქ თავშესაფარი თავისუფლების მიღების სანაცვლოდ ჰქონდათ მოპოვებული [7, 205, 206].

ვოლგის ნოღაელები სამ ნაწილად იყოფოდნენ: დიდ ნოღაელებად, მცირე ნოღაელებად და ჯეტისანად (ანუ 70 000-იანელებად). უფრო პატარა ულუსებს ჰქონდათ თავიანთი წინაპრებისაგან მიღებული სახელები: კელენში, ხატაი, ყივჩაღი, ბარლაკი, მაჰგიტი და სხვა [7, 206].

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულ ნოღაელთა ნაწილი შინაომებს გაერიდა და ვოლგისპირეთიდან ურალს იქით გადასახლდა. ისინი მომთაბარეობდნენ მდინარე ჯემის (ემბის) ნაპირებზე და ჯემბუილუკოვები ეწოდათ.

1630 წელს ყალმუხეთის მფლობელმა ხორლიუკ ტაიშმა დაიმორჩილა ჯემბუილუკოვები და ისინი ისევ ვოლგაზე მიიყვანა. 1671 წელს ნოღაელები ვოლგიდან ყუბანს იქით გადასახლდნენ და გახდნენ ყირიმის ქვეშევრდომნი.

1672 წელს ყალმუხეთის მეფისნაცვალი აიუკა-ხანი თავს დაესხა მდინარე ყუბანზე მცხოვრებ ნოღაელებს, ორთვიანი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილა ისინი და რუსეთის ქვეშევრდომობაში დააბრუნა – დიდი ნოღაელები და ჯეტისანი უკან ვოლგაზე წაიყვანა. ხოლო მცირე ნოღაელები სამომთაბარეოდ ყაბარდოს სიახლოვეს მდ. თერგზე დატოვა.

1696 წელს დიდი ნოღაელები მურზა ჯაგმატის და ასაშის ხელმძღვანელობით ვოლგიდან ისევ ყუბანზე გაიქცნენ. მათ გაიტაცეს მცირე ნოღაელები, ჯამბუილუკოველები და ჯეტისანთა ნაწილი [7, 208].

„1715 წელს ყუბანელმა სულთანმა ბაკტა-გირეიმ თავდასხმა მოაწყო აიუკ-ხანზე და ჯამბუილუკოველებზე და ისინი ისევ ყუბანს იქით წაიყვანა“ [7, 208].

1736 წელს, თურქეთთან ომის დროს, რუსეთმა ისევ შეუტია ნოღაელებს, დაიპყრო მცირე ნოღაელები და გადაიყვანა მდინარეების: თერგსა და ყუმს შორის მიწებზე. ისინი ყალმუხეთის მეფისნაცვალს საქონლით (ყველა ოჯახი) უხდიდნენ ხარკს. ნოღაელები ამას არ შეეგუენ, მოაწყვს აჯანყება და განთავისუფლდნენ გადასახადებისგან. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ნოღაელები მცირე პარტიებად კვლავ მირბოდნნ ყუბანს იქით [7, 208].

1770 წელს ნოღაელები მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე, სტანიცა ბატალფაშინსკიდან ლაბის შესართავამდე, ასევე, ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე, ე. წ. თოხთამიშის აულებში და ბეშთაუს მთასთან, პიატიგორსკის სიახლოვეს დასახლდნენ [1, 5-6].

რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1769-1774) გრაფმა პანინმა შეუტია ბესარაბიაში მომთაბარე ნოღაელებს, დაიპყრო და მიაღებინა რუსეთის ქვეშევრდომობა. 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით, ნოღაელები ყველასგან დამოუკიდებლად აღიარეს. ისინი ემორჩილებოდნენ მხოლოდ საკუთარ ხანს. ნოღაელი შადინ-გირეი პორტასგან ცნობილი იქნა ხანად. შემდგომ პერიოდში ნოღაელები რუსების მიერ გადმოყვანილნი იქნენ კავკასიის გუბერნიაში [7, 208].

ი. დებუ ასე ახასიათებდა ნოღაელებს: „ნოღაელი ხალხი სხვადასხვა ტომებისგან შედგება, ისინი დაფანტულად მომთაბარეობენ სტეპებში და იმყოფებოდნენ ოტომანთა პორტას დაქვემდებარებაში. არიან მრავალრიცხოვნები და აძლიერებდნენ ყირიმის ხანებს [6, 136].

აღნიშნული ხალხი, განსაკუთრებით კი მისი მურზები, არიან კარგი მეომრები, უშიშრები, შეუძლიათ არნახული გაჭირვებისა და სირთულის გადატანა, კარგად ფლობენ იარაღს, რომელიც უყვართ და უფრთხილდებიან ყველაფერზე მეტად, მიდრეკილნი არიან ყაჩაღობისა და ავაზაკობისკენ. ეწევიან მოძრავ ცხოვრებას, მუდმივად და სწრაფად გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე. გზაში მცირეოდენი საშიშროების შემთხვევაშიც კი თავიანთი ურმებისგან გასაოცარი სისწრაფით აკეთებენ ოთხკუთხედ სიმაგრეს, რომლის შიგნითაც ათავსებენ თავიანთ ქონებას და ოჯახს, რომელსაც თავგანწირვით იცავენ. ამასთან ერთად, მათ აქვთ დაურღვეველი წესი – არასდროს არ ჩავარდნენ ტყვედ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მურზა ან უბრალო ნოღაელი ტყვედ ჩავარდნილიყო. ამას ისინი მიიჩნევენ უკიდურეს დამცირებად, რომელიც სამარცხვინოა მთელი გვარისთვის“ [6, 136-137].

საქართველოს მთავარმართებელ გრაფ გუდოვიჩის (1806-1809) დახასიათებით, „ნოღაელები საკმაოდ შრომისმოყვარენი იყვნენ. ძირითადად თესდნენ თავიანთვის საკმარისი რაოდენობის ფეტვს, რაც შეადგენდა კიდეც მათ ერთადერთ საკვებს; ასევე, ამზადებდნენ საქონლისთვის დიდი რაოდენობით თივას ზამთრისთვის; თავისუფალ დროს კი მეზობელ სოფლებში რუს გლეხებთან და კავკასიის ხაზის სტანიცებში კაზაკებთან ქირით მუშაობდნენ“ [5, 687].

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის კოლონიზაცია გააძლიერა. კავკასიაში სულ უფრო იზრდებოდა რუსი მოსახლეობის რაოდენობა. ყუბანელ ნოღაელთა მიწების ნაწილი კაზაკთა სტანიცებისა და რუსეთის არმიის საკუთრებაში გადავიდა. ნოღაელები საომარი მოქმედების წინა ხაზზე აღმოჩნდნენ. ყოველივე ამან ისინი მეტად შეავიწროვა. კავკასიის მცხოვრებთაგან სწორედ ყუბანელი ნოღაელები იყვნენ პირველნი, ვინც ოსმალეთში გადასახლდნენ [4, 51; 2, 298]. მათ მალევე მიჰყვნენ ბეშთასთან (პიატიგორსკთან) მცხოვრები ნოღაელები [8, 127, 131, 132]. ოფიციალური მონაცემებით, მუჰაჯირობაში მხოლოდ ყუბანისპირეთიდან 30 650 ნოღაელი წავიდა [3, 207].

1859 წლის ოქტომბრის ბოლოს სტავროპოლის გენერალ-გუბერნატორ ბრიანჩანინოვს მექაში მოსალოცად გამგზავრებისთვის ნებართვის თხოვნით უკვე ყარანოღაელებმა მიმართეს. ისინი ითხოვდნენ, რომ მათთვის ეპატიებინათ 1860 წლის გადასახადები და ნება მიეცათ, თურქეთში ხმელეთის გზით, ამიერკავკასიის გავლით, გადასულიყვნენ. მათ ოსმალეთში საქონლის გადაყვანაც უნდოდათ.

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ყარანოღაელები მომთაბარეობდნენ სტავროპოლის გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში, ყიზლარის მაზრაში, მდინარე თერგზე მდებარე სტანიცების მოპირდაპირედ კასპიისპირეთის სტეპებამდე. მათ მართავდა პრისტავი, გადასახადებს არ იხდიდნენ, ცხოვრობდნენ კარგად, ჰყავდათ დიდი რაოდენობით საქონელი.

ბრიანჩანინოვი ყარანოღაელთა გამგზავრებისადმი უარყოფითად იყო განწყობილი. მის საქციელს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

1) ნოღაელთა ამიერკავკასიაზე გავლა, გამოიწვევდა საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლის შეფერხებას. რადგანაც მუჰაჯირ-ნოღაელებს თავიანთი საქონლის წაყვანა სურდათ, აუცილებელი გახდებოდა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი საძოვრების გამოყენება, რაც გახდებოდა ამ უკანასკნელთა სერიოზული უკმაყოფილების მიზეზი. შეიქმნებოდა პრობლემები არამარტო საქონლის, არამედ თვით გადასახლებულთა საკვებით მომარაგებაშიც; დიდი რაოდენობით ყარანოღაელებისა და მათი საქონლის გავლა მნიშვნელოვნად დააზარალებდა გზისპირა დასახლებულ პუნქტებს.

ვინაიდან ყარანოღაელები საქონელთან ერთად მიდიოდნენ, მოსალოდნელი იყო, რომ თურქეთში გადასვლის შემდეგ ისინი შორს აღარ წასულიყვნენ და საზღვრისპირა ზოლში დასახლებულიყვნენ, სადაც ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ისევ გასჩენოდათ უკან დაბრუნების სურვილი, რაც არ აწყობდა რუსეთის ხელისუფლებას; თუკი ისინი თურქეთში გადასახლების შემდეგაც შეინარჩუნებდნენ რუსეთის სიძულვილს, ამით გააძლიერებდნენ საზღვართან მცხოვრებ ანტირუსულად განწყობილ მოსახლეობას, რაც რუსეთისთვის საზიანო იქნებოდა".

2) ასევე, შეუძლებელი იქნებოდა ყარანოღაელებისთვის 1860 წლის გადასახადების პატიება, რადგანაც ეს გამოიწვევდა ბი-

უჯეტში 40 000 მანეთიან დეფიციტს; ნოღაელებს კონტრაქტი ჰქონდათ დადებული კავკასიის არმიის მარცხენა ფლანგის მაღაზიების პროვიანტით მომარაგებაზე – შეფერხდებოდა ეს საქმეც, რითაც კავკასიის არმიის მდგომარეობა გართულდებოდა; მათი წასვლის შემდეგ ნახევარზე მეტად შემცირდებოდა ამ მხარის გადაზიდვისუნარიანობა, რაც გამოიწვევდა პროპორციულად პროვიანტზე ფასების მომატებას; გაიზრდებოდა ფასები ცარიცინიდან, ასტრახანიდან, სერებრიაკოვიდან და შანდუროვიდან კავკასიაში შემოსულ ყველა საქონელზე; გართულდებოდა ვაჭრობა როგორც სტავროპოლის აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე, მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებთან ამ მხარის ეკონომიკური კავშირი [4, 475].

ყარანოღაელების წასვლის შემდეგ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა ყიზლარის და ახლომდებარე ტერიტორიის მოსახლეობა, რომლებსაც მოაკლდებოდა რამდენიმე ათასი მუშახელი.

ყარანოღაელები მიწათმოქმედებისათვის საკმაოდ გამოუსადეგარ, ქვიშიან და უნაყოფო მიწებზე, მკაცრი კლიმატის პირობებში ცხოვრობდნენ, რომლებზეც რუსი მოახალშენეები ვერ დასახლდებოდნენ, რაც იმას გამოიწვევდა, რომ მათი თურქეთში გადასახლების შემთხვევაში, ეს ტერიტორია დაუსახლებელი დარჩებოდა [4, 475].

სტავროპოლის სამოქალაქო გუბერნატორი ბრიანჩანინოვი კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკის 1859 წლის 29 ოქტომბერს შემდეგს წერდა: „თუკი ნოღაელები გადასახლდებიან თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან, ეს დიდ ზარალს მოუტანს სტავროპოლის გუბერნიის მეურნეობას და მოსახლეობის კეთილდღეობაზე დამღუპველად იმოქმედებს. ბოსტნები, ბაღები, ყანები დარჩება დაუმუშავებელი; ენდროს მოპოვება და მეურნეობის სხვა დარგები მთლიანად განადგურდება. ხოლო სახმელეთო გადაზიდვები, მრეწველობის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მთლიანად შეწყდება“ [4, 475].

XIX საუკუნის ბოლოს ნოღაელებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ სტავროპოლის გუბერნიის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქალაქ ყიზლარის მაზრის წინამძღოლისა და ქალაქის უფროსის განცხადებით, (1859 წელი), „ყარანოღაელები სტავროპოლის გუბერნიის მოსახლეობის კეთილდღეობის აუცილებელ რგოლს შეადგენდნენ. სტავროპოლის მხარიდან ყიზლარამდე, ამ გუბერნიის ყველა

მხარის ჩათვლით, სახმელეთო გზით წარმოებული სახაზინო თუ კერძო ტვირთის გადაზიდვები და შავი სამუშაო მათი საშუალებით ხდებოდა. რაგანაც მომთაბარეობდნენ და არ ჰქონდათ ერთი სამკვიდრო, ისინი გაფანტულნი იყვნენ გუბერნიის მთელ სივრცეზე. ჰქონდათ რა იმის უნარი, რომ აეტანათ ყველა გაჭირვება და მთელი წლის განმავლობაში შეესრულებინათ უმძიმესი სამუშაო, საკუთარი, პატრონისა და საზოგადო სიკეთისთვის საქმიანობდნენ გულმოდგინედ" [4, 476].

მათი საქმიანობის სფერო საკმაოდ ვრცელი იყო. გარდა მათზე დაკისრებული ყოველწლიური სახაზინო გადასახადის – 10 000 საზიდრისა, მათ გამოჰყავდათ: 40 000 ურემი, რომლითაც პროვიანტით ამარაგებდნენ კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის მთელ მაღაზიებს; 10 000 საზიდარი – მოზდოკის, გრებენის და კაზაკთა პოლკების და სახაზინო მაღაზიების მარილით მოსამარაგებლად, 40 000 – ყიზლარიდან შანდუროვამდე და უკან კერძო პირების საქონლის გადასაზიდად, 5000 – ყიზლარიდან ასტრახანამდე საქონლის გადასაზიდად; რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ნოღაელებს 105 000 ურემი გამოჰყავდათ.

გრებენის, მოზდოკისა და ყიზლარის კაზაკთა პოლკების კუთვნილ მიწებზე მთელი მოსავლის: ხორბლის, თივის, ყურძნის, ენდროს და ა. შ. აღება-დაბინავება ხდებოდა ნოღაელთა ხელით. მდინარე თერგის მარცხენა და მდინარე ტალოვკის მარჯვენა ნაპირის სანაპირო ციხე-სიმაგრეების უმეტესობის სახაზინო და კერძო მიწებს, ასევე, ყიზლარის მცხოვრებთა სამუშაოებს მთლიანად ასრულებდნენ ნოღაელები, რომელთა რაოდენობა ერთი წლის მანძილზე 50 000 ადამიანს აღწევდა [4, 476].

მხოლოდ ქალაქ ყიზლარის ბაღებს წლის განმავლობაში 300 000 ნოღაელი ამუშავებებდა, ხოლო მაზრაში ხორბლის, ყურძნის, ენდროს, თივის, პოტაშის მოსავლის ასაღებად, ასევე მებაღეობასა, მეაბრეშუმეობასა და თევზჭერაში საჭირო იყო 200 000 ნოღაელი.

მოზდოკიდან ყიზლარამდე მთელ მესაქონლეობასაც მთლიანად ნოღაელები უძღვებოდნენ. გარდა იმისა, რომ მათ ჰყავდათ მრავალრიცხოვანი ფარები და თაბუნები, ისინი ქირის სანაცვლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან მწყემსებადაც მუშაობდნენ და მათ გარეშე მეურნეობის ამ დარგს ვერავინ გაუძღვებოდა [4, 476].

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო სტავროპოლის სამოქალაქო გუბერნატორი ბრიანჩანინოვი აუცილებლობად და საჭი-

როდ მიიჩნევდა, შეფერხებულიყო ყარანოღაელების, ტრუხმენების და აჩიკულაკ-ჯემბულუკოვების გადასახლება. მისი აზრით, მალევე, ასტრახანისა და სტავროპოლის გუბერნიების საზღვრების დადგენის შემდეგ, მათ გამოეყოფოდათ საძოვრები კალმიკების სტეპებიდან, ეს კი გამოიწვევდა მათი კეთილდღეობის ამაღლებას [4, 475].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Этнографическое обозрение Кавказа, составил А. П. Берже, С,-Петербург, 1879.
2. Берже А. П., Выселение горцев с Кавказа, в журнале: Русская Старина, 1882, январь.
3. История народов Северного Кавказа (конец XVIII в.-1917 г.), ред. А. Нарочницкий, Москва, 1988.
4. Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, XII, Тифлис, 1904.
5. Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, III, Тифлис, 1869.
6. И. Дебу, О Кавказской линии, Москва, 1828.
7. Броневский С., Новейшие географические и исторические известия о Кавказе, 2 ч., Москва, 1823.
8. მ. ტყავაშვილი, ნოღაელთა მუჰაჯირობა (1858-1860 წლები), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (13) 2013, თბილისი, 2013.

Mzia Tkavashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Worker of the Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Noghayans' Habits and Life and Resettlement (XVI–XIX centuries)

Summary

According to Bronevskiy, after death of Mangu Khan (1262) the Mongol Commander Noghai managed to establish an independent ulus within the Golden Horde and the different peoples united in it had been called Noghayans. Within XVI-XIX centuries the Noghayans had changed their habitation for many times. At times they were under subordinacy of Russia and Ottoman Empire and at times they were staying independent. The Noghayans were living in kibitkas (tents) in extreme poverty.

In XIX century the Noghayans habitations were in the Pre-Kuban, Beshta Mountain and Kizlar sites. The majority of the Noghayans of Pre-Kuban and Beshta Mountain territories moved in 1958-1965 to Ottoman Empire as a result of Russian government provoking. Belonging to them fertile lands were meant for settling of the Russian population. The Noghayans living at Kizlar represented the main leading force of economic life of this district. The lands possessed by them represented deserts and semideserts and the Russian population would not settle there. Because of this the Caucasian Administration was doing its best to prevent the process of their resettlement to the Ottoman Empire.

მიხეილ ბარნოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აშშ-ის ფრონტირის რეგიონსა და შორეულ დასავლეთს შორის კომუნიკაციის პრობლემის ძირითადი ასპექტები 1850-იან წლებში

სამოქალაქო ომის დასრულების დროისთვის მდ.მისისიპის დასავლეთით მდებარე დიდი ტერიტორიები კვლავ გამოირჩეოდა თეთრკანიანი მოსახლეობის სიმცირით. აუთვისებელი სივრცე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაახლოებით 2400 კმ-ზე იყო გადაჭიმული და მოიცავდა ტერიტორიებს აშშ-ის წყნარი ოკეანის სანაპიროსა და მდ. მისურის შორის. გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს სივრცე იყოფოდა რამდენიმე რეგიონად: მდ. მისურისა და როკის მთიანეთს შორის მდებარე დიდი დაბლობები, როკის მთიანეთი, ზეგანი და დიდი ქვაბული. 1865 წლისთვის ეს ტერიტორიები ინდიელთა სხვადასხვა ტომების განსახლების არეალს წარმოადგენდა [3].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფრონტირის ხაზი ეტაპობრივად მიიწევდა დასავლეთისკენ აშშ-ის აღმოსავლეთის დასახლებული შტატებიდან და ტერიტორიებიდან. მაგრამ 1840-1850-იან წლებში სასარგებლო წიაღისეულისა და მინერალების აღმოჩენამ აუთვისებელ შორეულ დასავლეთში ათეულობით ათასი ახალმოსახლე მიიზიდა. ოქროსა და ვერცხლისმაძიებლები განსაკუთრებით მომრავლდნენ როკის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში (შემდგომში კოლორადოს შტატის ტერიტორაზე) და შორეული დასაველეთის სხვა რეგიონებში, მათ შორის თანამედროვე შტატების: ნევადის დასავლეთ ნაწილში, კალიფორნიაში, ასევე წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამგვარად, შორეულ დასავლეთში მიმოფანტული სამთო დასახლებები რუკაზე ქმნიდნენ კუნძულების ჯაჭვს, რომელიც გადაჭიმული იყო მისური-კანზასის

ფრონტირისპირა ქალაქებიდან დასავლეთით სიერა ნევადის მთიანეთამდე და კალიფორნიამდე. საჭირო იყო ახალი სატრანსპორტო სისტემის განვითარება, რომელიც დააკავშირებდა შორეულ დასავლეთის ამ იზოლირებულ დასახლებებს ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან [1].

დასავლეთის აუთვისბელი ტეიროტირების გავლით მგზავრობა წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის რისკთან იყო დაკავშირებული. თუმცა სამთო საქმიანობის მასშტაბები, შორეული დასავლეთის ეკონომიკური განვითარება აუცილებელს ხდიდა ამ დასახლებების დროულ დაკავშირებას ქვეყნის აღმოსავლეთ შტატებთან. ამ მიზნის მისაღწევად 1850-იან წლებში გადაწყდა სამხელეთო საფოსტო სამსახურის ამოქმედება, რომელიც ერთმანეთთან დააკვშირებდა მდ. მისისიპისთან მდებარე ფრონტირისპირა შტატებს შორეულ დასავლეთის განაშენიანებულ რეგიონებთან [2].

ზოგადად, საფოსტო სამსახური გულისხმობდა არა მხოლოდ ოჯახის წევრებს შორის არსებული მიმოწერის უზრუნველყოფას არამედ გაზეთებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტაციის ტრანსპორტირებასაც. XIX საუკუნის შუა ხანებისთვის მისისიპის აღმოსავლეთით მდებარე შტატებში სამდინარო, სახმელეთო და სარკინიგზო კომუნიკაციები ძალიან კარგად იყო განვითარებული რაც განაპირობებდა საფოსტო სამსახურის შეუფერხებელ და ეფექტურ მუშაობას. აშშ-ის აღმოსავლეთ შტატებში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს საფოსტო სამსახურის მაღალი დონის სერვისი შეეძლო მიეღო [1]. განსხვავებული სიტუაცია იყო მდ. მისისიპის დასავლეთით. როკის მთიანეთში, კალიფრონიისა და ორეგონის შტატებში, ასევე იუტას, ნიუ მექსიკოსა და კანზასის ტერიტორიებზე მიმოფანტული ამერიკული ახალშენები უიმედოდ იყვნენ მოწყვეტილნი ქვეყნის აღმოსავლეთს. არ არსებობდა არავითარი გამართული საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც რაიმე სახით მაინც დააკავშირებდა აშშ-ის შორეული დასავლეთის მოსახლეობას აღმოსავლეთ შტატებთან [3].

ფედერალურ ხელისუფლებას კარაგდ ესმოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის აღმოსავლეთ შტატებსა და შორეულ დასავლეთს შორის საფოსტო თუ სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება. ეს განწყობა კარგად გამოჩნდა 1846 წლის 5 აგვისტოს პრეზიდენტ ჯეიმს პოლკის კონგრესისადმი გაკეთებულ მიმართვაში: „აუცილებელია, რომ საფოსტო მომსაუხერბა, რომე-

ლიც ესოდენ აუცილებელია ინფორმაციის გავრცელებისათვის და ჩვენი გაფართოებული კავშირისათვის[1], მივაწოდოთ როკის მთიანეთის დასავლეთით მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს„[4, 34].

1847 წელს კონგრესის ძალისხმევით აშშ-ის წყნარი ოკეანის სანაპიროს მიმართულებით ამოქმედდა საზღვაო საფოსტო სამსახური, რომელიც თვეში ორჯერ ასრულებდა საფოსტო გზავნილების ტრანსპორტირებას.

კალიფორნიის ოქროს ციებ-ცხელებამ და 1850-იან წლებში როკის მთიანეთში სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენამ აშკრა გახადა, რომ არსებული საფოსტო სამსახურის მუშაობის სიჩქარე ვერ აკმაყოფილებდა ახალმოსახლეთა მოთხოვნებს. საჭირო იყო გაცილებით უფრო სწრაფი სახმელეთო საფოსტო სამსახური [1].

შორეული დასავლეთის სიღრმეებში წასულ პიონერებს სურდათ ჰქონოდათ პერმანენტული კონტაქტი აღმოსვლეთში დარჩენილ ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან. ოქროს ციებ-ცხლების დროს კალიფორნიაში დასახლებული ათი ათასობით ამერიკელისთვის აღმოსავლეთში დარჩენილ ახლობლებთან კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება იყო - წერილი. შორეულ დასავლეთში საბანკო საქმისა და ბიზნესის განვითარების შედეგად საჭირო იყო მნიშვნელოვანი კომერციული ინფორმაციის გაცვლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რისთვისაც ასევე საჭირო იყო რეგულარული საფოსტო სამსახურის არსებობა [1]. გარდა ამისა, შორეულ დასავლეთში საქალაქო მშენებლობის ბუმი დიდად იყო დამოკიდებული აღმოსავლეთ შტატებთან სავაჭრო ურთიერთობის ინტენსიურ განვითარებაზე.

შორეული დასავლეთის ახლადშექმნილი ურბანული ცენტრები ძალიან მეჩხერად იყო მიმოფანტული მდ. მისისიპისა და წყნარი ოკეანის სანაპიროს შორის. კალიფორნიისა და იუტას ტერიტორიებზე არსებული სამთო ბუმის სამუშაოების კერები თითქმის ნახევარი კონტინენტის მანძილით იყო დაშორებული აღმოსავლეთის განაშენიანებულ რაიონებს. მაგალითად, დიდი დაბლობების დასავლეთ პერიფერიაზე მდებარე პაიკს პიკის რეგიონი[2]

---

[1] პოლკის მიმართვის ტექსტში ნახსენებია„კონფედერაციისთვის“, თუმცა კონტექსტიდან გმომდიანრე პრეზიდენტი გულისხმობდა აშშ-ის იმჟამინდელ ტერიტორიას.

[2] 1858-1859 წლებში ამერიკელებმა ოქრო აღმოაჩინეს კანზასის ტერიტორიის დასვლეთ ნაწილში, პაიკს პიკის რეგიონში.

1126,54 კმ-ით დაშორებული ფრონტირისპირა კანზასისა და მისურის ქალაქებს [1].

ამგვარად, 1850-იან წლებში გამოიკვეთა აშშ-ის შორეულ დასავლეთში საკომუნიკაციო სისტემის განვითარების აუცილებლობა. საჭირო იყო, კალიფორნიის, ორეგონის, ვაშინგტონის, ნიუ მექსიკოსა და კანზასის ტერიტორიებში მდებარე ფრონტირის ხაზიდან მოწყვეტილი, იზოლირებული ახალშენების დაკავშირება აღმოსავლეთ შტატებთან. აუცილებელი იყო შორეული დასვალეთის დაკავშირება აღმოსავლეთ შტატების საინფორმაციო სივრცესთან, რეგიონის ინტეგრაცია დანარჩენი ქვეყნის სოციალურ და პოლტიკურ ცხოვრებასთან [1].

დასავლეთში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროების დასაკმაყოფილებლად 1850-იან წლებში ფედერალურმა ხელისუფლებამ დაიწყო სახმელეთო საფოსტო სამსახურის ჩამოყალიბება. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი ნაბიჯები კომუნიკაციის დამყარების მიზნით კონგრესმა 1849 წელს გადადგა. საოკეანო საფოსტო სამსახურის მარშრუტი კომბინირებული იყო. ნიუ-იორკიდან-პანამამდე და პანამიდან-სან-ფრანცისკომდე, ანუ მთლიანი მარშრუტის უდიდეს ნაწილზე, ფოსტა გადაქონდათ ორთქმავალი გემების საშუალებით. მიუხედავად მთავრობის მხარდაჭერისა, ამ საფოსტო სამსახურით სარგებლობა რიგითი მოქალაქეებისთვის ძალიან ძვირი ჯდებოდა, გადასახადი 1 უნციაზე[1] შეადგენდა 80 ცენტზე მეტს. რაც ასევე საყურადღებოა ფოსტის გადატანას ნიუ-იორკიდან სან-ფრანცისკომდე საკმაოდ დიდი დრო ჭირდებოდა, ხანდახან ერთ თვეზე მეტიც. ამიტომაც, რამდენიმე წელიწადში განსაკუთრებით კალიფორნიისა და ასევე შორეული დასავლეთის სხვა დასახლებების ამერიკელი მოქალაქეები ითხოვდნენ სწრაფ და იაფ საფოსტო სამსახურს დანარჩენ ამერიკასთან დასაკავშირებლად [1].

ყველაზე ეფექტურად ამ პრობლემას გადაწყვეტდა რკინიგზა. თუმცა იმ ეტაპზე ტრანსკონტინენტური რკინიგზის მშენებლობა, რომელიც გადაკვეთდა მთელს დასავლეთს და დააკავშირებდა ერთმანეთთან ატლანტისპირა და წყნარი ოკეანის სანაპიროებს, შორეული პერსპექტივა იყო [1].

სწორედ ასეთ ვითარებაში, შორეული დასავლეთის აღმოსავლეთ შტატებთან დასაკავშირებლად გადაწყდა სახმელეთო სა-

[1] 27, 2875 გრ.

ფოსტო ხაზის ამუშავება. იგეგმებოდა სპეციალური მარშრუტების მოწყობა, სადაც სატრანსპორტო საშუალებად გამოყენებული იქნებოდა დილიჟანსები. ამ ტიპის ტრანსპორტის გამოყენება საიხლე არ იყო ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც 1800-1850 წლებში ინტენსიური განაშენიანების პარალელურად საგზაო ინფრასტრუქტურაც წარმატებით განვითარდა და დილიჟანსებიც აქტიურად გმაოიყენებოდა [4].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Alan Wexler, Molly Brown, Atlas of Westward Expansion, New-York, 1995.
2. Dale Anderson, Westward expansion, Austin, 2001.
3. Tim McNeese, The Transcontinental railroad and the Westward Expansion, Berkeley Heights, 2006.
4. Warren A. Beck, D.Haase, Historical Atlas of the American West, Norman, 1989.
5. R. A. Billington, M. Ridge, Westward Expension, A History of American Frontier, New York, 1982.

Mikheil Barnovi

Ivane Javakhishvli Tbilisi State University, Assistant Professor

Main Aspect of Communication Problem Between the U.S.'s Frontier and the Far West Settlements in 1850-ies

In this article I discuss why it was important to develop overland travel system during 1850-ies in American Far West and the first attempts of government to link Easter states with the West.

As more and more people began to settle the West, new problems arose-there wasn't appropriate possibilities of traveling and transportation through American West. Ten of thousands of Americans who had poured in California and Kansas, Pikes Peak Country during the gold rush relied on

the mail as their only link with friends and relatives in the East. The new population centers of the Far West were widely scattered between the Mississippi Valley and the Pacific Coast. During decades travel across the unsettled regions of the trans-Mississippi west for a different reasons was dangerous, risky and hazardous affair. It was clear for federal authorities that it was very important to create communication system and link Far West to the East.

To meet the needs of westerners the federal government decide to develop overland western travel. For this purpose the best solution was stagecoach lines to the Far west.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ...“

ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა მხოლოდ პათეტიკური ტონით აღწერილი ჰეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალიების ზუსტი აღწერა და ანალიზია, ან უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობა [1, 40]. ამ საკითხთან მიმართებაში XIX საუკუნის დიდ პრუსიელ სამხედრო მოღვაწესა და ფილოსოფოსს, თანამედროვე ომის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცს (Carl von Clausewitz) მოვიხმობთ: „ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენების კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც მხოლოდ რიგითობით ალაგებს მოვლენებს და ოდნავ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ისტორიის კრიტიკულ გადმოცემაში გონებრივი მოქმედების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია ისტორიული ძიება და საეჭვო ფაქტების დადგენა. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე – მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებაა. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან აიხსნება ცდების საშუალებით, მხოლოდ ამ გზით მიიღწევა.

მესამე – გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასებაა. ესაა აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად, იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ" [2, 96-97].

აქვე მოვიყვანთ უკვე XX საუკუნის ინგლისელი მოაზროვნისა და თანამედროვე სტრატეგიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სერ ბაზილ ლიდელ ჰარტის (Sir Basil Liddell Hart) ნააზრევს მისი ნაშრომიდან „Why Don't We Learn from History?" („რატომ არ ვსწავლობთ ისტორიისაგან?"), სადაც ძალიან მარტივად და გასაგებადაა ნათქვამი, რომ „ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების კატალოგია... ჩვენი მოვალეობა კი ისაა, რომ გავითვალისწინოთ ეს საკითხი და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ მისგან" [3, 43].

ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილ ავტორთა დასკვნებს და ვიტყვით – დიახ, ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენების კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან. დიახ, ისტორია დაშვებული შეცდომების კატალოგია, მაგრამ ქართული სახელმწიფო ნამდვილად ვერ დაიკვეხნის თავს გადამხდარი ისტორიული რეალიების გათვალისწინებისა და დაშვებული შეცდომების ღრმა ანალიზის ჩატარების გამოცდილებით. ამის მიზეზებს კი, პოლიტიკური ნების არქონა, ბუნდოვანი იდეოლოგიური ვექტორების დასახვა, მძიმე სოციალური ფონი, გარე საფრთხეებისა და შიდა დაპირისპირებების არსებობა წარმოადგენდა გუშინაც, და წარმოადგენს დღესაც.

განსახილველი საკითხი საქართველოს უახლესი ისტორიის სფეროდანაა. უფრო კონკრეტულად – 1920 წლის ბოლოსათვის პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური რეალიების ზოგიერთი მომენტის წარმოჩენა. კერძოდ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. და მთავარი საკითხი – ფლობდა თუ არა ქართული სახელმწიფო ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საომარი სამზადისის შესახებ ინფორმაციას? რამდენად ადექვატურად იყო აღქმული საქართველოს სამთავრობო თუ სამხედრო წრეების მიერ საგარეო საფრთხეების ხარისხი და ემზადებოდა თუ არა ქვეყანა ბოლშევიკურ რუსეთთან მოსალოდნელი ომისათვის?

რატომღაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ის აზრი, რომ 1921 წლის 12 თებერვლის გამთენიისას, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში ბოლშევიკთა მიერ დაწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია მოულოდნელობას წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოსათვის. თითქოსდა ბოლომდე არ იყო იდენტიფიცირებული მოწინააღმდეგის ვინაობა, მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და რიცხოვნობა, დარტყმის მთავარი და დამხმარე მიმართულებები, საბრძოლო მოქმედებების გეგმები და ა. შ. ასეთ მოსაზრებებს ძირითადში მემუარულ ლიტერატურაში ვხვდებით (გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, შ. მაღლაკელიძე, აკ. კვიტაიშვილი, ალ. ჩხეიძე, ვ. თევზაძე, რ. გაბაშვილი და სხვ.). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად გასაგებიცაა, რამეთუ ხსენებულ ავტორებს არ ჰქონდათ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის შემუშავებულ სამხედრო ხასიათის მქონე სრულიად საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომა. მემუარული ლიტარატურა კი არ შეიძლება მივაკუთვნოთ უტყუარ პირველწყაროს. ისიც არაა სადავო, რომ ნებისმიერი ხასიათის მემუარში, ნებსით ნუ უნებლიეთ, უამრავი დიდ-პატარა უზუსტობა თუ შეცდომა შეიძლება იყოს დაშვებული.

მეტად ნიშანდობლივია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არსებული ის იდეოლოგიური ხაზი, რომელიც ბოლშევიკთა საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოჩენითა და ისტორიის ფალსიფიკაციით იყო დაკავებული. ეს პროდუქცია ათწლეულების განმავლობაში წარმატებით ტირაჟირდებოდა ათეულობით საბჭოთა ავტორის ასეულობით ნაშრომსა თუ წიგნში. საბჭოური იდეოლოგიის ამ ხაზს დასაბამი „წითელი პროფესურის" თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ისააკ ისრაელოვიჩ მინცმა დაუდო – ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ორგზის სტალინის პრემიისა და ლენინური პრემიების ლაურეატმა, საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთმა აპოლოგეტმა. ხოლო მისი ნაშრომი „Победа советской власти в Закавказье", ამ იდეოლოგიის კლასიკურ ნიმუშად და გზამკვლევად იქცა ისტორიის საბჭოური სკოლის შემდგომი წარმომადგენლებისათვის. ამ ნაშრომის შესავალი ნაწილის პირველივე წინადადება ასე იწყება:

„События связанные с победой Советской власти в Закавказье вошли в летопись истории Великой Октябрьской революции которая „явила миру образец решения коренных социальных проблем:

свержения власти эксплуататоров и установления диктатуры пролетариата, превращения частной буржуазно-помещичьей собственности в общественную, социалистическую, справедливого решения аграрного вопроса в пользу крестьян, освобождения зависимых народов от колониального и национального гнёта, создания политических и экономических предпосылок построения социализма. Борьба трудящихся Закавказья за социалистическую революцию составляет органическое звено того революционного процесса, который обновил социальный облик нашей страны и, как указывал В. И. Ленин, открыл новую эпоху всемирной истории"...[4, 5].

ვერაფერს ვერ ვიტყვით, საბჭოური პოლიტიკური დემაგოგიისა და იდეოლოგიური ბელეტრისტიკის კლასიკურ ნიმუშთანა გვაქვს საქმე. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" კი ვკითხულობთ: „კომუნისტურმა გაზეთმა „სოხუმსკაია პრავდა" დაუნდობელი და მამხილებელი ბრძოლა გააჩაღა მესაბოტაჟეების, სპეკულანტების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთი ამავე დროს მასებს ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სისტემატურად აშუქებდა რსფსრ მთავრობის ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის, (Sic!) ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთ და აშუქებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ მძლავრ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ეწეოდნენ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით" [5, 444]. აქაც მინცისეული დემაგოგიის გადამღერებასთანა გვაქვს საქმე. ჯერ მარტო ფრაზა – „რსფსრ მთავრობის ღონისძიებები სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის" – რადა ღირს! სიმართლის ასახვისა და ღირებულებების სრული პოლარიზაცია სახეზეა. ამ ერთ ფრაზაში სრულადაა ნაჩვენები საბჭოური იდეოლოგიის მთელი სიყალბე – შავი თეთრადაა წარმოდგენილი, ხოლო თეთრი შავად.

არნოლდ ბორისოვიჩ კადიშევიც, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი კეთილსინდისიერი მკვლევარი, ცხადია, ვერ აცდებოდა საბჭოური იდეოლოგიის ამ ზეგავლენას თუ მოთხოვნას. თავის ნაშრომში „Интервенция и гражданская война в Закавказье", კადიშევი წერს: „თავისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავ-

რობა სულ მცირე შესაძლებლობასაც კი არ უშვებდა ხელიდან, რომ საქართველოსთან, ისევე როგორც სხვა ამიერკავკასიურ რესპუბლიკებთან არსებული უთანხმოებები მშვიდობიანი გზებით მოეგვარებინა...“ [6, 269]. (Sic!) „მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა“ – მართლაც სხარტადაა ნათქვამი! აქაც საბჭოური და რუსული იმპერიული ცინიზმის კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე.

ისტორიული რეალობა კი ისაა, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლიდან სულ მცირე ხანში, ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა, მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდია დაასრულეს. ისინი აქტიურ სამხედრო მოქმედებებზე გადავიდნენ და ყოფილი ცარისტული იმპერიის მთელს ტერიტორიაზე შეიარაღებული გზით დაიწყეს იდეოლოგიური ექსპანსიისა და პროლეტარული ნეოკოლონიალიზმის ხანგრძლივი და სისხლიანი პროცესი... საქმეში ერთობ წონადი არგუმენტიც – „მუშურ-გლეხური წითელი არმია“, РККА (Рабоче-крестьянская Красная армия) ჩართეს და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ცეცხლი ააგიზგიზეს აღმოსავლეთ ევროპაში. დაიწყო წითელი მარში პოლონეთის ახლადშექმნილი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

რთული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარებისათვის ზრუნვა ქართულმა სახელმწიფომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დიპლომატიური მისია მოსკოვში უკვე 1918 წლის 11 ივნისს გაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. რუსულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1920 წლის გაზაფხულისათვის დარეგულირდა თითქოს, როდესაც 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც კრემლმა სცნო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სახელმწიფო აღიარებდა თავისი ტერიტორიების ნაწილის დამოუკიდებლობას უფრო ადრე, ვიდრე ამას სხვა ქვეყნები გააკეთებდნენ [7, 179].

ჩვენ არ შევუდგებით 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პუნქტობრივ განხილვას, იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების შესახებ უამრავი კვლევაა ჩატარებული. მხოლოდ ერთ-ერთ მუხლს

შევეხებით, რომელიც ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაში იყო მოცემული:

„საქართველო ვალდებულებას იღებს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომუნისტური ორგანიზაციების უფლება თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ, კერძოდ, კრებების თავისუფალი მოწყობის უფლება და გამომცემლობის თავისუფლება (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოებისა).

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას გამოყენებული არავითარი რეპრესიები, არც სასამართლო და არც ადმინისტრაციული ხასიათისა, არც კერძო პირების და არც ორგანიზაციების მიმართ, თუ ეს ეხება კომუნისტური პროგრამის სასარგებლო სახალხო პროპაგანდასა და აგიტაციას, ასევე მათ ქმედებებს, რომლებიც კომუნისტურ პროგრამაზეა დაფუძნებული“ [8].

მაშ ასე – აღსრულდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სამაგიეროდ მიაღწია საქართველოში მოქმედ ბოლშევიკთა საქმიანობის ლეგალიზებას. შეთანხმების სწორედ ამ პუნქტმა გაუხსნა ხელ-ფეხი ბოლშევიკებისა და სხვა ათასი ჯურის ავანტიურისტის შეუზღუდავ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს, მიმართულს საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების წინააღმდეგ. მალე კი, თბილისში რუსეთის ფედერაციის ოფიციალური, 400 კაციანი წარმომადგენლობაც გაიხსნა, რომელსაც კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, სერგო ორჯონიკიძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, სერგეი კოსტრიკოვ-კიროვი[1] ჩაუდგა სათავეში. ფაქტობრივად საქართველოში

---

[1] სერგეი მირონოვიჩ კიროვი (ნამდვილი გვარი კოსტრიკოვი) (1886-1934) – პროფესიონალი რევოლუციონერი, რუსი და საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, წითელი ტერორის აქტიური მონაწილე და ერთერთი ხელმძღვანელი. რსდმპ წევრი1904 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. 1905 წელს რსდმპ ტომსკის კომიტეტის წევრი. 1917 წლის ბოლომდე მენშევიკური იდეოლოგიის მატარებელი და რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკის მხარდამჭერი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეკედლება ბოლშევიკებს. 1918 წლის ივლისში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს საბჭოების მე-5 ყრილობაზე. 1919 წლის თებერვლიდან ასტრახანის დროებითი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეა. ხელმძღვანელობს ანტიბოლშევიკურად განწყობილ მუშათა და სასულიერო პირთა დახვრეტებს. იმავე წელს ხდება მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, სერგო ორჯონიკიძის„მარჯვენა ხელი.“1920 წლის დასაწყისიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი. იმავე წლის

კრემლისა და ბოლშევიკთა კავბიუროს სადაზვერვო რეზიდენტურა დაფუძნდა.

საქართველო, როგორც დიპლომატიური და საერთაშორისო ვალდებულებების ერთგული სამართლებრივი სუბიექტი, მორჩილად შეუდგა 7 მაისის ხელშეკრულების პირობების აღსრულებას. უკვე 11 მაისს გამართულ მთავრობის სხდომაზე (ოქმი №2041) მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

1. საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება მიღებულ იქნას ცნობად და შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში ხელშეკრულების მე-109 მუხლი (ბოლშევიკების ციხიდან განთავისუფლების შესახებ გარდა იმ პირთა, რომელთაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის საქმე).

2. რუსეთში გასაგზავნი ეკონომიური და სავაჭრო კომისიის შედგენა დაევალოს ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს.

3. საზღვრების კომისია კი შეადგინონ შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრმა, ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობით.

მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია;

მთავრობის საქმეთა მმართველი: ა. ჯაფარიძე;

მდივანი: ლომთაძე [9].

1920 წლის შემოდგომიდან მდგომარეობა იცვლება. „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ექსპორტის მიზნით პოლონეთის წინააღმდეგ დაწყებული ომი რუს ბოლშევიკთა გამანადგურე-

---

აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ინტერვენციისა და ოკუპაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1920 წლის ივნისიდან ინიშნება საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობს რუსეთის დელეგაციას პოლონეთთან წარმოებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. 1921 წელს, რკპ(ბ)-ს მე-10 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. იმავე წელს ინიშნება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. 1923 წლიდან, რკპ(ბ) მე-12 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1926 წლიდან პარტიის ლენინგრადის საქალაქო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი, რკპ(ბ)-ს ჩრდილო-დასავლეთის ბიუროს მდივანი. იმავე წელს ირჩევენ რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად. 1930 წლიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, ხოლო 1934 წლიდან – პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ცეკას საორგანიზაციო ბიუროს წევრი. იმავე წლის 1 დეკემბერს პირადი ანგარიშსწორების მიზნით მოკლულ იქნა ვინმე ლეონიდ ნიკოლაევის მიერ.

ბელი მარცხით სრულდება. 1920 წლის 12 ოქტომბერს, რიგაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ამით ბოლშევიკებს ხელ-ფეხი გაეხსნათ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებების შემდგომი ესკალაციისათვის. საქართველოს გარშემო დაიწყო შიდა და გარე ინტრიგების ხლართვა, ახალი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა ამიერკავკასიაში, სამხედრო ინტერვენციის ახალი სტრატეგიების შემუშავება. საქართველოს სადაზვერვო სამსახურების მიერ მოპოვებულ იქნა ბოლშევიკთა სამხედრო ინტერვენციის გენერალური გეგმა [10, 42]. მე-11 წითელი არმიის სარდლის, ანატოლი ჰეკერის[1] ორჯონიკიძისადმი წარდგენილ მოხსენებას კი, შემდეგი სახე ჰქონდა:

„გენერალ ჰეკერის მოხსენება.

მოხსენება რუსული წითელი მეთერთმეტე არმიის სარდალის, გენერალ ჰეკერისა

„კავკასიის რევოლუციურ მილიტარულ საბჭოს“ თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი.

1920 წლის დეკემბრის თორმეტი.

საიდუმლო.

---

[1] ანატოლი ილიჩ ჰეკერი (1888-1937) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული გერმანელი. მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, შემდგომში წითელი მეთაური, კომკორი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1909 წელს დაამთავრა ვლადიმირის სამხედრო სასწავლებელი სანკტ-პეტერბურგში. 1917 წელს ამთავრებს გენშტაბის აკადემიას, წოდებით შტაბს-კაპიტანი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს.ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1917 წლის დეკემბრიდან ჯარისკაცთა ყრილობის მიერ არჩეულ იქნა 33-ე კორპუსის შტაბის უფროსად. 1918 წლის იანვრიდან ბოლშევიკთა მე-8 არმიის სარდალია. 1918 წლის აპრილიდან ანტონოვ-ოვსეენკოს უკრაინის ფრონტის სარდლობის შტაბის უფროსი, იმავე წლის დეკემბრიდან ასტრახანის გამაგრებული რაიონის კომენდანტი. 1919 წლის 2 თებერვლიდან მუშურ-გლეხური მე-8 წითელი არმიის მე-13 მსროლელი დივიზიის მეთაური. 1920 წლის მაისიდან – მე-13 არმიის სარდალი. 1920 წლის აპრილ-აგვისტოს პერიოდში რესპუბლიკის შინაგანი სამსახურის ჯარების შტაბის უფროსი. 1921 წლის დასაწყისიდან ინიშნება მე-11 არმიის სარდლად. 1922 წლის თებერვალ-ივნისის პერიოდში მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსი. იმავე წლის ივლისიდან სამხედრო ატაშე ჩინეთში, ხოლო 1929 წლიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშე თურქეთის რესპუბლიკაში. ანტისაბჭოთა შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულ და დახვრეტილ იქნა 1937 წლის 1 ივლისს.

თქვენი წერილის საპასუხოდ №1753, ქვემოთ მოგახსენებთ მოსაზრებებს, თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შესვლა; ამისათვის არის მხედველობაში მისაღები:

1.. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება აღმოსავლეთ ანატოლიასთან;

2.. ჩვენ ძალთა მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმით პუნქტებზე;

3.. მდგომარეობა და რიცხობრივი ძალა ქართული ჯარისა;

4.. ჩვენი ზურგის მდგომარეობა;

„როგორც უკვე მოგახსენეთ „მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ-მილიტარულ საბჭოს“ კრებაზე ამა წლის [1920] სამ დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელნი არიან მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ კარაბეკირის[1] ჯარები

---

[1] ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა (1882-1948) – თურქი სამხედრო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი (მირლივა) და ქემალისტთა არმიის გენერალ-ლეიტენანტი/პოლკოვნიკი (ფერიკი). ბალკანეთისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომში ამიერკავკასიაში მოქმედი ქვეითი პოლკის მეთაური, ხოლო 1917 წლის ბოლოდან ამიერკავკასიაში გაშლილი მე-3 არმიის დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომის ბოლოს ოსმალთა აღმოსავლეთის არმიის სარდალი. 1919 წლის გაზაფხულიდან გენერალ მუსტაფა ქემალთან (შემდგომში ათათურქი) ერთად სათავეში უდგება ანატოლიაში აგორებულ წინააღმდეგობის მოძრაობას. თურქეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ომის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 1919 წლიდან არზრუმში დისლოცირებული ოსმალთა მე-15 საარმიო კორპუსის სარდალი და რეგიონის ფაქტობრივი მმართველი, ქემალისტთა აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, გენერალ-ლეტენანტი/პოლკოვნიკი (ფერიკი). 1920 წელს მისი სარდლობით განახორციელეს მე-15 საარმიო კორპუსის ქვედანაყოფებმა სომხეთის დასავლეთი ნაწილის (სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლისი) ოკუპაცია და შემდგომი ანექსია. 1921 წლის თებერვალში მისი არმიის ქვედანაყოფებმა მოახდინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არტაანის, ხოლო მარტში ბათუმის ოლქების დაკავება. 1921 წლის ოქტომბერში იგი წარმოადგენდა თურქეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებული ყარსის ისტორიული ხელშეკრულების სულისჩამდგმელსა და ქემალისტთა მხრიდან ცენტრალურ, სრული რწმუნებებით აღჭურვილ პირს. თურქთა მხრიდან სწორედ მან მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას. 1922 წლიდან თურქეთის პარლამენტის წევრი და 1-ლი არმიის გენერალური ინსპექტორია. პარლამენტის მიერ დაჯილდოებულ იქნა თურქეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი –„დამოუკიდებლობის ორდენი.“1924 წლიდან ოპოზიციაში უდგება მუსტაფა ქემალს, აფუძნებს

დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან იმ შემთხვევშიც, თუ დაინიშნებიან ამ ოპერაციისათვის მეთერთმეტე არმიის გარდა მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენ კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები, რათა თურქთა წინააღმდეგ ჯებირი შევქმნათ.

ცნობათა ჩვენი უწყების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები სარიკამიშ-ალექსანდროპოლის ხაზზე 22000 – 24000 რეგულიარულ ჯარისკაცს აღწევს და 14 – 16 ათას ქურთ და თათარ კავალერიას. ვიღებთ რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრული დაშლის კრიზისის პერიოდს განიცდის და რომელიც საფუძვლიან ორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ უნდა დავაყენოთ ჯებირად თურქების წინააღმდეგ ძალები, რაც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერულ ბრიგადაზე მცირე არ იქნება. ამ შემთხვევაშიც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ – წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ბარიერების შესაქმენლად, მით უმეტეს, რომ მილიტარული ოპერაციების დასაწყისში, ვერ გავბედავ ჯარები გამოვიყვანო რომლებიც დაკავებულნი არიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯავუნშირში და ყარაბაღში. ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე, საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ მილიტარული ოპარაციების დაწყება“ [11, 56-57].

რაც შეეხება ბოლშევიკურ-ქემალისტურ ურთიერთობებს. ეს საკითხი სცილდება ჩვენს თემას, ამიტომ ამჯერად მას არ განვიხილავთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 1919 წლის გაზაფხულიდან დაწყებული, რუს ბოლშევიკებსა და თურქ ქემალისტებს შორის დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბება ე.წ. „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. 1920

პროგრესულ რესპუბლიკურ პარტიას და მისი პირველი თავმჯდომარე ხდება. 1925 წელს დაპატიმრებულ იქნა მუსტაფა ქემალის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. 1938 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, რეაბილიტირებულ იქნა. 1946 წელს არჩეულ იქნა თურქეთის პარლამენტის სპიკერად. გარდაიცვალა 1948 წელს.

წლის გაზაფხულიდან კი, საერთაშორისო სამართლის ამ ორი არალეგალური სუბიექტის მიერ დაიწყო ამიერკავკასიის ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების სისხლიანი პროცესი.

მოსალოდნელ საფრთხეებზე რეაგირებისა და შესაბამისი ზომების გატარების მიზნით საქართველოში იქმნება სახელმწიფოებრივი მართვის უმაღლესი სამთავრობო ორგანო – „თავდაცვის საბჭო“, ორგანიზაცია, რომელსაც პასუხისმგებლობა უნდა აეღო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე.

თავდაცვის საბჭოს პირველი სხდომა 1920 წლის 9 ნოემბერს შედგა [12]. საბჭოს მეორე სხდომაზე, რომელიც 11 ნოემბერს ჩატარდა, დაარსდა თავდაცვის ფონდი, სადაც 2 მილიარდი მანეთი იქნა შეტანილი [13]. მეტად მნიშვნელოვანია თავდაცვის საბჭოს №4 და №10 სხდომები.

თავდაცვის საბჭოს №4 სხდომა.

1920 წლის 12 ნოემბერი. სრულიად საიდუმლო.

თავმჯდომარე: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

წევრები: სამხედრო მინისტრის თანაშემწე, გენერალი ოდიშელიძე,[1] შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ჭიჭინაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი.

---

[1] ილია ოდიშელიძე (1865-1924) – ქართველი მხედართმთავარი და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და ამიერკავკასიის არმიის ინფანტერიის გენერალი, ქართული არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. თბილისის კადეტთა კორპუსის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც ასრულებს 1887 წელს, პოდპორუჩიკი. 1895 წლის 4 აგვისტოდან კავკასიის მე-2 კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი, კაპიტანი. 1896 წლის 1 სექტემბრიდან კავკასიის მე-2 მსროლელი ბატალიონის ასეულის მეთაური. 1900 წლიდან უსტ-დვინის ციხე-სიმაგრის უფროსი, 1902 წლიდან პოდპოლკოვნიკი. 1904 წლის 24 თებერვლიდან აღმოსავლეთ ციმბირის მე-6 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი. იმავე წლის 22 სექტემბრიდან აღმოსავლეთ ციმბირის მე-3 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი. 1904 წლის დეკემბრიდან – პოლკოვნიკი. 1906 წლის 11 მარტიდან მე-3 პოლკის მეთაური. 1909 წლიდან მსახურობს თიურქესტანის სამხედრო ოლქის სარდლის განსაკუთრებულ დავალებათა გენერლად. 1910 წლიდან გენერალ-მაიორი. 1911 წლის 9 ნოემბრიდან სამარყანდის სამხედრო გუბერნატორი, ხოლო 1914 წლის 9 იანვრიდან თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. 1914 წლის 11 ოქტომბრიდან გენერალ-ლეიტენანტი და მე-10 არმიის შტაბის უფროსი. 23 დეკემბრიდან 1-ლი არმიის შტაბის უფროსი. 1917 წლის 16 იანვრიდან მე-15 საარმიო კორპუსის სარდალი, ხოლო იმა-

დამსწრენი: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ალ. დგებუაძე, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ზაქარიაძე.

მე-3 პუნქტი. ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის დაკავების შესახებ.

დაადგინეს: ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი ახლავე იქნას დაკავებული და გამოცხადდეს სამხედრო წესებზე. ადგილობრივ მცხოვრებთ ეცნობოს, რომ ჩვენ შევდივართ იქ ოსმალოთა მოსალოდნელი შემოსევისაგან მათ დასაცავად [14].

თავდაცვის საბჭოს №10 სხდომა.

1920 წლის 19 ნოემბერი. სრულიად საიდუმლო.

მე-3 პუნქტი. მოხსენება გენერალ ოდიშელიძესი ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის შესახებ სომხეთის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაზე.

დაადგინეს: ჯერ-ჯერობით ჩვენი ჯარები დარჩეს ნეიტრალურ ზონაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ოსმალებმა დაიკავეს კარაკლისი (დღევანდელი ვანაძორი, საბჭოთა პერიოდის კიროვაკანი – ა. ჩ.) და გამოჩნდნენ ბეზობდალის უღელტეხილზე, ჯარი გაყვანილ იქნას ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილიდან და ჩვენი ჯარის მიერ დაკავებულ იქნას ეს რაიონი მაზრის სამხრეთ საზღვრამდის წანევით.

მე-4 პუნქტი. მოხსენება გენერალ ოდიშელიძესი ბორჩალოს მაზრაში სახალხო გვარდიის ზოგიერთი ნაწილის დაუყოვნებლივ გაგზავნის საჭიროების შესახებ.

ვე წლის 12 აპრილიდან 1-ლი არმიის სარდალი. 1917 წლის 12 სექტემბრიდან მე-3 არმიის სარდალი. 1917 წლის ოქტომბრიდან კავკასიის არმიისა და კავკასიის ფრონტის სარდალი და ინფანტერიის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი. 1918 წლის დასაწყისიდან ამიერკავკასიის ფედერაციის სამხედრო მინისტრის თანაშემწე. 1918 წლის მაისიდან აქტიურად მონაწილეობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის საქმეში. 1919 წელს პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის ქართული დელეგაციის წევრი. 1920 წლიდან რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე და თავდაცვის საბჭოს წევრი. იმავე წლის დეკემბერში ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ხოლო 1921 წლის 16 თებერვლიდან – საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მთავარ სამხედრო მრჩევლად. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია. გარადაიცვალა 1924 წელს.

დაადგინეს: წინადადება მიეცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ყოველთვის აცნობოს გენერალურ შტაბს ყველა მის მიერ ნაწილებისადმი გაცემული ოპერატიული ხასიათის ბრძანებები [15].

ბოლშევიკთა მხრიდან მომავალი საფრთხეებიდან გამომდინარე, იქმნება ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი“ და 1920 წლის 22 ნოემბერს მის სარდლად გენერალი იოსებ გედევანიშვილი[1] ინიშნება [16]. ხოლო 4 დეკემბერს – „თბილისის სიმაგრეების რაიონის კომენდანტად“ – გენერალი გიორგი მაზნიაშვილი[2] [17].

---

[1] იოსებ (სოსო) გედევანიშვილი (1873-1939) – რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი და ქართული არმიის გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის,გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსის, პოლკოვნიკ ნუკოლოზ გედევანიშვილის ძმა. რევოლუციონერი ოფიცერი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1905-1923 წლებში. რკპ(ბ) წევრი 1924 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რის გამოც კაპიტნის წოდებით დათხოვნილ იქნა რუსეთის არმიიდან. მას შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ნაციონალური არმიისა და ქართული საარმიო კორპუსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. დუშეთის კომენდანტი. 1919 წლის გაზაფხულიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის დასაწყისიდან ფედერალისტთა ბათუმის საბრძოლო ე.წ.„პარტიზანული რაზმის“ მეთაური. 1918 წლის აგვისტოდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი. 1919 წლის დასაწყისიდან აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდალი, 1920 წლის ბოლოდან ინიშნება ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდლად. ბოლშევიკური სამხედრო ინტერვენციის დაწყებასთან დაკავშირებით, 1920 წლის 4 დეკემბრიდან ინიშნება სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში.

[2] გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937) – გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდა პოლონეთის ტერიტორიაზე, დივიზიის მეთაური. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. მონაწილეობს ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეში. ინიშნება ქართული საარმიო კორპუსის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1918 წლის დასაწყისიდან თბილისის გარნიზონის და ბორჩალოს მაზრის დაცვის უფროსი. 1918 წლის აპრილში ჩოლოქი-ნატანების ფრონტის სარდალი, იმავე წლის

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის დაიგეგმა გარკვეული ზომების გატარება: მობილიზაცია, ხიდების დანაღმვა, დამატებით ერთი ჯავშნოსანი მატარებლის აგება, სატელეგრაფო ხაზების გაყვანა მოსალოდნელი აგრესიის მიმართულებებზე, გზების შეკეთება, იარაღის, აღჭურვილობის, სამოსის, ნავთობის, საბურავების, საბრძოლო მასალების შეძენა, ცხენებისა და საზიდრების რეკვიზიციების ჩატარება, ლორეს ზონაში მოსახლეობის განიარაღება, ფოილოს ხიდის რაიონში დისლოცირებული ქვედანაყოფებისათვის ყაზარმების მოწყობა...

მეტად საინტერესოა 1920 წლის 6 დეკემბერს გამართული თავდაცვის საბჭოს №19 სხდომის მასალები, რომლის მე-6 პუნქტშიც ვკითხულობთ: „მოხსენება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარესი სამხედრო მდგომარეობით გამოწვეულ სამუშაოების საწარმოებლად შრომის ბეგარისა და განსაკუთრებული სამუშაო ჯგუფების მოწყობის შესახებ.

დაადგინეს: ხსენებული სამუშაოებისათვის გაყვანილ იქნეს მობილიზაციის სახით ქ. თფილისის არამშრომელი ელემენტები. მუშაობის და სამუშაო ჯგუფების მოწყობა დაევალოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. ყველა ამ მობილიზაციით გაწვეული პი-

---

მაისიდან – აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი. 1918 წლის ნოემბრიდან ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის სამხედრო ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზების გენერალ-გუბერნატორი. 1918 წლის დეკემბრიდან სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტის სარდალი. 1919 წლის თებერვალში ახალციხისა და ახალქალქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონში დისლოცირებული ქართული გარნიზონის ჯარების სარდალი. 1919 წლის მარტიდან 1920 წლის ნოემბრამდე ჩამოშორებული იყო აქტიურ სამხედრო სამსახურს. 1920 წლის ნოემბრიდან ინიშნება ქალაქ თბილისის სიმაგრეების რაიონის გარნიზონის უფროსად. 1921 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს ომის სოღანლუღის ფრონტის სარდალი, 1921 წლის მარტში ბათუმის გარნიზონის ჯარების სარდალი. ქემალისტებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლების საერთო ხელმძღვანელი. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რჩება საქართველოში და მონაწილეობს ქართული წითელი შენაერთის ფორმირებაში. ინიშნება საბჭოთა საქართველოს წითელი ქვეითი დივიზიის მეთაურად, შემდეგ – რესპუბლიკის ჯარების მთავარ სამხედრო ინსპექტორად. მცირე ხნით იმყოფებოდა ემიგარციაში, პარიზში, საიდანაც საქართველოში ბრუნდება 1925 წელს. 1937 წელს ბოლშევიკთა მიერ იქნა რეპრესირებული. 6 მაისს დახვრეტილ იქნა შვილთან ერთად.

რი ექვემდებარებიან სამხედრო წესიერების დისციპლინას, ხოლო დეზერტირობის ჩადენისათვის პასუხს აგებენ სამხედრო სასამართლოს წინაშე. ხსნებული პირნი უნდა გამოცხადდნენ თავიანთ ტანისამოსში, ხოლო შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფოსაგან ქალამნები და საჭიროებისდა მიხედვით ერთი წყვილი წინდა. მათი გამოკვება ევალება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს გვარდიელებისათვის არსებული საერთო წესით. ყველა მუშას ეძლევა განსაზღვრული სამუშაო, რომლის შესრულების შემდეგ ის ღებულობს სამუშაოსგან სათანადო თავისუფლების მოწმობას" [18]. მაგრამ რეალურად, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები არ გატარებულა.

1920 წლის 13 დეკემბერს გამართულ თავდაცვის საბჭოს 22-ე სხდომაზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ინიშნება გენერალი ილია ოდიშელიძე [19], რუსეთის არმიაში ქართველ გენერალთა შორის უმაღლესი თანამდებობისა და სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი... საარქივო მასალებზე მუშაობისას ერთ საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ. ესაა გენერალ ოდიშელიძის მიერ შედგენილი სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის სრულიად საიდუმლო მოხსენება ბოლშევიკთა მხრიდან მომავალი საფრთხეებისა და ამ საფრთხეების პრევენციისათვის საჭირო ზომების გატარების შესახებ. მოხსენებაში წარმოდგენილი ღრმა პროფესიული ანალიზი და დადებული პროგნოზები დიდი სიზუსტითა და სკრუპულოზურობით არის ჩატარებული. ნათლად ჩანს ანალიტიკოსის ლოგიკა და საომარ მოქმედებათა თეატრების სტრატეგიული ხედვა, გამოტანილი დასკვნების სიზუსტე და მოთხოვნების კატეგორიულობა, ამავე დროს შინაგანი განგაშის ის ცუდად დაფარული განცდა, რაც მთელ დოკუმენტს წითელი ხაზივით გასდევს. წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტი ორიგინალია. იგი რუსულ ენაზე ლურჯი მელნით მანქანაზე ნაბეჭდ ტექსტს წარმოადგენს და სრულად გამოხატავს 1921 წლის დასაწყისისათვის ამიერკავკასიის რეგიონში არსებულ სამხედრო-ოპერატიულ ვითარებას. ამ დოკუმენტს სრულად მოვიყვანთ.

მაშ ასე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი ილია ოდიშელიძე:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.
სამხედრო მინისტრის თანაშემწე.

1921 წლის 3 იანვარი. №64/49

ქალ. ტფილისი. სრულიად საიდუმლო.

გაცნობისთანავე ექვემდებარება თავდაცვის საბჭოში დაბრუნებას.

ასლი: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს, სამხედრო მინისტრს.

შენიშვნა 1. ოფიციალური წერილობითი სახის მოხსენება ჩემი და გენშტაბის უფროსის ხელმოწერებით, წარმოდგენილი იყო უფრო ადრე, 1920 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში. კიდევ უფრო ადრე, მე ოფიციალურად, სიტყვიერად მოვახსენე ამის შესახებ მთავრობას ერთ-ერთ სხდომაზე. არსებობს ამ სხდომების ოქმები. 1920 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის მოხსენებები არსით იგივეა: რუსეთთან გარდაუვალი ომის გამო ისინი მოითხოვდნენ არმიის გაძლიერებასა და მომზადებას.

შენიშვნა 2. 1920 წლის ნოემბერში მე გავაკეთე ოფიციალური მოხსენება სამხედრო და საგარეო სამინისტროების გაერთიანებული კომისიისა და დამფუძნებელი კრების ფრაქციების წინაშე – საერთო ჯამში, ოქტომბერ-ნოემბერში ოთხჯერ. და ყოველთვის ერთი დასკვნით: **ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ.** (ეს ფრაზა ავტორის მიერ ხაზგასმულია – ა. ჩ.)

გასული წლის ნოემბრის თვესა და დეკემბრის დასაწყისში ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის საფუძველზე, ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის სარდლობა დეკემბრის შუა რიცხვებისათვის აპირებდა რესპუბლიკაზე საერთო შეტევის დაწყებას, მაგრამ როგორც ჩანს ძალიან დიდი გათვლები იყო გაკეთებული ქვეყნის შიგნიდან აფეთქებაზე, რაც ქვეყანაში შემოჭრის სიგნალი უნდა გამხდარიყო. მაგრამ თვით რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა გარემოებებმა, რასაც მე-11 არმიის სარდალი ჰეკერი აღნიშნავდა, ჩაშალეს ეს გეგმები და დაპროექტებული შეტევა არ განხორციელდა.

მაგრამ დეკემბერში გაგეგმილი შეტევის გადადება არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთიდან მომავალი საფრთხის გაქრობას. ბოლშევიკები როგორც ჩანს ემზადებიან ჩვენთან ომისათვის, რაც ჩანს უკვე ნახსენები მე-11 არმიის სარდლის მოხსენებიდან, რომელიც რეკომენდაციას იძლევა გადაიდოს საქართველოზე თავდასხმა განსაზღვრული პირობების შესრულებამდე: აზერბაიჯანში შვიდი ქვეითი დივიზიისა და მეორე ცხენოსანი არმიის თავმოყრა (30000-დე ხიშტი და 5000 ხმალი), განჯაში პურის მარაგების შემოტანა დე-

კემბრისა და იანვრის განაწესებით, თურქულ სარდლობასთან შეთანხმების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს თურქთა მხრიდან საბჭოთა შეტევას, (ზუსტად ასეა ტექსტში – Обеспечивающаго Совътского наступленіе со стороны Турокъ – ა. ჩ.) და ბოლოს, მე-9 არმიის გადაჯგუფება (განლაგებული იყო ყუბანის ოლქში), რის შესახებაც მთავარსარდალ კამენევის[1] მიერ გაცემულ იქნა განკარგულება.

ამგვარად, საბჭოთა სარდლობა მხოლოდ ახანებს შეტევის დაწყებას იმ ხელსაყრელ მომენტამდე, სანამ ამ შეტევისათვის მათ ყველაფერი არ ექნებათ მოგვარებული. ეს გარემოებები მავალდებულებენ თავდაცვის საბჭოს ყურადღება მივაქცევინო იმ გარემოებაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი შეიარაღებული ძალები და შემოგთავაზოთ რიგი კონკრეტული და ჩემის აზრით გა-

---

[1] სერგეი სერგეევიჩ კამენევი (1881-1936) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი, I რანგის კომანდარმი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. I მსოფლიო ომში 1914 წლის სექტემბრიდან 1-ლი დასავლეთის ფრონტის არმიის შტაბის კვარტერმეისტერის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ – არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი. 1917 წლის აპრილიდან პოლკოვნიკი, პოლტავის 30-ე პოლკის მეთაური. 1917 წლის ნოემბრიდან მე-15 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს. 1918 წლის აპრილიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის ივნისიდან ვიტებსკის წითელი ქვეითი პოლკის მეთაური, 1918 წლის აგვისტოდან – სმოლენსკის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი, 1919 წლის აგვისტოდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის (РККА) მთავარსარდალი. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი სამხედრო ინსპექტორი, 1925 წლიდან – წითელის არმიის შტაბის უფროსი. 1926 წლის აგვისტოდან წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ამავე დროს მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ტაქტიკის ციკლის უფროსი. 1927 წლიდან სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1935 წელს მიენიჭა I რანგის კომანდარმის სამხედრო წოდება, მაშინ როცა სამოქალაქო ომის პერიოდში მის დაქვემდებარებაში მყოფ ხუთ მხედართმთავარს (ვოროშილოვს, ბუდიონის, ბლიუხერს, ეგოროვსა და ტუხაჩევსკის) მიენიჭათ უმაღლესი სამხედრო წოდებები – საბჭოთა კავშირის მარშალი. გარდაიცვალა 1936 წელს. სიკვდილის შემდეგ, 1937 წელს, იგი ბრალდებულ იქნა„სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში.“მისი მოღვაწეობა ამოშლილ იქნა რუსეთის სამოქალაქო ომის ოფიციალური ისტორიის ფურცლებიდან, მისი სახელი კი, დავიწყებას მიეცა.

დაუდებელი ზომებისა ამ ძალების ბრძოლისუნარიანობის ხარისხის ასამაღლებლად, რათა მათ შეძლონ თავისუფლად დაუპირისპირდნენ მოწინააღმდეგეს, რომელთა ძალებიც ზემოთ იყო მოყვანილი. ამ საკითხთან დაკავშირებით მე მქონდა წინასაწარი მოლაპარაკებები გვარდიის მთავარი შტაბის წრმომადგენლებთან, გენერალურ შტაბთან და საჯარისო მეთაურებთან. ყველანი ისინი მივიდნენ იმ დასკვნებამე, რასაც მე გთავაზობთ ამ მოხსენებაში.

სანამ გადავალ ამ ზომების ჩამოთვლაზე, ნება მიბოძეთ გავჩერდე იმ სამხედრო-პოლიტიკური გარემოებების აღწერაზე, რასაც ადგილი აქვს მოცემულ მომენტში რესპუბლიკის გარშემო, რადგან ნათელი იყოს ძალთა ის განაწილება, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

საბჭოთა რუსეთის ჩვენს რესპუბლიკასთან დამოკიდებულება სრულადაა წარმოდგენილი როგორც ზემოთ ხსენებული მე-11 არმიის სარდლის მოხსენებაში, ასევე ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებში. რაც შეეხება ძალებს, რომელიც შეუძლია ჩვენს წინააღმდეგ გამოაგზავნოს რუსეთმა – ისიც საკმაო სიზუსტითაა აღწერილი მოხსენებაში და ეს სურათი ასე გამოიყურება: ჩვენი აღმოსავლეთის ფრონტის წინააღმდეგ, წითელი ხიდიდან ზაქათალამდე მოემართება აქტიური ჯგუფი 6-7 ქვეითი დივიზიისა და 5 საკავალერიო დივიზიის შემადგენლობით (30000-დე ხიშტი და 4-5 ათასი ხმალი); პასიური მიმართულებების – ვლადიკავკაზისა და სოჭის დასაფარავად რჩება თითო დივიზია (8000-დე). თუ ამას დავუმატებთ სამხრეთ ოსეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების შემოჭრის შესაძლებლობას, რაოდენობით 3000 კაცამდე (სადაზვერვო მონაცემებით ჩრდილოეთ კავკასიაში), მაშინ საბჭოთა რუსეთის მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ უნდა ველოდოთ 40000 ხიშტამდე და 5000 ხმალს. ამასთან, აქტიური ჯგუფი, 30000-დე ხმალი, ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე.

საბჭოთა რუსეთთან შეტაკების შემთხვევაში, ჩვენი მეორე მტერი ალბათ საბჭოთა სომხეთი იქნება, რომელიც ჩვენს სამხრეთ საზღვრებს დაემუქრება ბორჩალოს მაზრაში. ზუსტი მონაცემები სომხეთის შეიარაღებული ძალების შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ყველა ნიშნით იგი მძიმედ დეზორგანიზებულია, ხუმბაპეტები (დაშნაკური საბრძოლო რაზმების მეთაურები – ა. ჩ.) კი აქამდე უთანაგრძნობენ დაშნაკებს და ისინი განიარაღებულნი არ არიან. (ბექზადიანის საუბარი პირდაპირ მავთულზე მურავიანთან და ჩი-

ჩერინის ტელეგრამა სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს). მიუხედავად ამისა, სქართველოსთან ომის შემთხვევაში, საბჭოთა სომხეთის მთავრობაც კი მოძებნის ჩვენთან ომის წარმოების საკმაო რაოდენობის მსურველს. თუ ამას დავუმატებთ ჩვენს წინააღმდეგ აჯანყებული ბორჩალოს მაზრის სომხურ მოსახლეობას, ჩვენ საქმე გვექნება შეიარაღებულ მტერთან, რაოდენობით – 10-15000 კაცი.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ შემდეგ ჩვენს მეზობელს, თურქეთს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ჩვენდამი დამოკიდებულება ბოლომდე ნათელი არაა: ერთის მხრივ, იგი წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის ოფიციალურ მოკავშირეს, მაგრამ მეორეს მხრივ რუსეთის სამხედრო სარდლობა ჩვენთან ომის დაწყების შემთხვევაში აპირებს ქიაზიმ ყარაბექირის ჯარების წინააღმდეგ განსაკუთრებული ზღუდის შექმნას და ამ ჯარების პოზიციების გამორკვევამდე თვით შეტევის შესაძლებლობის დაშვებას.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენსა და ანგორას (დღევანდელი ანკარა – ა. ჩ.) შორის დამყარებული კავშირები გვაფიქრებინებს, რომ თურქები, რუსეთთან ჩვენი ომის შემთხვევაში ამ ომში ჩვენს წინააღმდეგ აქტიურად არ ჩაებმებიან, ყოველ შემთხვევაში მის საწყის ფაზაში. ისინი დაელოდებიან პირველი ბრძოლების შედეგებს და ჩვენი დამარცხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაიკავებენ იმ ოლქებს, რომლებიც მათ ჰქონდათ გადაცემული ბრესტ-ლიტოვსკის ზავით.

რაც შეეხება თურქთა ძალებს, რომლებიც მათ გააჩნიათ ამიერკავკასიაში. ცნობილია რომ მათი რაოდენობა 20-25000-ს აღწევს. ამას გარდა, მე-3 დივიზია ტრაპიზონის მიდამოებში – 5000 კაცი, რომელიც ასევე შეიძლება გადმოჯგუფებულ იქნას ბათუმის ოლქში საომარი მოქმედებებისათვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყარაბექირ ფაშა იძულებული იქნება დატოვოს გარკვეული ძალები სომხების წინააღმდეგ და ამ მიზნისათვის შემოიფარგლება 10-15000 კაცით, ასეთ შემთხვევაშიც ჩვენს წინააღმდეგ მას შეუძლია გამოიყვანოს 10-15 ათასიანი ჯარი. თუ ამას დავუმატებთ ბათუმის ოლქისა და არდაგანის ოკრუგის მუსულმანი მოსახლეობის 15-20000 მეამბოხეს, მაშინ ჩვენს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე საქმე გვექნება მოწინააღმდეგის 35000-იან ჯართან.

ხაზს ვუსვამ, რომ ამ უკანასკნელს ადგილი თავიდანვე არ ექნება, არამედ ჩვენთვის ყველაზე უარეს შემთხვევაში.

ამგვარად, საბჭოთა რუსეთთან შეტაკების შემთხვევაში საქმე გვექნება 50-60000-იან რუსულ-სომხურ ჯართან, მათთან თურქების შეერთებით კი – 75-90000-თან. ამასთან ერთად, ყველაზე აქტიური იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთის საომარ მოქმედებათა თეატრი, ჩვენი სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრები, საიდანაც მოწინააღმდეგე განახორციელებს ყველაზე უფრო ინტენსიურ შეტევას რესპუბლიკის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამხედრო ცენტრის – თბილისის ხელში ჩასაგდებად.

ამ მონაცემებითა და ასევე ჩვენი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე (ცენტრალური მდებარეობა და შიდა საოპერაციო ხაზებზე მოქმედებები), საჭიროა დაუყოვნებლივ ჩავიგდოთ ხელში ინიციატივა. ამის მისაღწევად კი მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ჩვენი საზღვრების ნებისმიერ უბანზე, საჭირო მომენტში მოვახდინოთ მოწინააღმდეგესთან შედარებით აღმატებული ძალების თავმოყრა. მაგალითად, საბჭოთა რუსეთის შეტევის შემთხვევაში ჩვენს აღმოსავლეთ საზღვრებთან თავი უნდა მოვუყაროთ 35000-იან ჯარს, ხოლო სამხრეთში 10000-ს, ამასთან ერთად, სხვა მიმართულებებისათვის რეზერვში უნდა ვიყოლიოთ 15000-იანი ჯარი. ამგვარად, ჩვენი შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი უნდა იყოს 60000 ხიშტი და ხმალი.

ამასთან ერთად, ჩვენი ჯარების მოქმედების ხასიათი უნდა იყოს მხოლოდ აქტიური, სწრაფი და ენერგიული, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობით და მეორეს მხრივ ჩვენი მოსალოდნელი მოწინააღმდეგის ხასიათით, რაოდენობით ძალიან შთამბეჭდავი, მაგრამ ძალიან არამდგრადი ხანგრძლივი წინააღმდეგობისათვის, რაც საბჭოთა რუსეთის მთავარსარდლობის მიერაც არის გათვალისწინებული, როცა იგი თავისი მე-11 არმიის სარდლისაგან მოითხოვს ინიციატივის ხელში აღებას. ამას უნდა დავუმატოთ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას ვაწარმოოთ ხანგრძლივი ომი, ასევე ჩვენი ჯარისკაცის ხასიათი, რომელიც მოწოდებულია გმირობისა და სწრაფი მოქმედებებისათვის, მაგრამ არ უყვარს ხანგრძლივი გასაჭირი.

აღწერილი მდგომარეობა მოითხოვს ჯარების უკიდურეს მობილურობას, რაც დამოკიდებულია ჩვენი გზათა შეტყობინების მდგომარეობით. ამ მიმართულებით კი მოგვიწევს გადამწყვეტო ზომების გატარება. რკინიგზის დაუყოვნებლივი უზრუნველყოფა ნავთის მარაგებით, რათა ომის დაწყების შემთხვევაში მიღწეულ

იქნას მოძრაობის საჭირო ტემპები. ამიტომ ნებისმიერი დანახარჯების ფასად უნდა შევძლოთ საზღვარგარეთ ნავთის საჭირო მარაგების შეძენა, იმდენად, რამდენადაც მისი აზერბაიჯანიდან მიღების იმედები, რა თქმა უნდა, არა გვაქვს.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება თუ მომავალი ომის თეატრებზე რომელი გზები უნდა იყოს მოყვანილი სრულ წესრიგში. აქ კი მხოლოდ უკიდურესად საჭირო ღონისძიებების გატარებით შემოვიფარგლებით – რკინიგზის ხაზის მშენებლობა წნორის წყალი-ლაგოდეხი, რაც მოწინააღმდეგესთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენს სტრატეგიულ მდგომარეობას ალაზნის ველის დასაცავად.

მაგრამ ჯარების მობილურობისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო გზებს, არამედ საჭაპანე ტრანსპორტს, რომელიც კვებავს ჯარს. მნიშვნელოვანია ასევე არტილერიასა და ცხენოსან ჯარში ცხენების რაოდენობა. ამ მხრივ კი, ჩვენი ჯარი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. დაკმაყოფილებულია ჯარების საშტატო მოთხოვნილების მხოლოდ 40%-დე. სახეზე არსებული კი, უჭმელობის გამო, უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია. საჭაპანე ტრანსპორტი ძველი, დაზიანებული და ხანგრძლივი ლაშქრობებისათვის გამოუსადეგარია...

ჩვენი შეიარაღებული ძალების არსებული რაოდენობა ძალიან შორსაა იმ რიცხვისაგან, რაც საჭიროა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ე.ი. 60000, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. მოცემულ მომენტში ჩვენ გვყავს მხოლოდ 25000 ხიშტი, რომლებიც შემდეგნაირად არიან განაწილებულნი: გაგრის რაიონი – 1900 ხიშტი, ბათუმის ოლქი – 4900, ახლაციხე-ახალქალაქი-არდაგანის რაიონი – 4500, ლაგოდეხის რაიონი – 1000, ყაზბეგის რაიონი – 150, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი – 9500. დაბოლოს, რეზერვი ტფილისში – 2500 ხიშტი.

რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საჭირო რაოდენობამდე მისაყვანად გადაუდებელია:

ა. ახლავე მოხდეს 1920 წლის ახალწვეულთა გაწვევა იმ გათვლით, რომ გაზაფხულისათვის შესაძლებელი გახდეს მათი საბრძოლო მწყობრში დაყენება;

ბ. ახლავე დაიწყოს ბატალიონების საბრძოლო გაშლა სამბატალიონიან პოლკებად. ახლავე დაიწყოს დამატებითი ფორმირებების შექმნა, რაც მოითხოვს დამატებით თადარიგში მყოფთა ორწლიან გაწვევას და სახალხო გვარდიის მთელი შემადგენლობის

სრულ მობილიზაციას. ეს ღონისძიებები მოგვცემენ საშუალებას ჯარების რაოდენობა ავიყვანოთ 35000-დე, რაც ჩვენთვის სასურველ რიცხვს წარმოადგენს.

მაგრამ სანამ შევკრებთ ამ რაოდენობის ჯარს, საჭიროა მათი უზრუნველყოფა ყველა აუცილებელი ნივთით, როგორიცაა ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი, აღჭურვილობა, შეიარაღება, საბრძოლო მასალები დ სასურსათო მარაგები. ამიტომ ეხლავე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მოხდეს ამ ქონების შეძენა საზღვარგარეთ, თუნდაც სასაქონლო გაცვლის გზით. არსებული ცნობებით, ამის მიღწევა ძალიან ადვილია კონსტანტინოპოლში, სადაც განთავსებულია ანტანტის საოკუპაციო ჯარებისა და ვრანგელის არმიის მარაგები. სასურველია მივლინებით გაიგზავნოს განსაკუთრებული კომისია, სურსათის სამინისტროს, სახალხო გვარდიისა და სამხედრო-სამეურნეო კომიტეტის წევრთა შემადგენლობით, რომლებიც განახორციელებენ ამ შესყიდვებს. ჩვენი არმიის ზემოთ მოყვანილი რიცხვების შესაბამისად, 40-50000 კაცისათვის უნდა მოხდეს ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და შეიარაღების შეძენა, ხოლო სურსათისა – თვიური პროპორციით 100-120000 კაცსა და 15000 ცხენზე, ანუ, ჩავაცმევთ 75000 კაცს, კიდევ 75000-ს კი, დავტოვებთ ხელუხლებელ მარაგებად.

საბრძოლო მასალების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარტილერიო ჭურვების შეძენას, რომელიც ძალიან შეზღუდული რაოდენობით გაგვაჩნია... ახლავე საჭიროა გამოიყოს თავდაცვის ფონდიდან ასიგნებანი – 50-60000000 მანეთის ოდენობით ცხენებისა და ხარების საჭირო რაოდენობის შესაძენად, აგრეთვე საჭაპანე სატრანსპორტო საშუალებების შესაკეთებლად.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კოლოსალური მნიშვნელობა აქვს გზების მდგომარეობას, ამ მხრივ კი ყველაზე მნიშვნელოვანი, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის გზები ბორჩალოს მაზრასა და ყარაიაზის რაიონში, უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია. დათბობასთან ერთად აქ გზები სრულიად გაუვალი გახდება. ამიტომ აუცილებელია, ეხლავე გავატაროთ შესაბამისი ზომები, რომ წესრიგში იქნას მოყვანილი ქვემოთ დასახელებული გზები: ტფილისი-ქესალო-წითელი ხიდი, სანდარი-წითელი ხიდი, აშაღასარალი-ყაჩაღანი-წითელი ხიდი, სადახლო-კერპელი, და სანდარი-ვორონცოვკა-ჯალალ-ოღლი. (ვორონცოვკა – ისტორიული ქართული ტაშირი, ჯალალ-ოღლი – ისტორიული ქართული ლორე,

დღევანდელი სტეფანავანი. დღეს ორივე ეს დასახლებული პუნქტი სომხეთის შემადგენობაშია ჩართული – ა. ჩ.)

ამ თეატრზე ჩვენი ჯარების ორ დაჯგუფებას შორის კავშირისათვის კი საჭიროა, ქესალოს რაიონში, მდინარე მტკვარზე ხიდის აშენება ყაჩაღანთან, მდინარე დებედა ჩაიზე ხიდის აშენება და ყარაიაზის რაიონში ორი-სამი ორმაგი ბორნის გამართვა მდინარე მტკვარზე. ამ ხიდებისა და ბორნების ასაშენებლად საჭირო თანხების გამოყოფა უნდა მოხდეს ეხლავე, დაუყოვნებლივ.

საჭიროა აღნიშნულ რაიონებში სრულად დამყარდეს სატელეგრაფო შეტყობინება, რისთვისაც დაგვჭირდება დამატებითი სატელეგრაფო ხაზების გაყვანა შემდეგ მარშრუტებზე: აშაღა-სარალი-ყაჩაღანი-წითელი ხიდი და ბეიუქ-კისიაკი-ყაჩაღანი. ამას გარდა, ჯარების კავშირგაბმულობის უზრუნველსაყოფად, ახლავეა საჭირო საზღვარგარეთ ტელეგრაფის აპარატების და განსაკუთრებით მისი ელემენტების შეძენა, იმდენად რამდენადაც, ამ უკანასკნელში შეიმჩნევა დიდი უკმარისობა. ჩვენს მიერ დამზადებული კი უვარგისი გამოდგა. ვთვლი, რომ მათი შეძენა შეგვიძლია დავავალოთ ჩემს მიერ ზემოთ ხსენებულ კომისიას კონსტანტინოპოლში.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ფრონტი მეტად მწირია დასახლებული პუნქტებით, რითაც უკიდურესად გართულებულია ჯარების განთავსების საკითხი. ამასთან ერთად, ამ რაიონს სამხედრო თვალსაზრისით რესპუბლიკისათვის ყოველთვის ექნება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა და ამ რაიონში, ომის შემთხვევაში, ჯარების თავმოყრას მუდმივი ხასიათი ექნება. ამ თვალსაზრისით გადაუდებლად ვთვლი ბარაკის ტიპის საცხოვრებლების აგებას სადგურების სუგუთ-ბულახისა და ბეიუქ-კისიაკის რაიონში, ასევე წითელი ხიდის რაიონში. ეს შენობები მშვიდობიანობის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას სასაზღვრო ჯარებისათვის. მათ აშენებას ახლავე უნდა შევუდგეთ, საშენ მასალად კი შეიძლება გამოყენებულ იქნას ახლა ცარიელი ყოფილი საინტენდანტო საწყობის შენობები დიდუბეში, ნავთლუღსა და არსენალზე.

არმიისა და გვარდიის საჭიროებისათვის უნდა დავამატოთ აგრეთვე აეროპლანების საკითხი – ბომბდამშენები, 40 ფუთი საბრძოლო ტვირთამწეობით, საავტომობილო და საავიაციო ბენზინი, რომლის გარეშც ჩვენ სრულიად მოკლებულნი ვიქნებით ბრძოლის წარმოების ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორიცაა საჰაერო დაბომბვა და საავტომობილო დაზვერვა. ვთვლი, რომ ეს შესყიდვები შეიძლება განხორციელდეს ჩემს მიერ ზემოთ ხსენებული კომისიის

მიერ. შესყიდვები უნდა შესრულდეს სწრაფად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავვარდებით გამოუვალ მდგომარეობაში.

ამგვარად, ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჩემის აზრით მომავალ გაზაფხულზე **საბჭოთა რუსეთთან გარდაუვალი ომის საშიშროების გამო** (ბოლო ფრაზა ავტორის მიერ ხაზგასმულია – ა. ჩ.), სასწრაფოდ უნდა გავატაროთ შემდეგი ზომები:

1. 1920 წლის ახალწვეულთა კონტიგენტის სასწრაფო გაწვევა;

2. ყველაფრის სასწრაფოდ მომზადება იმისათვის, რომ ჯარების რაოდენობა გაზრდილ იქნას 60000-დე, ზურგის ჩათვლით კი, 75000-დე დამატებითი კონტიგენტისა და რეზერვის გაწვევით. ამისათვის, დაუყოვნებლივ უნდა იქნას შეძენილი საჭირო რაოდენობის ცხენები, ხარები, ტანსაცმელი, აღჭურვილობა, იარაღი და საბრძოლო მასალა. უნდა დამზადდეს საჭირო რაოდენობის სურსათი და ფურაჟი;

3. გზების სისტემის წესრიგში მოყვანა, რაც ნაჩვენებია წარმოდგენილ მოხსენებაში, რკინიგზის უზრუნველყოფა ნავთის საჭირო რაოდენობით, აგრეთვე რკინიგზის ხაზის გაყვანა მარშრუტზე წნორის წყალი-ლაგოდეხი;

4. სატელეგრაფო ხაზების გაყვანა მოხსენების შესაბამისად;

5. საომარ მოქმედებათა თეატრებზე ჯარებისათვის სათავსოების აშენება;

6. ტექნიკური ჯარების უზრუნველყოფა ბენზინითა და რეზინით;

7. დაბოლოს, აეროპლან-ბომბდამშენების შეძენა;

ყველა ამ ზომის გატარებას ვთვლი გადაუდებლად, რომ დარწმუნებულნი ვიყოთ მომავალი გარდაუვალი ომის შემთხვევაში, ომის ჩვენთვის დადებითი შედეგებით დასრულებაში. **ყოველივე ამის დაგვიანება უახლოეს მომავალში ჩაგვაგდებს უაღრესად მძიმე მდგომარეობაში** (ბოლო წინადადება ავტორის მიერ ხაზგასმულია – ა. ჩ.).

ორიგინალური ხელმოწერები: გენერალი ოდიშელიძე;

გენშტაბის უფროსი, გენერალი ზაქარიაძე[1];

---

[1] ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) – ქართველი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, მეფის არმიის პოლკოვნიკი და ქართული არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. 1917 წელს კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსი, შემდეგ – ქვეი-

სწორია: ი. ოდიშელიძე“ [19].

მაშინ, 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო-პოლიტიკურმა ელიტამ ადექვატურად ვერ იმოქმედა. მან კიდევ ერთხელ არ დაუგდო ყური სიმართლის ხმას. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ კი, სულ სხვანაირად განსაჯა...

ბოლშევიკთა შეიარაღებული ინტერვენციის დაწყებისა და პირველი ქართული რესპუბლიკის დასრულებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები იყო დარჩენილი. გენერალ ოდიშელიძის მიერ თავდაცვის საბჭოსა და საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული ეს კატეგორიული მოთხოვნები კი, სამწუხაროდ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... თუმცა ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

და დღესაც, 2014 წლისათვის, გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში არაერთხელ გაჟღერებული ზარივით საგანგაშო ფრაზა – **„ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ“,** ისევ რეკავს...

თემას კი ისევ იმ წინადადებით დავასრულებთ, რითაც დავიწყეთ – ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა მხოლოდ პათეტიკური ტონით აღწერილი ჰეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალიების ზუსტი აღწერა და ანალიზია, ან უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობა...

თი ბრიგადის მეთაური. გენერალური შტაბის პოლკოვნიკი. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. 1918 წლის დასაწყისიდან ქართული საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1918 წელს საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების საერთო, შემდეგ კი, ოპერატიული სექციის უფროსი. 1919 წლიდან – ქართული არმიის გენერალი. 1919-1921 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, შემდეგ – გენშტაბის უფროსი. 1920 წლიდან რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი, თავდაცვის საბჭოს მიწვეული წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია. ჯერ კონსტანტინოპოლშია, შემდეგ კი, მსახურობს პოლონეთის არმიაში. 1926 წლიდან პოლონეთის ქართული კომიტეტის წევრი. მოპოვებული აქვს პოლონეთის არმიის ბრიგადის მეთაურისა და დივიზიის მეთაურის სამხედრო წოდებები. 1939 წლის გერმანია-პოლონეთის ომის აქტიური მონაწილე. დაჯილდოებულია პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოებით. გარდაიცვალა 1957 წელს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. (1918-1920 წლები), საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა, ISBN 978-9941-0-5988-9, თბილისი. 2014.
2. Клаузевиц. О., войне. Государственное Военное Издательство Наркомата Обороны Союза ССР, Москва, 1937.
3. B. H. *Liddell-Hart.* Why Don't We Learn from History? Hawthorn Books, New York, 1971.
4. И. С. Минц. Победа советской власти в Закавказье, Москва, 1929.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, თბილისი, 1973.
6. А. Б. Кадишев, Интервенция и гражданская война в Закавказье, Военное издательство министерства обороны союза ССР, Москва, 1960.
7. Г. Уратадзе, Общественное движение в Грузии в 1821-1921 гг., Париж, 1939.
8. ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი).
9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა), ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 27, ფურცელი 149.
10. ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბილისი, 1990.
11. ჟურნალი „კავკასიონი", XV, Kavkasioni. Recueil littéraire et historique (in Georgien), პარიზი, 1971 წელი.
12. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 1.
13. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 2.
14. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 4.
15. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 11.
16. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 13.
17. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 22.
18. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (23-24).
19. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (27-28).
20. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 18, ფურცელი (1-12).

Archil Chachkhiani

Doctor of History, Colonel, Senior Instructor on the Course of the War History and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

The Fateful Lessons of the History – „We are Facing the Deadly Threat"

Summary

The issue we mention here is from the sphere of the Modern and the most recent History of Georgia. In particular, the represented work concerns some moments from the political and military realities of the Democratic Republic of Georgia at the end of the year 1920. The most important is the issue, whether Georgia had obtained the information about the Bolshevik Russia's preparations for intrusion, or not? Was Georgia preparing for the approaching war?

The beginning of the political and diplomatic relations between Georgia and Russia was as follows: resulting from the complex international situation, Georgia began worrying about settling the political relations with Soviet Russia from the very moment the Transcaucasian Federation disintegrated and the national independence of Georgia was restored. It is the historical fact that the young Republic of Georgia immediately claimed its readiness to settle political and diplomatic relations with Soviet Russia. The first diplomatic mission of the Democratic Republic of Georgia was sent to Moscow from the very first days of independence but this did not bring any results.

After the „October Upheaval", in a short while as the Bolsheviks assumed the power, Lenin and his like-minded comrades ended with the democratic prelude. They moved to the aggressive military actions and started the bloodstained process of establishing the proletarian neo-colonialistic rule all over the former Russian Empire. At the same time, they ignited the „World Proletarian Revolution" fire in the Eastern Europe.

In the represented article we consider the measures planned by the Georgian Defence Council towards preventing the armed aggression and

intervention from the side of the Bolshevik Russia. The archival documentation, namely, the records of the sessions of the Defence Council, and the detailed analysis of the military-strategic speech of General Ilia Odishelidze, the Deputy Military Minister of the first Republic of Georgia and the Commander-in-chief of the Georgian Armed Forces, are provided.

მარიამ გაბუნია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნიკიფორე ირბახი და ორი იბერიის ნათესაობის საკითხი ქართულ-ესპანურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში (1626-1627 წწ.)

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის შესწავლა აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო-ესპანეთის ურთიერთობების ისტორია ხსენებული პრობლემის თვალსაზრისით განსაკუთრებული ხასიათისაა. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ XV-XVII საუკუნეებში ორივე სახელმწიფოს რელიგიური და დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია სრულყოფილად დღემდე არ არის საგანგებოდ გამოკვლეული და არაერთი საკითხი სათანადო შესწავლას და გაანალიზებას მოითხოვს. აღნიშნული საუკუნეების საქართველო-ესპანეთის ურთიერთობების ისტორიის შესწავლისას, ქართულ ისტორიულ წყაროებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოელ ავტორთა შრომებში დაცულ იმ დოკუმენტურ მასალასაც, რომელიც მეტად საყურადღებო, ძვირფას ცნობებს შეიცავს საქართველო-ესპანეთს შორის არსებულ ურთიერთობათა მეცნიერულად შესწავლისათვის. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია ის წერილობითი დოკუმენტები, რომელთაც ესპანეთის ქალაქ ვალიადოლის მახლობლად მდებარე სიმანკას გენერალურ საისტორიო არქივში მიაკვლია ცნობილმა ესპანელმა მეცნიერმა ლუის ხილ ფერნანდესმა. მის მიერ აღმოჩენილი 81 ახალი საარქივო დოკუმენტი, რომელთა დიდი ნაწილი ესპანურ, მცირე ნაწილი კი ქართულ, ბერძნულ ლათინურ, კასტილიურ და სომხურ ენებზეა დაწერილი, უაღრესად საყურადღებო შენაძენია არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, არამედ დასავლეთ ევროპის კათოლიკური ისტორიის შესასწავლადაც. ხსენებული წყაროები ნათელ წარმოადგენას გვიქმნიან საქართველო-ესპანეთის XV-XVII საუკუნეებში არსებულ რელიგიურ, პოლიტი-

კურ და დიპლომატიურ ურთიერთობებზე. აღნიშნული დოკუმენტების ორიგინალები და ქართულ და ესპანურ ენებზე თარგმნილი წყაროები ლუის ხილ ფერნანდესმა და პროფესორმა ილია ტაბაღუამ 1993 წელს ცალკე წიგნად გამოსცეს მადრიდში შემდეგი სახელწოდებით: „დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.)“[1].

წყაროების გაცნობისას, ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 1627 წლით დათარიღებულმა №63 დოკუმენტმა, სადაც თავმოყრილია საინტერესო ცნობები იბერიაზე, იბერებსა და ქართველებზე, მათ საზღვრებზე, ქრისტიანობაში მათ მოქცევაზე, წეს-ჩვეულებებზე, სამხედრო ძალებზე, მათ განზრახვებზე და სხვ. ამ დოკუმენტის შესწავლითა და გაანალიზებით შევეცდებით, შეძლებისდაგვარად ვაჩვენოთ, თუ რა პრინციპები ედო საფუძვლად ორი იბერიის ნათესაობის საკითხის წამოწევას ქართულ-ესპანური დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს, ასევე, გავაანალიზოთ ესპანეთ-საქართველოს ანტიოსმალური გეგმები.

№63 დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იბერიისა და იბერების შესახებ მოგვითხრობენ ანტიკური პერიოდის ბერძენი და ლათინელი ავტორები: ჰეროდოტე, არისტოტელე, დიონისო დე სიტუ ორბის, პოლიბიუსი, აპიანე, სტრაბონი, პტოლემაიოსი, პლუტარქე, პლინიუსი და სხვა [1, 424]. მათი თხზულებების თანახმად, იყო ორი იბერია, ერთი – აღმოსავლეთში, მეორე – დასავლეთში. ამ უკანასკნელს უწოდებდნენ ესპანეთის იბერიას. „ცნობების“ შემდგენლები არ იზიარებდნენ დიონისიო დე სიტუ ორბის და პრისიანეს ინფორმაციებს, რომლის თანახმად, „დასავლელმა იბერებმა... იგივე სახელი მისცეს აღმოსავლელ იბერებს...“ არისტოტელეს და პლუტარქეს თანახმად, არ არსებობდა არავითარი წერილობითი ცნობა იმ პერიოდში, ესპანელების მხრიდან რომელიმე შორეულ ზღვაოსნობაზე.

სტრაბონის თანახმად, დასავლეთის იბერებს რომაელთა შეჭრამდე სხვადასხვა ხალხებთან მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა არ ჰქონდათ და საკუთარის გარდა სხვა წეს-ჩვეულებები არ იცოდნენ [1, 426]. პლინიუსის ცნობის თანახმად, მდ. ებროს სახელის მიხედვით, ბერძნებმა მთელ ესპანეთს იბერია უწოდეს. ეს ვერსია არასწორად მიაჩნიათ „ცნობების“ შემდგენელთ. მათი აზ-

[1] აღნიშნული ნაშრომის გაცნობისა და შესწავლის საშუალება მომცა პროფესორმა მურმან პაპაშვილმა, რისთვის მას ვწირავ უღრმეს მადლობას.

რით, „იბერ“-ის თავდაპირველი მნიშვნელობა უეჭველად მოდის ზმნიდან „ეიბერ“, რაც გრონობიო ბეკანას თანახმად, ნიშნავს „დამალვა“-ს, „დაფარვა“-ს, რამდენადაც აღმოსავლელი იბერები არიან დამალული, შემოფარული და შემოფარგლული მრავალი და მაღალი მთებით, ამიტომ მათ უფრო მოუხდებათ უწოდონ თავიანთ თავს იბერები, ხოლო მათ ქვეყანას – იბერია [1, 426].

მისივე აზრით, "...პირველი იბერია და პირველი იბერები აღმოსავლელები იყვნენ, რომლებმაც შემდგომში თავიანთ თავს უწოდეს და დღემდე უწოდებენ „ქართველებს“ („გეორგიანელებს“), იმ თაყვანისცემის გამო, რომელიც მათ ჰქონდათ და აქვთ წმ. გიორგისადმი. ხუან ბოტერო ბენესის ნაშრომის თანახმად, ეს ადამიანები (ქართველები) ყოველთვის იყენებდნენ იარაღს და დიდ დროს ატარებდნენ ცხენებზე შემჯდარნი, მათ საბედნიეროდ მიიღეს მფარველად წმ. გიორგი. მიუხედავად ამისა, ბერძნები და სხვა ცნობილი აღმოსავლელი ხალხები, მათ ქართველებს კი არ უწოდებდნენ, არამედ იბერებს, ვინაიდან ეს არის უძველესი სახელწოდება, რომელსაც ისინი ატარებენ [1, 426]. ავტორი დასძენს, რომ „ამის შემდეგ ესპანეთს უწოდეს იბერია, ხოლო ესპანელებს – იბერები. არა იმიტომ, რომ იბერები მოვიდნენ ესპანეთში და შექმნეს იქ თავიანთი კოლონია, არამედ იმიტომ, რომ ბერძნებს ჰქონდათ ცნობები აღმოსავლეთ იბერიის შესახებ, სადაც, სტრაბონის ინფორმაციით, იყო ბევრი მდინარე და ნაკადული, რომელთაც ოქროს ქვიშა მოჰქონდათ და ადგილობრივი მცხოვრებნი ოქროს მოიპოვებდნენ... ბერძნებმა, რომლებიც შემდგომში ჩავიდნენ ესპანეთში, იხილეს მდინარეებში ოქროს მოპოვების იგივე საშუალება და ქვეყანას მეორე იბერია დაარქვეს [1, 427]. ის, რომ ესპანეთს უწოდეს იბერია „ცნობების“ თანახმად, დასაწყისს იღებს იაზონისა და არგონავტების დროიდან. სტრაბონი და პტოლემაიოსი მოგვითხრობენ აღმოსავლეთ იბერების ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ. მათი ინფორმაციის თანახმად, იბერებს დასავლეთით ესაზღვრება კოლხეთის ოლქი და მიწა... ჩრდილოეთით მომთაბარე სკვითები, ანუ სარმატები... აღმოსავლეთის მხრიდან იბერებს ესაზღვრება ალბანია, ასევე, ესაზღვრება კასპიის ზღვა... სამხრეთის მხრიდან იბერიას ესაზღვრება დიდი სომხეთი... პტოლემაიოსი ადგენს აღმოსავლეთ იბერების, ანუ ქართველთა საზღვრებს. სტრაბონი აქებს ამ ქვეყნის მდებარეობას და რბილ კლიმატს, მოგვითხრობს ქვეყნის მთების, ნოყიერი დაბლობების, მდინარეების შესახებ. არისტოტელეს და პლუტარქეს თხზულებებში აღნიშნუ-

ლია ქართველთა სიმამაცის, გამბედაობის შესახებ. პლუტარქეს ინფორმაციით „იბერები ვერასოდეს ვერ დაიმორჩილეს ვერც სპარსელებმა, ვერც მიდიელებმა“ [1, 428]. მათ აიცდინეს ალექსანდრე დიდის ბატონობა და დღემდე მორჩილების გარეშე არიან, (ისინი) არასოდეს ყოფილან სპარსელთა და თურქთა მორჩილების ქვეშ. სტრაბონის თანახმად, იბერებს აქვთ „არქიტექტურა, ძალიან კარგად აგებული მოედნები და საზოგადოებრივი შენობები.“სტრაბონი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იბერთა სახელმწიფოებრივი მოწყობისა და საზოგადოებრივი წყობის შესახებ.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ „ცნობებში“ მოყვანილი ინფორმაცია არ უკავშირდება სარწმუნო წყაროებს. ძველი ისტორიული წყაროები (რუფინიესი, სოკრატე, სოზომენო და სხვათა ეკლესიის ისტორიები) და თანამედროვე ისტორიოგრაფია პირველ ქრისტიანულ მისიას უკავშირებს არა წმ. ფილიპეს და წმ. სიმონს, არამედ წმ. ანდრეას (I საუკუნე) დასავლეთ საქართველოში და წმ. ნინოს (IV საუკუნე) აღმოსავლეთ საქართველოში, „ცნობებში“ დაცულია ინფორმაციები კეთრისაგან სარწმუნოებრივი განკურნების, წყალში მონათვლის, მირიან მეფის სარწმუნოებით გატაცების, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ანტიოქიის პატრიარქის ქართლში გაგზავნის შესახებ და სხვ...

„ცნობებში“ საუბარია სინას მთაზე მდებარე ქართული მონასტრის, ასევე იერუსალიმში, სირიაში, კონსტანტინოპოლსა და ბიზანტიის იმპერიის სხვა მხარეში მდებარე მონასტრების შესახებ.

კონსტანტინე სოფია, სავარაუდოდ, ნიკიფორე ირბახისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიუთუთებს ექვთიმე (964-1028) და გიორგი მთაწმნდელებზე (1014-1066), რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მთარგმნელთა სკოლას ივერთა მონასტერში ათოსის მთაზე. ამ დოკუმენტში მოხსენიებულია ათანასიო ადარმასი (?), რომელიც, წყაროს თანახმად, დავითის გვარის შთამომავლად არის მიჩნეული [1, 431].

კომენტარებში აღნიშნულია, რომ, სავარაუდოდ, იგი... „იყო დავით III კუროპალატი... [3. 234], რომელსაც ემორჩილებოდა იოანე–ექვთიმეს მამა, ივერთა მონასტრის დამაარსებელი. კონსტანტინე სოფიას მტკიცებით, ქართველებს კონსტანტინეს ეპოქიდან ჰყავდათ თავიანთი პატრიარქი (რაც არასწორი ინფორმაციაა). პირველ ხანებში ქართული ეკლესიის სათავეში მყოფი დამოკიდებული იყო ანტიოქიის პატრიარქზე, რომელიც იყო არქიეპისკოპოსი. „ცნობებში“ დაცული ინფორმაციის თანახმად, „ბიზანტიის იმ-

პერატორმა ჰერაკლიუსმა (ჰერაკლე) იბერების ქართველთა მხარდაჭერით, გაილაშქრა სპარსეთის მეფის (შაჰი) ხოსროვის (ხოსროს) წინააღმდეგ წმ. ჯვრის დაბრუნებისთვის... ტრიუმფით დაბრუნდა იბერიაში და ბრძანა აეგოთ აქ მრავალი ეკლესია და მონასტერი, მათ შორის, განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი, მას სტაუროსი ჰქვია (ბერძნ. „ჯვარს" ნიშნავს)...[1, 43]. „კომენტარების" თანახმად, ჩვენ არ ვიცით ის წყარო, საიდანაც შესაძლებელია ამ ინფორმაციის სიზუსტის დადგენა...

წყარო მოგვითხრობს იბერიის ანუ ქართველთა მეფის თეიმურაზ I-ის (1605-1648) სამხედრო ძალების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მეფის უხვად შეიარაღებული კავალერია 60 ათასი კაცისაგან შედგებოდა, ხოლო ფეხოსანი და მსუბუქი კავალერია 40 ათას კაცს ითვლდა. ყოველივე ეს, საჭიროების შემთხვევაში, 100 ათასიანი ჯარის საომრად გამოყვანის შესაძლებლობას იძლეოდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მეფე დაკავშირებული იყო ამბოხებულ ამბასა ფაშასთან, რომელიც წარმოშობით ქართველი (კოლხი) ყოფილა [4, 175, 251]. ორიოდე სიტყვით დავახასიათოთ იგი. ამბასა (აბაზა) მუჰამედ ფაშა ერზრუმის გუბერნატორი 1622 წელს აჯანყდა სულთან მუსტაფა I-ის (1622-1623) და დიდი ვეზირის ჰუსეინ ფაშას წინააღმდეგ. ამბასა ფაშამ შეძლო უუნარო სულთნის მუსტაფა I-ის გადაყენება და სულთნის ტახტზე აიყვანა ახალგაზრდა მურად IV (1623-1640). ამბასა ფაშამ გამოიყენა ის უკმაყოფილება, რაც გამოწვეული იყო 1624 წლის 12 იანვარს შაჰ-აბასის მიერ ბაღდადის აღებით და შაჰის ხელში ერაყის გადასვლითდა კვლავ სათავეში ჩაუდგა აჯანყებას, მაგრამ დამარცხდა. სულთანმა მას აპატია და ერზრუმის გუბერნატორად აღადგინა. 1626 წელს ბაღდადის აღების კიდევ ერთი მცდელობა ისევ მარცხით დასრულდა, მაგრამ სულთანმა ის კვლავ სამსახურში აიყვანა [1, 162-163]. ამბასა ფაშა თეიმურაზ მეფისაგან ცდილობდა თანხმობის მიღებას, რათა ორივეს ერთიანი ძალით შეეტიათ კონსტანტინოპოლისათვის. თავის მხრივ, ფაშა აცნობებდა თეიმურაზ I-ს, რომ მისი ფეხოსანი ლაშქარი შედგებოდა 80 ათასი კაცისაგან და თეიმურაზ I-საგან თანხმობის შემთხვევაში მზად იყო დამორჩილებოდა მის ბრძანებებს და ყველგან თან გაჰყოლოდა მას [1, 432]. დოკუმენტის თანახმად, ქართველთა მეფის შესანიშნავი ძალები სათანადოდ შეაფასა ოსმალთა სულთანმა და ქართველთა მეფეს გაუგზავნა ელჩები, მეგობრობა სთხოვა და მზადყოფნა გამოთქვა დაებრუნებინა მისთვის მის მიერ ადრე დაპყრობილი ყველა მიწა და პროვინცია,

ასევე, ეჩუქებინა ქალაქი სესარეა კაპადოკიაში. „ცნობებში“ დაცული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სულთანი მურად IV თეიმურაზ I-ს მეგობრობის მიღების მიზნით „მიწებისა და პროვინციების“ დაბრუნების გარდა, სთავაზობს მისი სამეფოდან დიდ მანძილზე დაშორებული კაპადოკიის ცეზარეას მმართველობას, დიდ ეჭვს იწვევს. თეიმურაზ მეფე ელჩებს არაფერს დაპირდა, მხოლოდ კეთილი სიტყვებით გამოისტუმრა. მან ესპანეთში გაგზავნა თავისი სულიერი მამა, მეტად სანდო პიროვნება დონ ნიკიფორე ირბახი, რათა მას ეცნობებინა ესპანეთის მეფის ფელიპე IV-სათვის, რომ ესპანელი ხალხის სიმამაცით აღფრთოვანებული ქართველთა მეფე მის უდიდებულესობას მიიჩნევდა წმინდა სარწმუნოების საყრდენად და ყველა ქრისტიანის დამცველად და თვლიდა, რომ სწორედ იგი უნდა ჩადგომოდა სათავეში „ჩვენს საერთო საქმეს, იმ აუცილებლობის გამო, რომელიც იტალიისა და ესპანეთის სახელმწიფოებს აკისრიათ [1, 432]. თეიმურაზ I გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა თურქთა კონსტანტინოპოლიდან განდევნა და იმპერიის დამხობა, რომლის შემდეგ, არ იქნებოდა ძნელი გამარჯვება თურქებზე აფრიკაში ბერბერების წინააღმდეგ [1, 432]. წყაროში აღნიშნულია, რომ ყველა ქრისტიანმა და მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ უნდა გამოიყენოს ხელსაყრელი ვითარება, რათა გათავისუფლდნენ საშიში მტრისა და ტირანიისაგან და რომ არ შეიძლება ღვთის მიერ ქრისტიან მეფეთათვის ბოძებული ასეთი დიდი შემთხვევის ხელიდან გაშვება [1, 432]. წყაროს მიხედვით, იბერთა მეფე (თეიმურაზ I) მოუწოდებდა ქრისტიანულ სამყაროს წმინდა წამოწყებისაკენ და მიაჩნდა, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი თურქები ვერ შეძლებდნენ წინააღმდეგობის გაწევას. დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ იბერთა მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა განეხორციელებინა ლაშქრობა კონსტანტინოპოლზე, თავად ჩადგომოდა საერთო მტრის წინააღმდეგ ლაშქრობას და თავისი უკანასკნელი ძალები მიემართა წმინდა კათოლიკური სარწმუნოებისა და მთელი ქრისტიანობის სასარგებლოდ, რათა განედევნათ დაპყრობილი მიწებიდან ტირანი და მთელი ქრისტიანობის მტერი [1, 432-433]. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თეიმურაზ მეფე თავის სულიერ მამას (იგულისხმება ნიკიფორე ირბახი - მ.გ.) აგზავნის მის უდიდებულესობა ესპანეთის მეფესთან, რომელიც მიიჩნევა მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერ მონარქად, რათა მისმა ელჩმა აცნობოს ესპანეთის მონარქს იბერთა მეფის განზრახვა. ქართველთა მეფე იმედოვნებდა, რომ ღმრთისა და კათოლიკური

სარწმუნოების თავგამოდებული მსახური დაუჭერდა მას მხარს ხსენებულ წამოწყებაში, უხელმძღვანელებდა მას, გასცემდა საჭირო განკარგულებებს, ხოლო იბერთა მეფე თავის ხალხთან ერთად ჩადგებოდა მისი უდიდებულესობის სამსახურში. ქართველთა მეფის გეგმის მიხედვით, ელჩის დროულად დაბრუნების და ესპანეთის მეფის თანხმობის შემთხვევაში, ლაშქრობების დაწყება შესაძლებელი იქნებოდა 1628 წლის გაზაფხულზე. გეგმის მიხედვით, თეიმურაზი ფიქრობდა გადაეჭრა თავისი ლაშქრით ერზრუმის გუბერნატორის კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორია და იქიდან, იმის ნაცვლად, რომ წასულიყო სანაპიროთი, შეჭრილიყო აღმოსავლეთ ანატოლიაში – კაპადოკიაში, მიახლოვებოდა მარმარილოს ზღვას, პრუსაში (ბურსაში) და ამ ადგილებში ზამთარი გაეტარებინა იმ იმედით, რომ აქ მოვიდოდნენ ესპანეთის მეფის გემები, რომლებიც გაივლიდნენ დარდანელის სრუტეს, გადაიყვანდნენ შემდეგ თეიმურაზის ხალხს სკუტარიში (უსკუდარ) და ბოლოს – ბოსფორის ევროპულ ნაპირზე. ყოველივე ეს შეიცავდა მოულოდნელობის ფაქტორს, რითაც ქართველთა გეგმა წარმატებით უნდა დამთავრებულიყო [1, 163]. იბერთა მეფე იმედოვნებდა, რომ მათ გზად შემოუერთდებოდნენ, როგორც ქრისტიანები, ისე კერპთაყვანისმცემლები, რომელთაც სურვილი ჰქონდათ გაერთიანებულიყვნენ რომელიმე ქრისტიანი მეფის დროშის ქვეშ. წყაროს დასასრულ, თეიმურაზ მეფე გამოთქვამდა მზადყოფნას მიეღო კათოლიკური უდიდებულესობის რჩევა და აზრი და მისი თანხმობის გარეშე არ გადაედგა არც ერთ ნაბიჯი [1. 434].

ზემოგანხილული დოკუმენტის გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- „ცნობები იბერიაზე“, სავარაუდოდ, შეადგინეს თეოლოგიის დოქტორმა კონსტანტინე სოფიამ (რომის პაპის კლემენტი VIII-ის წარმომადგენელი) და ნიკიფორე ირბახმა (თეიმურაზ I-ის ელჩი), მათ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ამ ცნობების ჩართვა გამიზნული იყო ესპანეთ-საქართველოს მხრიდან ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად, რითაც ორივე ზემოაღნიშნული ქვეყანა იყო დაინტერესებული.
- ბერძენი და ლათინელი ავტორების თხზულებებში იბერიის და იბერთა შესახებ დაცული ცნობების მოშველიებით, დოკუმენტის შემდგენლები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ იბერები ანტიკური ხანიდან მამაცი და გულადი მებრძოლები იყვნენ, მათ

„აიცდინეს ალექსანდრე დიდის ბატონობა“, მათი მორჩილება „ვერ შეძლეს ვერც სპარსელებმა, ვერც მიდიელებმა“ და „ვერც თურქებმა“. დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების მიზნით, წყარო ხაზგასმით ცდილობს წარმოაჩინოს ქართველთა საბრძოლო თვისებები ანტიკური ხანიდან მოყოლებული – XVII საუკუნის 30-იან წლებამდე;

• წყაროს შემდგენლები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას აღმოსავლეთ იბერიის კულტურულ მემკვიდრეობაზე, სამხედრო ძლიერებაზე, ქრისტიანობისადმი იბერთა თავდადებასა და მუსლიმებისადმი, კერძოდ, თურქებისადმი, მათ შეურიგებლობაზე. ყოველივე ეს კი, მსოფლიო კათოლიკური იმპერიის შექმნის მოთავე იმდროინდელ ესპანელ მესვეურთათვის როდი იყო უცხო;

• დიპლომატიური მოლაპარაკების დროს, ორი იბერიის ნათესაობის საკითხის წამოწევა, მიზნად ისახავდა იმის ხაზგასმას, რომ ბიზანტიის იმპერიის არსებობის დროსაც კი ქართველები სწორედ „საღვთო რომის“ იმპერატორთან არჩევდნენ მეგობრობასა და ერთგულებას. ორი იბერიის ნათესაობის პრობლემის დაყენება დოკუმენტის შემდგენელთ სჭირდებოდათ იმისთვის, რომ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის უმთავრეს მიზნად საერთო ქრისტიანული პრობლემა დაესახათ, რაც კარლოს I დიდის ქრისტიან მმართველ მემკვიდრეთათვის ესპანეთში უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა;

• დიპლომატიური მოლაპარაკების დროს ორი იბერიის ნათესაობის პრობლემის წინ წამოწევა მიზნად ისახავდა ქართველებში მეტი სიმტკიცის გამოჩენას კათოლიკობისადმი და ესპანეთზე ურყევი ორიენტაციის აღებას;

• ესპანეთ-საქართველოს ანტიოსმალური გეგმების შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ დასავლეთში – ესპანეთი, ხოლო აღმოსავლეთში – საქართველო ყველაზე ნათლად ხედავდნენ და სწორად აფასებდნენ ოსმალურ საფრთხეს ქრისტიანობისათვის;

• ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის წარმომადგენლის ნიკიფორე ირბახის მადრიდში ელჩობა (1626-1627 წლებში) ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ესპანეთის სამეფო კარს ანტიოსმალური პრობლემის გადაწყვეტაში ყველაზე საიმედო მოკავშირედ ანტიოსმალურად განწყობილი საქართველო მიაჩნდა;

• ესპანეთი, როგორც XVI-XVII საუკუნეების საერთაშორისო წესრიგის წარმომადგენელი კათოლიკური სახელმწიფო, აღმოსავლეთში სწორედ საქართველოს მიიჩნევდა ძირითად რელიგიურ საყრდენად მსოფლიო კათოლიკური სამყაროს შექმნაში;

• ანტიოსმალური ინტერესების თანხვედრამ საქართველო და ესპანეთი თანამოაზრე ქვეყნებად აქცია და განაპირობა ოსმალური აგრესიისადმი საერთო ძალებით შეტევის იდეის ჩამოყალიბებაზე დიპლომატიური მოლაპარაკებების გამართვა. ამის რეალობად ქცევას ემსახურებოდა ორი იბერიის ნათესაობის საკითხის ჩართვა მიმდინარე დიპლომატიურ საქმიანობაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1993.

2. ლუის ხილი ფერნანდესი და ხოსე მანუელ ფლორისტანი (მადრიდი), ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს (თარგმანი ესპანურიდან), იხ.: კრებული: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, თბილისი, 1995.

3. მიხეილ თამარათი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902; ვახტანგ გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 2011.

4. ილია ტაბაღუა, საქართველოს ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბილისი, 1986.

5. მურმან პაპაშვილი, როდის დაიწერა თეიმურაზ I-ის წერილები ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სა და რომის პაპ ურბან VIII-სადმი 1625 თუ 1626 წელს. კრებულში: საისტორიო ვერტიკალები, 2007.

Mariam Gabunia

Doctoral Student of The Georgian Technical University

Niceforo Irbachi and the Issue of Kindship of Both Iberian in the Georgian-Spanish Diplomatic Discussions (1626-1627)

Summary

The issue –relations of the two Iberia, brought up during the diplomatic negotiations aimed at emphasizing the fact that in times of Byzantium Empire Georgian People chose friendship and devotion to the very Holy Roman Emperor. The compilers of the mentioned documents needed to raise the problem regarding relations of the two Iberia for the purpose to set common Christian problem as a main goal of creating anti-ottoman coalition.

ლელა მიქიაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მასალები აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძის პიროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პორტრეტისათვის

მიხეილ შერვაშიძემ (1823-1864), აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ამ კუთხის ისტორიაში*.

ეს იყო მეტად გამჭრიახი გონების, საჭიროების შემთხვევაში – ხელქვეითების მიმართ მკაცრი, მოწინააღმდეგესთან – სასტიკი და დაუნდობელი, ამავე დროს გონიერი მმართველი და ცბიერი პოლიტიკოსი. ნიშანდობლივია, რომ თვით პ. გორჩაკოვის დახასიათებით, ჯერ კიდევ ყმაწვილი მიხეილ შერვაშიძე ფლობდა ყველა იმ ღირსებას, რაც კავკასიის მთიელებში დიდად ფასობდა: იყო ბუნებით მამაცი პიროვნება, საუკეთესო მხედარი, ამასთანავე – საკმაოდ გონიერი მმართველი.

მიხეილ შერვაშიძის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები სათანადო სისრულით არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში [1, 219-226; 2, 210-223], ამიტომ ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით და შევეხებით მხოლოდ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თანამედროვეთა მიერ მიხეილ შერვაშიძის პიროვნული დახასიათებისას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებსაც ვხვდე-

* მიხეილ შარვაშიძე-ჩაჩბა, იგივე ხამუთ-ბეი (1806-1866 წწ.) – საფარ-ბეი (გიორგი II) შარვაშიძისა და კაცია დადიანის (1757-1788 წწ) ასულის – თამარ დადიანის მეორე ვაჟი იყო.

ბით: მის მიმართ არცთუ კეთილგანწყობილი ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი (რომელიც აფხაზეთში გაიზარდა და წებელდაში მამულებსაც ფლობდა) თავის ნაშრომში მას ირონიულად, ბრჭყალებში მოიხსენიებს, როგორც„ე. წ. გენერალ-ლეიტენანტს", თუმცა გვერდს ვერ უვლის იმასაც, რომ ახალგაზრდა მთავარი უბიხთა ბელად ჰაჯი ბერზეკ დაგუმოყვასთან (Дагумоко) იზრდებოდა და შესანიშნავად ჰქონდა შეთვისებული მთიელთათვის დამახასიათებელი სამხედრო ჩვევები, ამავე დროს თბილისში ცხოვრებისას მას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო კარგი განათლება, უზადოდ შეესწავლა რუსული ენა და ა. შ. იქვე აღნიშნავს რომ მიხეილი "был коварен и хитер: не любил действовать открыто, а по-восточному, лукаво, подкупом и наемным кинжалом. *Храбростью он не отличался. Знание природы родного племени и умение ладить с русскими дали ему возможность править страною в течение 44 лет, полных опасности умереть от пули из-за куста, от кинжала или яда"* [4, 157-158].

მიხეილ შერვაშიძეს არცთუ ისე სახარბიელო შთაბეჭდილება მოუხდენია ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეზეც:

„მთავარი მიხეილი ტანმაღალი და მშვენიერი აღნაგობისა იყო. მას გრძელი ქართული ცხვირი და შავი თმა ჰქონდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჭკვიანური გამომეტყველებით გამოირჩეოდა. ჩვენი მიღებისას მას ქართული ტანსაცმელი ეცვა, თბილისში კი პრეობრაჟენსკის გვარდიის პოლკოვნიკის ფორმას ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ქრისტიანია, სინდისი სულაც არ აწუხებს, რომ რამდენიმე ცოლი იყოლიოს და თან ერთიმეორის მიყოლებით გაეყაროს მათ, როგორც კი თავს მოაბეზრებენ. მთავარი ძუნწ პიროვნებად ითვლება და გარდა ამისა, მას ბევრ ისეთ თვისებასაც მიაწერენ, რაც მის ღირსებას ჩრდილს აყენებს. იგი ხშირად სტუმრობს ხოლმე ციხესიმაგრეს, აქ ჭამს, სვამს და დროს ატარებს ხან ერთთან და ხან მეორესთან; ამ დროს კი მასთან მისულ სტუმარს ერთ ჭიქა წყალსაც კი არ შესთავაზებს, მათ შორის იმასაც კი, ვისაც მისთვის დიდი სამსახური გაუწევია; ამაში თავადვე დავრწმუნდი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ვასალები რუსეთს დიდ დაბრკოლებას უქმნიან კავკასიის დასავლეთში წარმატების მისაღწევად. ძალაუფლებისადმი ლტოლვა, გამწვავებული ვასალისა და სუზერენის კონფლიქტით, ბუნებრივია, მტრულად განაწყობდა მიხეილბეის რუსებისადმი, რომელთაც მის ქვეყანაში სურდათ დამკვიდრება. მას ეშინოდა რუსების, შესაძლოა კიდეც სძულდა ისინი და

ყველაფერს გააკეთებდა, რომ ქვეყანაში მათი წარმატებული სვლა შეეფერხებინა, ან სავსებით აღეკვეთა; თუმცა იგი რუსების იქ ყოფნას იტანდა იმდენად, რამდენადაც ამას მისივე პირადი უსაფრთხოება მოითხოვდა. მას კარგად ესმოდა, რომ რუსეთის გარეშე მთავრის ტიტულს ვერ შეინარჩუნებდა და დარწმუნებული იყო, რომ საკმარისია, რუსებს მისთვის ზურგი შეექციათ, რომ ქვეყანაში კვლავ უწინდელი სავალალო ანარქია გამეფდებოდა; ვინ დაიცავდა მას ჩერქეზებისაგან, ან პატივმოყვარე ბიძის ინტრიგებისაგან (იგულისხმება ჰასან-ბეი – ლ. მ.), ან ურჩი ვასალებისაგან?! ამიტომაც იგი იძულებული იყო, მოთმინებით აეტანა მფარველი და მბრძანებელი. ამავე დროს, იგი არაფრით არ გააკეთებს იმაზე მეტს, რაც აუცილებლად ევალება და ყოველთვის გამოძებნის ათასნაირ გამამართლებელ მიზეზს, რათა თავიდან აიცილოს დანარჩენი მოთხოვნების შესრულება. მთავრისათვის სარისკო რომ არ ყოფილიყო, იგი პირველი შეეცდებოდა რუსების განდევნას აფხაზეთიდან: მას აფხაზური გული უცემს, ეს გული კი ვერ ეგუება ლაგამის ამოდებას. რუსები მას მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ თავის ქვეყანაში თავისუფლად აკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება.

ამრიგად, რუსეთს აქ საკმაოდ რთული ამოცანა აქვს შესასრულებელი; მას სურს სიკეთე მოუტანოს ამ ქვეყანას, მაგრამ, ცხადია, ასეთ ვითარებაში მისი ძალაუფლება მხოლოდ სიტყვიერია. მას სურს ზომიერების ფარგლებში დარჩეს და ამიტომ ვერ ახერხებს გავლენის მოპოვებას. მიუხედავად თხოვნისა და მუქარისა, რუსეთმა ვერც დაიყოლია და ვერც აიძულა ადგილობრივი თავადები და თვით მიხეილ-ბეიც, უარი ეთქვათ ყაჩაღობაზე, მოხეტიალე და მუქთახორა ცხოვრებაზე, რაც აფხაზი ხალხისათვის მუდამ იყო დამახასიათებელი და რაც კეთილშობილური თვისებების თვალსაზრისით მათ ჩერქეზებზე გაცილებით დაბლა აყენებს. მიხეილ-ბეისა და მის ვასალებს სავსებით აკმაყოფილებთ ასეთი ცხოვრება: ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს ბედნიერებაზე" [8].

დიუბუასაგან განსხვავებით, მთავრის შედარებით უფრო ობიექტურ დახასიათებას ვხვდებით ს. ესაძისა და კ. ბოროზდინის ნაშრომებში [3, 132-133; 5, 220-221]. ეს უკანასკნელი პირადად იცნობდა აფხაზეთის მთავარს და თავის ნაშრომში ძალზე საინტერესოდ გადმოსცემს როგორც ამ უკანასკნელის პიროვნულ პორტრეტს, ასევე იმ მიზეზებს, რომლებმაც აფხაზეთის მთავრისა და

რუსეთის ხელისუფლებას შორის ურთიერთობების რადიკალური ცვლილებები განაპირობეს და ეტაპობრივად წინ უძღოდნენ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას: „...С Михаилом лично был знаком и пользовался его любезным к себе расположением. Он был личностью крупною. Молодость свою провел в Тифлисе, так же как и Давид Дадиан, получил по-тогдашнему довольно хорошее образование, говорил по-русски без малейшаго акцента и еще совсем молодым человеком, после смерти старшаго своего брата Димитрия, сделался владетелем...

У себя в Абхазии он был безграничным деспотом и живым типом из серии исторических личностей, подобных Людовику XI и Ивану Грозному; художник мог даже воспользоваться и его наружностью для воспроизведения этого рода типа. Высокаго роста, стройный, с правильными чертами лица, с орлиным профилем, с черными проницательными глазами, он держал себя с необыкновенным достоинством, каждый жест его проявлял привычку властвовать“ [5, 220].

მიხეილ შერვაშიძის მმართველობის საწყის ეტაპზე რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ახალგაზრდა მთავრის პოზიციების განმტკიცებას, თავის მხრივ ეს უკანასკნელიც სათანადო ერთგულებით პასუხობდა მის მიმართ გამოჩენილ მხარდაჭერას; თუმცა, დროთა განმავლობაში ალღო აუღო რუსეთის ჭეშმარიტ მიზანს – ხელსაყრელ მომენტში (როგორც კი რუსეთი კავკასიაში სათანადოდ მომძლავრდებოდა) აფხაზეთის, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სამთავროების დამოუკიდებლობის გაუქმებას. საამისოდ რუსეთს საკმაოდ მძლავრი ბერკეტები გააჩნდა როგორც თვით შერვაშიძეთა საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენელთა სახით (ჰასან-ბეი, ასლან-ბეი და ა. შ.), ისე აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრების ერთმანეთთან დაპირისპირების გზით; როგორც ცნობილია, სამეგრელოს მთავრები, საკუთარი პოზიციის წყალობით, რუსეთის ხელისუფლების განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდნენ, რასაც არცთუ იშვიათად სრულიად უსამართლო ქმედებების დასაკანონებლადაც იყენებდნენ. აფხაზეთთან მიმართებაში სამეგრელოს მთავართა მუდმივი სამიზნე იყო სამურზაყანო; სწორედ ამ ძირითად მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას თავის ნაშრომში კ. ბოროზდინი:

„Первые годы его деятельности отличались беззаветною преданностью интересам русскаго правительства; его не сумели

оценить и не только поощрили, но окончательно оттолкнули от себя совершенно ложной политикой; правительство следовало в Абхазии избитому принципу ***divide et impera*** *и вследствие того, поддерживая Гассан-бея – дядю и заклятого врага Михаила, создало себе в лице владетеля самаго коварнаго и вреднаго агента.* Крайне честолюбивый, он был глубоко оскорблен этой тактикой и всю деятельность свою направил на интригу. Имея большое влияние в горах Западнаго Кавказа, среди непокорных нам джигетов, шапсугов, убыхов и абадзехов, он был чрезвычайно нам нужен своими услугами **и вместо того повел там самую двусмысленную игру с правительствами русским и турецким одновременно, эксплуатируя их обоих.**

Спохватились уже поздно и стали ласкать, осыпать его чинами и орденами, которые тогда уже потеряли в глазах его всякое значение. Будучи под конец генерал-адъютантом и александровским кавалером, он нехотя надевал на себя мундир и регалии, лишь в тех случаях, когда выезжал из своих резиденций для свидания с властями" [5, 220].

სამურზაყანოს პრობლემა, რომელიც ერთგვარ „განხეთქილების ვაშლს" წარმოადგენდა აფხაზეთსა და სამეგრელოს სამთავროებს შორის, შესაძლებელია რუსეთის ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად წარმოებული სეპარატისტული პოლიტიკის ნიმუშად ჩაითვალოს, რაზეც სავსებით სამართლიანად მიუთითებს კ. ბოროზდინიც: „Перипетии вражды двух владетелей Михаила Шервашидзе и Давида Дадиана, людей замечательно искусных и упорных в отстаивании своих интересов, могли бы составить богатую тему для характеристическаго очерка. Борьба велась из-за провинции Самурзакани; на принадлежность ея оба они простирали свое домагательство, и больше всего страдала от того сама эта провинция, тревожимая всячески насильственными действиями владетелей, направленными друг против друга. Князь В. О. Бебутов, по поручению князя Воронцова, привел это дело к концу, склонив ссорившихся к получению за Самурзакань денежнаго вознаграждения от Правительства и, отобрав ее у них, ввел туда русское управление. Сделано было это с таким умением и тактом, что обе враждующия стороны не успели опомниться и поняли развязку дела, для обоих невыгодную, когда уже все было покончено безповоротно. Самурзакань поступила в казну, получить ее оттуда исчезла всякая надежда и **владетели еще более сделались врагами, сваливая друг**

на друга вину такого неблагоприятнаго для них обоих результата. [5, 219].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამურზაყანოზე დადიანის უფლებები სწორედ რუსეთის მთავრობის აშკარა ხელშეწყობით განმტკიცდა: 1813 წ. მანუჩარ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ ლევან დადიანის მიერ საკუთარი დისწულების – სამურზაყანოს მემკვიდრე მფლობელების მიმართ გამოჩენილ სისასტიკის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აშკარა მფარველობით ეკიდებოდნენ სამეგრელოს მთავარს [3, 106-107], თუმცა აფხაზეთის მთავრები, მათ შორის მიხეილ შერვაშიძეც, ბოლომდე იბრძოდნენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. საბოლოოდ, რუსეთის მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა სამურზაყანოს გამო ორ სამთავროს შორის გამწვავებული ურთიერთობა და 1840 წელს იგი დადიანსაც ჩამოართვა და იქ რუსული მმართველობა შემოიღო, დადიანს კი სანაცვლოდ კომპენსაციის სახით 23 ათასი მანეთი გადაუხადა, რამაც მიხეილ შერვაშიძის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ამას მოჰყვა 1847 წ. გუდაუთის, ოჩამჩირისა და კელასურის ნავსადგურების გადაცემა რუსეთის საბაჟო უწყებისათვის და სხვა რამდენიმე ფაქტი, რის შემდეგაც, პროტესტის ნიშნად, მიხეილ შერვაშიძემ სამთავრო უფლებებზე უარის განცხადების შესახებ ოფიციალურად მიმართა მეფისნაცვალ ვორონცოვს. მანამდე მას საუბარი ჰქონია შავი ზღვის სანაპიროს ხაზის გენერალ ბუდბერგთან, რომლისთვისაც განუცხადებია: „Звание владетеля теперь слишком унижено; можно быть владетелем только не при русском правительстве"[3, 134].

იმისათვის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას მიხეილ შერვაშიძის ამ ნაბიჯზე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საარქივო ფონდებში დაცული ოფიციალური მიმოწერის ამსახველი დოკუმენტების შეძლებისდაგვარად სრული სახით წარმოდგენა; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც მიხეილ შერვაშიძის პიროვნული თვისებებიდან, ისე საარქივო მასალებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის მთავარი ასეთ რისკზე გაუაზრებლად არ წასულა: სავარაუდოდ, იმ დროისათვის მისთვის სრულიად ნათელი იყო რუსეთის საბოლოო გეგმები ქართულ სამთავროებთან დაკავშირებით, მაგრამ მან ისიც განჭვრიტა, რომ ამ გეგმის განხორციელების ვადები დამოკიდებული იყო ზოგადად კავკასიის რეგიონში რუსეთის მდგომარეობაზე, რომელიც იმ ეტაპზე საკმაოდ არამყარი იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას კავ-

კასიის უმაღლესი ხელისუფლების „გულწრფელი შეშფოთება“ „მისი უგანათლებულესობის“ გადაწყვეტილების გამო; ამის თვალსაჩინო ნიმუშია ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები (იმის გამო, რომ სტატიის დადგენილი ფორმატი შეზღუდულია, იძულებულნი ვართ, დოკუმენტური მასალა მხოლოდ დედნისეული ენაზე წარმოვადგინოთ, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით):

შერვაშიძის მიერ აფხაზეთის მპყრობელობაზე უარის თქმის შესახებ:

Главнокомандующему Отдельным Кавказским Корпусом Наместнику Кавказскому Господину генерал-адьютанту, генерал-от-инфантерии князю и кавалеру – Воронцову [სცსა, ფ. 4, საქმ. 3633, ფ. 4].

Дело Штаба отдельного Кавказского Корпуса по генеральному штабу 3-го отделения

О желании владетеля Абхазии генерал-лейтенанта князя Шервашидзе отказаться от звания Владетеля

Докладная записка

Владетеля Абхазии генерал-лейтенанта
князя Шервашидзе № 83
10 ноября 1847-го года
местечко Очемчиры

Оставшись по смерти отца моего Сафер-бея совершенно малолетним, я при покровительстве и внимании благодетельнаго правительства, будучи 10-ти лет от роду, утвержден был законным наследником и владетелем Абхазии; и вот уже 30 лет, неся великое бремя управления краем, соединенное с неутомимыми трудами и заботами, которые в настоящее время почти совершенно разстроили мое здоровье и лишили возможности далее управлять владением, что и заставляет меня безпокоить особу Вашего сиятельства почтительнейшею моею прозьбою об увольнении меня от правления Абхазиею, ***а взамен же уступаемого мною в казну владения не оставьте вашим ходатайством об отводе мне в Имеретии тысячи пятисот дворов крестьян, где бы я мог на покое и прилично своему званию провести остаток жизни*** (აქ და ქვემოთ

ხაზგასმა ჩვენია – ლ.მ.). И ежели с всемилостивейшаго внимания ко мне Государя-Императора, в вознаграждение к долговременной службы моей, последует о том решение, то неоставьте распоряжением об устранении с означенных крестьян всех податей и налогов со стороны правительства.

Управляя в настоящее время владением, я получаю от щедраго Всемилостивейшаго Монарха по десяти тысяч пятисот рублей серебром каждогодно содержания, при оставлении же мною владения, как означенныя деньги, так равно и все доходы с владения должны поступать в казну, то представляя это на благоусмотрение Вашего сиятельства, смею надеяться на получение вместе того единовременнаго мне на переезд вознаграждения…“

პასუხად ვორონცოვი პირველ რიგში გამოთქვამს „დიდ მწუხარებას“ და სინანულს მიხეილ შერვაშიძის გადაწყვეტილების მიმართ, შემდეგ კი შეპარვით „უხსნის“ თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მთავრის ამ ნაბიჯს:

„Милостивый государь князь Михаил Георгиевич!

… Дело на которое Вы хотите решиться, так важно, что считаю долгом моим обратить внимание Ваше на все последствия, для Вас невыгодныя, которая должны от этого неминуемо произойти. Не могу я смотреть на подобное отречение владетеля, как на простое увольнение должностнаго лица. Вы желаете отвергнуть права, власть и обязанность, дарованныя или возложенныя на Вас богом, освященныя временем, знаменитостью происхождения, доблестями предков, собственными заслугами и признательностью народа. Вы тяготитесь этими правами и обязанностями, сопряженными конечно с заботами и трудами, **но и с первенством в обществе, с важными преимуществами и выгодами лично для Вас и для семейства Вашего. Подумайте, какое впечатление произведут на подвластное Вам и соседнее с оным население такое отречение от сана, который Вы получили и должны передать по наследству. Подумайте, что потомство Ваше не будет разделять Вашего мнения, не станут обременяться этим высоким званием и что память Ваша будет ненавистна потомкам, которых вы лишите достояния их…**

ამ „გულითადი შეგონების“ შემდეგ კი ვორონცოვი უშუალოდ საქმეზე გადადის და გადადგომის სანაცვლოდ აფხაზეთის მთავარს რაიმე სახის ანაზღაურებაზე უარს უცხადებს:

Прошу Вашу светлость обратить также внимание на положение, в котором Вы сами будете находиться: отдавая Абхазию правительству, Вы требуете вознаграждения за это пожертвование; но Вам известно, что в настоящем состоянии этого края нельзя думать о введении там правильной администрации и гражданственности и что это поведет правительство также к пожертвованиям, а не к приобретению каких-либо доходов. **Для управления этою страною нужно будет избрать в преемники Вам другаго владетеля, в семействе вашем или вне онаго, который бы личным влиянием обуздывал народ, охранял край от внутренних и внешних смятений. Возложив на него эту обязанность, должно будет предоставить ему и все выгоды, доселе Вами извлекаемые ... и Государь Император вероятно не признает нужным предоставлять Вам новыя преимущества, когда Вы сами добровольно отказались от тех, которыми ныне пользуйтесь“** [სცსა, ფ. 4, საქმ. 3633, ფ. 6].

აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით თავის დროზე ს. ჯანაშიამ სავსებით მართებულად შენიშნა: „დიდი დრო არ იყო საჭირო იმისთვის, რომ რუსის მთავრობას დავიწყებოდა აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების არსებობის ყველა ეს საპატიო მოტივი, მჭერმეტყველებით აღწერილი თავ. ვორონცოვის მიერ... მართლაც, პირველად საკითხი აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ მთავარმართებელმა გენ. მურავიოვმა აღძრა 1856 წელს. მისი აზრით, მიხეილი გადაყენებული უნდა ყოფილიყო მმართველობიდან და გაგზავნილი რომელსამე შორეულ გუბერნიაში. საბაბად წარდგენილი იყო მიხეილის „ღალატი“ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს 1853-1856 წწ. ოფიციალური დოკუმენტებიდანაც კი ჩანს, რომ ეს „ღალატი“ შეთხზული ამბავია: პირიქით, ამ ომის დროს მიხეილმა დიდი დახმარება გაუწია რუსის სარდლობას არსებითად, მთავრის ერთგულება-ორგულობას, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამთავროს არსებობის საკითხისათვის. დადიანებმა, თუმცა მათ ყველა ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, არასოდეს არავითარი არალოიალური აქტი რუსეთის მიმართ არ ჩაუდენიათ, თავისი უფლებები ფაქტიურად შერვაშიძეებზე 7 წლით ადრე დაკარგეს “[6, 9-10];

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: ცნობილია, რომ მიხეილ შერვაშიძის, ისევე როგორც სხვა შერვაშიძეთა ოფიციალური თუ არაოფიციალური მიმოწერა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მისივე კანცელარიიდან გამოსული სხვა სახის დოკუმენტაცია მხოლოდ ქართულ ენაზე იწარმოებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამას ადასტურებენ თვით კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები; კერძოდ, მიხეილ შერვაშიძის კარზე მყოფი რუსი გენერლის – კოცებუს განცხადებით „მთავარ შარვაშიძეთა ოჯახში დამწერლობისათვის ქართული ენა გამოიყენება“ [11, 47]. ეს სრულიად კანონზომიერი უნდა ყოფილიყო იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ტრადიცია მიხეილ შერვაშიძის წინამორბედთაგან მოდიოდა; მაგალითისათვის, შერვაშიძეთა სამთავრო სახლის საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური მენტალიტეტის ყველაზე მკაფიო გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს გიორგი (საფარ-ბეი) შერვაშიძის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი, ე. წ. „სათხოვარი პუნქტები“, რომლითაც იგი რუსეთის იმპერიის პროტექტორატში აფხაზეთის შესვლას ითხოვდა. ისტორიოგრაფიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ ამ დოკუმენტის მომზადებისა და წარდგენის პროცედურაში* უდავოდ იყო ჩადებული გარკვეული პოლიტიკური აზრი: ამ დოკუმენტის სწორედაც რომ ქართულ ენაზე გაფორმებით აფხაზეთის მთავარი რუსულ (და არა მარტო) მხარეს მკაფიოდ მიანიშნებდა, თუ რომელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სამყაროს წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავრო XIX ს-ის დამდეგს [10].

როგორც ჩანს, მიხეილ შერვაშიძემ კარგად უწყოდა, დროთა განმავლობაში ვითარების შეცვლასთან ერთად რუსეთის ხელისუფლების ლოიალური განწყობაც რომ შეიცვლებოდა და 1863 წლიდან უკვე განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებს: ამჯერად იგი სამთავრობო ტახტიდან გადადგომის მიზეზად მხოლოდ საკუთარ ავადმყოფობას ასახელებს და დაჟინებით ითხოვს თავისი ვაჟის – გიორგის განთავისუფლებას სამხედრო სამსახურიდან, რათა ამ უკანასკნელს ჩააბაროს აფხაზეთის მმართველობა. იმ დროისათ-

* „სათხოვარი პუნქტების“ ტექსტი თავდაპირველად შეუდგენიათ რუსეთის საგარეო სამინისტროში, შემდეგ იგი ქართულად უთარგმნიათ და როგორც ორიგინალი, გიორგი შარვაშიძის ხელმოწერითა და ბეჭდით, ასევე – სხვა აფხაზ თავადთა ხელმოწერებით დამოწმებული, რუსულ ტექსტთან ერთად წარუდგენიათ რუსეთის ხელისუფლებისათვის [22, 217].

ვის გიორგი შერვაშიძე მეფისნაცვლის ადიუტანტის მოვალეობას ასრულებდა.

ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტები ნათლად მეტყველებენ დროთა განმავლობაში, კავკასიაში რუსეთის პოზიციის გამყარების კვალდაკვალ, როგორ იცვლება იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება მიხეილ შერვაშიძის მიმართ: აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია, შესაბამისად, მოქმედებაშია მოყვანილი ბიუროკრატიული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ამ ფაქტს "კანონიერი და სამართლიანი" ხასიათი უნდა მიეცეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამსახურში მყოფი აგენტები აფხაზეთის მთავრის ყოველ ნაბიჯს მუდმივად აკონტროლებენ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს რუსი ხელისუფალნი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგედ თვლიან და მასთან მიმოწერისას ორმაგ სიფრთხილეს იჩენენ; ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის – კარცოვის კორესპონდენცია, კერძოდ, 1823 წ. 23 აგვისტოს მის მიერ გაგზავნილი ორი წერილი – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკისა და მიხეილ შერვაშიძისადმი. ორივე წერილი შეეხება გიორგი შერვაშიძის აფხაზეთში დაბრუნების საკითხს; რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება აღარ აპირებდა სამთავროს ტახტზე გიორგი შერვაშიძის დამტკიცებას, მაგრამ როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით ამის შესახებ პირდაპირ განცხადებას ერიდება, სავარაუდოდ, აფხაზეთის მოსახლეობაში მიხეილ შერვაშიძის ავტორიტეტის გამო:

(კარცოვის წერილი სვიატოპოლკ-მირსკის 1863 წ. 23 აგვისტო სცსსა, ფ. 5, საქმ. 7506, ფურც. 26).

Милостивый Государь князь Димитрий Иванович

Владетель Абхазии по болезни уехал в Рачу, а для возстановления порядка в Абхазии полагал послать туда своего сына Георгия; для чего он вызвал Георгия из Кубанской области даже не испросив на это предварительнаго разрешения Великаго князя. В письме ко мне Владетель просит исходатайствовать с этой целью отпуск его сыну. Его Высочество приказал мне сообщить свое неудовольствие за это самовольное его распоряжение, сына его удержал при себе и затем полагает, или отправить его обратно в Кубанскую область, или уступить желанию Владетеля. Для решения,

какое дать направление этому делу, Великий князь желает знать Ваше мнение. Его Высочество полагает, что по молодости едва ли князь Георгий может принести пользу в Абхазии...

კარცოვის წერილი მიხეილ შერვაშიძისადმი (1863 წლის 23 აგვისტო, სცსსა, ფ. 5, საქმე 7506, ფ. 24-25)

Милостивый государь, князь Михаил Георгиевич!

Его Императорское Величество, Командующий армией душевно сожалеет, что здоровье Ваше снова разстроилось и что Ваша светлость не имеет возможности прибыть теперь в Абхазию для прекращения возникших там безпорядков, столь вредных и для населения Абхазии и для видов нашего правительства. Великий князь надеется, что состояние здоровья Вашего не замедлит поправиться и что прибытие Ваше в Абхазию положит предел всем волнениям, которые там возникли.

Его высочество очень был удивлен неожиданным отъездом князя Георгия из отряда, куда он был послан лично Его Высочеством – как Адъютант его, он не должен был уезжать, не получив на то приказания. По случаю приезда в здешний край Наследника Цесаревича, ожидаемого в Тифлисе в последних числах нынешняго месяца, Его Высочество удержал князя Георгия при себе, чтобы представить его Государю Наследнику.

როგორც შემდგომი მიმოწერიდან ჩანს, მიხეილ შერვაშიძე შესანიშნავად ერკვევა შექმნილ ვითარებაში და მოთმინებით და ამავე დროს – დაჟინებით ითხოვს თავის ვაჟის აფხაზეთში დაბრუნებას, საამისოდ კი ძირითად არგუმენტად კვლავ შეუძლოდ ყოფნას იმიზეზებს და ევედრება, დააჩქარონ გადაწყვეტილების მიღება:

(მიხეილ შერვაშიძის წერილი კარცოვისადმი, 1863 წ. 8 დეკემბერი, სცსსა, ფ. 5, ს. 7506, ფ. 27-28)

“Милостивый государь Александр Петрович

Письмо Ваше от 23 августа я имел удовольствие получить; и к сожалению здоровье мое не поправляется, а все более разстраивается, иак что выехав из Кутаиса 8-го сентября, едва мог прибыть в Абхазию

16-го октября, проводив все время в постели... Если бы хоть немного силы позволяли мне, то я никак не упустил бы благоприятного случая, лично встретить и представить Его Императорскому Высочеству, наместнику Кавказскому, мой народ во время посещения Его Высочеством нашего края...

Относительно князя Георгия, навлекшаго неудовольствие Великого Князя своим неявлением, я должен передать Вашему Превосходительству, как это было: Находясь в тяжело больном состоянии, я просил письмом г-на Евдокимова, прислать ко мне сына, мое чаяние в выздоровлении вызвало эту крайность. Князь Георгий прибывший ко мне,почти постоянно болел лихорадкою. Вы сами семьянин, следовательно, родительския чувства Вам известны. Выезжая из Кисловодска больным, отправить опять в отряд юношу, своего сына, и там бросить одного, без надзора, было выше сил моих; поэтому, я решился послать его в Тифлис, опираясь единственно на чувства отцовския.

... Если бы не крайняя надобность в нем, как наследнике Владения, то я никогда не решился бы в такия молодыя лета, отвлекать его от Милостивого внимания Его Высочества; я уверен, что если-бы князь Георгий был в Абхазии, то народ мой не остался бы непредставленным Великому Князю, и я не был бы до крайности огорчен. Теперь болезнь моя заставляет почти не разставаться с постелью, при чем я не могу приняться ни за какия дела, а поэтому обращаюсь вновь к Вашему Превосходительству, доложить Его Императорскому Высочеству, наместнику, об увольнении князя Георгия, которому я должен поручить управление Владением, пока еще под надзором и руководством моим, и приучить его быть полезным своему народу и Правительству...

27 октября 1863 года

Местечко Очемчиры".

პასუხი კარცოვისაგან (1863 წ. 10 დეკემბერი, სცსსა, ფ. 5, საქმ. 7506. ფურც. 29-30)

„Милостивый Государь, князь Михаил Георгиевич

... Письмо Вашей Светлости, по важности его содержания, я счел долгом прочитать Его Императорскому Высочеству, Командующему Кавказской армии. Болезненное состояние Ваше

огорчает Великого князя вдвойне – и в отношении Вас лично, и в отношении края, составляющего Ваше владение…

Сына Вашей Светлости, князя Георгия, Великий кннязь приказал теперь-же вызвать из Кубанской области, с тем чтобы потом уволить в отпуск до апреля месяца, для свидания с вами. Что же касается выраженных Вами предположений – поручить ему управление Абхазией, то Его Высочество изволил отозваться, что допущение его к управлению народом превышает права наместника и требует Высочайшаго разрешения и что, сверх того, князь Георгий, по молодости лет своих, по малому знакомству его с теми требованиями, которым должен удовлетворить правитель народа – едва ли может в настоящее время исполнить обязанности эти с пользой для края.

Сообщая Вашей Светлости, по приказанию Великого князя, этот отзыв Его Высочества, прошу Вас верить чувствам глубокаго моего к Вам уважения …

საბოლოოდ, ვითარება იძაბება და მიხეილ შერვაშიძის მიმართ რუსეთის ხელისუფლების ტონი საგრძნობლად გამკაცრებულია, ახლოვდება აფხაზეთის სამთავროს გაუქმების მომენტი, რაზეც მოწმობს მიმოწერა, რომელიც ამჯერად უკვე ხელისუფლების უმაღლესი შტოს წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს: მეფისნაცვლის, დიდი მთავრის – მიხეილ ნიკოლოზის ძისა და დიმიტრი მილიუტინს შორის მიმოწერაში სრულიად აშკარად იკვეთება აგრესიული დამოკიდებულლება აფხაზეთის მთავრისადმი:

მეფისნაცვლის – დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის წერილი მილიუტინს (1863 წელი, სცსსა, ფონდი 5, საქმე 7506, ფურც. 37-40)

„Дмитрий Алексеевич

В апреле месяце прошлаго года я в первый раз принял Владетеля Абхазии в Кутаисе. Уважая его лета, звания и отличия, которыми он удостоен от Г. И. я старался при этом первом свидании сколько возможно более обласкать его и поручил Кутаисскому генерал-губернатору оказать ему все должные почести, снисходительно смотреть на некоторые его слабости и вообще стараться поддерживать с ним самыя дружевкия сношения.

Генерал-лейтенант кн. Святополк-Мирский исполнил мое указание с буквальною точностию и с отличающим его искусством и тактом.

Я надеялся, что Владетель, окончательно успокоенный и моим приемем и дружескими отношениями с новым генерал-губернатором, употребит свою власть для того, чтобы водворить порядок в подвластном ему крае и будет искренно содействовать нашим видам в отношении соседних горских племен. К сожалению, я ошибся в своих предположениях…"

ამას მოსდევს აფხაზეთში მომხდარი ყაჩაღობისა და მკვლელობის შემთხვევების ჩამონათვალი მიხეილ შერვაშიძის პიატიგორსკში ყოფნისას, როდესაც მან სამთავრო თავის ძმას – ალექსანდრეს ჩააბარა, მისმა ფავორიტმა მარღანიამ კი დაარბია გრიგოლ შერვაშიძის მამული: ამის საპასუხოდ კი, მიხეილის მითითებით, დასჯის ნაცვლად მარღანია გრიგოლ შერვაშიძის მაგივრად დაინიშნა ოლქის უფროსის თანამდებობაზე.

"Осенью, при посещении мною Сухума, ни сам Владетель, никто из подвластных его не явился туда, тогда как все почетные жители Цебельды и даже Псхувцы Мне представились там. Сам князь Михаил оправдывался в этом болезненностию своею и просил письмом начальника Главнаго Штаба, исходатайствовать мое разрешение на то, чтобы в помощь ему, в виде соправителя, прислан был сын его – адъютант мой, прапорщик кн. Георгий Шервашидзе."

აქ, ჩვეულებისამებრ, დიდი მთავარი იმიზეზებს, რომ უმაღლესი (ანუ იმპერატორის) ბრძანების გარეშე ამ გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, ამასთანავე, აცხადებს, რომ გიორგი მიხეილის ძე არც ასაკით და არც გამოცდილებით ჯერ კიდევ "არ არის სათანადოდ მომზადებული" იმისათვის, რომ სამთავრო ჩაიბაროს. სინამდვილეში, როგორც ეს მისი შემდგომი "მსჯელობიდან" ჩანს, იგი ნიადაგს ამზადებს აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების გასაუქმებლად და ამის დასაბუთების პარალელურად, რჩევა-დარიგების სახით დ. მილიუტინს სათანადო ინსტრუქციებსაც აძლევს:

"…В конце осени Владетель поселился в Бзыбском округе, в имении своем Соук-Су и вошел в самыя тесныя сношения с убыхами. Старшины их, наиболее нам враждебные, постоянно посещают его и гостят у него месяцами; главный *руководитель их, Гаджи Керендук Берзеков, живет постоянно в его доме.*

Князь Михаил, вопреки недавняго предупреждения со стороны генерал-губернатора, не только дозволяет абхазцам снабжать продовольствием *доведенных нами до голода убыхов, но допускает вымен на кукурузу невольников и даже учредил в пользу убыхов особый налог (по 5-ти кошелок с дыму), который взыскается с жителей с крайнею строгостью.* Командующий войсками в Абхазии доносит, что и теперь еще Владетель старается поддержать между убыхами надежду на Европейскую войну и всячески ободряет их к сопротивлению, что даже предположенный нами сбор войск и флота в Сухуме он выставляет как меру, принимаемую нами для прикрытия отступления из Абхазии.

В настоящее время князь Михаил Шервашидзе обратился к Кутаисскому генерал-губернатору с письмом, в котором под предлогом болезни просит ходатайства об увольнении его от действительной службы (წერილის ასლს ურთავს და განაგრძობს); Ваше Превосходительство, усмотрите всю двусмысленность его содержания: трудно понять, что разумеет Владетель под именем действительной службы, - ибо звание генерал-адъютанта и чин не налагают на него обязанностей, требующих какого-либо напряжения сил; *неискренность князя Шервашидзе в этом случае доказывается еще и тем, что здоровье его находится в весьма хорошем положении. Чтобы иметь время разъяснить эту загадочную просьбу, я приказал дать Владетелю ответ также неопределенный* (აქვე მოჰყავს ამ პასუხის ასლიც).

Вообще Абхазия и по причине личнаго характера и образа действий настоящего ея Владетеля, и по внутреннему своему состоянию, *мне кажется не должна и не может оставаться в настоящем положении.*

В прилагаемой при сем записке изложен вкратце взгляд мой на положение этого края и мнение мое относительно будущего устройства его.

Прошу Ваше Превосходительство повергнуть все это на воззрение Государя Императора и испросить указания Его Величества, дабы при предстоящих решительных действиях в земле Убыхов и в неизбежном затем решении многих вопросов, касающихся устройства всего Черноморского прибрежья, я мог руководствоваться Высочайшею волею по предмету будущаго устройства Абхазии.

Считаю при этом небезполезным для соображений Вашего Превосходительства, приложить копию с докладной записки князя Шервашидзе, представленной им князю Воронцову в 1847 году. Уже в то время князь Михаил, искренне или нет, сознавал свою неспособность управлять Абхазиею, но тогда по обстоятельствам просьба его была отклонена. Я полагаю, что заявление, сделанное им 17 лет тому назад, может быть принято во внимание и в настоящем случае...“

დიდი მთავრის – მიხეილ ნიკოლოზის ძის წერილი დ. მილიუტინს (1864 წ. 27 მარტი, ფონდი 5, საქმე №7506, ფ. 41-47)

“В виду близкаго осуществления Высочайше одобренных предположений о *заселении казачьими станицами Восточнаго берега Чернаго моря от устья Кубани до р. Бзыби, представляется необходимость решить вопрос о будущем положении Владетеля Абхазского: должна ли Абхазия оставаться в настоящем ея положении, т. е. под безотчетным управлением князя Михаила Шервашидзе, или же в ней должно быть введено управление, устроенное на других началах?*

Шестьдесят лет прошло с тех пор, как Абхазия признала верховную власть Российского государя и отец князя Михаила Шервашидзе был наследственным ея Владетелем. Страна эта, тогда еще полудикая, раздираемая междоусобиями различных княжеских фамилий, постоянно подвергавшаяся насилиям турок и хищничества горцев, со времени присоединения к России получила от русскаго правительства внешнюю защиту.

Занятое упорною войною на всем пространстве от Каспийскаго до Чернаго моря правительство Русское не могло в то время отделить достаточных средств *для того, чтобы взять ту страну в полное подчинение, а для водворения в ней внутренняго порядка ограничивалось только поддержкой власти Владетеля (!), в надежде, что власть эта не упустит употребить сообщенную ей силу для блага народа и будет с благодарностию относиться к России, как к источнику своего сущечствования...“*

“...Предоставлены были Владетелю безотчетные суд и расправа во всем крае, Правительство наше осыпало его Щедрыми подарками,

награждало всех, кого он желал, без суда отправляло в ссылку тех, кто казался ему вредным…

Благодаря этой поддержке власть князя Шервашидзе, прежде весьма шаткая и неопределенная, сделалась вполне неограниченною; но, к сожалению, не привела Абхазии к тому, на что вправе было рассчитывать русское правительство…" (ამას მოსდევს ძალზე მკაცრი საყვედურები და თითქმის სალანძღავი სიტყვებიც კი მიხეილ შერვაშიძის მისამართით).

"…Юридически нельзя обвинить князя Шервашидзе ни в одном из тех тяжких преступлений, в которых обвиняет его общее мнение, потому что поступки его, как Владетеля, никогда не подвергались и не могли подвергаться законному расследованию. Во всяком случае, нельзя не обратить внимания на многие очевидные факты его продолжительной деятельности.

Нельзя не спросить, что заставляло его отклонять абхазцев от службы в наших войсках и в собственном конвое Его Величества, почему он запрещал им отдавать детей своих на воспитание в русския учебныя заведения; с каким намерением удалил от берега все христианское население и поселил в прибрежных деревнях исключительно мусульман и преимущественно турок? Не без его же ведома даже близкие родственники его переходят в магометанство: мусульманская пропаганда беспрерывно усиливается во всех частях Абхазии.

Облагая простолюдинов за малые проступки огромными штрафами в пользу своей казны, он оставляет всегда безнаказанными сильных хищников и убийц и далее покровительствует им: от этого-то хищничества, грабежи и убийства делались в Абхазии явлениями постоянными. Народ страдает, но не может ничего делать вопреки власти, *поддерживаемой Русскою силою; от этого-то он ненавидит и своего Властителя и русских и вымещает свою злобу на солдат всякий раз, как представится случай.* (აქ კარგად ჩანს ცბიერი მცდელობა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებებში აფხაზთა მონაწილეობის ნამდვილი მიზეზები და მიზნები მიჩქმალოს და ამ ყველაფერს თავისთვის სასურველი ახსნა მისცეს; ასეთივე პოზიციაა დაფიქსირებული ნ. დიაჩკოვ-ტარასოვის ზემოთმოყვანილ ნაშრომშიც, 4, 176-178; 185-186).

При таком положении края выгодно-ли *для России и согласно ли с чувством справедливости и человеколюбия, оставлять его под*

властию теперь им управляемою? В отношении политическом это было бы положительно вредно. Оставаясь в настоящем положении, Абхазия всегда будет представлять готовый плацдарм и готовое основание для действия неприятеля против Закавказскаго края со стороны моря... С окончанием войны против горцев она будет составлять единственный угол, в котором необходимо двигаться колоннами... против которого нужен будет вооруженный кордон; она *будет составлять клин, которым казачье прибрежное население наше будет отрезано от вернаго и преданнаго нам христианскаго населения Мингрелии.*

Уничтожение такой власти, которая, умышленно или неумышленно, сделала столько зла... составляет обязанность нашего правительства...

Если изложенные причины будут признаны достаточными, чтобы решить Абхазский вопрос в пользу Росси и абхазскаго народа, т. е. уничтожить безотчетную власть Влдадетеля, то представится необходимость обсудить, каким образом и когда это исполнить: постепенно ли ограничивать власть Владетеля учреждением при нем административнаго совета, или сразу заставить его отказаться от власти.

Первый способ действий, как и всякая полумера, едва-ли приведет к добрым результатам. Владетель никогда не уживется ни с каким учреждением, его ограничивающим. Начнется борьба, Абхазия будет страдать более, чем когда-либо, а дело кончится тем, с чего можно начать его, т. е. уничтожением Владетельских прав. (აქ მაგალითად მოჰყავს 1859 წ. სახანოებში შემოღებული ორმაგი ხელისუფლებიანობა, თუმცა იქვე დასძენს, რომ საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით ჩრდილო კავკასიური სახანოები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ სხვა სახელმწიფოსაგან რუსეთის წინააღმდეგ დახმარების ძიების მხრივ, აფხაზეთის შემთხვევაში კი ამგვარი საფრთხე თურქეთის სახით არის წარმოდგენილი). ამიტომაც დიდი მთავარი უკვე დაუფარავად აცხადებს თავის პოზიციას: საგულისხმოა, რომ იგი გამოთქვამს შეშფოთებას მიხეილ შერვაშიძის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვების თაობაზე, რასაც კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევს შემდეგი მოტივაციით:

„Если не кончить с ним (საუბარია მიხეილ შერვაშიძეზე–ლ.მ.) одним *решительным ударом, он не уступит без борьбы; он способен даже искать покровительства враждебных нам иностранных*

держав, и хотя не имеет на это никакого права, но при настоящих политических отношениях наших к Европе, западным державам нужно не право, а только предлог и благоприятные обстоятельства.

Если подобный поступок со стороны Владетеля и не вызовет вмешательства Правительств, то во всяком случае, он возбудит газетные толки, а через них – и общественное мнение Западной Европы. Можно безошибочно сказать, что Владетель просит теперь сложить с него почетное звание генерал-адъютанта единственно с той целью, чтобы не стесняться заграницею в своих словах и действиях против России.

По всем изложенным причинам, всякие переходные меры для преобразования управления Абхазии в настоящее время должны считаться вредными и вопрос этот всего выгоднее решить тотчас-же по окончательном покорении горцев и очищении Восточного прибрежья.

Главными основаниями при решении принять следующее:

1) Владетеля и наследника его **склонить отказаться от права владения.**

2) Назначить Владетелю и наследникам его содержание их обезпечивающее.

3) Из Абхазии образовать военный округ, который вместе с Цебельдой подчинить особому Военному Начальнику на правах Начальника отделов в областях, с подчинением Кутаисскому генерал-губернатору.

4) Если количество свободных земель дозволит, то водворить вдоль берега до устья Ингура казачьи поселения, которыя вместе с поселениями по р. Бзыби, могли бы составить Абхазское казачье войско под управлением начальника Абхазскаго Военного отдела.

Границею между Кубанским и Абхазским войском назначить хребет, замыкающий Гагринскую теснину и отделяющий теперь Абхазию от земли Джигетов".

დ. მილიუტინი – კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს

(1864 წ. 20 მაისი, სცსსა, ფ. 5, საქმე № 7506, ფურც. 47-49)

„Ваше Императорское Высочество!

Государь Император. по всеподданнейшему докладу почтеннейшаго отзыва Вашего от 27-го марта №3, о положении дел в Абхазии и образе действий генерал-адъютанта кн. Шервашидзе, изволил призвать, согласно с мнением и Вашего Высочества, что страна эта не может далее оставаться в настоящем положении, *что наступило время ввести в ней правильную Русскую администрацию, освободив от управления князя Михаила Шервашидзе с его потомством.*

Как заявленное им самим, в письме к генерал-лейтенанту князю Мирскому, желание удалиться от дел, так и последующия его личные обяснения с Вашим Императорским Высочеством, при проезде Вашем чрез Сухум, доставляют прямой повод к приведению ныне же в исполнение означенной меры. *Государь Император предоставляет Вашему Высочеству, объявить князю Михаилу Шервашидзе о Высочайшем соизволении на увольнение его, с потомством, от управления навсегда Абхазией, с оставлением его в звании генерал-адъютанта и с предоставлением ему, выбрать свое местопребывание в Петербурге или Москве. Абхазия должна на вечныя времена поступить в непосредственное управление пост(уп)ленных от нашего Правительства властей;*

Что касается до устройства положении самого князя Михаила Шервашидзе, его сына и других членов этой фамилии, то по Высочайшему повелению, статс-секретарь Бутков будет иметь честь сообщить Вашему Императорскому Высочеству особую записку, которая может быть не лишнею для соображения Вашего и для ближайшаго обсуждения вопроса об обезпечении вознаграждений князей Шервашидзе за оставленныя ими владения. Государь Император изволит ожидать представления Вашего Высочества, как по этому предмету, так и относительно устройства в Абхазии новаго управления".

პოლკოვნიკ კარცოვის წერილი მიხეილ შერვაშიძისადმი, 1864 წ. 24 მაისი (სცსსა, ფ. 5, ს. 7506, ფურც. 69)

საუბარია მიხეილ შერვაშიძის თხოვნაზე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიმართ, რათა ავადმყოფობის გამო გაეთავისუფლებინათ მოქმედი სამსახურიდან და ჩამოერთმიათ სამხედრო

წოდება (გენერალ-ადიუტანტის ჩინი) და ამის შესახებ მოეხსენებინათ ხელმწიფე იმპერატორისათვის:

„Получив в настоящее время курьером в ответ на представление положительныя Высочайшия повеления особой важности, Его Императорское Высочество не считает возможным, объявить их Вашей Светлости чрез посредство какого бы ни было лица и потому просит Вас прибыть в Кутаис к 3-му числу настоящего Июня с тем, чтобы лично сообщить Вам Высочайшую волю".

აქვე დასძენს, რომ თქვენივე კეთილდღეობისათვის მის უმაღლესობას მოზანშეწონილად მიაჩნია, რომ გადაუდებლად შეასრულოთ ეს მითითება და სასწრაფოდ გამოემგზავროთო, ხოლო მგზავრობის შესამსუბუქებლად რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე „იზრუნეს" – 28 მაისიდან აფხაზეთის მთავრისათვის საგანგებოდ იყო გამოყოფილი გემები სოხუმსა და ფოთში, ხოლო ეკიპაჟი – ორპირში.

მიხეილ შერვაშიძის პასუხი კარცოვის ზემოთაღნიშნულ წერილზე

(1864 წ. მაისი [რიცხვი დაზიანებულია], ტყვარჩელი. სცსსა,ფ. 5, ს. 7506, ფურც. 70)

აფხაზეთის მთავარი კვლავ თავის ავადმყოფობას იმიზეზებს, წერს რომ ამჟამად იმყოფება ტყვარჩელში, სამკურნალო წყლებზე, რომ გამოცდილი ექიმებიც კი მის დაავადებას ვერაფერს შველიან და ა. შ. :

„Что же касается желания моего об увольнении от действительной службы, то я просил по разстройству здоровья, чтобы сын мой – князь Георгий был мне помощником в управление, а я по слабости своей имел бы больше свободы от занятий, во всяком случае, я считаю при разстроенном здоровье, присутствие его постоянно необходимым при мне..."

აქ აღნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ მოწვეული ჰყავს გამოცდილი ექიმი და თუკი ეს უკანასკნელი უახლოეს დროში არ ჩამოვა და ავადმყოფობის სიმძიმეს ოდნავ მაინც არ შეუმსუბუქებს, ასეთ შემთხვევაში იგი გადაადგილებას ვეღარ შეძლებს; ამასთან დაკავშირებით მთავარი ითხოვს საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის ნებართვას:

„Так как мне разрешена была поездка заграницу в 1861 году, которою я, по обстоятельствам, не воспользовался до сего времени;

поэтому прошу Ваше Превосходительство выслать мне заграничный паспорт на один год в Германию и Францию. *Паспорт этот будет у меня под рукою на тот случай, если приглашенный мною медик или не прибудет ко мне, или найдет более полезным для меня поездку заграницу. При этом я нахожу необходимым, чтобы сын мой кн. Георгий на всякий неожиданный случай сопутствовал мне, и потому прошу исходатайствовать отпуск князю Георгию и выслать для него заграничный паспорт, так как присмотр его за мною и имуществом считаю необходимым.* Присовокупляю, что относительно личной пользы моей и семейства, я поручил себя и малолетних детей моих благосклонному вниманию Его Высочества и вполне полагаюсь на милости Государя Императора и Его Августейшего брата – наместеика Кавказскаго…"

აფხაზეთის მთავრის თხოვნა თავის ვაჟიშვილის თანხლებით საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის თაობაზე რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წრეებში განსაკუთრებული შეშფოთების საგანი გახლდათ, რაზეც მოწმობს ზემოთ მოყვანილი დიდი მთავრის წერილი დ. მილიუტინისადმი (იხ. აქვე, სცსსა, ფ.5, ს. №7506, ფ. 41-47). როგორც ჩანს, საიმპერატორო კარი გარკვეულწილად მაინც უფრთხილდებოდა საკუთარ ავტორიტეტს ევროპის ქვეყნებში და კარგად ესმოდა, რომ აფხაზეთის სამთავროსთან მიმართებაში მის მიერ გატარებული პოლიტიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა აშკარა ანექსია.

დაბოლოს, ამ მართლაც ხანგრძლივი დაპირისპირების დასასრულად უნდა ჩაითვალოს დიდი მთავრის ქვემოთ მოყვანილი რესკრიპტი, სადაც იგი ამჯერად უკვე სრულიად ღიად აფიქსირებს თავის პოზიციას:

Рескрипт

Военному министру от Его Высочества
№531, 5 апреля 1865 года

Бывший владетель Абхазии князь Михаил Шервашидзе обратился ко мне с письмом, в котором он усиливался доказать свою невинность. В то же время мне стало известным, что он и теперь не покидает еще надежд и замыслов своих относительно Абхазии и получает из здешняго края письма, поддерживающие его надежды.

Желая раз навсегда положить конец его домогательствам, я приказал начальнику Главнаго штаба отвечать ему самым положительным образом, что ввиду последних его поступков он не должен вовсе рассчитывать ни на какое ходатайство с моей стороны...“

როგორც ცნობილია, 1864 წლის ნოემბერში მოხუცებული და ავადმყოფი მიხეილ შერვაშიძე სამხედრო გემით გადაყვანილ იქნა რუსეთში; 1866 წელს იგი გარდაიცვალა ვორონეჟში, საიდანაც ჩამოასვენეს და დაკრძალეს მოქვის ტაძარში.

რუსული მმართველობის დამყარებას აფხაზეთში უმსხვერპლოდ მაინც არ ჩაუვლია: მიხეილის ძალადობრივი გადაყენებიდან ერთნახევარი წლის შემდეგ (1866 წლის ივლისში) აფხაზეთში დაიწყო აჯანყება, რომელიც ბიჭვინთიდან მთელ ბზიფის ოლქში გავრცელდა; სოციალური მოთხოვნების გარდა აჯანყებულებმა წამოაყენეს საკითხი აფხაზეთში მთავრის ხელისუფლების აღდგენისა და გიორგი შერვაშიძის დამტკიცების შესახებ. მალე ეს უკანასკნელი მთავრადაც გამოაცხადეს და ერთგულება შეჰფიცეს. თუმცა მოკლე ხანში ამბოხება ჩაახშვეს, მოსახლეობა განაიარაღეს, აჯანყების მეთაურები ხალხის თვალწინ დახვრიტეს, გიორგი შერვაშიძე კი რუსეთში გადაასახლეს [6, 15-16].

გიორგი შერვაშიძე, როგორც უაღრესად დიდი ღირსების მქონე, მეტად განათლებული და სულით ხორცამდე პატრიოტი პიროვნება, სამომავლოდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ამჯერად კი მის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად მისივე თანამედროვის – ნიკო თავდგირიძის გამოსათხოვარი სიტყვიდან ამონარიდს მოვიყვანთ:

„გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ შენ ერთადერთი გამონაკლისი, მაგალითი იყავი მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარე, მცირეოდენადაც არ დაიმცირე ღირსება შენი ერის მჩაგვრელ, შენს ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა შენი დროის და შენი წრის ოჯახობა დიდ ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც შენ ზიზღით უარ-ჰყოფდი. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლი და ტანჯვა-წვალებით მიისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრნი სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ, შენ კი ყმაწვილობიდან გეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან მომდინა-

რეობდა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის უმრავლესობის შეგნებაში ხელმწიფის ყურადღება-წყალობა რაღაც მუდმივ სანატრელ საგანს შეადგენდა, შენთვის კი.. ეს ბედი ადვილი მისაწვდომი იყო, მაგრამ შენ იმ დროს ჩვენი ხალხისათვის გაუგებარი, დღეს კი ყველასათვის ცხადი მიზეზის გამო მედიდურად და ამპარტავნად უარსჰყოფდი ყველა იმ სიკეთეს, რომლის მოპოვებისათვის სხვები მსხვერპლად სწირავდნენ თავიანთ ადამიანურ ღირსებას..." [7, №10-11].

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი სრულიად გარკვევით მიიჩნევდა თავს საერთო-ქართული ქარისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს განუყოფელ ნაწილად, არის ის, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარიც და მისი ვაჟიც – გიორგი შარვაშიძე მოქვის ტაძარში არიან დაკრძალულნი და მათ საფლავებზე ეპიტაფია ქართული ასომთავრულით არის ამოკვეთილი. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ.) შემდგომაც შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ისინი ქართველი თავადები იყვნენ [10].

ამრიგად, 1810 წ. 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა აფხაზეთი ოფიციალურად მიიღო რუსეთის "მფარველობაში", 1864 წ. კი აფხაზეთის სამთავრო საბოლოოდ იქნა გაუქმებული და იქ რუსული მმართველობა დამყარდა. XIX ს. მეორე ნახევრიდან აფხაზეთი რუსული კოლონიზაციის ობიექტად იქცა. ამ დროიდან მოყოლებული, რუსეთის იმპერია აფხაზეთში მიზანმიმართულად ნერგავდა და ატარებდა სეპარატისტულ პოლიტიკას, რომლის შედეგებიც თვალსაჩინოდ არის ასახული საქართველოს უახლეს ისტორიაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან – აფხაზეთი, თბილისი, 2007.
2. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1957.
3. С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. 1, Тифлис, 1907.
4. Дьячков-Тарасов, Абхазия и Сухум в XIX столетии, Тифлис, 1910.

5. К. А. Бороздин, Закавказския воспоминания: Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 гг.
6. ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, შრომები, VI, თბილისი„ 1988.
7. ჟურნალში თეატრი და ცხოვრება, 1918, №10-11.
8. ამონარიდი ფრედერიკ დიუბუას „მოგზაურობის...“ I ტომიდან (ქართული თარგმანი, გამოუქვეყნებელია).
9. Пайчадзе Г., Абхазия в составе Российской империи 1810-1917 гг., Разыскания по истории Абхазии, Тбилиси, 1999.
10. ზ. პაპასქირი, შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური იერსახის შესახებ, „სპეკალი“, №1, (თსუ სამეცნიერო-ელექტრონული ჟურნალი).
11. შ. ჩხეტია, აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1855 წწ.), საისტორიო მოამბე, №15-16, 1963.

Lela Mikiashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior-scientist researcher of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Materials for the Personal and Socio-political Portrait of Michael Shervashidze – the Last Ruler of Abkhazia

Summary

Michael Shervashidze (1823-1864), the last ruler of Abkhazia, left a sagnificant mark on the history of this region.

Political developments in Abkhazia during his long reign are properly reviewed in the scientific literature; however, the sources to describe him as a person and a manager, are not thoroughly studied yet.

The proposed article presents archival documents and excerpts from the works of contemporary authors, which make possible to fully represent personal dignity and negative traits of Michael Shervashidze.

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

გამოჩენილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ გურიელი

გამოჩენილი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი გრიგოლ გურიელი დაიბადა 1812 წელს ოზურგეთში, გურიის მთავართა ოჯახში. 1818 წლამდე, ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, ქობულეთის მაზრის კინტრიშის ხეობაში იზრდებოდა ახლო ნათესავ ჯაშის ოჯახში: „აქ იზრდებოდა ეს ძვირფასი კაცი"-წერდა გაზეთი „ივერია" და ამიტომაც გამოყვა მას ამ მხარის და მისი მოსახლეობის დიდი სიყვარული [1, 3].

1818 წლიდან, რუსეთთან გურიის შეერთების შემდეგ, ჭაბუკი გრიგოლი ოზურგეთში დააბრუნეს, ოჯახში შეისწავლა წერა-კითხვა და რუსეთის არმიის სამსახურში შევიდა. 60-იან წლებში პოლკოვნიკი გრიგოლ გურიელი გურიის მილიციის უფროსი, რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო, ე. წ. საკორდონო ჯარების უფროსია. ამ თანამდებობაზე იყო, როდესაც 1874 წელს იგი ზემო აჭარაში თავის ნათესავ და მეგობარ შერიფ ხიმშიაშვილთან სპეციალური დავალებით გაიგზავნა. მის ამალაში სამოქალაქო ფორმით იყო რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი, რომელსაც გეოგრაფიული და სხვადასხვა სახის სამხედრო მნიშვნელობის სადაზვერვო ცნობები უნდა შეეკრიბა სამხრეთ საქართველოზე.

ცნობილია, რომ მოგზაურობა წარმატებით დამთავრდა 1874 წლის 24 ივლისს. გიორგი ყაზბეგი რუსეთის სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ დავალების წარმატებით შესრულება მან შეძლო პოლკოვნიკ გრიგოლ გურიელისა და ბათუმში მყოფ რუსეთის კონსულის ჯიუდიჩის დახმარებით: „თავადი გრ. გურიელი მეტად ცნობილია გურიის მოსაზღვრე მთელ მხარეში და შეიძლება ითქვას, ამ პოპულარობის შედეგად ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ. მისმა ნათესაურმა კავშირმა აჭარის, ლივანისა და შავშეთის გავლენიან ბეგებთან, ისე როგორც ოფიცრის პირადმა, მაღალმა თვისებებმა ჩემთვის ხელმისაწვდომი გახადა ისეთი ცნობები, რო-

მელთა მისი დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო ასეთი წარმატებით შეგვესრულებინა ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა“ [2, 45].

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნების საკითხის მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. თვით ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისა და დამსახურებისათვის გრიგოლ გურიელმა ორი ორდენი დაიმსახურა. ომის შემდეგ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ბათუმის ოლქი. იგი იყოფოდა აჭარის, ართვინისა და ბათუმის ოკრუგებად. ბათუმის ოკრუგის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი გრიგოლ გურიელი, რომელიც მალე გენერალ-მაიორის ჩინში აამაღლეს. იგი ჩვეული პატიოსნებით, გამოცდილებით და მოსახლეობისადმი კეთილი განწყობით შეუდგა საპატიო და პასუხსაგები მოვალეობის შესრულებას, ეს მაშინ, როცა მხარეში მეტად რთული და დაძაბული ვითარება სუფევდა. საბრძოლო ოპერაციებისა და მოუსავლიანობის შედეგად ქვეყანაში იყო შიმშილობა.

ეს ის დროა, როდესაც ასევე მთელი სისრულით მძვინვარებდა მუჰაჯირობა. ბათუმის ოლქიდან მიედინებოდა თურქეთისაკენ მოსახლეობა. გრიგოლ გურიელი წინ აღუდგა ქართველებისათვის ამ დამღუპველ მოქმედებას. მუჰაჯირობის მასშტაბების გაზრდით ერთნაირად იყო დაინტერესებული როგორც რუსეთის, ასევე ოსმალეთის ხელისუფლება. გრ. გურიელი თავად დადიოდა ბათუმის ოლქის სოფლებში და მოსახლეობას თხოვდა, რომ არ მოესმინათ მატყუარებისათვის და არ მიეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი. 1879 წლის 18 მარტს იგი სოფელ ფერიაში შეხვდა მოსახლეობას, სადაც მან ხალხს აუხსნა თუ რა საშიშროებასთან იყო დაკავშირებული თავიანთი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში წასვლა. აქვე ის სასტიკად დაუპირისპირდა თურქ ემისარს ვინმე მახმუდ ოღლის, რომელიც ხალხს ეუბნებოდა, რომ „სამოთხეში“ მოხვდებოდნენ თუ თურქეთში წავიდოდნენ. გრიგოლ გურიელმა ამ მახმუდ ოღლის მატყუარა და პროვოკატორი უწოდა და ხალხს უთხრა, რომ ყური არ დაეგდო ამ ნაძირალასათვის. ასეთი შეხვედრები და დაპირისპირებები გრიგოლს ბევრი ჰქონდა. ამის გამო იგი ხშირად ხდებოდა კრიტიკის ობიექტი თვით რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც კი. ასე მაგალითად, 1879 წლის 27 ოქტომბერს, მას შეხვდა ბათუმის ოლქის პირველი გენერალ-გუბერნატორი კომაროვი და თხოვა, რომ მას (გრიგოლ გურიელს) მთელი ყურადღება დაეთმო ბათუმის ოკრუგის მოწესრიგებისათვის, ომისაგან დაზარალებული მხარის ახლებურად მოწყობისათვის, ხოლო რაც შეეხება მუ-

ჰავჯირობას, ეს ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი იყო და ამაში არ შეიძლებოდა მათთვის ხელის შეშლა. გრიგოლ გურიელი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და აღნიშნა: „რომ რუსეთის ხელისუფლებამ ხელი კი არ უნდა შეუწყოს, არამედ შეაჩეროს ეს საშინელი მოქმედებაო“. გრიგოლი ხვდებოდა, რომ რუსეთი ყოველმხრივ ხელს უწყობდა მუჰაჯირობის გაზრდას. მისი აზრით, ამას რუსეთი იმიტომ აკეთებდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიას დაპატრონებოდა და იქ ჩამოესახლებინა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ხალხი. ამას იგი ხმამაღლა ამბობდა.

მისი დახმარებით ასობით ოჯახი გადაურჩა გადასახლებას. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ოსმალეთში წასასვლელად ბათუმში თავმოყრილ რამდენიმე ჯგუფს გურიელმა სათანადო დახმარება აღმოუჩინა, ტრანსპორტით უზრუნველყო და მშობლიურ კერას დაუბრუნა [3].

რუსეთის ხელისუფლებისათვის გრიგოლ გურიელი მიუღებელი პიროვნება იყო, მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში, რომ შოვინისტები ვერ ბედავდნენ მის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებას.

მთელი ქართველი ინტელიგენცია დაირაზმა, რათა აჭარის მოსახლეობას დახმარებოდა. განსაკუთრებით დიდი იყო ამ საქმეში გრიგოლ გურიელის როლი. გაზეთ „გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტის, კაპიტან ა. ფრენკელის გადმოცემით: „ოკრუგის უფროსის საცხოვრებელი სახლი მუდამ სავსე იყო აჭარის სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული პირებით. ყოველი მათგანი სათანადო დახმარებას ან რჩევა-დარიგებას ღებულობდა მისგან. ერთი სიტყვით, თავადი გურიელიდან არავინ გამოვიდოდა მატერიალური ან მორალური დახმარების გარეშე. ხალხი მას შეჰყურებდა როგორც მამას, მისი სჯეროდათ და სწამდათ. ამ პოპულარული და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისათვის საყვარელი ადამიანის დამსახურება დიდია ხალხისათვის მდგომარეობის შემსუბუქების საქმეში“ [4, 36].

ამიტომ იყო, რომ გურიელმა მთელი ქართველი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. იგი მას პატიოსანს და ერის გულშემატკივარს უწოდებდა.

ბათუმის ოკრუგის უფროსად გრიგოლ გურიელი დარჩა 1880 წლის 13 აპრილამდე. მადლიერმა ხალხმა მას გამოსამშვიდობებელი სადილი გაუმართა. სიტყვებსა და სადღეგრძელოებში მას ქება-

დიდებას ასხამდნენ აჭარის მოსახლეობისადმი ესოდენ დიდი ამაგისათვის.

გრიგოლ გურიელის ბათუმიდან წასვლასთან დაკავშირებით გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი კარიჭაშვილი — „კრაზანას“ ფსევდონიმით ცნობილი – წერდა: „გრიგოლ გურიელი ბევრს შრომობდა ჩვენი მხარის ხალხისათვის და დიდი დანაკლისია მისი აქედან წასვლა. მაგრამ მეტი აღარ მოითხოვება მისგან. დროა, რომ მისი ხანგრძლივი შრომა, ახლა, ამ მოხუცებულობაში დასვენებით დააგვირგვინოს. როდესაც გრიგოლი ბათუმიდან მიდიოდა, თან მისტიროდნენ მაჰმადიანი ქართველები“ [5, 2].

მხარეზე შეყვარებული გურიელი წამოსვლის შემდეგ უყურადღებოდ არ ტოვებდა მას: „ქართველები არიან, ცოდონი არიან, რომ ასე უპატრონოდ გვყავს მიტოვებული“ – წერდა იგი. გურიელი მოითხოვდა, რომ მათთვის გაეხსნათ სკოლები და სწავლა-განათლება შეეტანათ მხარეში.

გრიგოლ გურიელი გარდაიცვალა 1893 წელს ოზურგეთში, მისი ნეშტი წმინდა მარიამის ეკლესიას მიაბარეს.

ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს: „1879 წელს გრიგოლ გურიელმა ერთ დღეს დამშეულთ ათი ათასი მანეთი თავისი ფული დაურიგა და მასთან რამდენი კიდევ სხვა ასეთები უქმნია ამ ძვირფას კაცს, ამას თვლა არა აქვს. დიდი შესანიშნავი კაცი იყო ეს გრიგოლ გურიელი, მეტად თავგამოდებული მოსარჩლე ქართველ მაჰმადიანთა ღარიბ-ღატაკ ხალხისა“ [6,15].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „ივერია“, № 16, 1880.
2. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1997.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 457, აღწ. 1, საქ. 231.
4. А. Френкель, Очерк Батуми и Чурук-су, Батуми, 1885.
5. გაზეთი „დროება“, №39, 1881.
6. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთა საქართველოში, ბათუმი, 1911.

Otar Gogolishvili

Doctor of Historical Science, Shota Rustaveli Batumi State University, Full Professor

Grigol Gurieli – the Famous Person and Public Figure

Summary

Grigol Gurieli, a well-known person in the Georgian history, took a very active part in a Russian-Turkey war of 1877-1878. After the was Grigol Gurieli was appointed as a governor of the District of Batumi. He played a great part in the movement ageist the deportation of the local Muslim population in Turkey. Grigol Gurieli' s activity resulted in the fact that a lot of people were not deported in Turkey. As a result, the local population expressed a great respect to Grigol Gurieli. When he resided on 13 April, 1880, the local population organized a very warm farewell.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

უცნობი სტალინი

(დაკვირვებანი მის წარმომავლობაზე, გარეგნობასა და პიროვნულ ხასიათზე)

სამოცი წლის წინათ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა ამ უზარმაზარი ქვეყნის უზენაესი მესვეური, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი (1879-1953).

გორელი მეწაღის – ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილისა (1854-1909) და მრეცხავ ეკატერინე გიორგის ასულ გელაძის (1860-1937) ქოხში დაბადებულმა და აღზრდილმა ვაჟმა – იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილმა – უდიდესი ცხოვრებისეული გზა გაიარა და უამრავი დაბრკოლება გადალახა, სანამ მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილს – ბელადად, ხოლო დანარჩენ ნაწილს – უძლიერესი სახელმწიფოს უაღრესად ანგარიშგასაწევ ლიდერად მოევლინებოდა.

მსგავსი მასშტაბის სხვა მოღვაწეთა მსგავსად, იოსებ სტალინიც ფრიად რთული პიროვნება გახლდათ. და მაინც, როგორც არ უნდა შეაფასონ მისი მოღვაწეობა, მას თავისი კუთვნილი ადგილი უკავია XX საუკუნის 20-50-იანი წლების მსოფლიო ისტორიაში.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ ჩვენს თვალსაზრისს იოსებ სტალინის წარმომავლობის, გარეგნობისა და პიროვნული ხასიათის ზოგიერთ თავისებურებასთან დაკავშირებით [27, 12-19].

* * *

ვერსია, რომლის თანახმადაც იოსებ ჯუღაშვილი არ იყო თავისი ოფიციალური მამის, ბესარიონ ჯუღაშვილის გენეტიკური შთამომავალი, ჯერ კიდევ XX საუკუნის ოციან წლებში ფართოდ

გავრცელდა. ამ ვერსიის თანახმად, იოსებ სტალინის ბიოლოგიური მამა იყო გორელი იაკობ გიორგის ძე ეგნატაშვილი.

საინტერესოა, რა საფუძველი გააჩნდა ამ ვერსიას და რა კავშირი ჰქონდა იაკობ ეგნატაშვილს ჯუღაშვილების ოჯახთან? ან საერთოდ, ვინ იყვნენ ეგნატაშვილები?

ეგნატაშვილები – შიდა ქართლელი აზნაურები იყვნენ.

1696 წლით დათარიღებული ერთ-ერთი საბუთის დამწერად და მოწმედ იხსენიება აზნაური იესე ეგნატაშვილი. 1715 წლით დათარიღებულ რუისის სამწყსოს დავთარში იხსენიებიან სოფელ დირბში მცხოვრები აზნაურები: იასე (მღვდელი), დემეტრე და ზაზა ეგნატაშვილები. უფრო მოგვიანებით გაცემულ თამასუქში გოგა ეგნატაშვილი იხსენიება ბაგრატიონთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოების, შიდა ქართლში მცხოვრებ თავად დავითიშვილთა აზნაურად. სხვა საბუთებში იხსენიებიან თავად ციციშვილთა ყმაგლეხი ეგნატაშვილები [6, 115].

ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ (1675-1737) აზნაური ბერი ეგნატაშვილი სათავეში ჩაუყენა სწავლულ კაცთა კომისიას, რომელსაც დაევალა გადაემუშავებინა „ქართლის ცხოვრება“ და დაეწერა ამ თხზულების გაგრძელება.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის აშიაზე გაკეთებული ორი მინაწერი მოწმობს, რომ ამ თხზულების ერთ-ერთი ავტორი – ბერი ეგნატაშვილი იყო. მისი ავტორობის კვალი აღნიშნული თხზულების ტექსტიდანაც ჩანს [1, 539].

1724 წლის ივლისში, როდესაც საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარების გამო, მეფე ვახტანგ VI იძულებული გახდა, რომ თავისი ცოლ-შვილისა და სამეფო ამალის თანხლებით, რუსეთში გადახვეწილიყო, ამ მრავალრიცხოვანი ამალის შემადგენლობაში აზნაური ეგნატაშვილებიც ერივნენ.

ქართლის მეფის გარდაცვალების (1737) შემდეგ, მისი ამალის წევრებს მალოროსიაში (ამჟამად – უკრაინა) ყმა-მამული დაურიგეს. 1739 წლის ოქტომბერში აზნაურ გიორგი ეგნატაშვილს გადასცეს დაბა ახალ სანჟაროვოში მდებარე მამული 10 კომლი ყმა-გლეხითურთ [19, 49].

XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც ვახტანგ VI-ის შთამომავლებმა ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება სცადეს, მათ მიემხრო ქართლელ ფეოდალთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა შორისაც ეგნატაშვილებიც იყვნენ. მათ შორის გამოირჩეოდნენ ზემოხსენებული ბერი ეგნატაშვილი (რომელიც 60-იან წლე-

ბის დასაწყისში გარდაიცვალა) [1, 539] და მისი ნათესავი სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილი.

ვახტანგ VI-ის სამეფო ამალის წევრის შთამომავალი – აზნაური სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილი – რუსეთში ცხოვრობდა და იგნატიევად იწერებოდა. იგი იყო მოსკოვსა და პეტერბურგში არსებული ქართული კოლონიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მწიგნობარი და მთარგმნელი. თარჯიმნის რანგში მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური მისიების საქმიანობაში. 1773 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა მის მიერ ქართულიდან რუსულად თარგმნილი „ბარამგულანდამიანი.“ეს არის თავისუფალი თარგმანი, რომელშიც ტექსტი გავრცობილია ლიტერატურული და ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალით. მანვე თარგმნა იმპერატრიცა ეკატერინე II-ისადმი მიძღვნილი სტილიზებული ხალხური ლექსი „ბრმა მემუსიკის სიმღერა“ და შეადგინა ქართულ-რუსული ლექსიკონი [4, 539-540].

გარდა ზემოთქმულისა, სიმონ იგნატიევი იყო რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელი, ასესორის წოდებით, რომელიც ქართულენოვან საბუთებს რუსულ ენაზე თარგმნიდა [22, 147].

1779 წელს სანკტ-პეტერბურგში, რუსულ ენაზე გამოიცა ალექსანდრე ამილახვრის წიგნი „გეორგიანული ისტორია“ [28], რომელიც ქართულიდან თარგმნა ზემოხსენებულმა სიმონ იგნატიევმა. ამ წიგნში დაგმობილია მეფე ერეკლე II, რომელიც მიჩნეულია ქართლის სამეფო ტახტის მიმტაცებლად (უზურპატორად).

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ერეკლე II-მ საქართველოში დარჩენილი ეგნატაშვილები დასაჯა და აზნაურობა ჩამოართვა. სწორედ ამიტომაც, ეს გვარი არ გვხვდება არც რუსეთის იმპერიას და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ მფარველობით ტრაქტატს (1783 წელი) დართულ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხაში [3, 57-64] და არც უფლისწულ იოანე ბაგრატიონის (1768-1830) ისტორიულ-გენეალოგიურ ნაშრომში [2, 140-150].

აზნაურ ეგნატაშვილთა შთამომავალი, გორში მცხოვრები იაკობ ეგნატაშვილი იყო მეჯვარე სტალინის მშობლებისა – ბესარიონ ჯუღაშვილისა და ეკატერინე გელაძისა. მანვე მონათლა სტალინის უფროსი ძმები – გიორგი და მიხეილი, რომლებიც ჩვილობის ასაკში გარდაიცვალნენ.

იაკობი კოლორიტულ პიროვნებად, სახელგანთქმულ თამადად და დაუმარცხებელ მოკრივედ ითვლებოდა. მას ჰქონდა ვენა-

ხები და საკუთარი ღვინით ვაჭრობდა, რის გამოც შეძლებულად ცხოვრობდა. როდესაც საქართველოში ჩამოსული რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III გორში, თავად ამილახვრებს ესტუმრა, თამადობის პატივი იაკობ ეგნატაშვილს დააკისრეს [27, 13]. აქვე დავსძენთ, რომ ამ სტუმრობის აღსანიშნავად ამილახვრების სახლში გამოაკრეს მემორიალური დაფა წარწერით: „Сей дом осчастливен посещением Государя Императора Александра III" [25, 123].

გამოჩენილმა მწერალმა, პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ლეონიძემ (1897-1966) სტალინს მიუძღვნა დიდი მხატვრული ოსტატობით დაწერილი პოემა „ბავშვობა და ყრმობა", სადაც იაკობ ეგნატაშვილის შესახებ ორ სხვადასხვა ადგილას ვკითხულობთ:

1) „მხარდამხარ კლდეკაცი უზის,
იაკობ ეგნატაშვილი,
ფალავანია იაკო,
მკლავი აქვს ღონით გაშლილი.
მის ახოვნებას ნატრულობს
ფალავნებიდან ყოველი,
მისი სარმის და კისრულის
მოწმეა კვირაცხოველი" [10, 51].

2) „ეგნატაანთ იაკობა,
მოდის, როგორც გემი ზღვაში,
მის მუშტს უნდა განა მკობა?
ვენაცვალე ბიჭს ულვაშში!
მას რა ძალა დააკავებს? –
უთხლაშუნებს მძიმე მკლავებს!" [10, 141].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია იოსებ სტალინის დედის – ეკატერინე (კეკე) გელაძის მოგონებები, რომელიც წიგნად გამოიცა [16].

ეკატერინე გელაძე იგონებდა: „ჩვენი მეჯვარეები – იაკოფ ეგნატაშვილი და მიხა ციხითათრიშვილი – ყარაჩოღელები იყვნენ და დიდი ეშხიც შეიტანეს ჩვენ ქორწილში... იაკოფ ეგნატაშვილმა, როგორც უფროსმა მეჯვარემ, დიდი ამაგი დაგვდო ჯვრისწერაზე

და შემდეგაც. ყოველთვის სცდილობდა, რომ ხელი შეეწყო ჩვენთვის...

ბიჭი შეგვეძინა. ბესო კინაღამ გადაირია სიხარულით. დიდი ნათლობა გააჩაღა. იაკოფ ეგნატაშვილი დატრიალდა, როგორც ნათლია, მაგრამ სიხარული მწუხარებით შეგვეცვალა, რადგანაც ბავშვი ორი თვისა გარდაიცვალა. ბესომ დარდისაგან სმა დაიწყო...

მეორე წლის თავზე მეორე ბიჭი შეგვეძინა. ესეც იაკოფმა მოგვინათლა. მაგრამ არც ამ ბავშვს ეწერა დღეგრძელობა... ბესო კინაღამ შეიშალა...

მესამე ბიჭიც მეყოლა. ბესომ თქვა: „იაკოფის ხელი ვერ დავცადე, ახლა მეორე მეჯვარის ხელი უნდა ვცადოო“. ეგნატაშვილს ეს არ სწყენია... აი, ეს ამბები გადაგვხვდა ჩემი სოსოს შეძენამდე... მაგრამ რამდენადაც ბედნიერი შევიქენი შვილის დღეგრძელობით, იმდენად უბედური ვიყავი იმ მხრივ, რომ ჩემმა ბესომ სმას უმატა. ბევრს უშლიდა ჩვენი ოჯახის კეთილისმყოფელი იაკოფი, ნუ სვამო, მაგრამ ბესო არ იშლიდა... წახდა მეოჯახე კაცი... ოჯახი იაკოფ ეგნატაშვილის წყალობით არ დაგვეღუპა. ის დახმარებას არ გვაკლებდა... ბესო ისევ ქალაქს დაუბრუნდა, იქ ვიმუშავებო. წავიდა, მაგრამ უკვე ნახევარი კაცი იყო. თავმომწონე ძველი ბესო ღვინის მსხვერპლი შეიქნა“ [16, 53-69].

ასე, რომ იოსები (მომავალი ბელადი) მონათლა ბესარიონ და ეკატერინე ჯუღაშვილების მეორე მეჯვარემ – მიხეილ ციხითათრიშვილმა.

ეკატერინე გელაძე მიუთითებდა, რომ ერიდებოდა იაკობ ეგნატაშვილისაგან დახმარების სისტემატურად მიღება, რის გამოც მკერავობა დაიწყო. მის მოგონებაში ვკითხულობთ: “ჯერ ჩვენი ნათლიის ოჯახში იაკობის მეუღლეს დავულიანდაგე საბნები. ნიჭი გამომაჩნდა. გორში სახელი გამივარდა, როგორც საბნების საუცხოვო დამლიანდაგებელს... ჩემი გარჯილობით ბავშვის გული არ დამიჩაგრია და ყველაფერი თავის დროზე მიმიცია, რომ უმამობა არ ედარდნა“ [16, 70-71].

დედის მოგონებიდან ჩანს, რომ მის ვაჟს, რომელსაც მოფერებით „სოსელოს“ ეძახდნენ, ბავშვობიდანვე პრინციპულობა ახასიათებდა. როდესაც დედა-შვილი თბილისში მატარებლით გაემგზავრა, ბავშვს უთქვამს:

– „დედილო, ქალაქში რომ მივალთ, მამა მომნახავს, მომიტაცებს და მეჩექმეობას მომინდომებს. მე კი სწავლა მინდა. თუ ასე მომექცევა, თავს მოვიკლავ და მეჩექმეობას არ ვინდომებ!“ [16, 85].

ცნობილი ფილოსოფოსი, აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი (1911-1994) იგონებდა: „ეგნატაშვილებს შორის, რომლებსაც ხალხი სტალინის ძმებად თვლიდა, ფართოდ გავრცელებული ხმების გამო – „სტალინი გორელი ვაჭრის იაკობ ეგნატაშვილის უკანონო შვილიაო", უფროსმა, საშამ სტალინს ყველაზე ადრე მიაკითხა. რესტორნის „ნად კუროი" (რომელიც მდებარეობდა ყოფილი ვორონცოვის მოედანზე, მტკვრის პირას. ნ. ჯ.) მფლობელს დიდი ბეგარა შეაწერეს. ადგილობრივ ხელისუფლებაზე გულმოსული მოსკოვში სტალინთან წავიდა.

სტალინმა მიიღო და ისეთ თანამდებობაზე გაგზავნა (ყირიმში, სახელმწიფო მეურნეობის მმართველად), რომ საკუთარი რესტორანი დაავიწყდა. შემდეგ მოსკოვში გადაიყვანა და „საკუთარ სამსახურში" ჩააყენა.

მეორე ძმამ, ვასომ, ყოფილმა ფედერალისტმა... უფრო გვიან მოძებნა „ძმა". მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მიიღო საქართველოს „ცაკის" მდივნის თანამდებობა" [24, 157].

ზემოხსენებული ალექსანდრე (საშა) იაკობის ძე ეგნატაშვილი (1887-1948) მსახურობდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატში, სადაც ეკავა განყოფილების და სამმართველოს უფროსის თანამდებობანი. მსახურობდა ყირიმში არსებული შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატის სპეცობიექტების (სამთავრობო დასასვენებელი სახლების) სამმართველოს უფროსად (1945-1947), კრემლის კომენდანტად, სსრკ-ის სამთავრობო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის ნიკოლაი ვლასიკის მოადგილედ. 1942 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისრის წოდება, რომელიც შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის წოდებას, ხოლო 1945 წელს – გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მონაწილეობდა თეირანისა (1943) და იალტის (1945) კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში. 1944 წლიდან ხელმძღვანელობდა ყირიმის ძველი სასახლეებისა და არქიტექტურული ანსამბლების აღდგენას [5, 539].

მისი უმცროსი ძმა – ვასილ იაკობის ძე ეგნატაშვილი (1888-1956) იყო სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი 1938 წლიდან.

ალექსანდრე ეგნატაშვილის ვაჟი, ცნობილი მოჭიდავე გიორგი ეგნატაშვილი (1910-2000) იყო სსრკ-ის პროფკავშირების თავმჯდომარის ნიკოლაი შვერნიკის პირადი დაცვის უფროსი, პოლ-

კოვნიკი. მოსკოვში დაიბადნენ გიორგის ასულები: ნათელა/სვეტლანა (დაბადებული 1939 წელს), ელისო (დაბადებული 1944 წელს) და ალექსანდრა (დაბადებული 1949 წელს). ნათელა სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა თბილისში, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში, ელისო – ინჟინერია, ხოლო ალექსანდრა – სოციოლოგია.

ნათელა ეგნატაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ: „სტალინის დედა ჩემი დიდი პაპის ოჯახში მოდიოდა: რეცხავდა, კერავდა, პურს აცხობდა... პატარა სოსო ამ ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. იაკობი თურმე დასვამდა ხოლმე მას მაგიდასთან და ყაზბეგისა და ილია ჭავჭავაძის წიგნებს უკითხავდა. ორივეს განსაკუთრებით მოსწონდა ყაზბეგის „მამის მკვლელი“, სადაც მთავარი გმირი – რაინდული სულის კობა თავგანწირვით იბრძვის სიმართლისათვის. ალბათ, ამიტომაც, სახელი „კობა“ სტალინის პირველი ფსევდონიმი გახდა“ [35].

ვფიქრობთ, რომ სტალინის ეგნატაშვილობის შესახებ არსებული ვერსია გამონაგონი არ იყო და მას რეალური საფუძველი გააჩნდა. ჩვენი ვარაუდით, ამის მტკიცების შესაძლებლობას გვაძლევს შემდეგი ფაქტები (თუმცა, საბოლოო დასკვნის გამოტანა, ალბათ, დნმ-ის ანალიზის ჩატარების შემდეგ გახდება შესაძლებელი):

1) 1907 წელს იოსებ ჯუღაშვილს და მის პირველ მეუღლეს ეკატერინე სვიმონის ასულ სვანიძეს (1885-1907) შეეძინათ პირველი და ერთადერთი ვაჟი. საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებული ტრადიციის თანახმად, პირველ ვაჟს თავისივე პაპის (მამის მამის) სახელს არქმევენ. აქედან გამომდინარე, იოსებ ჯუღაშვილს თავისი პირმშოსათვის **ბესარიონი** უნდა დაერქმია. არადა, მან თავის პირველ ვაჟს დაარქვა **იაკობი,** ანუ სახელი კაცისა, რომელსაც სტალინის ბიოლოგიურ მამად მიიჩნევდნენ. იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი (1907-1943) – 36 წლის ასაკში, ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა;

2) 1921 წელს იოსებ ჯუღაშვილს და მის მეორე მეუღლეს ნადეჟდა სერგეის ასულ ალილუევას (1901-1932) შეეძინათ ვაჟი. ზემოხსენებული ტრადიციის თანახმად, სტალინს თავისი ოფიციალური მამის სახელი მეორე ვაჟისათვის მაინც უნდა დაერქმია, მაგრამ ასე არ მოხდა. მან თავის მეორე ვაჟს დაარქვა **ვასილი,** ანუ სახელი კაცისა, რომელსაც სტალინის ძმად მიიჩნევდნენ. ვასილ იოსების ძე (1921-1962), რომელიც მამის გარდაცვალებამდე გვარად

სტალინს ატარებდა, 41 წლის ასაკში, ყაზანში გარდაიცვალა. საგულისხმოა, რომ ვასილ ეგნატაშვილმა თავის ვაჟს სტალინის პარტიული მეტსახელი – **„კობა“** დაარქვა. კობა ვასილის ძე ეგნატაშვილი (1939-1999) იყო ცნობილი ექიმი-ოტოლორინგოლოგი, მედიცინის დოქტორი. ასევე საგულისხმოა, რომ გიორგი ალექსანდრეს ძე ეგნატაშვილმა თავის უფროს ასულს დაარქვა **სვეტლანა** (იგივე ნათელა), რომელიც სტალინის ქალიშვილს ერქვა;

3) იოსებ სტალინს არასდროს გამოუჩენია თავი თავისი ოფიციალური მამის ნათესავებისა და მოგვარეების – ჯუღაშვილების პატრონობით (ყოველი შემთხვევისათვის, ამის თაობაზე ჩვენთვის ცნობილი არ არის), როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წყალობა არ დაუშურებია ალექსანდრე და ვასილ იაკობის ძე ეგნატაშვილების, ანუ გავრცელებული ხმების თანახმად, საკუთარი ძმების მიმართ [27].

სტალინის განსაკუთრებულ სიახლოვეზე იაკობ ეგნატაშვილის შვილებთან ადასტურებს ნათელა ეგნატაშვილის მოგონებაში დაცული შემდეგი ფაქტიც: „1939 წელს, საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერასთან და სტალინის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით **ადოლფ ჰიტლერმა საბჭოეთის მეთაურს საჩუქრად გერმანული მსუბუქი მანქანა „ჰორჰი“ გამოუგზავნა. მეტად ლამაზი და მოხერხებული მანქანა გახლდათ, მაგრამ სტალინი არ ჩაჯდა და საშა პაპას გადმოულოცა...**

მანქანას განსაკუთრებული სიგნალის ხმა ჰქონდა. როცა მანქანა ჩვენ სახლს უახლოვდებოდა, მძღოლი გვატყობინებდა სიგნალით, თუ რა ხასიათზე ბრუნდებოდა პაპა... შემდეგ მოსკოვის კინოსტუდიამ შეისყიდა. ამ ავტომობილით, მეორე მსოფლიო ომის ამსახველ ფილმებში გერმანელი ოფიცრები სარგებლობენ. სხვათა შორის, ცნობილ ფილმ „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელვებაში“ ეს მანქანა შტირლიცის საკუთრებაა“ [35].

იოსებ სტალინს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა როგორც ზემოხსენებულ ალექსანდრე ეგნატაშვილთან, ასევე მის უმცროს ძმასთან – ვასილ ეგნატაშვილთანაც.

კანდიდ ჩარკვიანმა (1906-1994), რომელიც 1938-1952 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მსახურობდა, თავის მემუარებში ფრიად საყურადღებო ცნობა შემოგვინახა სტალინისა და ვასილ ეგნატაშვილის გამორჩეული სიახლოვის შესახებ. ამ მოგონებიდან ირკვევა, რომ 1938

წელს, საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა ვასილ ეგნატაშვილმა გადაარჩინა კ. ჩარკვიანი საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას რისხვას. კერძოდ, 1938 წლის დასაწყისში, მოსკოვში, სტალინთან შეხვედრისას, ვასილ ეგნატაშვილმა კარგად დაახასიათა კანდიდ ჩარკვიანი, რასაც ამ უკანასკნელის სწრაფი დაწინაურება მოჰყვა. იმავე წლის ზაფხულში კანდიდ ჩარკვიანი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს.

კ. ჩარკვიანი იგონებდა: „1938 წლის იანვარში სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს I სესია გაიმართა. ბერიას სესიიდან დაბრუნებისთანავე შევამჩნიე, რომ მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ შეიცვალა: არავითარი უხეშობა, ხშირად სახელითა და მამის სახელით მომმართავს, დარეკვისთანავე მღებულობს. გაკვირვებული ვიყავი, მაგრამ მიზეზს ხომ ვერ ვკითხავდი.

მალე ჩემთვის ყველაფერი გაირკვა. სესიაზე ვასო ეგნატაშვილიც იყო. მოსკოვში ყოველი ჩასვლისას ის ი. სტალინს უსათუოდ ინახულებდა. როცა დაბრუნდა, ვასო ჩემთან მოვიდა და მითხრა: – „იცით, სტალინთან რომ ვიყავი, თქვენ გიკითხათ – გორელი ჩარკვიანებიდან ხომ არ არისო...“

გასაგები მიზეზით, მე აღარ ჩავეძიე იმას, თუ კიდევ რა ითქვა სტალინთან ჩემ შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვასო მხოლოდ კარგად დამახასიათებდა: მაშინდელი ჩვენი ურთიერთობა ისეთი იყო, რომ გადააჭარბებდა კიდევაც ჩემ ქებაში...

1938 წლის 31 აგვისტოს... საკავშირო კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს რეკომენდაციით, საქართველოს კპ (ბ) ცკ პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ამირჩია“ [21, 110-111].

გორელი პავლე მიხეილის ძე რუსიშვილი, რომლის ჩატანილ ღვინოსაც თვით იოსებ სტალინი სვამდა, ამტკიცებდა, რომ სსრ კავშირის ბელადის რეალური მამა იყო იაკობ ეგნატაშვილი. იგი იგონებდა: „Как только приезжал в Москву Васо Эгнаташвили, — сын Якова Георгиевича, брат Александра Яковлевича, Сталин бросал все дела, И они собирались втроем где-нибудь посидеть. Васо Яковлевич никогда не уезжал от нас, не встретившись со Сталиным“.

კითხვაზე – „А может, это дань уважения семье Эгнаташвили? Ведь Сталин вырос с ними?“ – პავლე რუსიშვილმა ასე უპასუხა: „Да братья они!... Ну скажите, почему из одной семьи один стал генералом, заместителем Власика, а другой сначала редактором республиканской

газеты, а затем секретарем Президиума Верховного Совета Грузинской ССР? Неужели здесь все обошлось без влияния Сталина?“ [36].

4) იოსებ სტალინს ძალიან უყვარდა თავისი დედა, თუმცა, იმავდროულად, სძულდა ოფიციალური მამა – ბესარიონ ჯუღაშვილი და ამას არც ფარავდა.

1932 წელს, ბერლინში გამოიცა იოსებ სტალინის ბავშვობის მეგობრის იოსებ გიორგის ძე ირემაშვილის (1879-1944) წიგნი – „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, რომელშიც სსრ კავშირის იმდროინდელი ბელადის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით. მასში ვკითხულობთ, რომ ეკატერინე (კეკე) გელაძე წარმოადგენდა ერთადერთ ადამიანს, ვისაც ყმაწვილი სოსო ჯუღაშვილი „აღიარებდა და თაყვანს სცემდა... კეკეს შვილივით ჭორფლიანი სახე ჰქონდა... ყველა ქართველი ქალის მსგავსად, ღრმადმორწმუნე იყო. მეწაღის შრომისმოყვარე, კეთილ და ღვთისმოშიშ ცოლს გორელები დიდად აფასებდნენ... ის ქართულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდა... ტიპური ქართველი ქალი იყო. შვილის დაუნდობელი ხასიათი მას ძალზე აწუხებდა. ის უმწეოდ შეჰყურებდა, თუ როგორ თესავდა მამა შვილის გულში ღვარძლსა და ბოროტებას. მამისაგან სოსომ ადამიანებისადმი ზიზღი ისწავლა. იგი ადრეულ ასაკში მომწიფდა და დამოუკიდებელ აზროვნებას მიეჩვია. ყველაზე მეტად სოსოს საკუთარი მამა სძულდა. მას დედის იძულებით მონურ შრომაში ადანაშაულებდა. მამამისის დაუმსახურებელმა და სასტიკმა ცემამ სოსო მასავით უხეში და უგულო გახადა. ადამიანები, რომლებიც სხვებზე ასაკის ან ძალის უპირატესობის გამო ბატონობდნენ, მამამისს აგონებდნენ და შურისძიების გრძნობას აღუძრავდნენ. ადრეული ასაკიდანვე შურისძიების წყურვილი არ ასვენებდა და უმაღლეს მიზნად ექცა... სოსო მამამისს ყოველთვის გაურბოდა. მის ნაადრევ სიკვდილს ბავშვზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია“ [7, 18-22].

კ. ჩარკვიანი იგონებდა: „მშობლებზე, ბავშვობაზე, მოწაფეობაზე ლაპარაკი სტალინს მაინცადამაინც არ უყვარდა. ესეც არის, რომ მოსკოვში საქმიანი შეხვედრებისას ამის დრო და საბაბიც არ ჰქონდა. სხვა ვითარება იყო ზღვის სანაპიროზე დასვენების დროს... მეტწილად მეც იმ ხანებში შვებულებას გაგრაში ვატარებდი და თითქმის ყოველ მეორე დღეს სტალინის სტუმარი ვიყავი...

„მამაჩემი და მეზობლად მცხოვრები მღვდელი ჩარკვიანი უახლოესი მეგობრები იყვნენ, – მიამბო სტალინმა, – ერთად სმა და დროსტარება ყველაფერს ერჩივნათ... ბესო ჯუღაშვილი მღვდელ-

თან და სხვა მეინახებთან ხანგრძლივმა თანამესუფრეობამ გაალოთა და ბოლოს ნამდვილ ალკოჰოლიკად აქცია... ოჯახში უკვე არაფერი შემოჰქონდა. პირიქით, მოითხოვდა, რომ დედაჩემს, მრეცხავს, მძიმე შრომით ნაშოვნი ორიოდე გროში მისთვის ენაწილებინა. დედა ძლიერი ნებისყოფის ქალი იყო. ბევრს ეცადა გამოესწორებინა გზასაცდენილი ქმარი, მაგრამ როცა მიზანს ვერ მიაღწია, ის სახლიდან დაითხოვა... მამაჩემს გაეგო, რომ სემინარიის სტიპენდიასთან ერთად, სიონის ქოროს მგალობლის გასამრჯელოსაც ვღებულობდი... ერთხელ, პანსიონის დარაჯმა გადმომცა, მამა გეწვიათო. გავედი, ვხედავ, მართლაც ის არის. ჩემი ამბავი არც უკითხავს, ისე პირდაპირ მომახალა:

– „ვაჟბატონო, მამა სულ დაივიწყე არა? ცოტა ფული მომეცი, სხვაგან სამუშაოდ წასვლას ვაპირებ“.

– „მე იმდენი ფული სადა მაქვს, რომ შენ დაგეხმარო?“ – ვუპასუხე.

– „ბევრს ნუ ლაპარაკობ, სამი მანეთი მაინც გამომიტანე, ნუ ხარ დედაშენივით ძუნწი და ქვაწვია“, – აუწია ხმას მამაჩემმა.

– „ნუ ყვირი, აქ პანსიონია, თუ ახლავე არ გაეცლები აქაურებას, დარაჯს დავუძახებ და ძალით გაგიყვანენ-მეთქი, – ვუთხარი.

მუქარამ გაჭრა. მამა ბუზღუნით ქუჩაში გავიდა“ [21, 469-470].

5) მამამისის ძაგების პარალელურად, იოსებ სტალინი დაუფარავი სიმპათიით იხსენიებდა იაკობ ეგნატაშვილის ოჯახს და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა მის შვილებთან – ალექსანდრე და ვასილ ეგნატაშვილებთან, რასაც კ. ჩარკვიანიც ადასტურებდა.

კ. ჩარკვიანის მოგონებებში ვკითხულობთ: „იაკობი რუისიდან ყოფილა. გორში სამიკიტნო ჰქონია. მასთან ერთად სამიკიტნოში საქმიანობდა მისი ორი ძმა – სიმონი და კიკა... სტალინს ბევრი რამ დამახსოვრებია მათი ცხოვრებიდან.

იაკობი და მისი ძმები მთელ ქართლში განთქმულ ფალავნებად ითვლებოდნენ. პირველი და ყველაზე ძლიერი ფალავანი იაკობი ყოფილა. ის თურმე არათუ მხარს არ უდებდა, ხშირად კიდევაც ამარცხებდა ცნობილ მოჭიდავეებს – ხიზამბარელს, კულა გლდანელს და სხვებს. მას ღონითა და ჭიდაობის ხელოვნებით საშუალო ძმა სიმონი მოსდევდა, უმცროსს – კიკას, ამ მხრივაც მესამე ადგილი ეკავა...

სტალინმა იაკობ ეგნატაშვილის ოჯახისადმი კეთილი განწყობილება ბოლომდე შეინარჩუნა. ის ყურადღებით ეპყრობოდა

ვასო ეგნატაშვილს... კიდევ უფრო დაიახლოვა სტალინმა ვასო ეგნატაშვილის უფროსი ძმა – ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილი“ [21, 471-473].

6) იოსებ სტალინი ფიზიკურად სრულებით არ ჰგავდა თავის ოფიციალურ მამას – ბესარიონს. ტანმაღალი ბესარიონისაგან განსხვავებით, მომავალი ბელადი ტანმორჩილი იყო, კერძოდ, მისი სიმაღლე სულ 162 სანტიმეტრს შეადგენდა. იმავდროულად, იგი ძლიერი აღნაგობისა იყო და თანატოლთა წრეში უძლეველ ფალავნად ითვლებოდა. ამით ის ჰგავდა იაკობ ეგნატაშვილსა და მის შთამომავლებს, რომლებიც საუკეთესო მოჭიდავენი და მოკრივენი იყვნენ. პატარა სოსო გამოირჩეოდა სიჯიუტითა და მიზანდასახულობით.

იოსებ ირემაშვილი იგონებდა: „სოსო ჯუღაშვილი... ჩვენ გვგავდა და ქართულსაც ჩვენსავით ლაპარაკობდა. მისმა თავხედურმა გამომეტყველებამ და საუბრის ძუნწმა, ყველაფრის უარმყოფელმა მანერამ თავიდანვე ანტიპათიურად განგვაწყო მისდამი. ფიზიკურად ყველას გვჯობნიდა. თავიდან გვეშინოდა მისი და ვერიდებოდით კიდეც... სოსოს მოგრძო, ჭორფლიან სახეზე ბევრი ნაიარევი ემჩნეოდა. გამხდარი იყო, მაგრამ ძლიერი აღნაგობისა. სიცოცხლით სავსე მუქ თაფლისფერ თვალებში შეუდრეკელ ხასიათს ამოიკითხავდით. ეს თვალები მნახველს ნდობას არ უღვიძებდა. მოძრაობები ნაკლებად ბავშვური ჰქონდა. სიარულისას გამხდარ, არწივივით გაშლილ მკლავებს იქნევდა და უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა... სოსო სკოლის ბავშვებში გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ მაშინ იმგვარი აზრები ებადებოდა, რაც ჩვენი ბავშვური უზრუნველობისაგან ძალიან შორს იდგა. თუკი ის რაიმე მიზანს დაისახავდა, ან კიდევ რაიმეს გაკეთებას მოისურვებდა, მაშინ იგი უსაზღვროდ ჯიუტ, ჟინიან ბუნებას ავლენდა... მტირალი სოსო არასოდეს მინახავს. გამარჯვება და სხვისი დაშინება მას ტრიუმფალურ სიხარულს განაცდევინებდა... თუკი მის მბრძანებლურ, ძალაუფლებისმოყვარე ნებას დაემორჩილებოდით, მაშინ იგი საუკეთესო მეგობარი ხდებოდა... საუკეთესო, მაგრამ უწესო მოწაფედ ითვლებოდა. ის ჩვენი შურისძიების წამქეზებელი და მოთავე იყო“ [7, 16-19].

ი. ირემაშვილის მემუარებში სტალინის ოფიციალური მამის შესახებ ვკითხულობთ: **„ბესო, ბესარიონი – შავი, ხშირი წარბებითა და მუქი, უხეში წვერით, დიდი ტანის, წარმოსადეგი კაცი იყო.** ის ქართულ ჩოხასა და ჩექმებში ჩატანებულ განიერ, ლურჯ

შარვალს ატარებდა... თავზე რუსული ქუდი ეხურა... მძიმე, მოუქნელი ბუნებისა იყო“ [7, 22].

კ. ჩარკვიანი აღნიშნავდა: „ბესო ჯუღაშვილის ფოტოც არ შემონახულა. უკვე ომის შემდეგ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკებმა შეაგროვეს თბილისელ და გორელ ხელოსანთა ჯგუფური და ინდივიდუალური ფოტოსურათები და მათგან შეარჩიეს რამდენიმე ფოტო, რომელზედაც გამოსახული იყო ზოგიერთი ნიშნით სტალინთან მიმგვანებული პირი. მე ეს ფოტოები გამოსაცნობად ი. სტალინს ცივი წყაროს აგარაკზე ჩავუტანე. მან ისინი გულდასმით დაათვალიერა, მაგრამ ვერცერთ მათგანზე მამის სახე ვერ აღმოაჩინა“ [21, 471].

სწორედ ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ბესარიონ ჯუღაშვილის ერთადერთი ცნობილი ფოტო ხელოვნურად შექმნეს იოსებ სტალინის ფოტოზე დაყრდნობით, როდესაც ოფიციალური მამა ხელოვნურად დაამსგავსეს თავის ვაჟს.

სსრ კავშირის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას იოსებ სტალინზე წარმოდგენა ძირითადად მხატვრული ფილმებიდან შეექმნა.

სტალინის როლი არაერთ ფილმში შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მიხეილ გიორგის ძე გელოვანმა (1890-1956), რის გამოც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მათ შორის იყო ფილმები: „დიადი განთიადი“ (1938), „ცარიცინის დაცვა“ (1942), „ფიცი“ (1946) და „ბერლინის დაცემა“ (1949). თითოეულ მათგანში ბრწყინვალედ შესრულებული როლისათვის მ. გელოვანს სტალინური პრემია მიენიჭა და იგი ამ მაღალი ჯილდოს ოთხგზის ლაურეატი გახდა.

სპათაგორელი თავადის გიორგი თომას ძე გელოვანის ვაჟი – მიხეილ გელოვანი დაჯილდოებული იყო მოხდენილი გარეგნობით, გარდასახვის უნარით, ხავერდოვანი ხმით, ჩინებული დიქციით, სიმღერისა და იუმორის ნიჭით. ბუნებრივია, რომ მის მიერ შესრულებული ბელადის როლები მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა. როგორც მისი ვაჟი, გიორგი მიხეილის ძე გელოვანი აღნიშნავდა,მამამისმა ფაქტობრივად განასახიერა თავისი ოცნება “ხალხთა დიად ბელადზე“ [29, 25].

ფილმის „დიადი განთიადი“ ნახვის შემდეგ, თვით იოსებ სტალინს, კმაყოფილს უთქვამს: „მე არ ვიცოდი, თუ ასეთი მომხიბლავი ვიყავი!“ [30, 34].

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორ გამოიყურებოდა რეალური იოსებ სტალინი?

ცნობილმა ქართველმა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწემდევი გიორგის ძე სტურუამ (1930-2001), რომელიც 1946 წელს, სოხუმში მდებარე სასტუმრო სინოპში, თავის მამასთან, ძველ ბოლშევიკ გიორგი სტურუასთან ერთად შეხვდა სტალინს, ასეთი მოგონება შემოგვინახა: „მას პროპორციული აგებულება ჰქონდა და როცა თანამოსაუბრეს ჩამოსცილდებოდა, დაბალი ტანისა არ ჩანდა. ვადასტურებ: არავითარი გრძელი ხელები, არავითარი მსხვილი თითები, არავითარი ხორციანი ცხვირი, არავითარი ჩაცვენილი მკერდი და ჩამოშვებული მხრები. **ეს იყო კარგად შეკრული ქართლელი გლეხი, რომელიც რაღაც მანქანებით გარდასახულიყო სტალინად...** ყველა იმ გარეგნული ხინჯის გარეშე, რაც მას მიაწერეს ისტორიკოსების, მწერლების, პუბლიცისტების, მემუარისტების მთელმა ლეგიონებმა.

ხარბად ვაგრძელებ სტალინის „ფოტოგრაფირებას“ მზერით: გამართულ მხრებზე ყინჩად მჯდარი სწორი ფორმის თავი. თმა თითქმის მთლად გაჭაღარავებული, ასევე ჭაღარა ულვაშები, ტუჩებთან ახლოს გაჟღალებული, როგორც ჩანს, ხშირი მოწევის შედეგი... წარბები თმებთან შედარებით უფრო მუქი, ხოლო წარბებქვეშ – ეს მე კარგად დამამახსოვრდა – საოცრად ახალგაზრდა, შავი ან მუქი ნაბლისფერი თვალები, ოდნავ ნუშისებრი... არავითარი თვალების სიყვითლე და გლაუკომით გამოწვეული სიმღვრივე... როცა სტალინი გაგანია მზეზე დგომისას თავის ოდნავ ნუშისებურ თვალებს ჭუტავდა, ისინი რაღაცით ფოცხვერისას ჩამოგავდნენ. როცა ის თანამოსაუბრეს უბრუნდებოდა, ამას აკეთებდა მთელი სხეულით, რაც მისი საერთო იერის ერთ-ერთი თავისებურება გახლდათ“ [17, 16-18].

7) ცნობილმა რუსმა მწერალმა, აკადემიკოსმა ალექსეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოიმ (1882-1945) თავის რომან-ეპოპეაში „პეტრე I“ გადაწყვიტა დაეწერა სიმართლე რუსეთის პირველი იმპერატორის წარმომავლობის შესახებ. რუსული საისტორიო წყაროები სრულ საფუძველს აძლევდა მწერალს, რათა პეტრე დიდის ბიოლოგიურ მამად მიეჩნია ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, უფლისწული ერეკლე დავითის ძე, მომავალში – ერეკლე I (გარდაიცვალა 1709 წელს), რომელიც მეფობდა 1688-1703 წლებში – ქართლში, ხოლო 1703-1709 წლებში – კახეთში.

უფლისწული ერეკლე 1654-1660 და 1666-1672 წლებში ცხოვრობდა რუსეთის სამეფო კარზე, როგორც მეფის პირადი, საპატიო სტუმარი და ცნობილი იყო უფლისწულ ნიკოლოზ დავითის ძის სახელით. იგი მიწვეულ იქნა „ტისიაცკის“ (მეფის მეჯვარის) სტატუსით ალექსი მიხეილის ძე რომანოვისა (მეფობდა 1645-1676 წლებში) და ნატალია კირილის ასულ ნარიშკინას (1651-1694) ქორწილში, რომელიც 1671 წლის 22 იანვარს შედგა. ტისიაცკი განაგებდა საქორწინო მაყრიონს და ქორწილის მთელს ცერემონიალს. 1672 წლის 30 მაისს დაიბადა რუსეთის მომავალი იმპერატორი პეტრე I, რომელიც გარეგნულად სრულებით არ ჰგავდა თავის ოფიციალურ მამას და და-ძმას. იმავე დღეს, რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე თავის ახლობლებლებთან და მათ შორის უფლისწულ ნიკოლოზ დავითის ძესთან ერთად წავიდა მოსკოვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში საპარაკლისო გალობის მოსასმენად. გალობის დასრულების შემდეგ, მეფეს მიულოცეს ვაჟიშვილის შეძენა. მიმლოცველთა შორის იყო ხსენებული ქართველი უფლისწულიც, რომელმაც მილოცვის ნაცვლად ვრცელი სიტყვა წარმოთქვა [18, 156-158].

ზემოთ აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო რუს ინტელექტუალთა წრეში. გამოჩენილი ქიმიკოსის ალექსანდრე დიანინის ვაჟი – სერგეი დიანინი თავის წიგნში „ბოროდინი“ პირდაპირ წერდა: “Петр I считал себя наследником карталинских царей и весьма неблагоприятно отнесся к желанию последнего карталиского царя продолжать свой род путем брака своей дочери Дареджаны“ [31, 154].

რატომ თვლიდა პეტრე I თავს ქართლელ მეფეთა მემკვიდრედ? რასაკვირველია იმიტომ, რომ ის იყო შვილი მეფე ერეკლე I-ისა, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1688-1703 წლებში ქართლში მეფობდა!

ზემოთ მოყვანილ რუსულ ტექსტში მოხსენიებულ „ქართლელ მეფეში“ იგულისხმება დარეჯან ბატონიშვილის მამა, ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი მეფე არჩილ II, რომლის ვაჟიც, უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი-მერეტინსკი (1674-1711) რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეხმაისტერი იყო და 37 წლის ასაკში უძეოდ გარდაიცვალა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, იოსებ სტალინმა კატეგორიულად აუკრძალა ა. ტოლსტოის, რათა მას დაეწერა პეტრე დიდის ქართული წარმომავლობის, კერძოდ, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიიდან მისი მომდინარეობის თაობაზე.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში იოსებ სტალინმა დაინახა მსგავსება საკუთარ და პეტრე I-ის წარმომავლობას შორის – ორივე მათგანი იყო შვილი არა თავიანთი ოფიციალური მამებისა, არამედ მშობლების მეჯვარეებისა.

6) იოსებ სტალინისათვის არა მხოლოდ უხერხული იყო ემტკიცებინა თავისი ეგნატაშვილობა (ყველასათვის გასაგები მიზეზის გამო), არამედ პოლიტიკურად ძალიან წამგებიანიც. მუშურ-გლეხური სახელმწიფოს, სსრ კავშირის ლიდერი – ასევე მუშურ-გლეხური წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო. ამიტომ, სტალინისათვის გაცილებით მომგებიანი იყო მეწაღე ბესარიონ ჯუღაშვილის შვილობის მტკიცება, ვიდრე ქართველ ფეოდალთა, აზნაურ ეგნატაშვილთა გენეტიკური შთამომავლობის აღიარება.

სსრ კავშირის ლიდერი ყოველთვის გარკვევით მიუთითებდა, რომ ის იყო ეროვნებით ქართველი და ქართველი მშობლების შვილი.

1948 წელს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტმა 3-მილიონიანი ტირაჟით გამოსცა წიგნი: "Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография" [32].

ამ წიგნის მეხუთე გვერდზე ვკითხულობთ: „Сталин (Джугашвили), Иосиф Виссарионович, родился 21 декабря 1879 года в городе Гори, Тифлисской губернии. Отец его – Виссарион Иванович, по национальности грузин, происходил из крестян села Диди-Лило, Тифлисской губернии, по профессии сапожник, впоследствии рабочий обувной фабрики Адельханова в Тифлисе. Мать – Екатерина Георгиевна – из семьи крепостного крестьянина Геладзе села Гамбареули" [32, 5].

იოსებ სტალინის ხასიათის თავისებურებებზე, კერძოდ, მის პრინციპულობაზე, სიძლიერეზე (რასაც მისი შეურიგებელი მტრებიც კი აღიარებდნენ), პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობასა და მოქნილობაზე შესანიშნავად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ხუთი, ფრიად საგულისხმო ფაქტი.

1) XX საუკუნის ოციანი წლებში, როდესაც გადაწყდა შექმნილიყო რუსული ემიგრანტული სამხედრო ორგანიზაცია "რუსული საერთო-საჯარისო კავშირი" (РОВС), მისი ხელმძღვანელობა შესთავაზეს ემიგრანტ გენერალ ანტონ ივანეს ძე დენიკინს (1872-1947), რომელიც 1917-1923 წლებში რუსეთში გაშლილი "თეთრი მოძრაობის" ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი იყო.

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, გენერალი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976), ექვს რუს გენერალთან ერთად, ზემოხსენებული წინადადებით ეწვია ანტონ დენიკინს, რომელიც იმხანად პარიზში, ბულონის ტყესთან ცხოვრობდა. აქვე დავსძენთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის (1918-1921) ბოლო პერიოდში შ. მაღლაკელიძე იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ხოლო II მსოფლიო ომის პერიოდში იგი სათავეში ედგა გერმანული არმიის მხარდამხარ მებრძოლ ქართულ სამხედრო შენაერთს – „ქართულ ლეგიონს.“

შ. მაღლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „როდესაც დადგა საბჭოთა ქვეყნის საქმეში ჩარევის საკითხი, შეიქმნა ორგანიზაცია „ობშოვოისკოვოი სოიუზ.“ უნდა მოინახოს ხელმძღვანელი, ავტორიტეტი, ვინც გაუძღვება ამ საქმეს. შტაბი უნდა დაარსდეს. გაზეთებში დაიწერა, რომ მყარდება „ობშოვოისკოვოი სოიუზ“, მისი შტაბი იქნება პარიზში. მე ვიცნობდი ამ წრეებს, რუს გენერლებს. მითხრეს – იქნებ შენც მიიღო მონაწილეობა ამ საქმეშიო. გადავწყვიტეთ ვეწვიოთ დენიკინს, ვთხოვოთ, რომ უხელმძღვანელოს ამ დიდ აქციას... წავედით ექვსი გენერალი და მეშვიდე მე ვარ. მივადექით ვილას, ორსართულიანი პატარა სახლია. შევედით ჭიშკარში... გზაში შევთანხმდით, რომ მე უნდა მივმართო. ქართველი რომ მიმართავს, ესიამოვნებაო, ე. ი. დიდი მასშტაბის მოძრაობა იწყებაო და დათანხმდებაო... მივმართე მე, როგორც მოლაპარაკებულნი ვიყავით, თუ რა თხოვნა გვქონდა მასთან...

მეუბნება მე დენიკინი:

– „პო აქცენტუ მომენტალნო უზნაიუ აზერბაიდჟანცა, ესტონცა ი დრუგიხ, ია სრაზუ დაგადალსია, ჩტო ვი გრუზინ. ვი სკაზალი „ტოლკო“, მიაგკი ზნაკ ისჩეზ“.

გავიცინეთ ყველამ.

ამის შემდეგ გვეუბნება:

– „ნე ვაშ ლი ზემლიაკ სიდიტ ვ კრემლე – სტალინ. ია ნე პოეტ, ნო ნესკოლკო სტროჩეკ სკაჟუ: „ონ ნე არმიანინ, ონ ნე გრეკ, ონ ვოსტოჩნი ჩელოვეკ!“ ეტო ვ სტიხახ, ს მენია ბოლშე ნე ტრებუეტსია, ნო ეტოგო მალო. უ ნეგო მალო ხოტროსტი, მალო პოდლოსტი არმიანსკოი, ონ სინტეზ, ონ ოლიცეტვორენიე ვოსტოჩნოგო ფანატიკა. პაკა ონ სიდიტ ვ კრემლე, ია ნე მოგუ პრიმკნუც კ ვაშემუ დვიჟენიუ. პაკა ონ ჟივ, ვსიაკაია ბორბა ბესპოლეზნო. ი ვამ ეტოგო ნე რეკომენდუიუ. კოგდა ია პოდოშოლ კ ნიჟნემუ ნოვგოროდუ ი ვსე ბეჟალი, ადინ სტალინ ასტალსია ვ

კრემლე. ია ეტო ზნაიუ ჩერეზ მოიხ ლაზუტჩიკოვ“ (ხაზგასმა ჩვენია. ნ. ჯ).

მადლობა გადავუხადეთ და წამოვედით უკან. ამის შემდეგ იყო, რომ საბჭოელებმა მოიტაცეს და მოკლეს გენერალი კუტეპოვი და მერე მილერი (ბალტიელი), – „ობშოვოისკოვოი სოიუზის“ ხელმძღვანელები. ე. ი. მართალი იყო დენიკინი“ [11, 181-182].

აი, ასე აფასებდა გენერალი ანტონ დენიკინი თავის იდეოლოგიურ მტერს, – იოსებ სტალინს, რაც უდავოდ ღირსშესანიშნავი ფაქტია.

2) ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1880-1962), რომელიც ბოლშევიზმისა და პირადად იოსებ სტალინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო, 1931 წელს ჩავიდა გერმანიაში და საცხოვრებლად იქვე დარჩა.

1933 წელს, ქალაქ იენაში გამოიცა გრიგოლ რობაქიძის ცნობილი რომანი „ჩაკლული სული“ [33], რომლის ერთ-ერთ თავშიც – „სტალინის ჰოროსკოპი“ ავტორმა სსრ კავშირის ბელადის ვრცელი და უაღრესად საყურადღებო დახასიათება მოგვცა.

გ. რობაქიძე წერდა: „ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი. „ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში... პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული თავი – ასე დაახასიათა იგი ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა... სტალინის ხერხემალი მოაზროვნესავით მაგარიც იყო და ამასთანავე, მას რეპტილიის მგრძნობელობა ჰქონდა. ბავშვობაში ყვავილი მოეხადა და ამ სნეულების ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ უფრო ამკვეთრებდა პრეიტორიულობას თავისას; ასევე ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. ულვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: – „მე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა“. ამ მდუმარე განცხადებას მაღლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა. საოცარია: ლენინთან მარჯვენა წარბი იყო. მოწკურული, პატარა, გაუმჭვირვალე თვალები ჩასაფრებულის დაჟინებით იმზირებოდნენ. მთელს მის არსებაში უბედურების მომტანის ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა.

სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა, ან ვინმეს შეუმჩნევლად თავს დასხმოდა... მხოლოდ არალეგალური ცხოვრების გამო როდი ატარებდა სტალინი ამდენ ფსევდონიმს... გამუდმებით იცვლიდა

სახელებს, ამიტომ მუდამ მოუხელთებელი და გამოუცნობი რჩებოდა. ხოლო თუ დააპატიმრებდნენ, მარჯვედ უსხლტებოდა შემპყრობთ... სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას... მას ჰქონდა კარგი მეხსიერება... ძლიერი, ცივი ლოგიკა... ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო... მისთვის გამარჯვებას თავბრუ არასოდეს დაუხვევია და ბრძოლის ველზე არასოდეს მანამ არ მიუტოვებია დამარცხებული მტერი, სანამ მთლად არ მოათავებდა. სხდომებზე სიტყვაძუნწი იყო სტალინი. დუმდა – ჭეშმარიტი საქმის კაცი.

სტალინის სტიქია მასა იყო: აი, სად იყო ნაღდი... ის ეცნობოდა მუშათა ჯერ კიდევ მთვლემარე ფსიქიკას, სინჯავდა მასების მაჯას და მათ პროლეტარულ ინსტიქტს აღვიძებდა. ის არკვევდა მათ სურვილს და ფოლადივით აწრთობდა მათ მებრძოლ ნებას...

ლენინზე პირველი შეხვედრისთანავე მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება... სტალინი თავიდანვე ლენინის ნატეხი იყო: მასშიც გაერთანებული იყო რაციო და ინსტიქტი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ელემენტი უფრო მძლავრად ჰქონდა განვითარებული. ეს სტალინს ლენინთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებდა... სისხლის ჩაქცევის შემდეგ ლენინს, რომელსაც უკვე ჩაესუნთქა სიკვდილის ჰაერი, ინსტიქტი გაუმძაფრდა. მოცელილი მარტორქა ახლა უკვე ხედავდა თავისი პატარა, დაბინდული თვალებით, რომ უჩუმარი და უჩინარი კატა – სტალინი – ვეფხვში გადაიზარდა. შაკუთარ თავს საყვედურობდა, რომ აქამდე ეს ვერ შეამჩნია. სცადა წელში გამართულიყო და ღონიერი შეძახილით კვლავ კატის სხეულში გამოემწყვდია ხახადაღებული ვეფხვი, მაგრამ გვიანღა იყო. ეს ალბათ ლენინის ყველაზე მწარე გაწბილება იყო...

მოკვდა თუ არა ლენინი, სტალინმა სამუდამოდ მოაშთო ტროცკი. ორი დემონის ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, აჰრიმანმა – სიძულვილის ნაშიერმა – დაამარცხა ლუციფერი. სხვა დიადოხების დამარცხება ადვილი საქმე იყო. სტალინმა ლენინის ადგილი დაიკავა. გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციური პარტიები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებულნი ქედს იხრიდნენ მის წინაშე, იჩოქებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას

უკვირდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. კვირდათ და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ველურ, უხეშ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუშრეტელი ინსტიქტები კვებავდნენ რაციოს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი გამარჯვებისათვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითიდღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ვეღარ აჯობებდა მას. ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმითო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძალის მქონე კაცი მოევლინა.

რევოლუციის ბედი – ლენინი, კუბოში იწვა ბალზამირებული – მითი ახალი ფარაონისა. რევოლუციის მებრძოლი – ტროცკი, გაგდებული, ბოსფორის ნაპირებზე მემუარებს წერდა. რევოლუციის საჭე ხელთ ეპყრა სტალინს. ის იჯდა კრემლში, როგორც ადამიანადქცეული რადიომიმღები: საბჭოთა ქვეყნის კიდით კიდიდან უთვალავ ტალღებს იღებდა. ის ამ ტალღების მხოლოდ მიმიღები კი არ იყო, არამედ მათი შემოქმედი და განმსჯელი... ზოგიერთები მას ჩინგიზ-ხანსა და თემურ-ლენგს ადარებდნენ. შედარება მცდარი გახლდათ: მონგოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, გაქანება და სიშმაგე. სტალინს არ ჰქონია ცეცხლი, ის ცივსისხლიანი იყო. ეს ერთგვარად აორმაგებდა კიდეც მის ძალას...

სტალინს არ შეეძლო შურიანი ყოფილიყო. მართალია, სხვისი გამორჩეულობა აუტანელი იყო მისთვის, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს სურდა თვითონ ყოფილიყო გამორჩეული: იგი რჩეულობას საერთოდ ვერ იტანდა, ვერც საკუთარს და ვერც სხვისას. საკუთარი თავის რჩეულად გრძნობა თრობის ნიჭია: სტალინში კი დიონისოს გადატანითი მნიშვნელობითაც არასოდეს უცხოვრია. სხვათა შორის, ეს თვისება იყო ჯავშანი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. იგი არ იცნობდა გამარჯვების ბანგს.

ყველას აკვირვებდა სტალინის ასკეტიზმი, ყველა აღტაცებული იყო იმით, რომ მას არ იზიდავდა მიწიერი სიამოვნებანი... არასოდეს დავიწყნია თავი“ [14, 565-576].

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ვრცელი ამონარიდიდან ნათელი ხდება, თუ როგორ ღრმად ჰყავდა შესწავლილი გრიგოლ რობაქიძეს თავისი იდეოლოგიური მტერი. სხვათა შორის, მან შემთხვევით როდი შეადარა იოსებ სტალინი კატას, რომელიც თანდათან ვეფხვად გადაიქცა. ამ ცოტა ხნის წინათ, საარქივო მონაცემის საფუძველზე, დადგინდა, რომ სსრ კავშირის მომავალი ბელადი დაიბადა არა 1879 წლის 21 დეკემბერს, როგორც აქამდე ითვლებო-

და, არამედ ერთი წლით ადრე, კერძოდ, 1878 წლის 6 დეკემბერს. ეს წელი კი ჩინური ჰოროსკოპის თანახმად, მიჩნეულია ვეფხვის წლად. **ამდენად, ასტროლოგიური თვალსაზრისით, სტალინი – ვეფხვი-მშვილდოსანი იყო.**

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ სახალხო კომისარმა ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვმა (1890-1986), თავის ქართველ მეგობარს გურამ კახიძეს 1980 წელს ასეთი ისტორია მოუყვა: „როცა გერმანია ფარულად შეუდგა მზადებას ჩვენზე თავდასასხმელად, თქვენი თანამემამულე, ემიგრანტი მწერალი გრიგოლ რობაქიძე... მისულა გებელსთან და უკითხავს:

– „როგორც ყური მოვკარი, თქვენ ომს იწყებთ რუსეთის წინააღმდეგ“.

გებელსი ახლო ურთიერთობაში ყოფილა რობაქიძესთან და ამიტომაც გამოტეხილად უთქვამს:

– „დიახ, ჩვენ ვემზადებით რუსეთთან საომრად!“

– „ეს ძალზე ცუდია!“ – უთქვამს მაშინ რობაქიძეს.

– „დიახ, ძალიან ცუდი იქნება რუსეთისათვის!“

– „არა!“ – შეუწყვეტინებია მისთვის რობაქიძეს, – “რუსეთისათვის კი არ იქნება ცუდი, არამედ თქვენთვის, გერმანიისათვის!“

– „ეს როგორ?“ – გაუკვირდა გებელსს, – “ჩვენი შეიარაღებული ძალები ხომ უძლიერესია მსოფლიოში?“

– „შეიძლება, თქვენ ასე მიგაჩნდეთ, მაგრამ... მე თქვენთვის სიკეთე მსურს და ამიტომ გაფრთხილებთ: გადაეცით თქვენ ფიურერს, რომ არ დაუშვას გამოუსწორებელი შეცდომა – ომი არ დაიწყოს რუსეთთან, თორემ აუცილებლად წააგებს ამ ომს“.

ამის საპასუხოდ გებელსს იქედნურად გასცინებია და უთქვამს:

– „მე, ცხადია, ჩვენს ფიურერს მოვახსენებ ყველაფერს, მაგრამ ეს უბრალოდ აბსურდია და მეტი არაფერი“.

გებელსს შეუსრულებია თავისი სიტყვა და ჰიტლერისათვის რობაქიძის ნათქვამი მოუხსენებია. როგორც ჩანს, ჰიტლერიც დაინტერესებულა, რატომღაც თავისთან დაუბარებია რობაქიძე და მის მიერ გებელსთან ნათქვამის განმარტება მოუთხოვია მისთვის:

– „თქვენ ჩემთვის შემოგითვლიათ, რუსეთთან ომი არ დაიწყოსო. რატომ განაცხადეთ ასე?“

– „ბატონო ფიურერო! მე რომ ეს განვაცხადე, მაქვს ამის მიზეზი“.

– „მაინც რა მიზეზია ასეთი?“ – დაინტერესდა ჰიტლერი.

– „ახლავე მოგახსენებთ: ოდითგანვე საქართველო მტერთან ბრძოლაში იმიტომ მარცხდებოდა, რომ არ ჰყოფნიდა ცოცხალი ძალა – მებრძოლები, ჯარისკაცები, თორემ მხედართმთავრები ბევრზე-ბევრი ჰყოლია და მერე როგორი! სულ ერთმანეთზე უკეთესები... რუსეთს, საქართველოსგან განსხვავებით, პირიქით სჭირდა – ცოცხალი ძალა, ჯარისკაცი თავზე საყრელად ჰყავდა, მხედართმთავრები კი ძალიან ცოტა. ისიც უვარგისები. **დღეს რუსეთს უზარმაზარი სამხედრო ძალა გააჩნია და პლიუს ამას, ამ ძალას ქართველი ხელმძღვანელობს, უნიჭიერესი სარდალი და მსოფლიო რანგის დიდი პოლიტიკოსი** (ხაზგასმა ჩვენია. ნ. ჯ).

არ იფიქროთ, რომ მე ქართველი ვარ და ქართველს ვიცავდე, მისი მხარე მეჭიროს. არავითარ შემთხვევაში! პირიქით, მე მისი დაუძინებელი მტერი ვარ და მისი კარგი არ მსურს. მაგრამ არ შემიძლია ობიექტური არ ვიყო და ობიექტურად არ შევაფასო სტალინის დადებითი მხარეები, იმისი შესაძლებლობანი, ნიჭი და შორსმჭვრეტელობა. სტალინი ყოველგვარ შესაძლებლობას გამოიყენებს და თქვენს არმიას გააცამტვერებს“! [8, 197-198].

3) 1943 წლის 28 ნოემბერს თეირანში დაიწყო მოკავშირე სახელმწიფოების ლიდერთა კონფერენცია, რომელიც 1 დეკემბრამდე გაგრძელდა.

იმ პერიოდში ირანის შაჰინშაჰი იყო 24 წლის მოჰამად რეზა ფაჰლავი (1919-1980), რომელსაც თავისი ახალგაზრდული ასაკისა და არამყარი მდგომარეობის გამო, სერიოზულ ფიგურად არ მიიჩნევდნენ.

თეირანში ჩასვლის პირველ დღეებშივე სტალინმა გადაწყვიტა მოენახულებინა ამ ქვეყნის მეთაური. სტალინს უთხრეს, რომ შაჰინშაჰი თვითონ ეახლა აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტს და მათმა საუბარმა ხუთიოდე წუთს გასტანა, ხოლო ჩერჩილმა იგი მისაღებში აყურყუტა, შემდეგ კი აუდიენცია სამ წუთში დაამთავრა... ბუნებრივია, რომ ასეთი მიღებით ფრიად უკმაყოფილო დარჩა როგორც თვით მონარქი, ასევე ირანის ელიტაც...

თეირანში ჩასული სსრკ დელეგაციის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი კაპიტონ ნაჭყებია იგონებდა: **“სტალინმა მითხრა – „შაჰს უნდა ვეწვიოთ, ვინაიდან სტუმრის ვალია, ეახლოს მასპინძელს, ვის მიწა-წყალზეც იმყოფებაო“** (ხაზგასმა ჩვენია. ნ. ჯ).

შაჰს წინასწარ შევატყობინეთ მოსალოდნელი ვიზიტი, მაგრამ ზუსტი დრო არ გვითქვამს... სასახლეში შეგვიძღვნენ. შაჰი ისე

დაიბნა, რომ მუხლებზე დაემხო და სტალინს მხსნელი უწოდა. სტალინმა ფეხზე ააყენა. გაიმართა საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი. ილაპარაკეს ირანის ტერიტორიაზე ბაზების განლაგებისა და საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ.

უკან რომ ვბრუნდებოდით, სტალინი ქართულად გაგვესაუბრა: „აფსუს, ნეტავ, ახლა, გიორგი სააკაძე ააყენა და მუხლმოდრეკილი სპარსეთის შაჰი დაანახაო“ [13].

შაჰინშაჰთან სტუმრობის ინიციატივის გამოჩენითა და სტუმრობით სტალინმა უმალ მოიგო იმდროინდელი ირანის საზოგადოების გული, რომელიც რუზველტისა და განსაკუთრებით ჩერჩილის საქციელის გამო, თავს დიდად შეურაცხყოფილად გრძნობდა. ამით მან დაამტკიცა, რომ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხსენებულ ლიდერებზე შორსმჭვრეტელი და ლავირების უნარის მქონე პოლიტიკოსი იყო.

ვფიქრობთ, შემთხვევითი სულაც არ იყო ის ფაქტი, რომ იმ ისტორიულ შეხვედრაზე სტალინმა თან იახლა მხოლოდ ქართველები: სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ლავრენტი ბერია** (1899-1953), პირადი დაცვის უფროსი, გენერალი **შალვა წერეთელი** (1894-1955), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, გენერალი **გრიგოლ კარანაძე** (1902-1970) და საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, ზემოხსენებული გენერალი **კაპიტონ ნაჭყებია** (1902-1973) [26, 129].

4) ირანის შაჰინშაჰი არ ყოფილა ერთადერთი სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც სტალინის წინაშე დაიჩოქა. მეორე ასეთი ფაქტი მოხდა 1949 წლის მიწურულს, მოსკოვში, როდესაც დიდი ზეიმით აღინიშნა სსრ კავშირის ბელადის დაბადების 70 წლისთავი. მოსკოვში ჩასულ საპატიო უცხოელ სტუმართა შორის იმყოფებოდა ჩინეთის იმდროინდელი ლიდერი მაო ძედუნი (1893-1976).

აღნიშნული ფაქტის თვითმხილველი, გამოჩენილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი (1894-1974) იგონებდა: „კრემლის უზარმაზარ სადღესასწაულო დარბაზში ჩამწკრივებული პოლიტბიუროს წევრების წინ დგას სტალინი და სტუმრებს ხვდება. იღება დარბაზის უზარმაზარი კარი და შემოდის ჩინეთის დელეგაცია, რომელსაც მაო ძედუნი მოუძღვის. იგი უახლოვდება სტალინს, უეცრად მუხლებზე ეცემა და ფეხებზე ეხვევა. სწორედ იმ მომენტში, იქ შეგროვილ უამრავ სტუმარსა და და კინოოპერატორს შორის, სტალინმა მე მომძებნა და, ნამდვილად არ მომჩვენებია, თვალნათლივ და-

ვინახე, რომ თვალი ჩამიკრა. იმ წუთში მას ნამდვილი თბილისელი კინტოს გამომეტყველება ჰქონდა“ [23].

იოსებ სტალინის ასული – სვეტლანა (1926-2011) თავის ქართველ მეგობართან გურამ კახიძესთან საუბარში იგონებდა: „ჩინელი ხალხის ბელადი გამოეყო დელეგაციას, სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა მამასაკენ. რომ მიუახლოვდა, უცებ დაიჩოქა და ჩექმებზე დაუწყო კოცნა. მამამ მხრებში ჩაავლო ხელი, წამოაყენა, მოეხვია და გადაკოცნა... ეს დიდზე დიდი პატივი იყო, რადგანაც მამამ საერთოდ არ იცოდა კოცნა და არ მახსოვს, ვინმესთვის ეკოცნოს ოდესმე“ [8, 631-632].

ვფიქრობთ, რომ რაც სტალინმა შეძლო (ვგულისხმობთ მის წინაშე ჩინეთის ლიდერის დაჩოქებას), ამას მომავალში ვერცერთი ქვეყნის ლიდერი ვეღარ მოახერხებს.

5) იოსებ სტალინი სამი ათეული წლის განმავლობაში სათავეში ედგა უზარმაზარ სახელმწიფოს – სსრ კავშირს, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილსაც რუსები წარმოადგენდნენ. ასეთი ქვეყნის ბელადი, რასაკვირველია, ვალდებული იყო, რომ ხსენებული ერის მიმართ, განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოხატულებად იქცა 1945 წლის 24 მაისს, ომში გამარჯვებული წითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად კრემლში გამართულ ბანკეტზე სტალინის მიერ წარმოთქმული შემდეგი სადღეგრძელო:

„Товарищи, разрешите мне поднять еще один, последний тост.

Я, как представитель нашего Советского Правительства, хотел бы поднять тост за здоровье нашего Советского народа, и, прежде всего, русского народа *(Бурные, продолжительные аплодисменты, крики „ура“).*

Я пью, прежде всего, за здоровье русского народа потому, что он является наиболее выдающейся нацией из всех наций, входящих в состав Советского Союза. Я поднимаю тост за здоровье русского народа потому, что он заслужил в этой войне и раньше заслужил звание, если хотите, руководящей силы нашего Советского Союза среди всех народов нашей страны.

Я поднимаю тост за здоровье русского народа не только потому, что он – руководящий народ, но и потому что у него имеется здравый смысл, общеполитичесий здравый смысл и терпение.

У нашего правительства было не мало ошибок, были у нас моменты отчаянного положения в 1941-1942 гг., когда наша армия

отступала, покидала родные нам села и города Украины, Белоруссии, Молдавии, Ленинградской области, Карело-Финской республики, покидала, потому что не было другого выхода. Какой-нибудь другой народ мог бы сказать: вы не оправдали наших надежд, мы поставим другое правительство, которое заключит мир с Германией и обеспечит нам покой. Это могло случиться, имейте в виду.

Но русский народ на это не пошел, русский народ не пошел на компромисс, он оказал безграничное доверие нашему правительству. Повторяю, у нас были ошибки, первые два года наша армия вынуждена была отступать, выходило так, что не овладели событиями, не совладали с создавшимся положением. Однако, русский народ верил, терпел, выжидал и надеялся, что мы все-таки с событиями справимся.

Вот за это доверие нашему Правительству, которое русский народ нам оказал, спасибо ему великое!

За здоровье русского народа! *(Бурные, долго несмолкающие аплодисменты)"* [34, 338-339].

აკად. შალვა ხიდაშელმა შემოგვინახა საყურადღებო ცნობა, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინის მიერ წარმოთქმულმა სადღეგრძელომ რუს მეომრებზე. იმხანად შ. ხიდაშელი საბჭოთა არმიის ოფიცრის რანგში იმყოფებოდა ბალტიისპირეთში, სადაც საბრძოლო მოქმედებები ბერლინის დაცემის შემდეგაც კი გრძელდებოდა.

მოგონებაში ვკითხულობთ: „სტალინის სიტყვას... ერთად ვისმენთ... მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობა, სამხედრო საბჭოს წევრი, შტაბის სამართველოთა უფროსები... ყველა დიდი ინტერესით ისმენს სიტყვას, ხოლო როდესაც რადიორეპროდუქტორში რუსი ხალხისადმი მადლობის სიტყვები გაისმა, სამხედრო საბჭოს წევრმა, გენერალმა გარშინმა თავი ველარ შეიკავა და თვალებიდან ცრემლები წამოაფრქვია" [24, 279-280].

ამ სიტყვებით იოსებ სტალინმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა რუს ხალხზე, რომელმაც II მსოფლიო ომში მართლაც კოლოსალური მსხვერპლი და ტიტანური ენერგია გაიღო. მსგავსი რევერანსების გარეშე რუსი ხალხის კეთილგანწყობის შენარჩუნებას იოსებ სტალინი ვერ შეძლებდა.

ზემოთმოყვანილი ფაქტები უდავოდ მეტყველებს იოსებ სტალინის, როგორც მსოფლიო რანგის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის გონიერებასა და შორსმჭვრეტელობაზე.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ისიც გავარკვიოთ, თუ რამდენად ახსოვდა სსრ კავშირის ბელადს თავისი ქართული ფესვები. საგულისხმოა, რომ მასში დროდადრო მაინც „იფეთქებდა“ ხოლმე ქართველობა. ქვემოთ მოვიყვანთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე ფაქტს.

1) გრიგოლ რობაქიძე თავისებურად ხსნიდა მისი საძულველი სსრ კავშირის ბელადის ხასიათის ქართულ გამოვლინებებს. იგი შენიშნავდა: „საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა. ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია.“მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშიში ზემოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის, და შესაძლოა, მთელი მსოფლიოს ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის, შეუდრეკელი, დროებით დენის ქსელიდან გამობობღდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესღა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: – “მაგათი დედა კი ვატირე!“ [14, 575-576].

2) კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ლიდერის რანგში 1938-1952 წლებში სისტემატურად ხვდებოდა იოსებ სტალინს, სსრ კავშირის ბელადის ხასიათის „ქართულ გამოვლინებებს“ ასე იგონებდა: „თუ ორნი ვიყავით, როგორც წესი, ქართულად ლაპარაკობდა, რაც მის ნაამბობს ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების შესახებ განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევდა... როცა ი. სტალინი ქართველ გლეხებს გაიხსენებდა, სახე ღიმილით გაუნათდებოდა. ეტყობოდა, ის ბავშვობიდანვე მოხიბლულა მათი უბრალოებით, ჯავარიანი სიტყვით, პირდაპირობით, უსაზღვრო ამტანობით... იუმორით იყო გამთბარი მისი მონათხრობი ქართული სოფლის ყოფით დეტალებზე... „ქართლელი გლეხი გამძლე და უბოროტოა“ [21, 469-473], – განუცხადებია სტალინს.

ცნობილია, რომ იოსებ სტალინს ფართო ინტერესები ჰქონდა და ბევრს კითხულობდა. ის საკმაოდ კარგად ერკვეოდა მეცნიერების ცალკეული დარგების, მათ შორის ისტორიის საკვანძო საკითხებში. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მან მოუწოდა გამო-

ჩენილ ქართველ მეცნიერებს, აკადემიკოსებს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს, რათა მათ მომავალში უფრო ვრცლად გაეშუქებინათ საქართველოს ძველი ისტორიის ძირითადი პრობლემები და მათ შორის, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხიც.

კ. ჩარკვიანი იგონებდა: „სტალინი იყო დიდი, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი... ყველაფერს თავისი ხელით წერდა. არავითარი მდივანი, არავითარი თანაშემწე მას არაფერს უწერდა. თვით ნოტები, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროდან რომ უშვებდნენ, სანახევროდ სტალინის დაწერილი იყო... დაჯილდოებული იყო მწერლის, პუბლიცისტის ნიჭით... უაღრესად განათლებული კაცი იყო, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგებში... გამუდმებით კითხულობდა... ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა....

მე მასთან ჩავიყვანე ჩვენი ისტორიკოსები, ჯანაშია და ბერძენიშვილი. ადრე სტალინს გავუგზავნე საქართველოს ისტორიის მაკეტი... იწერებოდა ივანე ჯავახიშვილის, ჯანაშიას და ბერძენიშვილის მიერ...

1945 წელს დამირეკა... – „სოჭში ვარ. თქვენი მაკეტი წავიკითხე, მაქვს ერთი შენიშვნა და ხომ არ შეგიძლიათ ავტორები ჩამოიყვანოთ ჩემთანო?“

ჩავედით დილით სტალინთან, შეგვხვდა ღიმილით და მიგვიპატიჟა აგარაკზე. ყველას თავისი ოთახები გამოუყვეს. შემდეგ გაიმართა სადილი. სადილზე დაიწყო სტალინმა საუბარი. ერთი შენიშვნა ჰქონდა – თუ რატომ არ იყო ქართული ანბანის საკითხი და წარმოშობა უფრო კარგად აღწერილი.

– „ამბობენ, რომ ქართული ანბანი შექმნა ვინმე სომეხმა მოღვაწე მესროპმაო. ამის შესახებ თქვენთან არაფერია ნათქვამი. თუ არ ეთანხმებით ამ აზრს, უნდა იყოს ნათქვამი და თუ არ ეთანხმებით, ესეც უნდა იყოს წიგნში“...

ჯანაშიამ ეს საკითხი ასე განმარტა:

– „ჩვენ ეს ფაქტი არ მოვიტანეთ წიგნში იმიტომ, რომ ეს მოსაზრება არ მიგვაჩნია სწორად. ჩვენი ანბანი უფრო ძველია, ვიდრე მესროპის მიერ შექმნილი ანბანი... ჩვენ ამაზე უნდა გვეთქვა, მაგრამ ანგარიში გავუწიეთ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის მეცნიერებს, რომლებიც ამ ამბავს ძალიან მწვავედ განიცდიან“.

ეს სტალინს ძალიან გაუკვირდა:

– „მეცნიერება იმიტომ არის მეცნიერება, რომ არ უნდა უწევდეს ანგარიშს ზოგიერთ არამეცნიერულ შეხედულებას. თქვენ

ეს უნდა გეთქვათ... სიმართლე არ უნდა დაიფაროს. ასე რომ, თქვენ მოგიხდებათ ამის გასწორება წიგნში“.

შემდეგ დაიწყო ლაპარაკი მსოფლიო ისტორიის საკითხებზე, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ისტორიაზე... სტალინისაგან რომ გამოვედით, ბერძენიშვილმა მითხრა: – „ზღვა ცოდნა ჰქონიაო“. ისინი განცვიფრებულნი დარჩნენ სტალინის ერუდიციით. ეს პირველი შეხვედრისას და შემდეგი შეხვედრებისას კიდევ უფრო გაძლიერდა მათში ეს შეხედულება“ [20, 72-76].

ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია კანდიდ ჩარკვიანის შემდეგი მოგონება: „სტალინი თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ოფიციალურ ვითარებაში ატარებდა... დროდადრო განმუხტვა ესაჭიროებოდა. ჩემი დაკვირვებით, ი. სტალინი ამის საშუალებას მშობლიურ სამყაროსთან შეხებაში ეძებდა. ეს უნდა იყოს მიზეზი მისი შეუნელებელი ინტერესისა ქართული ლიტერატურისადმი. ჩვენ მას ყველა მნიშვნელოვან გამოცემას ვუგზავნიდით... აღარას ვიტყვი ქართულ სიმღერებზე. აგარაკზე იყო ქართული გრამფირფიტების დიდი კოლექცია, რომელიც უქმად არ ინახებოდა. ჩვენი სტუმრობისას ი. სტალინი ჩართავდა რადიოლას და ქართულ მელოდიებს სიამოვნებით ისმენდა. მას საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები მოსწონდა, თითოეულ მათგანში რაღაც განსაკუთრებულ ღირსებას პოულობდა. კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა ი. სტალინს საქართველოდან ჩამოსულებთან შეხვედრა... არ ივიწყებდა თავის სკოლისდროინდელ და სემინარიელ ამხანაგებს. ზოგიერთ მათგანთან, რამდენადაც დრო საშუალებას აძლევდა, კიდევაც მეგობრობდა... სტალინისათვის უცხო იყო ადამიანებისადმი სექტანტური დამოკიდებულება. ცხოვრებას ის ფართოდ უყურებდა. მთავარი იყო, რას წარმოადგენდა თვითონ პიროვნება...

1948 წლის ოქტომბერში... ცივ წყაროზე... საუბარი ქლუხორის რაიონზე ჩამოვარდა. ეს რაიონი საქართველოსთვის ორი წლის გადმოცემული იყო.

– „აი, საკავშირო მთავრობამ ტერიტორიაც მოგიმატათ“, – თქვა ი. სტალინმა და კაბინეტიდან სსრ კავშირის რუკა მოატანინა...

ყარაჩაელთა ოლქის, ჩეჩენ-ინგუშთა და ბალყართა ტერიტორიის ნაწილის საქართველოსათვის გადმოცემა იმთავითვე არ მახარებდა... მაგრამ რა უნდა გვექნა, ასეთი იყო სტალინის ნება და ჩვენც უნდა დავმორჩილებოდით. საქართველოს ხელმძღვანელობას ეს მიწები არ უთხოვია... ამავე დროს, ძველისძველი ქართული

პროვინციის – ჰერეთის ტერიტორია ქართული ისტორიული ძეგლებითა და, რაც მთავარია, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართული მოსახლეობით, აზერბაიჯანის ფარგლებში რჩებოდა. ჩემს არაერთგზის თხოვნაზე – განეხილა ცენტრალურ კომიტეტს საინგილოს საქართველოსათვის გადმოცემის საკითხი, ი. სტალინი სხვადასხვა მოტივით უარყოფით პასუხს იძლეოდა... 1945 წელს... ირანის აზერბაიჯანში ფართო მასშტაბი მიიღო მოძრაობამ საბჭოთა აზერბაიჯანთან შეერთებისათვის.

– ვნახოთ, საქმე როგორ დამთავრდება, – თქვა სტალინმა, – თუ სამხრეთი აზერბაიჯანი შემოგვიერთდა, საინგილოს საკითხიც მოგვარდებაო...

უნდა შევჩერდე ქართული კულტურისათვის ერთ, მეტად მნიშვნელოვან მომენტზე, რომელიც სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. საქმე ეხება მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი ქართული ისტორიული განძის გამოხსნას და საქართველოში დაბრუნებას... აქ პირველი და გადამწყვეტი ი. სტალინის სიტყვა იყო... თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა სტალინი ამ ოპერაციას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის პირადად ესაუბრა პეტრე შარიას პარიზში გამგზავრების წინ... განძეულის დაბრუნება მთელი ჩვენი კულტურის ზეიმი იყო“ [21, 495-508].

ვფიქრობთ, საყურადღებოა კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებში დაცული ცნობები იმის თაობაზე, თუ რამდენად მოიაზრებდნენ ბელადის ნაშიერები თავს ქართველებად და აგრეთვე ისიც, თუ როგორი იყო მათდამი მამის დამოკიდებულება.

კ. ჩარკვიანი იგონებდა: „იაკობს არ შევხვედრივარ. ვასილი ომის შემდეგ გავიცანი. მაშინ ის უკვე გენერალი და საბჭოთა არმიის საავიაციო ჯარების სარდალი იყო. სახლში მიმიპატიჟა. კრემლთან, ბოროვიცის ჭიშკრის ახლო მდებარე ცალკე სახლში ცხოვრობდა... ბინაში შესვლისთანავე კაბინეტისაკენ გამიძღვა, კარი შეაღო და „ეს ჩემი საქართველოაო“ მითხრა. ოთახი მართლაც ქართული აქსესუარებით მოეწყო... ნოხს ამკობდა ზედ მიმაგრებული ქართული იარაღი: ხანჯლები, ხმლები, კაჟიანი დამბაჩები, მგონი ძველებური თოფიც. ეს საბრძოლო სიმბოლოები ოჯახის თავს ყოველდღიურად აგონებდნენ მამის შორეულ სამშობლოს, რომელიც მას ქვეცნობიერად უთუოდ უყვარდა.

სტალინი ვასილის ცხოვრების წესით უკმაყოფილო იყო. არ მოსწონდა მისი განქორწინებები. განსაკუთრებით იმას წუხდა, რომ ვასილი განუწყვეტლად სვამდა.

– „ვლასიკმა და მისმა თანამშრომლებმა დამიღუპეს შვილი, სმას შეაჩვიესო“, – მითხრა მან 1951 წელს, ბორჯომში, ვასილის სტუმრობისას, – რაღა კაცია, ჭამაც კი უჭირს, ისე გაიფუჭა კუჭიო.

უფრო ხშირად შევხვედრივარ სვეტლანას. 1939-1940 წლებში სვეტლანა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მიკვირდა, რომ სტალინი, ეს ბუნებით სრულიად არასენტიმენტალური კაცი, შვილის მიმართ უჩვეულო სინაზეს იჩენდა...

ომის შემდეგ, სვეტლანას, უკვე მეორედ გათხოვილ ქალს, რამდენჯერმე შევხვდი. ნაკითხი და დინჯი ადამიანი შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, მას მამის სიჯიუტე დაჰყოლოდა...

სტალინი, ჩემი დაკვირვებით, რევოლუციურ მოძრაობაში პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე დარწმუნებული ფანატიკოსი იყო: სოციალიზმის იდეის გასამარჯვებლად არავითარ მსხვერპლს არ მოერიდებოდა. ასეთი იყო მისი კრედო რევოლუციამდე, ასეთი დარჩა იგი რევოლუციის შემდეგ. თვით საკუთარი ოჯახისადმი დამოკიდებულებაშიც სტალინი ამ თვალსაზრისიდან ვერ გამოდიოდა. დედით დაობლებული შვილების პატრონობისათვის ის ვერ იცლიდა. სხვებზე და სკოლაზე მინდობილი ბავშვები, ბუნებრივია, ნორმალურ აღზრდას ვერ მიიღებდნენ. და მართლაც, ვაჟი ალკოჰოლიკი გამოვიდა, ქალი კი ჯიუტი და თავნება. პირველმა ცხოვრება ადრე და ცუდად დაამთავრა, ხოლო მეორემ სამშობლო ორჯერ მიატოვა და მამასა და მის ოჯახს უცხოეთში გამოცემული პასკვილებით თავს ლაფი გადაასხა.

მხოლოდ უფროსმა ვაჟმა ასახელა ჯუღაშვილების გვარი, მაგრამ ის ხომ 14 წლამდე, ე. ი. იმ ასაკში, როცა პიროვნების ხასიათის ძირითადი ნიშნები ყალიბდება, ეკატერინე ჯუღაშვილთან და სვანიძეებთან იზრდებოდა.

რაც შეეხება სტალინის ფანატიზმს, ახლა საკმაოდ ცნობილია, რომ მან ჩვენს ქვეყანას ბევრი უბედურება მოუტანა“ [21, 503-507].

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, თავისი ვაჟის, გელა ჩარკვიანის შეკითხვაზე, აღიქვამდა თუ არა სტალინს ქართველ კაცად, უკვე ღრმად მოხუცებულმა კანდიდ

ჩარკვიანმა ასე უპასუხა: „რასაკვირველია, მე მას აღვიქვამდი როგორც ქართველს, პირველ რიგში, მაგრამ ქართველს, რომელიც ძალიან მაღალ საფეხურზე იყო ასული და განაგებდა ქვეყანას, სადაც ქართველები გადამწყვეტ როლს არ თამაშობდნენ. სტალინის ქართველ კაცად აღქმის უფლებას მაძლევდა ის, რომ იგი ლაპარაკობდა მშვენიერი ქართულით... მშობლიური ენა ძალიან ღრმად იყო მასში ჩანერგილი... განსაკუთრებულ მდგომარეობაში საქართველო სტალინის დროს არ ყოფილა, თუმცა საქართველოში გავრცელებული აზრი, რომ სტალინმა სრულებით არაფერი არ გაუკეთა საქართველოს, მცდარია. ძალიან ბევრს ფიქრობდა ჩვენი მეურნეობის განვითარებაზე, ციტრუსების, ჩაის და მევენახეობის შესახებ... მარტო ის, რომ პირდაპირ მასთან ვაყენებდი ამა თუ იმ საკითხს, ესეც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ეს საკითხები დადებითად გადაჭრილიყო. მაგალითად, ავიღოთ მეტალურგიული ქარხნის აშენება, ელექტროსადგურების მშენებლობა...

1951 წელს... მოვუყევი, რომ თბილისი ასეთ მდგომარეობაშია, ქუჩაში გავლა ძალიან ძნელია, ქალაქი გაჭიმულია ორმოც კილომეტრზე და სიგანე არა აქვს. ავუხსენი, რომ მეტროპოლიტენის გარდა, სხვა ვერაფერი შეგვიმსუბუქებდა მუშაობას და ცხოვრებას... რომ თბილისი არის ამიერკავკასიის სარკინიგზო კვანძი და ომის შემთხვევაში თბილისს დაბომბავდნენ. არავითარი თავშესაფარი ქალაქში არ იყო და მეტროპოლიტენი თავშესაფარი იქნებოდა. მოსკოვის მეტროპოლიტენმა გვიჩვენა ეს...

– „კარგიო, – თქვა, – დაწერეთ წერილი, რომ განიხილონ მოსკოვში საგეგმო კომიტეტშიო“...

მაშინვე ვაფრინე კაცი მოსკოვში... გრიშა ზამბახიძე... საგეგმო კომიტეტში რომ შევედიო, მომახსენა ზამბახიძემ, რომელ კაბინეტშიც კი არ შევედი, მითხრეს: – „ცხოვრობდით უმეტროპოლიტენოდ, ახლა მეტროპოლიტენი მოგინდათო?“... მოკლედ, ძალიან არ ესიამოვნათ, მაგრამ სტალინის განკარგულებას წინ ვერავინ დაუდგებოდა. ეს იყო საკავშირო მშენებლობა. საქართველო თავისი ბიუჯეტიდან ამას ვერ მოახერხებდა“ [20, 25-110].

კანდიდ ჩარკვიანის ვაჟის, ბატონი გელა ჩარკვიანის ცნობით, იოსებ სტალინმა თბილისის მეტროპოლიტენის აშენებაზე თანხმობა განაცხადა 1951 წლის ზაფხულში, როდესაც ის ლიკანში ისვენებდა.

3) 1963 წლის 1 ივნისს თბილისს ეწვივნენ სსრ კავშირის იმდროინდელი მესვეური ნიკიტა ხრუშჩოვი და კუბის ლიდერი ფი-

დელ კასტრო. მათი ერთ-ერთი მასპინძელი იყო ზემოხსენებული დევი სტურუა, რომელიც იგონებდა: „საღამოს, ფუნიკოლიორის რესტორანში გაიმართა ვახშამი მაღალი სტუმრების საპატივცემულოდ. კასტრო და ხრუშჩოვი შესანიშნავ ხასიათზე გახლდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ...

ხრუშჩოვი ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე ლაპარაკობდა, რაც ხელს უწყობდა მისი კოლორიტული და უშუალო არსის გამომზეურებას. სხვათა შორის, მიქოიანი მეუბნებოდა, რომ ხრუშჩოვს არ შეუძლია დაფაროს ან დიდხანს შეინახოს რაიმე აზრი, ესა თუ ის შეხედულება ადამიანზე თუ მოვლენაზე. ამიტომ, მასთან მიმნდობი საუბარი ყოველთვის საფრთხილო იყო. ნამუსს არ შეგინახავდა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი სიტყვის ერთი პასაჟი: „მე ვიყავი საქართველოში ოცდაერთ წელს და ახლა – სამოცდასამში. რა შეიძლება ითქვას? ქართველებს მზერა აშკარად გაუთბათ. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. იყო დრო, როცა ქართველები – ჩვენ, რუსებს, მგლებივით გვიცქერდნენ. ასე იყო მაგალითად, 1921 წელს. მე მაშინ პირველად შემოვდგი ფეხი საქართველოში XI არმიის რიგებში... მოგვიანებით მე როგორღაც ვუთხარი ამის შესახებ სტალინს და იცით რა მიპასუხა მან?

– „აბა რას ელოდი? შენ ხომ როგორც ოკუპანტი შეხვედი საქართველოში და როგორ უნდა შეხედო ოკუპანტს?“ (ხაზგასმა ჩვენია. ნ. ჯ.).

საინტერესოა, რომ ხრუშჩოვმა არ ჩათვალა საჭიროდ სტალინის ამ სიტყვების გაბათილება, რომლებიც საქართველოს ოკუპაციას შეეხებოდა. ჩანს, თვითონაც თვლიდა, რომ საქართველო 1921 წლის თებერვალში ოკუპირებული იყო... მაგრამ მაშინ ამის მოსმენა № 1 კომუნისტისაგან, თანაც სტალინის დამოწმებით, მართლაც რომ განსაცვიფრებელი იყო“ [17, 103-104].

4) იოსებ სტალინს სხვადასხვა ეროვნების მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა და დღესაც ჰყავს. ყველა თავისი საზომით აფასებს სსრ კავშირის ბელადს, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა. ვისაც როგორი აზრი არ უნდა ჰქონეს მის შესახებ, დადებითი თუ უარყოფითი, ფაქტია, რომ ის არის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველი.

საღად მოაზროვნე ქართველი პატრიოტი მოღვაწენი, რომელთაც ცხოვრება სტალინური რეჟიმის პირობებში მოუწიათ, შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, რომ სსრ კავშირის ხელისუფლების მწვერვალზე მოქცეულ ყოვლისშემძლე ბელადში გამოეღვიძე-

ბინათ ქართველობა და მისი ენერგია საქართველოს ინტერესების სასიკეთოდ მიემართათ. მათ შორის გამოირჩეოდა გიორგი ლეონიძე, რომელმაც იოსებ სტალინს არაერთი მაღალი მხატვრული ღირსების მქონე ნაწარმოები მიუძღვნა.

ამასთან დაკავშირებით პოეტი და პუბლიცისტი სილოვან ნარიმანიძე (1925-2007) მართებულად შენიშნავდა: "საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიდანვე ათვალისწუნებული ჰყავდათ იოსებ ჯუღაშვილი. მას უცხო მხარეში უხდებოდა მეგობრებისა და თანამოაზრეების ძებნა. საქართველოს ინტელიგენციის ორჭოფულმა დღევანდელმა და ისტორიულმა ხასიათმა თავიდანვე არ მიიღო იგი... ისიც ხომ ვიცით, თუ როგორ შეხვდა მას თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი. სტალინი, რომელიც უდიდესი შურისმაძიებელი იყო, გულმოსული წავიდა საქართველოდან. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ყველაზე ძლიერი მაინც უსამშობლოობის განცდაა, რასაც, ჩემი აზრით, ძალიან განიცდიდა სტალინი. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ 30-იან წლებში ჩატარებული მწერალთა საკავშირო ყრილობა, სადაც სტალინმა ოდნავ მოიხედა ჩვენსკენ, რეაბილიტაცია იყო და თავის უფლებებში აღადგინა ყველა მანამდე დევნილი ჩვენი კლასიკოსი, განსაკუთრებით კი რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე, სხვებიც.

გიორგი ლეონიძემ თავიდანვე დაისახა მიზნად სტალინის მსოფლმხედველობა შემოებრუნებინა საქართველოსაკენ... აქ მისი როლი ფასდაუდებელია. ის მოღვაწენი, ვინც 1936 წელს, მოსკოვში ჩატარებულ ქართული ხელოვნების დეკადას დაესწრნენ, ჰყვებოდნენ, თუ რა საოცრება მოხდა იქ, იმ დღეს, როდესაც თამარ ჭავჭავაძემ წაიკითხა გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი „რა ქარმა გზარდა, რა ღვარმა."

„სტალინი მაშინ ისე გაოგნდა, თურმე ადგილს ვერ პოულობდა. თითქოს იგი ხელახლა დაიბადა და იგრძნო უდიდესი ძალა, რომელიც სამშობლოს მთებიდან მოდიოდა, სიყვარული, რომელიც მშობლიური წიაღიდან მოედინებოდა. იმ გაუთავებელ ოვაციებში იბადებოდა ახალი დამოკიდებულება, ახალი რწმენა. არცერთ სხვა გარემოებას სტალინზე იმ პერიოდში არ მოუხდენია ასეთი გავლენა, რაც ამ ლექსმა მოახდინა... გიორგი ლეონიძემ უდიდესი როლი შეასრულა, რომ სტალინი სამშობლოსაკენ შემობრუნებულიყო და მასზე ეფიქრა" [12, 5].

აქვე უნდა ითქვას, რომ გ. ლეონიძემ ეს ლექსი დაწერა 1933 წელს, ანუ გაცილებით ადრე, ვიდრე სსრ კავშირში დაწყებული რეპრესიები მასობრივ ხასიათს მიიღებდა.

1961 წელს, თბილისში, ახლობელ-მეგობართა წრეში, გიორგი ლეონიძემ განაცხადა: **„სტალინი მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია ქართული ენერგიის უდიდეს გამოვლინებად; ეს, უპირველეს ყოვლისა, იქცევდა ჩემს ყურადღებას. ეს იყო ჩემთვის მთავარი, ეს და არა სხვა რამე!“** [9, 105].

დასანანია, რომ სტალინის უდიდესი ენერგია არ იდგა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში. ამის მიზეზთა შორის იყო როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობა, ასევე თვით ქართველთა შორის დამკვიდრებული სამწუხარო ტენდენცია – აიძულონ თავისი ნიჭიერი და უნარიანი თანამემამულე, რომ სამშობლო მიატოვოს და სხვა ქვეყნის სამსახურში ჩადგეს. მაგრამ სხვა ქვეყნის სამსახურში ჩამდგარ ყველა ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ მას, შესაძლოა, მოუწიოს საკუთარი ერის ეროვნული ინტერესების საზიანო ნაბიჯების გადადგმაც.

ასეთია ჩვენი დაკვირვებანი სტალინის წარმომავლობის, გარეგნობისა და პიროვნული ხასიათის ზოგიერთ თავისებურებასთან დაკავშირებით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გულჩინა აკოფაშვილი, ეგნატაშვილი ბერი, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2012.
2. იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის), თბილისი, 1997.
3. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბილისი, 1983.
4. ალექსანდრე გვახარია, ეგნატაშვილი (იგნატიევი) სიმონ იაგორის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2012.
5. ლევან დოლიძე, ეგნატაშვილი ალექსანდრეს იაკობის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2012.

6. როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბილისი, 2011.
7. იოსებ ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია. 1932 წელს ბერლინში, გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნის ქართული თარგმანი, თარგმნეს მ. ბადრიძემ და რ. ზექალაშვილმა, თბილისი, 2006.
8. კახიძე გურამ, იოსებ სტალინი (თანამედროვეთა მოგონებები სტალინზე), ბათუმი, 1995.
9. კვესელავა რევაზ, საგნები ჩვენთვის (ჩანაწერები), თბილისი, 2012.
10. გიორგი ლეონიძე, სტალინი (ეპოპეა), წიგნი I, ბავშვობა და ყრმობა, თბილისი, 1949.
11. შალვა მაღლაკელიძე, მოგონებები, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბილისი, 2012.
12. სილოვან ნარიმანიძე, გიორგი ლეონიძე – გაორებული? გაზეთში ლიტერატურული საქართველო, 22. IX. 2000.
13. კაპიტონ ნაჭყებია, თეირანი, 1943, ნოემბერი (მოგონება), გაზეთში გენერალისიმუსი, № 4 (52), თბილისი, 2004.
14. გრიგოლ რობაქიძე, ნაწერები, წიგნი I, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლ. ცომაიამ, თბილისი„ 2012.
15. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი, ფონდი 8, აღწერა 2, საქმე 15.
16. სტალინის დედის მოგონებები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან, თბილისი, 2012.
17. დევი სტურუა, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, თბილისი, 1995.
18. ვლადიმერ ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1959.
19. სოლომონ ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955.
20. გელა ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან, კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიას და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ, თბილისი, 2013.
21. კანდიდ ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბილისი, 2004.

22. იასე ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი (მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის), თბილისი, 1960.
23. მიხეილ ჭიაურელი, სტალინმა თვალი ჩამიკრა, გაზეთში კვირის პალიტრა, თბილისი, 2013, № 16 (976).
24. შალვა ხიდაშელი, უსათაურო მოგონებები, თბილისი, 1994.
25. თინათინ ჯავახიშვილი, წარსულიდან (მოგონებები), თბილისი, 1976.
26. ნიკო ჯავახიშვილი, ფაჰლავიანთა დინასტია და ქართველები, ჟურნალში ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი, 2009, ტ. VI.
27. ნიკო ჯავახიშვილი, უცნობი სტალინი (დაკვირვებანი მის წარმომავლობაზე, გარეგნობასა და პიროვნულ ხასიათზე), ჟურნალში ისტორიანი, № 11 (35), თბილისი, 2013.
28. Амилахвари А., История георгианская о юноше князя Амилахорове, которую рассказывает Усим купец Анатольский, Переведена на русский язык И. С. [Игнатьев/Эгнаташвили Семён], Санкт-петербург, 1779.
29. Бернштейн А., Михаил Геловани, Москва, 1991.
30. Газета „Москвские новости", Москва, 1998, № 12.
31. Дианин С., Бородин. Жизнеописание, материалы и документы. Под общей редакцией Н. Ф. Бэлза и В. А. Киселева. Москва, 1955.
32. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография. Второе издание, исправленное и дополненное. Составители: Александров Г. Ф., Галактионов М. Р., Кружков В. С., Митин М. Б., Мочалов В. Д., Поспелов П. Н., Москва, 1948.
33. Robakidse G., Die gemordete Seele, Roman, Eugen Diederichs Verlag, Jena, 1933.
34. Невежин В., Застолья Иосифа Сталина. Книга первая. Большие кремлевские приемы 1930-х – 1940-х, Москва, 2011.
35. www.regions.ge/2&newsid=2137&year=2009&position=news–category
36. www.e-reading.mobi/chapter.php/148847/20/Loginov–-–Teni–Stalina.-html

Niko Javakhishvili

Doctor of historical sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Unknown Stalin

(Observations on his provenance, appearance and personal character)

Summary

The authors presents his point of view on some peculiarities of the provenance, appearance and personal character of generalissimo Joseph (in georgian – Ioseb) Stalin (1878-1953), head of the USSR. The article reviews a supposition, which was widely disseminated in Georgia already in the 1920s: Ioseb Jughashvili was not a biological son of his official father – Visarion (in georgian – Besarion) Jughashvili, but of Jakob (in georgian – Iakob) Egnatashvili, resident of town Gori (Central part of Georgia), representative of Georgian gentry and prosperous vintner.

By means of this article the author presents his personal views on this subject and scrutinizes the arguments in favour of the aforesaid supposition.

The author proposes the following facts to prove Stalin's cognation with Egnatashvili (although we would be able to draw final conclusions only after the DNA-analysis):

1. Ioseb Jughashvili and Ekaterine Svanidze, his first wife gave birth to a son in 1907. According to Georgian tradition, the firstling male is given the name of his paternal grandfather. Therefore, Stalin should have named his firstling *Besarion*. But he was given the name of *Iakob*, i.e. the name of the man who was considered Stalin's biological father;

2. Ioseb Jughashvili and Nadezhda Alillueva, his second wife gave birth to another son in 1921. They named him *Vasil*, i.e. after the male, who was considered Stalin's brother. It is also noteworthy that Vasil Egnatashvili names his son *Koba*, i.e. Stalin's party sobriquet;

3. Ioseb Stalin never support Jughashvilis, the relatives and friends of his official father, whereas he spared no effort to favour Alexandre (1887-

1948) and Vasil (1888-1956), sons of Iakob Egnatashvili, i.e. his native brothers, according to the widespread rumours.

Alexandre Egnatashvili became general-leutenant of the USSR state security and served as the head of the department and administration of the State commissariat of the Ministry of Internal Affairs, head of the Administration of the governmental holiday houses in Crimea, commandant of the Kremlin, deputy to Nikolay Vlasik, head of the Chief administration of the governmental protection of the USSR. He was involved in the organization of the Tehran and Yalta conferences as well.

Vasil Egnatashvili was the deputy of the 3rd convocation Supreme council, Secretary of the Central Executive Committee of the Georgian SSR in 1938-1956.

თამარ დარჩია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორანტი

შტრიხები მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკური ბიოგრაფიიდან

მიხეილ გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობაზე 54 წლის ასაკში დაინიშნა. მას საშინაო პოლიტიკის სფეროში საკმაოდ სოლიდური გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი სტავროპოლში – საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონში, სადაც იგი ზედამხედველობას უწევდა უზარმაზარ (ძირითადად აგრარულ) ეკონომიკურ კომპლექსს, ხელმძღვანელობდა პარტიულ ორგანიზაციას განსაკუთრებულად მგრძნობიარე და პოტენციურად კონფლიქტური ჩეჩნეთის მეზობლად (მაშინდელი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან), რაც მისთვის, საბჭოური სტილის, თუმცა მაინც პირველი დიპლომატიური სკოლა გახლდათ.

სტავროპოლის მხარე ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი საკურორტო ადგილია რუსეთში. აქ რეგულარულად ისვენებდნენ სსრკ-ს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელები. სწორედ აქ გაიცნო გორბაჩოვმა ა. ნ. კოსიგინი და ი. ბ. ანდროპოვი. ანდროპოვთან გორბაჩოვს განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა, რომელმაც მოგვიანებით მას „სტავროპოლის თვითნაბადი ოქრო“ შეარქვა.

1978 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გორბაჩოვი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამავე წელს ის ოჯახთან ერთად მოსკოვში გადავიდა. თავდაპირველად იგი კურირებდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, თუმცა საბჭოთა ნომენკლატურის მიერ დამკვიდრებული წესები გარკვეულწილად ზღუდავდა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ინტერესებს მისი მოღვაწეობის სექტორის დონეზე.

გორბაჩოვის „დიპლომატიურმა ზრდამ“ სიჩქარე აკრიფა ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ, როცა მცირე ხნით, ქვეყნის სათავეში იური ანდროპოვი მოვიდა. პოლიტბიუროში ფორმალურად გორბაჩოვს პორტფელი არ შეუცვლია, თუმცა იგი დე ფაქტო ითვლებოდა „მეორე ნომრად“. ანდროპოვის თანაშემწის არკადი ვოლსკის თანახმად, მისი ხელმძღვანელის საკმაოდ გახშირებული და ხანგრძლივი არყოფნის დროს, რაც გამოწვეული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, გორბაჩოვთან თავს იყრიდა პოლიტბიუროს ყველა დოკუმენტაცია, მასთან გადიოდნენ კონსულტაციებს მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ, რეგიონული პარტიული მდივნები უზიარებდნენ პრობლემებს და ცდილობდნენ მოეპოვებინათ მისი მხარდაჭერა რეგიონული ინტერესებისა და საჭიროებების დაუსრულებელი ლობირების პროცესში [1, 44].

ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ, ჩერნენკოს ინიციატივით, გორბაჩოვმა ჩაიბარა იდეოლოგიური სექტორი, (თანამდებობა, რომელსაც თავად ჩერნენკო იკავებდა გენერალურ მდივნად დანიშვნამდე) რაც არაფორმალურად ნიშნავდა, რომ პარტიულ იერარქიაში გორბაჩოვი „ნომერი მეორე“ გახდებოდა. ამ თანამდებობასთან ერთად, გორბაჩოვმა ასევე გადაიბარა სკკპ საერთაშორისო კონტაქტები და ცოტა ხანში იგი უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის ხელმძღვანელი გახდა.

კონსტანტინ ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ მიხეილ გორბაჩოვი კომპარტიის გენერალურ მდივნად დაინიშნა. ლენინისა და სტალინის დროიდან მოყოლებული, იგი გახლდათ პირველი საბჭოთა ლიდერი, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იყო დაბადებული და რომელსაც უნივერსიტეტში მიღებული უმაღლესი განათლება გააჩნდა. ამასთან, იგი დაუფარავად საუბრობდა მისი ქვეყნის ნაკლოვანებებზე და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის „ჩავარდნებსაც“ გულწრფელად აღიარებდა.

ჩერნენკოს დაკრძალვაზე ჩამოსულ აშშ-ს დელეგაციაზე, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ხელმძღვანელობდა, მან საკმაოდ თბილი და სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. „სრულიად განსხვავებული ყველა საბჭოთა ლიდერისგან, ვინც კი ოდესმე მინახავს“ – ასე ახასიათებდა მას სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი.

პირველად „ცივი ომის“ ისტორიაში, საბჭოთა კავშირს მართავდა პიროვნება, რომელსაც არ გააჩნდა ცივი და ავი გამომეტ-

ყველება, არ იყო უხეში და სიტყვაძვირი, ამასთან ერთად სიბერისგან დაძაბუნებული და საშიში. გორბაჩოვი იყო „ჭკვიანი, განათლებული, დინამიური და პატიოსანი იდეებითა და მიზნებით სავსე“ – აღნიშნავდა მისი უახლოესი მრჩეველი ანატოლი ჩერნიაევი თავის პირად ჩანაწერებში. „მითები და ტაბუდადებული თემები (იდეოლოგიური ხასიათისაც კი) არაფერს ნიშნავს მისთვის, მას თავისუფლად შეუძლია დაამსხვრიოს ისინი“ [2.230]. როცა რიგითმა საბჭოთა მოქალაქემ 1987 წლის დასაწყისში მიულოცა მას „ქვის გამომეტყველებიანი სფინქსების“ რეჟიმის წარმატებით შეცვლა, გორბაჩოვმა დიდი სიამაყით გამოაქვეყნა აღნიშნული წერილი.

თუმცა რით შეცვლიდა გორბაჩოვი მითებს, ტაბუ დადებულ თემებსა და სფინქსებს თავიდან საკმაოდ ბუნდოვნად გახლდათ წარმოჩენილი. მართალია, მას სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირს იმავე გზით აღარ უნდა ევლო, როგორც ადრე, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი გზა, ის ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, განსხვავებით იოანე პავლე II, თეთჩერის, რეიგანის, დენ სიაოპინისა დავალენსასგან.

საბჭოთა პოლიტიკური ელიტის რიგებში ყოფნის პირველ წლებში გორბაჩოვს მტკიცედ სწამდა, რომ საბჭოთა კაშირის ძირითადი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სწორად იყო წარმართული, გამომდინარე სახელმწიფო უშიშროებიდან და მსოფლიო სოციალიზმის ისტორიული ბედისწერის ირგვლივ ზრუნვის გამო. რა თქმა უნდა, როგორც საბჭოთა კავშირის ნომენკლატურის მაღალი ფენის წარმომადგენელი, გორბაჩოვი ვალდებული იყო საჯაროდ ოფიციალური პროპაგანდისტული ფორმულები გაეჟღერებინა, თუმაცა ამჟამად ძნელია იმის გარკვევა, მაგალითად, 1985 წელს ერთ-ერთი პორტუგალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც მან განაცხადა, რომ ვაშინგტონის ინტერესებისა და სტრატეგიის სფეროს განეკუთვნებოდა ევროპაში მოეხდინა შეზღუდული მასშტაბის ატომური ომი, მისი ჭეშმარიტი რწმენისა თუ სავალდებულო რიტორიკის ნაწილი იყო. იგივეს თქმა შეიძლებამის მიერ ღიად მხარდაჭერილი საბჭოთა კავშირის ამკრძალავი პოლიტიკის შესახებ, ე. წ. „ატკაზნიკების“ საქმეზე, როცა საბჭოთა ებრაელებს ეკრძალებოდათ ემიგრაცია ისრაელსა თუ დასავლეთის ქვეყნებში, იმ მოტივით, რომ ისინი „სახელმწიფო საიდუმლოებებს“ ფლობდნენ. (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გორბაჩოვის მმართველობის დროს და-

იწყო ემიგრანტების გადინება საბჭოთა კავშირიდან და ამასთან ერთად ეკლესიებისა და სინაგოგების გახსნა).

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ გორბაჩოვი სისტემის ცვლილების და ზოგადად პროგრესის მომხრე იყო. ამას მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1983 წელს, როცა გორბაჩოვი ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახლდათ და კურირებდა აგრარულ საკითხებს, მას სამუშაო ვიზიტით მოუწია გამგზავრება კანადაში. ალექსანდრე იაკოვლევი (იმხანად, მისი ლიბერალური იდეების გამო ბრეჟნევისა და სუსლოვის მიერ „დასჯილი“ და ოტავაში წარგზავნილი საბჭოთა კავშირის ელჩად) აღწერს გორბაჩოვის სულიერ მდგომარეობას, როცა ის, ასე ვთქვათ „შეპყრობილი“ იყო „შინაგანი ცვლილებების აუცილებლობით“ [1, 46]. გორბაჩოვი საუბრობდა საბჭოთა კავშირში არსებული აუტანელი სიტუაციის შესახებ და შედარებით ნაკლებ ინტერესს ავლენდა კანადელების მიერ მომზადებული აგრარული პროგრამის ირგვლივ. ერთადერთი რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, გახლდათ ორი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული აშკარა კონტრასტი. მაშინ როცა კანადასა და საბჭოთა კავშირის უმეტეს რეგიონებში, მათ შორის გორბაჩოვის მშობლიურ სტავროპოლში, კლიმატი და ნიადაგის თვისებრივი მდგომარეობა თითქმის ერთნაირი იყო, არსებული თვალშისაცემი განსხვავება კიდევ უფრო საბაბს მოკლებული ჩანდა.

1986 წელს ჩერნობილში მომხდარმა კატასტროფამ ასევე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა გორბაჩოვზე. გამოვლინდა სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მანკიერი მხარე... ყოველგვარი ცუდი ამბის თუ უბედური შემთხვევის მიჩუმათება, უპასუხისმგებლობა და უყურადღებობა, საქმის უგულოდ და უხეიროდ შესრულება, საყოველთაოდ გავრცელებული ლოთობა. ქვეყანამ უდიდესი ფიასკო განიცადა მაშინ, როცა მეცნიერები, სპეციალისტები და მინისტრები ირწმუნებოდნენ, რომ უსაფრთხოების ზომები დაცული იყო. გაჩნდა „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტის“ აუცილებლობა. გორბაჩოვი აცხადებდა, რომ ჩერნობილმა ის და მისი კოლეგები მრავალი საკითხის გადახედვის აუცილებლობაზე დააფიქრა [2, 231].

რაც შეეხება ვაშინგტონთან მის ურთიერთობას, რა თქმა უნდა, თავდაპირველად უნდობლობის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო. ჟენევის სამიტზე გორბაჩოვი ჩავიდა განწყობით, რომ მაშინ როცა აშშ იყენებდა გამალებულ შეიარაღებას საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად, მათ შესწევდათ უნარი მტკიცედ გამკლავებოდ-

ნენ ყოველგვარ გამოწვევას, თუნდაც ყველაზე მოულოდნელს. რეიგანი, თავის მხრივ, აცხადებდა, რომ იგი მომხრე იყო მოლაპარაკების დაწყების ატომური იარაღის განადგურების და შესაბამისად ომის საშიშროების თავიდან აცილების თაობაზე. მას ღრმად სწამდა, რომ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროგრამა (SDI) საუკეთესო გამოსავალი იყო აღნიშნულ სიტუაციაში, აშშ მზად იყო იმისთვისაც, რომ აღნიშნული პროგრამის ტექნოლოგია საბჭოთა კავშირისთვის გაეზიარებინა, თუმცა გორბაჩოვისთვის SDI მხოლოდ „ერთი ადამიანის ოცნება" იყო, მეტი არაფერი [2, 230].

მიუხედავად ყველაფრისა, რეიგანს სჯეროდა საკუთარი ძალების. ის რაც მან ვერ შეძლო ბრეჟნევთან, ანდროპოვთან და ჩერნენკოსთან, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა, მას „ხელში აკვდებოდნენ", [4, 268] ვითარება გორბაჩოვთან მიმართებაში საკმაოდ ოპტიმისტურად ეჩვენებოდა.

ჟენევის სამიტიდან ორი თვის შემდეგ, გორბაჩოვმა საჯაროდ შესთავაზა აშშ-ს, რომ 2000 წლისთვის მსოფლიო ატომური იარაღისგან გაეთავისუფლებინათ. ცინიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ეს ნამდვილი გამოცდა იყო რეიგანის გულწრფელობისა, თუმცა ანატოლი ჩერნიაევმა (გორბაჩოვის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით) შესძლო მიეგნო უფრო ღრმა მოტივისთვის. მისი აზრით, „გორბაჩოვმა ნამდვილად გადაწყვიტა გამაღებული შეიარაღების შეჩერება მიუხედავად ყველაფრისა. ის მიდის ამ „რისკზე", ვინაიდან მას ესმის რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს გარისკვას – რადგან არავინ მოინდომებს ჩვენზე შეტევის მიტანას თუ ჩვენ სრულ განიარაღებას მოვახდენთ" [2, 231]. ორი წლით ადრე, ანდროპოვს თუ შეეძლო ეფიქრა, რომ რეიგანს შესწევდა უნარი მისთვის „სიურპრიზი" მოეწყო, გორბაჩოვი დარწმუნებული იყო, რომ აშშ არასდროს იზამდა ამას. რეიგინისპოზიცია არ იცვლებოდა: ის ყოველთვის თხოვნით მიმართავდა საბჭოთა ლიდერებს – „მენდეთ". რეიგანთან შეხვედრის შემდეგ გორბაჩოვმა დაიწყო ნდობის გამოხატვა.

რეიკიავიკის სამიტი სწორედ ამ ნდობის გამოცხადების ნათელი მაგალითი იყო: საბჭოური სტილის დიპლომატიის პრაქტიკაში განხორციელებაზე უარის თქმით, გორბაჩოვი დაეთანხმა რეიგანის მიერ შემოთავაზებულ „ნულოვან ვარიანტს", რაც გულისხმობდა საშუალო მანძილის ბირთვული რაკეტების აღებას ევროპიდან. იგი აგრეთვე დათანხმდა მომდევნო ათი წლის მანძილზე

ყველა ბალისტიკური რაკეტის განადგურებასაც. თუმცა ამდენ სიკეთესთან ერთად, სადაო თემად მაინც რჩებოდა SDI, რომლის მიმართაც გორბაჩოვი არ მალავდა განსაკუთრებულ სკეპტიციზმს. მას სურდა აღნიშნული პროექტი შეზღუდულიყო ლაბორატორიის დონეზე, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო ამერიკული მხარისთვის, ვინაიდან რომ არა SDI, ისინი მიიჩნევდნენ, რომ რუსებს ვერც ჟენევაში და ვერც რეიკიავიკში ვერ ჩაიყვანდნენ. მართალია, რეიგანმა დიდი უკმაყოფილებით დატოვა სამიტი და ბევრი მიიჩნევს, თითქოს რეიკიავიკი ჩავარდნა იყო, რეიგანისთვის ძირეული ცვლილებები სწორედ მაინც იქ დაიწყო.

საბჭოთა კავშირი და აშშ აცნობიერებდნენ, რომ მათ ჰქონდათ საერთო ინტერესი, შესაძლოა არა SDI-ის ირგვლივ, მაგრამ მაინც, მათ მთავარ მიზნად კვლავაც ატომური იარაღის შემცირება რჩებოდა. სწორედ იქ, ოკეანის პირას – ხელშეკრულებას საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტების გაუქმების შესახებ. ეს იყო კატასტროფის საპირისპირო მიმართულების გზა, და როგორც ორივე ლიდერი თვლიდა – დემილიტარიზაციის ხანის დასაწყისი. შეთანხმების შემდეგ, ორივე ქვეყანამ გაანადგურა ევროპაში არსებული საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტები. ხელშეკრულების თანახმად, ორივე ქვეყანას ეძლეოდა უფლება შეემოწმებინა, რამდენად ზედმიწევნით შეასრულა მეორე მხარემ აღებული ვალდებულება.

საზღვარგარეთ ვიზიტების დროს გორბაჩოვი კარგად ხედავდა, რომ ხალხი საზღვრებს მიღმა გაცილებით უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე მის საკუთარ ქვეყანაში. იგი ბევრს ფიქრობდა ცხოვრების არადამაკმაყოფილებელ პირობებზე, ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობაზე, თუმცა ნათელი წარმოდგენა არ გააჩნდა თუ რა უნდა ეღონა აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად. მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯორჯ შულცთან, რომელიც ყოფილი ეკონომიკის პროფესორი გახლდათ სტენფორდის უნივერსიტეტში. საკმაოდ ხშირი საუბრების დროს, შულცი უხსნიდა გორბაჩოვს, რომ ჩაკეტილი საზოგადოება შეუძლებელია განვითარდეს. თუ არ იქნებოდა საშუალება თავისუფალი თვითგამოხატვის, მიმოსვლის, მიგრაციის, მოგზაურობის – ყოველგვარი საშუალება სარგებლის გამოყენებისა, განუხორციელებელი დარჩებოდა. იმისთვის, რომ საბჭოთა ეკონომიკა რადიკალურად შეცვლილიყო, ქვეყანას ფეხი უნდა აეწყო ახალი ეპოქისთვის.

საბჭოთა კავშირში ვიზიტებისას, შულცი ხშირად ხვდებოდა გორბაჩოვსა და მის მრჩევლებს და ეკონომიკური ხასიათის რჩევებს აძლევდა მათ. მის მოსაზრებებს გორბაჩოვი იზიარებდა, რაც გამოაქვეყნა კიდეც 1987 წელს გამოცემულ წიგნში „პერესტროიკა“.

1988 წელს რეიგანის საბჭოთა კავშირში ვიზიტისას, გორბაჩოვმა შესთავაზა მას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ლექცია წაეკითხა. ლენინის უზარმაზარი ბიუსტის ქვეშ, რეიგანი საუბრობდა საბაზრო კაპიტალიზმის, კომპიუტერული ჩიპების, როკ ვარსკვლავების, ფილმების და, რა თქმა უნდა, შეიარაღებისგან თავისუფალი მსოფლიოს შესახებ. სტუდენტები ფეხზე დამდგარი უკრავდნენ ტაშს. მოგვიანებით თვით გორბაჩოვი იმეორებდა რეიგანის სიტყვებს, მომდევნო ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პირისპირ: მოგვწონს ჩვენ თუ არა, ჩვენ მოგვიწევს გაუმკლავდეთ გაერთიანებულ, ინტეგრირებულ ევროპულ ეკონომიკას... გვსურს ეს ჩვენ თუ არა, იაპონია მსოფლიო პოლიტიკის კიდევ ერთი ცენტრია... ჩინეთი... [კიდევ ერთი] უზარმაზარი რეალობაა... ყველა ეს დიდი მოვლენა დამახასიათებელია მსოფლიოში სახვადასხვა ძალების გადაჯგუფებების პროცესებისათვის“ [2, 234].

თუმცა მისი განათქვამები მაინც რიტორიკულ ხასიათს ატარებდა: გორბაჩოვი არ მიიწევდა საბაზრო ეკონომიკისკენ, როგორც ეს დენ სიაოპინმა გააკეთა. 1988 წელს ის პოლიტბიუროს კვალავაც არწმუნებდა, რომ ფრანკლინ დ. რუზველტმა ამერიკული კაპიტალიზმი გადაარჩინა „სოციალისტური იდეების“ საშუალებით, რაც ითვალისწინებდა დაგეგმვას, სახელმწიფო რეგულაციასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპს. ანუ შეიძლება ითქვას, რომ გორბაჩოვი სოციალიზმის გადარჩენას კაპიტალიზმის დახმარებით ცდილობდა, მაგრამ როგორ – ეს კვლავ გაურკვეველი რჩებოდა.

ყველაფრის მიუხედავად გორბაჩოვი მუდმივად საუბრობდა სოციალისტურ ღირებულებებსა და ოქტომბრის დიად იდეებზე, რის უკანაც ფაქტობრივად არაფერი იდგა. მისი სამი რეფორმისტული პროგრამის – პერესტროიკის, გლასტნოსტის და დემოკრატიზაციის მიზანს სწორედ, რომ კომუნიზმის გადარჩენა და არა მისი დანგრევა წარმოადგენდა. პერესტროიკის მიზანი საკმაოდ ამბიციური იყო – ცენტრალური დაგეგმვის დოგმატური სისტემის გამოცოცხლება. გორბაჩოვი დასახული მიზნის მიღწევას ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების სოციალურ და პოლიტიკურ სათავე-

ებზე იერიშის მიტანით იმედოვნებდა – რაც ნიშნავდა ნომენკლატურისა და აპარატჩიკების გავლენის შემცირებას და ამავდროულად მუშახელის ეფექტიანი შრომის ზრდას. მისდა საბედისწეროდ, გორბაჩოვი ალბათ თვალს ვერ უსწორებდა, ან ვერ ხვდებოდა, რომ ქვეყანაში აუცილებლობას წარმოადგენდა რადიკალური ცვლილებების გატარება ეკონომიკურ სტრუქტურაში. შესაბამისად პერესტროიკის იდეა საბოლოოდ უფრო დაემსგავსა მიმზიდველ პოლიტიკურ სლოგანს, ვიდრე თანმიმდევრულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

გლასტნოსტის (საჯაროობა) პოლიტიკამ გააძლიერა პერესტროიკა და საბჭოთა მედია საშუალებებზე ცენზურა არნახულად შეამცირა. გარკვეული დროის მანძილზე, აღნიშნულმა პოლიტიკამ მართლაც გამოიწვია გარბაჩოვის მიმართ დიდი სიმპატია და წარუმატებელი ეკონომიკური რეფორმებისგან მოსახლეობის ყურადღების გადატანა შეძლო. გლასტნოსტს ასევე დიდი გამოძახილი ჰქონდა საბჭოეთის საზღვრებს მიღმაც; მან გორბაჩოვი მსოფლიო პრესისთვის ძვირფას პიროვნებად და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში პოპულარულ ფიგურად აქცია.

დემოკრატიზაცია კი, როგორც მინიმუმ, მოიაზრებოდა როგორც პოლიტიკური სისტემა, სადაც არჩევნები იქნებოდა ნებადართული, თუმცა რა დოზით – გაურკვეველი რჩებოდა. ეს ხედვა ასახული იქნა 1989 წელს მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ჩატარებულ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში, რომელიც ამომრჩეველს უფლებას აძლევდა ხმა მიეცა ოპოზიციისათვის კომუნისტური პარტიის წევრების წინააღმდეგ, რაც პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა ისტორიაში. გორბაჩოვი მართავდა როგორც საბჭოთა პრეზიდენტი (არაპირდაპირი გზით არჩეული თანამდებობა, რომელიც მან შემოიღო, როგორც მისი პოლიტიკური რეფორმის ნაწილი) და არა როგორც კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. დემოკრატიზაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებები მართლაც, რომ განსაცვიფრებელი იყო და უფრო მეტად დემოკრატიულ მომავალზე მიანიშნებდა: გამოჩნდნენ ოპოზიციის გავლენიანი არაკომუნისტური და ანტიკომუნისტური პიროვნებები და პარტიები, რომელთაგანაც ზოგიერთი ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოშიც კი აირჩიეს. მნიშვნელოვნად შესუსტდა კომუნისტური პარტიის შიდა დისციპლინა, რაც მის რიგებში აზრთა სხვადასხვაობასა და ურთიერთქიშპს მოიაზრებდა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი საგრძნობლად

შემცირდა. ცენტრალური ხელისუფლების პრესტიჟისა და ძალაუფლების ხარჯზე გაიზარდა რესპუბლიკების გავლენა და ძალაუფლება. გორბაჩოვი მთავრობის შიდა რეფორმებს ატარებდა არა როგორც კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, არამედ არჩეული ოფიციალური პირი და პრეზიდენტი. ძალაუფლების განხორციელება ხდებოდა კომუნისტური პარტიისგან რეალურად დამოუკიდებლად.

გორბაჩოვთან დაკავშირებით რაც პირველ რიგში შეიძლება გაგვახსენდეს, არის მთავრობაში მოსვლისთანავე მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი – ანტი-ალკოჰოლური კამპანია. ეს იყო, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ არაპოპულარული გადაწყვეტილება და მისი პირველი სერიოზული შეცდომა. მაშინ ბევრი მიიჩნევდა, რომ გენერალურმა მდივანმა მოღვაწეობა „ცუდი ფეხი" დაიწყო, ვინაიდან ეს გახლდათ პროცესი რამაც საბიუჯეტო ბაზის საბოლოო ჩამოშლა გამოიწვია. ერთი შეხედვით ეს მართლაც ასეა, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ გორბაჩოვმა აღნიშნული კამპანია მემკვიდრეობით მიიღო მისი წინამორბედი ლიდერებისგან. ანდროპოვის, ჩერნენკოს და ბრეჟნევის დროსაც კი, აქტიურად მიმდინარეობდა ქვეყნის მოსახლეობის ალკოჰოლისადმი მიდრეკილების პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. ასე, რომ გორბაჩოვიც იგივე მთავრობის წარმომადგენელი გახლდათ. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის მედიაც სავსე იყო მკვეთრი მოთხოვნებით ალკოჰოლიზმის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით, (არა მხოლოდ მთავრობის დაკვეთით). გამოჩენილი და პატივსაცემი მწერლები აკადემიკოსები, მეცნიერები აღშფოთებას გამოთქვამდნენ ერის გენეტიკური გადაშენების შესაძლო საფრთხის გამო და მიიჩნევდნენ, რომ სასწრაფო ზომები იყო მისაღები აღნიშნულთან დაკავშირებით. საბოლოოდ 1985 წლის მაისში აკრძალვა ძალაში შევიდა, რაც საზოგადოებამ საღი აზრის გამარჯვებად მიიჩნია.

ადგილობრივმა ბიუროკრატიამ ზემოდან ბრძანების შესრულება დაიწყო – შეამცირა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, დახურა მაღაზიები და კაფე-ბარები. თუმცა, აშკარად კონტრპროდუქტიული ფარსი არ ითვალისწინებდა ბიუჯეტის გარღვევის საშიშროებას. პრესა კი კვლავ განაგრძობდა წუხილს იმის შესახებ, რომ საკმარისი ძალისხმევა არ იყო მიმართული ალკოჰოლიზმის აღმოსაფხვრელად.

გორბაჩოვი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ცივი ომის დასრულებაში (ბერლინის კედლის დანგრევა, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გამოყვანა და ა. შ.) საბჭოთა კავშირის უმაღლესი ძალაუფლებიდან კომუნისტური პარტიის ჩამოშორებაში, რამაც საბოლოოდ საბჭოთა იმპერიის დაშლა გამოიწვია, დაჯილდოვებულია ოტო ჰანის მშვიდობის მედლით, ის ასევე გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის განმტკიცების საკითხში, ჰარვის პრემიის ლაურეატი, გახლავთ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და ასევე აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგის მონაცემების მიხედვით, იგი მოხსენიებულია მსოფლიოს ას განსწავლულ პიროვნებათა შორის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Andrei Grachev, Gorbachev's Gamble: Soviet Foreign Policy and the End of the Cold War On My Country and the World, 2008.
2. John Lewis, The Cold War: A New History; Gaddis, 2005,
3. My Years with Gorbachev and Shevardnadze: The Memoir of a Soviet Interpreter Pavel Palazchenko, 1997.
4. რონალდ რეიგანი, ამერიკული ცხოვრება, თბილისი, 2011.
5. ტომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, თბილისი, 2011.
6. http://www.gorby.ru/gorbi–fund/about/

Tamar Darchia

Doctoral student of Georgian Technical University, Business-engineering faculty, Social Sciences

Traits of Mikhail Gorbachev's Political Biography

Summary

This article is about Soviet leader Mickail Gorbachev, who was the author of an exciting and unpredictable drama, the political `revolution from above.~He, with the help of his followers, initiated truly exceptional political adventure - Perestroika, Glasnost and Democratizatsiya that lead to the radical transformation of the former Soviet Union and played a crucial role in the course of world history at the end of the XX century.

Here we learn about Gorbachev's early political years in Stavropol as well as in Moscow, his first serious breakthrough into foreign engagements, Reagan- Gorbachev era from Geneva summit toReagan's successful speech at Moscow State University. Personal warm relations between these two outstanding leaders and also with Reagan's successor George H.W. Bushhelped them a lot to avoid grave danger of the arms race.

From opposite ends of the ideological spectrum, with often unclear and not very obvious political steps, leaders of the world's two super powers finally managed to carve a joint legacy in bringing the Cold War to a peaceful end.

იგორ კვესელავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი

საქართველო რუსულ, ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ განზომილებებში
(მეორე ნაწილი)

4. ევროპულ-ამერიკული და რუსული პოლიტიკური ვარიაციები და საქართველოს სახიმეტყველება

თანამედროვე მსოფლიოში თვით წამყვან სახელმწიფოებს შორის ბევრი წინააღმდეგობა არსებობს. სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ახლო წარსულის ისტორიული მახსოვრობა ბევრ უთანხმოებას აფიქსირებს ამერიკასა და ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. კერძოდ, ევროპულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ამერიკასთან ერთად ეომათ 1950-1953 წლების კორეის ომში. თავის მხრივ, ვაშინგტონმა უარი განაცხადა ჩართულიყო სუეცის კრიზისის გადაწყვეტაში, სადაც საომარ მოქმედებებს ახორციელებდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

პარალელურად ევროპელებს ჰქონდათ მცდელობა შეექმნათ თავდაცვის თანამეგობრობა. მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად 1952 წელს ევროპის ნატოს წევრმა ექვსმა სახელმწიფომ – საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ჰოლანდიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შექმნა.

უკვე 1970 წლისათვის იმდროინდელი კაპიტალისტური სამყაროს ექსპორტში, ევროპის წილი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ამერიკის. ამრიგად, დასავლეთ ევროპის სახით გამოიკვეთა კიდევ ერთი ძლიერი ეკონომიკური ცენტრი, რასაც შეიძლება გამოეწვია მსოფლიო ეკონომიკურ ბაზრებზე კონკურენციის გამძაფრება ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს შორის.

XX საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის ლიდერობის უფრო გაძლიერებას და აშშ-ის გეოპოლიტიკური გავლენის შესუსტებას „ბებერ კონტინენტზე.“ამ მიზნით 1963 წელს საფრანგეთი და გერმანია შეთანხმდნენ საფუძველი ჩაეყარათ ევროპეიზმის პოლიტიკისათვის. თუმცა ეს ფაქტი ამერიკის მხრიდან უარყოფითად შეფასდა. საფრანგეთი 1966 წელს გამოვიდა ნატოს გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან. ამავე პერიოდში გაუცხოვდა ურთიერთობა ამერიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

70-იან წლებში ვერ მოხერხდა აშშ-ის ინიციატივით დაწყებული „ახალი ატლანტიკური ქარტიის“ განხორციელება. „ცივი ომის“ პერიოდში მსოფლიოს 34 ქვეყანაში განთავსებული იყო 1600-მდე ამერიკული სამხედრო ბაზა. მათ შორის გერმანიაში 200-მდე მსხვილი სამხედრო ბაზა და ობიექტები, დიდი ბრიტანეთში – 19, იტალიაში – 10, თურქეთში – 7, ესპანეთში – 6 და საბერძნეთში – 4 სამხედრო ბაზა.

მართალია, ევროპულ-ამერიკულმა სამყარომ შეძლო დაეშალა საბჭოთა იმპერია და ერთი პერიოდი გარკვეული გავლენა მოახდინა რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, მაგრამ XXI საუკუნიდან მისმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გაძლიერებამ ყველას მიანიშნა, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ევროპისათვის სივრცის დახურვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულება გახდა. შესაბამისად, საფრთხე დაემუქრა კავკასიის რეგიონს, კერძოდ საქართველოს, რომლის მოსახლეობას ჯერ კიდევ დეკაბრისტები უპირებდნენ გასახლებას ციმბირში, რომ ეს მხარე რუსეთის აყვავებულ ოლქად ექციათ. საბოლოოდ, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა გამოაჩინა თავისი იმპერიული სახე და მოახდინა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია. ეს იყო დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული აქციაც მათი კავკასიური დერეფნით დაინტერესების გამო.

ზოგადად მცირე ერების ბედს მეტწილად დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც ისტორიულად იძულებული იყო ეძებნა გარეშე ძალა, საიმედო მოკავშირის, პარტნიორის და მეტწილად მფარველის სახით (ირანი, ბიზანტია, თურქეთი, რუსეთი, გერმანია, ინგლისი).

1920 წლის აპრილში რუსეთის მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ საქართველოს მთავრობამ ინგლისელების ზურგსუკან 7 მაისს კა-

ბალური ხელშეკრულება გააფორმა საბჭოთა რუსეთთან, რასაც მალე ქვეყნის სრული ოკუპაცია და ანექსია მოჰყვა.

გავიდა ათეული წლები. რუსეთის საბჭოური იმპერიიდან განთავისუფლების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურმა კლასმა მზერა ამერიკას მიაპყრო. 2005 წელს თბილისში, თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ხალხს ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა განუცხადა, რომ ქართველი ხალხის მიერ არჩეული გზა არ იყო იოლი, მაგრამ ამ გზას საქართველო მარტო არ გაივლიდა, თუმცა იმავე ვიზიტის დროს, მან აღიარა, რომ თუ ხელისუფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო ომს დაიწყებდა, „აშშ-ის კავალერია ჰორიზონტზე არ გამოჩნდებოდა“.

სადავო არ უნდა იყოს, რომ გზა, რომელიც ახალგაზრდა ქართულმა სახელმწიფომ გაიარა, ნარ-ეკლიანი იყო და ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის რთულ პროცესებს. ზ. ბჟეზინსკი წერს: „ეს ცვლილებები გარკვეულ გააზრებასაც მოითხოვდა, თავიდან არც რაიმე მოდელი არსებობდა, არც ზოგადი კონცეფცია, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ყოველივე. ეკონომიკურ თეორიებში დეკლარაციულ დონეზე მაინც გაკრთებოდა ხოლმე დებულება სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არავის განუხილავს ჩაკირული სისტემის თავისუფალი ბაზრის საფუძველზე დამყარებულ პლურალისტურ დემოკრატიად გარდაქმნის შესაძლებლობები. საკითხი, ინტელექტუალურ დონეზე გაუაზრებლობის გარდა, პოლიტიკურადაც მძიმე მოსახელთებელი აღმოჩნდა კომუნიზმის სწრაფი დეზინტეგრაციით გაოგნებული დასავლური მენტალიტეტისათვის“. ცნობილი პოლიტოლოგის ეს მოსაზრება საქართველოსაც ეხებოდა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისში „ვაშინგტონის კონსესუსის“ სახელწოდებით შემუშავდა ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უფრო მემარჯვენე იდეოლოგიას, რომელსაც ნეოლიბერალიზმი ეწოდა. ის გულისხმობდა საბაზრო ურთიერთობის უპირატესობას სახელმწიფოსთან შედარებით. ეს პროგრამა გამოცხადდა ახალ რეალობად – გლობალიზაციად, რომელსაც უბრალოდ არ გააჩნდა ალტერნატივა.

ფაქტობრივად ეს იყო კეინსის და მისი მიმდევრების მიერ შემუშავებული ეკონომიკური კონცეფციის უარყოფა, და მონეტარიზმისა და ნეოლიბერალიზმის მომხრეთა მხარდაჭერა. ნეოლიბე-

რალური ეკონომიკის და ეკონომიკაში „შოკური თერაპიის“ ერთერთი შემოქმედი იყო პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი, რომელიც მოქმედებდა პრინციპით: ყველაფრის პრივატიზაცია, ქვეყნის უცხოური ინვესტიციებისათვის გახსნა; კერძო საკუთრების დაუბრკოლებლობა, ექსპორტის მეშვეობით ეკონომიკის ზრდა. ამ კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელება მოხდა ჩილეში, მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს იყო მცდარი პოლიტიკა. ნობელის პრემიის მფლობელის ჟოზეფ სტიგლიცის აზრით, ამ პოლიტიკის განხორციელების გამო აღმოჩნდა, რომ „მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ღარიბები კი – გაღატაკდნენ.“ნეოლიბერალიზაციამ პრივილეგირებულთა წისქვილზე დაასხა წყალი, რომელმაც ფინანსური ინსტიტუტების კეთილდღეობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას შორის არჩევანი ფინანსურ ინსტიტუტებზე გააკეთა. უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა საფინანსო-ეკონომიკურმა პროცესებმა ახალი გლობალური მიდგომის გაჩენა მოითხოვა. 2011 წლის აპრილში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში გამოსვლისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი დომინიკ სტროსკანი აღიარებდა, რომ ახალი მსოფლიო მაკროეკონომიკური მოდელი ბაზრიდან სახელმწიფოზე იხრებოდა, რომელსაც სამართლიანი, უფრო ადამიანური გლობალიზაციისათვის უნდა დაეჭირა მხარი. მისი აზრით, **„სარგებელი ზრდისაგან უნდა იყოს ფართოდ გაზიარებული და არა პრივილეგირებული უმცირესობების მიერ მიტაცებული. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი უნდა დარჩეს ყურადღების ცენტრში, მისი უხილავი ხელი არ უნდა გახდეს უხილავი მუშტი“.**

ამ კონტექსტში საინტერესოა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას დამოკიდებულება დასავლეთის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური მოდელებისა და საერთაშორისო დახმარებებისადმი. ცნობილია, რომ ის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნის იდეას. მითუმეტეს, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელი იყო უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების, საკანონმდებლო ჩარჩოს, განათლების უქონლობის და, რაც მთავარია, ეროვნული და სამოქალაქო კონსოლიდაციის გარეშე. ცნობილია ისიც, რომ ყოველი პოლიტიკური სისტემა ჩვეულებრივ ეყრდნობა ტერიტორიულ გაერთიანებას, მაგრამ ეს არ არსებობს ეთნიკური ბაზის მიღმა და ქვეყანა ერთდროულად უნდა შედგეს, როგორც

ეროვნულ, ასევე სამოქალაქო სახელმწიფოდ. თუმცა ეს ურთულესი ამოცანაა.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სეგმენტაციის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და დღესაც გრძელდება. თუმცა, ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევა და ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება, როდესაც ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთნილებისა ერთი ერთის წარმომადგენელია, ვერ მოხერხდა.

საქართველოში დაიწყო ერთი ეროვნული იდენტობისკენ სვლის და სუვერენული მთავრობის შექმნის პროცესი და ამ მხრივ ქართულ სინამდვილეს მაგალითად გამოადგება საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია და სხვა ქვეყნები, თუმცა, პარალელურად არიან ისეთი ქვეყნები, სადაც ერთდროულად ორი დომინანტი ერი არსებობს (კანადა, ბელგია და ა. შ.).

სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისია, რომელსაც ტალიავინი ხელმძღვანელობდა, საკმაოდ ვრცლად შეეხო ქართული ნაციონალიზმის პრობლემას და ეთნიკური კონფლიქტები დაუკავშირა ზვიად გამსახურდიას თეზას: „საქართველო ქართველებისათვის.“ეს თემა მოგვიანებით, 2010 წლის ნოემბერში კვლავ გახმოვანდა რუსეთის პრეზიდენტის მიერ, რომელმაც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება შეაფასა, როგორც ქართული აგრესიისაგან დაცვის ერთადერთი საშუალება, იმ აგრესიისაგან, რომელიც მოქმედებდა ლოზუნგით – „საქართველო ქართველებისათვის“.

სხვათაშორის, ევროპაში და ამერკაში ბევრი ივიწყებს, რომ თავის დროზე პრეზიდენტმა მონრომ თავის დოქტრინაში პირველად გაახმოვანა ლოზუნგი “,ამერიკა ამერიკელებისათვის“.

ამავე კონტექსტშია საინტერესო თავის დროზე საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეზად – არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაციის აღიარება. ასეთი მიდგომით ქართველია საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა.

სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურმა ცხოვრებამ ვერ მოახერხა საზოგადოებისათვის ისეთი იდეის შეთავაზება, რომელიც მოახდენდა მის კონსოლიდაციას. პოლიტოლოგი ჯამბულ ნაჭყებია ფიქრობს, რომ ასეთი იდეა უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელსაც 1991 წლის

31 მარტს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (98%) მისცა ხმა. თუმცა, ეროვნული ერთობა ვერ შედგა, ანტიეროვნული ძალების მოღალატური მოქმედების გამო, რამაც ქართული საზოგადოების დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფა გამოიწვია და პირველი პრეზიდენტის სიცოცხლეც შეიწირა. მიუხედავად იმისა, რომ 2003-2004 წლებში საქართველოში შეიცვალა ანტიეროვნული ხელისუფლება, ეროვნული თანხმობა კვლავ მიუღწეველი დარჩა. ამდენად, „საზოგადოების კონსოლიდაცია ვერ შეძლო ვერც ზვიად გამსახურდიას დამოუკიდებლობის იდეამ, ვერც ედუარდ შევარდნაძის სტაბილურობისა და სიმშვიდის პროექტმა და ვერც მიხეილ სააკაშვილის მოდერნიზაციამ, არადა, სამ სრულიად განსხვავებულ პროექტთან და სამ აბსოლუტურად სხვადასხვა ყაიდის პოლიტიკოსთან გვაქვს საქმე (ჯამბულ ნაჭყებია).

ცხადია, საქართველოს საზოგადოების კონსოლიდაციის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ის იყო, რომ ვერცერთი ხელისუფლების პოლიტიკური ორგანიზაცია ვერ იქცა ორგანიზებულ, მდგრად ძალად. („მრგვალი მაგიდა“, „მოქალაქეთა კავშირი“). ვერც „ნაციონალური მოძრაობა“ მიუახლოვდა მყარ მონოლითურობას. ისტორიულად ქართველთა დაპირისპირება ბორკავდა საერთო ეროვნულ და პოლიტიკურ მიზანს. მითუმეტეს, ცალკეული პოლიტიკური ლიდერები ცდილობდნენ პარტია ან მოძრაობა მოერგოთ თავიანთი პიროვნული ინტერესებისათვის.

საინტერესოა, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურმა კლასმა კონსოლიდაციის მიღწევის გზად ანტირუსული განწყობილება აირჩია, რომელიც არ იყო მოკლებული პრაქტიკულ პოლიტიკურ გათვლას. საქმე იმაში იყო, რომ გარეშე მტრის შიში ხელისუფლების კონსოლიდაციის და საზოგადოების თვითშეგნების განმტკიცების ერთ-ერთ ფაქტორად იქნა მიჩნეული, თუმცა, შინ და გარეთ მტრის ხატის შექმნა არ იყო საკმარისი ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისათვის.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა მიხეილ სააკაშვილის „ეროვნულ პროექტს“ დაუჭირა მხარი და ისურვა ყოფილიყო დასავლური, ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქე. თუმცა, გასაკვირი რჩებოდა, თუ როგორ აპირებდა ნაციონალური მოძრაობის ლიდერი და ქვეყნის პრეზიდენტი ამ მიზნის მიღწევას, შესაბამისად, სააკაშვილმა ვერ შეძლო ქართველი ერის „მომავალი ცხოვრების“ გეგმის დასახვა.

მართალია, საქართველომ გადადგა ნაბიჯები დემოკრატიული, საბაზრო სისტემაზე დაფუძნებული, საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, მაგრამ მისი განხორციელება ქვეყნის დამოუკიდებელი ცხოვრების პრაქტიკაში ამერიკული პროექტით გადაწყდა, რაც მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის. ე.წ. ქართველმა ლიბერალ-დემოკრატებმა ადრეული კაპიტალიზმის მატარებლის ბოლო ვაგონი დაიკავეს და სწრაფი პოპულისტური მეთოდებით და ხერხებით ცდილობდნენ გზის გაკვლევას და მხარს უჭერდნენ უმრავლესობაზე უმცირესობის ბატონობის ცნობილ იდეოლოგიას.

ნაციონალური მოძრაობის დიქტატით მოქმედმა საბაზრო ეკონომიკამ ვერ შეძლო სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარება, შედეგად მივიღეთ ნიჭიერი და თავისუფალი ერის ნახირად გადაქცევის ტენდენციები.

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველო, პოლიტიკური რეალიზმის გლობალური თვალსაზრისით ვერ აცდა რუსეთისა და ამერიკის ადგილისა და როლის გაცნობიერების პრობლემას. ამერიკამ, მდიდარმა, ახალგარზდა და თავისუფალმა ქვეყანამ, გადაწყვიტა ეცხოვრა ლოზუნგით, „ამერიკა ამერიკელებისათვის".

ჯერ კიდევ 1823 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა მონრომ, კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში ჩამოაყალიბა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ორი ძირითადი პრინციპი:

1. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობა ევროპული ქვეყნების პოზიციისაგან;

2. აშშ-ის მხრიდან უკუზემოქმედება, მსოფლიოში ძალთა გადანაწილების ნებისმიერ მცდელობაზე.

ფაქტობრივად, ეს იყო იმპერიული პოლიტიკა, რომლის მარქსისტული გაგება ბევრისთვის მისაღები აღმოჩნდა. გერმანული წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგის ჰანს მორგენთაუს აზრით, საერთაშორისო არენაზე არსებობდა იმპერიალისტური პოლიტიკის გატარების მიზეზები. პირველ რიგში ეს იყო, როდესაც სახელმწიფო იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში და გადიოდა მის დამასრულებელ სტადიაზე, როგორც გამარჯვებული, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკა მიზანმიმართული იქნებოდა ომამდელი საერთაშორისო ურთიერთობების ცვლილებისაკენ.

საერთოდ, იმპერიული პოლიტიკის ტრანსფორმაციის თვალსაჩინო მაგალითია, გერმანიის დაპყრობითი ომები 1935-1945 წლებში, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული ომები 1921-1990

წლებში, ამერიკის მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებები, ომები და სხვა სადამსჯელო ოპერაციები 1950 წლიდან დღემდე და ა. შ.

იმპერიალისტური პოლიტიკის გატარების წყაროა „ცარიელი პოლიტიკური სივრცეების არსებობა“, რაც შესაძლებლობას ქმნის წარმოიქმნას კოლონიალური იმპერიალიზმი. მსოფლიო იცნობს მაგალითებს, როდესაც იმპერიულობა არ არის შეზღუდული სივრცეში და მისი დამუხრუჭება ბევრ შემთხვევაში დროის ფაქტორია. ამის მაგალითად გამოდგებოდა მაკედონელის, ჩინგიზ ხანის, ნაპოლეონის, ჰიტლერის და სტალინის იმპერიები. თუმცა, არსებობს შეზღუდული ანუ ჩარჩოში მოქცეული იმპერიული ხდომილებანი, რომელიც კონტინენტალურ ხასიათს იღებს, ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებში ასეთ იმპერიებს სათავეში ედგნენ ფრიდრიხ დიდი, პეტრე დიდი, ეკატერინე მეორე, ბისმარკი და ა. შ.

ამ კონტექსტში განიხილება სამხედრო და ეკონომიკური იმპერიულობის გამოვლინებებიც, როდესაც რომელიმე დიდი იმპერია კონტროლს ახორციელებს მის მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოებზე და ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ გაატარონ საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რომელიც მთლიანად დამოუკიდებელი იქნება დიდი სახელმწიფოს პოზიციისაგან. აქაც შეგვეძლო გამოგვეყო ამერიკა და რუსეთი და მათი ე. წ. სატელიტი ქვეყნები: ისრაელი, ერაყი, ავღანეთი, სომხეთი, ბელორუსი, უკრაინა და სხვ.

მკვლევარები გამოყოფენ კულტურულ იმპერიალიზმსაც და ამ მიმართულებით ასახელებენ ნაცისტების მიერ მეხუთე კოლონის შექმნას ავსტრიაში. ქრისტიანული რუსეთის იმპერიულ კულტურულ პოლიტიკას, როდესაც მართლმადიდებლობა წარმოადგენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის იარაღს.

იმპერიული პოლიტიკის თვალსაჩინო ნიმუშია რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, როდესაც რუსეთის ისტორიის ყველა საფეხურზე ამ მცირე ქვეყნის მისამართით განხორციელებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ასეთ სახეს ღებულობდა:

ა) ადამიანების უფლებების იგნორირება;

ბ) ომისა და დაპყრობის გზა;

გ) ავტორიტარული მართვა.

საბჭოთა კავშირის, კერძოდ, საბჭოთა რუსეთის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ საბჭოთა სისტემა, მსოფლიო ბუნებრივი განვითარების გზის უარყოფის შედეგად აღმოცენდა და

რომელიც საფრთხეს უქმნიდა მთელ ცივილიზაციას. ბისმარკი ამბობდა: **„სოციალიზმი – კარგი იდეაა და მისი მოსინჯვა ღირს იმ ქვეყანაში, რომელიც არაა შესაცოდი, მაგალითად – რუსეთში“.**

სწორედ ამ ქვეყანაში შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს მეთაურს – სტალინს ეთქვა: **„ერთი ადამიანის სიკვდილი უბედურებაა, რამდენიმე ადამიანის სიკვდილი – ტრაგედია, მილიონების სიკვდილი – სტატისტიკა“.**

არც მეფის რუსეთს, არც საბჭოთა რუსეთს და არც თანამდროვე რუსეთს ძირფესვიანად არ აინტერესებდა ქართული პოლიტიკა. საქართველოს მიმართ შესაბამისად, არასწორად იგეგმებოდა პოლიტიკური პროცესებიც.

მართალია, ისტორიულად საქართველოს პოლიტიკური კლასი რუსეთის მფარველობას ითხოვდა, მაგრამ ეს უფრო სახელმწიფოებრიობის დასაცავად და ეროვნული იდენტურობის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად იყო გამიზნული. თუმცა, რუსეთის ცდუნება ყოველთვის იყო „მზის“ როლში ყოფნა, რომ მის გარშემო მუდმივად ეტრიალათ პატარა პლანეტა-სახელმწიფოებს.

რუსული სახელმწიფო იდეოლოგიის პარადიგმულობა ცალკე სამყაროა, განსაკუთრებული სტრატეგიით – დასავლეთთან აღმოსავლეთის წინააღმდეგ და აღმოსავლეთთან დასავლეთის წინააღმდეგ, მითუმეტეს მის სივრცეში სხვადასხვა ცივილიზაციური ქრისტიანული, მაჰმადიანური და სხვა კუთვნილებებია.

რუსეთში მუდმივად ფიქრობდნენ, რომ დასავლური ღირებულებები საფრთხის შემცველია რუსული ეროვნული განსაკუთრებულობისათვის და ის საფრთხეს უქმნის მის კულტურულ-სარწმუნოებრივ სახეს.

რუსეთის პოლიტიკური კლასი ყოველთვის ცდილობდა მოდერნიზება-ვესტერნიზაციის პროცესი დაეკავშირებინა ავტორიტარულ მმართველობასთან და მათი სინთეზის გზით მოეხდინა რუსული მოდელის წარმოჩენა. შეემუშავებინა ღირებულებათა ისეთი სისტემა (კულტურა, კანონები და სხვ.), რომელიც გააძლიერებდა მის იდენტურობას და შესაბამისად განსაზღვრავდა საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსაც.

თუმცა, რუსი ერისათვის უმძიმეს დილემად დარჩა დემოგრაფიული პრობლემა, მითუმეტეს, 2002 წლის რუსეთის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ ამ ქვეყანაში ეხლა მხოლოდ 104 მილიონი რუსი ცხოვრობს. 7 მილიონს მიაღწია თათრების რაოდენობამ, უკრაინელია 5 მილიონი, რუსეთში ცხოვრობს 2,5 მილიონი სომეხი,

1,77 ჩუვაში. ყაზახის, უზბეკის, თურქმენის, ყირგიზის, ქართველისა და მოლდოველის რაოდენობა კი მთლიანობაში 3,5 მილიონია.

თუ 1985 წელს რუსეთში ცხოვრობდა 5 ათასი ჩინელი, 2004 წლისათვის მან 5 მილიონს გადააჭარბა. თუმცა, გამოითქმება ვარაუდი, რომ 2015 წლისათვის რუსეთში ყოველი მეოთხე ჩინელი იქნება.

რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ელიტის ნაწილი დაბეჯითებით ცდილობდა ემტკიცებინა, რომ ქართველი ერი და ქართული ნაციონალიზმი რუსეთის პოლიტიკურ ველზე ჩამოყალიბდა, თანაც ერმა კი არ შექმნა ნაციონალიზმი, არამედ ნაციონალიზმმა შექმნა ერი.

ცხადია, ქართველმა ერმა ურთულესი გზა გაიარა უძველესი დროიდან დღემდე და ეს ზიგზაგობრივი პროცესი უკრიტიკოდ არ აღქმულა ქართულ სოციუმში, მითუმეტეს, ქართული ისტორიული სინამდვილე შორს არ იდგა წარმართული და შემდეგ ქრისტიანული ინდივიდუალიზმისაგან და თავისი ისტორია და კულტურა შეექმნა თუმცა, ერთიანი ისტორიის ძაფი ხშირად წყდებოდა და არც ეპოქათა მემკვიდრეობის ხაზი იყო ერთიანი. გამოჩენილი ფილოსოფოსი და მოაზროვნე სერგი დანელია შენიშნავდა, რომ **ქართველები მეტწილად ისტორიის ობიექტები იყვნენ, ხოლო ერთი საზოგადო მიზნის არმქონე ადამიანები არც დედამიწას ეკუთვნოდნენ, არც ზეცას და სადღაც შუაში ეკიდნენ.**

ქართული პოლიტიკური კლასისთვის უცხო არ ყოფილა „თოკის სილისაგან გრეხვა“, სიმართლის სახელით ბევრი უსამართლობაც ჩაუდენია და სიბრიყვეც გამოუჩენია. მითუმეტეს, როგორც ს. დანელია შენიშნავს, **„წარმართული სული საქართველოში ყოველთვის ძლიერი იყო და ის არსებითად ისეთივე დარჩა ქრისტეს დაბადებიდან, ოცი საუკუნის შემდეგ, როგორც ქრისტეს დაბადებამდე ოცი საუკუნით ადრე.“**

შესაძლოა ეს შეფასება ძალიან მკაცრია დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ხალხის სოციალური განვითარების პროცესი შეაფერხა სხვადასხვა დამპყრობელთა შემოსევებმა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე ბრძოლა ამ პროცესის მუდმივი წყვეტა იყო. **მაჰმადიანური სამყაროს და რუსეთის იმპერიის ომებმა ერთი დიდი ფართო ხაზის გარეშე დატოვა საქართველოს ისტორიული პროცესი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპო-**

ქებს, რომლებსაც ქართველ ისტორიკოსებთან საუბარში სტალინმა „აბსოლუტიზმი ერთი საათით“ უწოდა.

მართალია, ს. დანელია უფრო შორს მიდის კრიტიკაში და გვარწმუნებს, რომ ქართველებს ნასესხები აქვთ სიტყვა „სინდისი“, საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასებისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის გამომხატველი ტერმინი, მაგრამ როგორც კულტურის ისტორიის მკვლევარი და პუბლიცისტი როლანდ ბურჭულაძე ფიქრობს, სიტყვა „სინდისის“ მსესხებელ ქართველებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ზნეობრიობისა და პასუხისმგებლობის ფენომენი და არ ავიწყდებათ, რომ ეს ღირებულებები წარმართობის დაშლის პერიოდთან არის დაკავშირებული. თუმცა საქართველოში წარმართობის დაშლის პროცესი ინტენსიური არ იყო და ქართულმა ენამ თვითონვე არ შექმნა „სინდისის“ შესატყვისის ლექსიკური ერთეული. ამიტომ ვითარებაში, როდესაც ეს პროცესი თავის დროზე ჩვენთან არ იგრძნობოდა, ამ ცნების გამომხატავი ბერძნული სიტყვის ქართულში გაჩენა ენობრივი კონტაქტის შედეგი უფრო იყო ვიდრე სოციალური პროცესის. მითუმეტეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მტერს ხმალჩაუგებლად ებრძოდნენ, არ გვაქვს ერთი მიზნით მებრძოლი, რამდენიმე მეომრის გამაერთიანებელი ნიშნის აღმნიშვნელი სახელი: დროშა, ალამი, ბაირაღი და სხვ.

რ. ბურჭულაძის აზრით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც თუ წარმართული ტრადიციები მძლავრობდა, არ იქნებოდა საერთო მიზანი და საერთო მიზნის უქონლად არც ერთიანობის ნიშანი და არც მისი აღმნიშვნელი ტერმინი იქნებოდა საჭირო.

ჩვენმა მეზობლებმა და სხვა ერებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველები ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ ბიზანტიაში, ბერძნულ ენაზე ქმნიდნენ ფილოსოფიურ ტრაქტატებს, მინიატურის ოსტატის სახელს იმკვიდრებდნენ ირანში, ტოლს არ უდებდნენ სპარსელ მგოსნებს, ქართველი ქალები მემკვიდრეებს უზრდიდნენ იმპერატორებს და შაჰებს. სეფიანთა ირანის გვარდია 10 ათასი ქართველისაგან შედგებოდა, ათასობით ქართველი იყო თურქეთის იანიჩართა კორპუსში, ეგვიპტის, სირიის, ერაყის მამელუქების რაზმებში. ქართული სისხლის მატარებლები იყვნენ შაჰ-აბასი და პეტრე პირველი. რუსეთის უდიდესი საბჭოთა იმპერიის სათავეში რამდენიმე ათეული წელი იდგა ქართველი სტალინი. სხვადასხვა პერიოდებში საბჭოეთის პოლიტიკური ელიტის უმაღლეს საფეხუ-

რებს იკავებდნენ კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი, ლ. ბერია, ს. ორჯონიკიძე, ე. შევარდნაძე.

როგორც ამბობენ, საქართველოს აგურებით სხვისი სახელმწიფოები შენდებოდა და სხვისი ისტორია იქმნებოდა. ამდენად ქართველი ერი და ქართული სახელმწიფოებრიობა საუკუნეების მანძილზე არსებობდა და აგრძელებდა ცხოვრებას რუსეთისაგან დამოუკიდებლად.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებს, თუ მათ ეტაპებად დავყოფთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

პირველი – 1990-1993 წწ., აღნიშნულ მონაკვეთში საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა. დაიშალა საბჭოთა კავშირი, განხორციელდა რუსეთ-საქართველოს ომი, მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება. ქვეყნიდან განდევნეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. დაიწყო ე. შევარდნაძის მრავალსტანდარტიანი პოლიტიკური მმართველობა, რის შედეგადაც დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) უცხო ძალის გამოყენებით შევარდნაძემ შეინარჩუნა ხელისუფლება. საქართველო გაერთიანდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში (დსთ), მოკლეს საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

მეორე – 1994-2004 წწ., ეს პერიოდი ხასიათდება ორ ქვეყანას შორის გარდამავალი საფეხურებით. ხდება ურთიერთობების გაუმჯობესება და გაუარესებაც. ე. შევარდნაძე აგრძელებს მრავალსტანდარტიან საგარეო პოლიტიკას. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესების ობიექტი ხდება. ქვეყანა ეფლობა უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში. ბატონდება კორუფციული და კლანური მმართველობა. კრემლის მითითებით ხორციელდება საკადრო ცვლილებები (თავდაცვის და უშიშროების სამინისტროები და სხვ.). ქვეყანაში მკვიდრდება ყველა დონის (ადგილობრივი, საპარლამენტო, საპრეზიდენტო) არჩევნების გაყალბების სისტემა. ფაქტობრივად ყალიბდება ერთპარტიული მმართველობა (მოქალაქეთა კავშირი), შევარდნაძის საქმიანობა მიუღებელი ხდება საქართველოს საზოგადოებრივი სპექტრის დიდი უმრავლესობისათვის და რუსეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებისათვის. მზადდება შევარდნაძის ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის გეგმა (რუსეთი, აშშ), ხორციელდება „ვარდების რევოლუცია."

მესამე – 2004 წლიდან დღემდე. ხელისუფლების სათავეში მოდის რევოლუციური ტრიუმვირატი (მ. სააკაშვილი, ნ. ბურჯანაძე, ზ. ჟვანია), საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად საქართველოს პრეზიდენტი ხდება მიხეილ სააკაშვილი. ქვეყანაში იწყება სახელმწიფო ადმინისტრაციული, სამხედრო, ეკონომიკური, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის რეფორმები. მართვის სადავეებს ეუფლება ნაციონალური მოძრაობა. განხორციელებას იწყებს ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსი – დასავლური ორიენტაცია. რთულდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. რუსეთი ახორციელებს სამხედრო ინტერვენციას საქართველოს წინააღმდეგ (2008 წლის აგვისტო), რის შედეგად დიპლომატიური ურთიერთობა წყდება ორ ქვეყანას შორის. რუსეთი აღიარებს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მომხდარის გამოსწორება ადვილი არ არის. ქართველებმა და რუსებმა ერთმანეთს იმდენი ქვა ესროლეს, მათი შეგროვებისათვის დრო არის საჭირო, თუმცა უნდა ვიყოთ მომთმენები, ბოლოს და ბოლოს, მათი რაოდენობა უსასრულო არ არის.

XX საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით XXI საუკუნის პირველ ათწლეულში პოლიტიკური რომანტიზმით გატაცებული საქართველო ორი დიდი ქვეყნის – რუსეთისა და ამერიკის საჯილდაო ქვა გახდა. ერთსაც და მეორესაც, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აქვთ ქართული სახელმწიფოს მიმართ. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრიც შესაბამისად ორად არის გახლეჩილი.

ასეთ ვითარებაში საინტერესოდ გვეჩვენება VI საუკუნის ცნობილი კოლხი ორატორის აიეტის მსჯელობა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ: „მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაბრუნებოდეს ძველი ძლიერება და არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება; და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისას და ომიანობის ჟამსაც... მაგრამ რახან დროთა მდინარებით ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოც, ისე დავუძლურდით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმის ნებას დავყვეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი და ვინც არასდროს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას“.

ქართულ პოლიტიკას და დიპლომატიას მოუწევს ანგარიში გაუწიოს მსგავს მოსაზრებებს და პრაგმატული სვლები გააკეთოს პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სტივენ კოენი, გარდაქმნა – ეს ახლის საძიებლად მოგზაურობაა, გაზეთში: კომუნისტი, ივლისი, 1989.
2. ზ. ბჟეზინსკი, დიდი ცვლილებები, ჟურნალში: საზოგადოება და პოლიტიკა, №1, თბილისი, 1996.
3. ჰ. მორგენთაუ, ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის, თბილისი, 1998.
4. ზ. ბჟეზინსკი, სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერიების კრიზისი, აშშ, 2012.
5. ჯ. ნაჭყებია, პოლიტიკური პროცესები ტრანსფორმირებადი საზოგადოების პირობებში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2012.
6. ჟ. სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, 2012.
7. ი. კვესელავა, ისტორიის საზრისისათვის, ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები“, №24, 2012.
8. ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბილისი, 2005.
9. ს. დანელია, ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, თბილსი, 1998.
10. რ. ბურჭულაძე, კეისარს – კეისრისა, თბილისი, 1998.

Igor Kveselava

Head of Department, Business Engineering Faculty, Georgian Technical University, Full Professor

Georgia in Russian, European and American Political Dimension

Summary

Georgian social-political movement and public life is more or less considered to Russian, European and American political dimension. According to this the issue of Russian, European and American orientation is actively discussed here.

In Russia's foreign policy imperial ambitions towards Georgia were always parried, what was reflected in the Russia-Georgia wars and state cataclysms.

USA has always had clearly expressed strategy of mastering living recourses. There are several group in the world following this way: Western (American), Eurasian (Russian), Asian (China), Islamic (Muslim countries), European (European states).

In this context we have to consider Russia's, Europe's and America's attitude toward Georgia.

E. Shevardnadze and later M. Saakashvili could not manage to set up the aim for „the future life" of Georgian people, as there were differences among Russian, European and American ways. Therefore in the 21st century Georgia could not avoid the problem of realizing Russian, European and American role and place.

Finally in the Shevardnadze's and Saakashvili's epochs Georgia, plunged into a political romance became the „Apple of Discord" between two great states – Russia and America. Both of them have its own political and economical aims toward the Georgian state. According to this Georgian social-political opinion is divided in to two parts.

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

„ცივი ომის“ ანატომია

ფაშისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი ევროპის მშენებლობის საკითხი, რომლის მთავარი მიმართულებები პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით იყო განსაზღვრული. მაგრამ სწორედ ამ კონფერენციის შემდეგ დაიწყო პროცესი, რომელმაც ევროპა გავლენის ორ სფეროდ გაყო, სწორედ მოხდა ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა რუზველტი [1, 285].

გერმანიის ოთხ ნაწილად დაყოფამ დააჩქარა ორ სისტემას შორის დაპირისპირების პროცესი. დასავლეთის და აღმოსავლეთის საოკუპაციო ადმინისტრაციათა ურთიერთობაში უთანხმოებამ შეიძლება ითქვას, რომ მომავალი „ცივი ომის“ უვერტიურად გაიჟღერა და ეს იყო პირველი შედეგი ომის დასრულების დროს უინსტონ ჩერჩილის მიერ სინანულით წარმოთქმული ფრაზა, რომ „ჩვენ (ე. ი. მოკავშირეებმა – ა. ს.) ევროპის გულში შევუშვით ბარბაროსი“ [2, 121].

რუზველტის მოულოდნელი სიკვდილი ჩერჩილისათვის ნამდვილი დარტყმა იყო. მას ახალი გამოუცდელი პრეზიდენტის დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ის რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს ადექვატურად შეაფასებდა. 1945 წლის 12 მაისს ჩერჩილმა ტრუმენს ტელეგრამა გაუგზავნა, რომელშიც თავის ცუდ წინათგრძნობას უზიარებდა და რომ „მათ ფრონტზე რკინის ფარდა იხურებოდა.“ეს იყო ამ ფრაზის გამოყენების პირველი შემთხვევა. მეორედ ჩერჩილმა ის ფულტონში 1946 წლის მარტში გამოსვლისას იხმარა და ყველამ გამოთქმა „რკინის ფარდის“ შესახებ აქედან იცის [3, 231].

დასავლეთის პოლიტიკური გულივერი – უინსტონ ჩერჩილი აშშ-ში მიიწვიეს. 1946 წლის იანვრიდან ჩერჩილი შტატებში ისვენებდა. ტრუმენმა ყოფილი პრემიერი მშობლიურ მისურის შტატის ქალაქ ფულტონში მიიპატიჟა ვესტმინსტერის კოლეჯში ლექციის

წასაკითხად. ჩერჩილს ფულტონში სამი ლექციის წაკითხვა სთხოვეს. ეს ლექციები ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და დაუვიწყარი სიტყვები გამოდგა, რომელიც შეიძლება, მხოლოდ 1947 წლის ივნისს გენერალ მარშალის მიერ ჰარვარდის სააქტო დღეზე წარმოთქმულ სიტყვას და თავად ჩერჩილის 1946 წლის შემოდგომაზე ციურიხში გამოსვლას შევადაროთ.

1946 წლის 5 მარტის ჩერჩილის ფულტონის ლექცია, ძირითადად, ევროპაში ბალტიის შტეტინიდან ადრიატიკის ტრიესტამდე დაშვებულ „რკინის ფარდას“ მიეძღვნა. ჩერჩილის აზრით, ევროპაში მშვიდობის და დემოკრატიის შენარჩუნება სამ დიდ ძალაუფლებაზე ვეღარ იქნებოდა დამოკიდებული. აღნიშნა, რომ რუსეთმა ომით კარგად იხეირა და თავისი ძალის და დოქტრინების ექსპანსიას ძალიან ჩქარობს. ომი არავის უნდა, მაგრამ რუსეთის გასაჩერებლად ამერიკა და ბრიტანეთი უფრო უნდა დაახლოვდნენო:

„თუ ინგლისურენოვანი ხალხების თანამეგობრობა და შეერთებული შტატები გაერთიანდებიან და ითანამშრომლებენ როგორც მეცნიერებასა და ინდუსტრიაში, ისე მორალის სფეროში, მაშინ მსოფლიოში საიმედო ბალანსი და უსაფრთხოების სრული გარანტია დამყარდება“ [4, 175].

ჩერჩილის გამოსვლას იმავე დღეებში მკაცრი კრიტიკა ელოდა. მისურის აუდიტორიამ კარგად მიიღო, მაგრამ მეორე დილით გამოქვეყნებულ გაზეთებზე ამას ვერ იტყოდი. „ვოლ სთრით ჯერნალი“ წერდა: „შეერთებულ შტატებს ალიანსი არ სურს. საერთოდ, ალიანსისმაგვარიც არაფერი სურს სხვა რომელიმე ერთან“.

„ჩიკაგო სანი“ აცხადებდა, რომ ჩერჩილის „დახურული სერიის სიტყვების ერთი კვირით ადრე შეთავაზებულ სერიულ გამოცემას აუქმებდა. ლონდონის „თაიმსიც“, როგორც მოსალოდნელი იყო, ცივად გამოეხმაურა. განსაკუთრებით მტრული პოზიცია „პრავდამ“ დაიკავა. სტალინი „პრავდაში“ ინტერვიუს იშვიათად ბეჭდავდა, მაგრამ ჩერჩილის ინგლისურენოვანი ხალხების გაერთიანების არაერთგზის მოთხოვნას სწორედ „პრავდაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუთი უპასუხა და ნათლად გამოავლინა, რაპირასაც და ხელკეტსაც ერთდროულად და კარგად რომ ხმარობდა:

„ბატონი ჩერჩილი (ჰიტლერის არ იყოს) რასობრივ თეორიაზე დაფუძნებულ ახალ ომს იწყებს. აცხადებს, თითქოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს აქვთ წმინდა სისხლი და მხოლოდ ისინი არიან მოწოდებულნი, მსოფლიოს ბედ-იღბალი გადაწყვიტონ. ფაქტობრივად, ბატონი ჩერჩილი და მისი ამერიკელი

და ინგლისელი მეგობრები იმ ხალხებს, რომლებიც ინგლისურად არ საუბრობენ, ულტიმატუმს გვიყენებენ – ან უნდა ვაღიაროთ მათი უპირატესობა, ან ომი გარდაუვალი იქნება“ [4, 176].

შინ დაბრუნებულ ჩერჩილს თავის გამოსვლასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი რეაქცია დახვდა. ეტლიმ განაცხადა, რომ ჩერჩილი ფულტონში პარლამენტის სახელით არ საუბრობდა და არ არის აუცილებელი, მისი პირადი მოსაზრება მოვიწონოთ ან არ მოვიწონოთო. ლეიბორისტული პარტია, ჩერჩილის კონსერვატიული პარტიის არაერთი წევრისაგან განსხვავებით ამერიკის ვიზიტს დადებითად აფასებდა; ბევინს საგარეო პოლიტიკა სწორედ ფულტონის მიმართულებით მიჰყავდა. დეპუტატების ერთმა ნაწილმა კი წინადადება შეიტანა, ჩერჩილისათვის უნდობლობა გამოეცხადებინა.

ყველაზე საეჭვო და დამაფიქრებლად პრეზიდენტი ტრუმენი იქცეოდა. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ჩერჩილი ფულტონში რა თემაზე აპირებდა საუბარს და რომ ლექციაზე მისი დასწრება თანამოაზრეობას სულაც არ ნიშნავდა. უფრო მეტიც, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, აჩესონს აუკრძალა, ერთი კვირის თავზე ნიუ-იორკში ჩასულ ჩერჩილთან შეერთებული შტატების მთავრობის სახელით ესაუბრა. საბოლოო ჯამში, ამ ამბებს ჩერჩილის და ტრუმენის ურთიერთობაზე არ უმოქმედია. ჩერჩილმა ტრუმენს, როგორც რუზველტის მემკვიდრეს, უფლება მისცა, კიბორჩხალას ნაბიჯებით ევლო დიდი მიზნისკენ [4, 177].

ამდენად, 1946 წლის გაზაფხული „ცივი ომის“ დაწყების ნიშანი გახდა. ტრუმენი კი „თამაშს“ განაგრძობდა. უფრო მეტიც, სსრკ-სა და ამერიკაში აგორებული მძლავრი ანტიფულტონური შემოტევებისაგან თავის დაცვას შეეცადა განცხადებით, რომ თითქოს წინასწარ არ გასცნობია ჩერჩილის ამ სიტყვის ტექსტს და მხოლოდ ესწრებოდა მის წარმოთქმას. ეს სიცრუე იყო. ყველამ, ვინც ჩერჩილის გამოსვლას ესწრებოდა, დაინახა, მოწონების ნიშნად როგორ უკრავდა ტაშს ტრუმენი ორატორს.

ასეთსავე ფარულ ტაქტიკას იყენებდა პრეზიდენტი მომდევნო თვეებშიც, კერძოდ, საგარეო საქმეთა მოსკოვის თათბირზე და პარიზში გერმანიის მოკავშირე ქვეყნებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების დროს. აშშ იძულებული იყო მხარი დაეჭირა საბჭოთა კავშირის იმ წინადადებებისათვის, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპაში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა. ეს

მოხდა ამერიკელი ჯარისკაცების მასების ზეგავლენით, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ ომისშემდგომი დემობილიზაციის ვადების გაჭიანურებით. ისინი შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში და, ცხადია, ამერიკაშიც უმაღლეს დონეზე იყო. ამის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა. ამასთან, საჭირო იყო იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებების შესრულებაც, რომელთაც რუზველტი აწერდა ხელს.

იმავე პერიოდში აშშ-ში გამოჩნდა „ცივი ომის“ პირველი ნიშნები: პირველი პუბლიკაციები პრეზიდენტისადმი მიმართული საყვედურებით, რომ თითქოს იგი განახორციელებდა საბჭოთა კავშირის წახალისების პოლიტიკას. როგორც ირკვევა, ეს იყო სიგნალები, მითითებები, რომელსაც მედიას აწვდიდა შეიარაღებას გამოდევნებული მსხვილი კაპიტალი – მხოლოდ ამ გზით იზრდებოდა მისი კოლოსალური მოგება, დემილიტარიზაცია კი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ძალიან თუ გავამარტივებთ სიტუაციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ საქმიან წრეებში ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი სავაჭრო-ეკონომიკური; მეორე – მის მიმართ კონფრონტაციული მიმდინარეობა, რომელიც საომარი დაპირისპირებისკენ იხრებოდა. გაიმარჯვა მეორე ტენდენციამ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გაჩნდა ატომური შანტაჟის შესაძლებლობა.

მოსკოვისა და პარიზის შეთანხმებების მიღებისთანავე ტრუმენის ადმინისტრაცია მათ საბოტირებას შეუდგა; შემდეგ ამ პასიურ ტაქტიკაზეც უარი თქვა და სსრკ-ს წინააღმდეგ აშკარა დაპირისპირებაზე გადავიდა. აშშ შეიარაღებული ძალების შემცირების კვალზე ამერიკის მილიტარიზაცია არ შემცირებულა, პირიქით, ახალ დონეზე გადავიდა, რომელსაც განსაზღვრავდა სრულიად ახალი, სრულყოფილი სამხედრო ტექნიკით აღჭურვა ამერიკის შეიარაღებული ძალების.

ამასთან ერთად, ომის შემდგომი გაღატაკებით წელში გატეხილი ბევრი ევროპული ქვეყანა ამერიკული ნაწარმის გავრცელების შესანიშნავ ბაზად იქცა.

„ცივი ომი“ აშშ მმართველი წრეებისათვის, უწინარეს ყოვლისა, მომგებიან ღონისძიებად, სარფიან საქმედ, ეფექტიან ბიზნესად ჩამოყალიბდა. ხოლო იქ, სადაც ლაპარაკია მატერიალურ მოგებაზე, პლიუს საკუთარი გავლენის გაძლიერებაზე, ის ძალები იყ-

რიან თავს, რომლებსაც მომგებიან ლუკმას პირიდან ვერ გააგდებინებ.

შეცდომა იქნებოდა იმის უგულებელყოფაც, რომ როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში, ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებიდან და რუსეთში სამოქალაქო ომიდან მოყოლებული იდეური ანტისაბჭოთა ძალების საკმაო რაოდენობა არსებობდა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საბჭოებთან კონფრონტაციით.

ამრიგად, ჩერჩილის ფულტონში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ პოლიტიკურ ურთიერთობაში მტკიცედ დამკვიდრდა ცნება „რ კ ი ნ ი ს ფ ა რ დ ა.“ თუმცა დღესაც ბევრი მიიჩნევს, რომ ეს „ფარდა“ სტალინმა დაუშვა.

საპასუხოდ სტალინმა დაამკვიდრა გამოთქმა „ო მ ი ს გ ა მ ჩ ა ღ ე ბ ლ ე ბ ი.“ მართლაც, საკითხი იდგა არა უბრალოდ სოციალისტური სახელმწიფოების კაპიტალისტურისაგან იზოლაციის შესახებ: დაიწყო „ცივი ომის“ ხანგრძლივი ერა, რომელიც დრო და დრო ხან „ცხელი“ ომის მუქარად ტრანსფორმირდებოდა, ხან ლოკალურ შეიარაღებულ კონფლიქტებად.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩერჩილის აგრესიული სიტყვა გამოწვეული იყო პირადი მოტივითა და განცდით. მის პატივმოყვარეობას უდიდესი დარტყმა მიაყენა 1945 წელს ინგლისში გამართულმა არჩევნებმა, რომელშიც მან, როგორც პრემიერ-მინისტრმა მარცხი განიცადა. ამასთან, ბრიტანეთის იმპერია რღვევის კრიზისს განიცდიდა და თანდათან კარგავადა ზესახელმწიფოს სტატუსს. სავარაუდოა, რომ ყოველივე ამაში იგი „მოსკოვის ხელს“ ხედავდა და თავის მრისხანებას სწორედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართავდა.

სინამდვილეში კი მიმდინარეობდა ძველი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხების მიერ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის მოპოვების ობიექტური პროცესი, რომელიც დეკოლონიზაციის ისტორიული ეტაპის სახელით არის ცნობილი.

ჩერჩილი ამ პროცესს, ცხადია ვერ შეაჩერებდა, ამიტომ საბჭოთა კავშირთან მისი უკიდურესი დაპირისპირება უფრო გულის მოფხანას ჰგავდა. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის პირველ პლანზე ყოფნას შეჩვეული დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კვლავ ცდილობდა იმავე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დაბრუნებას [5].

ამდენად, ფულტონში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში დადგა ეპოქა, – ომი ომის გარეშე, რომელ-

საც „ცივი ომი“ ეწოდა. ტერმინის არსი სიტყვასიტყვით მდგომარეობდა საბჭოთა კავშირისადმი მტრული პოლიტიკის წარმოაებაში. აღნიშნული ტერმინი პირველად იხმარა პუბლიცისტმა, პულიტცერის პრემიის სამგზის ლაურეატმა ჰერბერტ სვოუპმა, რომელიც ზოგჯერ წერდა წარმოსათქმელ სიტყვას მოხუცებული სახელმწიფო მოღვაწის ბერნარდ ბარუხისათვის. 1946 წელს, იმ დროს, როდესაც ჩერჩილი საუბრობდა „რკინის ფარდის“ შესახებ, სვოუპმა ბარუხის სიტყვის პროექტის შედგენის დროს, რომელიც ეხებოდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, გამოიყენა ტერმინი „ცივი ომი“ (ცოტა ხნის წინ დამთავრებული „ცხელი ომის“ საპირისპიროდ). ბარუხმა ჩათვალა, რომ ტერმინი მეტისმეტად ძლიერი იყო და ერთი წლის შემდეგ კვლავ გამოიყენა სამხრეთ კაროლინის შტატში – კოლუმბიაში გამოსვლის დროს: „თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენ ახლა ვიმყოფებით გახურებული „ცივი ომის“ პერიოდში.“ეს ითქვა „ტრუმენის დოქტრინის“ ძალაში შესვლის ზუსტად ერთი თვის შემდეგ – 1947 წლის 13 აპრილს.

სიტყვა აიტაცა და მისი პოპულარიზაცია მოახდინა ამერიკული ჟურნალისტიკის ვეტერანმა უ. ლიპმანმა სტატიების სერიაში, რომელიც „ვაშინგტონ პოსტში“ ქვეყნდებოდა. ჟურნალისტმა აღნიშნული სტატიები იმავე 1947 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა სათაურით „ცივი ომი: აშშ საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ [6, 91].

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი ჩარლზ ბოლენი „ცივი ომის“ წარმოშობასთან დაკავშირებით თანამემამულეებს შეახსენებს: „სავსებით ბუნებრივია ვიპოვოთ მომენტი, როდესაც ახალი ერა დაიწყო. „ცივი ომისათვის“ ასეთი ზუსტი მომენტი არ არსებობს... ამერიკული თვალთახედვით „ტრუმენის დოქტრინისა“ და „მარშალის გეგმის“ დროიდან ჩვენმა კამათმა საბჭოთა კავშირთან „ცივი ომის“ ფორმა მიიღო. რა არის „ცივი ომის“ მიზეზი? – სვამს კითხვას დიპლომატი და იქვე აღნიშნავს – ჩემი პასუხი უბრალოა: „ცივი ომი“ დაიწყო 1917 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ... „ცივი ომი“ მიმართული იქნა ამერიკის წინააღმდეგ, რომელიც განიხილება, როგორც ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიო ანტიკომუნისტური ცენტრი. მე მიკვირს და სერიოზულად ვარ შეშფოთებული რიგი ისტორიკოსების მზადყოფნით, დათანხმდნენ, რომ „ცივი ომი“ სინამდვილეში დაიწყო შტატებმა. არ

არსებობს სხვა უფრო მეტი ისტორიული სიყალბე, რომელსაც შეუძლია მოიტანოს კატასტროფული შედეგები“ [6, 103].

„ცივი ომის“ საწყის ეტაპზევე აშშ-ში დაიწყო მასობრივი ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ამერიკაზე საბჭოთა კავშირის თავდასხმის მოლოდინმა მოსახლეობაში პანიკური შიშის სახე მიიღო. და არა მარტო ფართო საზოგადოებაში. შიშის სინდრომი, ასევე გავრცელდა სახელისუფლო ეშელონებში. გენერლები ბჭობდნენ მტრის შესახებ, რომელიც უკვე აშშ ტერიტორიაზე იყო შემოსული, რაც ჭეშმარიტებად მიიჩნია თავდაცვის მინისტრმა ჯონ ფორესტოლმაც.

დაინახეს: გაშეშებული თვალებით, როგორ მირბოდა ქუჩაში ყვირილით: „რუსები მოდიან! რუსები მოდიან! ისინი აქ არიან! მე დავინახე რუსი ჯარისკაცები! 1949 წლის მარტში მან მინისტრის პოსტი დაუთმო ლუის ჯონსონს, თვითონ კი ვაშინგტონის ბეტესდას სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს. მაისის ერთ დილას ფორესტოლი იწერდა სოფოკლეს სტროფებს აიაქსის შესახებ. ყველა ომში! დადო კალამი. საავადმყოფოს ხალათის ქამრის ბოლო, გათბობის რადიატორს მიაბა, ხოლო მეორე ბოლო ყელზე შემოიხვია. გააღო ფანჯარა და გადახტა. მეთექვსმეტე სართულიდან გადმომხტარი „მინისტრი“ ქამარმა მხოლოდ წამიერად „დაიჭირა“ [6, 106].

„ცივი ომის“ საწყის ეტაპზე ევროპის ნევროლიგიურ ცენტრად ბერლინი იქცა. მოკავშირეები, რომლებიც ერთად ზეიმობდნენ საბჭოთა ჯარის მიერ ბერლინის აღებას, ახლა უკვე ერთმანეთს ედავებოდნენ იმავე ქალაქს [7, 39].

1948 წლის 11 ივნისს აშშ კონგრესმა მიიღო „ცივი ომის“ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი წამომწყების ა. ვინდერბერგის რეზოლუცია, რომლითაც მშვიდობიან პერიოდში პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამხედრო კავშირი დაედო.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გარკვეულმა ძალებმა გადაწყვიტეს დახურული სამხედრო ბლოკის – ნატოს შექმნა, რომელიც უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული. აგრესიული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დაარსებას წინ უსწრებდა დასავლეთის ხმაურიანი პროპაგანდისტული კამპანია „კომუნისტური აგრესიისა და ნატოს „თავდაცვითი ხასიათის შესახებ“ [7, 25]. ამიტომ „ცივი ომის“ მთელ პერიოდში სსრკ-ის ერთ-ერთი

სტრატეგიული ამოცანა მოწინააღმდეგეთა რიგებში, უპირველეს ყოვლისა ნატოში, განხეთქილების შეტანა იყო [7, 103].

სახელმწიფოთა კავშირის დროს ძლიერი წევრი, როგორც წესი, ბევრს „იმკის.“თუმცა ზოგჯერ სუსტი მოკავშირე (პატარა ქვეყანა) გარკვეული მიზეზების გამო (რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა და სხვ.) შეიძლება მასზე ძლიერი მოკავშირისათვის ძალზე ღირებული იყოს. ამგვარი კავშირის მაგალითად ჰ. მორგენთაუს მიაჩნია აშშ-სა და ისლანდიის მეტად მჭიდრო ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც ისლანდია ამერიკის სტრატეგიული ავიაციისათვის მეტად მნიშვნელოვან „აეროდრომად“ (კეფლავიკის ბაზა) იქცა [8, 141-142]. ასევე, პატარა ქვეყანას შეუძლია ძლიერი მოკავშირე კონფრონტაციასა და კონფლიქტში ჩაითრიოს. სწორედ „ცივი ომის“ პერიოდში ამგვარი ტენდენცია შეინიშნებოდა, როგორც აშშ-ის, ისე სსრკ-ის ბანაკშიც. კუბის „ურჩობამ“ სსრკ და აშშ კიდევ უფრო დააპირისპირა [8, 146].

„ცივმა ომმა“ დაგვანახა, რომ ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემას უფრო მყარი და ხანგრძლივი კავშირები ახასიათებს, მულტიპოლარულთან შედარებით, რომ ორივე დაპირისპირებული ბლოკი ასიმეტრიულ, ჰომოგენურ კავშირს წარმოადგენდა, მომცრო ქვეყნები თავიანთი ბლოკის ლიდერზე ძლიერ იყვნენ დაქვემდებარებულნი, ან მის უზარმაზარ დაწოლას განიცდიდნენ. „ცივი ომის“ ეპოქაში ერთი ბლოკიდან მეორეში „გადასვლა“ ძალიან იშვიათი იყო, სამხედრო კავშირები საკმაოდ მყარი აღმოჩნდა [8, 147]...

„ცივი ომის“ ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ჟამს 1955 წელს შუაგულ ევროპაში მდებარე უაღრესად მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ „დერეფანში“ მოქცეულმა ავსტრიამ ორივე დაპირისპირებული ბანაკის მცდელობით ნეიტრალური სტატუსი მოიპოვა და ამით ევროპისა და მსოფლიოს უსაფრთხოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა [8, 174].

საერთოდ, „ცივი ომის“ პერიოდში ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოები (შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, ფინეთი) წარმოადგენდნენ ბუფერებს ვარშავის პაქტსა და ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკს შორის [9, 87]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბუფერის ეფექტი საკმაოდ სუსტი იყო, ვინაიდან „ცივ ომში“ დაპირისპირებული სუპერსახელმწიფოები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხებას ევროპის ტერიტორიაზე, კერძოდ, ორად გაყოფილ გერმანიაში [9, 95].

სტალინის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ შეიძლებოდა ორ სისტემას შორის გარკვეული კომპრომისისთვის მიეღწიათ. კერძოდ, იმედით შეჰყურებდა მსოფლიო 1955 წლის ივლისში აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეთაურთა შეხვედრას. აქ მთავარ საკითხად ე. წ. „ცივი ომის" დასრულების შესაძლებლობა უნდა განეხილათ [10, 73]. შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის 34-ე პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი ბულგანინი, ედგარ ფორი – საფრანგეთის პრემიერი და ენთონი იდენი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი [10, 92]. თუმცა ამ შეხვედრას შედეგი არ მოჰყოლია.

„ცივი ომის" პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ასიმეტრიული კავშირების თავისებურებები. ორივე სუპერძალა (აშშ და სსრკ) მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს წარმოადგენდნენ და, ფაქტობრივად სამხედრო დახმარებას არ საჭიროებდნენ, მაინც დღენიადაგ მოკავშირეთა ძიებაში იყვნენ. ამის მიზეზი გავლენის სფეროების გაფართოება და იდეოლოგიური ინტერესები იყო. „ცივმა ომმა" გვიჩვენა, რომ მოკავშირის ყოლას ბირთვულ ეპოქაშიც კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს [8, 145].

„ცივი ომის" პროცესში ტერიტორიის დაცვა სამხედრო კავშირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო. ამ საბაბითა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად ხდებოდა ჯარების განლაგება მოკავშირე ქვეყნის მიწაზე. უკანასკნელ წლებში კი უცხოეთში მუდმივად განლაგებული ჯარის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითისათვის გაუქმდა აშშ-ის სამხედრო ბაზები ფილიპინებზე, ხოლო გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ისინი საგრძნობლად შემცირდა. გაუქმდა უცხოეთში განლაგებული რამდენიმე რუსული სამხედრო ბაზაც, ხოლო რაც დარჩა, მათი პირადი შემადგენლობა და შეიარაღება საგრძნობლად არის „შეთხელებული" [8, 156].

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ამავე უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის ს ე მ უ ე ლ ჰ ა ნ თ ი ნ გ ტ ო ნ ი ს შეფასებით „ცივი ომის" დამთავრებასთან ერთად დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების დასავლური ფაზა. წინ წამოიწია ურთიერთობამ დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციის ქვეყნებში და ერები უკვე აღარ გამოდი-

ან ისტორიის ობიექტთა – დასავლეთის კოლონიური პოლიტიკის სამიზნეთა – როლში, არამედ, დასავლეთის მსგავსად, თვითონ ქმნიან და წარმართავენ თავიანთ ისტორიას“ [11, 146].

„ცივი ომის“ დასასრული ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფად განიხილება. თუმცა ეს „ტრიუმფი“ სერიოზულ დებატებს იწვევს. ასე მაგალითად, თუ ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვება საგარეო საფრთხის წყაროებს მოსპობს, ამან შეიძლება ძალზე ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნებისა და ერების შიდა შეკავშირებულობაზე და სახელმწიფო დაასუსტოს [8, 154].

ზოგიერთი თეორიის საფუძველზე შეიძლება აიხსნას აგრეთვე სამხედრო ალიანსების არსებობის ფენომენი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კავშირს რაიმე საფრთხე არ ემუქრება (მაგ., „ცივი ომის“ შემდგომი ნატო). სწორედ, თავის გადარჩენის ძლიერმა ორგანიზაციულმა „ინსტიქტმა“ შეასრულა გადამწყვეტი როლი „ცივი ომის“ შემდგომ ნატოს არსებობაში [8, 155].

დღეს ბევრს დაობენ იმაზე, თუ როდის დასრულდა „ცივი ომი.“ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი დამთავრდა მალტაში, 1989 წლის ბოლოს გორბაჩოვისა და ბუშის შეხვედრისას. მეორენი თვლიან, რომ ეს ეპოქა გერმანიის გაერთიანებისა და აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარის გაყვანამ დაასრულა. დიდი ნაწილის აზრით კი საბჭოთა კავშირის დაშლამ დაუსვა წერტილი „ცივ ომს“... [7, 212].

და ბოლოს, ვინ დარჩა გამარჯვებული? ისტორიკოსთა „დიაგნოზით“ „ცივი ომის“ დროს, „რადგან პირდაპირი შეიარაღებული კონფლიქტი არ ყოფილა დემოკრატიულ და კომუნისტურ ქვეყნებს შორის, არამედ იბრძოდნენ მათი წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში, გაიმარჯვეს უმთავრესად ამერიკელებმა და წააგეს, რუსებმა“ [12, 211].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე, თბილისი, 2002.
2. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბილისი, 2002.
3. ე. მეძმარიაშვილი, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია, თბილისი, 2008.
4. როი ჯენკინსი, ჩერჩილი, წიგნი მეორე, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ჭილაძემ, თბილისი, 2011.
5. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო", 2012, №36.
6. Н. Н. Яковлев, Силуеты Вашингтона, Москва, 1983.
7. ზ. აბაშიძე, ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? თბილისი, 2009.
8. ა. რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, თბილისი, 2003.
9. თ. თურმანიძე, ბუფერული სახელმწიფოები, თბილისი, 2011.
10. რუბენ პელაიო, გაბრიელ გარსია მარკესი, თბილისი, 2011.
11. კულტუროლოგია, თბილისი, 2003.
12. პატრიკ იურჟედნიკი, ევროპეანა მეოცე საუკუნის მოკლე ისტორია, ჩეხურიდან თარგმნა გ. ლეჟავამ, თბილისი, 2009.

Avtandil Songulashvili

Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi state university, Ivane Javakishvili Institute of History and ethnology, The Head of the Department of the New and modern History

Anatomy of the „Cold War"

Summary

Division of Germany into four parts hastened the process of confrontation between the two systems. It was an overture of the future „The Cold War."On March 5, 1946, in Fulton, Churchill used the term „Iron Curtain." In response, Stalin established pronunciation „Instigator of War".

At first, term „The Cold War" was used by American publicist Herbert Swope. Its using was contributed by the statesman Bernard Baruch and its popularization was made by American journalist U. Lipman. American diplomat Charles Bohlen considers revolution of October by the Bolsheviks as the reason of „The Cold War".

The end of „The Cold War" is considered as the triumph of liberal democracy. But, this „triumph" causes a serious debate. Also, there are various opinions about the date of The Cold War's end.

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რამდენიმე დოკუმენტი ბრიტანეთის ნაციონალური არქივიდან

ბრიტანეთი ნაციონალურ არქივში მუშაობისას ჩვენ ვნახეთ უამრავი მასალა, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს ისტორიის ახალ პერიოდს; კერძოდ, 1918-1921 წლებს. მათგან გადავიღეთ ზოგიერთის ასლი. ამჟამად ვაქვეყნებთ საქართველოში დიდი ბრიტანეთის მთავარი რწმუნებულის პოლკოვნიკ სტოუკსის 5 წერილს, გაგზავნილს საგარეო საქმეთა მინისტრ კურზონისადმი (ერთი) და საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი (ოთხი). აგრეთვე ჰ.რუმბოლდის 2 წერილს და მაკდონელის ერთ ჩანაწერს.

წერილები გაგზავნილია 1921 წლის იანვარ-თებერვალში. ისინი ძალზე საყურადღებო ინფორმაციას შეიცავენ საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ. მათში უკვე ჩანს ის საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა საქართველოს ბოლშევიკური რუსეთისგან, რომლის თავიდან აცილებასაც ცდილობდა საქართველოს მთავრობა დიდი ბრიტანეთის დახმარებით; თუმცა ამას ფაქტიურად იმედის გაცრუება მოჰყვა.

წერილები იძლევა საშუალებას დაზუსტდეს ზოგიერთი მოვლენის თარიღიც.

[This Document is the Property of His Britannic Majesty's Government.]

No. 8.—ARCHIVES.

EASTERN (Caucasus). [January 25.]
CONFIDENTIAL Section 3.

[E 1177/55/58 No. 1.

Colonel Stokes to Earl Curzon – (Received January 25.)
(No. 21.)
(Telegraphic.) Tiflis (via Constantinople), January 20, 1921.

REFERENCE my telegram No. 19 of 20th January.

Military requirements of Georgian Government are as follows: --

Complete uniform and equipment for 75.000 men; 75.000 rifles with spare parts, short British rifle if possible; small-arm ammunition, 150.000.000 rounds; Lewis guns, 350; either 200 {three groups undecyperable}s or 120 Maxim guns; machine-gun ammunition, 8.000.000 rounds; mountain guns, 40; shells, 200.000; 3-inch field guns, 20; shells, 100.000; 4.8-inch howitzers, 18; shells, 90.000; 6-inch howitzers, 18; shells, 54.000; harness for teams, spare parts, pack equipment for mountain guns, limbers, 2 per gun or howitzer; shells in proportion of 2 shrapnel to 1 high explosive.

Length of sole of boots should be for 60 per cent., 30 centimetres; for 20 per cent., 29 centimetres; for 20 per cent., 28 centimetres; equipment should be for 60 per cent., medium size; for 20 per cent., large size; and for 20 per cent., small size.

Georgian Government urgently desire to obtain third of above immediately, remainder to be kept at Constantinople, ready to be sent when required. Georgian Government is convinced of its power, and they think that I agree. I am convinced that Georgian nation will fight for its independence, and submit that our own interests demand that we should assist it so far as we can.

Georgia has large reserve of trained soldiers, and national and anti-Bolshevik feeling is strong. If assistance asked for is forthcoming, moral effect and encouragement will be great.

(Sent to India and Constantinople, No. 20.)

[ეს დოკუმენტი წარმოადგენს მისი ბრიტანელი უდიდებულესობის მთავრობის საკუთრებას]

აღმოსავლეთი (კავკასია)

კონფიდენციალურად

პოლკოვნიკი სტოუკსი გრაფ კერზონს – (მიღებულია 25 იანვარს)

(№.21) ტელეგრამით ტფილისი (კონსტანტინოპოლის გავლით),1921 წ. 20 იანვარი

ვეყრდნობი 20 იანვრის №19 ჩემს ტელეგრამას.

საქართველოს მთავრობის მოთხოვნა სამხედრო საჭიროებებზე შემდეგია:

სრული უნიფორმა და აღჭურვილობა 75.000 კაცისთვის; 75.000 შაშხანა სათადარიგო ნაწილებით; თუ შესაძლებელია, ბრიტანული მოკლე შაშხანა. [სასროლი იარაღის] 150.000.000 ცალი საბრძოლო ვაზნა. ლიუისის 350 ქვემეხი. 200 (სამი ჯგუფი არ იშიფრება) ან 120 „მაქსიმი"; ტყვიამფრქვევების საბრძოლო 8.000.000 ცალი ვაზნა. სამთო ქვემეხი 40; ჭურვი 200.000. სამდიუიმიანი საველე ქვემეხი – 20; ჭურვი 100.000. 4,8 დიუიმიანი ჰაუბიცა 18; ჭურვი 90.000; 6 დიუიმიანი ჰაუბიცა–18; ჭურვი 54.000. აკაზმულობა ეკიპაჟისთვის სათადარიგო ნაწილებით, ზურგჩანთა (ფუთა) სამთო ქვემეხის აღჭურვილობით; 2 ცალი ქვემეხის ან ჰაუბიცის წინარები. ჭურვები შემდეგი პროპორციით – 2 შრაპნელი ძლიერი ფეთქების.

ყელიანი ფეხსაცმლის ძირის სიგრძე უნდა იყოს – 60%-მდე 30 სანტიმეტრი; 20% – 29 სანტიმეტრი. აკაზმულობა (ფორმები) უნდა იყოს 60% საშუალო ზომის 20% – დიდი ზომის და 20% – პატარა ზომის.

საქართველოს მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს,ზემოჩამოთვლილის მესამედის სასწრაფოდ მიღებას, დანარჩენის კონსტანტინოპოლში დატოვებას, რომელსაც საჭიროებისამებრ გაგზავნიან. ქართული მთავრობა დარწმუნებულია თავის ძალაში და

ფიქრობენ, რომ მეც ვეთანხმები. მე მჯერა, რომ ქართველინ ხალხი იბრძოლებს თავისი დამოუკიდებლობისთვის და ვადასტურებ, რომ ჩვენს ინტერესებშია, რამდენადაც შევძლებთ, დავეხმაროთ მათ.

საქართველოს ჰყავს გაწვრთნილი ჯარისკაცების დიდი რეზერვი და ძლიერია როგორც ეროვნული, ისე ანტიბოლშევიკური განწყობა. თუ განხორციელდა ნათხოვნი დახმარება, დიდი იქნება მორალური ეფექტი და გამხნევების ძალა.

(გაიგზავნა ინდოეთსა და კონსტანტინოპოლში, № 20).

№ 2

CAUCASUS FO.371/6268 62-63

POLITICAL

Decypher. Colonel Stokes (Tiflis, via Constantinople). 20th January 1921.
R. 2.0 p.m. 26th January 1921.

№ 20.

URGENT.

Reference my telegram No. 19 of January 20th.

Following are indications which support the view that immediate attack by Bolsheviks is improbable. I have to-day received report of (?discussion) at Moscow early in January regarding advisability of attacking Georgia. Dzerdzinsky and Bukharin demanded immediate attack on the ground that fall of Georgia would complete politically and strategically the Bolshevik position in Caucasus, strengthen yhe position in the East, deprive the Entente of base for anti-Bolshevik intrigues, kill the hopes of Trans-Caucasian Mahommedans of gaining independence and deprive Kemalists of possible ally in case of Bolshevik-Kemalist rupture. Lenin opposed the attack on the ground that peace is essential at present, Bolshevik task in the East is tremendous but possibility of (?staunch support) small, attack now would mix up their cards in Europe, spoil negotiations which would alienate sympathisers in Europe, might adversely affect negotiations in (? London. 1 group undecypherable) at moment when Entante is trying to get closer relations with latter. He said that either Bolshevism must start in Georgia herself or an opportune moment must be awaited. Trotsky and Starin supported Lenin and majority voted against attack.

According to agent's reports 4th, 6th, and 8th armies were being moved to Kuban and Stavropol districts. Leading units arrived but about January 6th were hurriedly recalled to north of Rostov. Reason for recall is believed to be trouble in Ukraine and (1 group undecypherable) led by Makhno.

Ninth and tenth armies in all 30.000 are stated to be fully occupated with risings in North Caucasus. Insurgents under Said Shamil recently took Temir Kahn Shura but had to withdraw.

Eleventh army is scattered in Azerbaijan and Armenia part being engaged against Persian incursion into Lenkoran district. Document obtained secretly shows that Gekker, Commander of eleventh army (2 groups undecypherable) answered that he reyuired 25.000 bayonets and 3.000 Cossacks for an attack on Georgia but could provide only a yuarter of these numbers from his command.

Pogroms against Jews are reported in several parts of Russia. Georgian representative at Moscow states that risings have occured but so far are not serious.

Ali Fuad Pasha, Nationalist envoy to Moscow at head of important delegation from Angora is at Tiflis on the way to Moscow. Relations between Georgia and Nationalists appear to be most friendly. In first sentence of my telegram No.587 of December 27th for "Tiflis" please read "Angora."

Addressed to Foreign Office No. 20. Repeated to Constantinople No.18. Commander-in-Chief Afloat.

კავკასია FO.371/6268 62-63

პოლიტიკური

გაშიფრული. პოლკოვნიკი სტოუკსი (ტფილისი, კონსტანტინოპოლის გავლით)

20 იანვარი 1921.

მიღებული 2 p.m. 26 იანვარი 1921.

№ 20.

სასწრაფო.

ჩემი 20 იანვრის № 19 ტელეგრამის დამატებად.

შემდგომი მიგვანიშნებს და ამაგრებს აზრს, რომ ბოლშევიკების უეცარი შეტევა დაუჯერებელია. დღეს მე მივიღე დისკუსიის

ანგარიში, რომელიც შედგა მოსკოვში ადრე იანვარში, რაც ეხებოდა საქართველოზე თავდასხმის მიზანშეწონილობას. ძერჟინსკი და ბუხარინი მოითხოვდნენ სასწრაფო შეტევას, იმ აზრით, რომ საქართველოს დაცემა საბოლოოდ გაამყარებდა პოლიტიკურად და სტრატეგიულად ბოლშევიკების პოზიციას კავკასიაში, გააძლიერებდა პოზიციებს აღმოსავლეთში, მოუშლიდა ანტანტას ანტიბოლშევიკური ინტრიგების ბაზას, ამიერკავკასიელ მაჰმადიანებს ჩაუკლავდა დამოუკიდებლობის მოპოვების იმედს და ხელს შეუშლიდა ქემალისტების სეპარატისტულ შესაძლო კავშირებს ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობის დასარღვევად. ლენინი შეეწინააღმდეგა თავდასხმის სურვილს იმ მოტივით, რომ მშვიდობა აუცილებელია ამჟამად.; რომ ბოლშევიკების მოვალეობა აღმოსავლეთში ძალზე დიდია, მაგრამ შესაძლებლობა (მტკიცე მხარდაჭერის) მცირე; რომ შეტევა ახლა აურევს მათ კარტებს ევროპაში, წაახდენს მოლაპარაკებებს, რითიც დაკარგავს მომხრეებს ევროპაში; ამან შესაძლოა მტრულად იმოქმედოს მოლაპარაკებებზე, მაშინ როცა ანტანტა ცდილობს უფრო დაუახლოვდეს ამ უკანასკნელს. მან თქვა, რომ ბოლშევიზმი ან თვით ამოქმედდება საქართველოში, ან უნდა დაუცადოს შესაფერის (დროულ) მომენტს. ტროცკიმ და სტალინმა მხარი დაუჭირეს ლენინს და უმრავლესობამ შეტევის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა.

აგენტის ცნობით მე-4, მე-6 და მე-8 არმიები დაიძრნენ ყუბანისა და სტავროპოლისკენ. მოწინავე ნაწილები ჩავიდნენ, მაგრამ დაახლოებით 6 იანვარს სასწრაფოდ გაიწვიეს ჩრდილოეთით როსტოვისკენ. საფიქრებელია, რომ გაწვევის მიზეზი იყო საფრთხე (არეულობა) უკრაინაში, შექმნილი მახნოს მიერ.

მე-9 და მე-10 არმიები (სულ 30.000 კაცი) შექმნილია მხოლოდ მეამბოხეთა წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიაში. მეამბოხეებმა საიდ შამილის მეთაურობით ახლახანს დაიკავეს თემირ ხან შურა, მაგრამ იძულებით უკან დაიხიეს.

მე-11 არმია გაფანტულია აზერბაიჯანსა და სომხეთში, რათა ერთი მხრივ ეზრუნათ ლენქორანის მხარეში სპარსელთა შეჭრის წინააღმდეგ. დოკუმენტში წარმოდგენილია საიდუმლო ჩვენება, რომელშიც მე-11 არმიის სარდალი ჰეკერი პასუხობს, რომ მას სჭირდებოდა 25.000 ხიშტი და 3.000 კაზაკი საქართველოზე შეტევისთვის, მაგრამ შეუძლია მხოლოდ ამ რაოდენობის მეოთხედის უზრუნველყოფა თავისი ნაწილებიდან.

რუსეთის სხვადასხვა მხარეებიდან იტყობინებიან ებრაელთა დარბევების შესახებ. ქართველი წარმომადგენელი მოსკოვში ადასტურებს, რომ მოხდა ეს ამბოხებები, მაგრამ არ თვლის სერიოზულად.

ალი ფუად ფაშა, ნაციონალისტთა ელჩი მოსკოვში, ანგორის მნიშვნელოვანი დელეგაციის მეთაური, იმყოფება ტფილისში გზად მოსკოვისკენ. ურთიერთობა საქართველოსა და ნაციონალისტებს შორის საკმაოდ მეგობრული ჩანს.

27 დეკემბრის №587 ჩემს ტელეგრამაში „ტფილისის" მაგიერ წაიკითხეთ „ანგორა"(?).

გაგზავნილია საგარეო საქმეთა სამინისტროში № 20; განმეორებით კონსტანტინოპოლში (№ 18) საზღვაო მთავარსარდალს.

№ 3

CAUCASUS FO.371/6268 78-79

POLITICAL

Decypher. Colonel Stokes. (Tiflis via Constantinople). January 27th, 1921

D. (Constantinople) 12.15. p.m. February 6th, 1921.

R. 12.15. p.m. February 7th, 1921.

No. 24.

Reference my telegram No. 19 of January 20th.

Chief points in Georgian reply to Bolshevik note are: -

1. Consent to release of all non-Georgian agitators provided that they leave Georgia immediately but refusal to acknowledge legal existence of Communist party which seeks to destroy independence of Georgia.

3. Refusal to discuss demand for dismissal of Georgian commission at Batoum and denial of right of local sailors' union there to hoist Red flag.

4. Refusal to pay compensation for steamship "Principe" which escaped from Poti.

5. Consent to allow supply trains to run from Azerbaijan to Armenia to prevent Armenia starving but refusal to allow oil trains so long as Georgian oil trains are not returned.

6. Consent to treat Bolshevik mission on same footing as other missions provided former behave as do latter and observe accepted international usages.

7. With reference to demand that Bolshevik representative partake in negotiations for settlement of Georgian-Armenian frontier on equal footing

with Georgian and Armenian representatives, Georgia enquires whether Moscow regard Armenia as part of Russian republic or an independent state. If former, Georgia accepts suggestion: if later, Question does not affect Russia.

Reference point 1, I understand prisoners will be released only when trains are returned.

Reference point 4. Ship was apparently escorted out of harbour by French destroyer and Georgia pleads force majeure.

Schainmann has returned to Tiflis as Bolshevik representative. There is good reason to believe that he has orders to behave with great moderation. He is discredited here and it is probable that he will shortly be replaced.

Georgian representative at Moscow is on his way to Tiflis. I learn secretly that in private letter to Jordania he advised him not to take Schainmann too seriously as Lenin is determined to preserve peace.

Telegraphic communication with Batoum interrupted since January 24th owing to heavy snowstorms.

Addressed to Foreign Office No. 24.
Repeated to Constantinople No. 26, and Commander-in-Chief Afloat No. 9.

კავკასია FO. 371/6268 78-79
პოლიტიკური

გაშიფრული. პოლკოვნიკი სტოუკსი. (ტფილისიდან კონსტანტინოპოლის გავლით)

იანვარი 27. 1921

კონსტანტინოპოლშია 12.15 p.m. 6 თებერვალი, 1921
მიღებულია 1921, 7 თებერვალი, 12.15 p.m.

№ 24.

დამატება ჩემს 20 იანვრის № 19 ტელეგრამაზე.

ბოლშევიკების ნოტაზე ქართული პასუხის მთავარი პუნქტები შემდეგია:

1. თანხმობა, განთავისუფლდეს ყველა არაქართველი აგიტატორი, თუკი ისინი მაშინვე დატოვებენ საქართველოს; მაგრამ უარი – აღიარონ ლეგალური არსებობა კომუნისტური პარტიისა, რომელიც ცდილობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოშლას.

3. უარი, განხილულ იქნას მოთხოვნა ქართული კომისიის (კომიტეტის) დათხოვნისა ბათუმში და ადგილობრივ მეზღვაურთა გაერთიანებისთვის უფლების ჩამორთმევა, აღმართონ იქ წითელი დროშა.

4. უარი, გადაუხადონ კომპენსაცია ფოთიდან გამოქცეული ორთქლის გემის „პრინციპი"-სთვის.

5. თანხმობა – ნება დაერთოს მატარებლების მომარაგებას, რომლებიც მოძრაობენ აზერბაიჯანიდან სომხეთში, რათა დაცულ იქნას სომხეთი შიმშილობისგან; მაგრამ, უარი ეთქვას ნავთობის მატარებლებს, სანამ საქართველოს არ დაუბრუნდება ნავთობის მატარებლები.

6. თანხმობა – ისეთივე პირობები შეექმნას ბოლშევიკურ მისიას, როგორიც ადრე სხვა მისიებს ჰქონდათ და დაიცვან საერთაშორისო წესები.

7. რაც შეეხება მოთხოვნას, რომ ბოლშევიკების წარმომადგენელმა ქართველებისა და სომხების თანაბრად მიიღოს მონაწილეობა საქართველო-სომხეთის საზღვრების შესახებ მოლაპარაკებებში, საქართველო დაადგენს იმის მიხედვით – განიხილავს მოსკოვი სომხეთს რუსეთის რესპუბლიკის ნაწილად, თუ დამოუკიდებელ ერთეულად. პირველ შემთხვევაში საქართველო მიიღებს გადაწყვეტილებას; მეორეში – კითხვა არ იქნება რუსეთის საზიანო.

პირველი პუნქტი მესმის შემდეგნაირად, რომ პატიმრები განთავისუფლდებიან მხოლოდ მატარებლების დაბრუნების შემდეგ.

მეოთხე პუნქტი – გემი ნამდვილად იქნა ესკორტირებული ნავსადგურიდან ფრანგული ნაღმოსნის მიერ და საქართველოს მხარე ადანაშაულებს ამ საგანგებო შემთხვევის გამო.

შაინმანი დაბრუნდა ტფილისში როგორც ბოლშევიკთა წარმომადგენელი. კარგი საბაბი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მან მიიღო დავალება, იმოქმედოს ძალზე თავშეკავებულად. მას აქ არ ენდობიან და უეჭველად მალე შეცვლიან.

ქართველი წარმომადგენელი მოსკოვში ამჟამად მოემართება ტფილისისკენ. მე საიდუმლოდ შევიტყე, რომ პირად წერილში ჟორდანიასადმი, ურჩევენ მას არ მიიღოს შაინმანი სერიოზულად, რადგან ლენინმა გადაწყვიტა მშვიდობის შენარჩუნება.

სატელეგრაფო კავშირი ბათუმთან შეწყვეტილია 24 იანვრიდან ძლიერი ქარბუქების გამო.

ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს №24.

განმეორებით კონსტანტინოპოლს №26 და ფლოტის მთავარსარდალს №9.

№ 4

CAUCASUS FO.371/6268 102-103

POLITICAL

Decypher. Colonel Stokes. (Tiflis via Constantinople). February 15th, 1921.

D. (Constantinople) February 18th, 1921. 3 p.m.

R. February 18th, 1921. 10.45 p.m.

No. 50.

February 15th. Secret.

Very Urgent.

I appreciate situation created by Bolshevik attack on Georgians in nautral zone as follows:

According to reliable information received by me to-day of a meeting of Bolshevik authorities at Baku the 11th Army Staff in Azerbaijan (? with whom) have decided to be ready if Turkish Nationalists secure agreement with Entente, for conflict with Turks which (? they) consider (? will be) inevitable and at same time for cruashing of (? Georgia). Invasion of neutral zone has been carried out (? only) (? peaceful) interference without open rupture with Bolsheviks. In reply to protest from Shainemann Moscow professed ignorance of invasion and directed him to take necessary steps to stop it and to conclude agreement with Georgia on lines of that of May last. Moscow's profession of ignorance of invasion is possibly sincere and curious fact is that land telegraph lines from Tiflis to Moscow, Baku and Erivan have all been cut outside Georgian territory.

It seems clear that whatever be result of London Conference 11th Army will attack Georgia. All parties in Georgia are united and Georgia

will undoubtedly fight to protect her independence. In that event Azerbaijan and North Caucasus will certainly rise against Bolsheviks if Georgian troops advance into their territories. This moment will be most favourable for securing (? expulsion) (? of) Bolsheviks from Caucasus. From point of view of British interests such a result would be (? of) (? great) importance in re-establishing position in Persia and in effect it would have in Turkistan and further East.

In view of present situation (? indignation at) administration and movements of transport for Bolsheviks, it is important that they should be expelled from Caucasus before Volga is open again (? i.e.) (?towards the) (? end of) March.

For expulsion of Bolsheviks from Caucasus to succeed first requisite is that Turkish Nationalists be detched from Bolsheviks by securing agreement with Allies. The second requisite is that Georgia be assured of supplies of munitions of war and some at least be sent immediately.

Time is of extreme importance as present favourable combination of circumstances, if not to be taken advantage of, may not recur.

Addressed to Foreign Office No. 50.

Repeated to Constantinople No. 48 and Commander-in- Chief Afloat 19. Sent to India, Baghdad and Teheran

კავკასია FO.371/6268 102-103

პოლიტიკური

გაშიფრული. პოლკოვნიკი სტოუკსი (ტფილისიდან კონსტანტინოპოლზე გავლით)

15 თებერვალი, 1921.

კონსტანტინოპოლში 18 თებერვალს, 1921, 3 p.m.

მიღებული 18 თებერვალს, 1921, 10.45 p.m.

№ 50.

15 თებერვალი. საიდუმლო.

ძალზე სასწრაფო.

მე ვაფასებ ვითარებას, რომელიც გამოწვეულია საქართველოზე ნეიტრალურ ზონაში ბოლშევიკების შეტევის შედეგად:

სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც დღეს მივიღე, ბოლშევიკი ხელმძღვანელები ბაქოში შეხვდნენ მე-11 არმიის შტაბს აზერბაიჯანში, რომლებთან ერთად გადაწყვიტეს მზადყოფ-

ნა, თუ თურქი ნაციონალისტები დაიცავდნენ ანტანტასთან შეთანხმებას; რადგან ისინი გარდუვალად მიიჩნევენ კონფლიქტს თურქებთან და იმავე დროს საქართველოს მსხვრევასაც. ნეიტრალური ზონის ოკუპაცია შესრულდა, ოღონდ მშვიდობიან ჩარევას არ გამოუწვევია ღია დაპირისპირება ბოლშევიკებთან. შაინმანის პროტესტზე მოსკოვმა აღიარა თავდასხმის უცოდინარობა (უსუსურობა) და მოუწოდა მას გადაედგა საჭირო ნაბიჯები მის შესაჩერებლად და შეთანხმებოდა საქართველოს გასული მაისის საზღვრებზე. მოსკოვის განცხადება ოკუპაციის უარყოფის (უცოდინრობის) შესახებ შესაძლებელია არის პატიოსნად ნათქვამი, მაგრამ საკვირველია, რომ ქვეყნის სატელეგრაფო ხაზები ტფილისიდან მოსკოვისკენ, ბაქოსა და ერევნისკენ ყველა გადაჭრილია საქართველოს ტერიტორიის გარეთ.

ნათელია, რომ, როგორიც არ უნდა იყოს ლონდონის კონფერენციის შედეგი, მე-11 არმია შეუტევს საქართველოს. ყველა პარტიები არიან გაერთიანებული საქართველოში და საქართველო უეჭველად იომებს თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. ასეთ ვითარებაში აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია დანამდვილებით გამოვლენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუ ქართული ნაწილები შევლენ მათ ტერიტორიაზე. ეს მომენტი იქნება ყველაზე შესაფერისი, რათა ბოლშევიკები უხიფათოდ გაყარონ კავკასიიდან. ბრიტანული ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ შედეგს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სპარსეთში პოზიციების ხელახალი განმტკიცებისთვის და ეფექტი თურქესტანსა და შორს აღმოსავლეთში.

თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე, როცა აღშფოთება გამოწვეულია ბოლშევიკების გამო ტრანსპორტის მმართველობითა და მოძრაობით, მნიშვნელოვანია მათი განდევნა კავკასიიდან, სანამ ვოლგა გაიხსნება [სანაოსნოდ], ე.ი. მარტის ბოლომდე.

კავკასიიდან ბოლშევიკთა გაძევებაში წარმატებისთვის პირველ რიგში აუცილებელია, რომ თურქი ნაციონალისტები ჩამოშორდნენ ბოლშევიკებს ანტანტასთან საიმედო შეთანხმებით. მეორე პირობაა, რომ საქართველო დარწმუნებული იყოს სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებაში და მისი ნაწილი სასწრაფოდ გავუგზავნოთ.

დრო უკიდურესად მნიშვნელოვანია და თუ ამჟამინდელ შესაფერის ვითარებათა კომბინაციაში არ მიაღწევ უპირატესობას, ის ალბათ აღარ გამეორდება.

ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს, №50.

განმეორებულია კონსტანტინოპოლისთვის №48 და ფლოტის მთავარსარდალს №19.

გაიგზავნა ინდოეთში, ბაღდადსა და თეირანში.

№ 5 FO.371/6268

107

NO DISTRIBUTION

Decypher. Sir H. Rumbold (Constantinople). 19th February 1921.

D. 11.55 a.m. 19th February 1921.

R. 5. 20 p.m. 19th February 1921.

No. 115.

Following from Tiflis dated February 18th. from Batoum.

"On Thursday February 17th I am leaving Tiflis for Batoum with British Colony. Rooker will evacuate with Georgian Government if necessary but at present he and Court remain in Tiflis".

FO.371/6268 107

არ გავრცელდეს

გაშიფრული. ბ-ნი ჰ. რუმბოლდი (კონსტანტინოპოლი). 19 თებერვალი, 1921.

[გაგზ.] 11.55 a.m. 19 თებერვალი, 1921.

მიღებული 5. 20 p.m. 19 თებერვალი, 1921.

№115.

ტფილისის გამოვლით 18 თებერვალს. ბათუმიდან.

„ხუთშაბათს, 17 თებერვალს მე ტფილისიდან მივემგზავრები ბათუმში ბრიტანულ კოლონიასთან ერთად.

რუკერი, თუ აუცილებელი იქნა, საქართველოს მთავრობასთან ერთად მოახდენს ევაკუაციას, მაგრამ ამჟამად ის და მისია რჩებიან ტფილისში."

№ 6

TURKEY FO.371/6268 194-195

POLITICAL

Decypher. Sir H. Rumbold, (Constantinople), 24th February 1921.

D. 12.55 p.m. 24th February 1921.

R. 11.45. a.m. 26 February 1921.

No. 124.

Monsieur Gueguechkori, styling himself Georgian Minister for Foreign Affairs, called yesterday evening on his way through Constantinople. He stated that he had been informed in London that I had full instructions as to attitude of His Majesty's Government towards Georgia. He enquired whether His Majesty's Government still took an interest in Georgia.

I replied that His Majesty's Government had close sympathy for Georgia (see your telegram No.399 to Tiflis of December 15th) and had recently given proof of this sympathy by according "de jure" recognition to that country.

Monsieur Gueguechkori said that there was good prospect of general anti-Bolshevik movement throughout Caucasus which might end in driving Bolsheviks out of that region. Would His Majesty's Government support this movement with material of war and munitions of war.

I pointed out that His Majesty's Government were at this moment negotiating a trade agreement with Soviet Government. Latter had repeatedly complained that His Majesty's Government had at various times aided and abetted their enemies such as Poles, (? General Denikin), General Wrangel etc. It was therefore quite improbable that His Majesty's Government would lend colour to these accusations by actively supporting an anti-Bolshevik movement in Caucasus. Monsieur Gueguechkori admitted force of this argument. He then enquired whether His Majesty's Government would help Georgia to defend herself against Bolsheviks by supplying arms etc. Bolsheviks were aggressors in fighting now going on. I replied that latest accounts from Tiflis show that situation was developing favourably for Georgians and that I should have to refer his enquiry to Your Lordship.

Monsieur Gueguechkori leaves for Batoum to-day.

Addressed to Foreign Office No. 124. Repeated to Tiflis No. 12.

თურქეთი FO.371/6268 194-195

პოლიტიკური

გაშიფრული. ბ-ნი ჰ. რუმბოლდი, (კონსტანტინოპოლი), 24 თებერვალი, 1921.

[გაგზ.] 12.55 p.m. 24 თებერვალი, 1921.

№124 მიღებული 11.45 a.m. 24 თებერვალი, 1921.

ბ-ნი გეგეჭკორი, რომელიც თავის თავს წარმოგვიდგენს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად, შემომეხმიანა გუშინ საღამოს თავის გზაზე კონსტანტინოპოლზე გავლით. მან მითხრა, რომ იყო ინფორმირებული ლონდონში, რომ მე მქონდა სრული ინსტრუქციები, თუ როგორი პოზიცია ეკავა მისი უდიდებულესობის მთავრობას საქართველოს მიმართ. ის ცდილობდა გაეგო, მისი უდიდებულესობის მთავრობას ჯერ კიდევ თუ აინტერესებდა საქართველო.

მე ვუპასუხე, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობას ჰქონდა გარკვეული სიმპათიები საქართველოსადმი (იხ. თქვენი ტელეგრამა 15 დეკემბრის, №399, გაგზავნილი ტფილისში) და ცოტა ხნის წინ ეს შესაბამისად დაამტკიცა „დე იურედ“ ამ ქვეყნის აღიარებით.

ბ-ნმა გეგეჭკორმა თქვა, რომ კარგი ვითარება იყო მთელ კავკასიაში საყოველთაო ანტიბოლშევიკური გამოსვლისთვის, რაც დასრულდებოდა ამ რეგიონიდან ბოლშევიკების გაყრით, თუკი მისი უდიდებულესობის მთავრობა ამ გამოსვლას დაეხმარებოდა საომარი მასალითა და აღჭურვილობით.

მე მივუთითე, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ამჯერად აწარმოებდა მოლაპარაკებებს სავაჭრო შეთანხმებაზე საბჭოთა რუსეთთან. ამ უკანასკნელმა რამდენჯერმე გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მათი უდიდებულესობის მთავრობა სხვადასხვა დროს დაეხმარა და წააქეზა მათი მტრები, როგორებიცაა პოლონელები, გენერალი დენიკინი, გენერალი ვრანგელი და სხვა. ამიტომ საკმაოდ დაუჯერებელია, რომ მათი უდიდებულესობის მთავრობა ამ ბრალდებების მერე მხარს დაუჭერს აქტიურ დახმარებას კავკასიაში ანტიბოლშევიკურ გამოსვლას. ბატონი გეგეჭკორი ხედავს აზრს ამ არგუმენტში. შემდეგ მან მოისურვა გაეგო, დაეხმარებოდა თუ არა მათი უდიდებულესობის მთავრობა საქართველოს სათანადო იარაღით და ა. შ. ბოლშევიკების წინააღმდეგ თავის დაცვისას.

ბოლშევიკები იყვნენ აგრესორები მიმდინარე ბრძოლისას. მე ვუპასუხე,რომ ბოლო ცნობები ტფილისიდან გვიჩვენებენ, რომ სიტუაცია ვითარდებოდა ქართველებისთვის სასიკეთოდ და რომ მის კითხვებს მივაწვდიდი თქვენს ბრწყინვალებას.

ბ-ნი გეგეჭკორი დღეს მიემგზავრება ბათუმისკენ.

ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს №124. განმეორებით ტფილისს №12.

№ 7

FO.371/6268 148

Minute by Mr. McDonell

February 24th. 1921.

I have this morning seen the D.M.I, General Sir Wm. Thwaites on the subject of supplying arms to Georgia. He stated that he was unable to give any decision without consulting the C.I.G.S. who is at present on his way to the conference at St. James's Palace. He, therefore, thought that the best way would be for Lord Curzon to personally express his views to the C.I.G.S. when they went this morning.

General Thwaites is personally very much against any gift of arms to the Georgian Army which, at the present time, he considers to be in full flight.

The arms could not be collected and distributed in under a fortnight or three weeks and if they ever reached the Georgians would eventually only go to increase the supplus of either the Bolsheviks or Turks.

The arms supplied to the Armenians increased the stocks of the Nationalists by nearly 100%, for which Kiazim Kara-Bekir sent a telegram of thanks to the British Military Authorities.

The dumps are of Turkish arms so no Treasury sanction would be required.

[R. McDonell]

ბ-ნ მაკდონელის ჩანაწერი

24 თებერვალი, 1921

ამ დილით მე ვნახე გენერალი სერ ვმ. თვეიტსი საქართველოს იარაღით მომარაგების საქმეზე. მან თქვა, რომ მას არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღება თუ არ დაეთათბირებოდა C.I.G.S.-ს, რომელიც ამჟამად მიდიოდა წმ. ჯეიმსის სასახლეში კონფერენციაზე. ამიტომ ის ფიქრობდა, რომ საუკეთესო საშუალება ლორდ კერზონისთვის იქნებოდა, პირადად გაეცნო თავისი შეხედულებები C.I.G.S.-ისთვის, როცა ისინი წავიდოდნენ ამ დილით.

გენერალი თვეიტსი პირადად ძალზე წინააღმდეგია ქართული არმიისთვის იარაღის ჩუქებისა, რადგან მას მიაჩნია, რომ ამჟამად ეს უკანასკნელი სრულიად დაშლილია.

იარაღი არ შეიძლება შეგროვდეს და გადაეცეს ორ ან სამ კვირაზე ადრე და თუკი ისინი ჩააღწევენ, ქართველები ბოლოს და ბოლოს მხოლოდ გაზრდიან ბოლშევიკების ან თურქების შეიარაღებას.

სომხებისთვის გაგზავნილმა იარაღმა ნაციონალისტების მარაგი თითქმის 100%-ით გაზარდა, რის გამოც ქიაზიმ ყარა ბექირმა ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელობას მადლობის ტელეგრამა გაუგზავნა.

თურქული იარაღით სავსეა საველე საწყობები; ასე რომ ხაზინის სანქცია არ გაიცემა (არ იქნება საჭირო).

რ. მაკდონელი (ხელმოწერა–გ.გ.)

№ 8

CAUCASUS FO.371/6268 205-206

POLITICAL

Decypher. Colonel Stokes, (Tiflis via Constantinople), 25th February 1921.

D. From Constantinople 9.0..p.m. 26th February 1921.

R. 2. 30 p.m. 27th February 1921.

No. 66.

Batoum February 25th.

Just received, from Armenian clerk of Indo-European at Tiflis, telegram stating that Bolsheviks have entered Tiflis and are looting town. Georgian Government and Rooker and Court left Tiflis by train about 9.p.m. last night. Rooker informed me at 8.p.m. yesterday evening that he had just received warning to proceed to railway station. Immediately before this Court had information that had occupied height(-s this?) (?morning) and Georgians were attacking and hoped to dislodge them.

Georgia wioll probably defend position about ten miles north-west of Tiflis.

I anticipate that Turks will come into Batoum. Their nearest troops are at Khopa and said to number 2.000. Georgians have troops at Borchka and (? there is no) (? news) as yet of any Turkish movement towards Batoum.

Gagri front. So far as is known here Georgians are holding line of River Bzib.

I do not propose at present to evacuate British subjects or mission from Batoum and personally await here the arrival of Rooker and Court.

Loss of Tiflis serious but situation of Georgia is not in my opinion by any means hopeless. There are indications that Bolshevik troops will be (? diverted) to be ready to oppose Turks in case of need.

In case of necessity there are over 100 people to be evacuated including several small infants. There are as many women as men. Accomodation (?for) (? such) (? will be) difficult on one of His Majesty's ships and I therefore recommend immediate despatch of a suitable small steamer.

Addressed to Foreign Office No. 66. Repeated to Constantinople No. 64 and Commander-in-Chief Afloat.

კავკასია FO.371/6268 205-206

პოლიტიკური

გაშიფრული. პოლკოვნიკი სტოუკსი, (ტფილისიდან კონსტანტინოპოლის გავლით)

25 თებერვალი, 1921.

[გაიგზ.] კონსტანტინოპოლიდან 9.0 p.m. 26 თებერვალი, 1921.

მიღებული 2.30 p.m. 27 თებერვალი, 1921.

№ 66.

ბათუმი, 25 თებერვალი.

სწორედ ახლა მივიღე ტელეგრამა ტფილისელი ინდოევროპელი სომეხი კლერკისგან, რომელიც გვატყობინებს, რომ ბოლშევიკები შევიდნენ ტფილისში და არბევენ ქალაქს. ქართულმა მთავრობამ და რუკერმა, ასევე მისიამ მატარებლით დატოვა ტფილისი გასულ ღამეს 9 საათზე. გუშინ საღამოს 8 საათზე რუკერმა შემატყობინა, რომ მიიღო გაფრთხილება გასულიყო რკინიგზის სადგურზე. ზუსტად ამის წინ მისიამ მიიღო ინფორმაცია, რომ ჯგუფმა (არ იკითხება) აიღო სიმაღლეები ამ დილას (არ იკითხება) და ქართველთა ნაწილებმა შეუტიეს მათი განდევნის იმედით.

საქართველო ალბათ დაიცავს პოზიციას ტფილისიდან 10 მილზე ჩრდილო-დასავლეთით.

მე ვგრძნობ, რომ თურქები შემოვლენ ბათუმში. მათი უახლოესი ნაწილები არიან ხოფაში და ითვლიან 2.000 კაცს. ქართველების ნაწილები იმყოფებიან ბორჩხასთან; და ამჯერად სხვა ცნობები არ გვაქვს ბათუმისკენ თურქთა მოძრაობის შესახებ.

გაგრის ფრონტი. რამდენადაც აქ ცნობილია, ქართველებს უკავიათ ხაზი მდინარე ბზიფზე.

ამჟამად მე არ ვუშვებ ბრიტანეთის ქვეშევრდომებისა თუ მისიის ევაკუაციას ბათუმიდან და პირადად ვუცდი აქ რუკერისა და მთავარი მისიის ჩამოსვლას.

ტფილისის დაკარგვა სერიოზული ამბავია, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველოს მდგომარეობა არ უნდა იყოს უიმედო. არის ნიშნები, რომ ბოლშევიკური ნაწილები გავლენ, რათა იყვნენ მზად საჭიროებისას წინააღმდეგობა გაუწიონ თურქებს.

იქ არის 100 კაცზე მეტი პატარა ბავშვების ჩათვლით, რომელთა ევაკუაცია მოხდება აუცილებლობის შემთხვევაში. მათ შორის ბევრია ქალიც და კაციც. მათი მოთავსება მისი უდიდებულესობის ერთ-ერთ გემზე გაძნელდება და ამიტომ მე გირჩევთ სასწრაფოდ გამოგზავნოთ შესაფერი მცირე სამგზავრო ორთქლის გემი.

ეგზავნება საგარეო საქმეთა სამინისტროს № 66. განმეორებით კონსტანტინოპოლს №64 და ფლოტის სარდალს.

Gia Gelashvili

Doctor of History. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior-scientist researcher of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Some Documents from the British National Archives

Summary

In the following article there is given 8 English letters (and their Georgian translation) sent by Colonel Stokes (5), by sir H.Rumbold (2) and by Mr. McDonell (1) to Earl Curzon and to Foreign Office in January-February 1921.

We find in these Letters valuable information about present conditions of Georgia, political situation in Caucasus in 1921. These documents show that the Russian Bolsheviks had decided an attack on Georgia before it actually took place and carrying out preparations for this attack.

These letters are registered in the funds of British National Archives (FO.371/6268).

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

დოკუმენტები საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოს მოსახლეობის ის მოლოდინი, რომ რუსეთის ხელისუფლება იზრუნებდა არა მარტო მის ფიზიკურ გადარჩენაზე, არამედ ტრადიციული სარწმუნოების (მართლმადიდებლობის) სრულ თავისუფლებაზე, არ გამართლდა. რუსულმა სახელმწიფომ და საეკლესიო სინოდმა უმძიმესი დარტყმები მიაყენეს საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიას.

1801 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტით, აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის სახელმწიფოში ინკორპორაცია განხორციელდა. ბაგრატოვანთა ათასწლოვანი დინასტია დაემხო. საყურადღებოა ის ცინიზმი, რომლითაც ეს აქტი იქნა მოყვანილი სისრულეში. იმპერატორმა განაცხადა, რომ ასე იმიტომ მოიქცა, რომ საქართველოსთვის უკეთ მოევლო, და არა იმისთვის, რომ რუსეთის ისედაც უდიდესი იმპერია კიდევ უფრო განევრცო. არანაკლებ ცინიკურია გენერალ კნორინგის უმორჩილესი მოხსენებითი ბარათი იმპერატორისადმი, სადაც იგი ასაბუთებდა, რომ რუსეთმა ყველაფერი შეასრულა, რაც 1783 წლის ტრაქტატით იკისრა საქართველოს მიმართ. რაც შეეხება სამეფო ხელისუფლების გაუქმებას და ტრაქტატის ამ პუნქტის შეუსრულებლობას, კნორინგი წერდა, რომ ეს პუნქტი: **„არ შეიძლება აღსრულებულიყო, რადგან იგი აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის კეთილდღეობას“** [1, 307].

შეტევის შემდეგი ობიექტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გახდა. იმპერატორის 1811 წლის 30 ივნისის ბრძანებით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია). საქართველოს ეკლესია დაემორჩილა რუსეთიდან დანიშნულ ეგზარქოსს, რომელიც პირველის გარდა, ყველა რუსი ეროვნების იყო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მას ჩამოერთვა მთელი ქონება, ყმა-გლეხები, ეკლესია-მონასტრები, საეკლესიო აზნაურები და მთელი შემოსავალი. ყველაფერი ეს

რუსეთის სინოდს გადაეცა, რომელმაც სამღვდელოებისათვის შტატები დააწესა და ამიერიდან ისინი ხელფასს სახელმწიფოსგან მიიღებდნენ. ფაქტობრივად, საქართველოს ეკლესია, რუსეთის მსგავსად, სახელმწიფოს ერთ-ერთ ბიუროკრატიულ უწყებად გადაიქცა. რეალურად, ეკლესიის სათავეში იმპერატორი იდგა, რომელიც თავისი ნების შესაბამისად წყვეტდა სასულიერო უწყების ბედს. ასეთი სისტემა ჯერ კიდევ პეტრე I შექმნა 1721 წელს.

პირველი, რაც რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოში გააკეთა, არსებული საეკლესიო ეპარქიების რაოდენობის უკიდურესი შემცირება იყო. ეს იმისთვის მოხდა, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი კონტროლი და ეპარქიების რუსულ მმართველობით სისტემაზე გადაყვანა. კახეთში 5 ეპარქია შეერთდა ერთ, ალავერდის ეპარქიად. ქართლში კი 8 ეპარქია თავდაპირველად ერთ, მცხეთის ეპარქიად გაერთიანდა, შემდეგ კი მას გორის ეპარქია დაემატა. 1812 წელს იმერეთის 4 ეპარქიიდან შექმნეს მხოლოდ ერთი; 1829 წელს სამეგრელოს 3 ეპარქია ასევე გააერთიანეს და „სამეგრელოს ეპარქია“ უწოდეს. 1833 წელს გურიაში დარჩენილი ერთადერთი ჯუმათის ეპარქია იმერეთის ეპარქიას შეუერთეს. 1844 წელს ჯუმათის ეპარქია კვლავ აღადგინეს, მაგრამ სამეგრელოს ეპარქიას შეუერთეს. ეპარქიების რიცხვის შემცირების აუცილებლობას რუსეთის წმინდა სინოდი იმით ხსნიდა, რომ „13 ეპარქია, რომელიც დღეს (საქართველოში - ვ. კ.) არსებობს, თავისი რაოდენობით აჭარბებს როგორც საქართველოს ტერიტორიის ზომას, ასევე (იქ არსებულ - ვ. კ.) ეკლესიათა რაოდენობას“ (!). სინოდი ასევე დარწმუნებული იყო, რომ „იმისი მსგავსი სასულიერო სასამართლო უწყებათა არარსებობა, როგორიც რუსეთში კონსისტირიები და სასულიერო მმართველობებია, რომლებიც სამღვდელოებაზე ზედამხედველობას ეწევიან, იწვევს (აქაური სამღვდელოების) გაუმართავ მოქმედებასა და უწესრიგობას“ [2, 168]. ასეთი აბსურდული არგუმენტებით დასაბუთდა საქართველოს ეკლესიის ეპარქიების შემცირების აუცილებლობა.

ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები მცირე ნაწილია იმ უზარმაზარი ბიუროკრატიული მიმოწერისა, რომლითაც სავსე იყო საქართველოს სინამდვილე. მართალია ე. წ. „აქტებში“ რუსული საეკლესიო თუ საერო ხელისუფლების ანტიქართული ქმედებების ყველა მამხილებელი მასალა ვერ მოხვდა (ბუნებრივია, ისინი ცენზურამ გადაარჩია), მაგრამ ისიც, რაც დაიბეჭდა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ეკლესიის მდგომარეობაზე XIX საუკუნის საქართველოში. ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შესრულებულ საყურადღებო დოკუმენტების ნაწილს, მცირე კომენტარებით. აღვნიშნავთ იმასაც, რომ უმთავრესი მათგანი ამ სახით არ გამოქვეყნებულა.

რუსეთის საერო და სასულიერო უწყებები ერთობლივად, გეგმაზომიერად მოქმედებდნენ და თანდათანობით ავიწროვებდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს (ერეკლე II-ის ძეს). თავისი უტიფრობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მთავარმართებელი პავლე ციციანოვი. ქვემოთ მოტანილი საბუთი (აქტები, ტ. I, გვ. 265, საქმე 514) კარგად აჩვენებს იმ უპატივცემულობას, რომელსაც ეს გადაგვარებული ქართველი თავადი სამეფო გვარის ჩამომავალ ანტონ კათოლიკოსის მიმართ იჩენდა. რეალურად, იგი ანტონ II-ს მძევლის მდგომარეობაში ამყოფებდა და თბილისიდან თავისუფლად გასვლის უფლებასაც არ აძლევდა.

აღსანიშნავია, რომ მოტანილი წერილი ყოველგვარი შესავლის გარეშე, (ყოველ შემთხვევაში, ასეა წარმოდგენილი ის აქტებში) კათოლიკოსზე პირდაპირ შეტევით იწყება („არ უშვებს თქვენს უწმინდესობას (ქალაქის) კარში ხალხი"). როგორც საბუთიდან ჩანს, კათოლიკოსს თბილისიდან გასვლის ნებართვა („ბილეთი") თბილისის კომენდანტისგან აუღია (ამ მოვალეობას მაშინ ქართული წარმოშობის სააკაძე ასრულებდა), მაგრამ ციციანოვის მითითებით ანტონ II ქალაქის კარში გასვლის დროს დაუკავებიათ. „ხალხის" აქ მოხმობა კი, ჩვეული ცარისტული და შემდგომში ბოლშევიკური დემაგოგიის ნაწილია. ამასთანავე, ციციანოვი უსინდისოდ ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ თბილისში ჭირის არანაირი ნიშნები არ დასტურდება. სხვა მონაცემებით, ამ დროს შავი ჭირი მართლაც გავრცელებული იყო. ამას თვით პ. ციციანოვის თბილისის კომენდანტის სააკაძისადმი მიწერილობაც ადასტურებს. 1803 წ. 30 ოქტომბრით დათარიღებულ მიმართვაში იგი მითითებას აძლევს კომენდანტს, ქალაქის მცხოვრებლებმა უფრო ღრმად დამარხონ მიცვალებულები: „ამჟამინდელი ავადმყოფობისა გამო" [3, 205]. ასეთ ვითარებაში, ციციანოვის ადამიანური და თუნდაც, უმაღლესი მოხელის ვალი იყო, უპირველესად კათოლიკოსის ჯანმრთელობაზე ეზრუნა. ის კი, ანტონ II-ს ფაქტობრივად მძევლად ტოვებს თბილისში. ციციანოვის არგუმენტი იმის შესახებ, რომ კათოლიკოსის ქალაქიდან გასვლა ხალხზე ცუდად იმოქმედებს, უსაფუძვლოა. ხელისუფლებას სწორედ თვითონ უნდა ეზრუნა მოსახლეობის დროულ ევაკუაციაზე და არ მოქცეულიყო ისე, თითქოს არაფერი არ ხდებოდა (როგორც საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ჩერნობილის კატასტროფის დროს). სწორედ ამ „მიჩუმათების" შედეგი იყო ის, რომ 1805 წლისთვის „ჟამი" (ანუ „შავი ჭირი") დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, რაჭაშიც გავრცელებულა[1] [4, 623].

[1] მინაწერი შემდეგი სახისაა: „აქა პირველად, რაჭას ჟამი იყო".

შემდეგ საბუთშიც კვლავ იგივე სიტუაცია ჩანს. პავლე ციციანოვი უაპელაციოდ და უცერემონიოდ უბრძანებს ანტონ II-ს არ შეასრულოს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობანი და მოიქცეს ისე, როგორც რუსი ჩინოვნიკები მიუთითებენ. ის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში წილკნისა და სამთავროს ეპარქიების გაერთიანებაზეა საუბარი, მეორეხარისხოვანია; მთავარია ის ტონი და მუქარა (იმპერატორთან დაბეზღება!), რითაც წერილია გამსჭვალული (აქტები, ტ. IV, საქმე №219).

მესამე დოკუმენტიდან ჩანს, რომ პ. ციციანოვი მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ ახლადმიერთებულ საქართველოს ეკლესიებში სწორად აღევლინოს იმპერატორთა განმადიდებელი ლოცვები და აღსრულდეს შესაბამისი წირვები. მისი მიმართვიდან აშკარა ხდება, რომ ციციანოვს სრულიად არ აღელვებს საქართველოს ეკლესიებში სასულიერო დანიშნულების ნივთებისა და წიგნების რაოდენობა. ან თვით ეკლესიათა მდგომარეობა; მისთვის მთავარია მხოლოდ იმპერატორთა (ცოცხალთა და გარდაცვლილთა) განდიდება (აქტები, ტ. I, საბუთი №524).

შემდეგი დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთის ოფიციოზი კარგად იყენებდა საქართველოს სამღვდელოებაში არსებულ ცალკეული დაპირისპირების შემთხვევებს და ცდილობდა მათ გაღვივებას და სათავისოდ გამოყენებას. ამას მოწმობს თბილელი მიტროპოლიტის არსენის დასმენითი ხასიათის წერილები, უშუალოდ იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიმართ. მიტროპოლიტი არსენი დაბეჯითებით ახსენებს იმპერატორს თავის მონურ მორჩილებასა და ერთგულებას. ამავე დროს, ის ცილს სწამებს კათოლიკოს ანტონ II-ს და სრულ დაუმორჩილებლობას უცხადებს მას. საბუთიდან ჩანს, რომ რუსული ხელისუფლების დამკვიდრებამ საქართველოში ანარქია და განუკითხაობა წაახალისა. ვინც საქართველოს და სამეფო გვარის ერთგული დარჩა, ის მოღალატედ იწოდა. ხოლო ვინც რუსულ ოფიციოზსა და იმპერატორს დაუწყო მლიქვნელობა, სანიმუშო მამულიშვილად იქნა აღიარებული. დიდი გასაქანი მიეცა ბეზღობასა და დასმენას (აქტები, ტ. IV, საქმე 219).

შემდეგი დოკუმენტი მაქსიმე ერისთავს შეეხება და იგი რუსი გენერლების გოლოვინისა და პროტასოვის მიმოწერას წარმოადგენს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთის უმაღლესი საერო მმართველობის წარმომადგენლები, სასულიერო უწყების მოხელეებთან ერთად, მსჯელობენ იმაზე თუ როგორ დასაჯონ იეროდიაკონი მაქსიმე ერისთავი. 1819-1820 წწ. იგი მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო აჯანყებაში. 1820 წელს გადავიდა ოსმალეთში, სადაც 1830 წლამდე იმყოფებოდა. შემდეგ დაბრუნდა გურიაში. რუსეთის ხელისუფლების გადაწვეტილებით, 1833 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. რუსული ოფიციოზი

მას „ფიცხ და შფოთიან“ ადამიანად მოიხსენიებს. როგორც ჩანს, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მან არ მოინანია 1819-1820 წწ. აჯანყებაში მონაწილეობა. 1837 წელს იგი იმპერატორ ალექსანდრე I-ს სთხოვდა გურიის რომელიმე მონასტერში გადაყვანას. როგორც წარმოდგენილი საბუთიდან ჩანს, მას ამ თხოვნაზე უარი ეთქვა. თითქოსდა რუსეთის მმართველი წრეების კეთილი ნების გამოსახატავად, მას დაუნიშნეს მიზერული თვიური ანაზღაურება 5 მანეთი ვერცხლით და ეკატერინოსლავში გადაასახლეს (აქტები, ტ. IX, გვ. 104).

ბოლო დოკუმენტი წარმოადგენს ეგზარქოს ევგენის საიდუმლო წერილის ფრაგმენტს გენერალ გოლოვინისადმი. საბუთის მიხედვით აშკარა ხდება, რომ რუსეთის ხელისუფლების მიმართ სერიოზულ უკმაყოფილებას გურიაში 1839 წელს ჰქონია ადგილი (მძლავრ ანტიბატონყმურ აჯანყებად იგი 1841 წელს გადაიზარდა). საყურადღებოა, რომ საიდუმლო წერილში ეგზარქოსი და რუსი გენერალი ესპეხო მთელ პასუხისმგებლობას შექმნილ სიტუაციაზე გურიის სამღვდელოებას აკისრებენ. ამასთან, რუსი საერო და სასულიერო მოხელეები ყოველნაირად ამცირებენ ადგილობრივ სამღვდელოებას. აშკარაა, რომ სახაზინო მიწებთან დაკავშირებით შედგენილ თითქოს და ყალბ დოკუმენტებში, გურიის სამღვდელოება მოიაზრებდა იმ საეკლესიო მიწებს, რომლებიც სავარაუდოდ მათ ჩამოერთვათ ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის დროს 1819-1820 წწ., რამაც მთელ დასავლეთ საქართველოში მძლავრი მღელვარება გამოიწვია (აქტები, ტ. XI, საბუთი 141).

დოკუმენტები:

Акты, т. I, Тифлис, 1866, გვ. 265, საქმე №514

ციციანოვის წერილი კათოლიკოს ანტონს, 15 ივნისი, 1803, №43.

„არ უშვებს თქვენს უწმინდესობას (ქალაქის) კარში ხალხი, რომელიც თქვენი გამგზავრების გამო, სასოწარკვეთილებაში ვარდება. (ხალხი) როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ თქვენ იმიტომ მიემგზავრებით, რომ ქალაქში აშკარად შავი ჭირი გაჩნდა. ამ შემთხვევაში კი, თქვენ უნდა იყოთ სულიერი სიმტკიცის მაგალითი ამ მეტად მალემრწმენი ხალხისთვის. ხოლო თქვენს უწმინდესობას (მიმართვა დაქარაგმებულია - ვ. კ.) კომენდანტმა რომ (გამგზავრების) ბილეთი მოგცათ, ეს მოხდა თქვენი დაუსრულებელი და დაჟინებითი თხოვნის გამო. მაგრამ ვინაიდან, თვენი გამგზავრება ხალხისთვის ცუდი მაგალითის მიმცემია, ამიტომ მე არ შემიძლია თქვენს უწმინდესობას ნება მივცე რამდენიმე დღით გაემგზავროს ქალაქიდან. (ამასთან), გთხოვთ თქვენ, ნაკლებ დაუჯეროთ დედაკაცებს და თქვენი წოდების შესაბამისად ასეთი მცირემორწმუნე

არ იყოთ, როდესაც ჭირის აჩრდილიც კი არ არის აქ (ღმერთმა დაგვიფაროს ამის გაგონებისგანაც კი!). სხვათაშორის, თქვენი უწმინდესობის ეს ნაბიჯი და გამგზავრება, ძალზე ცუდად იქნება აღქმული მისი იმპერატორობითი უმაღლესობის (ტიტული დაქარაგმებულია - ვ. კ.) მიერ: ის აღქმული იქნება როგორც ხალხის სიმშვიდის დამრღვევი, რისი დამამტკიცებელიც იქნება ის, რომ თქვენ გაგაჩერეთ არა მე, არამედ ხალხმა".

Акты, т. IV, Тифлис, 1871, გვ. 141-143, საქმე №219

პ. ციციანოვის წერილი კათოლიკოს ანტონს. 1803 წ. 2 აპრილი, №17.

„უაღრესად განცვიფრებულმა გავიგე (თუმცა ამის დაჯერება მიჭირს), რომ თქვენმა უწმინდესობამ (ტექსტში მიმართვის შემოკლებული ფორმაა დაფიქსირებული - ვ. კ.) ინება წილკანის გასაუქმებელი ეპარქია გადააბაროს არქიმანდრიტ დოსითეოსს, თქვენი სახლთუხუცესის ძმისშვილს (**племяннику**), იმ დროს როდესაც ამ ეპარქიასთან უახლოესია სამთავისის ეპარქია, რომელშიც ირიცხება მხოლოდ 10 მღვდელი და მისი ამ სიმცირისა და სიცოტავის გამო, ეპარქიალურ არქიელის საარსებო (საშუალებასაც კი) ვერ უზრუნველყოფს. თუ ეს (ამბავი) მართალია, მე იმის გაფიქრებაც კი მიჭირს, რომ ამ შემთხვევაში, პირადად თქვენს მიერ იქნა მიღებული მიუკერძოებელი გადაწვეტილება. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც, ჯერ კიდევ ჩემი წინამორბედის მიერ, თქვენი უწმინდესობა გაფრთხილებული იყო, რომ არსებობს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის შეუვალი ნება, საქართველოში არ გამრავლდეს მაღალი სამღვდელო წოდებები, და როდესაც, (მე პირადად) ზეპირი ფორმით, თქვენს უწმინდესობას უკვე ვაცნობე, რომ გასაუქმებელი ეპარქიები უნდა შეუერთდეს უახლოეს და უფრო ზუსტად კი, უღარიბეს ეპარქიებს. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენი უწმინდესობა, (ყველაფერს გააკეთებს) იმისათვის რათა აღასრულოს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლესი ნება. (კვლავ) გიდასტურებთ, ზემოაღნიშნულ წილკნის ეპარქიას მიუერთოთ სამთავროს (ეპარქია) და კეთილინებოთ, ისინი დაუქვემდებაროთ ყოვლადუსამღვდელოეს გერვასის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე არ ვისურვებდი, იძულებული შევიქნე მის იმპერატორობით უმაღლესობას, უმორჩილესი მიმართვით ვაცნობო აქაური სამღვდელოების უწესრიგობა და გაუმართავი (ქმედება). ამის გაკეთებისგან მე მაკავებს ის უჭეშმარიტესი ჩემი ერთგულება და მაღალი პატივისცემა, რითაც თქვენი პიროვნებისადმი, მაქვს პატივი, განწყობილი ვიყო...".

Акты, т. I, Тифлис, 1866, გვ. 269, საბუთი №524.

პ. ციციანოვის წერილი მმართველი სინოდის ობერ-პროკურორს, თავად ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გოლიცინს. 1804 წ. 25 აპრილი, №792.

„აქაური ეკლესიების სიღარიბე და ყველაზე საჭირო წიგნაკთა ნაკლებობა — (კერძოდ) ჩვენი (ე. ი. რუსული - ვ. კ.) ეკლესიების წესების ფორმულარისა და ტაბელის უქონლობა, რომლებიც ცერემონიებს შეეხება, მე პასუხისმგებლობას მაკისრებს მივმართო თქვენს ბრწყინვალებას, ყოვლადსამღვდელო არქიეპისკოპოს ვარლამის (ქსნის ერისთავების გვარიდან) მეშვეობით, რომელიც მმართველი სინოდის წევრი და კავალერია, ქართულად იქნეს გადმოღებული (ანუ თარგმნილი - ვ. კ.) ყველა წიგნი, რომლის (დასახელება) თან ერთვის ამ სპეციალურ მომართვას. უნდა გამოვითხოვოთ მათი ბეჭდვის ნებართვა და სახაზინო ფულით დავბეჭდოთ ისინი, თუნდაც 200 ცალი, და მივიტანოთ მოზდოკამდე. მისი ყოვლადუსამღვდელოესის თავდადება (იგულისხმება ვარლამ ერისთავი - ვ. კ.) მისი მამულისადმი და მის მიერ რუსული და ქართული ენების ცოდნა, იმის გარანტი იქნება, რომ იგი სიამოვნებით აიღებს თავზე როგორც ამ შრომას, ასევე იმასაც რომ თარგმანი მაღალ დონეზე შეასრულოს. ქართული ეკლესია, თქვენი ბრწყინვალების (მიმართვის ფორმა დაქარაგმებულია - ვ. კ.) უსაზღვროდ მადლობელი იქნება, მე კი, განმათავისუფლებთ იმ უსიამოვნებისაგან რომ კონფლიქტში ვიყო ადგილობრივ სამღვდელოებასთან და ყოველი ცერემონიის აღსრულებისას, ყურადღება მივაქციო იმას, რომ (სამეფო ოჯახის) განდიდება, აღვლენილ იყოს წესების შესაბამისად.

მიმართვა:

(ერთვის პეტიტით აწყობილი ტექსტი)

მაღალმნიშვნელოვან დღეთა ტაბელი - 200 ეგზემპლარი

ეკლესიებში (მისი) უდიდებულესობის, იმპერატორის ოჯახის წევრთა განდიდების წარმოთქმის ფორმა - 200 ეგზემპლარი.

სამადლობელო წირვის აღსრულების წიგნაკი - 200 ეგზემპლარი.

წირვა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის (ტახტზე) ასვლის დღეს - 200 ეგზემპლარი.

კეთილად მიცვალებულ იმპერატორთა პანაშვიდის გადახდის რეესტრი - 200 ეგზემპლარი.

Акты, т. IV, Тифлис, 1871, გვ. 141-143, საქმე №219

არსენის, თბილელი მიტროპოლიტის უმორჩილესი თხოვნა (იმპერატორს), 1809 წ. 20 აგვისტო (ფრაგმენტი).

„...ყოვლადმოწყალეო დიდო ხელმწიფევ! კეთილინებეთ შეისწავლოთ აქაური სასულიერო საქმეები. დაე, დავრჩე მე ჩემს ეკ-

ლესიაში და არ ვიქნე გადაყვანილი სხვა ეპარქიაში, რისი სურვილიც მე არ მაქვს, და არც არის ასეთი წესი, რომ არქიელი, თავისი ეკლესიიდან სხვაგან გადაიყვანოთ. ჩემს ეკლესიაში, თქვენი უდიდებულესობის (ტექსტში „B. B." - ვ. კ.) ზეიმია, ეს კი მტრების შურს აღძრავს. ყოველგვარი უმსგავსობა ითესება მღვდელ ალექსი პეტრიევის (პეტრიაშვილის - ვ. კ.) მიერ, რომელსაც ეხმარება არქიელი ვარლამი (ერისთავი - ვ. კ.) და გუბერნატორი; გთხოვთ გამოიკვლიოთ: 1) ვარ თუ არა მე თქვენი უდიდებულესობის ერთგული? 2) რწმენის უარმყოფელი ვარ თუ არა მე? 3) ეკლესიათა მქურდავი და მძარცველი ვარ თუ არა მე?

ღვთის მადლითა და დახმარებით: 1) მე თქვენი უდიდებულესობის ერთგული ვარ, 2) ვაღიარებ აღმოსავლურ, ჭეშმარიტ, მოციქულებრივ საეკლესიო რწმენას, 3) ვარ ეკლესიათა მზრუნველი და ვიღწვი მათი სარგებლობისათვის; არ მსურს მოვიდნენ მუხამედიანნი (მაჰმადიანები - ვ. კ.), არამედ მსურს თქვენი უდიდებულესობის უძლეველი ჯარის გაძლიერება — ეს არის ჩემი სულის სწრაფვა.

მდევნიან მე თქვენი ერთგულებისათვის და იმისათვის რომ ბაგრატიონთა შორის ვარ. ასეთი მღელვარებანი გამოიწვია არქიელმა ვარლამმა, რომელიც აქ ჩამოვიდა; (სწორედ) მან, არასწორად აცნობა საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვს და შემდეგ თქვენ წარმოგიდგინეს, ის (თხოვნა), რომ მე ჩემი ეპარქიიდან მომაშორონ, მას კი ვარლამი დაიკავებს. ჩემი ეპარქია ტფილისია, აქ მე განსაკუთრებული სასამართლო გამაჩნია, ხოლო კათალიკოსის ეპარქია - მცხეთაა; ამგვარად, მას თავისი დიკასტერია სწორედ იქ უნდა ჰქონდეს.

კეთილინებეთ იკითხოთ ქართლსა თუ კახეთში, თუ ჰქონდა კათალიკოსს ადრე უფლება, ვინმე არქიელად, არქიეპისკოპოსად ან დეკანოზად ეკურთხებინა. ამისათვის საქართველოში მეფე იყო. იგი (საეკლესიო) კრების დროს, კათოლიკოსის თანდასწრებით, გასცემდა აღნიშნულ თანამდებობებს. იკითხეთ ახლა, რა სიგიჟე გავრცელდა კათალიკოსისაგან.

შურთ რა თქვენი უდიდებულესობის წყალობანი (ჩემს მიმართ), კავალერის წოდება, ვარსკვლავი, თეთრი ბარტყულა ჯვრით, უსამართლოდ წარმოუდგინეს მთავარმართებელს — კათალიკოსმა, საქართველოს მმართველმა თევდორე ისაევიჩ ახვერდოვმა, არქიელმა ვარლამმა და მღვდელმა ალექსიმ (რომელიც შუამავალი იყო იმისა, რომ კათალიკოსმა საქართველოს მმართველის შვილი მონათლა) (იმის მოთხოვნა), რომ მე, გადავიდე სხვა, გაჩანაგებულ ეკლესიაში, რათა (თქვენი) ასეთი წყალობანი, რაც მე საზოგადოების წინაშე მერგუნა, გაანადგურონ და დამალონ. (სწორედ ამიტომ) უსამართლოდ წარუდგინეს მთავარმართებელს (თხოვნა),

რათა მას (თავის მხრივ) თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის მოეხსენებინა.

აქ, საქართველოში, თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანება იყო, რათა (ყოველი) საქმეები რაც უფლისწულ დავითის მიერ იქნა წამოწყებული, გაუქმებულიყო. (მართლაც), ზოგიერთი მათგანი გაუქმებულია, მაგრამ არა ის, რომელიც ფიცხელაუროვ დოსითეოზს შეეხება. იგი უფლისწულმა დავითმა არქიმანდრიტად აკურთხა. მას კი ეს წოდება არ ჩამოართვეს. (პირიქით), კათალიკოსმა მას ოთხი საარქიმანდრიტო და ერთი საარქიელო ეპარქია-ურბნისისა ჩააბარა, მისი (პირადი) ერთგულების გამო. დიდო ხელმწიფევ! კეთილინებეთ, შეისწავლოთ ამგვარი უწესრიგობანი. ჩემი ერთგულება კი, ჩანს (თუნდაც) იქიდან, რომ მე 26 ივლისს, მთავარმართებელ ტორმასოვს და მისი საშუალებით თქვენს უდიდებულესობას წარვუდგინე ჩემი, არქიელის სამი ეპარქიის მამულები და გლეხები: ერთი თბილისში, კარგად გამართული და ორი მანგლისსა და ბოლნისის, უკვე დიდი ხნის წინათ მტრის გაჩანაგებულ ეპარქიებში; (ეს ვქენი) რათა ვიცხოვრო უმაღლესი პენსიონის ხარჯზე, და კვლავაც იმისათვის, რათა მისაბაძი მაგალითი მივსცე ქართლისა და კახეთის არქიელებს; მე კი, (მსურს) ვიცხოვრო რუსეთის არქიელთა მსგავსად, აქვე, სიონის ეკლესიაში (მაგრამ) უმაღლესი პენსიონით. რამდენიცაა სახაზინო შემოსავალი ქართლიდან და კახეთიდან, თითქმის იმდენივეა შემოსავალი არქიელის ეპარქიებიდან“.

Акты, т. IX, Тифлис, 1884, გვ. 104.

გენერალ გოლოვინის წერილი გრაფ პროტასოვს. 31 აგვისტო 1838 წ., №8906.

„განვიხილეთ რა თქვენი ბრწყინვალების (ტექსტში ეს მიმართვა დაქარაგმებულია, „в. с.“ - ვ. კ.) მიერ გამოგზავნილი წერილი, დათარიღებული [ამა წლის] 15 ივლისით, №1574 (და მისი) დანართი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ეგზარქოსის წერილის ასლს, გურიის თავად მაქსიმე ერისთავის შესახებ, რომელიც თავისი საქციელის გამო, დავით-გარეჯის უდაბნოში იმყოფება; მე ჩემი მხრითაც, აღვნიშნავ, რომ ამ თავადის, მის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე, გურიაში დაბრუნება (როგორც ჩემი წინამორბედი ფიქრობდა), არქიეპისკოპოს ევგენის აღწერილ გარემოებათა გამო, იქნებოდა ძალზე მავნებელი არა მარტო გურიის სამწყსოსათვის, რომელსაც იგი თავისი (სასულიერო) წოდებით მიეკუთვნება, არამედ მთლიანად იმ მხარისათვის. რაც შეეხება საქართველოს ეგზარქოსის აზრს, ამოირიცხოს იგი სასულიერო წოდებიდან და გაეგზავნოს მთავარმართებელს (შემდგომი) რეაგირებისათვის, მე ამაზე მსურს განვაცხადო, რომ მისი ამ მხარეში დატოვება მოუ-

ხერხებელი იქნება, და გაჭირდება მისთვის ადგილის გამონახვა. ამის გამო, საუკეთესო (გამოსავლად) მიმაჩნია, ერისთავი საცხოვრებლად გადავასახლოთ ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში, ისე რომ იყოს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ამასთან, მის შესანახად გამოყოფილი 5 მანეთი ვერცხლით თვეში, შეუნარჩუნდეს მომავალშიც, იმის გათვალისწინებით რომ იგი არის უკიდურესად ღარიბი და მხცოვანი ასაკის". ერთვის შენიშვნა: „შინაგან საქმეთა მინისტრის 1838 წ. 1 დეკემბრის განკარგულებით, მაქსიმე ერისთავი გადასახლებულ იქნა ქ. ეკატერინოსლავში, სადაც იგი მივიდა 1839 წ. 24 ივლისს, კავკასიის მხარის მთავარმართებლის, კანცელარიის მოხელის კონიშენკოს თანხლებით. საარსებოდ მას დაენიშნა 5 მან. ვერცხლით თვეში".

აქტები, ტ. XI, Тифлис, 1881, გვ. 104-105, საბუთი №141

ფრაგმენტი საქართველოს ეგზარქოსის ევგენის წერილისა გენერალ გოლოვინისადმი. 1839 წ. 27 ოქტომბერი, №2746 (საიდუმლოდ).

„ამჟამად, ამავე 1839 წლის 2 აგვისტოს საიდუმლო მომართვაში ჩემდამი, თქვენ კვლავ განმარტავთ-რა თქვენამდე მოღწეულ ცნობებს გურიის და იმერეთის მოსახლეობის უწესრიგო (ქცევის) შესახებ, რაც გამოიხატება მათ დამოკიდებულებაში ზნეობისადმი (?! ვ. კ.) მეკითხებით, რა ზომები შეიძლება იქნეს მიღებული (მათ მიმართ) იმ უწესრიგობათა აღმოსაფხვრელად, რომელსაც ხალხი, ქრისტიანობის ჭეშმარიტი გზიდან გადაჰყავს და აქედან გამომდინარე განათლების გზისგანაც; ამაზე მაქვს პატივი გიპასუხოთ: გენერალი ესპეხო მწერს, რომ მღვდლები გურიაში შემკულნი არიან ყოველგვარი ცოდვებით (და ისინი) ქურდობასაც არ ერიდებიან, (ამასთანავე) ისინი ადგენენ ყალბ დოკუმენტებს იმ მიწებზე, რომელიც ხაზინას ეკუთვნის და მათ მიერ თვითნებურად იქნა მისაკუთრებული. (სამწუხაროდ), გურიის სამღვდელოების ამ ცოდვებზე და დანაშაულობებზე სასულიერო მმართველობას (ცნობები არ აქვს), რადგან იმპერიის წინა მმართველობის მიერ (ამის შესახებ) არანაირი შეტყობინება არ მოსვლია"...

Vazha Kiknadze

Doctor of Historical Sciencies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Director of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Professor

The Documents from the History of Georgian Church in the 19th century

Summary

It is published some important documents from the history of Georgian Church in the 1-st half of the 19th century.

The documents are translated from Russian and commented by V. Kiknadze. The most of them are issued at the first time.

The documents enable the researcher to understand better the situation in Georgia after it was conquered by the Russian Empire. The Independence of Orthodox Georgian church was abolished and the Russian Holy Synod and Emperor governs it via Russian bureaucratic ecclesiastical and state system.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Акты собранные Кавказской археографической коммисией, т. XI, Тифлис, 1881.
2. Акты собранные, Кавказской археографической коммисией, т. IV, Тифлис, 1870.
3. Акты собранные кавказской археографической коммисией, т. I, Тифлис, 1866.
4. კინკლოსური ქრონიკალური მინაწერები, იხ.: თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა, ტ. III, გამოსცეს, კომენტარები და საძიებლები დაურთეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბილისი, 1967.

ხათუნა ქოქრაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რამდენიმე დოკუმენტი ეროვნული მოძრაობის ისტორიისთვის
(1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში)

1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა ერთ-ერთი პირველი საპროტესტო ინცინდენტია, რომელიც ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ კახეთში დაიწყო. კახეთის თავადაზნაურების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნულ მანიფესტს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან მიერთების შესახებ, პროტესტით უპასუხა და რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი არ მიიღო. 1802 წლის ივლისში ქიზიყში, ქელმენჩურის მიდამოებში კახელი თავადაზნაურების ინიციატივით რამდენიმე ათასი ადამიანის შეკრება რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკურ გამოსვლაში გადაიზარდა.

ამბოხებულთა შორის იყვნენ კახელი თავადები: ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერები, ჭავჭავაძეები, ქობულაშვილები და სხვები. ცნობილია, რომ ამ პოლიტიკურ გამოსვლაში მონაწილეობდნენ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრები: ვახტანგ ერეკლეს ძე და თეიმურაზ გიორგის ძე. სპარსეთში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილისა და დარეჯან დედოფლის მიერ იგეგმებოდა, ასევე, ქართლ-კახეთში რუსების სამხედრო ძალების წინააღმდეგ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის, განჯის ხანის, ახალციხის ფაშასა და ჭარ-ბელაქნელი ლეკების ერთობლივი ლაშქრობა. გამარჯვების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფედ იულონ ერეკლეს ძე უნდა გამოეცხადებინათ. ქელმენჩურის შეკრების დასაშლელად გაგზავნილი რუსების სამხედრო შენაერთი თავდაპირველად ამბოხებულებმა მოიგერიეს.

სტატიაში ვაქვეყნებთ რამდენიმე დოკუმენტს: პოლიტიკური გამოსვლის მონაწილეების მიერ შედგენილ მიმართვის ტექსტს რუსეთის იმპერატორისადმი, რუსი გენერლების — ლაზარევისა და გუ-

ლიაკოვისადმი, ასევე, გარსევან ჭავჭავაძისადმი და სხვა. დოკუმენტებში ჩანს ამბოხებულთა უკმაყოფილება 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამო, მოთხოვნები ქართლ-კახეთის სამეფოსა და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენის შესახებ. კახეთის თავადაზნაურობა რუსეთის იმპერატორისგან ქართლ-კახეთის მეფედ იულონ ერეკლეს ძის დამტკიცებას ითხოვდა.

პოლიტიკური გამოსვლის მასშტაბურობის მიუხედავად რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო მისი განეიტრალება და ჩახშობა. იმერეთში თავშეფარებული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების ქართლ-კახეთში დაბრუნების აღსაკვეთად გაამაგრეს იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადასასვლელები, გააძლიერეს ტფილისის დაცვა, ხოლო კახეთში დამატებითი სამხედრო ძალები გაგზავნეს. კახეთის ამბოხებულმა თავადაზნაურობამ ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და ხალხის დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს. მათ ვერ შეუერთდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, ჭარ-ბელაქანში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმაც გადაიფიქრა კახეთში შეჭრა. კახეთის პოლიტიკური გამოსვლის მონაწილეების ნაწილი რუსეთის ხელისუფლებამ შეიპყრო, ნაწილი გაიქცა და მოგვიანებით ალექსანდრე ბატონიშვილს შეუერთდა. შეპყრობილ თავადებს დანაშაული აპატიეს და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცეს.

1802 წლის პოლიტიკური გამოსვლის მარცხის მიუხედავად ცხადი გახდა, რომ ქართველი ხალხი სახელმწიფოებრიობის დაკარგვას ვერ შეურიგდებოდა და თავისუფლებისთვის ბრძოლას არ შეწყვეტდა.

* * *

კახეთის თავადაზნაურობის თხოვნა იმპერატორს

ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებნი სამღუდელონი და საერონი მუხლ-დადგმით მოვახსენებთ ყოვლად უდიდებულესსა მფარველობასა თქვენსა ესრეთ

უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფისა თქვენისასა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე.

ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან ჩუმნს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარვყოთ; ათას ორი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და ეგ-

რეთვე (მრავალი ამათგანი ჩვენის გულისათვის წამებულან) ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩუენც ამათ წინ ამოვწყვეტილ-ვართ მრავალნი.

ესე ჩუენი ჰაზრი არ არის, - მაცთურთა კაცთაგან მომხდარია ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩუენზედ მრავალ-გვარად გარჯილის და ღუანლ-დადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობას ქვეშე გვამყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ.

ამას ვითხოვთ თქვენის დიდებულებისაგან მუხლ-დადგმით და სულთქმით

თავადი რევაზ ენდრონიკოვი, თავადი სვიმონ ენდრონიკოვი, თავადი სოლომან ენდრონიკოვი, თავადი დიმიტრი ენდრონიკოვი, ზაქარია მოურავის-შვილი თავადი აბელ, თავადი ვაჩნაძე ლუარსაბ, თავადი ბებუთოვი რევაზ, თავადი აბაშიძე ქეშიქჩი-ბაში დავით, თავადი ადამ ენდრონიკოვი, თავადი იოსებ ენდრონიკოვი, თავადი ივანე ენდრონიკოვი, თავადი ივანე ერასტისშვილი, ჯანდიერის-შვილი დავით, თავადი გიორგი ჩოლაყოვი, მდაბალი მიტროპოლიტი ნეკრესისა, თავადი რევაზ ვახვახოვი, დიმიტრი ჩოლაყოვი, თავადი მარტყოფის მოურავი იოანე, თავადი დურმიშხან ჩოლაყოვი, თავადი დავით ქობულოვი, თავადი სვიმონ ქობულოვი, ივანე ჭავჭავაძე, თავადი კალაურის მოურავი ჯანდიერის-შვილი ომან, თავადი მერაბ ჭავჭავაძე, თავადი იოსებ ჭავჭავაძე, თავადი რევაზ ჯანდიეროვი, სულხანოვი ზარასპის-ძე პაატა, დავით მაყაშვილი, ვაჩნაძე ასლან, თავადი ვაჩნაძე აიდემურ, თავადი ვაჩნაძე სოლომონ, თავადი ვაჩნაძე სვიმონ, თავადი ვაჩნაძე სოლომონ, თავადი ვაჩნაძე იოსებ, თავადი გრიგოლის-შვილი ნინია, თავადი აბაშიძე ევგენის-ძე პაატა, კოსტანტილეს-ძე იოსებ, თავადი ჯორჯაძე სალთხუცესი გიორგი, თავადი ჯორჯაძე გრიგოლ, ყოვლად სამღუდელო სარჭაშნელი არხიერი ჩოლაყაშვილი. მისის უწმინდესობის საიბი და არხიმანდრიტი, მოძღვართ-მოძღვარი იოაკიმ, მდაბალი კარის წინამძღვარი, თავადი ჯორჯაძე ზურაბ, თავადი ჯორჯაძე ენისელთ მოურავი დიმიტრი, ლუარსაბ თარხანი, ჭავჭავაძე გიორგი, ჯანდიერი-შვილი ფარსადან, ავალოვი კირილე, თავადი ჯანდიეროვი ფრიდონ, თავადი ვაჩნაძე ზაქარია, თავადი აფხაზი ივანე.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Под редакцией: А.П. Берже, Т. I, Тифлис, 1868, გვ. 387.

კახეთის თავადების მიმართვა გენერალ გულიაკოვისადმი, 21 ივლისი, ქორონიკონი 490 (1802) [1]

პირველი ჩუჱნი მოხსენება ეს არის. საქართველო ერთი მცირედნი ქვეყანა ვართ, ჩვენ გვებრძოდა დიდი ხელმწიფე არის ხონთქარი; ჩვენ გვებრძოდა ყეენი და ყმანიც იმისნი ვიყავით, ჩვენ გვებრძოდა დაღისტანი, რომ ისიც ერთი დიდი ქვეყანა არის, მაგრამ ამაებს არც-ერთს თავი არ დაუდევით; თუმცა ძალას გვატანდნენ, ზოგჯერ კიდეც დაგვიჭირეს, მაგრამ თავი არც ერთს არ დავუდევით, ამისთვის წარმართნი იყვნენ, როდესაც ამად დაგვიჭირეს, ვერც მაშინ და ვერც მასუკან ჩვენში ვერც მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს ეფისკოპოზობა, ვერც მოშალეს თავადობა ვერც მოშალეს გლეხობა, რომ ყოველს ფერს თჳთ თქვენი თვალი ხედავს ამ დიდროვანის ურჯულოთ მტერთაგან რომ მოსვენება არა გვქონდა, ხმლითაც ბევრი მოვიშორეთ, მართლისა და ტყუილის თქმითაც და მიცემითაც. დაღისტანს ვიშორებდით ამ შაჭირვებაში რომ ვიყავით, ჩვენი მეფენი ევედრებოდნენ ყოვლად-მოწყალეს ხელმწიფეს რომ ქრისტიანობის გულისათვის მოწყალება მოეღო და რუსეთის საფარველი გვდებოდა, ჩვენს მეფესაც პატივი და დიდება მომატებოდა, ეკლესიებსაც და ეფისკოპოზთაც, თავადთაც და გლეხთაც და უშიშროებაშიაც ვყოფილიყავით. ინება ყოვლად-მოწყალემ ხელმწიფემ და საქართველო რუსეთს შეაერთა და მანიფეშტები გვიბოძა, რომ ყოველს ფერს მოწყალებას თვითვეულად გვიბრძანა იმისთანა ბრძანება, და მადლობა მოვახსენეთ და სხვა რაც მოწყალება მანიფეშტით გვიბრძანა თქვენგან არ აღგვისრულდა. უშიშროება გვიბრძანა, რაში ჩანს სოფლებს და სოფლებს გლეჯენ ლეკნი და არას ნაღვლობთ. ეკლესიებისა და ეფისკოპოზთ პატივის მომატება ბრძანა - თქვენ ყმა და მამული მთლად ჩამოართვით. თავადთ პატივის მომატება გვიბრძანა, ჩვენ რომელნიც ჩვენის ბატონებისგან პატივ-ცემულნი ვიყავით და იქიდამ ვრჩებოდით ის პატივი მოგვეშალა; ვისაც დიდის ღვაწლით და სისხლ-დათხევით სოფლები სახელოთ გვეჭირა; ის მოგვიშალეთ; გლეხთ თორმეტთს წელიწადს მოწყალება უბძანა ხარჯის გამოურთმევლობისა; ჩვენის დაქცეულის ქალაქისა გვიბრძანა, რაც შემოსავალი მართებელთ ჯამაგირს გადარჩეს, დაქცეულის ქალაქის აღსაშენებლად დახარჯულიყო — ესეც არ მოხდა ამათ ხარჯი ეთხოვათ, ამათ იწყინეს, თორემ ჩვენს ხალხზედაც გამოაცხადებდით, მაგრამ დაიდუმეთ. ამის გარდა ოჯახის-შვილნი თავადნი დაიჭირეთ და ქიზიყელნი უფროსი კაცნი და მათ ყველამ თავი იმართლეს და სიმარ-

თლით გამოცხადდნენ რაც ყოვლად-მოწყალემ ხელმწიფემ გვიბძანა, ფიცი თუ სხვა რამ, ყოველი ფერი აღგვისრულებია, რომ თვით ჩვენი წერილები აცხადებს; თქვენ ამ მწუხარებაში მიგვეცით ამას გარდა ახლა ვაჩნაძებს მოუხდნენ, დაჭერას უპირობდნენ, არ დაეჭერინნენ არ ვიცით, რა დანაშაული გვაქვს? თუ ხელმწიფის ბრძანებით გვიშვრებით, გამოგვიცხადეთ ისე გარდაგვხდეს; თუ თქვენ თავათ გვიშვრებით ერთობით თავადნი და გლეხნი მოგახსენებთ, ამის პასუხი უნდა მოგვცეთ, რომ ჩვენც ხელმწიფის არზი მივართოთ და ჩვენი შეჭირვება მოვახსენოთ ხელმწიფის უბრძანებლივ თავადთ ნუ დაიჭერთ არც მართებული არის; რომელიც თავადნი გაიქცნენ, ქალაქში რომ წიგნი გამოჩნდა, იმ ხმის შიშმა გააქცივა ერთი ამისი პირი კავალენცკისაც [2] მივწერეთ და შენც მოგართვით, რომ ეს ჯარი თქვენი კამანდისანი არიან.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Под редакцией: А.П. Берже, Т. I, Тифлис, 1868, გვ. 388

წერილი თავად გარსევან ჭავჭავაძეს [3]

ჩვენ ერთობით კახნი, შენნი ძმანი, ერთ-ხმობით მოგახსენებთ ჩვენი ამბავი გამოცხადებული გექნებათ და აწ ამას მოგახსენებთ გამოგვიცხადეს ჩვენის სახელოების ჩამორთმევა, გამოაცხადეს ეკლესიების მამულის ჩამორთმევა და ესე გვესმის, რომ ორის წლის ხარჯსა სთხოვენ ხალხსაო და შენ შემეცნებული ბრძანდება, თუ რა მწუხარება და ჭმუნვა იქნება ჩვენს გულში.

მათის იმპერატორების დიდებულებისათვის არზა მოგვირთმევია და შიგ გამოგვიცხადებია სხუას ჩვენს სრულს ჰაზრს ჭავჭავაძე გარსევან განაცხადებს თქვენის დიდებულების წინაშეო ხომ იცი, ჩვენი ჰაზრი ერთი ეს არის - რომელიც მეფის ირაკლისაგან უკანასკნელი ანდერძია, ის დამტკიცდეს, რომელიც შენგანაც დაბეჭდილია და ჩვენგანაც, მაგათის მფარველობით, და ჩვენგან რაოდენ შესაძლებელი სამსახური იყოს, გვიმსახუროს და მიირთოს.

ეს შენს ნებაზედ მოგვიგდია; ამჯობინო, გამოაცხადე და არ ამჯობინო, დაიდუმე და ჩვენ კი უმეტესად სამჯობინრად ვრაცხთ მაგათის დიდებულებისათვისაც და ჩვენთვისაც ამის დამტკიცებას, ამისთვის რომ ჩვენი გარეშემო მეზობელნი უფრო მაგათის მორჩილების უღელს მოუდრეკენ ქედსა თვისსა ჩვენი ჭეშმარიტი სიტყვა ეს არის, რომ ის ანდერძი დამტკიცდეს; მათის დიდებულებისათვისაც მოგვიხსენებია, სწორედ ჩვენი საზოგადო მწუხარება ეს არის.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Под редакцией: А.П. Берже, Т. I, Тифлис, 1868, გვ. 389.

კახეთის თავადების წერილი გენერალ ლაზარევს, 1802 წლის 26 ივლისი [4]

მერე წინაზედაც არზი მოგართვით და არც იმ არზის პასუხი გვებრძანა ჩვენ რომ არზი მოგართვით, იმისი პირი არზის გულაკოვსაც მივართვით ამ წიგნის მიტანაზედ გულაკოვმა ჩვენი თავადები დაიჭირა და ყველას თავადს დასაჭერად დევნა დაუწყეს, აღარ დაეჭერინნენ ერთად შეყრილნი ვართ, ქიზიყს შევიყარენით, იულონის მეფობაზედ დავიფიცეთ ჩვენცა და ქიზიყელთაც. როგორც მეფის ერეკლეს ანდერძი არის და დაფიცებულნი ვართ ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზედ დავიფიცეთ, მერე იულონის მეფობაზედ ჩვენს ყოვლად-მოწყალის ხელმწიფის ერთგულნი ვიყვნეთ და იულონ მეფეთ გვიჯდეს; რაც ხელმწიფეს ჩვენგან სამსახური ენებოს, ჩვენს მეფეს უბრძანოს და იმისი სიტყვით, ჩვენის შეძლებით გვიმსახუროს ჩვენც ხელმწიფეს არზი მივართოთ და ამისი მოწყალება ვთხოოთ ამ საქმეში რომ ვიყავით და არზას ვსწერდით, პოდპოლკოვნიკი მოგვიხდა ჯარით და არტილერიით, დაჭერას გვიპირობდა და კინაღამ ჩვენც ხელმწიფის ორგულობაში არ შეგვიყვანა და ერთი შფოთი არ გარდაგვკიდა; მაგრამ ღმერთმან დაგვიფარა, ისე უშფოთრად გავიყარენით გევედრებით მუხლ-დადგმით, ეს შფოთი დააწყნაროთ - ან ხელმწიფის საწყენს საქმეში არ მიგვცეთ და ან ეს ხალხი ხელმწიფეს არ დაუკარგოთ; ხელმწიფეს არზას მივართმევთ, ის არზა თქვენ მოგერთმევათ და თქვენ ხელმწიფეს მივართვით გევედრებით, - რაც ჩვენი ძმანი არიან უსამართლოთ დაჭერილნი, ის გვებოძოს, რომ შფოთი დაწყნარდეს; იმათს დაჭერაზედ ხალხი დიახ შემოფთხა და ნება თქვენია.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Под редакцией: А.П. Берже, Т. I, Тифлис, 1868, გვ. 390.

მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის ჩვენება, 1802 წლის 31 ივლისი

კახეთის თავადნი ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძები და ჯანდიერილები შეყრილიყვნენ და განეზრახათ ხელმწიფის ერთგულობაზე დაგვიფიცავს და კიდევ დავიფიცოთო, და უენო ვართ და ერთი ჩუმნი ბატონიშვილი გვიბოძოს მეფეთ; თუ იმის დიდებულების ნება იქნებოდეს, არზი ვაახლოთ.

ოც და ოთხს ჩუენ დავებარებინეთ და ხიზიყის მოხელეები, მივედით და ასე იფიცეს ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე და მასუკან იულონ ითხოვეს — ლაკბეზედ [5] იყო ეს ფიცი; ოც და ხუთს ხუთშაბათ დღეს კელმეჩურზე [6] გადმოვიდნენ, ქიზიყის ხალხს შეატყობინეს, ქიზიყის ხალხი მოვიდა სოფლიდამ და დაიფიცეს ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე და მასუკან იულონის მემკვიდრეობაზე, რადგან მეფის ირაკლის ანდერძი ასე არის, თუ იმის დიდებულება ინებებსო; ამის წიგნი გაღმაც გაგზავნეს გავაზ-ყვარელში, თქვენც ასე დაიფიცეთო და უზეთშიაც გაღმა პაატა ჭავჭავაძეს გაატანეს და იმის პირი ერთი შიგნით კახეთში - თქვენც ასე დაიფიცეთო იულონს წიგნი მისწერეს ჩვენ შენს თავს ვსთხოვთ ხელმწიფესაო და შენც ეცადეო, რომ ხელმწიფემ წყალობა დაგვმართოსო, იმათი განზრახვა და რჩევა ეს იყო. ამას გარეთ არც გაღმა ლეკში, არც ალექსანდრესთან წიგნი არ მიუწერიათ და არც ვიცი, ღმერთსა ვფიცამ და ყოვლადმოწყალის ხელმწიფის თავსა და ახლა თუ მიიწერებიან, ის კი არ ვიცი, და ნება თქვენის მაღალ-მსვლელობისა ჩემი მოხსენება ეს არის ივლისის ლა [7]

ამას გარდა მისწერეს ვახტანგსაც წიგნი იულონის წიგნთან წელსა ჩყბ [8]

მდაბალი მიტროპოლიტი ბოდბელი იოანე

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Под редакцией: А.П. Берже, Т. I, Тифлис, 1868, გვ. 391.

მცირე კომენტარები:

[1] გულიაკოვი ვასილ სტეფანეს ძე (1751-1804) — რუსი სამხედრო მოხელე, გენერალ-მაიორი. 1773-1774 წწ. მსახურობდა პოლონეთში, 1778 წლიდან შვეციაში. აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის ომებში. 1800 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. დაინიშნა კავკასიის ხაზზე ყაბარდოს ქვეითი პოლკის უფროსად. მეთაურობდა 1800 წლის სექტემბერში ქართლ-კახეთში შემოსულ რუსულ პოლკს, შემდეგ კახეთში განლაგებულ რუსულ ჯარს. 1803 წელს მისი ხელმძღვანელობით რუსთა და ქართველთა ერთობლივმა სამხედრო ძალებმა დაიკავეს ჭარ-ბელაქანი. იმავე წელს ილაშქრა დაღესტნელთა წინააღმდეგ. 1804 წელს ზაქათალას ხეობაში ლეკების კვალს დადევნებული მოწინააღმდეგის ტყვიამ იმსხვერპლა. დაასაფლავეს ბოდბეს მონასტერში.

[2] კოვალენსკი პეტრე ივანეს ძე — 1799-1800 წლებში რუსეთის ელჩი და მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფოში. ქართლ-კახე-

თის სამეფოს გაუქმების შემდეგ დაინიშნა „საქართველოს მმართველად“ და ამავე დროს I განყოფილების — აღმასრულებელი ექსპედიციის ხელმძღვანელად. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილი დარღვევების გამო 1802 წლის სექტემბერში რუსეთის მთავრობამ უკან გაიწვია. გარდაიცვალა 1817 წელს.

[3] გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე (1756-1811) — ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მეფის ეშიკაღასბაში (საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსი) და ყაზახის მოურავი. ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის სტატუსით, აქტიურად მონაწილეობდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაში. მხარს უჭერდა ტრაქტატის პირობების შესაბამისად ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას, რის გამოც 1805 წელს რუსეთის მთავრობამ პეტერბურგში გადაასახლა. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

[4] ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (1763-1803) — რუსი სამხედრო მოხელე, გენერალ-მაიორი (1798 წ-დან). მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიაში რუსეთის იმპერიის გავლენის გასაძლიერებლად. ხელმძღვანელობდა სამხედრო ლეგიონს, რომელიც 1799 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფოში შემოიყვანა. ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში აქტიურად ერეოდა. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის იანვრის დამლევამდე, აკონტროლებდა ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობას. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ რუსული ჯარის ხელმძღვანელობა მიანდეს.1803 წ. მოკლეს მარიამ დედოფლის რუსეთში ძალით გადასახლების მცდელობის ინცინდენტის დროს. დაასაფლავეს ტფილისში, სიონის ტაძარში.

[5] ლაკბე — მდინარე იორის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 935 მ სიმაღლეზე, სიგრძე 32 კმ. მოედინება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

[6] კელმეჩური (ქელმენჩური) — 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლის მონაწილე კახეთის თავად-აზნაურების საპროტესტო შეკრების ადგილი ქიზიყის ტერიტორიაზე, სადაც ამბოხებულებმა შეიმუშავეს ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის და მეფედ იულონ ერეკლეს ძის დამტკიცების მოთხოვნა.

[7] ივლისის ლა — 21 ივლისი.

[8] წელსა ჩყბ — 1802 წელს.

Khatuna Kokrashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Some Documents about the National Movement History (Political Action in Kakheti in 1802)

Summary

The political action in 1802 was one of the first protests. This incident took place in Kakheti after the announcement of the manifest of Alexander I. It was a manifest which was abolishing Kartl-Kakheti kingdom and was uniting it with Russia. The substantial majority of Kakheti nobles protested it and refused to swear allegiance to the emperor of Russia. In July, 1082, in Kiziki, in the Kelmenchuri area with the initiative of Kakheti nobles several thousand people gathered. This gathering turned into a political protest.

We are publishing in the article some documents: the texts of the rebels' appeal towards Russian emperor, towards the generals of the Russian army in Kartl-Kakheti and etc. The documents obviously show discontent of rebels because of the manifest of September, 12, 1801, demands to restore Kartl-Kakheti kingdom and the conditions of 1783 treaty of Georgievsk. The nobles of Kartl-Kakheti were demanding from the emperor of Russia to appoint as a king of Kartl-Kakheti Iulon Bagrationi, Erekle II's son. Despite the political action in 1802 was of large-scale the government of Russia was able to neutralize and put it down. But this political action clearly showed that the Georgian people will not tolerate a loss of independence and never stop the fight for independence.

შოთა ვადაჭკორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ევროპული დაპირებები და საბრძოლო ვაზნების გარეშე დარჩენილი საქართველო (1919– 1921 წლები)

ახალი საარქივო დოკუმენტები

ამიერკავკასიის გარშემო შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა შესანიშნავად აცნობიერებდა იმ მოახლოებულ საფრთხეს, რომელიც ჩრდილოეთიდან- საბჭოთა რუსეთის სახით ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას. მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს ისიც კარგად ჰქონდა გათვლილი, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, საბრძოლო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველო, თუკი რუსული წარმოების იარაღზე იქნებოდა დამოკიდებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ თბილისის არსენალში არსებული რუსული წარმოების იარაღისთვის (900 ტყვიამფრქვევი, შაშხანები, სამთო ქვემეხები) არც ერთი შესატყვისი ვაზნა და ყუმბარა არ ინახებოდა: იგი ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის მიერ, საჭიროებისამებრ 1915-1916 წლებში ალექსანდროპოლისა და სარიყამიშის სამხედრო საწყობებში იქნა გადატანილი. მართალია, 1918 წლის მარტის შუა რიცხვებში ალექსანდროპოლიდან და სარიყამიშიდან 6 ვაგონი ტყვიამფრქვევის ვაზნები და 24 ვაგონი ზარბაზნის ყუმბარები იქნა თბილისში ჩამოტანილი, მაგრამ მისი შევსებითი პროცესი შეუძლებელი ხდებოდა. არსებული ვითარება სახალხო გვარდიისა და ჯარის დაუყოვნებლივ გადაიარაღებას საჭიროებდა; ქვეყნის უსაფრთხოების გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებული ძალები საბჭოთა რუსეთზე დამოკიდებული რომ არ ყოფილიყო, რუსული წარმოების იარაღი ევროპულით უნდა ჩანაცვლებულიყო. ამ მიზნით, საქართველოს ხელისუფლების პირველი ქმედითი ნაბიჯი 1919 წლის გაზაფხულზე

გადაიდგა. მხედველობაში მაქვს ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან გაფორმებული შეთანხმება – პირველ მსოფლიო ომში გამოყენებული იარაღის საქართველოსთვის მიყიდვის შესახებ. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ 1920 წლის 20 მარტს ოფიციალური განცხადებით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ- ის და იტალიის წარმომადგენლებს და მათი ქვეყნების ხელმძღვანელების მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის შესახებ მიცემული პირობის შესრულების აუცილებლობა შეახსენა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფალთა ამ თხოვნისადმი ევროპის სახელმწიფოს ლიდერებმა ინდიფერენტული დამოკიდებულება გამოიჩინეს. ეს გასაკვირი არაა, რადგან ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის ხელისუფლების მესვეურთ, საქართველოსგან მესხეთ– ჯავახეთის ჩამოცილების ვერაგული გეგმა ჰქონდა შემუშავებული. ეს დანაშაულებრივი ფაქტი ნოე რამიშვილის მიერ პარიზში მყოფი აკაკი ჩხენკელისა და ირაკლი წერეთელისადმი 1920 წლის 22 მარტს გაგზავნილ წერილშია მხილებული. იქვე ხაზგასმითაა მითითებული ამ გეგმის ხელშემშლელი ფაქტორების ამოქმედების აუცილებლობის შესახებ. რამდენადაც საქართველოსგან სამხრეთ– დასავლეთის ტერიტორიის ჩამოჭრის ინგლისური გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს რეალური გადაწყვეტილება – 1919 წელს შეპირებული იარაღის საქართველოსთვის მიყიდვის შესახებ. მხედველობაში მაქვს ამ საკითხთან მიმართებაში საფრანგეთის მთავრობის მიერ 1921 წლის 14 თებერვლის ოფიციალური თანხმობა, რომლის პრაქტიკულად ამოქმედება მხოლოდ 11 დღის შემდეგ (25 თებერვალი) გაცემული ბრძანების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ის იარაღი, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოსთვის მისაყიდად გაიმეტა, დაჟანგული და მწყობრიდან იყო გამოსული. სამხედრო სპეციალისტების მიერ გაკეთებული დასკვნიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე იგი საბრძოლო მოქმედებებისათვის არ გამოდგებოდა, რადგან საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლებლობას იძლევა განვაცხადო, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მეთაურებმა, საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის შესახებ მიცემული პირობის დროულად არშესრულებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაიარაღებას მაქსიმალურად შეუშალა ხელი. რაც შეეხება

ახალი სამხედრო ქვედანაყოფების შექმნას, ასეთ პირობებში რაიმე სახის ქმედითი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელი იყო. ზოგიერთი ჩემი კოლეგა ამ რეალობას, სამწუხაროდ, ანგარიშს არ უწევს. სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ტენდენციური ფორმით დაწერილ მემუარებზე დაყრდნობით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველ ძალას ქართული არმიის ახალი შენაერთების ვერშექმნაში ადანაშაულებს. ისინი ყურადღების მიღმა ტოვებენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს– რომელი ქვეყნის მიერ დამზადებული საბრძოლო იარაღით უნდა მომხდარიყო ქართული ჯარის აღჭურვა. არც იმას ითვალისწინებენ, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა იმ მომენტში რუსული წარმოების ვაზნების მომხმარებლად დარჩა და ამ დანაშაულებრივ ქმედებაში ლომის წილი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერების წაჯექ- უკუჯექის (უფრო სწორი იქნებოდა– პოლიტიკურად მეძავმა) კურსმა შეასრულა. ტყუილზე აგებული შეპირებებიდან გამომდინარე, რუსული წარმოების შაშხანებით, ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით აღჭურვილი საქართველოს შეიარაღებული ძალები საბჭოთა რუსეთის პირისპირ (1921 წლის თებერვალი) რუსული წარმოების ვაზნების გარეშე აღმოჩნდა. გაგრა-სოხუმის მიმართულებით ქართული საჯარისო შენაერთების მიერ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა რუსული ვაზნების უქონლობამ განაპირობა. რაც შეეხება ალექსანდროპოლიდან 1918 წელს შემოტანილი ვაზნების მარაგს, იგი 1921 წლის თებერვლის დასაწყისისათვის ამოწურული იყო.

როცა საბჭოთა რუსეთთან დამარცხების მიზეზებზე და ახალი საჯარისო შენაერთების ვერშექმნის შესახებ ვსაუბრობთ, პირველ რიგში ევროპის სახელმწიფოებისგან საქართველოსთვის საბრძოლო იარაღის, თუნდაც რუსული წარმოების ვაზნების დროულად არმიყიდვის ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმდინარე პროცესების შეფასებაში ისტორიის ფალსიფიკატორის ამპლუაში აღმოვჩნდებით.

დოკუმენტი №1

საქ. სოც. დემ. მუს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი
1920 წ. 22 მარტი

ამხ. კ.ჩხეიძეს და ირ.წერეთელს
პარიზი.

ამხანაგებო!

ცეკას დავალებით ორიოდე სიტყვით მსურს აქაური მდგომარეობა აგიწეროთ. ბოლშევიკები მოადგნენ საზღვარს. მიღებულია ყოველივე ზომები საზღვრის დასაცავად. თავდასხმაზე არ გვიფიქრია და არც ვფიქრობთ. ხოლო ჩვენი საზღვრების დაცვას უთუოდ შევძლებთ. მართალია, საბრძოლო მასალა გვაკლია, მაგრამ დენიკინელებს საკმაო მასალა ავართვით საზღვრებში გადმოსვლისას. ევროპელნი გვპირდებიან, მაგრამ ეს დაპირებად რჩება. საჭიროა ამ საგანს დიდი ყურადღება მიაქციოთ.

მეორე საქმე: ინგლისი, ეჭვს გარეშეა, ცდილობს ამიერკავკასიის ბრჭყალებით ჩაჭერას. სამხედრო წრეები განსაკუთრებით ილტვიან დაიკავონ ბათუმის ოლქი და შემდეგ გაიყვანონ რკინიგზა ბათუმიდან არტაანით ყარსამდე და შემდეგ სპარსეთით ინდოეთამდე. ასეთი გეგმა წარმოადგენს განმეორებას იმ გეგმისას, რაც ერთხელ მოხდა ძველ საქართველოში. სამცხე- საათაბაგოს მოწყვეტით დავკარგეთ ეკონომიური ძალა- გავლენა და შემდეგ პოლიტიკური სუვერენიტეტი. ამიტომ ვიბრძვით ასე ენერგიულად ამ გეგმის წინააღმდეგ. არტაანი-ბათუმის ხაზი სავსებით ჩვენი უნდა შეიქნეს. როგორაც არ შეგვიძლია ბათუმის ოლქის დათმობა, აგრეთვე არ შეგვიძლია არც არტაანის ოლქის სომხებისათვის გადაცემა. ეს სრულებით ნათელია ამჟამათ ჩვენთვის. სომხები იბრძვიან, არტაანის ოლქიდან გაიკაფონ ვიწრო გზა ბათუმისაკენ, გაჟლიტონ იქ მცხოვრებნი, როგორც ახლა ჟლეტენ არტაანის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილის მუსლიმანებს არტილერიით და ქმნიან სუფთა ტერიტორიას.

ასეთია რთული ვითარება ბათუმის ოლქის. თუ ამას დავურთავთ აზერბაიჯანის ინტრიგებს ბათუმის ოლქში, რაზედაც საგარეო საქმეთა სამინისტრო გაცნობებთ, სურათი სრული იქნება. სწორედ ამიტომ, ასე ერთსულოვნათ გამოვიდნენ საქართველოს ხალხი ბათუმის საკითხში და დაგმო უმაღლესი საბჭოს დადგენილება ბათუმის პორტო- ფრანკოდ გამოცხადებისა და კარიკატუ-

რული სახელმწიფოს შექმნით. საჭიროა ენერგიული ზომები თქვენის მხრივ.

ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება ინგლისის ხელმძღვანელ წრეებს ადვილად დავუმტკიცოთ, რომ ძლიერი საქართველო სწორეთ მათ ინტერესებშია, მათ პოლიტიკას მთელ კავკასიაში და შუა აზიაში ამტკიცებს. ამიტომ საჭიროა საქართველოს ინტერესთა უზრუნველყოფა. იმედი მაქვს, მუშათა პარტია ინგლისისა დიდ დახმარებას გაგიწევთ.

შემდეგი, მესამე საკითხი: ეს არის ზაქათალას ოლქი. ყოვლად შეუძლებელია ამ ოლქის აზერბაიჯანის ფარგლებში დატოვება. ეკონომიურად ის გადაჯაჭვულია თბილისთან. საჭიროა ამ საკითხებში მიიმხროთ მოკავშირენი. ეს მით უფრო შეიძლება, რომ აზერბაიჯანის გაძლიერებას საქართველოს ხარჯზე არ მოისურვებენ. საერთოდ, დროა საზღვრების საკითხი პირველ რიგში დააყენოთ.

მოდის გენ. ოდიშელიძე. მან ჩვენი აზრი იცის და საჭიროა მისი ერუდიციის სავსებით გამოყენება.

იმედი გვაქვს, თქვენ შეძლებთ ამ უკანასკნელ დაბრკოლებათა დაძლევას. კ.გვარჯალაძე და კ.საბახტარაშვილი დაბრუნდნენ, აგრეთვე გობეჩიაც...

სალამს გითვლის ნოე ხომერიკი.

ალბათ ნოე ჟორდანია ცალკე მოგწერს.

ამხანაგური და მეგობრული სალმით ნ. რამიშვილი.

სცსსა, ფ. 2115, საქ.119, ფურც. 1-2

დოკუმენტი № 2

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე.გეგეჭკორის მიერ სტამბოლში საქართველოს კონსულის ი.გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 29 იანვარს გაგზავნილი დეპეშა

თქვენი დეპეშის საპასუხოთ გაუწყებთ, რომ ყველა საჭირო ცნობები, თუ რა გვჭირდება ეხლავე, პირველი რიგის ჯარის მოსაწყობად, უკვე გადავეცი ადგილობრივ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთ. ამათ ეს ცნობები დაუგზავნეს თავიანთ მთავრობებს. ჩვენ ეს მოვითხოვეთ და ამის დაპირებაც მივიღეთ. საჭი-

როა ყველა ზომების მიღება, რომ პირველ რიგში მოთხოვნილი საგნები რაც შეიძლება საჩქაროთ მოგვაწვდინოთ...

საბჭოთა რუსეთი გვემუქრება. ჩვენ მაგრათ ვართ. საჭიროა სამხედრო საგნების საჩქაროთ მოწოდება.

ე. გეგეჭკორი.

სცსსა, ფ. 1864, საქ. 483, ფურც. 16

დოკუმენტი № 3

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კ. საბახტარაშვილის მიერ საქართველოს გენერალური კონსულის – ი. გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 14 თებერვალს კონსტანტინოპოლში გაგზავნილი ტელეფონოგრამა

მთავრობის დავალებით მოემგზავრებიან კონსტანტინოპოლში გენერალი ქუთათელაძე და ნაპოლეონ კახიანი. მათ აქვთ სპეციალური დავალება სამხედრო მასალის შოვნის შესახებ. გენერალ ქუთათელაძეს მოაქვს სათანადო ბარათი საქართველოში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენელ ბნ. შევალიესგან საფრანგეთის (გენერალ შ. ვ.) პელესთან. ამ საგნის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს აქვს აღძრული საკითხი. საფრანგეთის მთავრობამ პრინციპიალური თანხმობა განაცხადა, მოგვყიდოს ეგრეთწოდებული ვრანგელის თადარიგიდან (იარაღი შ. ვ.), ამისთვის საჭიროა გენერალმა პელემ მიიღოს სათანადო განკარგულება საფრანგეთის მთავრობისგან. ბ-მა შევალიემ გაუგზავნა დეპეშა თავის მთავრობას, რათა უკანასკნელმა დეპეშითვე მისცეს ასეთი განკარგულება გენერალ პელეს. იარაღის გადმოცემა უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში და საქონლის... წინდაწინვე შეთანხმებულ პირობებში.

საჭიროა ამ საქმის დაჩქარებით დამთავრება. დრო არ ითმენს. თქვენ გევალებათ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღოთ და სასწრაფოთ შეასრულოთ ეს საქმე. საქმის მსვლელობას შიფრიანი დეპეშით გაცნობებთ.

საგარეო საქმ. მინისტრ. მოადგილე კ. საბახტარაშვილი.

სცსსა, ფ. 1864, საქ. 483, ფურც. 16

დოკუმენტი № 4

კ. საბახტარაშვილის მიერ სტამბოლში საქართველოს კონსულის ი. გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 28 თებერვალს გამოგზავნილი დეპეშა

დეპეშა პირველი

მდგომარეობა კრიტიკულია. გაგრას დიდი ძალა მოაწვა. ჩვენი რაზმი აქ სულ გაწყდა. უახლოვდებიან სოხუმს. სამხედრო მასალები შემოგველია. ფრანგები აქ არაფერს გვაძლევენ. ჯარი უიარაღოთ იბრძვის. ჟორდანია გთხოვთ... მდგომარეობას იხსნის ანგორის გამოსვლა რუსების წინააღმდეგ და იქონიეთ გავლენა.

28 თებერვალი. 1921 წ. მიღებულია 2 მარტს. ქუთათელაძე.

სცსსა, ფ. 1864, საქ. 483, ფურც. 16

დოკუმენტი №5

სტამბოლში მყოფი საქართველოს კონსულის ი.გოგოლაშვილის მიერ აკ. ჩხენკელისადმი გამოგზავნილი დეპეშა. 1921 წლის 28 თებერვალი.

დეპეშა მეორე

დეპეშა სამას რვა მივიღე. სტამბოლში ფრანგების აქ მხოლოდ თხუთმეტი ათასი თოფი და ორიათას სამოცი პულემიოტი დაჟანგულია, ეხლავე ბრძოლისთვის გამოუსადეგარია. არც პატრონები და არც ყუმბარებია. მდგომარეობა კრიტიკულია. ჯარს მასალა შემოაკლდა, საჭიროა საჩქაროთ დახმარება. ამ საქმეზედ აქ ჩამოვიდა გენერალი ქუთათელაძე. აცნობეთ მდგომარეობა ბერლინს.

კონსული ი. გოგოლაშვილი. 1921 წლის 28 თებერვალი. სტამბოლი. მიღებულია 2 მარტს 1921 წ.

სცსსა, ფ. 1864, საქ. 483, ფურც. 16

დოკუმენტი №6

ე. გეგეჭკორის მიერ საფრანგეთში მყოფი საქართველოს ელჩის აკ. ჩხენკელსადმი 1921 წლის 3 მარტს გაგზავნილი დეპეშა.

ჩვენი ჯარი ეხლა გამაგრებულია სურამის უღელტეხილზე. ხალხში და ჯარში სულიერი სიმტკიცეა. მაგრამ თუ საქართველო მარტო დარჩა ამ ბრძოლაში, მაშინ მდგომარეობა უნუგეშოა. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ ანგორა ჩვენთან ერთად გამოვიდეს. თუ ეხლა ეს მომენტი გაშვებული იქნა, შემდეგ ძნელი იქნება მდგომარეობის გამოსწორება. ანგორა მარტო ვერ შეძლებს მოსკოვთან გამკლავებას. ოფიცერი სპეციალისტი გამოგზავნილია. საჩქაროთ მოგვაწოდეთ იარაღი. სტამბოლში იარაღი საკმაოდ არ აღმოჩნდა.

მიღებულია 1921 წ. 7 მარტს.
სცსსა, ფ. 1864, საქ. 483, ფურც. 16

დოკუმენტი №7

სტამბოლში მყოფი საქართველოს კონსულის ი. გოგოლაშვილის მიერ 1921 წლის 6 მარტს 19 საათზე აკ. ჩხენკელისადმი პარიზში გამოგზავნილი დეპეშა.

გავგზავნე თექვსმეტი ათასი თოფი და ასორმოცდარვა პულიმიოტი. მილიონი პატრონა. იარაღი დაჟანგულია, შეკეთება სჭირია. გამოდგება სამი მეოთხედი. საჩქაროთ საჭიროა სათანადო ნაწილები ან ლუიების პულემიოტებისთვის. პარიზიდან ნებართვის გარეშე არ გვაძლევენ. აქ მეტი არაფერია. **ძლიერ საჭიროა საჩქაროთ რუსული თოფების პატრონები და სამ დიუმიანი ყუმბარები.** მიიღეთ ზომები. სოხუმი აღებულია. სხვაგან მდგომარეობა უცვლელია. მოხსენება გეგზავნებათ. საჭიროა თუ არა ქუთათელაძის ჩამოსვლა.

მიღებულია 7 მარტს 1921 წ. 9 საათზე.
სცსსა, ფ. 1864, საქ. 484, ფურც. 17

Shota Vadachkoria

Doctor of historical sciences, Tbilisi Javakhishvili State University, The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Main researcher scientist of the Department of Modern and Contemporary History

Promises of Europe and Georgia Left Without Cartridges (1919-1921)

Summary

According to the materials we found in the archives it is stated documentary that the European countries (England, France) fulfilled their promise only in 1921, February, 28. In spring, 1919 the mentioned European countries promised the government of Georgia to sell them the weapons they used in the World War I. With the help of the same documents it becomes obvious that the mentioned weapons were so damaged that to use them in battles without repairing was impossible. The mentioned fact shows that the European countries somehow helped Soviet Russia in Sovietisation of Georgia.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

ერთი უცნობი მემუარი ქართველი იუნკრების შესახებ

სამეცნიერო კრებულის წინა ნომერში (2 (13) 2013) დაიბეჭდა ჩემი სამხედრო-ისტორიული ხასიათის სტატია „ქართველი იუნკრები – ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო დოკუმენტებში“,[1, 187-223] სადაც საარქივო პირველწყაროებზე დაყრდნობით წარმოდგენილი იყო ქართულ სამხედრო სკოლასა და იუნკრებთან დაკავშირებული სხვადასხვა საინტერესო საკითხი.

ვაგრძელებთ ქართველ იუნკერთა შესახებ კვლევით მუშაობას და ამჯერად, ჩვენის აზრით, კიდევ ერთ საინტერესო მემუარული ხასიათის ნაშრომს წარმოვადგენთ, რომელსაც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მუშაობის დროს მივაკვლიეთ, სათაურით – „თბილისის ბრძოლა. სამხედრო სკოლის ბრძოლის ეპიზოდები.“მისი ავტორი თბილისში დაბადებული ქართველი იუნკერია, ამ ბრძოლების უშუალო მონაწილე. მისი ვინაობა უცნობია, იგი „იუნკერის“ ფსევდონიმით წერს. ტექსტის სინტაქსური ნაწილის ანალიზი იმის საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ავტორი წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა იყოს, მაგრამ მისი პერსონის სრული იდენტიფიცირება ბოლომდე მაინც ვერ ხერხდება.

მემუარი 1971 წელს გამოქვეყნდა პარიზში და თბილისის ბრძოლების 50 წლისთავს მიეძღვნა. მასში მოკლედაა განხილული ქართული სამხედრო სკოლის შექმნის ისტორია, სასწავლო პროცესი და რაც მთავარია, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლის ცალკეული პერიპეტიები. აღნიშნული მემუარი გარკვეულწილად ავსებს სამხედრო სკოლის იმჟამინდელი უფროსის, პოლკოვნიკ (შემდგომში გენერალ) ალექსანდრე ჩხე-

იძის მემუარებს კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლების შესახებ [2] [3] [4], აგრეთვე ქართული სამხედრო სკოლის დამაარსებლისა და რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებებს [5].

მაშ ასე, მოვუსმინოთ „იუნკერს.“მემუარის ავტორისეული სტილი დაცულია:

„ერის ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ მისი ბედის გადამწყვეტი ბრძოლის რომელიმე ეპიზოდი და რომელიმე პატარა ერთეულის მოქმედება იქცევა ხოლმე მთელი ამ ბრძოლის განსახიერებათ და მთელი ერი ერთ ასეთ მოვლენაში ჩააქსოვს მთელი თავისი ბრძოლის იდეალს. მაგალითად: ვატერლოოს ბრძოლის მთელი სიმწვავე გალამაზებული და ჩაქსოვილ იქმნა ნაპოლეონის გვარდიის უფროს კამბრონის ვულგარულ პასუხში ინგლისელების მიმართვაზედ – „დაგვნებდით!“ დღეს ეს პასუხი ყველა ერის მხედრობის იდეალად იქცა.

ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში კრწანისის ბრძოლის განსახიერებად იქცა სამას თუშ-ხევსურის თავგანწირული ბრძოლა.

დაახლოებით ისეთივე მაგალითი გათამაშდა საქართველო-რუსეთის უკანასკნელ ომში. ქართველი ერის გრძნობებში ამ ომის განსახიერებად იქცა თბილისის ბრძოლა, მისი ტაბახმელის ნაკვეთი და ქართულ სამხედრო სკოლის – იუნკრების ბრძოლა.

თვით ეს ომი, მისი პოლიტიკური ჩარჩოები, მისი სამხედრო გათამაშება და ამ ომის ყოველგვარი შესაძლებლობანი, დაწვრილებით იქმნა შესწავლილი და განხილული იუნკერთა კავშირის ორგანო „მხედრის“ ფურცლებზედ. საქართველოს სამხედრო სკოლის ისტორია იქნება შემუშავებული და დაბეჭდილი. დღეს, ამ ბრძოლის ორმოცდაათ წლისთავზედ, გვსურს გაკვრით აღვნიშნოთ რამოდენიმე ეპიზოდი ამ ერთეულის იმ მოქმედებებიდან, რომლითაც მან მოიპოვა ქართველი ერის სიყვარული და მის ისტორიაში დაიკავა უდავო ადგილი.

სამხედრო სკოლა დაარსებულ იქმნა 1919 წლის სექტემბერში. თვით სახელის შერჩევა, მის დამაარსებელ პირველ უფროსმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, განსვენებულ გენერალ კვინიტაძემ, შემდეგ გვარად ამიხსნა კერძო საუბარში: „უმეტესობის აზრი იყო, რომ სახელი აგვეღო რუსულ სახელის უშუალო თარგმნიდან და დაგვერქო „სამხედრო სასწავლებელი“, ხოლო თვით სამხედრო განათლება მაქსიმალურად ყო-

ფილიყო შეკვეცილი გაწვრთნის და თეორიული სწავლების პრაქტიკული მინიმუმით.მე წინაუკმო აზრისა ვიყავი და, როგორც სკოლის მომავალ უფროსმა გავიყვანე შემდეგი აზრი:

ეს უნდა ყოფილიყო არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო, ქართულ სამხედრო დოქტრინის კათედრა; ამიტომ მისი ნამდვილი სახელი უფრო სამხედრო სკოლა იყო, ვიდრე რუსულიდან ნათარგმნი სამხედრო სასწავლებელი.

გარდა ამისა, მე არ მწამდა გაწვრთნა მხოლოდ იარაღის ხმარებაში, მე მსურდა აღზრდა ქართული სულით. ამიტომ იყო, რომ გარდა ფართო სამხედრო თეორიული საგნებისა, სპეციალურად გავიყვანე, რომ სამხედრო სკოლაში გასწავლიდნენ ისეთ არასამხედრო საგნებს, როგორიც ქართული ენის სიტყვიერება და საქართველოს საერთო ისტორია იყო. ამისათვის მოწვეულ იქმნენ ისეთი საუკეთესო პროფესორები ამ საგნებისა, როგორც ვასო ბარნოვი და ს. კაკაბაძე. რასაკვირველია, ეს დროებითი და გარდამავალი ზომა იყო, სანამ სასწავლებლები მოგვაწოდებდნენ სრულიად ქართულად აღზრდილ მოწაფეებს“.

ეს შეხედულება სამხედრო სკოლის დამაარსებლისა და მომავალ მთავარსარდლისა ისტორიაში ასი პროცენტით გამართლდა, როგორც ბრძოლის ველზედ, ისე ცხოვრების სხვა სარბიელზე ბრძოლით საქრთველოს სამხედრო სკოლის მოწაფეებისა.

სამხედრო სკოლა არ წარმოადგენდა ტაქტიკურ სამხედრო ერთეულს და მისი ორგანიზაცია არ იყო გათვალისწინებული ესეთ დანიშნულებისათვის. მისი დანიშნულება იყო მოემზადებინა უმცროსი ოფიცრები ჯარის ყოველი მთავარ იარაღებისთვის, როგორც: ქვეითთა ჯარი, არტილერია, ცხენოსანი, საინჟენერო და ოფიცერთა ნაცვლები, როგორც ამავე იარაღებისათვის, აგრეთვე ისეთ განსაკუთრებული დარგებისათვის, როგორც ტყვიისმფრქველები და სანაპირო (საზღვრების დამცველი) ერთეულებისათვის.

ოფიცერთა სკოლის მოწაფეებს სახელად იუნკრები ეწოდათ. პირველ კურსზედ იუნკერთა სასწავლებელი ერთ ასეულად იქმნა ჩამოყალიბებული. მოწაფეები გადიოდნენ საერთო სახის საგნებს. მეორე წელს უფროსი კურსი იყოფოდა დარგების მიხედვით, სახელდობრ: ქვეითთა ჯარის, არტილერიის, ცხენოსანი ნაწილის და საინჟინრო დარგებზედ. უმცროსი კურსი გადიოდა საერო პირველდაწყებით მომზადებას.

ნაცვალთა ნაწილი შეიცავდა შემდეგ ასეულებს: ქვეითთა ჯარის, ტყვიის მფრქვეველების, სანაპირო სამსახურის, არტილერიის ერთეულს ბატარეის ზომისა, საინჟენერო ასეულს და ცხენოსან მწყობრს. ე.ი. მართლა მთელი კადრების მომზადების საკითხი სამხედრო სკოლის კედლებში იქმნა მოთავსებული. ნაცვლების ნაწილი ივსებოდა ახალ გაწვეულ სათანადო რეკრუტების რიცხვიდან და მისი სამოსწავლო წელი იწყებოდა რეკრუტების გაწვევასთან შეფარდებით.

სამხედრო სკოლამ ძალიან მალე მიიპყრო თბილისის ფართო საზოგადოების ყურადღება და კეთილგანწყობილება. ყველამ შენიშნა, რომ ხანგრძლივი ომის შემდეგ გამოჩნდა რაღაც ერთეული მშვიდობიან დროის რეგულიარულ ჯარის ასაკში, ნამდვილი მხედრული გაწვრთნით, მკვეთრი სამხედრო წარმოსადეგობით და სრული ქართული გამომეტყველებით. სამხედრო სკოლამ არ გაამტყუნა ქართულ საზოგადოების ეს განწყობილება, ეს გრძნობა იზრდებოდა და ძლიერდებოდა ჩქარი ტემპით. ისტორიული მოვლენები მძლავრად ამკვიდრებდნენ ქართულ საზოგადოებაში ამ კეთილგანწყობილების გრძნობებს.

1920 წლის აპრილს წითელი რუსეთის შეიარაღებული ძალები პირველად მოადგნენ აღმოსავლეთ საზღვრებს. მოწინააღმდეგე დარწმუნებული იყო, რომ შეუჩერებლივ გაივლიდა მთელ საქართველოს. საზღვრებზედ დახვდა მას საქართველოს შეიარაღებული ძალები. დაიწყო პირველი საქართველო-რუსეთის ოფიციალური და ფორმალური ომი.

კომუნისტურ რუსეთს სურდა, რომ ეროვნული ომი საქართველოსთან აეცილებინა თავიდან ყოველი საშუალებით და საქართველო დეეპყრო „კლასობრივი ბრძოლის“ შინაგანი გადატრიალების მანევრით. წითელ რუსეთის ეს რჩეული შაბლონი და მისი მიზნები დაწვრილებით არის განხილული იუნკერთა ორგანო „მხედარის“ და „სან ფრანცისკოს ქართველთა კერის რვეულების“ ფურცლებზედ, ამიტომ ამის გარჩევას აქ არ შევუდგებით.

საზღვრებზედ წინააღმდეგობის შეხვედრის შემდეგ, რუსეთმა სცადა კომუნისტური გადატრიალების კომედიის გათამაშება თბილისში. ამ დროს შეიარაღებული ძალები ფრონტზე იყვნენ და თბილისში მხოლოდ სამხედრო სკოლა იმყოფებოდა.

პირველ მაისის ღამეს სამხედრო სკოლის შენობაში შევიდა რამდენიმე პიროვნება. როგორც შემდეგში გამოძიებამ გამოარკვია, ეს პირნი მოტყუებით იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სამხედ-

რო სკოლა როგორც მთელი ერთეული, „გაწითლებულია“ და მოქმედებისათვის მხოლოდ წითელ ხელმძღვანელებს ელის.

რასაკვირველია, ესეთი მოქმედება შუაღამისას, დაძინებულ ერთეულისთვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. ასტყდა მოკლე სროლა. რამოდენიმე შემოსული აგენტი იქვე იქნა მოკლული და დანარჩენი დატუსაღებული. ამ შეტაკებამ იმსხვერპლა იუნკერი მაყაშვილი და დაიჭრა იუნკერი კიკიანი. ეს იყო პირველი სისხლი გაღებული სამხედრო სკოლის მიერ სამშობლოს სამსხვერპლოდ.

ეს ეპიზოდი კიდევ მისთვისაა საინტერესო, რომ ეს მანევრი ძალიან მოსწონდათ წითელ დამპყრობლებს. რამოდენიმე წლის შემდეგ ეს მანევრი რუსეთმა გაიმეორა ესტონიაში და ამ მანევრის შედეგების მოლოდინში წითელი ფლოტი გამოჩნდა ქალაქ ტალინის წინ. იქაც ესეთივე მარცხით დამთავრდა რუსეთის სურვილი შინაგან გადატრიალების კომედიის გათამაშებისა.

აწერილ მოვლენის შემდეგ სამხედრო სკოლა განწესებულ იქნა ფრონტზედ, როგორც სამხედრო ერთეული. იგი მივლინებულ იქმნა ბორჩალოს რაიონში მოქმედ იმ დამრტყმელი ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც სამხრეთიდან უვლიდა რუსეთში იმ ძალებს, რომელნიც ამიერკავკასიის რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ მიიწევდა თბილისისაკენ. ამ მანევრის განხორციელების პროცესში მოსკოვმა მოულოდნელად შესთავზა საქართველოს ზავი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დღეებში პოლონურ-უკრაინულმა ჯარმა დაიპყრო კიევი და რუსეთი ამ ფრონტზედ დიდ მარცხს განიცდიდა.

ამით დამთავრდა სამხედრო სკოლის პირველი სამოსწავლო წელი. სწავლის თეორიული ნაწილი შესრულებულ იქნა გეგმის სრული სიზუსტით, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა გატარებულ იქნა, როგორც საველე ლაშქრობა წარმოებულ ნამდვილ ომში. ამ დროს სამხედრო სკოლა უკვე მთელ საქართველოს ფავორიტ ერთეულს წარმოადგენდა, რასაც თბილისი გულწრფელად უსვავდა ხაზს ყოველ სამხედრო ზეიმის დროს.

1920 წლის სექტემბერში მიღებულ იქმნა ახალი უმცროსი კლასი იუნკრებისა. უფროსი კურსი დანაწილებულ იქნა ზემოთ აღნიშნულ სპეციალურ დარგებზედ.

ნაცვალთა კურსი დამთავრებულ იქმნა სრულიად და ნაცვლები განწესებული იქმნენ ჯარის სათანადო ერთეულებში. თანახმად სკოლის გეგმისა, ნაცვლების განყოფილება სკოლაში და-

ხურულ იქმნა საერთო სამხედრო ბეგარის რეკრუტების გაწვევამდის. რეკრუტების გაწვევა, პოლიტიკური თვალსაზრისით, რამდენჯერმე იქმნა გადადებული და ბოლოს გაწვეულ იქმნენ თებერვალში. ამის გამო, ნაცვალთა სასწავლებელში მხოლოდ 1921 წლის 13-14 თებერვალს დაიწყო ახალწვეულთა მოსვლა, ე.ი. ომის დაწყებიდან მესამე-მეოთხე დღეს. (ომი დაიწყო 11 თებერვლის ღამე თავდასხმით).

პირველ მარცხების შემდეგ, 16 თებერვალს მთავარსარდლად დანიშნულ იქმნა გენერალი გიორგი კვინიტაძე, რამაც სამხედრო წრეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მისი პირველი ბრძანებათაგანი იყო სამხედრო სკოლის ფრონტზედ განწესება, როგორც მთლიანი ერთეულისა. 17 თებერვალს დილით სამხედრო სკოლა გავიდა ბრძოლის ველზედ თბილისის ფრონტზედ, მარჯვენა ფრთის ტაბახმელას ნაკვეთის დასაკავებლად. ამ დროს სკოლის შემადგენლობაში გაწვრთნილი მხოლოდ იუნკერთა ნაწილი იყო თავის ყველა დარგების განყოფილებებში. რაც შეეხება ნაცვალთა ნაწილს, იგი შედგებოდა მხოლოდ სულ ორი-სამი დღის წინ გამოცხადებულ ახალწვეულთაგან. სკოლამ ძლივს მოასწრო, რომ ყოველ მათგანს ეთხელ მაინც გეესროლა თოფი. ბევრისთვის ეს პირველი თოფის გასროლა იყო მის სიცოცხლეში. მიუხედავად ამისა, ეს სრულიად გაუწვრთნელი ერთეული, ბრძოლის ველზედ მაგრად იდგა იუნკერთა ასეულის გვერდში.

ფრონტზედ გამგზავრებისას სამხედრო სკოლას უნდა გეეარა თბილისის მთავარ ქუჩაზედ. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა თბილისი ამ დღეს. ხალხი ენთუზიაზმით იყო აღფრთოვანებული და მძლავრი ყიჟინით ეგებებოდა სკოლას. ოლღის ქუჩაზედ ხალხის მჭიდრო მასსა გამოარღვია ყველასათვის ძვირფასმა და პატივცემულ ჩვენ მასწავლებელმა, მოხუც პროფესორ ვ. ბარნოვმა; გადმოდგა შუა ქუჩაზედ და მოხდილი ქუდით გვესალმებოდა. ხალხის ყიჟინაში ვერ გვესმოდა რას ამბობდა, მაგრამ თვალებიდან ცრემლი უხვად ზდიოდა.

ხალხის აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როდესაც სკოლა პარლამენტის შენობას დაუახლოვდა. მუსიკის ხმაზედ პარლამენტის აივანი ხალხით აივსო. საერთო გრგვინვიდან ისმოდა მხოლოდ გაუმარჯოს და ვაშას ძახილი. წყობილებაში შემოდიოდნენ უცნობი პირნი. უბეებში და ჯიბეებში თუთუნს და სხვა რამეებს გვიდებდნენ. ხელს გვართმევდნენ, თანაც ცრემლებს მალავდნენ და სახეს გვარიდებდნენ.

დაბადებული ვარ თბილისში და აღზრდილი ძველი თბილისის ტრადიციებზედ, მაგრამ არ მეგონა, რომ თბილისს ესე ფაქიზად ჰქონდა შენახული ძველი ქართული სული და ესე მძლავრათა სძგერდა მისი ქართული გული. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ქვეყანა ვნახე ომის ფსიხოზით ანთებული პატრიოტულ გრძნობებით გატაცებული, მაგრამ ბრძოლის ველზედ მდგომ თბილისის 1921 წლის 17 თებერვლის სურათის მაგვარი ვეღარ ვიხილე ვერსად.

სამხედრო სკოლამ გაუხვია სოლოლაკისკენ და მიმართულება აიღო ნარიყალის ძველ ციხის კედლებისაკენ. მიდიოდა თბილისის საფარზედ საბრძოლველად, მიდიოდა საქართველოს დიდების ტრადიციული გზით, მიდიოდა გზით, რომლითაც გაუვლია ქართველს მხედრობის არა ერთ და ორ თაობას, სამშობლოს ბედნიერების თუ უბედობის, ბრძოლის ველზედ პირისპირ დასახვედრად.

თბილისის ფრონტზედ ბრძოლა დაიწყო 18 თებერვალს ღამე.

ჩვენს მარცხნივ, შავნაბადას ქვეით, ბრძოლა სწარმოებს. მოწინააღმდეგე დარწმუნებული, რომ თბილისს უბრძოლველად დაიკავებს, მიიწევს პირდაპირ თბილისზედ და აქ ფრონტის ცენტრში წააწყდა ქართულ ერთეულებს. ბრძოლა დაიწყო სოღანლუღის ნაკვეთზედ. ისმის არტილერიის და ქვეითთა ჯარის მძლავრი ცეცხლის ხმა. ეს მეფე ერეკლეს კრწანისის ველი ახალად ბრგვინავს ბრძოლის ქარცეცხლით და იქნებ იქვე მისი აჩრდილი დაჰქრის ამ ბრძოლის ცეცხლის ლანდებთან თავის ერთგულ თუშ-ხევსურებით.

მეორე დღეს (19 თებერვალს) მოწინააღმდეგემ დაიწყო თბილისის ფრონტის მარჯვენა ფრთის ძებნა. სამხედრო სკოლა გაშლილია ტაბახმელის სიმაღლეებზედ და ზევიდან დასცქერის მარაბდის ბრძოლის ველს. მოწინააღმდეგე გამოჩნდა დილითვე და უკვე საბრძოლველად გაშლილი დაიძრა შეტევაზედ.

ცეცხლი პირველმა მიიღო იუნკერთა ასეულის მესამე მწყობრმა. მალე აღმოჩნდნენ ცეცხლის ქვეშ მეოთხე და პირველი მწყობრიც. მარჯვნივ, რეკრუტების ერთ ასეულს, მტრის არტილერიამ ხშირი ცეცხლი დაუშინა. ეს ადვილი გასაგებია: არ აქვთ საველე გაწვრთნა, მოძრაობენ, არ იფარებიან და მტერმა ყველაზედ ადრე ისინი შენიშნა, მაგრამ ორი დღის რეკრუტები კარგადა სდგანან ცეცხლის ქვეშ.

იუნკერთა ასეულის მეორე მწყობრი ჯერ ცეცხლში არ შესულა, უკან ზდგას მაშველში და ეს იუნკრებს რაღაც უხერხულობის გრძნობას უქმნის. აქ, მეორე მწყობრის წინ, როდესაც იგი პატაკს ახსენებდა გენერალ ჩხეიძეს, უცბათ გადაკვეთა შორეულ ტყვიამ იუნკერთა ასეულის უფროსი, მაიორი ა. ანანიაშვილი. იგი უსულოდ დაეცა გენ. ჩხეიძის ცხენის წინ. ეს იყო იუნკერთა ასეულის პირველი სისხლი და პირველი მსხვერპლი ომში.

მტერი თავის ხაზს ფართოთა შლის და ეძებს ჩვენ მარჯვენა ფრთას. ამისთვის ბევრი დრო არ დასჭირდა. კოჯორის მიმართულება და ქოროღლის მთის კალთები, რომელნიც ზევიდან დასცქერიან ჩვენს ზურგს მამა დავითის გორამდის, სულ ცარიელია. მტერმა მალე მიაგნო ამ სივრცეს და მის ერთმა ათასეულმა დაიწყო ასვლა ამ მთაზედ. თბილისი ამ მხრიდამ სრულიად ღია და დაუფარავია. ფერდობის ერთადერთ თავისუფალ ნაწილად მხოლოდ იუნკერთა ასეულის მეორე მწყობრი აღმოჩნდა. თბილისის ბედი ამ ბეწვზედ დეეყრდნო.

დაახლოვებით შუადღის წინა საათებში აქ იქმნა გაგზავნილი მეორე მწყობრი. უნდა გაუძლოს მტრის უპირატესობას თბილისიდან მაშველის მოსვლამდე. მას დაუმატეს საინჟენერო დარგის იუნკერთა ჯგუფი (10 კაცი) კაპიტან თოიძის მეთაურობით და იგი გადავიდა შეტევაზედ. ეხმარება მას ჩვენი არტილერიის სუსტი ცეცხლი. ბრძოლა გრძელდება საღამომდის. მტერი ვერ ჰბედავს მთის კალთებიდან დაბლა დაშვებას. საღამოთი ბრძოლის ველს აღწევენ ბათომის გვარდიის ათასეული და მეოთხე ათასეულის ნახევარი ასეული.

19 თებერვალს თბილისი გადარჩენილ იქნა.

იუნკერთა ასეულის მეორე მწყობრი გათავდა, როგორც საბრძოლო ერთეული.

20-21 თებერვალს მტერი განუწყვეტლივ უტევს ტაბახმელის ნაკვეთს. იერიშები და კონტრიერიშები. ყოველი მეზობელი ნაწილი თხოულობს იუნკრების დახმარებას. იუნკრები პატარ-პატარა პატრულების სახით მიდიან მეზობელ ნაწილებში დროებით გამოსაჩენად, რაც ამ ნაწილებში აღფრთოვანებას იწვევს. 21-ში მარჯვენა ფრთა გადადის საერთო შეტევაზედ. მტერი უკუგდებულია და 22-23-ში ფრონტზედ სრული სიწყნარეა. ძალების ნაკლულოვნობის გამო სარდლობას არ ძალუძს ამ გამარჯვების გამოყენება: აღარა აქვს ძალები, რომ ზდევნოს დამარცხებული მოწინააღმდეგე.

24 თებერვალს მოსულიერებული მტერი ახლად იწყებს შეტევას. იუნკერთა ასეული წარმოადგენს ძალიან სუსტ ერთეულს, თავის შემადგენლობის თითქმის ერთ მესამედს. დილით ასეულს გამოუცხადეს, რომ დასასვენებლად გადავა ღრმა მაშველში. თითქმის ჯერ კიდევ ამ განცხადების დროს, გაცხოველდა არტილერიის ცეცხლი. უკვე ქვეითთა ჯარის ცეცხლმა დაიწყო ჩქარი დაახლოვება და მახლობელ სერზედ გამოჩნდა მტრის ხშირი ჯარი. როგორც შემდეგში გამოირკვა, ეს იყო ახლად მოყვანილ წითელ ოფიცერთა სკოლის, კურსანტების სკოლის შემოტევა.

მტრის ჯარი მოიწევს წინ და ეშვება ქვეით, ჩვენ ბატარეის სადგომისაკენ. არ არის არავითარი დრო ფიქრისათვის. იუნკერთა ნაწილი ავტომატიურად გადადის კონტრიერიშზედ. ორი სამხედრო სკოლის შეხვედრა ხდება ბატარეის სადგომზედ. მოკლე, მაგრამ მწვავე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე უკუგდებულია. კიდევ რამოდენიმე იერიში და კონტრიერიში. ნაშუადღევს მდგომარეობა აღდგენილია მთელ ნაკვეთის სივრცეზედ – ქოროღლის მთიდან შავნაბადამდის.

ეს იყო სამხედრო სკოლის ყველაზე სასახელო ბრძოლა და აქ ხვდა მას ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღება.

მძიმედ და სევდიანად ღამდებოდა 24 თებერვალი. იუნკერთა ასეული, როგორც ერთეული, თითქმის უკვე აღარ არსებობდა. ბრძოლის მსვლელობაში იუნკერთა ერთი ჯგუფი (17 კაცი) ნაკვეთის მარცხენა მხარეს მოჰყვა. ჩვენს მარცხნივ, შავნაბადის მთაზედ ერთი ათასეული იბრძვის, იბრძვის კარგად. კარგად იკავებს კავშირს ჩვენთან.

ღამდება. ვაზნები გვაკლდება. საღამოს ბურუსი სევდიანად გვევლება თავზედ. განმარტოვების ცივი გრძნობა მძიმედ აწვება გულს, ამ მდგომარეობაში მოულოდნელად მოდიან სამხედრო სკოლის ოფიცრები, დღეს განსვენებული კაპიტანი დ. მაჭავარიანი და კაპიტანი ა. ალავიძე. ესენი არ არიან იუნკერთა ასეულის ოფიცრები. ჩვენი ოფიცრებიდან ორი დაიღუპა ბრძოლის ველზედ და დანარჩენნი ჭრილობების გამო წყობილებიდან იქმნენ გამოყვანილი. ორთავე საუცხოვო ოფიცრები არიან. კაპ. მაჭავარიანმა თითონ გამოიტანა ცეცხლის ხაზიდან დაჭრილი იუნკერი ხ., რომელსაც სხვები ვერ უახლოვდებოდნენ და პირველ მოსვლისთანავე მოიპოვა იუნკრების განსაკუთრებული განწყობილება. ამათ მოსვლით ჩვენი სულიერი სიმარტოვის გრძნობა ჰქრება და ჩვენი განწყობილება მაღლა იწევს.

ღამეა. მარცხნიდან კავშირი შესწყდა. მარჯვნიდან დიდი ხანია კავშირი არ არსებობს, ზურგიდან არავითარი ცნობა.

შუაღამეს გადასცდა. თოვლში რო წვები, თხელი იტალიური მაზარის ქვეშ თოვლი დნება, მერე რო დგები მაზარა იყინება და ფიცარისეებრ მაგრდება. ყველანი ვდგევართ, ვმოძრაობთ რო გავთბეთ. სროლა დიდი ხანია შესწყდა, ალბათ დასუსტებული მტერი გადაჯგუფებას აწარმოვებს.

კაპ. მაჭავარიანი გზავნის ზურგში შიკრიკებს. შიკრიკები დიდი ხნის შემდეგ ბრუნდებიან მძიმე ცნობით: „ყველაფერი დატოვებულია, ზურგში აღარავინ აღარ არის, ჩვენ დავავიწყდით.“ხანგრძლივი რყევის შემდეგ კაპ. მაჭავარიანი და ალავიძე გვაძლევენ უკან დახევის ბრძანებას.

თბილისი გავიარეთ გათენებისას, როგორც უკანასკნელ ქართულმა ნაწილმა. თბილისის ბრძოლა გათავდა. სამხედრო სკოლამ თავისი მოვალეობა შეასრულა უკანასკნელ წუთამდე. წინ ჯერ კიდევ სხვა ბრძოლებია.

25 თებერვალს მტერმა ვერ გაბედა ბრძოლის განახლება და თბილისში არ შევიდა, სანამ თბილისიდანვე არ აცნობეს მას თავის აგენტებმა, რომ ქალაქი დატოვებულია.

დღეს მოწინააღმდეგე აცხადებს, რომ საქართველო-რუსეთის ომს არ ჰქონია ალაგი და საქართველოში მოხდა შინაგანი გადატრიალება. უკვე სასიკვდილოდ დაკოდილი მოსკოვის იმპერია წყალწაღებულისეებრ ეჭიდება ამ იურიდიულ უფლების აჩრდილს. წითელ რუსეთმა ვერ მოახერხა შინაგანი გადატრიალების მოხდენა ვერც ერთი დაპყრობილი ერის წიაღში. გადატრიალება მოხდა მხოლოდ აზერბაიჯანში და ისიც მოახდინა არა წითელ რუსეთმა, არამედ სხვა მესამე სახელმწიფომ.

რუსეთის ხელმეორე ბატონობა, წითელ წყობილების სახით, მოახვიეს ყოველ დაპყრობილ ერს, მხოლოდ და მხოლოდ რუს ჯარისკაცების ხიშტებით და ამის აღიარება დღესაც აშინებს რუსეთს.

იუნკერი“.[6]

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არჩილ ჩაჩხიანი. ქართველი იუნკრები – ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო დოკუმენ-

ტებში, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №2 (13), 2013.
2. ალექსანდრე ჩხეიძე. „სამხედრო სკოლა.“ჟურნალი „მხედარი.“№13. პარიზი. 1933.
3. ალექსანდრე ჩხეიძე. მოგონებები სამხედრო სკოლის გახსნის 15 წლის თავზედ. ჟურნალი „მხედარი.“№17. პარიზი. 1934.
4. ალექსანდრე ჩხეიძე. ჩემი მოგონებების დასასრული. ჟურნალი „მხედარი“, №17, პარიზი, 1934.
5. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921, ნაწილი II, „ლომისი“, თბილისი, 1998.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15, ფურცელი (19-26).

Archil Chachkhiani

Doctor of History, Colonel, Senior Instructor on the Course of the War History and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

An Unknown Memoir about the Georgian Officer-cadets (Junkers)

Summary

In this article we represent the memoir of an unknown author, apparently the cadet of the Georgian Military School, published in Paris in 1971, devoted to the 50th anniversary of the Russian-Georgian war of 1921. It briefly describes the history of establishing the Georgian Military School, its learning processes and what is especially significant – the peripetias of the Kojori-Tabakhmela Battle in 1921.

The represented memoir is small but it is an important detail in studying the history of the Georgian officer-cadets' way of life, their studying, and their heroic struggle.

მერაბ კალანდაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

პროფესორი კოტე ანთაძე და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს პროფ. კ. ანთაძის წვლილი დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში.

წყაროების მიგნებას და მათ დამუშავებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს. წყაროების გარეშე ისტორიკოსი ნაბიჯსაც ვერ გადადგავს, რადგან ფაქტების და მოვლენების დადგენა მას შეუძლია მხოლოდ ისტორიული წყაროების საშუალებით. ახალი ისტორიის მკვლევარს უნდა ძალუძდეს უამრავი მასალიდან არსებითის, მთავარის დანახვა. მან კეთილსინდისიერად უნდა შეისწავლოს წყარო, რაც მას ისტორიული პროცესის მეცნიერული შესწავლის საშუალებას მისცემს.

* * *

საქართველოში დასავლეთ ევროპის ახლი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში თავისი სიტყვა თქვა პროფ. კ. ანთაძემ. მან ყურადღება მიაპყრო ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებს.ის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში და დაამუშავა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის საკითხები. ის, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, გაკვრით კი არ შეეხო საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობას, არამედ ამ თემატიკას საგანგებო შრომები მიუძღვნა. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯია.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს. მის ერთ-ერთ მთავარ პლუსად საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა მიგვაჩნია. ქართველი ისტორიკოსები ყურადღებას მიაპყრობდნენ არა მარტო საფრანგე-

თის დიდი რევოლუციის ისტორიას, არამედ რევოლუციის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხებს. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ამგვარი შედეგი, ვფიქრობთ, ურიგო არ უნდა იყოს.

ამ დაინტერესების პირველმა სიმპტომმა თავი იჩინა ჯერ კიდევ მისი მეცნიერული საქმიანობის გარიჟრაჟზე, დასაწყისში, კონკრეტულად კი – ასპირანტურაში სწავლის პერიოდში. ამ თვალსაზრისით ყურადრებას იპყრობს მის მიერ წაკითხული მოხსენება ასპირანტთა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენციაზე 1954 წლის აპრილში. „ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ“ [1], რომელიც თეზისების სახით დაიბეჭდა. მისი მეცნიერხელმძღვანელი პროფ. ალ. ნამორაძე იყო. ნაშრომი წყაროთმცოდნეობით ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა განეხილა სანტერისა და მუასონის ცნობები 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შესახებ. ფაქტობრივად, ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაციის ერთი ფრაგმენტი.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული მათი მოგონებების მნიშვნელობა. ორივე უშუალო თვითმხილველია ამ მოვლენის: სანტერი იყო ქენზ-ვენის სექციის ბატალიონის მეთაური, მუასონი კი მარსელელ ფედერატთა ბატალიონს ედგა სათავეში. ორივე მოგვითხრობს იმაზე, რაც თავისი თვალით ნახა. „ორივე ეს დოკუმენტი ახლებურად აშუქებს სხვა წყაროებში გაკვრით, არაპირდაპირ, არასწორად დახასიათებულ მოვლენებს და ფაქტებს“ [1, 24] ავტორს ანტუან სანტერის და ფრანსუა მუასონის მოგონებების მთავარ ღირსებად მიაჩნია ორი რამ: 1. მათ აქვთ მდიდარი და უტყუარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამეფო კარი და როიალისტური წრეები გულხელდაკრეფილი არ მჯდარან და ისინი გამალებით ემზადებოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. 2. მათ დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება სახალხო ხასიათს ატარებდა და დაწვრილებით აღწერეს ხალხის მოქმედება. [1, 24] ეს ორი წყარო კარგად ავსებს ერთმანეთს, რაც იმით გამოიხატება, რომ „სანტერი ზუსტად აღწერს სამეფო კარის აქტიურ მზადებას რევოლუციის ჩასახშობად. მუასონი კი თავის ჩვენებებში მთავარ ყურადღებას აქცევს იმ ინსინუაციებისა და ცილისწამებების აღწერას, რითიც მონარქისტებს სურდათ ფედერატ-რევოლუციონერებისათვის სახელი გაეტეხათ.“[1, 24] მუასონის მოგონების კიდევ ერთი პლუსი იმაში მდგომარეობს, რომ „მუა-

სონი დაწვრილებით მოგვითხრობს როალისტების იმ ხრიკებზე, რომელიც ფართო მასებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი.“[1, 24]. სანტერის მოგონებებში ხაზგასმულია 1792 წლის პარიზის რევოლუციური კომუნის წარმოქმნის ისტორია და მისი როლი გადატრიალების მომზადებისა და განხორციელების საქმეში. [1, 25.]. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს სანტერისა და მუასონის მოგონებებს, როგორც ისტორიულ წყაროს და დასძენს, რომ „ისინი შუქს ფენენ 10 აგვისტოს რევოლუციის საკვანძო მომენტებს“ [1, 25.]

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში კ. ანთაძის პირველი ნაბიჯი წარმატებული გამოდგა. აქ კარგად გამომჟღავნდა მისი, როგორც ისტორიკოსის ერთი თვისება: ეს ფრანგული ენის ცოდნა იყო. ეს ახალგაზრდა ისტორიკოსის დიდი პლუსია. ამის გარეშე ამ ორი საინტერესო წყაროს გარჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა. ის არ შემოიფარგლება მათი შეხედულებების გადმოცემით და ცდილობს გაანალიზოს ის და გამოიტანოს სათანადო დასკვნები. ამგვარი მიდგომა საინტერესოა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი მოხსენების ღირებულებას.

ამავე დროს უნდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც, ეტყობა, ავტორს და მის მეცნიერ ხელმძღვანელს წვრილმანად მიუჩნევია და სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. ა. ავტორი ხან 10 აგვისტოს გადატრიალებაზე საუბრობს, ხან კიდევ 10 აგვისტოს რევოლუციაზე. უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები. მან მკაფიოდ უნდა გაარკვიოს თავისი პოზიცია – 10 აგვისტოს ამბები რევოლუცია იყო თუ გადატრიალება. ერთ რომელიმე ფორმულირებაზე უნდა შეჩერდეს. ჩვენი აზრით, ეს პრინციპული საკითხია და წვრილმანად ვერ მივიჩნევთ. სხვათა შორის, ეს მერყეობა ძალიან კარგად ჩანს ნაშრომის სათაურში. „ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10აგვისტოს შესახებ“ აქ იგი თავს არიდებს 1792 წლის 10 აგვისტოს მოვლენების კვალიფიკაციას. არ ჩანს თუ რატომ იყო ის ღირსშესანიშნავი მოვლენა. ორივე ტერმინის გამოყენება, ან არცერთის გამოსავალი არ გახლავთ. ბ. ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა მომხსენებელს მოკლედ, სულ ერთ თეზისში დაეხასიათებინათ მოგონებები, როგორც ისტორიული წყარო. ეტყობა, ეს თემა მათ მხედველობიდან გამორჩათ, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. გ. ეს ორი დოკუმენტი იმ კუთხითაცაა ყურადსაღები, რომ აბათილებს მონარქისტულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გავრცელებულ მოსაზრებას,

თითქოსდა მეფე და სამეფო კარი რევოლუციის უმანკო მსხვერპლს წარმოადგენდნენ. სინამდვილე გაცილები უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია, ვფიქრობთ, ამ საკითხის წინ წამოწევა ურიგო არ იქნებოდა. თემა არის საინტერესო და აქტუალური.

მეორე ნაშრომი, რომელიც პროფ. კოტე ანთაძეს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში აქვს დაწერილი, ასევე საფრანგეთის დიდ რევოლუციას შეეხება და პირველის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. „ისტორიული წყაროები საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიებების წანამძღვრების შესახებ“ [2]. თუ პირველი ნაშრომი დაწერილია ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსის მიერ, მეორე უკვე მოწიფული ისტორიკოსის კალამს ეკუთვნის. ორივე ეს ნაშრომი, ფაქტობრივად, მისი საკანდიდატო დისერტაციის ერთ მონაკვეთს წარმოადგენს. პირველი თემა მეორე ნაშრომში უფრო გაშლილი სახითაა წარმოჩენილი. როგორც სათაურიდან ჩანს, აქ ავტორი ცდილობს განიხილოს საინტერესო საკითხი: როგორ არის გაშუქებული ისტორიულ წყაროებში საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის წარმოშობის წანამძღვრები. ამ ორივე ნაშრომში კ. ანთაძე ამჟღავნებს წყაროების საფუძვლიან ცოდნას, რაც მისი საკანდიდატო დისერტაციის „1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია საფრანგეთში“ [3] წარმატების ერთ-ერთ საიმედო გარანტიად გვევლინება.

პროფ. კ. ანთაძის ნაშრომი „ისტორიული წყაროები საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების წანამძღვრების შესახებ“ მიზნად ისახავს 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე გამოქვეყნებულ ისტორიული წყაროების კომპლექსურ მიმოხილვას. ავტორის შეხედულებით, იგი შედგება ორი ჯგუფისაგან: ოფიციალური ხასიათის წყაროები და მემუარულ-პუბლიცისტური ნაწერები. პირველ ჯგუფს განეკუთვნება საკანონმდებლო კრების, სექციების, პარიზის ძველი და ახალი კომუნის ოქმები და ოფიციოზი „მონიტიორი.“მეორე ჯგუფს, მისი აზრით, შეადგენს მემუარულ-პუბლიცისტური ლიტერატურა, რომელიც 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე უაღრესად მრავალფეროვანი და მდიდარია [2, 285]. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში განხილულია ოფიციალური ხასიათის წყაროები [2, 285-288], მეორეში მემუარულ-ჟურნალისტური მასალები [2, 288-306].

საკანონმდებლო კრების ოქმები დაბეჭდილია „მონიტიორში“, „საპარლამენტო არქივის“ 47 და 48 ტომებში და ფილიპ ბუშეს და პოლ რუს „საპარლამენტო ისტორიის“ მეთექვსმეტე და მეჩვიდ-

მეტე ტომებში. ავტორის აზრით, ყველაზე უფრო სანდო წყარო უნდა იყოს „საპარლამენტო არქივი“, სადაც საკანონმდებლო კრების ოქმები ყველაზე ვრცლადაა გადმოცემული. ფ. ბუშეს და პ.რუს „საპარლამენტო ისტორიაში“ თავმოყრილი მასალა უფრო კონსპექტური ხასიათისაა და არსებით მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას. „მონიტიორში“ მოთავსებული ანგარიშები, ავტორის თვალსაზრისით, უფრო შეკუმშულია და ხშირად მათში საქმის ნამდვილი ვითარება დამახინჯებულია. 10 აგვისტოს მოვლენები შედარებით მოკლედაა გადმოცემული. უფრო ვრცლადაა გაშუქებული ის, რაც ხდებოდა ტიულირის სასახლეში გადატრიალების მერე [2, 285-286].

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პარიზის ძველი და ახალი კომუნის ოქმები, მაგრამ ისინი გარკვეული ხარვეზების შემცველია. ძველი კომუნის ოქმები იმ მიზნით, რომ ახალი კომუნის ხელში არ აღმოჩენილიყო კომპრომატი ძველი კომუნის წევრების არაპატრიოტული და ანტიხალხური საქმიანობის შესახებ, განადგურებული იქნა, ხოლო პარიზის ახალი კომუნის ოქმების დედანი 1871 წლის ხანძარმა შთანთქა და გაანადგურა, მაგრამ მანამ ეს მოხდებოდა, ოქმები რამდენჯერმე იქნა გამოქვეყნებული. ამავე დროს ამ ოქმებს იყენებდნენ ის ისტორიკოსები – მორტიმე-ტერნო, ამელი, რომელმაც მოასწრეს ამ დოკუმენტების დამუშავება პარიზის კომუნამდე [2, 286-287].

1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შესწავლისთვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს პარიზი სექციის ოქმები. ეს ოქმები თითქმის მთლიანად იყო შენახული, მაგრამ 1871 წელს პარიზის პრეფექტურის შენობაში ხანძრის დროს ეს ოქმები განადგურდა. ეს ძვირფასი პირველი წყარო დაკარგული აღმოჩნდა მკვლევართათვის. ამ ოქმების ფრაგმენტებს ვაწყდებით მორტიმე-ტერნოს, ბუშეს და რუს ნაშრომებში. ამ გზით ხერხდება მეტ-ნაკლები სიზუსტით აღვადგინოთ შემდეგი სექციების ოქმები: ტიულირის, ფოსტის, სენ-ლუის კუნძულის, პუასონიერის, მოკონსეის, ფონტენ-დე-გრენელის, გობელენებისა და კენზ-ვენის [2, 286-287].

წყაროების მეორე კატეგორიას, მემუარულ და ჟურნალისტიკურ მასალას, ავტორი ოთხ ჯგუფად ყოფს და მის კრიტერიუმად იღებს მათი ავტორების პოლიტიკურ შეხედულებებს: რევოლუციურ-დემოკრატიული (იაკობინთა), ჟირონდისტების, ფეიანების და როიალისტების თხზულებები. [2, 288]. ის დეტალურად არ-

ჩევს მათი შეხედულებების ავკარგიანობას. მემარჯვენე-კონსერვატიული ბანაკის უპირატესობა, ავტორის აზრით, მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ 1871 წლის ხანძრის შედეგად განადგურდა მთელი დოკუმენტები, მათ შორის რევოლუციონერების მემუარები [2, 308].

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომს ეტყობა იმ დროის კვალი. საკითხისადმი იაკობინო-ცენტრისტული მიდგომა, სწორედ ამის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია იაკობინოცენტრისტული იყო. საბჭოთა, მარქსისტული იდეოლოგიის, დიქტატის პირობებში ეს კონცეფცია ძალად მოახვიეს თავს ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელსაც მის წინაღმდეგ ხმის ამოღების არავითარი საშუალება არ გააჩნდა. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს იაკობინების, სახელდობრ – რობესპიერის ნააზრევის მაღალი შეფასება [2, 293-294].

ამრიგად, ეს ორი ნაშრომი საინტერესოა და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ დაამუშავა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის საკითხები.ფაქტობრივად პროფ. კოტე ანთაძემ საძირკველი ჩაუყარა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის დამუშავებას. ამ სფეროში მისი ერთ-ერთი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში მდგომარეობდა. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ხაზი ვეღარ განვითარდა.

* * *

რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებით პროფ. კოტე ანთაძის დაინტერესება ამით არ მთავრდება. მან კიდევ არაერთი კარგი საქმე გააკეთა, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

დავიწყოთ იქიდან, რომ პროფ. კ. ანთაძე წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო კურსი. მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი ისტორიის ახალგაზრდა სპეციალისტთა, ისტორიკოს-სტუდენტთა პროფესიული დაოსტატების საქმეში.

მას საკმაოდ გულდასმით ჰქონდა დამუშავებული სალექციო კურსი და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთ-

მცოდნეობის საკითხებში საკმაო ჩახდულობას ამჟღავნებდა. მას თითოეული თემა, ლექცია, საფუძვლიანად ჰქონდა დამუშავებული. ის ცდილობდა შეძლებისდაგვარად გაეთვალისწინებინა ამ დარგში მისი თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფიის სიახლეები და ითვალისწინებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებს. ეს საშუალებას აძლევდა მას კურსი მეტად მაღალ დონეზე წარემართა. ფაქტობრივად, თითოეული ლექცია წარმოადგენდა საინტერესო წყაროთმცოდნეობით ნარკვევს, რომელიც საფუძვლიანი ანალიზით და საკვლევო ლიტერატურის ღრმა ცოდნით იყო გაჯერებული.

ის წამოჭრის და დაწვრილებით განიხილავს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის მთელ რიგ პრინციპულ საკითხებს. ის შეეხება ისტორიული წყაროების მეცნიერული კრიტიკის საერთო პრინციპებს. დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიული წყაროების ახალი სახეობების გამოვლინებას. უწინარესად, მას ასეთად ესახებოდა კინო-ფონო- ფოტო დოკუმენტები. ეს წყაროთმცოდნეობის სფეროში მართლაც მნიშვნელოვანი სიახლე იყო. განსაკუთრებით ღირებული გახლდათ ის უახლესი იტორიის შესწავლის დროს. სალექციო კურსში დიდი ყურადღება ექცეოდა ისტორიული წყაროების სახეობის გამოვლინებას და კ. ანთაძე თანამიმდევრობით ალაგებდა და განიხილავდა.

ფაქტობრივად, ეს საინტერესო სალექციო კურსი, რომლის კვალს მის პირად არქივში გადავაწყდით, წარმოადგენდა საინტერესო სახელმძღვანელოს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. ის სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ალბათ, სხვა პოლიტიკურ ვითარებაში ბ-ნ. კოტე მას გამოსცემდა როგორც სახელმძღვანელოს. ეს გაუადვილებდა სტუდენტებს ამ თეორიული საგნის შესწავლას. მას საკმაოდ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოს მნიშვნელობა. ეს მას საგნის შესწავლის წინაპირობად მიაჩნდა. ეს იყო სავსებით სწორი პოზიცია. დაეწერა ისე, როგორც მისგან ითხოვდნენ მას არ სურდა, ხოლო დაეწერა ისე, როგორც მას უნდოდა – ამის უფლებას, იცოდა, რომ არავინ მისცემდა. საფიქრელია, რომ სწორედ ამიტომ შეკიავა თავი მან სახელმძღვანელოს გამოცემისაგან [4].

პროფ. კოტე ანთაძის პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება მისი საინტერესო ნაშრომი „წყაროთმცოდნეობის სწავლების გამოცდილებიდან“, რომელიც ავტორიტეტულ ისტორიულ ჟურნალში „ნოვაია ი ნოვეიშაია ისტორია“ დაიბეჭდა [5, 133-134]. თავისთავად ასეთ სოლიდურ მეცნიერულ ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება საკმაოდ პრესიტიჟული გახლდათ და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში ქართული ისტორიოგრაფიის მოკრძალებული წვლილის მაშინდელი გადსახედიდან საკავშირო, ხოლო დღევანდელიდან – საერთაშორისო აღიარებად მიგვაჩნია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

როგორც ჩანს, 60-იანი წლების დასაწყისში ჟურნალ „ნოვაია ი ნოვეიშაია ისტორიის“ ფურცლებზე გაიშალა დისკუსია დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. მასში მონაწილეობა მიიღეს ამ დარგის ცნობილმა სპეციალისტებმა. მათ შორის იყო ქართველი ისტორიკოსი კოტე ანთაძე. თავის ნაშრომში ის ცდილობს განაზოგადოს ის გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში ამ საგნის სწავლის შედეგად დაუგროვდა. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად ჩანს ნაშრომის სათაურიდან – „წყაროთმცოდნეობის სწავლების გამოცდილებიდან.“

ნაშრომი დიდი არაა. ბ-ნ კოტე ძალიან კარგად ეხერხებოდა რთული მეცნიერული პრობლემების სადად, მარტივად, მოკლედ, ლაკონურად გადმოცემა. მისი თხრობის მანერა, სტილი, უბრალოა. ეს ამ თეორიული ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა.

წყაროთმცოდნეობის კურსს, რა თქმა უნდა, საფუძვლად უდევს ისტორიული წყაროების ანალიზი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიული წყაროების მეცნიერული კრიტიკის ზოგად პრინციპებს, ისტორიული წყაროების ახალი სახეობების გამოვლენას. პირველ რიგში, ასეთია კინო-ფონო-ფოტო დოკუმენტები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს უახლესი ისტორიის შესწავლის დროს. ის ჩამოთვლის ისტორიული წყაროების სახეობებს და მიუთითებს იმ თანამიმდევრობას, რომლის მიხედვითაც ისინი შეიძლება დავალაგოთ: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ურთიერთობათა დოკუმენტები, სტატისტიკურ-ეკონომიკური მასალა, საპარლამენტო დებატების ჩანაწერები, ადმინისტრაციული და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების დოკუმენტები. პოლიტიკური ლიტერატურა, პრესა, პროკლამაციები, მემუა-

რები, დღიურები, კერძო მიმოწერა, მხატვრული ლიტერატურა [5, 133].

ავტორს მიზანშეუწონლად ესახება, სალექციო კურსში ცალკე თემად იქნას გამოყოფილი სამხედრო-სასწავლო და სამხედრო-ოპერატიული დოკუმენტები. ეს იმითაა არგუმენტირებული, რომ ამ სახის მასალა სპეციფიურ ხასიათს ატარებს და საჭიროებს წყაროთმცოდნეობითი ანალიზის თავისებურ ხერხებს [5, 134].

წყაროების ძირითადი ჯგუფის განხილვას ის ასრულებს ფრიად საინტერესო და აქტუალური თემით: სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, როგორც იტორიული წყარო [5, 134].

და ბოლოს, უნდა დავძინოთ, რომ მას განსაკუთრებით მტკივნეულად მიაჩნია, რომ სტუდენტები არ ფლობენ ისე კარგად უცხო ენას, რაც ხელს უშლის უცხო ენაზე არსებული წყაროების გაცნობას და დამუშავებას [5, 134]

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესების ლოგიკური გაგრძელება იყო მისი ჩართულობა ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველ ნაწილში. მან, ნინო ნამორაძესთან ერთად, შეადგინა ერთი მოზრდილი მონაკვეთი: საფრანგეთი-1648-1789 წლებში [6, 77-132]. აქ იგი წყაროების პუბლიკაციითაა დაკავებული. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი თანამშრომლობა ნინო ნამორაძესთან. პირველ რიგში აქ კარგად მჟღავნდება მისი ადამიანური თვისებები და მან კიდევ ერთხელ მიაგო პატივი თავის მასწავლებელს, პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს.

პროფ. კოტე ანთაძის ინიციატივით ლალი ფირცხალავამ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაწერა სახელმძღვანელო "ისტორიული მეცნიერების შესავალი" [7]. ამ სახელმძღვანელოს რედაქტორი, ცხადია, პროფ. კოტე ანთაძე გახლდათ. ეს სახელმძღვანელო XX საუკუნის მუწურულის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და საინტერესოდ მოგვითხრობს დამხმარე ისტორიულ დისციპლინებზე. ამ სახელმძღვანელოს მონოგრაფიად მიჩნევა, როგორც ამას სატიტულო ფურცელზე ხაზს უსვამს პატივცემული ავტორი, ამბიციურად ჟღერს და პრეტენზიულად მიგვაჩნია. ეს ამ სფეროში პროფ. კოტე ანთაძის კიდევ ერთი დამსახურება იყო, არა როგორც მკვლევარი ისტორიკოსის, არამედ როგორც ისტორიული მეცნიერების ენერგიული ორგანიზატორის. კ. ანთაძის, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსის და მეცნიერების ორგანიზატორის საქმიანობა, ერთმანეთს არ უნდა მოვწყვი-

ტოთ და მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ამის გათვალისწინება ამ სფეროში მისი მოღვაწეობის უფრო ადეკვატურ სურათს გვიხატავს.

* * *

ამრიგად, პროფ. კ. ანთაძე ტრადიციულად სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას მიაპყრო ყურადღება და ეს თემა მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საუკეთესო გამოსავალი: უნდა აგერჩია უარესსა და ცუდს შორის. არჩევანი ამ უკანასკნელზე გაკეთდა. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამის გამო მისი მკაცრად განსჯა სწორი არ იქნებოდა და ამ კომპრომისის გარეშე დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის სფეროში მშობლიურ ენაზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რაც დღეს გაგვაჩნია. იმხანად ამ ხარვეზის სხვაგვარად შევსება წარმოუდგენელი გახლდათ.

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის საქმეში მან ორი კარგი საქმე გააკეთა: 1. მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საერთო საკითხების შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. 2. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ შეისწავლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის საკითხები. ეს შრომები სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. კ. ანთაძის ეს შრომები იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მას აღნიშნული პრობლემის ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. კ. ანთაძე საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის ერთერთი საუკეთესო სპეციალოსტი იყო.

პროფ. კ. ანთაძემ თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. მისი ამ შრომების მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დამსახურება იყო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კ. ანთაძე, ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ-ასპირანტთა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 1954.
2. კ. ანთაძე, ისტორიული წყაროები საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების წანამძღვრების შესახებ-თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 184 (ისტორიის სერია, თბილისი, 1977.
3. К. Антадзе, Революция 10 августа 1792 года во Франции, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1956.
4. პროფ. კ. ანთაძის პირადი არქივი.
5. К. Антадзе, из опыта препадавания источниковедения - „Новая и новеишая история", 2, 1963.
6. კ. ანთაძე, ნ. ნამორაძე, საფრანგეთი XVII საუკუნის შუა ხანებიდან დიდი რევოლუციის დაწყებამდე წიგნში. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი 1, თბილისი,1979.
7. ლ. ფირცხალავა, ისტორიული მეცნიერების შესავალი, თბილისი, 1994.

Merab Kalandadze

Doctor of History, Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor Kote Antadze and Issues of Source Study of the New History of the Western Europe

Summary

This piece of work aims at showing contribution of Prof. K. Antadze in studying and popularizing source study of the new history of the Western Europe.

He has devoted a number of interesting works to the issues of source study of the new history of the Western Europe. This is of course very little

in terms of quantity, but very high in terms of scientific quality. Quality is what counts, not quantity. The significance of these works was exactly this.

It can be said that he did two good deeds in the area of source study of new history of the Western Europe. He drew attention to issues of source study of the Great French Revolution, which had not been studied by Georgian historiography and over many years was reading a course of lectures about source study of new historyat the university. His little but meaningful work, „experience of source study" was an attempt to share this experience. Taking into account the Georgian historiography of that period, when there was almost nothing in this field, this work by K. Antadze was a step forward and substantially helped in filling in the gap existing in the Georgian historiography. This was one of his contributions to historical science.

ავთანდილ ღელაღუტაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ღვინის ისტორია — რეალობა და მითოლოგია

არ გაუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქებითა და დიდებით არ მოეხსენებინოს იგი. ეს განცვიფრება იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში. ვაზმა და ღვინომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი ერისათვის და მისი კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა.

სად უნდა ვეძიოთ ვაზისა და ღვინის სამშობლო?

ჩვენს მეზობლებს რკინისებრი არგუმენტი აქვთ: კულტურული მევენახეობა, ისტორია ღვინისა იწყება ბიბლიური პატრიარქის, ნოეს მიერ არარატის მთის კალთებზე გაშენებული ვენახისთანავე...

საისტორიო წყაროები, ძირითადად არქეოლოგიური, ვაზის სამშობლოდ საქართველოს წარმოაჩენენ.

ამიერკავკასია უძველესი სამშობლოა ვაზისა და ღვინისა. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც პირველად დაიწურა ყურძენი და დააყენეს ღვინო. კულტურული ვაზის წინაპარი ველური ვაზი ეკუთვნის ხვიარა მერქნიან მცენარეთა ოჯახს. იგი ერთ-ერთი უძველესი მცენარეა დედამიწაზე და მილიონობით წლებს ითვლის. ის დღესაც გვხვდება ტყეში, მდინარის ნაპირზე. საქართველოს კლიმატი ხელს უწყობდა ველური ვაზის განვითარებას. ქართული ტომები უძველესი დროიდან იცნობდნენ ველურ ვაზს და იყენებდნენ, როგორც ნაყოფს, ასევე მერქანს.

საქართველოში გავრცელებულია ველური ვაზის ჯიში — „ვიტის ვინიტერა“ – „ღვინის მომცემი“. მხოლოდ ამ ჯიშს აქვს გამოიმუშაოს ბევრი შაქარი თავის ნაყოფში და შესანიშნავი გემოს მქონე წვენი.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა კულტურული ვაზის უძველესი წიპწების უძველესი ნიმუშები, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოში მევენახეობა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ჩაისახა. საქართველოს ისტორიის მუზეუმში ინახება კულტურული ვაზის წიპწის

უნიკალური კოლექცია. ამ კოლექციის უძველესი ნიმუში ჩვ. წ - მდე VI ათასწლეულს განეკუთვნება და იგი ქვემო ქართლში, სოფ. შულავერში იქნა აღმოჩენილი ისტორიკოსებმა ამ გორა-ნამოსახლარებს შულავერ შომუ-თეფეს კულტურა უწოდეს. აქ გაკულტურებული ვაზის — „ვინის ვინისფერა სატოვას“ წიპწების გარდა ნაპოვნია კულტურული ხორბლის და პარკოსნების ნაშთი. სამეურნეო იარაღები და თიხის ჭურჭელი, რითაც მტკიცდება, რომ ნეოლოთის ხანაში აქ დასახლებული ადამიანი უკვე განვითარებულ სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის მევენახეობას და მემარცვლეობას ეწეოდა. რაც ნიშნავს, რომ ვაზის დომესტიკაცია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანმა კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდიდან დაიწყო.

ქართველი მეცნიერების აზრებს იზიარებენ უცხოელი მეცნიერებიც. პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოქიმიკოსი და და ღვინის ისტორიკოსი — პატრიკ მაკგოვერნი თავის წიგნში — „ძველი ღვინოები — ძველი ღვინოების წარმოშობის ძიება“ წერს: „არქეოლოგიური ნიმუშები, აღმოჩენები გვიჩვენებს, რომ ვაზის მოშენებას ადგილი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში — შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, გაკულტურებული ვაზი შემდეგ გავრცელდა იორდანიის ველზე, შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ირანში, ფინიკიაში, ბალკანთში, საბერძნეთში ვაზის საღვინე ჯიშებიდან უმეტესი საქართველოდანაა შემოსული.

შულავერ შომუ — თეფეს პერიოდის ფაქტებიდან ყველაზე დიდი ყურადღებას ხრამის დიდგორაზე ნაპოვნი ქვევრის ტიპის ჭურჭელი იწვევს, რომელსაც მეცნიერები ქვევრის წინაპრად მიიჩნევენ. იგი ამჟამად საქართველოს მუზეუმშია ექსპონირებული და მსოფლიოში უძველეს ღვინის ჭურჭლად ითვლება. ის ძველი წელთაღრიცხვით VI–V ათასწლეულებს მიეკუთვნება ანუ 8000 წლის წინანდელია. ზედაპირთან იგი შემკულია ყურძნის მტევნის სტილიზებული გამოსახულებით, რაც მიანიშნებს, რომ ჭურჭელი მევენახეობა-მეღვინეობას უკავშირდება.

თრიალეთის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია ჩვ. წ-მდე III ათასწლეულით დათარიღებული ვერცხლის ბუდეებში ჩასმული ვაზის პატარა ღეროები. როგორც ირკვევა, მას დაკრძალვის რიტუალის დროს იყენებდნენ და ატანდნენ საფლავში მიცვალებულს, რათა ის, იმ ქვეყანაშიც დამტკბარიყო ვაზის ხელახალი გახარებით.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას მრავლად არის აღმოჩენილი უძველესი მარნის ნაშთები, მიწაში ჩაყრილი ქვევრებით, რომლის ძირითადი დანიშნულება მასში ღვინის დაყენება და შენახვა იყო. საქართველოში ნაპოვნი უძველესი ქვევრები ადგილობრივი წარმოშობისაა და განსხვავდებიან სხვა ქვეყნებში ნაპოვნი მსგავსი ჭურჭლისაგან.

ჩვ. წ-მდე II ათასწლეულის შუა ხანებში ნაპოვნია ე. წ. თრიალეთის ოქროს თასი, რომელიც ოქრომჭედლობის შედევრადაა მიჩნეული. ამავე პერიოდს განეკუთვნება ვერცხლის საღვინე თასი, რომლის რელიეფურ ფრიზზე გამოსახულია რიტუალური პროცესია: ნიღბოსან ადამიანებს ხელში უჭირავთ წელში გამოყვანილი ღვინის სასმისები. ანალოგიური პერიოდისაა წელში გამოყვანილი თიხის თასი.

მეღვინეობის ინსტიტუტის მუზეუმში დაცულია ჩვ. წ-მდე II-I ათასწლეულების ვენახის დასამუშავებელი ბრინჯაოს იარაღები — ნამგლისებური დანა ვაზის სასხლავად. აქვეა სამთავროში აღმოჩენილი VII–VI საუკუნეების ბრინჯაოს ქამრის ფრაგმენტი, მასზე გამოსახულია ნადირობის სცენა და ორი ადამიანი, რომლებიც ღვინის სასმისებს ერთმანეთს უჭახუნებენ.

მევენახეობის დარგში ქართველი ერის შემოქმედების დიაპაზონი უნიკალურია, მსოფლიოში გავრცელებული 2000 ვაზის ჯიშიდან საქართველოში დადასტურებულია 521 ჯიში, რომლის უმრავლესობა ენდემურია და მხოლოდ საქართველოში გვხვდება. ვაზის ეს მრავალფეროვნება კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველო არის კულტურული ვაზის სამშობლო.

ძველად ვაზი საქართველოში აღწევდა საოცარ სიმსხოს და სიმაღლეს, რაც მისი დიდი ასაკის მაჩვენებელი იყო. ასეთი ვაზისგან ფიცრებსაც კი ამზადებდნენ. XI საუკუნის ოსინგალეს ეკლესიის კარები დამზადებულია ვაზის ერთიანი ფიცრისგან.

ვაზის წარმოშობის უძველესი ბიბლიური ცნობები დაკავშირებულია ბიბლიურ ნოესთან. მსოფლიო წარღვნის შემდგომ ნოეს კიდობანი მიადგა არარატის მთას. ნოემ დაიწყო მიწის დამუშავება, გაზარდა ვაზი, მისი ნაყოფის წვენი დალია და დათვრა (ეს ბიბლიური თქმულება გახდა დასაბამი ჩვენი სომეხი მეცნიერებისა, რომ ვაზის და ღვინის შემომქმედებად სომხები დაესახელებინათ).

აპოლონ როდოსელის „არგონავტიკაში“ მოთხრობილია მეფე აიეტის ოთხი მარადიული შადრევნის შესახებ: I — რძის, II — წყლის, III — სურნელოვანი ზეთის, IV — ღვინის.

ჰომეროსის ოდისეაში კოლხთა მეფის ასული ოდისევს სურნელოვანი ღვინით გაუმასპინძლდა.

ღვინო ძველი იბერიის მკვიდრთა საკულტო სასმელიც ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ მცხეთის უმთავრესი კერპის — არმაზის სადღესასწაულო ცერემონიალს რიტუალური სერობა გაასრულებდა: „შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა....“

საინტერესოა, რომ ცნობილი პოეტის და მეცნიერის ომარ ხაიამის ნაშრომში „ნავრუზ ნამეში“ გამოყენებულია ძველ ირანელთა მითი, თუ საიდან შემოვიდა ვაზი: ამ მითის მიხედვით უფლისწულ-

მა ბადაამმა სიკვდილს გადარჩინა ფასკუნჯი, რის გამოც მადლიერმა ფრინველმა ჩრდილოეთიდან ყურძნის წიპწები მიუტანა. ბადაამმა დათესა წიპწები, ამოვიდა ვაზი, მოისხა ყურძენი, დაწურეს, დადგა სასმელი, რომელიც ირანში აღიარეს სიტკბოების მომნიჭებელ წყაროდ. ცნობილია, რომ ირანისათვის ჩრდილოეთი კავკასიაა.

თუ გავაანალიზებთ ებრაულ და ირანულ წყაროებს, ანუ სემიტურ და ინდოევროპული სამყაროდან მომდინარეობს; სემიტური - კულტურული ვაზის სამშობლოდ გამორიცხავს სირია - პალესტინას, ხოლო ინდოევროპული - სპარსეთს. ორივე ვაზის კულტურის წარმოშობას სამხრეთ კავკასიას უკავშირებს და გამორიცხავს სემიტურისა და ინდოევროპული ჩამომავლობის მოსახლეობის პიონერობას მეურნეობის ამ დარგის წარმოშობის საკითხში.

საქართველოში ღვინის არსებობაზე წერილობითი ცნობები დაცულია ბერძნულ, სპარსულ და ქართულ წყაროებში. ქსენოფონტე (ძვ. წ. IV ს.) წერს, რომ კოლხების ღვინო „სურნელოვანი და საამო“ იყო. სტრაბონის (ძვ.წ. I ს.) ცნობით, იბერიაში ყურძენი ფართოდ გავრცელებული ყოფილა და ვაზის ისეთი მოსავალი მოდიოდა, მოსახლეობას მისი სრულიად მოხმარება არ შეეძლო. პროკოფი კესარიელი (VI) გვიამბობს: „მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყნებში გასაყიდად".

საქართველოში მეღვინეობის კიდევ ბევრი არქაული კვალია შემორჩენილი და ამ ნაკვალევთან ერთად, კიდევ ის ამყარებს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს პოზიციებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ვაზთან და ღვინოსთან ურთიერთობაში წყვეტა არ მომხდარა, განსხვავებით მცირე აზიისა თუ კავკასიის სხვა რეგიონებისაგან, სადაც საუკუნეების მანძილზე არ აწარმოებდნენ ღვინოს.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, როდესაც ღვინო მაცხოვრის სისხლს დაუკავშირდა, ვენახმა და ღვინომ საქართველოში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია წმ. ნინოს, რომელიც საქართველოს ვაზის ლერწებისგან შეკრული ჯვრით მოევლინა. ამ საფუძველზე დამყარებული ქვეყანა ცხადია მუდამ იქმნებოდა ღვინით უზრუნველყოფილი. მონასტრებში ყოველთვის დიდი რაოდენობით ღვინო დგებოდა და დღესაც არის ბევრ მონსატერში შემორჩენილი ძველი მარნები. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართვლი ხალხი ღვინოს წმინდა სასმელად თვლიდნენ და ხშირად წმინდანებსაც წირავდნენ. წმინდანისთვის და ეკლესიისთვის შეწირულ ღვინოს — ზედაშეს უწოდებდნენ.

რაც შეეხება თეორიას, რომ მსოფლიოში სიტყვა ღვინო გავრცელდა ქართული სიტყვისაგან, ამის დამდასტურებელი ფაქტებიც მრავლად მოგვეპოვება. ღვინის აღმნიშვნელ სიტყვებს თითქმის ყველა ენაში ერთი ძირი აქვს. სიტყვა „ღვინო“ (ღჳნოჲ) გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში და დასტურდება ყველა ქართველურ ენაში, სადაც იგი გამოითქმის ასე: ღვინო (ქართ.), ღვინ–ი (ზან.), ღვინ–ალ (სვან.). ინდო-ევროპულ და სემიტურ ენებში „ღვინო“ შემდეგნაირად გამოითქმის: ხეთურად: „წიყან(ა)“, ლუვიურად: „წა/ი-ყა-ნა“, ძველ ბერძნულად: „Οίνος“, ლათინურად: „ვინუმ“, სომხურად: „გინი“, გერმანულად: „ჭეინ“, ინგლისურად: „ჭინე“, რუსულად და ზოგადად სლავურად: „вино“, უელსურად: „gwîn“, ფრანგულად: „vin“, ესპანურად: „vino“, იტალიურად: „ვინო“, არაბულად: „წაინუნ“, ებრაულად: „yayin“, ასირიულად: „înu“.

ამ სიტყვებს აერთიანებთ ერთი ძირი, ერთი წარმომავლობა და იმ ქვეყნიდან უნდა იყოს ყველა სხვა ენაში შესული და დამკვიდრებული, სადაც ეს სიტყვა პირველად გაჩნდა. როგორც ენათმეცნიერების დიდი ნაწილი აღნიშნავს, სიტყვა „ღვინის“ სემანტიკური მნიშვნელობა მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება და იგი სავარაუდოდ ზმნა „ღვივილიდან“ არის მიღებული. ამ სიტყვის ფუძე - „ღვ“ - წმინდა ქართულია და მრავალ ქართულ სიტყვაში გვხვდება. ღვინოსთან დაკავშირებით, მისი საწყისი ფორმა უნდა იყოს „ღვივილი“, ანუ ის, რაც დუღს, ამოდის, ღვივდება. შესაბამისად – დუღილის, უფრო ღვივილის შედეგად მიიღება. გარდა ამისა ერთი ენიდან მეორე ენაში გადასვლისას, ამა თუ იმ სიტყვას ბგერები, როგორც წესი, აკლდება. ამიტომაც „ვაინ“ და „ვინო“ შეუძლებელია, იქცეს „ღვინოდ“. პირიქით კი სავსებით შესაძლებელია.

რამდენიმე ცნობა წერილობითი წყაროებიდანაცა გვაქვს შუასაუკუნეების ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დეტალების შესახებ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში და გიორგი მთაწმინდელის „იოანე და ექვთიმეს ცხოვრებაში” (X-XI ს.) იმ სირთულეებზეა საუბარი, რომელიც ვენახის მოვლასთანაა დაკავშირებული. XII-XIII საუკუნეების პოეტთან, იოანე შავთელთან კი ვხვდებით ცნებას „კეთილგანსხლული ვენახი”, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მაშინ ვენახის გასხვლის ფასი კარგად იცოდნენ და შესაბამისი წესებიც კი არსებობდა.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ჟან შარდენი იყო ჩამოსული. მან კარგად აღწერა საქართველო. მისი სტუმრობა ომების პერიოდს დაემთხვა. აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა, დასავლეთ საქართველო „დამოუკიდებელი” იყო. იმერეთში იმ დროისათვის ყველაზე ცუდი პერიო-

დი გახლდათ. დასავლეთის ღვინის გასინჯვისას აღნიშნა: დაყენება რომ იცოდნენ, კარგი ღვინო ექნებოდათო. აქ ჩანს, რომ მოუვლელი ღვინო დაალევინეს. მაგრამ იმ დღეს, როდესაც ის სამეგრელოში ჩავიდა, ომი იყო გურიასა და სამეგრელოს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში რომ გადმოვიდა, მაშინ კი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „დარწმუნებით შეიძლება ითქვას: მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, წლის არცერთ დროს არ შეიძლება ამაზე უკეთესად ჭამოს და სვას ადამიანმა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ (საქართველოში). ისევე, როგორც კოლხეთში, აქაც ვაზები ხეებზეა გაშენებული. მეფეთა სასმელად თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისფაჰანს“.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ერთ—ერთ უძველეს ნატურალურ სამკუნალო საშუალებად საქართველოში ყურძნის ღვინო ითვლებოდა. ცნობილია, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა მევენახეობა—მეღვინეობის ორიგინალური კულტურა. მევენახეობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, რომ ქვეყნის მთად და ბარად დაყოფა მისი გავრცელების არეალზე იყო ორიენტირებული (ვახუშტი ბაგრატიონი). ვაზი იყო საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის წყარო, ამიტომ შემოსეული მტერი პირველ რიგში ვაზს ჩეხავდა ქვეყნის დასაუძლურებლად. ვაზის კულტთან, ჭურის თავთან და მარანთანაა დაკავშირებული საკრალური ხის მითოლოგიური სახე საქართველოში. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ წმინდა ნინო ვაზისჯვრით ხელში უქადაგებდა ქართველებს ქრისტეს რჯულს, ხოლო ერთი ქართული ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა ადამიანი, ვაზის ცრემლებით მოზელილი მიწისაგან შექმნა ვენახის მოსავლელად.

მითოლოგია

საქართველო ლეგენდების ქვეყანაა და ალბათ არსად ისე არ უყვართ ძველი, მეხსიერებაში მიმქრალი ამბები, როგორც ჩვენს ქვეყანაში. ძალიან იშვიათია ქართული ლეგენდა, რომელიც ღვინოს, სუფრასა და ზოგადად ბახუსის ტრფიალებას არ უკავშირდებოდეს. სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში, უმეტესად კი ზეპირ გადმოცემებში, ღვინოსთან დაკავშირებული ლეგენდადქცეული ამბები უხვად გვხვდება. ამ მასალის საერთო ანალიზით და სათანადო კვლევითაც ადვილად მივდივართ დასკვნამდე, რომ საქართველო მართლაც ღვინის სამშობლოა.

ბულბული, ლომი და ღორი

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ლეგენდების დიდ ნაწილში ღვინის შექმნას ქართველები სწორედ მამა ღმერთს უკავში-

რებენ. მაგალითისთვის მოვიხმოთ ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საინტერესო ქართული ლეგენდა: ღმერთი დედამიწაზე დაეძებდა ისეთ ადგილს, სადაც ვაზი უნდა გაეშენებინა. მრავალი ადგილი შეარჩია, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ისეთ ადგილზე გააკეთა, სადაც დამარხული იყო ბულბულის, ლომისა და ღორის ძვლები. ასეთი ადგილი საქართველო აღმოჩნდა (არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ ევრაზიის აფრიკასთან მატერიკულად ერთიანობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ლომები მართლაც სახლობდნენ). როდესაც ღმერთმა ამ მიწაზე ვაზი დარგო, შემდეგ მოსავალი მოიწია, დაწურა და ღვინო გააკეთა, ღვინოს იმ სამი სულდგმულის თვისებები გამოჰყვა, რომელთა ძვლებზეც ვაზმა იხარა. როდესაც ადამიანი ცოტა ღვინოს სვამს, მისი საუბარი ხშირად ბულბულის გალობასავით საამო მოსასმენია. როდესაც ზომაზე ცოტა მეტს სვამს, ლომს ემსგავსება და ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის ილუზია ექმნება. უკიდურესად გადათრობის შემთხვევაში კი, ადამიანი ემსგავსება ღორს, თუ რატომ, ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალებით - როგორც არქეოლოგიური და წერილობითი წყაროებით, ასევე ქართულ მითოლოგიასა და ისტორიულ მეხსიერებაში დალექილი მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველო ჭეშმარიტად წარმოადგენს ვაზისა და ღვინის სამშობლოს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნში: „ ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, 1973.
2. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1965.
3. რამიშვილი რ., ქართული ვაზის და ღვინის ისტორია, თბილისი, 1988.
4. შარდენი ჟ., მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1935.
5. www. Saunje.ge
6. www. Ambioni.ge
7. www.nwa.ge

Avtandil Gelagutashvili

Doctor of History, Professor, Rector of Jakob Gogebashvili Telavi State University

Vine History – Reality and Mythology

Summary

Georgian vine is the oldest in the world. Vine has a great importance for Georgian nation and become an integral part of Georgian culture.

Georgia is known as a motherland of vine according to Historical chronicles on the basis of archeology. The oldest patterns of grape seeds which were discovered in Georgia show that viticulture in Georgian was conceived early than Neolithic Era BC VI millennium.

In the result of archeological excavations in Georgia were discovered remains of ancient wine cellar with Kvevris in the ground. They produced and kept wine in them.

There is 2000 variety of vine species in the world. Out of which 521 are of Georgia origin.

Georgia is the country of legends and biggest amount of them are connected with wine.

მზია მაისურაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოქტორანტი

საქველმოქმედო დაწესებულებები და ქველმოქმედთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ცარიზმის პერიოდის კახეთში

XIX საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში სკოლების ქსელი გაიზარდა. სახელმწიფო სასწავლებლებთან ერთად არსებობდა სასულიერო და კერძო სკოლები, რომელთა „მზრუნველად" ხშირად ქველმოქმედი ადამიანები, შეძლებულები – თავადები ან ვაჭარ-მრეწველები ინიშნებოდნენ. ამას პირდაპირ ითხოვდა საზოგადოება, რადგანაც სკოლების არსებობა ხშირად მხოლოდ ამგვარ ადამიანებზე, სასწავლებლის მზრუნველებზე იყო დამოკიდებული [1, 232].

კახეთის კულტურული დაწესებულებებისა და სკოლებისადმი განსაკუთრებული ქველმოქმედებით გამოირჩეოდა კახელი თავადი და მრეწველი ზაქარია ჯორჯაძე. მისი შეწირულებით ჩაეყარა საფუძველი თელავის საქალაქო ბიბლიოთეკას. წიგნებთან ერთად მან ფულიც შესწირა ამ დაწესებულებას. თელავის ბიბლიოთეკა 1884 წელს დაარსდა. აქ იმართებოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, საუბრები ტარდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ პრობლემაზე. გაზეთ „დროების" კორესპონდენტი განიხილავდა ბიბლიოთეკის მუშაობას, აღწერდა აქ ჩატარებულ საღამო-კონცერტს და ეხებოდა ზაქარია ჯორჯაძის დამსახურებას ასეთი დაწესებულების შექმნაში. ის საყვედურობდა თელავის საზოგადოებას ჯორჯაძის დაუფასებლობისათვის: „თელავის ბიბლიოთეკა დაარსებულია და ამას საზოგადოება ისე აღტაცებით არ შეხვედრია. თავად ჯორჯაძეს ფული და წიგნები შეუწირავს, რატომ? მარ-

თლა ბევრი ფული აქვს და იმიტომ, თუ სასარგებლო რომაა, ამის გამო?...“ [2,19].

ზაქარია ჯორჯაძის საქველმოქმედო საქმიანობაზეა საუბარი 1885 წლის „დროების“ №23-ში. მართალია, ეს წერილი ეხებოდა ჯორჯაძის საქმიანობას თბილისში, მაგრამ აქაც მას წამოყვანილი ჰყავდა კახელი ახალგაზრდები, რომელთაც მუშებად ქირაობდა, ამასთანავე აძლევდა როგორც პროფესიულ, ასევე ზოგად განათლებას.

ჯორჯაძე ძირითადად ღვინის დამზადებას ხელმძღვანელობდა. მას ჰქონდა როგორც ღვინის ქარხნები, ასევე მაღაზიები და სარდაფები თბილისსა და კახეთში. თბილისშიც ამუშავებდა კახეთიდან წამოყვანილ ახალგაზრდებს, მათ აძლევდა დიდ ჯამაგირს, ასევე იღებდა ხარჯს მათი განათლებისათვის. მუშების თავისუფალი დროის სასარგებლოდ ათვისებისათვის მან დააარსა ქართული წიგნების ბიბლიოთეკა, გამოიწერა ქართული ჟურნალ-გაზეთები, ყოველკვირეული პედაგოგიური ჟურნალი „ნობათი“ და სხვა. სამუშაოს შემდეგ, ნაშუადღევის ხუთი საათიდან, მისი მუშები სათითაოდ კითხულობდნენ წიგნებსა და პრესის ორგანოებს, ეს გრძელდებოდა ათ საათამდე. ამასთანავე სწავლობდნენ ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, ითვისებდნენ ელემენტარულ სამეურნეო ცოდნას. ჯორჯაძემ ამისთვის სპეციალურად დაიქირავა ღვინის ტექნოლოგიის სპეციალისტი (გაზეთი „დროება“ მას ფსევდონიმით – გ. დ. ი-შვილით იხსენიებს). ამასთანავე, მუშები სწავლობდნენ რუსულ წერა-კითხვასა და ანგარიშსაც.

სტატიის ავტორი ფსევდონიმით – „რომანოზი“ დაწვრილებით აღწერს მუშების მიერ მხატვრული ლიტერატურის კითხვისას განცდილ ემოციებს, კახელი ბიჭები ცრემლიანი თვალებით კითხულობდნენ „კაკო ყაჩაღის“ ამბავს და გატაცებით იგონებდნენ ალაზნის ველზე ნახულ სურათებსო [3, 23].

კორესპონდენტი ქველმოქმედის ამგვარ საქმიანობას ახალსა და ქართველი ხალხისთვის სასარგებლო მიმართულებას უწოდებს და წერს: „აქ სწავლა-განათლების საჭიროებასა და სარგებლობაზედ ლაპარაკს არა ვთვლი საჭიროდ, რადგანაც ყველა ჩვენგანი ყოველს ნაბიჯზე ვხედავთ სწავლის შეძენის მოსურნეს, გონების განათლების მაძებარს, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს ამბავი ახალი მოვლენაა ჩვენში და როგორც პირველად გაგონილს, ჯერ, უეჭველია, ჩვენი ყური არ შესჩვევია. ამისათვის საჭიროა ამ აზრის ხანგრძლივი და ძალუმი მოქმედება, რომ ჩვენი გონება შეეთვისოს მას

და ჩვენს ხორცსა და სისხლად გადავაქციოთ იგი. და როგორც მთელს ცხოველ არსებას უნდა მეცადინეობა თავისი სხეულისა და გონების აგებულობის გაუმჯობესებისათვის, ისე ჩვენ გვინდა აქედანვე მხნე, გონივრული მოქმედება, რომ გავუმართოთ თვალი იმას, **რასაც მოაქვს ქვეყნის და ხალხის წარმატება".**

სტატიის ავტორი თხოვდა გაზეთ „დროების" რედაქციას, პოპულარიზაცია გაეწია ქველმოქმედ ჯორჯაძის საქმიანობისათვის, რათა ყველას, ვისაც კერძო საქმე ჰქონდა, მიებაძა მისთვის.

გაზეთი „დროება" ქველმოქმედთა შორის ასახელებდა თელაველ ვაჭარს – ბაღდოევს. მას თელავის სკოებისათვის შეუწირავს თანხები 1885 წლისათვის, რასაც ქალაქის ბედნიერებად მიიჩნევდა ავტორი. კორესპონდენტი ჩამოთვლიდა ბაღდოევის შენაწირი თანხების ოდენობას: „ბაღდოევმა წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელს 80 მანეთი შესწირა, როსტომაშვილის საქალებო სკოლას – 30 მანეთი, სამოქალაქო სასწავლებელს – 45 მანეთი, და მგონი სხვა სასწავლებლებსაც. " მისი აზრით, ბაღდოევი იმაში შეცდა, რომ როსტომაშვილის სკოლას მხოლოდ 45 მანეთი შესწირა, რადგან ის იყო ყველაზე გაჭირვებული და ამასთანავე, წარმატებული სასწავლებელი. ამის მიზეზად გაზეთი ქველმოქმედის პირად დამოკიდებულებას ასახელებს, ამბობს, რომ ბაღდოევს როსტომაშვილთან არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება, პიროვნულისა და საზოგადოებრივის აღრევას კი ის უარყოფით მოვლენად მიიჩნევს.

როსტომაშვილთან და თელაველ ქველმოქმედებთან დაკავშირებით გაზეთი „დროება" ბევრჯერ წერდა.

თელაველი ქველმოქმედები მუდმივად ეხმარებოდნენ კახეთის რეგიონის სკოლებსა და კულტურულ დაწესებულებებს. გაზეთი „დროება " წერდა, რომ 1884 წლისათვის თელავიდან წ. კ. გ. საზოგადოებას 222 მანეთი და 35 კაპიკი გადასცეს. ეს ფული შეკრებილი იქნა საზოგადოებისთვის გამართული ბალიდან, რომლის გამართვის ორგანიზება ეკუთვნოდა კნეინა ჩოლოყაშვილისას. ამავე დროს, თელაველმა ვაჭრებმა – სიმონოვებმა – საზოგადოებას გადასცეს სამი თამარისდროინდელი მონეტა [4, 86].

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სიღნაღის მაზრის სზოგადოებაც ეხმარებოდა. სიღნაღის მაზრაში მცხოვრებმა ბევრმა თავადმა თუ გლეხმა გაიღო ფული საზოგადოების ფონდისათვის. ეს შეწირვები ყოველწლიურად ხდებოდა. 1894 წელს ქველმოქმედთა სია ასე გამოიყურებოდა: კნიაზ ელენე აბხა-

ზისა – 2 მანეთი; ლევან აბხაზი – 3 მანეთი; კნიაზ ნინო ანდრონიკოვისა – 1 მ.; ქეთევან ჩოლოყაშვილისამ – 1 მ.; კნ. დარია ვაჩნაძისამ – 1 მ.; კნ. ანა ვაჩნაძისამ – 1 მ.; თავადმა ივანე რევაზის ძე ვაჩნაძემ – 1 მ. და 40 კაპ.; თავადმა ნიკო ვაჩნაძემ – 1 მ.; თავადმა კონსტანტინე ვაჩნაძემ – 1 მ.; თავადმა დავით ჩოლოყაშვილმა 1 მ.; კნ. ანეტა ანდრონიკოვისამ – 1 მ.; ნინო ნაცვალოვისამ – 2 მ.; აბრამ ნასიძემ – 2მ.; სოლომონ სტეფანეს ძე მესედიშვილმა – 3 მ.; დეკანოზმა ბეგიევმა – 1 მ.; ეკატერინე ასათიანისამ – 1მ.; ალადაშვილმა –1 მ.; ბაბო ნაცვალოვისამ – 1 მ.; თადეოზ ნაცვალოვმა – 1 მ.; ვანო ნაცვალოვმა – 1 მ.; შაქრო ნაცვალოვმა – 1 მ.; ნიკო ონანოვმა – 1 მ.; ნინო გომელაურისამ – 40 კაპ.; ვანო ვაჩნაძემ – 1 მ.; ნატალია ნასიძისამ – 50 კაპ.; მაკრინე ნასიძისამ – 40 კაპ.; ანეტა ნასიძისამ – 40 კაპ.; თამარა გედევანოვისამ – 20 კაპ.; ელისაბედ რეზნიკოვისამ – 20 კაპ.; ეკა ნასიძისამ – 50 კაპ.; ნიკო ზალდასტანოვმა – 60 კაპ.; მიხეილ ბენაშვილმა – 20 კაპ.; ვასო ჭრელაშვილმა – 50 კაპ.; ზალიკო მჭედლიშვილმა – 15 კაპ.; სოლომონ ნასიძემ – 45 კაპ.; ანეტა ნასიძისამ – 40 კაპ.; დარო ნასიძისამ – 40 კაპ.; სანდრო გომელაურმა – 40 კაპ.; ელისაბედ ნასიძისამ – 20 კაპ.; ქეთევან მესტიევისამ – 20 კაპ.; დარია ვაგრიევისამ – 40 კაპ.; საშა ვაჩნაძისამ – 40 კაპ.; მაქსიმე კახიძემ – 40 კაპ.; სულ შეგროვდა – 39 მანეთი, რომელიც ნინო ანდრონიკაშვილმა გადასცა წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას [5, 22].

მას შემდეგ, რაც თელავში დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, ყოველწლიური შესატანი თანხების ოდენობა გაიზარდა. მასში შევიდა კერძო ქველმოქმედთა შეწირულებანიც: სასტიპენდიო თანხები, სასკოლო ნაგებობებისა და სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თანხები. საზოგადოებას წირავდნენ კერძო კოლექციებს, არქეოლოგიურ, ნუმიზმატურ და ეთოგრაფიულ მასალებს, წიგნებს, ძველ ხელნაწერებს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ საზოგადოების ანგარიშს 1914-1915 წლებში. თელავის განყოფილებას 1914 წელს შემოსავალი ჰქონდა 1899 მანეთი. გასავალი – 1793 მანეთი 12 კაპიკი, ნაშთი 100 მანეთი, 47 კაპიკი. 1915 წელს შემოვიდა 2628 მანეტი და 15 კაპ., გასავალი იყო 2135 მან., ნაშთი – 492 ან. 46 კაპ. ამ ფულიდან განყოფილებისაა 51 მან, 46 კ.

ილიას მამულიდან შემოსავალი იყო – 441 მან.

სოფიო ვახვახიშვილის შეწირული სასტიპენდიო თანხა 200 მანეთი, ვასილ და ნატალია გლურჯიძეების საქველმოქმედო თან-

ხა – 250 მანეთი. საზოგადოებას ჰქონდა წიგნის მაღაზია, საიდანაც გაყიდული წიგნების თანხა შედიოდა: 1914 წელს გაიყიდა 6614 მანეთისა და 44 კაპიკის წიგნი. სხვა საქონელთან ერთად, შემოსული თანხა შეადგენდა 9976 მანეთს. აქედან წმინდა მოგება იყო 1000 მანეთი, რაც საზოგადოებამ საგანმანათლებლო საქმეში გამოიყენა.

ილიას მამული ყვარელში შეიძინა წერა-კითხვის საზოგადოებამ და თელავის საზოგადოებას გადასცა. თელავის საზოგადოებამ თავადაზნაურთა საზოგადოებას მამულის მოსაწყობად მოთხოვა 6000 მანეთი. მაგრამ ჯერ კახეთის რკინიგზის აქციების შეძენამ და შემდეგ ომმა ხელი შეუშალა ამ თანხის მიღებას. სამაგიეროდ, თელავის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 400 მანეთი გადასცა ილიას დამ, ელისაბედ საგინაშვილმა, ამდენივე გადასცა ახალმა კლუბმა, ეს 800 მანეთი მოხმარდა ილიას სახლის კოშკის აღდგენას.

საქართველოს წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების გამგე იყო ალექსანდრე ვახვახიშვილი, წევრები: ნ. მამინაშვილი, ვ. პაატაშვილი, თ. აბაშიძე, გ. იორდანიშვილი, ე. პაატაშვილი და ქ. რუსიშვილი [6, 542].

1906 წელს დაარსდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის ფილიალი გაიხსნა თელავშიც. თელავში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გახსნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის რეგიონისთვის. როგორც ვ. პაატაშვილი წერდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (№550, 1916 წ.), უამრავი გაჭირვებული ადამიანი მიაწყდა ამ საზოგადოებას დახმარების სათხოვნელად. საზოგადოებას დასაწყისში არ ჰქონდა ფული. მან 200 მანეთი მიიღო მთავარი საზოგადოებიდან ჯარისკაცთა იმ შვილების დასახმარებლად, რომლებიც სკოლებში სწავლობდნენ. გამგეობამ თავისი მცირე სახსრებიც დაამატა და საჩაიე გახსნა თელავში. საკუთარი სახლი 7 დღით უფასოდ დაუთმო გ. ხახანაშვილმა, ხოლო ოთახები მოაწყო მხატვარმა ვლადიმერ სიდამონ-ერისთავმა. აღდგომას გაიხსნა საჩაიე, გახსნას დაესწრო ეპისკოპოსი პიროსი, გადაიხადა პარაკლისი, აკურთხა სუფრა და სიტყვით მიმართა შეკრებილებს. ზაფხულში საჩაიემ ნადიკვარზე გადაინაცვლა. თელავის საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა, საჩაიეს ბევრი ხალხი ესტუმრა, რათა თავისი ქველმოქმედებით წვლილი შეეტანა იმ კეთილ საქმეში, რისთვისაც იყო განწყობილი [7,550].

ქველმოქმედებს შორის გამოირჩეოდა ანა ერისთავი-ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის და.

ანა მოკრძალებით იყო გამორჩეული და-ძმებში, და იმითაც, რომ ის ამდროის რჩეული მამაკაცის – მთელი იმპერიის მასშტაბით სახელგანთქმული გენერლის, – ნიკო ჭავჭავაძის („დიდი ნიკოს“) მეუღლე იყო [8,96-104].

ნიკო ჭავჭავაძე დიდი ქველმოქმედი იყო. განსაკუთრებით ეხმარებოდა კახეთის რეგიონის სკოლებს, თეატრალურ დასებს.

როდესაც ქმარი ჩეჩენ-დაღესტნელებს ებრძოდა, მისი მეუღლე – ანა ერისთავი-ჭავჭავაძისა საქველმოქმედო საქმიანობით იყო დაკავებული. ცოლ-ქმარი უშვილო იყო, რაც მათ ტკივილს წარმოადგენდა, თუმცა ამ დანაკლისს ისინი დაუღალავი საზოგადოებრივი მოღვაწეობით ინაზღაურებდნენ. ორივენი დიდ დახმარებას უწევდნენ ხელმოკლე ნიჭიერ ახალგაზრდებს, უხდიდნენ ყვარლელ მოსწავლეებს სწავლის ქირას, ქართველ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა ინსტიტუტებში სწავლის გასაგრძელებლად. გენერალ ნიკო ჭავჭავაძეს საკმაო ხელფასი და პენსია ჰქონდა, რითაც მუდამ ეხმარებოდა მშობლიურ კუთხეს, გაჰყავდა სარწყავი არხები, გზები, შემწეობას იჩენდა უპოვართა მიმართ. „დიდ ნიკოს“ საქართველოში გამორჩეული პირადი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც სიცოცხლეშივე გადასცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ის არ არჩევდა ადამიანებს წოდების მიხედვით, არც ეროვნული ნიშნით. მთელი შეგნებული ცხოვრება, როგორც ცარიზმის მოხელემ, ჩრდილო კავკასიაში გაატარა. თუ აქაურთა დამოკიდებულებას გავიხსენებთ ამგვარ მოხელეთა მიმართ, მას შური და მტრობა უნდა მიეღო ამ ხალხისაგან, მაგრამ პირიქით მოხდა: უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. როდესაც გარდაიცვალა,1897 წლის 9 მარტს, ჩეჩნებმა სოლოლაკიდან, სადაც გენერალი ცხოვრობდა, ქაშვეთამდე მისი კუბო არავის დაანებეს, მადლიერმა თანამემამულეებმა კი ყვარლამდე ხელით წაასვენეს მათთვის საყვარელი ადამიანი[8,103].

1885 წლის გაზეთი „დროება“ წერდა: „გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ და თავად ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძის თაოსნობით „ბაღი-ბუფეტით.“ დაესწრო წინასწარ მაზრის უფროსის მიერ მოწვეული ხალხი თელავის მიმდებარე სოფლებიდან. ორასამდე ბილეთი გაიყიდა და კარგი შემოსავალი მიიღეს“ [9,53].

ნიკო ჭავჭავაძის ქველმოქმედების ამსახველი ამგვარი ცნობები ბევრია ამდროინდელ პრესაში. ერთ-ერთი, 1893 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში.“სტატია იუწყებოდა, რომ კვირაცხოვლობას, 4 აპრილს, ყვარელში, ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა, მრავალ სამღვდელოთა თანდასწრებით, აკურთხა ნიკო ჭავჭავაძის შემწეობით აგებული ნათლისმცემლის ეკლესია. ესწრებოდა თელავის მაზრის სოფლებიდან მოსული დიდძალი ხალხი. წირვაზე გამოვიდა ორი გუნდი, ცალკე დიაკვნებისა და ცალკე შეგირდ-მასწავლებლებისა. იქადაგა მეუფემ, ბოლოს ხალხი შეიკრიბა ნიკო ჭავჭავაძის ეზოში, სადაც მასპინძელმა შეკრებილებს მშვენიერი სადილი გაუმართა [10,74].

საქველმოქმედო საღამოები ტარდებოდა სიღნაღის მაზრაში. სოფელი კარდენახი ამ მხრივ განსაკუთრებული იყო.

კახეთი XIX საუკუნის ბოლოს ებრძოდა ქოლერას და ყვავილს. პრევენციისათვის საჭირო წამლები და პირობები ბავშვებს არ ჰქონდათ. საამისოდ სასწავლებლები საქველმოქმედო კონცერტებსა და თეატრალურ წარმოდგენებს მართავდნენ. კარდენახშიც 1893 წელს გაიმართა 2 ერთმოქმედებიანი პიესა: „ოინბაზობა“ და „ორცეცხლშუა.“წარმოდგენებიდან შემოსავალი მთლიანად საშიში ინფექციების პრევენციისთვის გადაიდო. სპექტაკლი ორმაგ სამსახურს უწევდა საზოგადოებას: ესთეტიკურ-აღმზრდელობითსა და საქველმოქმედოს. სპექტაკლში ადგილობრივმა მსახიობებმა ითამაშეს. ესენი იყვნენ: თათაროვი (თათარაშვილი), სამადაშვილი და ლომიძე [11,39].

თელავში ადგილობრივი ძალებით ხშირად იმართებოდა სპექტაკლები. 1893 წლის 25 აპრილს გაიმართა ქართულ-სომხური წარმოდგენა – „თამარ ცბიერი.“პრესა გამოყოფდა ილია ზურაბიშვილის ნათამაშებ როლს. ახალგაზრდა, გარეგნობით და ნიჭით გამორჩეულ ზურაბიშვილს გაზეთის კორესპონდენტი პროფესიულ დასში გადასვლას ურჩევდა [12,90].

კახეთში იყო დიდებული ოჯახები, სადაც ეროვნული განძის საუკეთესო ნიმუშები ინახებოდა. „ივერია“ 1893 წლის აპრილში წერდა, რომ სოფელ იყალთოში, პოდპოლკოვნიკ ზაქარია რამაზის ძე მაყაშვილის სახლში, ინახებოდა უძველესი ხანის სიგელ-გუჯრები, რომელიც თბილისში ჩამოუტანია გენერალ-მაიორ დიმიტრი სოლომონის ძე მაყაშვილს, შეუდგენია ხელნაწერთა ნუსხა. დაახლოებით 66 ერთეული ხელნაწერი შესრულებული იყო როგორც ქართულ, ასევე სპარსულ და არაბულ ენებზე. ისტორიული საბუ-

თები მაყაშვილს წარუდგენია ილია ჭავჭავაძისთვის „გადასასინჯად“[13,84].

საქველმოქმედო ღონისძიებებს აწყობდნენ სკოლები და სცენისმოყვარეთა ჯგუფები. ხშირად ეს ღონისძიებები ეძღვნებოდა თავად სკოლების პრობლემების მოგვარებას, ზოგჯერ სოფელში მომხდარი ტრაგედიის გამოსწორებას, ან სხვა საქველმოქმედო საზოგადოების ფონდში შესატანი თანხის მოგროვებას. გაჭირვებული ადამიანები არ იზოგავდნენ თავს და ეწეოდნენ, მცირე თანხით მაინც, დაზარალებულებს. მაგალითად: გურჯაანში 1884 წლის 11 მარტს ჩატარებულა საქველმოქმედო წარმოდგენა ერთი დამწვარი ოჯახის სასარგებლოდ [14, 66].

ამავე გაზეთის ინფორმაციით, 1884 წლის 14 მარტს სიღნაღში გამართულა სცენისმოყვარეთა სპექტაკლი – რაფიელ ერისთავის „ვოდევილები.“სპექტაკლი ეძღვნებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ თანხების შეგროვებას. სპექტაკლმა მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ შეგროვილი თანხა (55 მანეთი), როგორც ინფორმატორი დანანებით ამბობდა, არ იყო დასახული მიზნისთვის საკმარისი [15, 90].

როგორც ვიცით, თელავში 1884 წელს დაარსდა ბიბლიოთეკა. მას ბევრი ქველმოქმედი შეენია და წიგნები შესწირა, მაგრამ ბიბლიოთეკას კიდევ მეტად ესაჭიროებოდა გაზრდა-გაფართოება. ამ მიზნით თელავის კლუბში გაიმართა სალიტერატურო საღამო. იმღერა თელავის კლუბის გუნდმა. სიტყვა წარმოთქვა პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა. მან ისაუბრა თელავის ბიბლიოთეკის როლსა და მნიშვნელობაზე ქალაქისა და მთლიანად კახეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, ხალხს აუხსნა მისი საჭიროებანი. ამის შემდეგ როსტომაშვილმა წაიკითხა ლექცია ვახტანგ გორგასალსა და მის პოლიტიკაზე. ლექციამ, „დროების“ კორესპონდენტის აზრით, დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლიტერატურულ საღამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხა პოეტმა ბარბარე ჯორჯაძემ. დიდი ოვაცია დაუმსახურებია შ. ს. მაჭავარიანს, რომელსაც აკაკის ლექსები წაუკითხავს. “ ბატონი მაჭავარიანი, – ვკითხულობთ „დროებაში“, – როგორც აკაკისთან გაზრდილი, ძლიერ ჰბაძავს მას და ამასთანავე ლექსებიც კარგი იყო შინაარსით.“წერილის ავტორი აქებს ზაქარია ჩხიკვაძეს, რომლის მომზადებული იყო ქალთა გუნდი. მთელ კახეთში მარტო ამ ახალგაზრდა ლოტბარმა იცის უკვე დავიწყებული – „ყურშა“, „დიამბეგი“ და სხვა ძველი სიმღერებიო [16,19].

ქველმოქმედ დ. ყიფიანის შეწევნით, 1902 წელს ძველ გავაზში სკოლა დაარსდა, გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოც. როგორც ამდროინდელი პრესა აღნიშნავდა, შესაშური იყო ამ მოხუცი ადამიანის „თავგამოდებული მხნეობა ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმის განხორციელებაში“[20, 178].

თელავს არ ჰქონდა თეატრის შენობა. საზოგადო საკრებულოს მამასახლისთა საბჭომ კლუბისთვის დაიქირავა შენობა შუა ბაზარში – ეს იყო ნ. არუთინოვის სახლი. საკრებულოს მიერ დაქირავებული სახლი თეატრის მოვალეობასაც ასრულებდა. სამწუხაროდ, არუთინოვის სახლში პატარა დარბაზი იყო, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა სპექტაკლების წარმოდგენასა და ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოების ჩატარებას. საკრებულომ უბნებად დაყო ქალაქი, რათა ლატარია-ალეგრი მოეწყო და მიღებული თანხებით გაჭირვებულ ადამიანებს დახმარებოდა [17, 595].

1916 წელს თელავში გაიხსნა საქველმოქმედო საზოგადოება. მისი თავმჯდომარე გახდა ელისაბედ ჭავჭავაძისა, ხაზინადარი – ვ. პაატაშვილი. საზოგადოებას გახსნის დღესვე პირველი თანხა გადასცა ქველმოქმედმა გიორგი ავალიშვილმა, ეს თანხა შეადგენდა – 37 მანეთსა და 50 კაპიკს [18,768].

საქველმოქმედო საზოგადოებამ დახმარება გაუწია მრავალ გაჭირვებულ ოჯახს, განსაკუთრებით ომის პერიოდში. 1916 წელს მოსულმა დიდმა სეტყვამ განსაკუთრებით დააზიანა სოფლები შაქრიანი და სანიორე. საქველმოქმედო საზოგადოების ინსტრუქტორი ანტონ ყაზახაშვილი და მდივანი ნ. ციცქიშვილი ჩასულან სოფელში, აღურიცხავთ ზარალი და თავიანთი თანხით ხორბალი შეუძენიათ მოსახლეობისათვის [19,584].

კახეთის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებს განსაკუთრებით ემსახურებოდა ეს ორი საქველმოქმედო საზოგადოება: ნ. კ. გამავრცელებელი და საქველმოქმედო საზოგადოებები. ისინი აარსებდნენ ახალ სკოლებს, ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს. ორივე საზოგადოებას თელავში განყოფილება ჰქონდა. 1917 წელს, ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში, მათ აღძრეს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის წინაშე სოფელ შილდაში სკოლის გახსნის საკითხი. შილდაში იყო ერთი სამინისტრო სკოლა, მაგრამ ის იმდენად არ ჰყოფნიდა ხალხს, რომ ამ სკოლის მოწაფენი შინაურ სკოლებს მართავდნენ და ბევრ შეგირდსაც აგროვებდნენ. სკოლის შენახვა თავის თავზე აიღო შილდის ინტელიგენციამ და წვრილი კრედიტის საზოგადოებამ,

რომელმაც სკოლისათვის 300 მანეთი გადადო. საქველმოქმედო საზოგადოებამ მოითხოვა ომში გაწვეულთა და დაღუპულთა შვილებისათვის სპეციალური მოსამზადებელი კლასის გახსნა თელავში. მიზეზი ის იყო, რომ ამგვარი ოჯახებიდან ბევრი ვერ ემზადებოდა და სკოლის გარეშე რჩებოდა. სპეციალურ კლასებში მათ უფრო კარგად მოამზადებდნენ, რის შემდეგაც ადვილად შევიდოდნენ სხვადასხვა სკოლებში [21, 772].

წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილებას ბაქოდან 100 მანეთი გამოუგზავნა არჩილ იაქაშვილმა, რასაც საზოგადოება ქველმოქმედებისათვის იყენებდა.

ქველმოქმედების საოცარ მაგალითს აჩვენებდნენ ქართველი სტუდენტები. ისინი, თავად გაჭირვებულნი, რუსეთიდან ეხმარებოდნენ სტიქიით დაზარალებულ კახელებს. „ივერიის“ სარედაქციო წერილის ავტორი – „მეველე“ აქებს კახელთა მოთმინებას, აღწერს მათ მდგომარეობას და ამბობს, რომ შიმშილის პირად მისული არც ერთი კახელი არ დაძრულა ადგილიდან, არ შეშინებია და გაქცევია გასაჭირს. „ერთი წლის წინათ, ამნაირივე შიმშილობის გამო, მთელი საქართველო ავსებული იყო რუსეთიდან გადმოსულ დამშეულის ხალხითა, ქართველი ერი სიბრალულით და სიყვარულით ექცეოდა ამ საცოდავთა. ქვეყანამ არ იკმარა, რომ მხოლოდ მოსულთ მიშველებოდა, ერმა გაიღო შესაწირავი და მიაწვდინა დამშეულთ თვით რუსეთში. პური ისე ძვირი, როგორც ახლა კახეთშია, მაშინაც არ ყოფილა რუსეთში. ახლა, ამ გაჭირვების ჟამს მხოლოდ პეტერბურგში მოსწავლე ქართველმა ახალგაზრდებმა, რომელთაც თავადაც უჭირთ, გამოგზავნეს დახმარებაო“, – წერდა „მეველე“ [22, 88].

ამრიგად, ქველმოქმედებას დიდი ადგილი ეჭირა ცარიზმის პერიოდის კახეთის რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ამ სფეროში ჩაბმული იყო ყველა სოციალური ფენა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი. სკოლები, თეატრალური და მუსიკალური დასები კერძო და საზოგადო შემოწირულებით არსებობდნენ, ეს კი ხელს უწყობდა ქვეყნის სულიერი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას, მის წინსვლას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“, 232, 1883 წელი.
2. გაზეთი „დროება“, 19, 1885 წელი.
3. გაზეთი „დროება“, 23, 1885 წელი.
4. გაზეთი „დროება“, 86, 1885 წელი.
5. გაზეთი ივერია“, 22, 1894 წელი.
6. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 542, 1916 წელი.
7. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 550, 1916 წელი.
8. დოდო ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, წერილები, თბილისი, 2012.
9. გაზეთი „ივერია“, 53, 1885 წელი.
10. გაზეთი „ივერია“, 74, 1893 წელი.
11. გაზეთი „ივერია“, 39, 1893 წელი.
12. გაზეთი „ივერია“, 90, 1893 წელი.
13. გაზეთი „ივერია“, 84, 1893 წელი.
14. გაზეთი „დროება“, 66, 1884 წელი.
15. გაზეთი „დროება“, 90, 1884 წელიგაზეთი „დროება“,19, 1885 წელიგაზეთი „სახალხო ფურცელი“, 595, 1916 წელი.
16. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 768, 1917 წელი.
17. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 584, 1916 წელი.
18. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 178, 1902 წელი.
19. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 772, 1917 წელი.
20. გაზეთი „ივერია“, №88, 1893 წელი.

Mzia Maisuradze

Doctoral Student of Telavi Iakob Gogebashvili State university, The Departament of the History of Georgia, Fakulty of Humanities

Philanthropy and Charity Agencies, Cultural - educational Activities in the Kakheti Region of the Tsarist Period

Summary

Charity Had a great place for the cultural - educational life of the Kakheti region, in the Tsarist period.

Charities participated in all social strata, most of the general public.

Schools, theater groups and guests musical perfomances existed by private and public donations, wich contributed to the spiritual life and political awareness of society, in the country's progress.

Between the philanthropists a prominent was noble Zakaria Jorjadze. With his help, opened the library in Telavi in 1884, he donated the books to the library. He was a wine maker and had wine shops in Telavi and Tbilisi, where poor people work. He helped his workers to obtain an education.

სალომე პირველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველოში მიწის საკუთრების დარეგისტრირების პრობლემები

საქართველოს მომავალი, ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და სტაბილურად განვითარება წარმოუდგენლად მიგვაჩნია საკუთრების უფლებების დაცვისა და განსაკუთრებით, მიწის საკუთრების გამჭვირვალე სისტემის შექმნის გარეშე. საკამათო არ არის, რომ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების დაურეგულირებლობა დიდად სარისკოა ქვეყნისთვის, მისი მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის.

2005 წ. მიღებულმა საქართველოს კანონმა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ საქართველოში“ [1] გააგრძელა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების აღიარების ფორმალიზაციის პროცესი, რაც ყოფილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტრამენტის ახლად შექმნილ საჯარო რეესტრთან შერწყმაში აისახა. გაუქმდა ყოფილი ტექნიკური ბიუროები. 2005-2009 წლებში საჯარო რეესტრმა გააგრძელა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების გაცემის პროცესი ადგილებზე არსებულ რუკებზე დაყრდნობით, თუმცა, ამ დროს ერთიანი, ინტეგრირებული საკადასტრო სისტემა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მიწის საკუთრებაზე ფორმალური უფლების აღიარების გზაზე ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად 2007 წ. „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ [2] და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ მიღებული საქართველოს კანონები უნდა მივიჩნიოთ. ამ კანონებით შესაძლებელი გახდა მართლზომიერ და არამართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ნაკვე-

თების იურიდიული სტატუსის დადგენა და საკუთრების ფორმალიზაციის უფლების მოსაპოვებლად საჭირო პროცედურების დაწესება. მათ პრაქტიკულ რეალიზაციას ხელი შეუწყო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წ. № 525 ბრძანებულებამ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ [3].

სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის ჩამოყალიბების ფორმალური პროცესის დაგვირგვინებად ერთიანი საკადასტრო სისტემის ჩამოყალიბების დაწყება უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საჯარო რეესტრში გერმანიის საერთაშორისო განვითარების ბანკის მეშვეობით 2008 წ. დაიწყო. დონორმა ორგანიზაციამ საჯარო რეესტრი შესაბამისი პროგრამული პაკეტით უზრუნველყო. უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა რეგისტრაციისათვის აუცილებელი პროცედურების ნუსხა. საკუთრების ფორმალური უფლების მაძიებლებს შეეძლოთ კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციისა და საკადასტრო ნახაზის წარდგენის შემდეგ მიეღოთ სრულფასოვანი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელზედაც მითითებული იქნებოდა მესაკუთრის რეკვიზიტები და მიწის ნაკვეთის მკაფიოდ განსაზღვრული კოორდინატები. ამავე დროს, მესაკუთრეს და ყველა დაინტერესებულ პირს ეძლეოდა შესაძლებლობა, საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში ონლაინ რეჟიმში მოეძია შესაბამისი ინფორმაცია.

2011 წ. სახელმწიფომ შეაჩერა გრძელვადიანი იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთებით მოსარგებლეებთან დადებული იჯარის ხელშეკრულებები. მფლობელებს მიეცათ შესაძლებლობა, ესარგებლათ შესყიდვის უპირატესი უფლებით და გამოესყიდათ მათ სარგებლობაში არსებული მიწები. შესყიდვის უპირატესი უფლების გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში სახელმწიფო უკან იბრუნებდა მიწას, რომლის შესყიდვა აუქციონის წესით ახლა უკვე ყველა მსურველს შეეძლო. ამგვარად, 2012 წლისათვის სახელმწიფოს ხელში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის პრაქტიკულად უმნიშვნელო ნაწილი უნდა დარჩენილიყო.

საქართველოში ჯერ კიდევ რთულია იმის გარკვევა, თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნის კერძო სექტორს, რამდენია ამ ნაკვე-

თების ჯამური ფართობი და რაოდენობა. დაინტერესებული პირისათვის მეტისმეტად გაძნელებულია ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ სად მდებარეობს ესა თუ ის ნაკვეთი, რომელიც შესაძლოა ეკონომიკური თვალსაზრისით საინტერესო იყოს. უფრო მეტიც, თავად სახელმწიფო ორგანოებსაც კი უჭირთ ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის რა ფართობი რჩება მის საკუთრებაში. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ არსებობს მიწის ნაკვეთების მნიშვნელოვანი ფართობები ეგრეთწოდებულ „რუხ ზონაში." ეს მიწის იმ ფონდს ეხება, რომელიც შესაძლოა არც სახელმწიფოს და არც კერძო სექტორის მფლობელობაში იყოს, ან იყოს სადაო კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის.

ექსპერტული შეფასებებით შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ დღეისათვის რეფორმით გადაცემული მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის დაახლოებით 20-30% [4; 5] თუა სრულფასოვნად რეგისტრირებული. ამავე დროს, მოსახლეობის ხელთ არსებული სარეგისტრაციო მოწმობები, მიუხედავად მათზე არსებული მაღალი ლეგიტიმაციის მქონე პირის, პრეზიდენტის ხელმოწერისა, თანამედროვე კანონმდებლობით საკუთრების სრულფასოვან მოწმობად არ მიიჩნევა. მაძიებელ პირს – თავიდან უწევს სათანადო პროცედურების გავლა, აზომვითი ნახაზის შედგენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია საჯარო რეესტრის ამონაწერის მიღება. საკუთრების მოწმობებზე არ შეინიშნება მკაფიო საზღვრები და კოორდინატები, ასევე, ნაკვეთის სიახლოვეს მდებარე ნაგებობები და ინფრასტრუქტურა. ხშირ შემთხვევებში მოწმობები ფიზიკური პირის ნაცვლად ოჯახებზეა გაცემული, რაც გარკვეულ გაუგებრობას ქმნის იურიდიული თვალსაზრისით. უნდა ითქვას ისიც, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ეს დოკუმენტაცია ან საკუთრების უფლების სრულფასოვან მარწმუნებელ საბუთად მიაჩნია, ან საერთოდ არავითარი საბუთი არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი სააღრიცხვო ბარათის წარდგენის შემთხვევაში და აზომვითი ნახაზის წარდგენის შემდეგ ნაკვეთის რეგისტრაცია უპრობლემოდ მიმდინარეობს. ასევე, საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა ადგენს იმ დოკუმენტების ნუსხას, რომელიც საშუალებას აძლევს მაძიებელს შეაგროვოს სათანადო საბუთები და ნაკვეთის მართლზომიერი ფლობა დაადასტუროს, რაც აზომვითი ნახაზის წარდგენის შემთხვევაში სრულ-

ფასოვანი რეგისტრაციის მიღების საშუალებას აძლევს მას. თუმცა, მოსახლეობის ხელთ არსებული დოკუმენტების არასრულფასოვნებას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი [5. 34], რომელიც საკუთრების აღიარების მომენტად მის რეგისტრაციას მიიჩნევს. რეგისტრაციის ფორმალური პროცესის დასასრულებლად კი დაინტერესებულ ინდივიდს 2011 წ. არსებული კანონმდებლობითა და შესაბამისი შეფასებებითერთ ჰა-ზე დაახლოებით 250-300 ლარის გადახდა უწევს. ამგვარად, მაძიებელ პირებს დამატებითი ხარჯების გაღება უწევთ საკუთრების უფლების მოსაპოვებლად. შედეგად, იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როცა მიწის მფლობელს ან მოსარგებლეს (უპირატესად-წვრილ მფლობელს ან მოსარგებლეს) არ სურს ან არ შეუძლია ფორმალური რეგისტრაციის პროცესის დასრულება, ვინაიდან საკუთრების უფლებას სრულფასოვნად მიიჩნევს, ან არ სურს მიწის გაყიდვა. ამავე დროს, მიწის ყიდვის მსურველს, თუკი იგი პოტენციურ გამყიდველთან მჭიდროდ დაკავშირებული არაა და არ ფლობს ინსაიდერულ ინფორმაციას ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის შესახებ, არ შეუძლია დროისა და ენერგიის დამატებითი ხარჯვის გარეშე მოიძიოს სასურველი მიწის ნაკვეთი.

მართალია, საქართველოში მეტ-ნაკლებად კარგად მიმდინარეობს ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი, განსაკუთრებით - უცხოელი და ქართველი ინვესტორების (თუმცა, შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით) მიერ მიწების შესყიდვის-გზით, მიწის საკუთრების დაცულობის ხარისხი სასურველზე მაინც გაცილებით დაბალია. ეს ზრდის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ გაურკვევლობის ხარისხს და ქმნის ექსპროპრიაციის რისკს, თუნდაც ამჟამად ეს რისკი უკიდურესად დაბალი იყოს. გარდა ამისა, კეთილსინდისიერი მყიდველისა თუ ინვესტორის საქმიანობას საშიშროება ექმნება ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც მომიჯნავე მიწის ნაკვეთების დიდი უმრავლესობა დაურეგისტრირებელია. ამასთან, სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი პოტენციურად სახელმწიფოსაც უქმნის ცდუნებას დაისაკუთროს მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც მის ხელთ არსებული ინფორმაციით, დარეგისტრირებული არ არის, ან უბრალოდ მოახდინოს ნაკვეთების ექსპროპრიაცია გარკვეული ეკონომიკური საჭიროებებისათვის შესაბამისი კომპენსაციის გაუცემლად და ან სა-

თანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე. ასეთი შემთხვევები დაფიქსირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში [6] (მესტიის, გონიოს, სამეგრელოს შემთხვევები).

გარდა ამისა, მიწის საკუთრების უფლების დაცულობის ხარისხთან დაკავშირებული არსებული ქაოსური გარემო პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ინსაიდერული ინფორმაციის არმქონე პასუხისმგებლობის მქონე ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტორის თავისუფალ საქმიანობას. მიწის ნაკვეთების, როგორც აქტივთა კლასის გამჭვირვალედ დარეგისტრირების შემდეგ და შესაბამისი ინფორმაციის ყველა დაინტერესებული პირისთვის თანაბრად უზრუნველყოფის შემთხვევაში ასეთი სახის გართულებების ალბათობა თითქმის ნულამდე მცირდება.

მიწის რეგისტრაციის პროცესი კერძო სექტორისათვის ავტომატურად ნიშნავს თავად სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ან დასარჩენი ფართობებისა თუ ინფრასტრუქტურის რეგისტრაციას. ის ფაქტი, რომ 2012 წ. საქართველოში პირველად დაფიქსირდა ხელისუფლების მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით გადაცემის პრეცედენტი, მიწათმფლობელობის პრობლემის მოგვარების უნიკალურ შანსს ქმნის. არსებულ ხელისუფლებას აქვს ლეგიტიმაციისა და კომპეტენციის სათანადო ხარისხი, ასევე, იმის ფისკალური შესაძლებლობები, რომ პროცესი სწრაფად და ეფექტიანად, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გამოყენებითა და სამოქალაქო სექტორის მაქსიმალური ჩართულობით განხორციელდეს.

სადღეისოდ საქართველოში მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემას ექსპერტული საზოგადოების დიდი უმრავლესობა აღიარებს, თუმცა, არსებობს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ამ ეტაპზე მიწის პროგრამული რეგისტრაცია გაუმართლებელია ან გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. შემდგომში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრებითი უფლებების დარეგულირების არგუმენტაცია.

ჯერ ერთი, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის პროცესი საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებით თავად გადაიჭრება. ეს თანდათანობით მოხდება როცა მიწა, როგორც პროდუქტიული აქტივი, სასარგებლო გახდება დაინტერესებული პირისათვის, მაშინვე მოხდება მისი სათანადო რეგისტრაცია და იმ პირის ხელში გადასვლა-შენარჩუნება, რომელიც მის

უფრო ეფექტიანად გამოყენებას შეძლებს. ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ მისი ერთგვარი ლოგიკური გამართულობის მიუხედავად, პროცესების თავის დინებაზე მიშვება ვერავითარ შემთხვევაში ვერ დასრულდება ისე სწრაფად, როგორც ერთიანი პროგრამული რეგისტრაციის შემთხვევაში. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოში წლიდან წლამდე, სულ მცირე, არ იზრდებოდა დამუშავებული მიწის ფართობები, მაშინ, როცა ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე გამუდმებით იზრდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მიწები იმდენად დაბალპროდუქტიულია, რომ მათში კაპიტალის დაბანდებაზე მოთხოვნა არ არსებობს. ამგვარად, უნდა დავუშვათ, რომ საქართველოში მიწაზე ლატენტური (არარეალიზებული) მოთხოვნა-მოთხოვნილება არსებობს. მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია დამაბრკოლებელი ფაქტორების, მათ შორის - საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნისა და რეგისტრაციის პრობლემის მოხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ და სახელმწიფოს შესაბამისი ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებით მოხდება სასოფლო-სამეურნეო მიწიდან მაქსიმალური სარგებლის მიღება ქვეყნისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მიწაზე მსოფლიოში ფასები უკანასკნელ პერიოდში ძალიან სწრაფად იზრდება, საქართველოში მიწით, როგორც აქტივთა კლასით დაინტერესება ძალიან დაბალია როგორც ადგილობრივი, ისევე უცხოური ფორმალური კაპიტალის მხრიდან.

მეორეც, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სერიოზული ინვესტორი ან საშუალო ზომის პოტენციური ფერმერი თავის თავზე აიღებს დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების ყიდვასთან დაკავშირებულ რისკს, მით უმეტეს, რომ სერიოზული წარმოების გამართვისათვის მას ამ პროცესის რამდენჯერმე გამეორება მოუწევს (ნაკვეთების გაბნეულობასთან და მესაკუთრის ვინაობის გაურკვევლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო).

მესამე, მაშინაც კი, თუკი დაინტერესებული პირი ამას მოახერხებს, მოსაზღვრე მეურნეობები, რომელთა იურიდიული სტატუსი კვლავაც გაურკვეველია, მას აუცილებლად შეუქმნიან დაუცველობის შეგრძნებასა და დამატებით რისკებს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ მოსაზრების შემოწმება ადვილად შეიძლება სა-

ქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შესაბამისი მაგალითების მოძიებით.

მეოთხე, მეზობელი ნაკვეთების შედარებით დაბალი იურიდიული სტატუსი ერთი-ორად ზრდის სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ რისკს და ზღუდავს სარგებლის მიღების საშუალებას იმ შემთხვევაში, როცა ერთიანი ძალისხმევით ეს შესაძლებელია (პოზიტიური და ნეგატიური ეკონომიკური ექსტერნალიების პრობლემა).

მეხუთე, იმ დროის განმავლობაში, რაც მიწის ნაკვეთების ბუნებრივად დარეგისტრირებასა და კონსოლიდაციას დასჭირდება, სულ უფრო და უფრო გაუარესდება როგორც დაუმუშავებელი მიწების ხარისხი, ისევე იმ მიწების ხარისხიც, რომლებიც არ მუშავდება მოგების მაქსიმიზაციის მიღების პრინციპის გათვალისწინებით (ეს ეხება ტრადიციული მეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს), რაც მომავალში კიდევ უფრო გააძნელებს სოფლის მეურნეობაში პროდუქტიული ინვესტიციების განხორციელებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ."საქართველოს კანონი, სსმ, 5, 20/01/2006; №263[5]. http://www.useug.com-/1791.pdf
2. „ქონების ლეგალიზაციის შესახებ."საქართველოს კანონი 2007 წ. 22 ივნისი. №5014 – I ს. http://codex.ge/2688
3. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ." საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №525. სსმ, 131, 20/09/2007.
4. Economic Prosperity Initiative. Agriculture Sector Policy Environment Assessment Report. 2011.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი №786 პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.
6. საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში, მარტი 2012. http://www.osgf.ge

Salome Pirveli

Doctoral Student of The Technical University of Georgia, Faculty of business Engineering

Registration of Land Ownership In Georgia

Summary

The article is about the problems of „Land ownership registration in Georgia" in which further development of Georgia and legal state formation and stability guarantees are discussed.

The article article also deals with the law of „Public Registry" which continued formalization of agricultural land recognition process. That had been reflected in the former Strate Departament of Land management merger with recently founded public registry.

Formal recognition of the right of way - one step forward in the article and also recognized the legalization of physical and legal entities owned by the recognition of the right of land ownership laws.

მადონა ბედინაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მწერლის ტექსტის იდეოლოგიისა და გმირის ხასიათის პოლიფონიურობისათვის

თანამედროვე მეცნიერებაში არსებობს ავტორიტეტული მოსაზრებები, რომელთა მიხედვით ტექსტი არის ნიშანთა სისტემა, რომელიც შეისწავლის სიტყვას და სიტყვათა შეთანხმებას, პოეტურ სკოლათა ენას, მათ მატერიალურ მხარეს, რაც სემანტიკის სფეროა. ჩვეულებრივი სამეტყველო ენისათვის სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა არის საბაზისო მონაცემი პოეტური მეტყველებისათვის, რომელიც გაცილებით უფრო რთული მოვლენაა და მთელ ნიშანთა სისტემას მოიცავს [1].

რ. ბარტის აზრით, ტექსტი არის სუბსტანტი (ინტანცია), რომლის დონეზეც საზოგადოების იდეოლოგია და მორალი მკაფიოდ და განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატავს თავის თავს [2, 261].

არაერთი მეცნიერი, როცა სიტყვის დანიშნულებასა და ფუნქციას იკვლევს, მიანიშნებს, რომ: „სიტყვას თან ახლავს იდეოლოგია. იგი შეიძლება მათ პროცესად აღვიქვათ მხატვრობაში, მუსიკალურ ხელოვნებასა თუ საქციელში, რაც შეიცავს შინაგან მნიშვნელობას, რომლის გარეშეც ვერ ფორმირდება ჩვენი ცნობიერება“, ანუ ენის ფილოსოფია მთლიანად სიტყვებს ემყარება, რაც თავის მხრივ, არის მყარი ნიშანი, სიმბოლო ან ფორმულა, რომელიც ნორმად ყალიბდება [3].

პოლიფონია მხატვრულ ტექსტში არის მხატვრული დიალოგი, როცა პერსონაჟი ავტორისაგან დამოუკიდებელ აზროვნებას იძენს და სხვა პოზიციას აფიქსირებს. ტექსტში ავტორის პარალელურად არსებობს დიალოგური თხრობა, პერსონაჟს აქვს განსხვავებული ელფერი – ემიჯნება მთხრობელს ანუ ავტორს. ეს ქმნის მრავალხმიანობას ანუ პოლიფონიას რომანში.

პოლიფონიური რომანი შეიცავს მკვეთრად დაპირისპირებულ მოდელებს, რომლებიც „მარადიულ“ თემებს გამოხატავენ.

ესენია: სიკვდილი და სიცოცხლე, ყოფიერება და ცნობიერება, სიკეთე და ბოროტება, მშვენიერება და სიმახინჯე, ჭეშმარიტება და ცდომილება.... რომანის იდეა კი არ არის ერთგვაროვანი. ბახტინს მიაჩნდა, რომ პოლიფონიური რომანის ავტორი ბოლო სიტყვას არ ამბობს, იგი არ არის კატეგორიული და მკითხველს თავად უტოვებს სააზროვნო სივრცეს, რომ მან თავად გამოიტანოს სათანადო დასკვნა [4].

ჩვენი დაკვირვებით, ე. ჰემინგუეის რომანებში **პოლიფონიურობა** შესანიშნავად არის გამოხატული.მწერლის ტექსტის შესაცნობად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გმირის ხასიათის გახსნას, ტიპის, პროტოტიპისა და პორტრეტის მხატვრულად წარმოჩენას. ამ მხრივ ე. ჰემინგუეის ტექსტების გმირები საინტერესოდ არიან წარმოდგენილი.

გმირის ფუნქციების გამიჯვნა-გამორჩევა სხვა პერსონაჟებისაგან სამი ელემენტით არის შესაძლებელი:1. გმირი დანარჩენი პერსონაჟებისაგან გამოირჩევა იმით, რომ სიუჟეტის განვითარებაში წამყვანი როლი აკისრია.2. გმირი დანარჩენი პერსონაჟებისაგან გამოირჩევა, როგორც მოლაპარაკე სუბიექტი.3. გმირი აქტიურობით, ინიციატივით და წინააღმდეგობის გადალახვის უნარითაც გამოირჩევა დანარჩენი პერსონაჟებისაგან.

ერნესტ ჰემინგუეიმ შექმნა მებრძოლი და მიზანსწრაფული ადამიანის სრულყოფილი ხასიათი მოხუცი სანტიაგოს სახით. მისი „მოხუცი და ზღვა“ სწორედ პერსონაჟის ინდივიდუალიზმით გამოირჩევა [5]. სანტიაგოს ქცევაში, მის საუბარში ჩანს დაუმორჩილებელი და უდრეკი პიროვნება, რომელიც არასოდეს ნებდება. იგი ბუნების ძალებს – ოკეანეს, ზვიგენებს დაუღალავად ებრძვის და ცდილობს, იბრძოლოს საოცნებო მონაპოვრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სანტიაგო ვერ აღწევს საწადელს, ის მაინც ქედუხრელ ფსიქოლოგიურ ტიპაჟად რჩება – რადგან ხასიათი შეიქმნა, პერსონაჟიც დაუვიწყარი გახდა [5].

ავტორის პოზიცია ნაწარმოებში კარგად არის ასახული. არც ერთ ავტორს არ შეუძლია დამალოს საკუთარი დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროსადმი; იგი მხატვრულ სახეებად აქცევს საკუთარ დაკვირვებებს, განაზოგადებს არსებულ სიტუაციებს და აქვს სამყაროს ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმები. მას მოსწონს ან არ მოსწონს ცხოვრება, მისი გარემოცვა და ამის მიხედვით აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. მაგ., ერნესტ ჰემინგუეის, როგორც ავტორის, პოზიცია ძალიან კარგად ჩანს რომანში „მშვიდო-

ბით, იარაღო!“, სადაც იგი თავდაჯერებულ პაციფისტად გვევლინება. ჰემინგუეი დეტალურად აღწერს იტალიაში ომის დროს არსებული სიტუაციის დამქანცველ მანევრებს, სიკვდილიანობას, კერძოდ, უაზრო სიკვდილს, ადამიანების შიშსა და დარდს. ჰოსპიტლის ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს, როგორი უაზროა ომი და როგორი საცოდავები და შესაბრალისნი არიან ადამიანები.... ავტორი ნაწარმოებში თანდათანობით მიდის იმ იდეამდე, რომ მთავარია სიცოცხლის შეანარჩუნება და არა მისი დათრგუნვა ან ხელყოფა-წართმევა. უმაღლესი ფასეულობა ამქვეყნად არის მხოლოდ სიცოცხლე.

მწერლის მხატვრული სამყარო მრავალ მხარეს მოიცავს: მწერლის ჩანაფიქრი და მისი განხორციელება, იდეა და თემატიკა, ტექსტის არქიტექტონიკა, მხატვრული დეტალები და ენობრივი ქსოვილი საერთო ტექსტის აღქმას ემსახურება.

მკვლევარი ჟ. დუმანიშევა ნაშრომში „მოდალობა, როგორც ტექსტის კატეგორია“, განიხილავს ჰემინგუეის რომანს „ვისთვის რეკს ზარი“ და აღნიშნავს, რომ ვერბალური გამოხატვის საშუალებები ჰემინგუეის ამ რომანში მოიცავს მეტაფორებს, ეპითეტებს, გაპიროვნებებს, შედარებებს [6].ჩვენი დაკვირვებაც „მშვიდობით, იარაღო“-ზე ასევე ცხადყოფს, რომ ყველა ეს მხატვრული ხერხი ამ რომანშიც სათანადოდ არის გამოყენებული [7]. ჩანს, ჰემინგუეი, მიუხედავად მისი მინიმალიზმისა, გამოხატვის საშუალებებს ყველგან სათანადო ფუნქციითა აღჭურავს.

რომანში მნიშვნელოვანია მონაკვეთი, სადაც ომის ასახვა მეტაფორული ხასიათისაა და მასში კარგად ვხედავთ მწერლისა და პერსონაჟის სულიერ სიახლოვეს. მაგალითად,

“No“

“What’s to stop it?“

“It will crack somewhere.“

“We’ll crack. We’ll crack in France.“ [7, 44].

„გაბზარვა“ მეტაფორულად პიროვნების დამორჩილებას, მის დათრგუნვას ასახავს. ჰემინგუეის რომანის პერსონაჟები არაადეკვატურ გარემოში დიდხანს არიან და მწერალი დიალოგში მათ სასოწარკვეთას წარმოგვიდგენს. სემანტიკურად „cooked“ – „ქანცგაწყვეტაც“ და „crack“— „გაბზარვაც“ ომის მდგომარეობას შეესაბამება. ორივე სიტყვა ნახმარია არა მარტო ტექსტის იდეოლოგიის გადმოსაცემად, არამედ მხატვრული ეფექტის მისაღწევადაც. როგორც ვხედავთ, განმეორება არის სტილისტიკური ნიშანი, რა-

საც ჰემინგუეი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სემანტიკურად "გაბზარვა" ზუსტად შეესაბამება "ქანცგაწყვეტის" გარკვეულ დონეს. განწყობა და აქედან გამომდინარე ფიზიკური მდგომარეობა ქმნის პაციფიზმისკენ ნაბიჯს,რაც გმირის ნამდვილობას, მის რეალურობას გამოკვეთს.

ენობრივი მხარე მხატვრული ნაწარმოების მთავარი ინსტრუმენტია. ენისა და სტილის გარეშე ნებისმიერი მხატვრული ტექსტი ხომ ყოვლად წარმოუდგენელია. ქართულ სინამდვილეში ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა იდეის, აზრის ენობრივი გაფორმების საკითხი; უდიდესი ყურადღება ექცევა ფრაზეოლოგიზმებსა და ფრაზულ გამონათქვამებს, ფრთიან გამოთქმებს.

მხატვრული ტექსტი არის ისეთი მოვლენა, რომელიც საზოგადოებას აძლევს საშუალებას, გაამახვილოს ყურადღება ენის ფენომენის გაგებაზე. კომუნიკაციის ხელოვნება ლიტერატურულ ტექსტთან მჭიდრო ურთიერთობაშია. სიტყვას აქვს სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული მნიშვნელობები. „სიტყვის" (ან „სიტყვების") აღქმა ინდივიდუალურია და მას ინდივიდუალური დანიშნულება აქვს. არაერთი მეცნიერი, როცა სიტყვის დანიშნულებასა და ფუნქციას იკვლევს, მიანიშნებს, რომ: „სიტყვას თან ახლავს იდეოლოგია. იგი შეიძლება მათ პროცესად აღვიქვათ მხატვრობაში, მუსიკალურ ხელოვნებასა თუ საქციელში, რაც შეიცავს შინაგან მნიშვნელობას, რომლის გარეშეც ვერ ფორმირდება ჩვენი ცნობიერება", ანუ ენის ფილოსოფია მთლიანად სიტყვებს ემყარება, რაც, თავის მხრივ, არის მყარი ნიშანი, სიმბოლო ან ფორმულა, რომელიც ნორმად ყალიბდება [3].

ჟარგონი და უწმაწური გამონათქვამები (სკაბრეზი) ჰემინგუეის გმირთა ლექსიკაში ხშირად გხვდება. მიუხედავად ამისა, მისი გმირების ქცევა და ლექსიკა არ არის გადატვირთული სკაბრეზით.

„მშვიდობით, იარაღო"-ზე დაკვირვებით, სკაბრეზული გამონათქვამები მამაკაცთა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. დიალოგებში, ყოფით სცენებში, საომარ ბატალიებსა და სიტუაციებში რომანის პერსონაჟები ერთგვარი განტვირთვის მიზნით იყენებენ მათ. მაგალითად:

1. „It's a silly front," she said. „But it's very beautiful." [7, 43];

„–ეს სულელური ფრონტი, – თქვა მან, –ისე, ლამაზი კია აქაურობა" [7, 21];

2. „Oh, hell, I thought" [7,149];

„ჯანდაბას“, გავიფიქრე გუნებაში“ [7,131];

3. „To hell with you,“ Rinaldi said. „They try to get rid of me.“ [7, 162];

„– ჯანდაბამდის გზა გქონიათ, –შესძახა რინალდიმ, – თავიდან მიშორებენ“ [7, 143];

4. „The son of a bitch,“ he said. You see me shoot him?“ [7, 185];

“ – ძაღლიშვილი, – თქვა მან, ხომ ნახეთ როგორ დავახალე“ [7, 167];

5. „The dirty scum,“ Piani said. [7, 185];

„ნაძირალა“.

ნამუსგარეცხილი!– ჩაილაპარაკა პიანიმ“ [7, 167];

6. „He's a nut“ said Edgar Saunders. „All he knows how to say is throw benches“ [7, 119];

„– ჩერჩეტი არ არის? – თქვა ედგარ საუნდერსმა, – სკამების დაშენის მეტი ველარაფერი მოუგონია“ [7, 100];

ინგლისურში „Nat“ ჟარგონია, ნიშნავს „კაკალს“ და „ტიპს.“გაიგება, როგორც „კერკეტი კაკალი“, „უცნაური ტიპი.“ჰემინგუეიმ ამ მონაკვეთში ხელმოცარული და უნიჭო მომღერლის ეპითეტად გამოიყენა. ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს. იგი არის ჟარგონიც და იმავდროულად მხატვრული ეპითეტის გამომხატველი.

შეიძლება დავასკვნათ: ე. ჰემინგუეის რომანებში **პოლიფონიურობა** შესანიშნავად არის გამოხატული. მწერლის ტექსტის შესაცნობად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გმირის ხასიათის გახსნას, ტიპის, პროტოტიპისა და პორტრეტის მხატვრულად წარმოჩენას.

ე. ჰემინგუეიმ შექმნა მებრძოლი და მიზანსწრაფული ადამიანის სრულყოფილი ხასიათი მოხუცი სანტიაგოს სახით.

ერნესტ ჰემინგუეის, როგორც ავტორის, პოზიცია ძალიან კარგად ჩანს რომანში „მშვიდობით, იარაღო!“, სადაც იგი თავდაჯერებულ პაციფისტად გვევლინება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. В. Иванов, Семиотика, т. 6, СПб., 2011.
2. Р. Барт, Нулевая степень Письма, Москва, 2008.
3. В. Волошинов, Марксизм и философия языка, Москва, 1929.
4. М. Бахтин, Проблемы творчества Достоевского, Киев, 1994.

5. ე. ჰემინგუეი, მოხუცი და ზღვა, ინგლისურიდან თარგმნა ა. რატიანმა. თბილისი, 1957.
6. Ж. Думанишева,www. Referun/ com/n/ yazykovye – sredstva-reprezentatsii-subektivnoy-modalnosti-v-romane-ernesta-hemingueya-po-kom-zvonit-kolokol.
7. ე. ჰემინგუეი, მშვიდობით, იარაღო! ალმოხდების მზე (ფიესტა), ქონა თუ არქონა, ინგლისურიდან თარგმნა *ვ. ჭელიძემ*, თბილისი„ 1976; ასევე: Farewell to Arms by Ernest Hemingway, Progress publishers Moscow, 1976.

Madona Bedinashvili

Doctoral Student of the Sokhumi State University, Teacher of Sukhishvili Teaching University

For the Writer's Text Ideology and the Character's Polyphony of Nature

Summary

Polyphony in literary text is an artistic dialogue, when a character assumes independent thinking from the author and makes different position. There is the author's narrative along with the author of the text. The character has different nuance- diverges from the narrator or the author. This creates polyphony.

In the novels of E. Hemingway polyphony is perfectly expressed. In order to understand the text of the writer, it's important to open the nature of the hero and artistically portray ones type, prototype and likeness.

ბადრი ცხადაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

პოლიტიკური ორქელეხიანობა საქართველოში

მიუხედავად ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურ ძიებებში გაწაფულობისა, სიტყვა „ქელეხი"-ს თავდაპირველი მნიშვნელობა მოკლე ხანში ვერ დავადგინე. მაგრამ წინასწარი ექსკურსით, ჩანს, იგი წარმოშობით ქართული სიტყვა და მოვლენა არ უნდა იყოს. დასავლეთ საქართველოში ეს სიტყვა თუმცა ბევრს სმენია და მისი მნიშვნელობაც იცის, მაგრამ მას ცოცხალ მეტყველებაში არავინ ამბობს. ქელეხი, თითქოს ოსურ-აზერბაიჯანულ სიტყვად წარმოჩინდება, რასაც უშუალოდ მხარს უჭერს ქელეხ სიტყვისგან ნაწარმოები გვარსახელები **ქელეხსაევი** და **ქელეხსაშვილი**. ამ გვარსახელების წარმოება ერთნაირია, თუმცა პირველში **-ევ** გვარის საწარმოებელი რუსული სუფიქსური დაბოლოება გვაქვს,ამ გვარსახელთა ფუძე კი **ქელეხსა** //<– ***ქელეხისა** ქართული მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული) „ქელეხ"-ს ასე განმარტავს:

ქელეხ-ი (ქელეხისა) ეთნ. მიცვალებულის მოსახსენებლად გამართული პურის ჭამა დამარხვის დღეს, ორმოცზე ან წლისთავზე,– აღაპი. ჩვენი კოლიო, წანდილი, ქელეხი, მკვდრის სულისათვის საკლავის დაკვლა სხვა არა არის-რა – გარდა იმისა, რომ ნაშთია იმ რწმენისა, ვითომც სული მიცვალებულისა არ მოგვიშივდესო და საზრდო მივაწოდოთო (ილია). ◊ ქელეხია, ქელეხს ეწევა (სწევს) გადატ. მუქთი ქეიფია, მუქთად, უფასოდ ჭამს და სვამს. || ფიგურ. თუ ზაფხულია, კოლოები სწევენ ქელეხს ამ საცოდავის მგზავრის სისხლზე (ე. ნინოშ.) [1, 268].

ქელეხს – სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონა" არ იცნობს [2], დ. ჩუბინაშვილს **ეს** ლექსემა ლექსიკონში ასეთი განმარტებით შეუტანია: აღაპი, поминование [3, 1332]. ნ. ჩუბინაშვილი-

სათვის კი სრულიად უცხოა [4]. ქართული ენის დიალექტური ლექსიკონებიდან მხოლოდ „ქიზიყურ ლექსიკონში“ გვხვდება ასეთი განმარტებით: **ქელეხი** – მიცვალებულის თავზე, ე. ი. დამარხვის დღეს გაწეული სუფრობა [5, 194].

შენიშვნა: როგორც ზემოთ ვახსენეთ, **ქელეხ** (ან **ქელეხა)** არ გვხვდება ქართველურ საკუთარ სახელად [6], თუმცა ი. გაგულაშვილი **ქელეხიძე** და **ქელეხსერ** გვარსახელებსაც იმოწმებს წყაროების მითითების გარეშე [7, 78].

როგორც დავრწმუნდით, **ქელეხი**– აღაპი ანუ სულის მოსახსენებელი სუფრაა. დღემდე აზერბაიჯანში წესად აქვთ სასაფლაოდან შინ დაბრუნების შემდგომ ქელეხის ანუ საქელეხო სუფრის გამართვა. როგორც აღნიშნავენ, ნათესავებისა და თანასოფლელების შემოწირულობებისაგან მე-3, მე-7, მე-40 დღეს იმართებოდა ქელეხი. გლოვა 40 დღე გრძელდებოდა, წლისთავზე იმართებოდა სამგლოვიარო სუფრა [8, 77]. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები კი დაკრძალვიდან 3, 7, 40, 52 დღის შემდეგ, ყოველ ოთხშაბათს, იკრიბებოდნენ და ყურანს კითხულობდნენ. იკრიბებოდნენ ნათესავები [9, 138]; თანამედროვე, XXI საუკუნის პირველ დეკადაში, საფიქრებელია, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ზოგ რეგიონში (გარდაბანი, მარნეული....) ეს წესები მეტ-ნაკლებად სახეცვლილი იყოს. მაგალითად, მკვლევარმა ნ. ღამბაშიძემ ქვემო ქართლში, კერძოდ, დმანისის რაიონის მცხოვრებთა მაგალითზე,ქართულ-აზერბაიჯანულ რელიგიურ ურთიერთობებში რამდენიმე ცვლილება შენიშნა. მისი მასალების მიხედვით, ქართველების მოთხოვნით, მიცვალებულის პატივისცემის მიზნით, ცხედარი სასახლითაც დაუკრძალავთ ხოლმე, ქელეხში ქართველებს ღვინით შენდობაც უთქვამთ. როგორც წესი, დღესაც კაცები მიდიან სასაფლაოზე, მაგრამ მთხრობლის ინფორმაციით, თუ ქალმა იძალა, შეიძლება ისიც წაიყვანონ. დმანისელი აზერბაიჯანელის თქმით, მათ ადრე ქელეხი არ იცოდნენ – იკვლებოდა საკლავი, რომელსაც მეზობლებში ანაწილებდნენ. ფაქტობრივად ოფიციალური ისლამი კრძალავს ქელეხს და საკლავის დაკვლას, როგორც სახლში, ასევე სასაფლაოზე, სამგლოვიარო თავყრილობებს გარდაცვალების დროს, გარდაცვალებიდან 3, 7, 40, 52 დღეს თუ წლისთავზე. შესაძლოა ამგვარი წესები სხვადასხვა ქვეყნის მაჰმადიანთა რელიგიურ პრაქტიკაში არსებობდეს, მაგრამ ისინი ოფიციალური ისლამის თვალთახედვით ერეტიკულია. მათ საფუძველი არ აქვთ არც ყუ-

რანში, არც სუნაში, არც წინასწარმეტყველებთან და არც ადრეულ მაჰმადიანობაში [9, 259-260].

ასე რომ, **ქელეხი** სადაური ჩვეულებაა, სად აქვს მას უპირველესი ფესვები გადგმული, ჯერჯერობით მაინც უცნობია, მეტიც: იგი მონოგრაფიულად შესასწავლი თემა გახლავთ. ვფიქრობთ, **ქელეხი** აზერბაიჯანული ენიდან ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობის შემონატანი და დამკვიდრებული უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოში – სალიტერატურო ქართულ ენასა და მის აღმოსავლურ დიალექტებში.

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, აშკარაა, ისტორიულად უცხოური აღმოსავლური ენების გავლენით, „ქელეხ-ი"ჩვენს ქართველურ ეთნოყოფაში ახლად დამკვიდრებული(დაახლოებით ორიოდე საუკუნის) ტერმინია. ეს რომ ასეა, ამას ქართული ენის კახური დიალექტიც ათვალსაჩინოებს. კახელები იტყვიან: **„ღორის ქელეხში ვიყავიო"** – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ (მეზობელმა და ა. შ.) ღორი დაკლა და დამპატიჟაო (აქ ხომ ჭირის სუფრა გამორიცხულია!). თუ ასე გავიგებთ, მაშინ ქელეხი სამგლოვიარო სუფრის მნიშვნელობას სცილდება და სხვა შინაარსს იძენს. ყოველივე ეს კი ორი სხვადასხვა ეთნიკური ტრადიციისა და ორი სხვადასხვა არამონათესავე ენის გვერდიგვერდ თანაარსებობისა და თანაცხოვრების – ინტერფერენციის შედეგია.

რადგან **ქელეხ** სიტყვის წარმომავლობაზე ოდნავი წარმოდგენა მაინც შევიქმენით, ახლა ამ სტატიის დაწერის მიზეზიც ავხსნათ და მის სათაურსაც შევეხოთ – რას უნდა ნიშნავდეს **პოლიტიკური ორქელეხიანობა?**

ცხადია, მე პოლიტიკოსი არ ვარ (არც პოლიტიკოსობას ვაპირებ), მაგრამ, როგორც რიგით მოქალაქესა და მეცნიერს, მაფიქრებს და გულს მტკენს ის სამგლოვიარო სიტუაცია, რაც ქვეყანაში სუფევს. მიმიხვდით, ალბათ, საქმე 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და მით გამოწვეულ ვითარებას ეხება – გამოსავლის ძიებაა საჭირო (თუმცა სხვადასხვაგვარი დიაგნოზი უკვე დასმულია). მართალია, ჩვენ არც მკურნალი ვართ და არც წინასწარმეტყველი, მაგრამ, როგორც მკვლევარი, ერთს მაინც ვიტყვით: გამარჯვებული არ ჰგავს გამარჯვებულს, არც დამარცხებული – დამარცხებულს. მსგავსი რამ „ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (ორიოდე თვის მერე) ბატონმა ლევან ბერძენიშვილმაც ბრძანა (სატელევიზიო გამოსვლისას) – გამარჯვებული

(კოალიცია „ქართული ოცნება“) არ მოელოდა გამარჯვებას, დამარცხებული („ნაციონალური მოძრაობა“) – წაგებასო. მაგრამ თვეები ისე გაილია, რომ შედეგი, რასაც მოსახლეობას სურდა, არ ჩანს. სანამ ჩემს საბოლოო შეფასებას ვიტყოდე, მანამ წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ ანუ ოქტომბრამდელ და ოქტომბრისდროინდელ ბოლო ქართული საპარლამენტო არჩევნების „ორ საქელეხო“ ფაქტზე მოგითხრობთ:

ფაქტი 1: არჩევნების დღემდე რამდენიმე დღე რჩებოდა, როცა საღამო ხანს, შებინდებისას,სამსახურიდან შინ მივედი. ერთ-ერთი თექვსმეტსართულიანი სახლის მიმდებარე გარაჟების რომელიღაც ავტოფარეხიდან ხმაურ-ხორხოცი მომესმა. ტრანსპორტიდან ჩამოსვლისა და ეზოში ფეხის შედგმისთანავე მეზობელი მამაკაცები ერთ-ერთ გარაჟთან შეკრებილიყვნენ – „კორპუსელი ნაციონალები“ რაღაცას აღნიშავდნენ. ყველაფერი ცხადი იყო: ისინი 1საოქტომბრო გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ (ასეთი რამ ადრეც ყოფილა და არ გამკვირვებია). „ნაცპარტიული და მუქთა“ ღვინის, ხორცეულის, მწვადების სუნი ჰაერში ტრიალებდა. ერთ-ერთი მეზობლის შვილი, რომელიც ახლაც პატრულში მუშაობს, ხმამაღლა ეპატიჟებოდა გამვლელ-გამომვლელ მომხრე-თავისიანს.

ეს ამბავი მეორე თუ მესამე დღეს ჩემს მეგობარს, კოლეგა „ოცნებელს“ და ამ კოალიციის აქტიურ მხარდამჭერს ვუამბე – მეზობელმა ნაციონალებმა წინასწარ ქეიფით აღნიშნეს გამარჯვებამეთქი. მან, „ოცნების“ გამარჯვებაში დარწმუნებულმა, სარკაზმულად ჩაიცინა – **„ქელეხი გადაუხდიათო“**.

1 ოქტომბერს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. მართალია, ბევრი ხმა დაკარგეს, კარგად ვერ იმუშავეს, მაგრამ სამაგიეროდ ხალხმა მოინდომა და ხმა მათ კი არა, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მისცეს – მოკრძალებული გამარჯვება ხომ მაინც გამარჯვებაა. 3 თუ 4 ოქტომბერს ზემონახსენებმა ჩემმა კოლეგამ გარდაბნის ერთ-ერთი ქართული სოფლიდან სრულიად მოულოდნელად, შუადღისას, დამირეკა, იქნებ თბილისიდან სოფელში გამოხვიდე – „ოცნების“ გამარჯვებას აღვნიშნავთო. წასვლა დამეზარა, მაგრამ ჩემი მხრიდან წაუსვლელობაც არ იქნებოდა. მისვლისას საოცარი სიტუაცია დამხვდა. მთელი სოფელი შეკრებილიყო „ქართული ოცნების“ მიერ დაქირავებულ საარჩევნო ტრანსპარანტებით მორთულ ორსართულიან სახლში: ვინ სახლში გაშლილ სუფრასთან ქეიფობდა მეორე სართულზე, ვინ – პირველზე და ვინ –

ეზოში მოთუხთუხე ქვაბებთან. სუფრასთან ვიღაც ადგილობრივი „გამარჯვებული“ წამოაყენეს, ადგილი დაათმობინეს, მის ადგილას მე დამსვეს (სოფელს წყალი საერთოდ არ ჰქონდა და სხვისი თეფში და ჩანგალი თვითონ...ღვინით გავრეცხე). „მეოცნებეები“ და მათი მხარდამჭერები კარგა შემთვრალიყვნენ. ვიღაცამ ბოდიშიც კი მომიხადა საზეიმო სუფრასთან ლამის მთელი სოფლის ყველა მამაკაცის მოსვლის გამო – ამდენ ხალხს ჩვენც არ მოველოდითო. ნახევრად მოცარიელებულ სუფრაზე ერთი-ორი სადღეგრძელო ვთქვი, იქ მოქეიფე მღვდელიც შევაქე (აქტიურობის გამო), მერე იქიდან ისე გამოვედი, რომ ვერც ვერავინ გაიგო და ჩემს ავლაბრელ კოლეგასთან ერთად შეუმჩნევლად გამოვედით, მიკროავტობუსში ვდურთეთ თავი და იქ, მასთან, ავლაბარში აღვნიშნეთ „ოცნების“ გამარჯვება.

ფაქტი 2: არჩევნების შემდეგ გავიდა ერთი კვირა, ორი, სამი, ოთხი, ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე.... ჩემი კორპუსელი ნაციონალი მეზობლები „ოცნების“ გამარჯვების გამო მწუხარენი, გულშეღონებულნი, სახეჩამომტირალნი, ყურებჩამოყრილნი, ცხვირჩამოშვებულნი, უსასოოდ, უიმედოდ დღემდე დალასლასებენ (განკითხვის შიშით, რა თქმა უნდა).გარდაბნელ კოლეგას შევეხმიანე, როგორა ხარ, რას შვრები, მანდ რა ხდება-მეთქი (თუმცა ტელევიზიით გარდაბნელთა სამწუხარო „ესემესებს“ „აქუბარდიას საოჯახო ტელეარხი“ ყოველ საღამოს მაინც მოძრავი სტრიქონების საშუალებით მაყურებლებს ატყობინებდა: „გვიშველეთ, ხალხოო, ხალხი არა ხაართ, სოფელ გამარჯვებას 1 ოქტომბრიდან არც წყალი, არც დენი არც გაზი არ მიეწოდებაო!). ჩვენმა კოლეგამ – აქტივისტმა „მეოცნებემ“ სიმწრის სიცილით მობილურ ტელეფონში ჩამძახა:„ოცნებამ“ „კარდაკარის“ ფულიც არ მოგვცა, გახსოვს, მაშინ რომ გითხარი, შენმა მეზობელმა ნაციონალებმა ქელეხი წინასწარ გადაიხადეს-მეთქი, ახლა ჩვენ დაგვიდგა ქელეხის დღეებიო – ოცნება ოცნებად დარჩა, ჩვენმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ვერ გაიმარჯვა, აქ ნაციონალები დაპარპაშებენ:უარეს დღეში ვართ – 1 ოქტომბრის მერე დენიც გაგვითიშეს, წყალი ხომ ისედაც არ გვქონდა, გაზიც შეგვიწყვიტეს და ვართ ამ ყიამეთშიო.

პოლიტიკური ორქელეხიანობა კი დღემდე არა და არდამთავრდა. მე, ჩემდათავად,სხვებთან ერთად ჩემი თავიც მეცოდება – „ერთჯერადი ხელსახოცივით“ ნახმარ-გამოყენებული და ოცნებისაგან მოტყუებეული ნაოცნებარი გამრჯე ქართველი „ოცნებე-

ლებიც“ და ჩემი კორპუსელი და კარის მეზობელი „ნაციონალებიც“ (აქამდე ისინი მაინც იყვნენ „გახარებულნი“).

მათ – ორივე მხარეს რომ ვუყურებ, ყოველდღიური შეხვედრისას, ქელეხში კი არა, პანაშვიდზე მგონია თავი.

ახალი, **2013 წლის დადგომისთანავე** დამდეგი წლის სადღეგრძელოში ორქელეხიანობის არგამარჯვებაც ჩავატიე, ცხადია, ერთ ჭიქაში!

რა დროს ქეიფია, მოუკვდა პატრონი!...

(**შენიშვნა:** დაიწერა **2013 წლის 10 იანვარს**).

მინაწერი 1: გავიდა ერთი წელი პოლიტიკური ორქელეხიანობისა, რომელიც უცხოური ტერმინით **კოჰაბიტაციით** მონათლეს. კოალიცია „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ამომრჩევლებისა თუ მთელი მოსახლეობის გასაგონად დაბეჯითებით ღაღადებდა: ხმა მომეცით, არჩევნებზე მოდით. 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დამთავრდებაო. ვინც დაუჯერა – დაუჯერა, ვინც არადა...

მინაწერი 2: დადგა 2014 წლის 1 იანვარი. ნირწამხდარმა წინა წელმა ჩაილულის წყალი დალია. 2014 წელი ახალ-ახალი შინა და გარე პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის დაკნინების ფონზე ჩაფიქრებული და შექეიფებული შემობრძანდა ასიათასობით ჩინური მაშხალის თანხლებით. თბილისის ცაზე ისეთი შედლუხი იყო გამართული მოზეიმე თავქეიფა ქართველებისა, რომ ხუმრობა იქით იყოს და..., ასე რომ ჩვენებს 2008-ში ცხინვალთან ებრძოლათ, მტერი ცხრა მთას იქით იქნებოდა გადარეკილი, მაგრამ მოხდა პირიქით – იქიდან გამოქცეული ჯარის ნაფლეთები დიდ დიღომთან გამაგრდნენ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ქალბატონის „ნარნარა“ შეძახილის ფონზე: – „ნუ გეშინიათ, თბილისელობო, მშვიდად დაიძინეთ, რუსის ტანკებმა ორჭოსანში გადაუხვიესო“.

მას აქეთ... სულ ასე გადახვეულნი ვართ – ორჭოსანს იქით და ორჭოსანს აქეთ...

მას მერე...თბილისს მართლაც „მშვიდად“ ძინავს – ქვეშაგებლად ორქელეხიანობა აქვს (ისე როგორც მთელ საქართველოს), ქართული კოჰაბიტაცია – ზეწრად, ხოლო ხალხის ოცნება კვლავ ჩაილულის წყალს სვამს. აბა, რა ქნას ხალხმა, კოჰაბიტაციურ ევროპულ მარილს ძალზე მოწყურება სცოდნია და....

„რა გითხრათ, რით გაგახაროთო“... გვითხრა ახალმა 2014 წელმა დიდი ილიას სიტყვებით და თავი ჩაქინდრა.

– ემანდ, ჯო, ეგ თავის ქინდვრა ძილქუშში არ გადაგეზარდოსო, შეუძახეს ერთხმად „ჩაილულის წყლის დასალევად“ განწირულმა „მეოცნებე“ და „არამეოცნებე“კახელმა მეზობლებმა – წყალობა წყალაფორეთელმა და მიხო კონდოლიზელმა „ღმერთო, შემიწყალეს“ ხმაზე და თავთავიანთ ქართულ ოცნებებში ჩაიძირნენ.

ყველამ ვიცით, ჩაძირულის ამოყვანა ძნელია – კაცისაც და გემისაც, თუმცა გემი „დალანდი“ და კაცობა, სხვაგვარად, ფიგურულად, „სიტყვის პატრონობა“ რომ ჰქვია, დღეს „ზევით“ აღარავის ახსოვს. რას იზამ! მეხსიერება ზოგჯერ მოკლეცაა, ნამგალივით...

სიტყვა ნამგალმა ამ ახალ წელს ქართული ხალხური სიმღერა გამახსენა: „ნამგალო, ჩემო რკინაოოო“ – ნეტავ სკოლის მოსწავლეებს თუ ასწავლიან ამ ლექს-სიმღერას?!

რომ ასწავლონ რა, მერე? ნამგალი რომ თვალით არ უნახავთ? სამაგიეროდ ევროკავშირის „ბეგრაუნდ სიკეთეებს“ ვეზიარებით. ვიცით ნეოლოგიზმები, პოლიტიკური და ჟარგონული გამონათქვამები და სოციონიმები: **კოჰაბიტაცია** (ზოგი ჟურნალისტი, ე. წ. „ექსპერტი“და პარლამენტარი შეცდომით კოაბიტაცას რომ წერს და ამბობს), „სამიტი“, „ნაცმოძი“, „ქოცები“, „ნაცები“, ქოცნაცი ან ნაცქოცი (ყოფილი „ნაციონალი“ „ოცნებაში“ გადასული), „თინეიჯერიზაცია“, „ვარდების რევოლუცია“, „ეთნიკური უმცირესობა“, „სექსუალური უმცირესობა“ და ისიც, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება (ნაცმოძრაობის ლოზუნგი) და ახლა ისიც, რომ თურმე 2014 წელს, „ვინცხა იმისი არ იყოს“, „საბჭოური აზროვნება“ დასრულდება (კოალიცია „ქართული ოცნება“).

ლამის ერთაზროვან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ყბაახვეული და პირამოკერილი სამართალი დღემდე პურისჭამას ელის. და თუ უახლოეს მომავალში მაინც „სამართლიანობის არასაიდუმლო სერობა შედგება“, არაა გამორიცხული, იგი 1500 წლის წინანდელ შუშანიკ დედოფლისა და ვარსქენ პიტიახშის პურისჭამის ვარიაცია გამოდგეს. ამ სენის გამონაყარი (მუწუკები) პოლიტიკურ ორქელხიანობის ტანზე უკვე მოჭარბებულად აქვს, რომელიც„მწიფობისთვეში“ თავისით გასკდება.

აი, მაშინ იქნება ქელეხი თუ იქნება.

დამუწუკების გვეშინოდეს! პოლიტიკური დამუწუკებისა!

მანამდე კი... სამართლიანობის აღსრულების მოლოდინში სკდება და სკდება ქართულ ცაში ნეოკოჰაბიტაციური ჯოჯოხეთის მაშხალები!

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა :

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, ტ. 7. 1962.
2. ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, თხზულებანი, ტ. IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი, 1965.
3. Русско-грузинский словарь, новосоставленный по новейшим русским словарям Д. Чубиновым, СПб., 1886.
4. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.
5. მენთეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1943.
6. ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექიკონი), მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1986.
7. გაგულაშვილი ი., ქართული გვარები (ძირითადი ლექსიკური ფონდი); საკუთარი სახელები (ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი), ქუთაისი, 1993.
7. ხუციშვილი ქ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, გამომცემლობა კავკასიური სახლი, თბილისი, 2006.
8. სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, ლ. მელიქიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
9. ღამბაშიძე ნ., ქართულ-აზერბაიჯანული რელიგიური ურთიერთობები ქვემო ქართლში დმანისის რაიონის მაგალითზე, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1 (11), თბილისი, 2012.

Badri Tskhadadze

Professor of the Georgian Technical University

Political Dual Funeral Repast in Georgia

Summary

In the article in the format of political pamphlet political processes taking place in Georgia, the harmful results of " Georgian " cohabitation and its subsequent period, the deflated hopes of deceived voters awaiting the triumph of justice and law, the polarized picture of political-sociological behavior-coexistence of government and society, and such unusual situation are being considered when the voter feels beaten whereas the winner does not exist.

So the **political dual funeral repast** is a political crisis inspired, imposed upon Georgian nation from outside, grief aroused by breaking-disappointing the voters' hopes due to the inactivity of two major political forces in government.

გურამ ყორანაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ერაზმ როტერდამელის „ქება სისულელისას“ გამოცემის შესახებ

გამოჩენილი ნიდერლანდელი მოაზროვნის ერაზმ როტერდამელის (1469-1536 წწ.) ყველაზე ფასეული წიგნის – „ქება სისულელისას“ უთარგმნელობა და გამოუცემლობა ქართული კულტურისათვის უდავოდ თვალში საცემ ხარვეზს წარმოადგენდა. საბედნიეროდ, იგი (ეს ხარვეზი) შეავსო ფილოლოგოსმა ლალი კოჭლამაზაშვილმა, რომლის თარგმანიც თსუ-ის გამომცემლობამ დასტამბა 2002 წელს. როგორც ჩვენს საკმაოდ მდიდარ მთარგმნელობით ტრადიციას შეეფერებოდა, ეს მოხდა უშუალოდ ორიგინალის (ლათინური) ენიდან. გამოცემას თან ახლავს ფართო წინასიტყვა და ვრცელი კომენტარები, შესრულებული თვითონ მთარგმნელის მიერ. მოგახსენებთ იმასაც, რომ ერაზმ როტერდამელის „მშვიდობის ჩივილის“ ისტორიკოს, მედიევისტ გურამ კუტალაძისეული ქართული თარგმანი (ცხადია, ასევე უშეუალოდ ლათინურიდან) დაიბეჭდა 1993 წელს.

ხუთი წლის შემდგომ, 2007 წელს, დასახელებული თხზულება „შესხმა სისულელისას“ სათაურით გამოსცა გამომცემლობა „ბაკმმა“, რომლის მთარგმნელი გახლდათ ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი. რასაკვირველია, ერთი შეხედვით, მსგავსი რამ მისასალმებელია. არადა, ამ თარგმანისათვის, ანუ როგორც გურამ გოგიაშვილი იტყვის და წერს ხოლმე, „გადმოენებისათვის“ ჩვენს საზოგადოებრიობას ყურადღება არ გამოუჩენია. თუმცა, კი ღირდა, უთუოდ ღირდა ამის გაკეთება, რადგან თავისებურად იგი გაფრთხილებაა არის იმისა, თუ როგორ არ უნდა დაიბეჭდოს წიგნი.

დავიწყოთ იმ გარემოებით, რომ მთარგმნელი ანუ „გადმოემნებელი“ ვირეშმაკურად იქცევა: როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ისე აჩვენებს, რომ თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ორი-

გინალის ენიდან, ანუ ლათინურიდან. მაგრამ ასე როდია. ეს „წიგნიც“, ისევე როგორც გურამ გოგიაშვილის სხვა თარგმანები, რუსული ენიდან არის გადმოღებული.

კითხვა ისმის: მაშ რა გაუჭირდა მთარგმნელობითი ტრადიციის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარ ჩვენს ქვეყანას ისეთი, რომ დიდებული ნაწარმოების ორიგინალის ენიდან უშუალოდ თარგმნა („გადმოენება“) ამჯერად ვერ მოხერხდა? მით უმეტეს, რომ მანამდე, ხუთი წლით ადრე, ხომ ადგილი ჰქონდა „სისულელის ქების“ უშუალოდ ლათინური ენიდან ქართულად გამოღებას?

ვაწყდებით მთარგმნელის („გადმოემნებლის“) ტექსტზე არნახულ თვითნებობას. ნაწარმოები იწყება ერაზმ როტერდამელის შეხედულებით ნამდვილ მეფესა და კანონებზე, რაც ორიგინალში გამორიცხულია. ამასთანავე, თითოეული თავისათვის თანდართულია დასათაურებანი, რაც ასევე მთარგმნელ-„გადმოემნებლის“ თვითნებობაა, თუმცა VIII, XII, XXV, XXXIII, XXXVI, XXXVII, XLI, XVV და LXIII თავები სათაურების გარეშეა წარმოდგენილი. საკმაოდ ვრცელი XLIV თავი კი უკომენტაროდ არის დატოვებული. გვხვდება ბოლონასიტყვიც, რაც „გადმოემნებლის“ „თვითშემოქმედებას“ წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ერაზმ როტერდამელის „ქება სისულელისა“ რთული ნაწარმოებია და შესაბამისი ისტორიული, სოციალური და იდეური კონტექსტის უჩვენებლად მკითხველებს ძალზე გაუჭირდებათ მისი სერიოზული გაგება-გააზრება. მაგრამ, ეტყობა, „გადმოემნებელსაც“ და წიგნის რედაქტორსაც (გამომცემელი ბონდო მაცაბერიძე) ეს გარემოებაც ნაკლებად ადარდებდათ. დავუშვათ, მათ არ ხელეწიფებოდათ ნაწარმოების წინასიტყვის დაწერა, მაგრამ ნუთუ საქართველოში ერთი მედიევისტიც კი ვერ მონახეს, ვისაც ასე თუ ისე შეეძლო ამის აღსრულება? ამის სანაცვლოდ ვხედავთ, რომ გ. გოგიაშვილისეულ ქართულ თარგმანში რუსულად 1983 წელს თარგმნილი „ქება სისულელისაზე“ (პ. გუბერის მიერ) თანდართული ფილოლოგოსისა და ისტორიკოსის ლეონიდ პინსკის წინასიტყვის მხოლოდ ორი დასაწყისი აბზაცი ფიგურირებს, თანაც სულ ბოლოს. აღნიშნულ ხარვეზს სრულიადაც ვერ ავსებს შტეფან ცვაიგის წიგნიდან (რუსულად ნათარგმნიდან) „ტრიუმფი და ტრაგედია ერაზმ როტერდამელისა“ მოტანილი რამდენიმე ამონარიდი.

ერაზმის ამ ქართულ გამოცემას დართული აქვს „შენიშვნები და განმარტებანი.“ისე ჩანს, რომ ეს აღუსრულებია თვითონ ვირეშმაკა „გადმოემნებელს.“მაგრამ მსგავსი რამის შესრულება მას

ისევე არ შეძლო, როგორც ტექსტის ორიგინალის (ლათინურ ენაზე) წაკითხვა. აშკარაა, რომ გ. გოგიაშვილს შენიშვნები და განმარტებანი დაურთავს ძირითადად რუსული, 1983 წლის გამოცემის მიხედვით, რაც შესაბამისად გაკეთებული ჰქონდა ლეონიდ პინსკის. აქა-იქ გამოუყენებია შესაბამისი მონაცემებიც „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“ (სხვა შორის, გამოტოვებულია 44-ე თავის კომენტარები).

ყოველივე ზემოაღნიშნულს დავუმატებთ მძიმე ენას, გადავსებულს უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლო ენობრივი ნოვაციებითა და იშვიათი ქართული სიტყვებით, რომელთა გასაგებადაც ქართული ენის ლექსიკონებია საჭირო. ამდენად, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით (ანდა დავწერთ), რომ მსგავსი სახის გამოცემის რეკომენდირება სტუდენტებისათვის საწაკითხად ან სასემინარო სამუშაოსათვის სწორედ მათს დასჯას ნიშნავს.

შედეგად მოვიდა თავისებური „დომხალი“, სავსე „გადმოენებლის“ უმეცრება-სისულელეებით, რაზედაც სპეციალურად შევჩერდებით.

მაშ დავიწყოთ. გ. გოგიაშვილის – „თვალსაჩინო“ საბჭოთა იდეოლოგოსის, ჟურნალ „პარტიული ცხოვრების“ რედაქტორის „ერუდიცია-განსწავლულობის“ ჩვენებით.

ანტიკური ეპოქის ცნობილი ბერძენი ფოლოსოფოსი დემოკრიტე თურმე დაახლოებით 470-380 წლებში ცხოვრობდა (გვ. 185). საინტერესოა, რა შრომა-რუდუნება გასწია „გადმოემნებელმა“ ამ თარიღების ამგვარად წარმოსადგენად. დღემდე კი ვიცოდით, რომ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა დაახლ. 460-370 წლებში. მაგრამ რაც უფრო მეტად გამაოგნებელია, გ. გოგიაშვილის „ფილოსოფიური განსწავლულობის“ თანახმად, დემოკრიტე ყოფილა... ფილოსოფიური მატერიალიზმის ფუძემდებელი (აქვე). მაგრამ ხომ არაფილოსოფიური ფაკულტეტების სტუდენტებმაც კი კარგად უწყიან, რომ მსგავსი რამის თქმა (ან დაწერა) დიდი უაზრობაა. დემოკრიტეს მიმართ უნდა აღინიშნოს – ატომისტიკის ფუძემდებელი.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ ასეთ აბსურდსაც: „ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში სიბრძნე განყენებული ცნება კი არ იყო, რაღაც მისტიკურ არსებას განასახიერებდა, რომელიც მართავდა სოფელ-ქვეყანას“ (გვ. 188). ასევე გაუგებარია ენთიმემის გურამ გოგიაშვილისეული განმარტება: „გამონათქვამი, რომელსაც 2 ან 3 სხვადასხვა აზრი აქვს“ (გვ. 198).

ლუკიანე თითქოს ცხოვრობდა დაახლ. 125-165 წლებში (გვ. 185), რაც აშკარად მცდარია და უნდა იყოს: დაახლ. 120-180 წლის შემდეგ. თანაც თურმე უკანასკნელი დაბადებულა კუნძულ სამოსზე, მაშინ როდესაც ეს მოხდა სირიის ქალაქ სამოსატაში. გვიანანტიკური ხანის ცნობილი მოაზროვნის, უნიჭიერესი სატირიკოსის მთავარი დამსახურება ყოფილა „თავისი დროის ხალხური რელიგიის განქიქება“ (კრიტიკა). მაგრამ ლუკიანე ხომ ასევე უდგებოდა საერთოდ რელიგიას – კერძოდ, წარმართობასა და ადრეულ ქრისტიანობას?

კლასიკურ ფილოლოგიაში „დიდად განსწავლულმა“ გურამ გოგიაშვილმა ბერძნული თხზულება „ბატრახომიომახია“ „დაათარიღა“ ძვ.წ. IV საუკუნით (გვ. 185). მისგან განსხვავებით კი ვარაუდობენ ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს, ანდა V ს-ის დასაწყისს. ამასთანავე საკითხავია, იგი წარმოადგენს პაროდიას „ილიადისა“ თუ საერთოდ ჰომეროსის ეპოსისას? რაკი თარგმანში დასახელებული ვერგილიუს მარონი უნდა ფიგურირებდეს სრული სახელით – ვერგილიუს პუბლიუს მარონი, არასწორია მისი ლათინ პოეტად გამოცხადება, უნდა იყოს „რომაელი პოეტი.“ცხადია, მას „ენეიდას“ გარდა სხვა ნაწარმოებებიც ჰქონდა დაწერილი.

იუვენალისის ცხოვრების წლებად მითითებულია 56-132 (გვ. 187). უნდა იყოს: დაახლ. 60 – დაახლ. 127 წლები. აპულეიუს ლუციუსის ადგილას უნდა იყოს ლუციუსი. არაა აღნიშნული მისი ცხოვრების წლები – უნდა იყოს დაახლ. 124 – დაახლ. 180 წლები. არც დაბადება-გარდაცვალების ადგილებია ნაჩვენები, რაც ცნობილი გახლავთ. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის ცხოვრების წლებად მითითებულია 42-17, უნდა იყოს ძვ.წ. 43–ახ.წ. 17 წლები. პლუტარქოს (პლუტარქოსის!) ცხოვრების წლები (დაახლ. 46-125) (გვ. 186) ნაჩვენებია არაზუსტად, რაც, ცხადია, არ უნდა უჩვენებდეს „გადმოემნებლის“ ორიგინალურ მიგნებას. სოფისტ გლავკეს სწორი სახელი გახლავთ გლავკუსი.

გურამ გოგიაშვილს ისოკრატეს ცხოვრების პერიოდი „დიდად შეუმოკლებია“ 436-388, ე.ი. სულ რაღაც 48 წლის განმავლობაში (გვ. 186). მისდა საბედნიეროდ, მან იცოცხლა 98 წელი, ცხოვრობდა 436-338 წლებში. ცხოვრების ხანგრძლივობის შემოკლებასთან ერთად „გადმოემნებელს“ ისოკრატესთვის ღირსება-მნიშვნელობაც დაუკლია: თითქოს იგი ოდენ მჭევრმეტყველების მასწავ-

ლებელი ყოფილა ათენში. ეს მაშინ, როცა უკანასკნელი უპირველეს ყოვლისა ცნობილია როგორც გამოჩენილი პუბლიცისტი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თუ გურამ გოგიაშვილს დავუჯერებთ, ეგვიპტეს ერთ დროს მართავდა ტირანი ბუსირისი (გვ. 186). მაგრამ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ამ ქვეყანაში მმართველობის ასეთი ფორმა გამოირიცხებოდა, არსებობდა დესპოტია.

სოფისტებიდან ცნობილია პოლიკრატე და არა პოლიკარტე (იქვე).

დიდ ბერძენ ფილოსოფოს პლატონს თურმე დაუწერია დიალოგი „რესპუბლიკა.“ხომ დიდი „მიგნებაა“ პლატონის მიერ ლათინური, რომაული ტერმინის გამოყენება? ცხადია, უნდა იყოს „სახელმწიფო.“გ. გოგიაშვილის თანახმად, თარგმანში ფიგურირებს „ფავორინუს არლეტელი“ (გვ. 186), უნდა იყოს არელატელი ანდა არლელი.

ამავე გვერდიდან „ტერსიტეზე“, სინამდვილეში თერსიტეზე, ვტყობილობთ ვითარცა ბერძენ ჯარისკაცზე, მაშინ როდესაც ამასთანავე იგი ცნობილია, როგორც განსახიერება რიგი კონკრეტული უკეთური ნაშან-თვისებებისა (ფიზიკური სიმახინჯე, უტიფრობა-თავხედობა)

გამოჩენილი რომაელი ფილოსოფოსი სენეკა თითქოს ცხოვრობდა ახ.წ. I საუკუნეში. ჩანს, გ. გოგიაშვილს ამის დასადგენად სპეციალური შრომა-რუდუნება გაუწევია, მაგრამ ამაოდ დამშვრალა. ცნობილია, რომ სენეკა დაიბადა ძვ.წ. 4 წელს, ხოლო გარდაიცვალა (ტრაგიკულად დაიღუპა) ახ. წ. 65 წელს (გვ. 187). ნეტარ ჰიერონიმეს ცხოვრების წლებად მითითებულია 330-411, უნდა იყოს დაახლ. 340-420 წწ.

ფრიგიის მეფე მიდასი, გურამ გოგიაშვილის ამჯერად ისტორიაში „ფრიადი განსწავლულობის“ მიუხედავად, სულაც არ ყოფილა მითური პიროვნება (გვ. 187) და სპეციალისტები მას სწორედ რეალურ ისტორიულ პიროვნებად თვლიან.

ასევე ცნობილი ბერძენი კანონმდებელი და პოლიტიკოსი სოლონიც როდი ყოფილა „გალეგენდარებული“, რომელიც ცხოვრობდაო ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარსა და VI საუკუნის დასაწყისში (გვ. 187–88). გვაქვს უფრო კონკრეტული ცოდნა – რეალური ისტორიული პიროვნება, რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ. 640/635 – დაახლოებით 559 წლებში.

სოფისტები თითქოს მხოლოდ ძვ.წ. V საუკუნეში ცხოვრობდნენ, მაგრამ ხომ არსებობდნენ ისინი ძვ.წ. IV საუკუნეშიც. აქ კულტურის ისტორიაში რაღაც ახალ აღმოჩენას ვხვდებით: ეს მიმართულება თურმე აღორძინებულა ახ.წ. II საუკუნეში. ამის კომენტირება კი ზედმეტია.

ორკუსი დასახელებულია რომაელთა სიკვდილის ღმერთად (გვ. 188). გურამ გოგიაშვილის მიხედვით, მას ადამიანთა აჩრდილები (და არა სულები!) მიჰყავს მიწისქვეშა სამყაროში. მაგრამ ვიცით, რომ იგი იყო მიწისქვეშეთისა და წყვდიადის ღვთაება. „ორკუსი“ ასევე აღნიშნავდა მიწისქვეშეთსაც, ჰადესს, გარდაცვლილ სულთა სამყოფელს.

ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, თუ როგორი ფილოსოფიური განათლება ჰქონია გურამ გოგიაშვილს და როგორ წარმოგვიდგინა მან დემოკრიტე. 188–ე გვერდზე კი იგი გვამცნობს – თალესი „ბერძნული მეტაფიზიკური ფილოსოფიის“ მამამთავარი ყოფილა. რა კომენტარები უნდა გაკეთდეს ამგვარ სისულელეზე?!

ჰესიოდე თითქოს ცხოვრობდა ძვ.წ. VIII საუკუნეში, სინამდვილეში კი ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა VII საუკუნეში. არისტოფანე კი თითქოს V-IV საუკუნეებში ცხოვრობდა, მაგრამ ცნობილი გახლავთ შესაბამისი, უფრო კონკრეტული ხასიათის დათარიღება – დაახლ. 445–338 წლები. თუ „გადმოემნებელ“ გურამ გოგიაშვილს ვერწმუნებით, პითაგორა ძვ.წ. VI საუკუნეში ცხოვრობდა. ასევე გვაქვს უფრო კონკრეტული თარიღი – დაახლ. 570 – დაახლ. 500 წლები.

მთლად გამაოგნებელია ისეთი რამ, რაც სწორედ რომ „ქება სისულელისას“ მთავარ მოქმედ პირს – სისულელის ქალღვთაებას (სხვათა შორის, ბერძნებს იგი არ ჰყოლიათ და იგი ერაზმ როტერდამელის აზრია) რომ შეეფერება – ლუკრეციუს კარუსის ცხოვრების წლები (ძვ.წ. 95-90) (გვ. 189). გამოდის, რომ მას ხუთი წლის ასაკში მოუსწრია გამოჩენილ ფილოსოფოსად გამხდარიყო. სერიოზულად რომ აღვნიშნოთ, უნდა იყოს დაახლ. 95–55 წლები.

გურამ გოგიაშვილი თავის ვერსიას გვთავაზობს სოფოკლეს ცხოვრების შესახებაც – ძვ.წ. 475-405 წლები. უნდა იყოს დაახლ. 497-406 წლები. ამასთან დაკავშირებით მისეული ტრაგედია „აიაქსის“ ნაცვლად უნდა ფიგურირებდეს „აიანტი.“პლავტუსის ცხოვრების წლების (254-184) სანაცვლოდ უნდა იყოს: დაახლ. ძვ.წ. 250 – დაახლ. 184 წლები.

გეოგრაფიაშიც ასევე, როგორც ისტორიაში, „განსწავლულ“ გურამ გოგიაშვილის საწინააღდეგოდ, ნესტორი მეფე იყო არა „მისენიის პილოსში“, არამედ მესენიის ქალაქ პილოსში.

„გადმოემნებელს“, ამასთანავე კომენტატორს, ჰერმეს//მერკურისათვის საუფლოდ მჭევრმეტყველებაც ბოძებია (გვ. 191), რაც არასწორია. ბერძნების დაცინვა–გაკილვის ღმერთი აღნიშნულია სახელით „მომე“ (აქვე), მომოსის მაგიერ (ჩანს, თავი იჩინა გურამ გოგიაშვილის ქვეცნობიერმა სფერომ!). თურმე „სქოლასტიკური ლოგიკაც“ არსებულა (გვ. 192). განა იმხნად სხვანაირი, ფორმალური ლოგიკის გარდა, ლოგიკაც არსებობდა?

ძველბერძენ პოეტ არქილოქეზე კომენტარში (გვ. 193) არასწორად არის ნაჩვენები ცხოვრების ხანა, მისი შეფასება, როგორც ოდენ სატირიკოსი პოეტისა და ბრძოლის ფაქტისა (თითქოს ფასიტებთან, უნდა იყოს თასოსელები).

თურმე დიდი სოკრატე „ბრძენის“ ტიტულის გარდა (თუმცა ბერძნებს იგი შვიდ ბრძენში არ შეუყვანიათ) თავის დიდებას უნდა უმადლოდეს პლატონსა და ქსენოფონტეს, ვინაიდან თვითონ საერთოდ არ წერდა (გვ. 193). ნუთუ მიზეზი მხოლოდ ამ გარემოებაში (პლატონსა და ქსენოფონტეში) არის მოსაძებნი? თუ ასეა, მაშინ გურამ გოგიაშვილს ვურჩევთ, გამოძებნოს ერთი ან ორი თავისნაირი დონის პირი, რომლებიც კერძოდ მის უბადრუკ ჟურნალისტურ „შემოქმედებას“ უკვდავყოფენ. მით უმეტეს, რომ ეს საქმე მათ გაუადვილდებათ – სოკრატესაგან განსხვავებით ხომ გურამ გოგიაშვილს აქვს ნაწერები და „გადმოენებანი“?

თეოფრასტეს ცხოვრების თარიღებად გურამ გოგიაშვილს ნაჩვენები აქვს 371–286 წლები (გვ. 193). უნდა იყოს დაახლ. 372 – დაახლ. 287 წლები.

„წიგნში“ ფრიად დაკნინებულია ძმები გრაქხუსების ღვაწლიც – თურმე ისინი ცდილობდნენ ე. წ. აგრარული კანონების გატარებას (გვ. 194). რა შუაშია აქ ე. წ.? გარდა ამისა, ნუთუ მათ არ გაუტარებიათ სხვა დემოკრატიული კანონები? ამასთანავე, ვხვდებით მათი მოღვაწეობის სხვა ფაქტებსაც.

რომაელი იმპერატორისა და ფილოსოფოსის, მარკუს ავრელიუსის გვარ-სახელში ანტონიუსი კი არ უნდა ფიგურირებდეს, არამედ – ანტონინუსი. ამგვარი შეცდომის დაშვებისას სტუდენტები – მომავალი ისტორიკოსები გაკიცხვას იმსახურებენ. აღნიშნული პიროვნების მთავარი ნაწარმოების სახელწოდება კი „გადმოემ-

ნებელს“ ასე გადმოუცია: „საკუთარ თავს“. მაგრამ მისგან განსხვავებით, როგორც ვიცით, ქართულში დამკვიდრებულია „ფიქრები“. კომოდუსიც მარკუს ავრელიუსის შვილობილად არის ქცეული, ე.ი. ეჭვია შეტანილი მის მარკუს ავრელიუსისეულ შვილობაში. ასე რომ, მარკუს ავრელიუსი და კომოდუსი, ანდა მათი შთამომავლები რომ ამჟამად ცოცხლები იყვნენ, ჩვენი „ძვირფასი“ გურამ გოგიაშვილი დიდ სასამართლო დავიდარაბას გადაეყრებოდა.

„გაისტორიკოსებული“ გურამ გოგიაშვილის მიხედვით, ლიკურგე ცხოვრობდა ძვ.წ. XI საუკუნის დასასრულსა და X საუკუნის დასაწყისში (გვ. 196). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მცირე დროის განმავლობაში ლიკურგეს მაინც მოუსწრია სპარტაში დიდ საკანონმდებლო, რეფორმატორული მუშაობის ჩატარება. ისე, საინტერესოა, თუ როგორ მოახერხა კრეტის მეფე მინოსმა (სავარაუდოდ ცხოვრობდა ძვ.წ. XVII-XVI სს.) „სპარტის მსგავსი დაწესებულებების შექმნა“ (იქვე)?

196-197-ე გვერდებიდან ვტყობილობთ, რომ დეციუსების საგვარეულოს სამი თაობის წარმომადგენლებს (ძვ.წ. IV-III სს.) თავი შეუწირავთ რომის რესპუბლიკისათვის. მაგრამ რომში ხომ რესპუბლიკა არსებობდა ძვ.წ. 510 თუ 509 წლიდან მოყოლებული ძვ.წ. I საუკუნის თითქმის ბოლო მესამედამდე. მაშ რას გულისხმობს „ბრძენი და გაისტორიკოსებული“ გურამ გოგიაშვილი?

197-ე გვერდზე გულდაჯერებითაა მოთხრობილი ლეგენდა მარკუს კურიციუსის შესახებ, მაშინ როდესაც ტიტუს ლივიუსი ამაზე უფრო ფრთხილად, რეალისტურად ჰყვებოდა („რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან“, წიგნი VII, 6 (1).

თურმე ქსენოკრატე ქალკედონელი ყოფილა სახელის მიმცემი აკადემიად წოდებული ფილოსოფიური სკოლისა (გვ. 198). კვლავაც გავიმეორებთ: პლატონი რომ გაცოცხლდეს, მსგავსი საავტორო უფლების უხეში დარღვევისათვის ჩვენი გრაფომანი სასამართლო წესით მკაცრად დაისჯებოდა.

„გადმოემნებლის“ მიხედვით, თურმე ქალდეველთა (ქალდეელთა) პერიოდის ბაბილონში (!) პირველად გაჩენილა მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ (!) (გვ. 198). ე.ი. ეს მომხდარა ძვ.წ. VII საუკუნეში. ჩანს, ბოლშევიკ-კომუნისტების თვალსაჩინო (ნამდვილად!) იდეოლოგოსს ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია ასტროლოგია (ვარსკვლავთმისნობა) და ასტრონომია, რომელიც, რა თქმა უნდა, ქალდეელებამდე არსებობდა.

ევრიპიდეს გარდაცვალების თარიღად „წიგნში“ ძვ.წ. 406 წლის მაგიერ 401 წელია მითითებული (გვ. 199). მისი ერთ-ერთი ტრაგედიის სახელწოდებაა არა „ბაკქელი ქალები“ (აქვე), არამედ – „ბაკქი ქალები“ (გვ. 199). ამავე გვერდზე კლასიკურ ფილოლოგიაშიც „ფრიად განსწავლული“ გურამ გოგიაშვილი „ლათინ“ (რომაელ) პოეტ „პროპერციუს სექსტუსს“ (სექსტუს პროპერციუსს) მიიჩნევს ჩვენს წელთაღრიცხვამდელ (?!) პოეტად. თუმცა ჩვეულებრივი მოკვდავი ფილოლოგოსების თანახმად, პოეტის ცხოვრების ხანად ძვ.წ. I საუკუნის დაახლ. 50 – დაახლ. ძვ. 15 წლებია მიჩნეული.

მეორასე გვერდზე მითითებულია ბერნარდ (ბერნარ!) კლევროსელის გარდაცვალების თარიღი – 1153 წელი. მაშ რატომ არაა ნაჩვენები დაბადების წელი – 1090?

წმინდა ერაზმი სირიის (მთელი) ეპისკოპოსი როგორ იქნებოდა (გვ. 200)? ასეთი თანამდებობა მას ეკავა შესაბამისი ქვეყნის ერთ–ერთ ქალაქში.

კალიმაქე ალექსანდრიის წიგნთსაცავის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი გადამნახველი ყოფილა (გვ. 203). მაგრამ, ჰოი საოცრებავ! – ამ ფრიად მოკრძალებული თანამდებობის მქონე პიროვნებას მაინც მოუხერხებია ისტორიაში შესულიყო და გურამ გოგიაშვილის საკომენტარო გამხდარიყო!

ამავე გვერდზე „სტენელე“ კი არ უნდა იყოს, არამედ სთენელე („ილიადის“ გმირი). ამასთანავე დიომედე მეფე კი არა, ტროას ომის მონაწილე ერთ-ერთი გმირი გახლდათ.

სციპიონ უფროსი ჰანიბალის წამქცევი ყოფილა (გვ. 203). რა, კასპელი ქალბატონისა არ იყოს, მათ შერკინება ტატამზე ჰქონდათ? (ისე, ვიხალისოთ: გურამ გოგიაშვილის გულთან და გონებასთან ერთობ ახლობელი იოსებ სტალინი ყოფილა ჰიტლერის წამქცევი!).

ქართველი კომუნისტების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგოსის „ფილოსოფიური განათლებულობის“ თაობაზე გარკვეული წარმოდგენა ხომ უკვე შეგვექმნა? დავამატოთ ესეც: სუბსტანცია ოდენ ძველ ფილოსოფოსთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია ყოფილა (გვ. 205)! ამდენად, გურამ გოგიაშვილს ამ მხრივაც დიდი დავიდარაბა შეექმნებოდა შემდგომი ხანის ფილოსოფოსთა მხრივაც.

ამავე გვერდზე ამგვარ განმარტებას გვხვდებით: „აბრასაქსები – ქრისტიანული გნოსტიკური სექტა, შეიქმნა იმპერატორ ადრიანე ბასილიდის (!?) ხანაში. ეს იმპერატორი 365 ცის არსებობას ქადაგებდა. „სასამართლოს გამართვის შემთხვევაში ადრიანე უთუოდ გამართლდებოდა, ხოლო მსგავსი აღმოჩენის ავტორობა კი ბასილიდს მიენიჭებოდა.

გურამ გოგიაშვილს, 208-ე გვერდის მიხედვით, მარკუს ანტონიუსისათვის ვერ გაუმეტებია მხედართმთავრობა და იგი ოდენ იულიუს კეისრის „თანამეოფლედ“ მოიხსენიებია. სხვათა შორის, მეორე ტრიუმვირატის შექმნის დროს ერთ-ერთი წევრი ოქტავიუსის სახელს კი არა, არამედ „ოქტავიანეს“ ატარებდა.

გურამ გოგიაშვილი კვინტილიანის (კვინტილიანეს!) ცხოვრების პერიოდის თაობაზე დაჭეშმარიტებით, კატეგორიულად აღნიშნავს 35-95 წლებს. სპეციალისტები კი ვარაუდობენ დაახლ. 35 – დააახლ. 96 წლებს. იგი ყოფილა რიტორიკული სკოლის ხელმძღვანელი რომში. მაგრამ კვინტილიანეს ღირსება უფრო მეტი იყო – იგი გახლდათ ძველრომაული ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსი. რას გულისხმობს გადმოენებელი „სქოლასტიკოსთა ბარბაროსულ ენაში“ (გვ. 204)?

306-ე გვერდის მიხედვით, ერაზმ როტერდამელის წიგნში თითქოს წმინდა ანტონ (ანტონიუს!) დიდი – მეუდაბნოე-ბერობის ფუძემდებელი იგულისხმება. ნაჩვენები აქვს მისი გარდაცვალების წელი – 356. მაგრამ დავიწყებულია დაბადების თარიღი – დაახლ. 250 წ. მაგრამ სპეციალისტების აზრით, შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს წმინდა ანტონ პადუელი, სახელგანთქმული თავისი მჭევრმეტყველებით. ამავე გვერდზე ნახსენებია „კარტეზენელნი“ კარტეზიანელების მაგიერ.

ამავე გვერდზე მთლად გამაოგნებელ სისულელეს ვაწყდებით: თითქოს ფეაკები ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ტომი იყო. სად, როდის ცხოვრობდნენ? მსგავსი კითხვები ზედმეტია, რამეთუ მითურ ხალხთან გვაქვს საქმე. მაგრამ გოგიაშვილს რომ „ოდისეა“ წაეკითხა, ამას ალბათ შეიყტობდა.

207-ე გვერდის მიხედვით, „ეკლესიასტე“ თარგმნილია მქადაგებლად. უნდა იყოს: შესაკრებელში, საკრებულოში მქადაგებელი. „ქრისტიანობის პირველი დროის“ ნაცვლად (გვ. 208) საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებულია „ადრინდელი ქრისტიანობა“.

აღნიშნულ გვერდზევე ნახსენები არიან ქრისიპე (ქრისიპოსი!), დიდიმე (დიდიმოსი!). მაგრამ მკითხველთათვის გაუგებარი რჩება თუ ვინ იყვნენ, სად და როდის ცხოვრობდნენ ისინი.

208-ე გვერდზე აღნიშნულია მქადაგებელთა ორდენი და მისი დამაარსებელი ვინცენტი. უნდა ფიგურირებდეს: „დომინიკანელთა“, „ბიკენტიუსი“.

ეტყობა, გურამ გოგიაშვილს, მისდა საუბედუროდ, პოსტკომუნისტურ ხანაში ცხოვრებისას, ყური მოუკრავს „საღვთო წერილის“ შესახებ და 209-ე გვერდზე მიუთითებს – ფსალმუნი, XXIV, 7, რაც გაუგებრობას იწვევს – უნდა იყოს ფსალმუნნი ანდა ფსალმუნთა წიგნი.

რა თქმა უნდა, მსგავსი შეცდომების რაოდენობა კვლავაც შეგვეძლო გაგვეგრძელებინა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩამონათვალიც ნათლად წარმოაჩენს გურამ გოგიაშვილის უბადრუკ ერუდიციას, ვირეშმაკულ ხასიათს. თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს არ დასჯერდა რუსი და ქართველი კომენტატორების განმარტებებს და შეეცადა ისინი საკუთარი „თვითშემოქმედებით“ დაეზუსტებინა, ან შეევსო. შესაბამისი „განათლების“ გამოისობით კი, როგორც დავინახეთ, უამრავმა სისულელემ იჩინა თავი.[1] მისეული ასეთი „განსწავლულობა“, უნდა ვიფიქროთ, კომუნისტური წესწყობილების პირობებში სავსებით საკმარისი იქნებოდა შესაბამისი ჟურნალის ან გაზეთის რედაქტორობისათვის, მაგრამ უახლოეს დროში მისი რედაქტორობა ან ერთ-ერთი პასუხისმგებელი რედაქტორთაგანობა „საქართველოს რესპუბლიკისა“, თითქოს, არაკანონზომიერი უნდა იყოს!

დაბოლოს, რაც შეეხება „გადმოემნებლის“ ენას (ქართულს), თუმცა იგი გარკვეულ წრეში კარგად ითვლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც უფრო ჩვენთვის, თანამედროვე ქართველთათვის ჩვეულ ერთ-ერთ მითთან, ლეგენდასთან უნდა გვქონდეს საქმე. „გადმოენებაზე“ (თარგმანზე) უკვე მოგახსენებდით (აქედან გამომდინარე, უნდა დავუშვათ „გადაენება“ (ერთი ენიდან მეორეზე). გვიჩნდება ენობრივი ხასიათის სხვა თავსატეხიც: ვიხმაროთ გადმოენებულ-გადაენებულ და გადმოემნებელ-გა-

[1] ამ მხრივ, შეცდომათაგან უფრო დაზღვეულია ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გურამ გოგიაშვილისეული თარგმანი (ცხადია, რუსულიდან). შენიშვნები რუსული თარგმანიდან არის გადმოღებული, თუმცა, აქაც ისე აჩვენებს, თითქოს ეს მას გაეკეთებინოს.

დაემნებელი? სხვათა შორის, თვითონ გურამ გოგიაშვილი „წიგნის“ დასაწყისში სწორედ „მთარგმნელს“ ხმარობს. ასევე გვხვდება „მთრგმანებელიც“ (გვ. 158).

გვაქვს მშვენიერი სიტყვა „სამყარო“, ლამის ბერძნული „კოსმოსის“ სადარი (ნიჭიერ ფილოსოფოს თამაზ ბუაჩიძის მიხვედრა), მაშ რატომ უნდა შევცვალოთ იგი „სოფელ-ქვეყნით“? „კვერის ხურო“ კი არ უნდა ვიხმაროთ, არამედ „კვერით-ხურო“ (შესაბამისად, კირით-ხურო, ხით-ხურო, ქვით-ხურო). ჰეფესტო ჩუხი (კოჭლი) კი არ იყო, არამედ ჩაუხა. „სწავლება“ აშკარად რუსულიდან გადმოღებული კალკაა, ამ შემთხვევისათვის მშობლიურ, ქართულ ენაზე გვაქვს მამაპაპური „მოძღვრება.“იგივე ითქმის „არგიველზე“, არგოსელის ნაცვლად, „ატიკურ გლეხობაზე“ ატიკელის მაგიერ. „მიმყოლის“ ნაცვლად, ცხადია, სჯობს მიმდევარი. ასევე ითქმის სეხნია/სეხნაზე „ნოვატორული“ „სახელმოდგამის“ ნაცვლად. ვიმეორებთ, „გამარჯვებულის“ „დამამარცხებლის“ მაგიერ უდავოდ უხეიროდ ჟღერს „წამქცევი.“„ბერ-მონაზვნობა“ რატომ უნდა შევცვალოთ „მონაზონ-ბერობად“, თუნდაც ბერობად? „თვალხმიერება“ (თვალხმიერობა!) რატომ უნდა ვამჯობინოთ თვალგამჭრიახობას? „იმპერატორულ ეპოქას“ უთუოდ სჯობია „საიმპერატორო“ ანდა „იმპერატორთა“ ეპოქა. ჩვენში დამკვიდრებული „უმცროსის“ ნაცვლად რატომ უნდა იხმარებოდეს „უმრწემესი“? (სხვათა შორის, თვითონ გურამ გოგიაშვილი ევრიპიდეს მიმართ „უმცროსს“ (სამ დიდ ტრაგიკოსს შორის) ხმარობს (გვ. 199). 189-ე გვერდზე გვხვდება „სტოელნი“, 194-ეზე კი – „სტოიკოსები“, „სტოიკური“. არა გვგონია პერსპექტიული იყოს „ეპისტოლეს“ უსტარით ჩანაცვლება, ანდა „ზენაარსებით“ – ღმერთებისა; „ისტორიის სარკის“ ნაცვლად „ისტორიის მიჭვრიტანა“; ადამიანის გვამის (ეტყობა, გურამ გოგიაშვილი გვამსა და სხეულს (ცოცხალს) სათანადოდ ვერ არჩევს), ასო-ნასხამნის ხმარება – ორგანოების, ნაწილების ნაცვლად. სიტყვა „პწკალს“ ქეგლის VI ტომში შესაბამისი მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ გურულ დიალექტში გვხვდება „პწკალა“, და ა. შ.

პლეონაზმია და უხერხულობას ჰბადებს ერაზმ როტერდამელის მიმართვა ტომას მორისადმი – ვითარცა „სანიაზოს და ნუგბარს“. იგივეს ვიტყოდით „ილიადის“ გმირ სტენტორის შესახებ კომენტარზე – „მეფის მაცნე, მაუწყებელი, შულტა, გზირი, გამყივარი, დიდი ხმით გამოირჩეოდა“ (გვ. 204).

ყოველივე აღნიშნულის გამოისობით მკითხველებს ხშირად უხდებათ თავის მტვრევა მრავალი გურამ გოგიაშვილის მიერ ნახმარი ქართული სიტყვის გასაგებად. ასე რომ, მათ ლექსიკონების ხმარება მოუწევთ. ტექსტიც, რასაკვირველია, ძნელად აღიქმება.

და სულ ბოლოს დავსძენთ: მიუხედავად თვითონ გურამ გოგიაშვილის – „გადმოემნებლის" განცხადებისა, რომ „მით უმეტეს ნურც მთარგმნელს (!) ნუ დააბრალებთ დაუდევრობასა და უგულისყურობას", იგი არამც და არამც არ იმსახურებს ინდულგენციას დაუდევრობის, უგულისყურობის, მეტიც, უვიცობა-უცოდინარობის, თავხედობა უტიფრობის გასამართლებლად. მას ვერ უშველის დიდი ერაზმ როტერდამელის შეგონებაც: „სისულელისა საკაზმ-სანელებელი ყოველგან საჭიროა" (XVI თავიდან).

„გადმოემნებელ" გურამ გოგიაშვილს რომ ოდნავი ღირსება-პატიოსნებისა და თავმდაბლობის გრძნობა ჰქონოდა, ხელი არ უნდა მოეკიდა დიდად ფასეული წიგნის უხეიროდ „გადმოენებისა" და გამოცემისათვის. თუმცა, ვიმეორებთ, მის მცდელობას ერთი პოზიტივი მაინც გააჩნია: სამომავლოდ მავანნი, მისნაირი გრაფომანები, უნდა გაფრთხილდნენ და მოერიდონ ამგვარ წამოწყებას.

Guram Koranashvili

Doctor of Philosophical Science, Professor

About the Georgian Translation of "Prise to stupidity" (published in 1993)

Summary

The author's attitude to the translation is extremely critical. First, it is not done from the original (latin), but from Russian. Second, contain wrong, superficial comments which disorient readers.

In a word, the translation is the very example how the translation should not be done.

უჩა ოქროპირიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

მნიშვნელოვანი ნაშრომი თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ

XX საუკუნის 80-იან წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ, ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და მისი შეუქცევადი რღვევა. აღნიშნული ისტორიული მოვლენის თანამდევი პროცესები ძალზე მტკივნეულად და, ხშირ შემთხვევაში, ტრაგიკულად აისახა ჩვენი სამშობლოს ისტორიაზეც. მასზე მეცნიერულად გამართული, თანამედროვე ისტორიული ხედვის ჩამოყალიბება ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა და მისი აუცილებელი ვალია, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ პრობლემას, ზოგიერთ შემთხვევაში, საბჭოთა ისტორიოგრაფიულ სკოლაგამოვლილ მეცნიერთა ნაწილი, მათთვის შინაგანად და შინაარსეულად ახლობელი, მოძველებული სტერეოტიპების მიხედვით განიხლავენ, რაც სრულიად არ უწყობს ხელს აღნიშნულ პრობლემაზე მართებული, ისტორიული ჭეშმარიტების შემცველი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას.

ძალზე მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული პრობლემის კვლევაზე გამახვილდა დისერტანტთა ყურადღება და ისინი ცდილობენ ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის ხარვეზის შევსებას. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯია სწორედ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნოდარ ლატიბაშვილის მიერ წარდგენილი ნაშრომი: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში **XX** საუკუნის 70-80-იან წლებში (1975-1992 წლები).

აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი ცდილობს თანამედროვე ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით შექმნას ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოცემული ეტაპის არა მარტო პირუთვნელი ისტორია, არამედ მისი სიღრმისეული ანალიზის შედეგად გააკეთოს შესაბამისი დასკვნებიც. როგორც

ნაშრომიდან ჩანს, ავტორს კარგად ესმის საკუთარი პასუხისმგებლობის ხარისხი აღნიშნული ისტორიული მოვლენების კვლევისას და მისი მცდელობა, დაიცვას ობიექტურობა და თან ყურადღების მიღმა არ დარჩეს ამ საკითხის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში მიღწეული უმნიშვნელოვანესი უახლესი შედეგები, ნამდვილად ყურადღების ღირსი და მისაბაძია (დიმიტრი შველიძე, იგორ კვესელავა და სხვები).

ნაშრომში მეცნიერი აკეთებს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მისთვის საინტერესო მონაკვეთის პერიოდიზაციას, რომელშიც, ჩვენი აზრით, სწორადაა გამოყოფილი მისი ცალკეული ეტაპები, მაგრამ როდესაც მის მეორე, 1985-1988 წლების პერიოდზე საუბრობს [1, 5], ჩვენ ვფიქრობთ, ამ ეტაპის დამამთავრებელ ფაზად 1989 წლის 9 აპრილის მიჩნევა უფრო უპრიანი იქნებოდა.

განიხილავს რა საკითხის ირგვლივ არსებულ ვითარებას, ავტორი მართებულად მიუთითებს ზოგიერთ მკვლევართა ტენდენციურობაზე და აღნიშნავს კიდეც, რომ ისინი ვალდებული იყვნენ "ეროვნული ხელისუფლების შეცდომებისა და არასწორი პოლიტიკის გვერდით თანაბრად დაენახათ მისი ოპონენტების შეცდომა-დანაშაულიც" [1, 8].

ნაშრომის ავტორი სათანადოდ აფასებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ი. კვესელავას მიერ ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესასწავლად გაწეულ დიდ შრომას, მიუთითებს მის განსაკუთრებულ ობიექტურობაზე 80-იან წლებში საქართველოში დისიდენტური და ეროვნული მოძრაობის საქმიანობის შეფასებისას, ამასთან აღნიშნავს, რომ "ავტორი არ მალავს ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ ზოგადად მას, ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, დადებითად აფასებს".

მკვლევარ დიმიტრი შველიძის ნაშრომის „პოლიტიკური დაპირისპირება და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)" შესახებ მართებულად აღნიშნავს, რომ "იგი წარმოადგენს მეცნიერული სიღრმით მოვლენების კვლევის მაგალითს, მასში თითქმის სიზუსტით არის შესწავლილი და შეფასებული 1987-1992 წლების მოვლენები. სუბიექტური ფაქტორი აქ თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი და საქართველოს ისტორიის უახლესი მოვლენები... წიგნში მეცნიერული ზნეობითა და პირდაპირობით არის წარმოდგენილი" [1, 9], ამიტომაც სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ დისერტანტის მოსაზრებანი და საბოლოო დასკვნების უმრავლესობა, ზუსტად ამ ნაშრომთა გათვალისწინებით არის დისერტაციაში განხილული და წარმოდგენილი, თუმცა მას აქვს თავისი ორიგინალური ხაზი და მიგნებებიც.

კვლევაში გამოყენებულია ა. ბენდიანიშვილის, გ. შარაძის, აკ. და პ. სურგულაძეების, შ. ვადაჭკორიას, მ. ვაჩნაძის, ა. სონღულაშვილისა და სხვათა ნაშრომებიც. აქვე მითითებულია გრ. ჟვანიას, გ. წიქარიშვილის, უ. ბლუაშვილის და სხვათა ნაშრომების ტენდენციურობასა და ცალმხრივობაზე [1, 10].

იქვე მოთხრობილია თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში II მსოფლიო ომის წლებში შექმნილი არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფების საქმიანობის შესახებ [1, 12] განხილულია 1956 წლის მარტის ამბები და აღნიშნულია, რომ 9 მარტის ტრაგედიამ ბიძგი მისცა ქართული ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლებას და საბჭოთა რეჟიმის მიმართ ქართველი ხალხის კრიტიკული თვალთახედვის გამახვილებას. [1, 15] მითითებულია ქართული დისიდენტური მოძრაობის იმ თავისებურებაზე, რაც მისი ცალკეული წარმომადგენლის ინდივიდუალურ მოქმედებაში გამოიხატებოდა; აგრეთვე აღნიშნულია საბჭოთა დისიდენტური წრეების მტრული დამოკიდებულება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ და ახსნილია ამის მიზეზიც, რაც ამ საკითხებში დისერტანტის ღრმად ჩახედულობაზე მიუთითებს [1, 15-19].

ავტორი საკმაოდ ობიექტურად აღწერს 1978 წლის აპრილის ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დრამატიზმით აღსავსე მოვლენებს და მეტად მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ მრავალი დოკუმენტისა და ისტორიული მასალის ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად აქარწყლებს ყოველგვარ მითს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ამ საქმეში შესრულებული რაიმე დადებითი როლის შესახებ და, ბოლოს, აკეთებს სათანადო დასკვნასაც [1, 24-26].

დისერტაციის II თავში – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XX საუკუნის 80-იან წლებში (4 პარაგრაფი), თანმიმდევრულადაა მოთხრობილი პარტიული და პოლიტიკური გაერთიანებების, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ 1987-1989 წლებში, აღნიშნულია აშშ სენატის 1989 წლის 19 აპრილის დადგენილების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, ქართული ეროვნული მოძრაობისათვის [1, 29]. ნათქვამია, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც მემარცხენე, ისე ცენტრისტული და მემარჯვენე მიმართულების ორგანიზაციები და ალიანსები. მითითებულია, რომ 1991 წელს შექმნილმა „საქართველოს დემოკრატიულმა კავშირმა“ აქტიური მონაწილეობა მიიღო კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და ე. შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანაში [1, 32], ხოლო იქვე, როცა მკვლევარი საუბრობს ვ. ადვაძის თავმჯდომარეობით დაფუძნებულ „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირზე“, რომელშიც, დისერტანტის აზრით, ავტორიტეტული პიროვნებები იყვნენ გაერთიანებული, „გონივრუ-

ლი თანმიმდევრობით ხალხის კონსოლიდაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად, სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის მისაღწევად",–ეს ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია, ამ პროკომუნისტური „ტროას ცხენის" მარიონეტული ბუნების გამო. ამასთან ყველასთვის ცნობილია კანონიერი ხელისუფლების დამხობის საქმეში ამ კავშირის წევრთა „გონივრული თანმიმდევრობის" შესახებ. სინამდვილეში ეს იყო ეროვნული ძალისხმევის გასანეიტრალებლად შეკონწიებული ე. წ. „ავტორიტეტულ" პიროვნებათა პროკომუნისტური ალიანსი, რომელთა წევრებმაც თავიანთი „ავტორიტეტი" ბოლომდე ამსახურეს უდღეური საბჭოთა ილუზიების განხორციელების ცდას. იგივე მიზანს ემსახურებოდა „შოთა რუსთაველის საზოგადოების" შექმნაც. აქვე დისერტანტი ახსენებს ზვიად გამსახურდიას ე. წ. „აღსარების" თამარ ჩხეიძისეულ შეფასებას, რის შესახებაც ვიტყოდი, რომ სწორედ თამარ ჩხეიძემ იცოდა ყველაზე უკეთ საბჭოთა „სუკ"-ისა და ნომენკლატურული მმართველობის სრული თვითნებობის პირობებში ამგვარი „აღსარების" ნამდვილი ფასი და მისი დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასთან უფრო პიროვნული ხასიათისა იყო, ვიდრე ამგვარი „აღსარებით" გამოწვეული [1, 33-37]. ხოლო, რაც შეეხება მისივე წამოყენებულ „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ზომიერ სტრატეგიას და ეროვნული მოძრაობისათვის პოლიტიკური რეალიზმისაკენ მოწოდებას" [1, 41], ის მართლაც შეიცავდა გონივრულად გასააზრებელ მინიშნებებს.

მკვლევარი ობიექტურად აფასებს აგრეთვე ე. წ. გარდაქმნის პერიოდში ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ ჩატარებულ საქმიანობას, რამაც იგი დიდი და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მოამზადა [1, 44] ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქვე მოიხსენიებს 1988 წლის 21 ოქტომბრის ბათუმის აქციასაც, თუმცა ძალიან ცოტას ამბობს რეგიონის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს, ბათუმის 20 ნოემბრის მიტინგ-მანიფესტაციაზე [1, 49-50]; ხოლო, საუბრობს რა ბათუმში 1988 წლის 10 დეკემბერს დატრიალებულ მოვლენებზე, ამბობს: "...არასტუმართმოყვარედ დახვდნენ არაფორმალებს 10 დეკემბერს ბათუმში...პრესა იტყობინებოდა, გონივრული რჩევითა და საუბრით რომ ვერაფერი გააგებინეს, მოსახლეობა იძულებული გახდა, ისინი აჭარიდან გაეძევებინა", რაც ამ მოვლენის აჭარის მაშინდელი ხელისუფლების შეფასებიდან მომდინარე ვერსიაა. სინამდვილეში კი ეს იყო ამავე ხელისუფლების მიერ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ აჭარის მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია, რასაც სათანადო პასუხი გაეცა 1988 წლის 12 დეკემბრის აჭარის ასსრ შრომითი კოლექტივების ე. წ. აქტივის კრებაზე, სადაც დაიგმო აჭარის ხელისუფალთა პროვოკაციული ქმედებანი, შემდეგ კი

სწორედ ამას შეეწირა მისი ხელმძღვანელიც; რაც შეეხება აჭარის მოსახლეობას, იგი ამ შემთხვევაში აღნიშნული პროვოკაციული პოლიტიკის მსხვერპლს წარმოადგენდა და აქ ბევრი რამ კეთდებოდა, რათა სხვა დროსაც არ გამოეყენებინათ ის მსგავსი პროვოკაციების მოსაწყობად, რის აღნიშვნასაც, როგორც ამ მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ჩვენს მოვალეობად ვთვლით.

ეხება რა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, მეცნიერი მიუთითებს ამ საკითხში ქართულ საზოგადოებაში არსებულ შეფასებათა სხვადასხვაობაზე და ამბობს: „ზოგიერთები თვლიან,...მოვლენების თანდათანობით განვითარებასა და უმსხვერპლოდ გადარჩენას მაინც მოჰყვებოდა იგივე შედეგები და საზოგადოება ნაკლებად დაზარალდებოდა“...და იქვე ამის შესახებ მოჰყავს აკაკი ბაქრაძის აზრი: „ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრობა რომ ევოლუციის, თანდათანობითობის გზას დასდგომოდა იგი ძმათა სისხლით არ შეიღებებოდა, ბუნებრივი განვითარების გზას გაჰყვებოდა. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უცრემლოდ და უსისხლოდ დამკვიდრდებოდა საქართველოში, მაგრამ სულწასულობის გამო...“ და ა. შ. და ა. შ. პირველ რიგში აღვნიშნავ, ღმერთს როდესაც ახსენებ, ისიც უნდა გწამდეს, რომ მისი ნების გარეშე არაფერი ხდება, და მეორეც, ალბათ, რა „სულწასულები“ ყოფილან ფარნავაზ მეფე, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე და სხვები, რომ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და გადარჩენისათვის უბრძოლიათ; და, ალბათ, შაჰ-აბასიც ოდესმე მოკვდებოდა და მოკვდა კიდეც....

პროცესების ბუნებრივად განვითარებაზე აქ საუბრი სასაცილოა, როცა საქმე ცოცხალ ისტორიულ პროცესს, მით უმეტეს – ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეხება. ჩვენი მომავალი თაობა ამგვარი კოლაბორაციონისტული შეგონებებით ქვეყნის გულშემატკივარ მამულიშვილად ვერ ჩამოყალიბდება, ჩვენ თუ მას ისტორიული პროცესების „ბუნებრივი განვითარებისათვის“ მინებება ვუქადაგეთ. კაცობრიობას ასე რომ ეფიქრა, იგი დღემდე ჩანასახოვან მდგომარეობაში დარჩებოდა და აღარც აღარავის დასჭირდებოდა მისი ისტორია, რადგან ისტორიული განვითარება უბრალოდ შეწყდებოდა, აღარ იქნებოდა. და მგონია, ქართველებს არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მომცემი“...ხოლო რა მაჰათმა განდები იყვნენ ეს ე. წ. პროცესების ბუნებრივი გზით განვითარების სასარგებლოდ „მოქადაგენი“, ყველამ კარგად ვნახეთ 1991-1992 წლების ტრაგიკული მოვლენებისა და მის შემდგომ პერიოდშიც.

დისერტანტი ღრმად და საქმის ცოდნით ეხება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებულ მოვლენებს. აქვე მეტად

მნიშვნელოვანია მის მიერ ყურადღების გამახვილება აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსი) კიევში წარმოთქმულ სიტყვაზე, რომ „მე კონგრესში ბევრი მთხოვს არჩევანის გაკეთებას–გორბაჩოვის მხარდაჭერასა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს შორის. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს იქნება ყალბი არჩევანი [1, 61]

დიახ, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ასეთი არჩევანის გაკეთება სწორედაც ყალბი იქნებოდა, რადგან მას გორბაჩოვი და საბჭოთა კავშირიც სჭირდებოდა და რესპუბლიკების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაც. პირველი, იმ უზარმაზარი სივრცის გასაკონტროლებლად, საბჭოთა კავშირი რომ ერქვა, მეორე კი, ამავე საბჭოთა კავშირის დასასუსტებლად და ადვილად დასაყოლიებლად, ამავე სივრცეში საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. ხოლო ფეხზე მდგარი და საკუთარი აზრის მქონე, არც ერთი აძლევდა მას ხელს და არც მეორე.

ძალზე საინტერესოა ავტორის მიერ 1991 წლის მოსკოვის პუტჩიდან 20 წლის შემდეგ ჟურნალ „შპიგელ“-ის მიერ მოძიებული, აქამდე უცნობი დოკუმენტების გამოყენებაც, რომელიც ფარდას ხდის მ. გორბაჩოვის მზაკვრულ როლს თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის მომზადებაში [1, 61-62]; აქვე განხილულია კომუნისტური პრესისა და ინფორმაციის საშუალებების მიერ ამ ტრაგედიის ყალბი, დემაგოგიურ-დანაშაულებრივი შეფასებანი, რაც იმის დასტურია, რომ ქართველი ერის უდიდესმა ტრაგედიამაც კი ვერ მოახერხა მათში სინდისის ძარღვის შეტოკება...და დღეს რა გასაკვირია, ქართულ ისტორიოგრაფიას შემორჩენილი მათი მემკვიდრენი მიიჩნევდნენ, რომ „გაღებული მსხვერპლი არ იყო საჭირო, რადგან მოვლენები ეროვნული მოძრაობის სასარგებლოდ ისედაც განვითარდებოდა“ [1, 64]. ამის შესახებ, უკვე ზემოთ მოგახსენეთ, აქ კი ერთსაც დავამატებდი: ამ თავისი ნებით გონებაგახეიბრებულებს რომ ჰკითხო, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, თურმე, არ შეიძლება და ქართველმა ხალხმა უარი უნდა თქვას თავისი ისტორიის ამ სახელოვან ფურცელზე, ხოლო „გმირთა“ პედესტალი უნდა დარჩეს მოვლენების „ბუნებრივი განვითარების სასარგებლოდ მოქადაგედ“, რათა მათი უმოქმედობა და არარაობრივი არსებობა გაამართლონ. მათი გმირები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ერის ინტერესების ისეთი გამყიდველი კოლაბორაციონისტები, როგორებიც ქართველი ბოლშევიკები, ან კიდევ, იასე ფალავანდიშვილები, სერგო ორჯონიკიძეები, ედუარდ შევარდნაძეები და სხვადასხვა ჯურის შადიმანები იყვნენ. და ავტორიც სრულიად სამართლიანად ეთანხმება პროფესორ დიმიტრი შველიძის მიერ ეროვნულ მოძრაობისათვის დამახასიათებელი ამ რთული მომენტის ობიექტურ ახსნას, როდესაც ნაშრომში აფიქ-

სირებს მისეულ დასკვნას: „საქმე იმაში იყო, რომ ლალი ჯავახიშვილი, მერაბ მამარდაშვილი, გივი თუმანიშვილი, რეზო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია და სხვანი, უნდა ვაღიაროთ, იმხანად, იმჯერად, იმ დროს, 1989 წლის ზაფხულის პერიოდისათვის – დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები არ იყვნენ. მათი ნაწილი, ზოგი შესანიშნავი პროფესიონალები იყვნენ, ზოგნი კარგი საზოგადო მოღვაწენი, ზოგნი ბრწყინვალე რეჟისორები, მწერლები, მუსიკოსები, მეცნიერები, გულწრფელი პატრიოტები და ასე შემდეგ, მაგრამ არა მებრძოლები, არა ისეთები, ვისაც შეეძლო იდეისათვის საკუთარი ინტერესის განწირვა, თავის განწირვა, ფიზიკური საფრთხის წინაშე დადგომა, დაპატიმრების, გადასახლების ფასად დამოუკიდებლობის იდეის სამსახური“ ([2, 60] [1, 70] და ამ მართებულ პოზიციას უნდა დასჯერდნენ მისი ადრესატებიც...

ნაშრომში დამაჯერებლად არის წარმოდგენილი ქართული ეროვნული მოძრაობის ბრძოლა მრავალპარტიული არჩევნებისათვის; განხილულია ეროვნული ფორუმის შექმნისა და მისი საქმიანობის საკვანძო მომენტები, აგრეთვე მისი გახლეჩის მიზეზები. ყურადღება გამახვილებულია ამ საქმეში შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირების მიერ შესრულებულ როლზე და ა. შ.

ასევე სპეციალური პარაგრაფი ეძღვნება ნაშრომში „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს“ ჩამოყალიბებასა და მისი ეროვნულ კონგრესთან დაპირისპირების მიზეზების კვლევას. აღნიშნულია, რომ მრგვალი მაგიდის კონცეფცია იწუნებდა კონგრესის ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეას და მას არარეალურად თვლიდა, თვითონ კი საქართველოს მოსახლეობას სთავაზობდა დროებითი უმაღლესი ხელისუფლების არჩევნებს და მოითხოვდა იმ სამართლებრივი დოკუმენტის დადგენას, რომელიც შემდგომი სამართლებრივი აქტების საფუძველი და მომავალი პროცესების კანონიერ ფარგლებში მომქცევი აქტი გახდებოდა.“შემდეგ კი ითვალისწინებდა ამისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბერკეტების მთელ სისტემას და ამ საქმეში საჭიროდ ცნობდა ლიტვური გამოცდილების გამოყენებას [1, 79-80]. აღწერს რა მრგვალი მაგიდის მიერ თავისი მიზნების მისაღწევად კარგად გათვლილ სტრატეგიას და სამართლებრივ ქმედებათა მექანიზმს, დისერტანტი ობიექტურად ასკვნის, რომ „მრგვალი მაგიდის კონცეფცია, რომელიც მიუღებლად მიაჩნდა მის ოპოზიციას, ნამდვილად იყო რეალისტური“ [1, 82]; უნდა ავღნიშნოთ, რომ ნაშრომში მოყვანილი ყველა არგუმენტი ამ კონცეფციის სასარგებლოდ მეტყველებს და ავტორს მისი ამგვარი, თითქმის სრულყოფილი გააზრება, კიდევ ერთი დადებითი კუთხით წარმოაჩენს, რადგანაც ცნობილია, რომ მრგვალი მაგიდის აღნიშნული კონცეფციის მართებული აღქმა ვერაფრით მოახერხეს მისმა, დიდი პრეტენზიების მქონე, ოპონენტებმა.

იქვე ავტორი მიუთითებს, რომ „კონგრესის იდეა მაინც აღმოჩნდა...რადიკალებისა და ელიტარული ინტელიგენციისათვის მთავარი ძალა, რომელიც მათ მომავალ პოლიტიკურ ბრძოლებში გააერთიანებდა და გაამარჯვებინებდა“ [1, 83] (აქ ფრაზას „მომავალ პოლიტიკურ ბრძოლებში“ შევცვლიდი სიტყვებით „ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლებში“–უ. ო.) და სრულებით არაა მოულოდნელი, რომ თუ გიორგი ჭანტურია ადრე „ინტელიგენციას აკრიტიკებდა, კონგრესმა იგი გააერთიანა“ [1, 83], რადგანაც მათ ჰქონდათ ერთი საერთო მიზანი – ყველა საშუალებით ბრძოლა ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ამიტომაც უწოდებდა ზვიად გამსახურდია „საბჭოთა ინტელექტუალებს“ წითელ ინტელიგენციას. ამით ის მათ ჭეშმარიტ, შინაგან შინაარსს უსვამდა ხაზს. ამიტომაც იყო მათი ქმედებანი ასეთი სინქრონული და მათი ამ ჭეშმარიტი შინაარსის ადექვატური. ამიტომაც სრულიად სამართლიანია მკვლევარის მიერ ამ საკითხზე პროფესორ დიმიტრი შველიძის უმართებულესი დასკვნის გაზიარებაც. აქედანვე იღებს სათავეს ქართული ეროვნული მოძრაობის უდიდესი სირცხვილი, პრაღის ე. წ. №24 რეზოლუცია და გიორგი ჭანტურიას მიერ იმის დაფიქსირება, რომ „თუ ჩვენ კომპრომისზე წავალთ, უნდა დავუთმოთ მტერს, რაც არ მოხდება“... ჭანტურიასთვის მტერი, ამ შემთხვევაში, ზვიად გამსახურდია იყო,–ზუსტად მიანიშნებს დისერტანტიც [1, 85].

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში დადასტურებულია, რომ „კონგრესის არჩევნები ფალსიფიცირებული იყო“ [1, 86] შემდეგ დისერტანტი საუბრობს მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ [დისერტ: 87-94]. IV თავში კი ჩამოთვლილი და ზედმიწევნით განმარტებულია ყველა ის ღონისძიება და ქმედებანი, რომლებიც საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ დასახა აღნიშნული მიზნის მისაღწევად [დისერტ: 94-100]. იქვე განხილულია ეროვნული ხელისუფლებასთან კონგრესისა და სამხედრო ჯგუფების დაპირისპირების იდეოლოგიურ-პოლიტიკური საფუძვლები [1, 100-115], რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საწყის ეტაპზე წარმატებების მქონე ეროვნული ხელისუფლებას კონგრესის გარდა, დაუპირისპირდა სხვა ძალებიც, რომელთაც დაიწყეს სამხედრო ძალით გადატრიალების მზადება; ზედმიწევნით არის განხილული თ. სუმბათაშვილის ე. წ. პროექტი საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობის უმთავრესი პრინციპების შესახებ, რომლის კიდევ ერთხელ გაცნობა ყველა გონიერ ადამიანს კიდევ ერთხელ დააფიქრებს ზოგიერთთა ფანტაზიის უკიდეგანობაზე. თუ იგი, გარკვეული მიზეზების გამო, დასავლეთისათვის გაუგება-

რი დარჩებოდა, მაშინ საქართველოში პერმანენტული ეროვნული დაუმორჩილებლობა უსასრულოდ უნდა გაგრძელებულიყო და ამას, მართლაც, შეიძლებოდა ემსხვერპლა არა მარტო ქართველი ერი, არამედ მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის იდეა და, რა თქმა უნდა, მისი ღირსებაც... და დისერტანტის დასკვნაც ადექვატურია: „კონგრესის მიერ მიღებული დოკუმენტი განუხორციელებელი და არარეალური სამართლებრივი რომანტიზმი გახლდათ. მას უამრავი უზუსტობა, უტოპიური წარმოდგენები, მაშინდელი გეოპოლიტიკური და საერთაშორისო ვითარების აბსოლუტური შეუფასებლობა, გულუბრყვილო სქემები ედო საფუძვლად“ [1, 106]–ამბობს იგი. ასეთივე უსაფუძვლო და უხერხემლო იყო ამ ე. წ. ოპოზიციის სხვა პრეტენზიებიც და სამხედრო შეიარაღებული ბანდების განიარაღების შემდეგ მათ მიერ დაკავებული პოზიციაც, როდესაც ისინი ამ ბანდათა უკრიტიკო დამცველებად წარმოჩნდნენ. ამგვარი „სიმართლის დამცველები“ მსოფლიოსაც აწუხებდნენ და სთხოვდნენ დახმარებას "...მარიონეტული დიქტატურის“ წინააღმდეგ ბრძოლაში [1, 112-113].

შემდეგ დისერტაციაში განხილულია საქართველოს უზენაესი საბჭოს ეროვნული პლატფორმა დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო მოწყობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და მის საფუძველზე 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას, იმავე წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებს; მაგრამ იქვე ხაზსგასმულია საქართველოს კონგრესის პარტიათა ნაწილის დაჟინებული განცხადება, რომ „რომ ჩვენი პარტია მუდამ იქნება ეროვნული დაუმორჩილებლობის გზით საქართველოს სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ავანგარდში“ [დისერტ: 118]. სამწუხაროდ, მათ ისიც ვერ გაიგეს, რომ თვით 31 მარტის რეფერენდუმი და მის საფუძველზე გამოცხადებული 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებული აქტი და ირონიულად აცხადებდნენ, რომ "...ბატონმა ზვიადმა ირწმუნა 9 აპრილს მოგონილი საკუთარი ტყუილი საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე“ [1, 118].

ალბათ, ძნელია წარმოიდგინო საკუთარი ხალხის ნების ამგვარი გაბიაბრუება და მისი სასიცოცხლო ინტერესების გაუგებრობისა, თუ აშკარა მტრობის შინაარსობრივი სიღრმე...ამიტომ საუბარს შეგნებულად აღარ ვაგრძელებ მათ მიერ ჩადენილი მსგავსი შინაარსის, დისერტანტის მიერ ნაშრომში თვალსაჩინოდ წარმოჩენილ, ქმედებებზე, რამაც ახალგაზრდა ქართული ეროვნული სახელმწიფო ტრაგიკულ ბოლომდე მიიყვანა; მაგრამ აღვნიშნავ, რომ

ქართულ ეროვნულ მოძრაობას შეხიზნული ეს ყველაფრის მკადრებელი სიბარიტები წარმოადგენდნენ მათი თანამედროვე მსოფლიოს „დემოკრატიის“ სახესაც და მის სირცხვილსაც...

ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერის დასკვნას, რომ „1991-1992 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება არ იყო არავითარი სახალხო ან დემოკრატიული რევოლუცია, რადგან, ჯერ ერთი, არ არსებობდა მისი მასობრივი მხარდამჭერი მოსახლეობა და მეორეც, – არ არსებობდა რევოლუციის გამომწვევი რეალური საფუძველი, გამომწვევი მიზეზი – დიქტატურა. საქართველოში არსებობდა ობიექტური კანონზომიერებით – კრიზისული ვითარებით გამოწვეული ე. წ. ლეგიტიმური ავტორიტარული დემოკრატია, რომელსაც ურიგდებოდა მოსახლეობის უმრავლესობა, მაგრამ ვერ ურიგდებოდა უმცირესობა“ [დისერტ: 169]. ჩვენ დავამატებდით: რევანშისტულად განწყობილი ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა და მისი მსახური და მონამორჩილი პრივილეგირებული წითელი ინტელიგენცია, აღარაფერს ვამბობ მათთან მოთანამშრომლე ე. წ. ოპოზიციაზე.

და ბოლოს, როდესაც პატივცემული მეცნიერი ცდილობს წარმოაჩინოს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბანაკებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზები, რაც 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა, ძირითადად სწორად ახდენს მის განსაზღვრა-კვალიფიკაციას, მაგრამ მე-10 პუნქტში ასახელებს „ქართული ეთნოფსიქოლოგიის, ეროვნული ხასიათისა და მენტალობის დამახასიათებელ ნეგატიურ თვისებებს“, რაც, ჩვენი აზრით, არ ასახავს სინამდვილეს, რადგან აქ საქმე გვაქვს სწორედ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩამოყალიბებული ქართველი „ჰომო სოვეტიკუსის“ ფსიქოლოგიის, არა ეროვნული ხასიათისა და მენტალობის დამახასითებელ ნეგატიურ თვისებებთან, და აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქართული, ნამდვილად ეროვნული ეთნოფსიქოლოგიის ჩამოყალიბება იწყება ქართული სახელმწიფოს აღდგენის და მისი რეალურად განხორციელების კვალობაზე.

მიუხედავად ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული ზოგიერთი განსხვავებული მოსაზრებისა, მთელი დისერტაციის გაცნობისას არ მტოვებდა იმის განცდა, რომ ვსაუბრობდი თანამოაზრესთან, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ. ამიტომაც აქვს ჩვენს რეცენზიას თავისებური დიალოგის ფორმა. ამასთან ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ დისერტანტმა მოახერხა საკვლევი თემის ირგვლივ არსებული სიძნელეების წარმატებით დაძლევა და საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც კარგად მომზადებული, ზრდასრული მეცნიერი.

მისი ნაშრომი მართლაც მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისათვის, რისთვისაც მას საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისაგან მადლობის მეტი არაფერი ეკუთვნის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნოდარ ლატიბაშვილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 70-80-იან წლებში (1977-1992), სადისერტაციო ნაშრომი, 2013.
2. დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირება და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992), თბილისი, 2008.

Ucha Okropiridze

Doctor of History, Shota Rustaveli Batumi State University, Chief Scientist-researcher of the Niko Berdzenishvili Institute

Important Works about Contemporary Georgian National-liberation Movement

Summary

A review refers to the research of Nodar Latibashvili "national - liberation movement in Georgia in the 20th century' s 70-80 - years (1975-1992)." The author mostly positively evaluated the provisions of the scientific findings.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

საისტორიოგრაფიო სიახლენი

ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა „საარი", 2014 წელი, 398 გვერდი.

ამ საკმაოდ დიდი ფორმატით გამოცემულ კრებულში შესულია ოთარ ჯანელიძის მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილი და სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში დაბეჭდილი სტატიები, რომელთა მთავარი თემა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებია XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ავტორი მაღალი პროფესიონალიზმითა და დოკუმენტური მასალების დამოწმების საშუალებით ახერხებს დამაჯერებელი პასუხი გასცეს ბევრ ისეთ კითხვას, რაც დღესაც აწუხებს ქართულ საზოგადოებას. თავიდანვე ვიტყვი, რომ სადავო საკითხებზე ავტორის მსჯელობა და გამოტანილი დასკვნები ობიექტურად არის დეფინიცირებული, რაც ნაშრომის მაღალ სამეცნიერო ღირებულებას განსაზღვრავს.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ქართველთა ერთობის საკითხი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში. ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დამაჯერებელია მტკიცება იმისა, რომ, მართალია, რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მაგრამ დაქსაქსული ქვეყანა საბოლოოდ გააერთიანა, მას შემოუერთა ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ტერიტორიებიც, რაც დადებით კონტექსტში განიხილება. მკვლევარი ძირეულად აანალიზებს ქართული ერთობის საკითხს XVIII საუკუნეში და სამართლიანად ასკვნის, „რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თვითონ ქართველობამ, ქართულმა სახალხო ლაშქარმა, მილიციამ, მთლიანად ხალხის შემართებამ და თავდადებამ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტერიტორიული შერწყმა და პოლიტიკური გამთლიანება სულაც არ ყოფილა ცარიზმის კეთილშობილური მიზანი. და თუ ეს ობიექტურ შედეგად მოჰყვა რუსეთის ომებს ირან-თურქების წინააღმდეგ, ამ

ომებს მეფის მთავრობა იმპერიის სამფლობელოთა გაფართოებისა და რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად აწარმოებდა და არა ქართველთა საუკუნოვანი ოცნების ხორცშესასხმელად“ [გვ. 22]. ამ დასკვნის ობიექტურობას ბევრი ისტორიული ფაქტი ამტკიცებს, კერძოდ, დაბრუნებული აფხაზეთის, აჭარის და სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული სურათის ჩამოყალიბება, რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების კოლონიზაცია არაქართული მოსახლეობით და აქედან ქართველი და აფხაზი მაჰმადიანების გასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირობის სასტიკი პროცესი.

ასეთივე ჯანსაღი პოზიციაა გამოკვეთილი წიგნში ისეთ საკითხზე, როგორიცაა „ორი რუსეთი.“დღესაც არსებობს თვალსაზრისი, ვითომდაც ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი აწარმოებდეს ანტირუსულ და, ამავდროულად, ანტიქართულ პოლიტიკას, რაც იწვევს რუსეთის აგრესიას, რუსეთის ინტელიგენცია თითქოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მომხრე და მოსურნე იყოს; ჩვენ რომ მოვეფეროთ რუსეთს, ან არ გავაღიზიანოთ მაინც, ის აღარ იქნება ბოროტი და საქართველოს მეგობრად იქცევა.

ავტორი მსჯელობს ამ საკითხზე, მოაქვს ცნობილ რუს ლიბერალ-დემოკრატთა დამოკიდებულება ქართველთა ეროვნული ინტერესებისადმი. ის არც იმას მალავს, რომ რუსებს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი კოლაბორაციონისტები და ბოლშევიკ-კოსმოპოლიტებიც ეხმარებოდნენ, თუმცა, მთავარი იყო ის, რომ რუსეთში არც ერთ პარტიასა თუ სოციალურ ჯგუფს არ სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა. „ორი რუსეთი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით არც არსებულა და არც არსებობს, იგი მხოლოდ მითი და ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი აქვს საერთო რელობასთან“, – ასეთია ოთარ ჯანელიძის თვალსაზრისი.

წერილში –„საქართველო და რუსის ჯარი“ – ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დახასიათებული რუსული არმიის მოქმედება საქართველოსა და კავკასიაში XV საუკუნიდან XIX ს.-ის ჩათვლით. აქაც გამოკვეთილია სწორი კონცეფცია რუსული ჯარის როლისა და წვლილის შესახებ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარების საკითხში. იმ დადებითს, რაც ამ ჯარის მოქმედებას მოჰყვა (ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება), ავტორი სამართლიანად ხსნის მოვლენათა განვითარების ობიექტურ შედეგად და არა თვითმპყრობელობის კეთილი ნების გამოხატულებად. ამას-

თან, მკვეთრად გამოყოფს იმ შედეგებს, რამაც განადგურების პირას მიიყვანა ქვეყანა რუსული სამხედრო მმართველობის აღვირახსნილი მეთოდების წყალობით, აჯანყებათა ველური ხერხებით ჩაქრობისა და რუსეთის აღმოსავლურ ომებში ქართველების გამოყენებით.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ობიექტურად წარმოჩენის პირველი გამოხატულება იყო საქარველოს პირველი რესპუბლიკის დროს გამოცემული დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ნარკვევი – „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში.“მკვლევარი განიხილავს ამ ნაშრომს და აანალიზებს იმ ძირითად აქცენტებს, რაზეც ჯავახიშვილმა შეაჩერა ყურადღება. მას მიაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ თითქმის საუკუნის წინ გამოთქმული შეხედულებები და დასკვნები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ დღესაც ცხოველმყოფელია, რუსეთი კვლავ რჩება აგრესიულ მეზობლად, იმ გეოპოლიტიკური თამაშის ავტორად, რაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ეწინააღმდეგება.

წიგნში შეტანილია ნარკვევები – „დაპყრობა თუ ნებაყოფლობითი შეერთება?, „რუსული კოლონიალიზმის არსი“, „რა ხდებოდა მოლაპარაკების კულისებში“, “რუსეთის წითელი არმიის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე 1920 წლის გაზაფხულზე და ქართული პოლიტიკური სპექტრი“, „1921 წლის ბოლშევიკური აგრესია და რუსეთის საელჩო საქართველოში“, „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა“, „ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში“, „რუსეთის სამხრეთკავკასიური ინტერესები“, „რუსეთის მესამედ მობრუნების მცდელობა საქართველოში“, „რუსეთის აგრესია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში“, „ომს თუ ომი არ ვუწოდეთ“, „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი“, „ისტორიის აქტუალიზაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოსტსაბჭოთა პერიოდში.“ყველა ნარკვევი გამოირჩევა აქტუალური თემატიკით, ისტორიული მოვლენების სწორი კონცეპტუალური გააზრებით. ნარკვევების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა გამოცემებში, კერძოდ, ვრცელ კოლექტიურ მონოგრაფიაში „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში.“

ოთარ ჯანელიძის ახალ წიგნში განზოგადებულია საქართველოში რუსეთის ბატონობის 200-წლიანი პერიოდი, ნაჩვენებია რუსულ იმპერიაში საქართველოს ინკორპორირების შუქ-ჩრდილები, გამოკვეთილია მისი როგორც უარყოფითი, ასევე ობიექტურად დადებითი შედეგები. წიგნი უდავოდ დაეხმარება დარგის სპეციალისტებს: ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს, სტუდენტებს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიული დეტალების ცოდნით დაინტერესებულ საზოგადოებას.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის „ისტორიული რეპრეზენტაცია, თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“ – მასალები. რედაქტორი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, თსუ გამომცემლობა, 2014 წელი.

„პოსტსაბჭოური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიქმნა პრობლემა, რომელსაც შეიძლება კონკრეტული ისტორიული ფაქტების რეპრეზენტაციისა და ისტორიის თეორეტიზებას შორის დისბალანსის პრობლემა ეწოდოს. ეს პრობლემა არსებობს დღემდე“, – წერს შესავალში „მასალების“ რედაქტორი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. სწორედ მისი ინიციატივითა და თაოსნობით ჩატარდა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მიზანი ქართული ისტორიოგრაფიის კონკრეტულ და თეორიულ ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობის დარეგულირება იყო. კონფერენციაზე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა წაიკითხეს საინტერესო მოხსენებები, რომელთა უმრავლესობა შევიდა წარმოდგენილ კრებულში.

წიგნი ორი განყოფილებისა და დანართისგან შედგება. პირველ განყოფილებაში, საიუბილეო ღონისძიებებთან ერთად, წარმოდგენილია პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის გამოკვლევა, რომლის მიზანია ქართულ ისტორიოგრაფიაში აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ღვაწლის წარმოჩენა. აქვე ქვეყნდება საიუბილეო დღეების ამსახველი მოკლე საინფორმაციო წერილი, კონფერენციის პროგრამა და სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ პირების მილოცვების ტექსტები და ფოტოები.

მეორე განყოფილება წარმოადგენს კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

წიგნის დანართში კონფერენციის სხდომების, კულტურული და სოციალური პროგრამის ამსახველი ფოტომასალაა წარმოდგენილი.

წიგნის რედაქტორი და მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი წერილის ავტორი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი სიღრმისეულად წარმოჩენს იუბილარი მეცნიერის შემოქმედებაში ისტორიული რეპრეზენტაციის სტილის თავისებურებებს. ლორთქიფანიძის სამეცნიერო ნაღვაწის ძირითად ინდიკატორად წერილის ავტორი თვლის უმაღლესი რანგის პროფესიულ დახელოვნებას, რაც გამოიხატება მის სამეცნიერო შრომებში წარმოდგენილ დისკურსის მრავალპლანიანობასა თუ სოციალურ სიღრმეში, ტრადიციისა და ინოვაციის ჰარმონიულ თანაარსებობაში, მასალის რაციონალურ ორგანიზებასა და ამბის გადმოცემის ნათელ სტილში, შენაკადი თემების ძირითად თემასთან ოსტატურად დაკავშირებაში, დროში დაშორებული მოვლენების შინაგან ასოციაციურ ბმაში, მთავარი მოვლენების აქცენტირებასა და კონცეპტუალიზებაში და ა. შ.

ყველა ამ ასპექტს მკვლევარი მარიამ ჩხარტიშვილი დაწვრილებით განიხილავს და ბევრ საინტერესო დაკვირვებას გვაწვდის არა მარტო მარიამ ლორთქიფანიძის ისტორიოგრაფიულ ნაშრომებზე, არამედ, ზოგადად, ქართული საისტორიო მეცნიერების ნაკლებად შესწავლილ პრობლემებზე. მისი გამოკვლევის ძირითადი აქცენტი მიმართულია ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე დაწერილ წერილებში დღემდე ყურადღება მიუქცეველ ტენდენციებზე, რითაც მისი სტატია უდავოდ გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს.

კრებულში შეტანილია სხვა ქართველ მეცნიერთა ასევე საინტერესო ძიებანი და მიღებული დასკვნები, ესენია: გიული ალასანია, იოსებ ალიმბარაშვილი, გიორგი გოცირიძე, გურამ და ლია გაბუნიები, როლანდ თოფჩიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ჯონი კვიციანი, ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე, ნატო სონღულაშვილი, გიორგი სოსიაშვილი, ნესტან სულავა, თეა ქამუშაძე, მაია ქუთათელაძე, ქეთევან ქუთათელაძე. მათი გამოკვლევები თემატურად მრალფეროვანი და სიახლეთა შემცველია. ძრითადი თემა წარსულის რეპრეზენტაცია, ისტორიული რეპრეზენტაციის სტილის თავისებურებათა წარმოჩენის, ერების ჩამოყალიბების, მათი თვითგანსაზღვრის პრობლემებია.

გარდა ქართველი მეცნიერებისა, კრებულში იბეჭდება უცხოელ მკვლევართა საინტერესო ნაშრომები. კერძოდ: ივან ბილი-

არსკის (სოფია, ბულგარეთი) „სინოდიკონი და მართლმადიდებლური ერთიანობა“; ვერნერ ზებტის (ვენა, ავსტრია) „პაკურიანთა ოჯახის ბიზანტიური საბეჭდავები“; ანდრეა კარტენის (რომი, იტალია) „ნაციონალისტური სიმბოლიკა ადრე მეოცე საუკუნის უნგრეთში“; რიჩარდ კულეშას (ვარშავა, პოლონეთი) „ძველი სპარტა. ევროპული მითის ისტორიიდან“; ჯოვანო მოტასა და ალესანდრო პისტეციას (რომი, იტალია) „ისტორია აღდგენილი „სხვების“ მიერ; ბოშების ისტორია ემიკური პერსპექტივით“; ჯუზეპე მოტას (რომი, იტალია) „ტრანსილვანია: ორი სხვადასხვა ეროვნული ხედვა“; იოლანტა სიკორსკა-კულეშას (ვარშავა, პოლონეთი) „1863-1864 წლის იანვრის აჯანყების ფოტოგრაფიები, როგორც საისტორიო წყარო. კვლევითი პერსპექტივა“; კეიტ ჰიჩინსის (ილინოისის უნივერსიტეტი, აშშ) „ერების თვითგანსაზღვრა და ელიტების როლი აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ანატოლიის ქურთებში.“

კრებული მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ(რედაქტორი – მარიამ ჩხარტიშვილი, ექსპერტი-რეკომენდატორი – შალვა გლოველი, რეცენზენტები –გონელი არახამია, დოდო ჭუმბურიძე).

„მასალების“ კრებული ბევრ საინტერესო სიახლეს შემოგთავაზებთ თანამედროვე საისტორიო კვლევების მეთოდოლოგიაზე, ისტორიული დისკურსის აღწერილობით და ანალიტიკურ ფორმებზე, მეცნიერებაში სიახლეების შემოტანის თავისებურებებზე და სხვ.

რამაზ სურმანიძე, ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი, ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2013.

წიგნი ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს,

წიგნის ავტორი მრავალმხრივ განათლებული, ნაყოფიერი მკვლევარია. მის კალამს სამასამდე სამეცნიერო სტატია, ნარკვევი და მონოგრაფია ეკუთვნის. დასახელებული წიგნი წარმოადგენს საუკუნეების მანძილზე მართლმადიდებლობას ჩამოშორებული

მხარეების – ტაო-კლარჯეთის, აჭარის, შავშეთ-იმერხევის, ნიგალის, ლაზეთის ქრისტიანულ ძეგლთა ტოპონიმების დასახელება-დახასიათებას. მასში შეტანილია ასევე ცნობები ძველი საეკლესიო მოღვაწეების შესახებ. მკვლევარი არ იფარგლება ამჟამად მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სხალთისა და ბათუმლაზეთის ეპარქიებით. მისი კვლევა ვრცელდება მთელ ისტორიულ საქართველოზე, რომელიც ამჟამად ქვეყნის გარეთაა. ავტორის აზრით, „ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი დიდი აღტყინებით უბრუნდებიან ქართულ ცნობიერებას, ეწაფებიან მშობლიური ენისა და დამწერლობის შესწავლას.“ იგი გამოთქვამს იმედს, რომ ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ მიმსწრაფ თურქეთში აღარ მოქმედებს კანონი, რომლითაც იკრძალებოდა ეროვნული ნიშნით გვარის ტარება და ამ ქვეყნის ხელისუფლება ხელს აღარ შეუშლის ეთნიკურ ქართველებს გვარების აღდგენაში. ამასთანავე, ბატონი რამაზ სურმანიძე, დარწმუნებულია, რომ ისტორიულ შავშეთ-იმერხევში, ლაზეთსა და ნიგალში არსებული ქრისტიანული საკულტო ძეგლები, მათი ნაშთები, ადამიანთა ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილი გეოგრაფიული სახელები, თანდათანობით გააძლიერებს ეროვნულ ცნობიერებას, გააღვივებს იქაურ ქართველთა „სწრაფვას ისტორიული რწმენის დასაბრუნებლად.“რამდენად მალე მოხდება ეს, ჩვენ ვერ ვიტყვით, მაგრამ მკვლევარის მიერ მოტანილი ერთი პარადოქსული დასკვნა კი საინტერესოა: მიუხედავად მეზობელ მუსლიმანურ ქვეყანაში ჩვენი ქრისტიანული ძეგლების დღევანდელი მძიმე მდგომარეობისა, მათი ნგრევა-განადგურებისა საუკუნეების მანძილზე, „ძალიან ბევრი ძეგლის ნაშთი იმ დონემდე დარჩა, რომ მისი აღდგენა-რესტავრაცია ადვილად შეიძლება. ბევრი ძეგლი, განსაკუთრებით ისინი, სადაც მეჩეთები გაიხსნა, გადარჩა, ძალიან ბევრს აქვს გუმბათი, სახურავი, უძველესი წარწერები და მხატვრობაც კი (ოთხთა ეკლესია, იშხანი, ერთა ეკლესია, ხანძთა, ოშკი, დოლისყანა, პარხალი, ექექი, ნოღედი, შატბერდი, ხახული, პეტრული და სხვ.).“ აჭარასა და გურიაში კი, სადაც თავის დროზე 500-600-მდე სალოცავს ითვლიდნენ, შემორჩენილია მხოლოდ თითო-ოროლა მონასტერი (სხალთა, შემოქმედი, ჯუმათი, ჯიხეთი და სხვ.), უამრავი სალოცავი შეეწირა საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს, ქრისტიანულ ავტოკეფალიას მოკლებულმა საქართველომ ვეღარ შესძლო თავის სალოცავთა დაცვა.

მრავალრიცხოვანი ლიტერატურის გაცნობითა და ამ საქმით დაინტერესებულ ინფორმატორებთან საუბრების შედეგად, 800-მდე ტოპონიმი შეგროვდა და შევიდა წიგნში. სალოცავებისა და ქრისტიანული ტოპონიმების შესახებ შედგენილი სიები დალაგებულია ეპარქიებისა და ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით.

ისტორიული საქართველოს საკულტო ადგილების სიებზე მუშაობისას ავტორი წააწყდა მრავალი საეკლესიო მოღვაწის, მწიგნობრის, მწერლის, კალიგრაფისა და მშენებელი ოსტატის გვარებსაც. რამაზ სურმანიძემ ეს გვარები შეაგროვა, მოიძია მათი ბიოგრაფიული ცნობები და ტოპონიმებთან ერთად შეიტანა ნაშრომში. წიგნში ასეთი 100-მდე ბიოგრაფიული მონაცემია.

სიები და ბიოგრაფიები შედგენილია დღემდე გამოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე. წიგნს თანდართული აქვს ინფორმატორების ზეპირი გადმოცემები, რაც, როგორც ნაშრომის ავტორი წერს, შემდგომ შევსებას და დაზუსტებას მოითხოვს.

ვფიქრობთ, რამაზ სურმანიძის ნაშრომი დააინტერესებთ ძველი ქართული ხელნაწერებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სპეციალისტებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს სულიერი მემკვიდრეობა.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief Researcher-scientist of the Department of Modern and Contemporary History

Historyography Novelties

Summary

A review refers to a recently published three books. These are: "Essays of Georgia – Russia's Relationships History " by Otar Janelidze; 2. "Representing History: Theoretical trend and Case Studies", proceedings of

international conference, dedicated to 90th anniversary of academician Mariam Lortkipanidze birth; 3. "The topography of the Christian monuments and ancient church figures", of Ramaz Surmanidze. The author discusses them, allocates the new informations, introduces the readers to the new historical problems that are in Works of well-known Historians, the authors of this three books.

Николай Джавахишвили

Доктор исторических наук, профессор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, главный научный сотрудник Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили, почётный доктор Академии Наук Латвии

МЕЖДУНАРОДНЫЙ МЕДИА ФОРУМ В АСТАНЕ
(Личные впечатления грузинского делегата)

В конце апреля 2014 года в столице Республики Казахстан – Астане собрались делегаты из различных стран мира, в том числе и приехавшие из Грузии. 24-25 апреля в Астане состоялся XII Евразийский медиа форум. Тот факт, что форум состоялся в 12-й раз, сам по себе говорит об успешности данного начинания.

Я удостоился чести быть в числе приглашенных данного форума. Здесь же хочу отметить, что я бывал во многих странах мира, хотя в Центральной Азии до сего времени не был. Поэтому на приглашение посетить Казахстан согласился с большим удовольствием.

Прибывших 23 апреля из Тбилиси проездом через Алматы в Астану грузинских делегатов разместили в расположенной центре города гостинице "Манхеттен Астана Хотел", где проживали и некоторые представители других стран. Так как форум начинался на второй день, в день приезда у нас появилась возможность основательно осмотреть самый молодой город мира – Астану, строительство которого и сейчас продолжается очень активно.

С архитектурной точки зрения Астана оставляет грандиозное впечатление. Заслуживает внимания проектировка города и построенные помпезные здания. Поразительно, как удалось построить такой блистательный город за столь короткие сроки. Все это еще раз убеждает в силе личности и целеустремленности президента

Республики Казахстан *Нурсултана Назарбаева.* Здесь же стоит отметить, что счастлив казахский народ, который имеет такого мудрого, уравновешенного политического деятеля, смотрящего вперед президента, истинного лидера своей страны.

24 апреля, во дворце независимости начал работу медиа форум.

Ведущим конференции был известный во всем мире журналист *Риз Хан.*

Участников форума ознакомили с вступительным словом Президента Республики Казахстан Нурсултана Назарбаева, проникнутым мудростью деятеля этого большого государства. После этого к делегатам обратилась Вице-спикер Парламента (Мажилиса) Республики Казахстан госпожа *Дарига Нурсултановна Назарбаева,* которая являлась Председателем оргкомитета этого медиа форума.

Следует отметить, что доктор политических наук Дарига Назарбаева не только участвовала в форуме, но и с интересом наблюдала за его работой, откуда следует, что она с большой ответственностью отнеслась к возложенной на нее обязанности. Очевидно, что она умело руководит многими значимыми начинаниями, в том числе фондами, в частности, фондом Первого Президента Республики Казахстан, попечительскими советами гуманитарного фонда "Дегдар" и общественного фонда "Асар-береке." Она является вице-президентом Всемирной ассоциации русскоязычной прессы, вице-президентом Евразийской академии телевидения и радио, сопредседателем оргкомитета Евразийского телевизионного форума.

Когда, в ходе одного перерыва, у меня появилась возможность лично познакомиться с ней, я заметил, что упоминание о Грузии у этой очаровательной госпожи вызвало очень положительные эмоции. Было очень приятно узнать, что мы фактически оказались коллегами, так как она свою первую (кандидатскую) диссертацию защитила в области истории. В ходе нескольких дней пребывания в Казахстане я убедился, что в стране очень уважают госпожу Даригу, которая является достойной преемницей своего известного отца, перспективным политиком и имеет огромный политический "бэграунд".

На форуме широко были освещены актуальные международные темы, в том числе:

1) "Новый мировой порядок. Контуры мирового кризиса и его последствия";

2) "Иранская ядерная программа. Кто победитель и кто – проигравший?";

3) "Ближневосточный узел. Каков основной расклад сил в регионе? Конфликт в Сирии. Дальнейший сценарий развития ситуации";

4) "Кризис в Украине. Какой путь выберет украинский народ?";

5) "Евразийская интеграция. Грядет ли экономическая "революция";

6) "Имидж – все! Сколько стоит "раскрутить" страну? Кто получает выгоду от странового пиара?";

7) "Гламурный "модус вивенди."Виртуальная жизнь в красивой обертке. Болезнь или необходимость?".

Среди выступающих на форуме отличились основательным анализом существующей политической и экономической ситуации в современном мире: бывший спикер палаты представителей Конгресса США – *Ньют Гингрич;* бывший премьер Израиля, лидер партии "Ацмаут" –*Эхуд Барак;* бывший заместитель генерального секретаря Североатлантического альянса (НАТО) – *Алессандро Минуто-Риццо,* по происхождению итальянец; директор Центра евроатлантических исследований Сербии – *Елена Милич;* также представители Казахстана: управляющий директор АО "Фонда Национального Благосостояния "Самрук-казына" – *Дархан Калетаев;* президент Объединения юридических лиц "Интернет Ассоциация Казахстана", генеральный директор ТОО "Kazinter Systems Solutions" – *Шавкат Сабиров;* заместитель председателя Правления Национального Агенства по экспорту и инвестициям "Kaznex Invest" – *Кайрат Кайманов;* руководитель проекта „Voxspopuli. Kz" – *Алишеер Эликбаев* и другие…

В ходе перерывов, когда у делегатов появлялась возможность пообщаться друг с другом, я познакомился с вышеупомянутым ведущим *Риз Ханом,* который оказался очень контактным, доброжелательным человеком. Он отметил, что по происхождению является из Индии, в частности из штата Гуджарат. В данном контексте я с юмором сказал ему: "Оказывается, что мы близкие, вы из Гуджарата, а я же из Гурджистана", – над чем он от души посмеялся…

В одну из очередных "перемен" я познакомился с Генеральным директором московского Центра изучения современного Ирана *Раджабом Сапаровым,* по национальности таджиком. Большая часть нашего разговора была посвящена многовековой истории персидско-грузинских отношений.

Я отметил, что по данной тематике у меня опубликовано несколько статей, в том числе: "Из истории браков представителей династии Афшаридов со знатными грузинками" и "Последняя правящая династия Ирана – Пахлавиды и грузины", что заинтересовало господина Раджаба.

У него также вызвала интерес моя информация о том, что на проходящей в Москве в апреле 1941 года декаде таджикского искусства тогдашный лидер СССР – Иосиф Сталин дал весьма высокую оценку таджикской культуре. Это было опубликовано 23 апреля в газете "Правда".

Также вспомнил, что в снятой Студей "Таджикфильм" кинотрилогии по эпической поэме Фирдоуси "Шахнаме" (национальный эпос иранских народов) роль Шаха Кавуса блистательно исполнил грузинский актер Отар Коберидзе. Господин Раджаб дал высокую оценку данной кинотрилогии…

Среди людей, с которыми познакомился в ходе форума, были и молодые казахские делегаты: советник президента ассоциации "Ученые евразийского экономического клуба", медиа-координатор – *Зарина Ниязова,* личный корреспондент еженедельной газеты "Мегаполис" – *Тимур Мамашев,* также представители различных организаций – *Лазат Сариева, Анастасия Ни, Динмухамед Абсеметов* и другие. Некоторые из них, уже побывавше в Грузии, не скрывали восторга от нашей страны, ее завораживающей природы и гостеприимного народа…

Приятно загруженный график данного международного форума скрашивали культурные мероприятия, в том числе балет "Лебединое озеро", поставленный в Театре оперы и балета "Астана опера", и обильные застолья, где гости имели возможность, наряду с брендами мировой кухни, попробовать избранные деликатесы казахской кухни.

25 апреля, на закрытии конференции выступившая с заключительным словом Дарига Назарбаева своим разумным рассуждением еще раз покорила присутствующую публику.

Итоговый гала-прием состоялся в концертном зале "Астана мьюзик холл", который находится в центре города и выделяется весьма оригинальной архитектурой. В частности, фасад данного здания представлен формой огромной керамической посуды.

Прощальный обед украсили звучавшие на высоком уровне песни на разных языках народов мира в исполнении профессиональных казахских певцов.

Участники форума не скрывали удовольствия от столь высокого уровня проведения мероприятия. Покидая Астану мы взяли с собой тепло гостеприимства, традиционно характерное для казахского народа.

Я глубоко убежден, что блестяще проведенный форум надолго останется в памяти его участников...

В целом, астанинский медиа форум открывает широкие возможности для независимого обмена мнениями между политиками и экспертами из разных стран, что способствует повышению взаимопонимания в современном весьма непростом мире.

ავთანდილ ღელაღუტაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ალექსანდრე ბატონიშვილი და „ქართველი“ შამილი

წარმოდგენილი საკითხით ჩემი დაინტერესება განაპირობა ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დამკვიდრებულმა აზროვნების სტილმა თუ კომპლექსმა, რომლის მიხედვითაც ცნობილი სიმღერის „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ“ ბუნებრივ გაგრძელებად გვესახება ცნობილი „თეორიები“ მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების ქართულ წარმომავლობაზე, ჩვენი სისხლით და გენით გაკეთილშობილებულ ეთნოსებზე, მთელი სერიოზულობით მსჯელობა და მტკიცება სადამ ჰუსეინის და ტოტო კუტინიოს ქართულ წარმომავლობაზე. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება არაფრით ჩამოუვარდება ჩვენი მეზობელი „ვაიმეცნიერების“ დიად აღმოჩენებს.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ისტორიკოს-მწერლების ზოგიერთი წარმომადგენელიც ვერ უძლებდა ცდუნებას და მსგავს აღმოჩენებს უხვად სთავაზობდა ქართველ მკითხველს.

საგულისხმოა, რომ მკვლევართა ეს კატეგორია თავისი „აღმოჩენის“ დასადასტურებლად იშველიებს იმ სანდო წყაროებსა და სხვადასხვა საბუთებს, რომლებიც შემდეგ სადღაც უჩინარდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის ქართველობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოყვარულ-მკვლევართა აზრით სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა რუსეთის ერთ-ერთ არქივში. საქმე ეხება პეტრე I-ის დედის ნატალია ნარიშკინას მიმოწერას ბატონიშვილ ერეკლესთან (შემდეგში — ნაზარალიხანი), სადაც ნატალია ყრმა პეტრეს მისსა და ერეკლეს შვილად მოიხსენებს (ამ წერილების ასავალ-დასავალი, რა თქმა უნდა, უცნობია). ან კიდევ პროფესორმა ნაპოლეონ ლემონჯავამ, როგორ მიაგნო ვლადიმირის არქივში ამის დამადასტურებელ საბუთებს, თუმცა არც ეს დოკუმენტები არსებობს დღეს. თურმე არსებობდა კაპიტალური ნაშრომი (სადოქტორო) ამ თემაზე, რომელსაც როდესაც სტალინი გაეც-

ნო, მისი გამოქვეყნება აუკრძალავს. მიზეზი - „რუსეთს ერთი ქართველიც ეყოფაო“. ხოლო ნაშრომის ავტორი მალევე დაღუპულა საეჭვო ავტოკატასტროფაში. მსგავსი მაგალითები მრავალია. რაც შეეხება პეტრეს ქართველობას, ეს ძალიან პოპულარული თემაა ისტორიკოსებსა და მოყვარულ მკვლევართა შორის. მინდა რამოდენიმე სიტყვით შევეხო ამ საკითხს და შემოგთავაზოთ ჩემი მოსაზრება.

ცნობილია, რომ მეფე ალექსი მიხეილის ძეს პირველი ქორწინებიდან 11 შვილი ჰყავდა, ხოლო მეორე ქორწინებიდან შეეძინა პეტრე. მეფე ალექსი იყო ფიზიკურად ძლიერი, გონებრივად განვითარებული, უყვარდა ნადირობა და პირადად მონაწილეობდა პოლონეთის წინააღმდეგ ომებში. მეორე ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე ჯანმრთელობამ უმტყუნა და მოხუცს დაემსგავსა (40 წლის ასაკში), სწორედ აქედან იღებს სათავეს პეტრეს ქართველობის თეორია. მოსკოვის სამეფოს კარზე მყოფი მომხიბვლელი ერეკლე ბატონიშვილი თურმე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაღალი საზოგადოების ქალბატონებში. მათ შორის იყო ნატალია ნარიშკინაც, რომელსაც თურმე ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლესთან და ეს ინტიმური ურთიერთობა გრძელდებოდა ნატალიას გათხოვების შემდეგაც.

ამ კავშირის შესახებ თურმე ყველაფერი იცოდნენ რუსმა ბოიარებმა, მაგრამ შეგნებულად დუმდნენ, რადგან მოსკოვის სამეფო ტახტისთვის ჯანმრთელი მემკვიდრე სურდათ (გავიხსენოთ ძველი სპარტელების საოცარი ჩვევა - როდესაც სიხარულით ხვდებოდნენ მათი ცოლების გამოჩენილ სპარტელებთან კავშირს, რადგანაც სპარტას ღირსეული გენის მატარებელი მოქალაქე შეემატებოდა. ნაკლებ სარწმუნოა, რომ რუსი ბოიარები ასე სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ).

ვფიქრობ, ამ თემის წინ წამოწევა უკავშირდება პეტრეს ნახევარდის - სოფიო ალექსის ასულის ბნელ ზრახვებს: 1689 წლის 7-8 აგვისტოს ღამით მოხდა გაუგონარი ამბავი, მეფის საყრდენ ძალად წარმოდგენილი ე. წ. სტრელცები, რომელთაც მეფის დაცვა ევალებოდათ და მოსკოვში იყვნენ განლაგებულნი, მოულოდნელად აიყარნენ და გაემართნენ მოსკოვის მახლობლად მყოფი პეტრე I-ის მოსაკლავად. გასაკვირვი იყო სტრელცების აგრესიის მიზეზი მეფის მიმართ, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სტრელცებთან მოვიდა სოფიო და აუწყა მათ, რომ რუსეთის ტახტზე ავიდა არა მამამისის, მეფე ალექსი მიხეილის ძის კანონიერი შვილი, არამედ ბატონიშვილ ნიკოლოზის (იგივე ერეკლე) და ნატალია ნარიშკინას უკანონო შვილი — პეტრე. ცნობილია, რომ სოფიო ტახტისთვის იბრძოდა, მაგრამ ვერ გამეფდებოდა, სანამ ვაჟი მემკვიდრე ანუ პეტრე ცოცხალი იყო. კონკურენტის გზიდან ჩამოსაცილებლად

სოფიო არ მოერიდა სამეფო ოჯახის პრესტიჟის შელახვას. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ქართველ ჟამთააღმწერელთან დაცული არანაკლებ ამაზრზენი ცნობა — მეფე რუსუდანი ცდილობს რა საკუთარ ვაჟს ტახტისკენ გზა გაუკაფოს, არ ერიდება საშინელ ცილისწამებას და მის სიძეს — სულთან ყიას-ად-დინს ატყობინებს, საკუთარი ქალიშვილის და ძმისშვილის დავით ლაშას ძის ვითომდა საყვარლობის შესახებ.

და ბოლოს: პეტრე რუსეთის იმპერატორი იყო, რუსი თმის ღერებიდან ფეხის ფრჩხილებამდე, ამბიციური და ამპარტავანი. პიროვნება, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ქართლის დაქცევა აოხრებაში. რა მნიშვნელობა აქვს, რა ჯიშის იყო პეტრე, მთავარია, როგორ აზროვნებდა. პეტრე კი აზროვნებდა, როგორც რუსი და ეს ყველამ უნდა გავითვალისწინოთ. ასეთი მიდგომით შეგვიძლია შაჰ-ბას I-ის ქართული ფესვებითაც ვიამაყოთ.

რაც შეეხება ორი დიდი მოღვაწის — რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლების, ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირობო ლიდერებისა და მედროშეების, ქართველი ალ. ბატონიშვილისა და დაღესტნელი შამილის მამა - შვილობას არანაკლები თეორიები და „მტკიცებულებები“ მოგვეპოვება. ამ თეორიის ერთ-ერთ უპირველეს ნათლიად უნდა ჩაითვალოს ალ. ფრონელი. თავის წიგნში „მთის არწივი“ ფრონელი, სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შამილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი: „როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი, ძე ერეკლე მეორისა, იყო დევნილი რუსთაგან, მაშინ იგი გადაიხვეწა დაღესტანში, ავარში, სოფელ ოსოკოლოს, რომელიც არის გიმრის მახლობლად. ამ განდევნილობის ჟამში ალექსანდრემ, როგორც უცოლო ასაკოვანმა ვაჟკაცმა შეიყვარა რომელიმე ლეკის საშუალებით ერთი ლეკის, სახელად დენგაუს ცოლი, ქალი ლამაზი და მათი შეერთებითგან დაიბადა შამილი, რომელიც განითქვა შემდეგ დაღესტნის იმამად და შეიქმნა ძლიერ განთქმული რუსების მტერი. თვით დენგაუ იყო კაცი ძლიერ ლაღი და სუსტი ჭკუის. ხელობა იმისი იყო მხოლოდ წყლის ზიდვა საკიდრით მდინარედგან და არა მეტი ხელობა მას არ შეეძლო. როგორც ამბობენ, არ შესძლებოდა მას სისუსტისა გამო შესრულება ცოლ - ქმრობის წესებისა“ (პარალელი ალექსი მიხეილის ძესთან.).

ალ. ფრონელი ამ აზრს ადასტურებს მოხუც ლეკთაგან მოსმენილი გადმოცემებით. შამილის ცელქობით მობეზრებული დედა წააყვედრიდა ხოლმე: „არ დაცხრები შე გიაურო და გურჯის შვილოვო“.

ალ. ფრონელი შამილისა და ალექსანდრეს პორტრეტებსაც ამსგავსებს და იმოწმებს ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ გადმოცემას, ალექსანდრეს ფშავში ხახა ქისტაურის ოჯახში ქეიფის დროს

უთქვამს: „ეჰ, მე იქნება ამოდენა ტანტალში უძეოდ მოვკვდე, თუმცა კი არც უძეო ვარ, მხოლოდ ის მენანება, რომ ჩემი თესლი დაღესტანში დარჩაო“.

ალბათ ყოველივე ამის გამო ასკვნიდა ალ. ფრონელი: „მთის ბატონი შამილი, ეს შეუდარებელი იმამი დაღესტნისა უბრალო ლეკი არ იყო, ჩვენ გვჯერა, რომ შამილის ძარღვებში სჩქეფდა ქართველის სისხლი“.

ბასილ მელიქიშვილის ნოველაში: „მკერდშებოლილი მერცხალი“ იგივე აზრია გატარებული: ალ. ბატონიშვილი მაღლა აიტაცებს და გულში ჩაიკრავს პატარა, მაგრამ მიმინოსებური მზერით ღობესთან მდგარ ბავშვს, ლეკები ერთმანეთს გადაულაპარაკებენ: „შამილსა ჰკოცნის, მეგოდრის შვილსა. მეგოდრის კი არა, მისი შვილია...“

და ბოლოს ერთი თუშური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ერთი თუში გლეხი ტყვედ აუყვანიათ ლეკებს და შამილისთვის მიუგვრიათ, შამილს მისთვის უთქვამს: „რას მერჩით ქართველებო, ჩვენ ხომ საერთო მიზანი გვაქვს — რუსებისგან გათავისუფლება. მე ხომ ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი ვარ და მსურს აღვადგინო ჩემი წინაპრების ტახტიო“ — აქ კომენტარი ზედმეტია!

რაც შეეხება ისტორიულ სიმართლეს, ცნობილია, რომ შამილი დაიბადა 1798 (ზოგი წყაროს მიხედვით — 1797) წელს.

ამჟამად სრულიად ნათელია, რომ ალ. ბატონიშვილი 1813 წლამდე დაღესტანში არ ყოფილა. შამილი კი ამ დროისათვის მინიმუმ 14 წლის იქნებოდა. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ დიდი სურვილის და მცდელობის მიუხედავად შამილი ალექსანდრეს შვილი ვერ იქნებოდა. თუმცა ალექსანდრე ბატონიშვილი ნამდვილად იყო შამილის სულიერი მამა, რადგან ამ უდიდესი ქართველი პატრიოტის მიერ დაწყებული დიადი გამათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ღირსეულად გააგრძელა მთის არწივმა - შამილმა.

Avtandil Gelagutashvili

Doctor of History, Professor, Rector of Jakob Gogebashvili Telavi State University

Prince Aleksandre Bagrationi and "Georgian" Shamil

Summary

The following Georgian saying: "The best nations in the world are Georgians" was established through certain parts of our society. This idea was the natural extension of the well-known portraits of the "theories" about Georgian origin of famous people in the world.

Some of representatives of our historian-writers resist the temptation of using such discoveries and generously offered them to Georgian readers.

In this regard, documents about the Georgian origin of Russian Emperor Peter I are worth of interest. They were accidentally discovered, but unfortunately are missing for today.

The similar is that Prince Alexandre Bagrationi is Shamil's father and that is reality.

Николай Джавахишвили

Доктор исторических наук, профессор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, главный научный сотрудник Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили, почётный доктор Академии Наук Латвии

ЛАТВИЯ, ЛАТЫШИ И ИХ ДОБРЫЕ ДРУЗЬЯ ГРУЗИНЫ В МОЕМ ВИДЕНИИ

11 июня 2014 года в одном из красивейших горных регионов Восточной Грузии – Мтиулети по устоявшейся традиции торжественно был отмечен праздник «Ломисоба». Данный праздник обычно отмечается на седьмое воскресенье со дня Пасхи Христовой в Свято-Георгиевской церкви, расположенной в селе Млета Душетского района.

Моя мама – Мария Георгиевна родом из Мтиулети. Её предки – Огбаидзе были «хевисбери» южной части региона Мтиулети – общины Цхавати, т. е. представителями царской власти, избранными общиной военными и религиозными управителями («гамгебели»). Поэтому у нас в семье праздник «Ломисоба» всегда отмечается с большим торжеством и приносит нам огромную радость.

На нынешней «Ломисоба» меня ждал очень приятный сюрприз. Председатель департамента гуманитарных и социальных наук Академии наук Латвийской республики – госпожа Райта Карните написала мне: «Дорогой господин Н. Джавахишвили,

Имею честь известить Вас о том, что вчера, 10 июня, Сенат Академии наук Латвии присвоил вам звание почетного доктора (в области истории).

Поздравляю Вас!».

Такая приятная информация, естественно, очень обрадовала меня. Этим решением научная элита Латвии выразила свое положительное отношение к моей научно-педагогической работе последних пяти лет, которые я посвятил изучению вопросов истории грузино-балтийских, в том числе и грузино-латышских отношений, и популяризацию её итогов публикациями и чтением лекционного курса как в Грузии, так и в Латвии.

Мне вспомнились эпизоды моей жизни, которые связывают меня с этой одной из самых прекрасных стран Европы, представителями благородного латышского народа, грузинскими популяризаторами её

культуры, а также теми грузинами, которые оказали мне поддержку в процессе работы над вопросами грузино-латышских отношений.

В представленных ниже очерках я постараюсь последовательно рассказать вам обо всем этом.

Добавим здесь же, что поскольку я намерен продолжить исследование вопросов истории грузино-латышских отношений, естественно, что предлагаемый очерк в дальнейшем пополнится новыми знакомыми мне лично людьми, имеющими отношение к Латвии.

* * *

I. Потомство латышского фармацевта Эдуарда Вольдейта в Грузии

Я родился 12 сентября 1972 года в одном из древнейших городов Грузии – Телави, в семье доктора филологических наук, профессора Георгия Николаевича Джавахишвили.

Наш дом, в котором по сей день живут мои родители и младший брат – Давид Джавахишвили, находится в исторической части города. Наша улица носит имя выдающейся грузинской художницы Елены Ахвледиани (1898-1975), которая родилась и выросла в доме, расположенном на той же улице. На нашей же улице расположен дом, в котором одно время жила известная украинская писательница, переводчица, культурный деятель Леся Украинка (1871-1913), которой пожить в Телави советовали врачи.

Мои родители поселились в нашем доме незадолго до моего рождения. До этого там почти полвека жил врач Николай Вольдейт (1886-1964). Его отцом был фармацевт Эдуард Карлович Вольдейт из Риги, обосновавшийся в Грузии в период русско-турецкой войны 1877-1878 гг.

Во время одной из своих научных командировок в Латвию я попытался найти предков Эдуарда Вольдейта, в чём мне помог академик Янис Страдиньш. Он передал мне академический альбом Императорского Дорпатского (Тарту) университета ("Album Academicum, der Kaiserlichen Universität Dorpat. Bearbeitet von A. Hasselblatt (Dorpat) und Dr. G. Otto (Mitau), Dorpat, Verlag von C. Mattiesen, 1889"), в котором на 194-ой странице приведена биография деда Эдуарда Вольдейта (т. е. отца Карла) – Августа. Его фамилия зафиксирована как Воллейдт (Wolleydt). Как объяснили мне латышские ученые, подобное незначи-

тельное изменение фамилии в те времена было не таким уж редким явлением.

Из этой книги стало известно, что теолог Август Воллейдт, 1810 года рождения, служил семейным учителем и проповедником в городе Пензе (1846-1858), преподавателем Пензенской гимназии (1858-1875), управляющим проповедником в Подольске и проповедником и преподавателем местной гимназии в Немирове (с 1859 г.). С 1875 года он по старости выходит на пенсию и селится в городе Венден (ныне Цесис).

В своих воспоминаниях (рукопись хранится у меня) Николай Вольдейт писал: "Отец – Эдуард Карлович Вольдейт... латыш из Риги, попал на Кавказ во время Русско-турецкой войны (1877-1878 гг.) в качестве фармацевта. После войны остался служить в Тбилиси, где и женился на моей матери, грузинке Наталии Иосифовне Джишкариани, проживающей в Тбилиси".

Таким образом, Эдуард Вольдейт повенчался с дворянкой Наталией Джишкариани. Эта православная латышско-грузинская семья жила сначала в Тбилиси, а затем – в селе Тетри Цкаро. У них было 12 детей: Николай, Виктор, Евгений, Александр, Валериан, Анастасия, Валентина, Людмила и еще 4 детей, умерших в младенчестве.

Старший сын, вышеупомянутый Николай Вольдейт, родился в Тбилиси. После окончания Фельдшерской школы при больнице Святого Михаила (1904 г.) со званием «медицинский фельдшер II разряда» он более полувека самоотверженно служил делу здравоохранения в Грузии. В разное время он работал в Душетском, Марнеульском, Сагареджойском, Гурджаанском и Телавском районах. Позже он окончил лечебный факультет Тбилисского государственного медицинского университета, где ему была присвоена квалификация врача.

С 1918 года Н. Вольдейт жил и работал в Телави, где снискал известность как профессиональный лекарь и благородная личность. Он пользовался таким высоким авторитетом среди жителей региона Кахетии, что его любя называли – «Экими Коля» (т. е. «доктор Коля») или «Дзиа Коля» (т. е. «дядя Коля»).

Супругой Н. Вольдейта была Екатерина Александровна Хатиашвили (1888-1959). В 1940 году их единственного сына – Аполлона Вольдейта (1919-1941), который учился в Тбилиси на химико-технологическом факультете Грузинского индустриального института, призвали на обязательную военную службу. Он служил в Западной Украине, принимал участие во II мировой войне, где пропал без вести.

В начале войны между СССР и Германией Н. Вольдейт работал врачом-ординатором терапевтического отделения Телавской районной больницы. В октябре того же года, сочтя его человеком «немецкого

происхождения», а, соответственно, – политически ненадежным, освободили от занимаемой должности и вместе с супругой и родственниками (Вольдейтами) выслали в Казахстан. Более двух лет он работал в Лениногорской городской поликлинике. В конце 1943 года Н. Вольдейт документально доказал, что является не немцем по национальности, а латышом. В январе 1944 года безосновательно репрессированного врача освободили и разрешили вернуться в Грузию. Он вместе со своей супругой вернулся в Телави, где жил и продолжал заниматься профессиональной деятельностью вплоть до своей кончины.

В своей автобиографии Н. Вольдейт указывал: «20 октября 1941 года меня по ошибке, как «человека немецкого происхождения», переселили в Казахстан, где я работал в Лениногорской городской поликлинике. Свое переселение я обжаловал в высших органах, в результате чего меня вновь вернули в Телави. С 17 января 1944 года я работаю в инфекционном отделении Телавской районной больницы... У меня есть жена – Екатерина, 1888 года рождения, грузинка. У меня был сын, 1919 года рождения, которого в 1940 году призвали в армию, где он пропал без вести. Я – беспартийный. К ответственности не привлекался. Несколько раз награжден благодарностью и денежным вознаграждением».

27 августа 1954 года в статье «50 лет на охране здоровья трудящихся», опубликованной в выпускаемой в Телави районной газете, было указано: «50 лет как врач-терапевт Николай Эдуардович Вольдейт оказывает народу медицинскую помощь... Врач, вооруженный глубокими теоретическими и практическими знаниями... Работал на различных ответственных медицинских должностях. В настоящее время заботливая рука этого почтенного человека трудится в Телавской больнице, где он заведует инфекционным отделением.

На протяжении 50 лет медицинской деятельности Н. Вольдейт излечил многих больных или, как говорят бывшие больные, «вернул с того света на этот», тысячам трудящихся он вернул трудоспособность... Хорошим человеком и лучшим специалистом, «спасителем» называют его и не представляют, что их мог бы излечить «кто-нибудь другой, кроме доктора Коли». 68-летний пожилой врач с молодежной энергией крутится вокруг своих больных. На протяжении своей последующей работы он оставит благодарными еще многих трудящихся».

Мои пожилые соседи, живущие в Телави, вспоминали, что Николай Вольдейт был духовно чистым, доброжелательным и бескорыстным человеком, который всегда гордился своим латышским происхождением.

Живший напротив нашего дома Ираклий Михайлович Андроникашвили (1912-1992) вспоминал: «Когда мы – соседи садились за стол, мы часто выбирали тамадой Н. Вольдейта. Помимо того, что он был старше нас по возрасту, образован, он одновременно был человеком, отличающимся представительной внешностью, который замечательно говорил по-грузински и блестяще проводил застолье. Иногда, когда тамада хмелел, он читал стихи на грузинском и латышском языках. Мне запомнился один из них: «Сауле, сауле, земе, земе, без арая невареа».

Как я установил позже, это латышское народное стихотворение, которое переводится так: «Солнце, земля, пахарь».

После смерти супруги Н. Вольдейт женился второй раз. Его второй супругой стала Дарья Абелевна Абелишвили (1895-1976). Здесь же добавим, что Абелишвили были кахетинскими дворянами, проживавшими в селе Ожио (ныне Ахметский район) и состоявшими в родстве с тамошними Андроникашвили. Между прочим, представителями той ветви этого славного рода были известный адвокат Луарсаб Николаевич Андроникашвили (1872-1939) и его знаменитые сыновья – Ираклий (1908-1990) и Элевтер (1910-1989). Старший из них – Ираклий, который являлся писателем, литературоведом, замечательным рассказчиком, доктором филологических наук, народным артистом СССР, жил в Москве и носил фамилию – «Андроников» а младшый – Элевтер, который был доктором физических наук, академиком Академии Наук Грузии жил в Тбилиси и носил фамилию своих предков – Андроникашвили.

Заслуженный врач Н. Вольдейт скончался в июле 1964 года в возрасте 78 лет. Он похоронен в Телави, на грузинском кладбище.

Евгений Эдуардович Вольдейт (1888-1968) был врачом-фармацевтом и работал по специальности в горных районах Восточной Грузии. Он был женат на ассирийке православного вероисповедания, проживающей в Грузии, Нино Лазаревне Богдановой, по матери Гиунашвили. У них было трое сыновей: Анатолий (1912-1975), Борис (1914-1973) и Глеб (1917-1970).

Анатолий Евгеньевич Вольдейт женился на Елене Арджеванидзе, которая родила ему двух детей: Нино (специалист английского языка) и Евгения (электроинженер). От второго брака у него родился еще один сын – Владимир, который проживает в Смоленске.

Борис Евгеньевич Вольдейт сочетался браком с Венерой Леквинадзе. У них родились три сына: Эдуард (скончался в юности), Глеб (инженер) и Борис Тбилели (композитор). У обоих есть семьи.

Глеб Евгеньевич Вольдейт был инженером-строителем. Он окончил Грузинский индустриальный институт по специальности инженер-архитектор (1941), принимал активное участие в строительстве города Рустави. 8 августа 1964 года ему было присвоено звание заслуженного инженера Грузии.

У Глеба Вольдейта с супругой Этери Кванталиани родились две дочери: Лия и Нана Вольдейты. Лия Вольдейт – певица, известная исполнительница грузинских и русских романсов, а Нана Вольдейт – геофизик, обе замужем за грузинами.

Валериан Эдуардович Вольдейт был женат на немке – Берте, которая родила ему двух сыновей – Игоря и Константина, последний был известным инженером.

Такова вкратце история обосновавшегося в Грузии латышского фармацевта Эдуарда Карловича Вольдейта и его потомства.

Так что Латвия и латыши отпечатались в моей памяти еще с раннего детства. Это естественно, так как мои детские и юношеские воспоминания тесно связаны с родительским домом, построенным около сотни лет назад латышским врачом, предки которого происходили из лифляндского города Вендена (ныне Цесис).

II. Профессор Ушанги Сахлтхуцишвили

Профессор Ушанги Сахлтхуцишвили (1939-2005) был моим старшим другом. Он работал на филологическом факультете Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, был прекрасным знатоком и популяризатором латышской литературы и культуры в Грузии.

В 1962 году, по рекомендации академика Варлама Топурия (1901-1966), студент филологического факультета У. Сахлтхуцишвили был отправлен на обучение на филологический факультет Латвийского университета, где проучился два года. Впоследствии он систематически посещал Латвию, где у него было много друзей. Он в совершенстве знал латышский язык и в разное время перевел на грузинский язык сочинения Зигмунда Скуиньша, Жана Гривы, Визмы Белшевицы, Андрия Якубансиса и Альберта Бела. Он же издал сборник латышских писателей «У янтарного моря», в который вошли произведения латышских писателей Э. Вилкса, Ж. Гривы, А. Якубана, Э. Лукьянскиса, Э. Кулиса, А. Скайлиса, В. Кайяка, В. Лациса и Т. Вайдарса. Он же составил «Латышско-грузинский разговорник», предназначенный для грузинских студентов филологического факультета, желающих изучить латышский язык.

У. Сахлтхуцишвили вспоминал: «Было 3 сентября 1962 года... на кафедре новогрузинского языка... нас встретил господин Варлам Топурия. Он поприветствовал нас, принял очень тепло и показал, что мы можем садиться. Он спокойно начал разговор: «Латвийский и наш университет приняли решение об обмене студентами. Это первый подобный эксперимент во всем Советском союзе. Из Латвии с целью изучения грузинского языка и литературы к нам должны прибыть три студента. Мы также должны отобрать трех студентов и отправить их в Ригу. Кафедра новогрузинского языка назвала Вас...

В период нашего обучения в Латвии господин Варлам не оставлял нас без внимания, он писал нам письма и давал советы и наставления... Приведу одно из писем:

«Уважаемые коллеги, Ушанги, Джемал и Бесик!

Желаю Вам успеха, а также оправдания надежд нашего университета...

Латышские студенты, прибывшие по обмену, прилично занимаются, научились читать (алфавит), справляются и с письмом, уже могут перенести на бумагу небольшие события и рассказать о них. Могут передать автобиографические сведения и рассказать о своей повседневной деятельности пока небогатыми средствами, но понятно. Как бы девушки вас не обошли.

Моя просьба: до января не занимайтесь ничем, кроме изучения латышского языка. Днем и ночью овладевайте языком, учите много слов, предложений, выражений, много читайте и при помощи знакомых слов описывайте на бумаге события. Написанное, безусловно, должно быть исправлено. До января вы должны справиться с языком. Разговаривайте друг с другом по-латышски. Когда научитесь хорошо говорить, дела пойдут вперед. За письмо спасибо.

С уважением,

В. Топурия.

10. X. 1962».

Когда нас зачислили в аспирантуру, я и Джемал Силагадзе отправились в Ригу. Господин Варлам передал через нас письмо проректору Латвийского университета, проф. А. Варславану...

Господин Варлам просил руководство университета летом отправить нас в такое село, где мы были бы вынуждены говорить только на латышском языке. Сам господин Варлам эту практику уже применил. Для того чтобы латышские студентки Майя Гусаре, Марга Ниедре и Мара Нарука более глубоко и основательно изучили грузинский язык, он отправил их на несколько месяцев в одно из кахетинских сел, и остался очень доволен результатами.

Господин Варславан сказал нам, что вскоре найдет для нас такое село... В один прекрасный день мы на «Волге» заведующей кафедрой доцента Алисы Лауа промчались по Видземскому шоссе и приехали в расположенное, приблизительно, в ста километрах от Риги село Нитауре. Нас разместили в одной хорошей семье по фамилии Абуоле, в которой был сын нашего возраста. Нитауре, действительно, очень красивое село с неповторимой природой: с лиственными и хвойными лесами, реками и озерами, мирным и вольным народом, красивыми девушками и гордыми юношами... Полтора месяца мы пробыли в этом селе (впоследствии я много раз бывал там, когда возил туда на летнюю практику наших студентов)...

Вернувшись из Нитауре, мы уже хорошо говорили по-латышски... Начиная с этого времени, находясь в Латвии, я уже никогда не говорил по-русски... В Нитауре нас каждые выходные навещали наши преподаватели с филологического факультета, они проверяли наше практическое обучение и возили на экскурсии... В самом конце к нам на своей «Победе» приехал декан факультета Юлий Карклин и отвез нас в Ригу. Семье Абуоле за вклад, который они внесли в изучение нами разговорного языка, был вручен специальный диплом...

В результате заботы господина Варлама была заложена прочная основа для новой ступени развития грузино-латышских культурных, а в частности – литературных отношений. На грузинский язык непосредственно с языка оригинала были переведены произведения известных латышских писателей. Ученицы господина Варлама – Майя Гусаре и Марга Ниедре, перевели на латышский язык произведения А. Казбеги, Г. Леонидзе, М. Джавахишвили, К. Гамсахурдия, Н. Думбадзе... Неустанным трудом именно этих женщин стало возможным познакомить латышского читателя, переживаниями и болью, борьбой и устремлениями грузинских персонажей.

Было очевидно, что этот первый эксперимент оправдал себя. На следующий год студентов отправили уже в другие республики».

У. Сахлтхуцишвили как исследователь топонимики часто принимал участие в топонимических экспедициях, проходивших как в Грузии, так и в Латвии. В связи с этим он вспоминал: «Наши коллеги-латыши основательно подходят к этому делу. Они в течение целых пяти лет ездили в одни и те же села, рассказывали, объясняли населению, зачем они приехали, какую цель имеет запись топонимического или иного материала. В одной из таких экспедиций принимал участие и я. Это было в 1982 году. В селе Нитауре комплексно описывали ономастический, этнографический материал и диалектическую лексику».

В личных беседах господин Ушанги так интересно описывал Латвию, так тепло отзывался о латышском народе, что слушатели невольно пропитывались симпатией к этой стране и народу. Частично это и побудило меня заняться изучением грузино-латышских отношений.

В 1997 году в Тбилисском государственном университете имени Иванэ Джавахишвили я защитил кандидатскую диссертацию на тему: «Грузинская фалеристика (наградоведение)». На защите присутствовал и господин Ушанги.

На следующий год, когда У. Сахлтхуцишвили вернулся в Тбилиси из очередной командировки в Латвию, он передал мне, как наградоведу, двухтомный труд «В лучах Трёх звезд», который был издан в Риге в 1997-1998 гг. Этот солидный труд рассказывает нам об истории высшей награды Латвийской республики – Ордене Трёх звёзд. Двухтомник настолько понравился мне, что я посвятил ему рецензию под названием «Во славу достойных сынов отечества», которую я опубликовал в ежегоднике «Грузинская дипломатия» (том VI, Тбилиси, 1999, стр. 366-369).

В рецензии я писал: «Воистину достойно подражания то огромное уважение, с которым латыши относятся к славным сынам своего отечества. Это в очередной раз отчетливо проявилось в 1997-1998 гг., когда в Риге издательство «Латвиас вестнесис», на высоком полиграфическом уровне, в двух томах издало труд «В лучах Трёх звезд» (за предоставление этой книги я выражаю благодарность господину Ушанги Сахлтхуцишвили)...

Мне абсолютно понятна благородная цель авторов и издателей книги «В лучах Трёх звёзд» – свято сохранить для будущих поколений имена тех, кто проявил себя в формировании и строительстве Латвийского государства как в 1918-1940 гг., так и 1990-1998 гг. Именно поэтому к этому труду был приложен список лиц, награжденных вышеупомянутым орденом, так трепетно сохраненный в латвийских архивах и памяти свободолюбивого латышского народа».

Так что, благодаря господину Ушанги, я еще при его жизни опубликовал свой первый труд об истории Латвии в виде вышеупомянутой рецензии.

Жаль, что Ушанги Сахлтхуцишвили уже нет с нами.

Царствие ему небесное!

III. Профессор Регина Якобидзе

Я горжусь тем, что профессор Регина Якобидзе является моим старшим другом. Она много лет работала в Тбилисском государствен-

ном университете имени Иванэ Джавахишвили, где я с ней и познакомился 20 лет назад. Здесь же добавлю, что работать в университете я начал в 1994 году.

Госпожа Регина родилась и выросла в Латвии. Её супруг господин Давид Якобидзе некогда занимал должность министра финансов Грузии и внёс большой вклад в дело введения, а также укрепления стабильности курса нашей национальной валюты – «лари».

Несмотря на то, что я знаком со многими иностранцами, обосновавшимися в Грузии, мне сложно назвать другого человека, который столько бы делал для своей родной страны, популяризации её культуры, как это удаётся госпоже Регине. Правда, сложно полностью представить весь её вклад, однако, мы попытаемся обратить внимание лишь на несколько важных фактов.

В 90-х годах XX века латыши, проживавшие в Грузии, приняли решение о создании в Грузии своего землячества.

В 1994 году Министерство юстиции Грузии зарегистрировало Латвийское землячество под названием «Ave Sol». В нём числилось около 50 латышей. Возглавила организацию почётный консул Латвии в Грузии профессор Регина Якобидзе. Двадцать лет она талантливо руководила землячеством, которое очень много сделало для восстановления и углубления грузино-латышских отношений.

В июле 1999 года, по инициативе Латвийского землячества в Грузии и лично консула Р. Якобидзе, а также при поддержке Латвийского архива и Музея прикладного искусства, состоялась международная конференция, посвященная 125-летнему юбилею Юлия Страуме.

На конференции была принята резолюция об открытии на здании, в котором работал Ю. Страуме, мемориальной доски.

Летом 2000 года,во время визита министра иностранных дел Латвии в Грузию, вышеупомянутая доска была открыта в торжественной обстановке. Одновременно с этим была открыта и мемориальная доска на здании, расположенном на проспекте царя Давида-Строителя в Тбилиси, где в 20-х годах XX века размещалось Латвийское консульство.

В 2005-2009 гг. Общество «Ave Sol» приняло активное участие в организации визитов в Грузию президентов Латвии – Вайры Вике-Фрейберги и Валдиса Затлерса.

26 мая 2005 года для принятия участия в торжествах, посвященных государственной независимости Грузии, в Тбилиси прибыла президент Вайра Вике-Фрейберга, где у неё состоялась встреча с руководством общества «Ave Sol». Кроме того, она присутствовала презентации книги латышского исследователя Лаймы Клавины «Юлий Страуме – мастер прикладного искусства».

В Грузии много было сделано и для увековечения памяти известного латышского ученого Роберта Купциса. В это благородное дело свою лепту, вместе с внуком Р. Купциса – Игорем Парастаевым и профессором Ревазом Схиладзе, внесло и Латвийское землячество в Грузии.

В ноябре 2007 года по инициативе Латвийского землячества в Тбилиси состоялась международная конференция на тему «Вклад Роберта Купциса в грузинскую науку», посвященная светлой памяти этого замечательного ученого. В торжественной церемонии открытия конференции приняли участие Р. Якобидзе и чрезвычайный и полномочный посол Латвии в Грузии – Андрис Вилцанс.

В конференции принимало участие около 100 ученых как из Грузии, так и Латвии. Среди гостей были: вице-президент Академии наук Латвии, декан факультета фармации Медицинской академии, сотрудник Музея фармации, директор Академической библиотеки и др. Для принятия участия в конференции из Санкт-Петербурга прибыла и внучка Р. Купциса – Ирина.

На конференции была принята резолюция, согласно которой имя Р. Купциса было присвоено VI Цхалтубскому источнику. Также было принято решение о том, что в Тбилиси на здании, расположенном по улице Шерозия № 10, где размещалась лаборатория и служебная квартира ученого, будет установлена мемориальная доска.

27 февраля 2009 года, в день рождения ученого, по вышеуказанному адресу состоялось торжественное открытие мемориальной доски.

В Латвийском землячестве, действующем в Тбилиси, объединены не только представители старшего поколения, но и молодые люди. Вопросами их сближения с латышским языком и культурой занимается воскресная школа при Латвийском землячестве. Основной задачей землячества является сохранение идентичности и укрепление связи с родиной предков. С этой целью из Латвии в Тбилиси систематически поступает литература, пресса, видеокассеты, организовываются встречи с соотечественниками, прибывающими в Грузию из Латвии. Параллельно с этим, латыши, проживающие в Грузии, усердно пытаются интегрироваться в жизнь независимой Грузии, изучают грузинский язык и т. д.

Вклад госпожи Регины Якобидзе на должном уровне оценивают как в Грузии, так и в Латвии. В 2000 году ректор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили наградил госпожу Регину медалью академика Иванэ Джавахишвили. В 2007 году правительство Латвии наградило её высшей государственной наградой – Крестом признания (благодарности). В наградном документе указано,

что Р. Якобидзе была награждена за достойное представление Латвии за рубежом. За вклад, внесенный в дело восстановления дружеских отношений между городами Чиатурой и Сигулдой, госпожа Регина была избрана почётной гражданкой города Чиатуры.

Неустанная деятельность профессора Регины Якобидзе на пользу своей родины – Латвии, а также наша двадцатилетняя дружба с ней, стали одной из причин моей заинтересованности в изучении истории грузино-латышских отношений.

IV. Профессор Константин Коркелия

После того, как я начал монографическое изучение вопросов истории грузино-балтийских, а в том числе и грузино-латышских отношений, мне необходимо было поехать в Ригу и поискать надлежащие материалы в хранилищах древностей.

В 2008 году чрезвычайным и полномочным послом Грузии в Латвии был назначен профессор юридического факультета Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, доктор юридических наук Константин (Котэ) Коркелия.

Котэ – человек моего возраста. Мы знаем друг друга по университету. Несмотря на свой молодой возраст (он родился в 1974 году), Котэ уже является известным ученым, признанным специалистом международного права, который с большим успехом действует и на дипломатическом поприще.

В начале 2009 года я ознакомил К. Коркелия с проектом своей монографии «Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений», что вызвало его большой интерес. В отношении моей инициативы посол проявил поистине государственный подход. Его стараниями я дважды побывал в Латвии в научной командировке – в августе-сентябре 2009 года и сентябре 2010 года.

После моего прибытия в Ригу посол познакомил меня с консулом Грузии в Латвии госпожой Кетеван Есиашвили, а также сотрудниками посольства, молодыми профессиональными дипломатами: Темуром Джанджалия (в настоящее время он является чрезвычайным и полномочным послом Грузии в Латвии), Георгием Паниашвили (в настоящее время он является старшим советником посольства Грузии, аккредитованного в Литве) и Паатой Габидзашвили. В грузинском посольстве также работали: латышский секретарь Синтия Мейере и рижские грузины Тенгиз Стуруа и Марина Насаридзе-Зибергс.

Долгий опыт отношений с этими людьми убедил меня в том, что они представляют собой хорошо организованный коллектив и макси-

мально пытаются сделать всё для того, чтобы достойно представлять посольство Грузии в Латвии.

Над своим трудом я работал почти три года. В течение всего этого времени К. Коркелия проявлял большое внимание к моей деятельности. Я никогда не забуду его радость, когда летом 2011 года я выслал ему изданную мною монографию.

В официальном письме, напечатанном на бланке посольства Грузии, аккредитованного в Латвии, посол писал:

«Господин Нико,

В первую очередь хочу поблагодарить Вас за то, что прислали мне книгу «Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений», автором которой Вы являетесь.

Я хочу подчеркнуть большое значение этой книги, в которой собрано большое количество важнейших фактов из продолжительной истории военно-политических, экономических и научно-культурных отношений Грузии со странами Балтии. Это летопись, отражающая отношения Грузии со странами Балтии.

Ваш труд приобретает особое значение, так как грузино-балтийские отношения имеют уже более чем 10-вековую историю, хотя в целом они по сегодняшний день никогда не становились объектом особого монографического исследования...

С уважением,

Константин Коркелия

Посол».

В августе 2013 года я в третий раз отправился в научную командировку в Латвию. Презентации моей монографии состоялись в Академической библиотеке Латвийского университета, Институте истории Латвии и Военном музее Министерства обороны Латвии.

В тот период профессора К. Коркелия в Латвии уже не было. Он завершил свою дипломатическую миссию в этой стране в начале 2013 года.

Несмотря на это, он письменно приветствовал меня из Страсбурга, где по сей день успешно исполняет свои обязанности в ранге чрезвычайного и полномочного посла Грузии в Европейском совете.

Именно дипломатическая деятельность К. Коркелия в Латвии, наши дружеские отношения с ним и его участие содействовали тому, что я написал монографию об истории грузино-балтийских отношений, в которой уделил особое место истории грузино-латышских отношений.

V. Академик Янис Страдиньш

Мне выпала большая честь познакомиться и сблизиться с пользующимся всемирной известностью латышским ученым, президентом Латвийской Академии наук в 1998-2004 годах, а ныне – председателем Сената ЛАН, академиком Янисом Страдиньшем. Он является иностранным членом академий наук многих стран, в том числе первым иностранным членом Национальной Академии Наук Грузии.

Сейчас, когда я пишу эти строки, перед о мной воочию возникают те незабываемые дни, когда мне довелось видеться и беседовать с ним.

В начале августа 2009 года, по приглашению посла Грузии в Латвии профессора Константина Коркелия, я впервые посетил Латвию. Эта была научная командировка с целью сбора исторического материала для моей монографии «Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений».

Стоял август и улицы полюбившейся мне Риги купались в солнечных лучах. В этот день, а именно 18 августа я впервые встретился с академиком Янисом Страдиньшем. Достойный наследник известного ученого Пауля Страдиньша оказался необычайно теплым и багородным человеком. Будучи в Латвии, я убедился, что он пользуется большим авторитетом не только в академических кругах страны, но и среди населения. Латыши не зря называют его – «совестью латвийской нации».

Господин Янис с большой любовью вспоминал Грузию, грузинских друзей и коллег, особенно уже ушедших от нас известных ученых – академика Джондо Ивановича Джапаридзе и Николая (Лаша) Симоновича Джанашиа.

Наша беседа касалась отдельных вопросов истории грузино-балтийских взаимоотношений, я познакомил его с проектом моего исследования. Он с вниманием выслушал меня, обещал содействия в моей работе и дал несколько полезных советов. Затем он передал мне свои труды, в которых исследована научная деятельность прямого потомка царя Карталинии (Картли) Иэссея Первого, генерал-губернатора Петра Романовича (Ревазовича) Багратиони (1818-1876).Он служил на этом посту в 1870-1876 годах, проживая в Риге, и оставив там довольно заметный след.

Со второй научной командировкой я посетил Латвию в сентябре 2010 года. Я представил господину Янису итоги своего двухлетнего исследования и снова был потрясен его великодушием, решимостью, энергичностью и чувством ответственности. Он, как научный редак-

тор, несмотря на традиционно перегруженный график, выискал время для детального ознакомления с результатами моего труда.

По окончании встречи он, со свойственной ему теплой улыбкой, сказал: «Итоги вашего исследования не только удовлетворительны, но и приятно неожиданны. Удивительно, как вам удалось собрать так много нового материала в столь короткий срок. Особенно радует тот факт, что истоки грузино-балтийских взаимоотношений восходят не к XVII-XVIII вв., как это считалось до сих пор, а к X веку, что потверждено результатами вашего исследования».

Окрыленный подобной оценкой, я с удесятиренной энергией принялся за работу и уже летом 2011 года издательство Тбилисского университета издало мою монографию, которую я сразу же послал моему уважаемому редактору.

В своем письме от 25 ноября того же года академик Янис Страдиньш писал:

«Дорогой Нико...

Это действительно капитальный и основополагающий труд, который я получил в августе с. г. от посла проф. Коркелия и который просмотрел с большим удовольствием. Желаю выхода книги и на английском или латышском языке. Я понимаю, какую большую задачу Вы уже разрешили, поздравляю Вас!»

С третьей научной командировкой я отправился в Ригу в конце лета 2013 года и оставался там до 9 сентября. Презентации моей книги состоялись в Академической библиотеке Латвийского государственного университета, в Институте истории и Военном музее при Министерстве обороны Латвии.

Следует сказать, что на этот раз я представил господину Янису материалы, разысканные мною уже после выхода книги, которые найдут место в новом издании. И на этот раз мой редактор дал мне несколько полезных советов, которые непременно будут учтены мною при подготовке нового издания.

5 сентября академик Я. Страдиньш пригласил меня к себе на ужин. Признаюсь, что это приглашение меня очень обрадовало и я принял его как наилучший подарок. Я имел возможность познакомиться с супругой господина Яниса необыкновенной госпожой Лаймой – матерью славных сыновей – Пауля и Петера Страдиньшей.

Хозяин дома пригласил меня в кабинет, где я осмотрел библиотеку ученого, в которой, кроме прочего, хранится раритет – старейшая книга, изданная на латышском языке.

Перед тем, как приступить к трапезе, господин Янис произнес молитву «Отче наш» на латышском языке, а я – на грузинском. Госпо-

жа Лайма оказалась замечательной хозяйкой. Я провел в их семье несколько незабываемых часов.

В интересной беседе время пролетело незаметно и когда на улицах Риги замерцали фонари, я стал прощаться с любезными хозяевами. Перед тем как уйти, господин Янис оказал мне честь ознакомиться с пространной «книгой записей», которые по обычаю оставляли гости этой семьи, попросив и меня сделать запись. Я максимально старался следить за каллиграфией и, не скрою, мне было очень приятно видеть с каким нескрываемым интересом мои любезные хозяева смотрели на очертания грузинских букв.

Покидая дом Страдиньшей, расположенный на улице Кришьяна Валдемара № 99, я решил пройтись пешком. Медленно идя по красивым, теплым улицам Риги, забыть которые невозможно, я думал – как хорошо, что на свете еще существуют такие чудесные семьи...

После завершения моей научной командировки в Латвии, с 9 сентября я продолжил командировку в Литве.

В своем письме от 12 сентября сего же года академик Янис Страдиньш писал:

«Дорогой и глубокоуважаемый профессор Нико,

Надеюсь, письмо застанет Вас в Тбилиси по возращении домой...

Надеюсь, что Ваше пребывание в Литве было столь же плодотворным, как и в Латвии.

Это короткое письмо пишу Вам, чтобы от души поздравить Вас с 41-летием со дня Вашего рождения, которое исполняется сегодня и которое Вы, вероятно, справляете в Литве. Желаю от души доброго здоровья, счастья, новых научных находок. Ваша работа по грузино-прибалтийским связям нуждается в развитии, дополнении – она очень нужна всем нам в виде книги.

Вы – наш «духовный посол» в Грузии, может быт, когда-то будете и дипломатическим послом Грузии в Латвии, дай Бог!

Лайма также передает Вам сердечные поздравления и привет, с удовольствием вспоминаем нашу встречу в Риге.

С дружеским расположением и уважением,

Ваш Янис Страдиньш».

Это теплое поздравление глубоко тронуло меня. Я еще раз убедился в великодушии и доброжелательности этого необыкновенного человека...

Я бережно храню у себя подаренные мне господином Янисом книги с его автографами и юбилейные монеты Латвии, отличающиеся изысканным, действительно образцовым дизайном. И это не удиви-

тельно, поскольку членом комиссии по установлению дизайна этих монет является сам академик Страдиньш, который и это делает на высоком профессиональном уровне.

Есть люди, которые олицетворяют всю нацию. Таковым, по моему убеждению, является господин Янис Страдиньш, который вот уже более полувека, не шадя сил, ведет активную научную и общественную деятельность.

10 декабря 2013 года исполнилось 80 лет со дня рождения академика Яниса Страдиньша. Эту юбилейную дату надлежащим образом отметило научное сообщество Латвии. В юбилейном сборнике было опубликовано и моё поздравительное письмо. Я с удовольствием повторю слова, которыми я завершил свое поздравительное письмо:

"Я глубоко убежден, что если бы древним грекам довелось присутствовать на юбилее 80-летия академика Яниса Страдиньша, они сказали бы о нем следующее: *«Боги уступили его людям. Люди, любите и берегите его!»*

VI. Профессор Гунтис Земитис

С директором Института истории Латвии, членом-корреспондентом Академии наук Латвии Гунтисом Земитисом я познакомился во время своей первой командировки в Латвию.

Помимо того, что господин Гунтис является замечательным ученым, он в то же время оказался и отзывчивым человеком. С первой же нашей встречи он проявил искреннюю заинтересованность в выбранной мной теме исследования, подчеркнул большое значение научного исследования грузино-балтийских отношений с точки зрения углубления дружественных отношений, традиционно существующих между нашими странами, и пообещал всяческую поддержку. Он же передал мне много интересных книг, изданных в Латвии, которые мне очень пригодились.

Впоследствии, в процессе моей работы над монографией я всегда ощущал поддержку этого человека. Он нашёл время и посетил мои лекции, которые я, по инициативе декана факультета истории и философии Гвидо Страубе, читал в Латвийском университете.

14 сентября 2010 года я, уже по инициативе господина Гунтиса, прочел в Институте Латвии лекцию о монетах, чеканившихся на территории Грузии в IX-X вв., в разное время обнаруженных в Прибалтике, в том числе и в Латвии. Это подтверждает, что история грузино-балтийских отношений насчитывает более десяти веков.

Примечательно, что в этом же институте работает нумизмат Татьяна Берга, которая изучила монетные клады, найденные в 1936-1937 годах в неподалеку от Риги местечке Саласпилс-Лаукскола, в которых оказалась одна тбилисская монета – дирхем, отчеканенная в 973/974 году в Тбилисском казначействе, в настоящее время хранящаяся в Музее национальной истории Латвии.

2 сентября 2013 года, при участии господина Гунтиса, в Институте истории Латвии состоялась презентация моей монографии. Директор института и его заместитель Айнарс Лерхис подчеркнули государственное значение моей работы.

Я очень горжусь тем фактом, что на звание почетного доктора Академии наук Латвии меня представил именно Институт истории Латвии, возглавляемый господином Гунтисом Земитисом.

VII. Профессор Рауль Чилачава

В августе-сентябре 2009 года во время своей первой научной командировки в Латвию мне была предоставлена возможность познакомиться с чрезвычайным и полномочным послом Украины в Латвии господином Раулем Чилачава, который занимал эту должность в 2006-2010 гг.

Впервые с господином Раулем я встретился в конце XX века, когда, по его инициативе, в Тбилисском государственном университете имени Иванэ Джавахишвили состоялась встреча с современными украинскими поэтами.

Заслуженный деятель искусств Украины, доктор филологических наук профессор Рауль Чилачава – славный сын грузинского народа. Он является необыкновенной личностью – благородный, многосторонне образованный, истинный патриот своей родины, высоконравственный человек с тонким чувством юмора. Для Грузии было бы большой удачей, если бы подобные люди представляли её и в других странах. О его научной и литературной деятельности можно написать столько, что не хватит и довольно увесистой книги. Скажу лишь одно: в новейшей истории он оказался единственным грузином, которому так доверяло чужое государство (в данном случае – Украина), что направило его своим послом за рубежом!

Послы Украины и Грузии в Литве – Р. Чилачава и К. Коркелия дружили, что оказалось очень выгодным для обеих стран. Об этом свидетельствуют проекты осуществленные ими совместно. В их числе издание на латышском и украинском языке бессмертной поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», которое на высоком полиграфиче-

ском уровне было осуществлено в Риге в 2009 году. Автором идеи и предисловия, составителем и редактором грузинского и украинского текста этого издания является Р. Чилачава.

В Латвии господин Рауль занимался активной общественной и литературной деятельностью. По его инициативе в Риге на украинском и грузинском языках были изданы избранные произведения великого латышского поэта, писателя и общественного деятеля Яниса Райниса (Плиекшанс) и его супруги – поэтессы, драматурга и общественной деятельницы Аспазии (Эльза Розенберг). Позже, также в Риге, были изданы книги Р. Чилачава: «Бессрочная командировка» и «Приближение к Латвии (Откровение посла)», в которые, наряду с его произведениями, вошли очерки автобиографического характера.

В Латвии был создан цикл стихов Р. Чилачава «FM-ера (из латвийской тетради)», в который вошли стихотворения, связанные с этой страной. По этим стихам отчетливо видно теплое, благодушное отношение их автора к стране и её свободолюбивому народу.

Латыши должным образом оценили заслуги Р. Чилачава, в частности он был избран почетным доктором Академии наук и членом Союза писателей Латвии. Одновременно Союз писателей Латвии наградил его литературной премией, а Союз журналистов – премией Маврика Вульфсона, формулировка которой такова: «За внедрение идей гуманизма и укрепление отношений между народами». Всё это является доказательством его признания в этой стране.

Во время своих научных командировок в Латвию я не раз встречался с господином Раулем. Эти встречи проходили как в посольстве Украины в Латвии, расположенном в центре Риги, на бульваре Калпака, так и на других мероприятиях.

24 августа господин Рауль пригласил меня на торжественное мероприятие, посвященное Дню государственной независимости Украины. Посол Украины, как всегда, был в замечательной форме. Один из приглашенных прошептал: «Рауль Чилачава похож на римского императора».

Выступление господина Рауля завершилось бурными аплодисментами. Мне запомнились громогласно, зычно произнесенные им слова: «Незалэжна, самостийна Украина»...

Вечером 31 августа господин Рауль позвонил мне и сказал, что прочитал опубликованную мной статью о грузино-латышских отношениях. Я был рад услышать его положительную оценку, а особенно следующие слова: «В твоем очерке интересно описана служба Григола Орбелиани в Вендене, т. е. в современном Цесисе. Предлагаю тебе завтра вместе посетить этот город».

На следующее утро я с господином Раулем отправились в Цесис.

Выдающийся грузинский поэт, военный и общественный деятель Григорий (Григол) Орбелиани (1804-1883), служивший одно время в Лифляндии, писал: «Венден – маленький городок, и издалека он очень прелестен на вид. Обветшавшие, обрушившиеся башни крепости грозно смотрят свысока на красивые, изящные, новые здания города... Каждый вечер я поднимался на одну еще полностью уцелевшую башню, с которой открывался прекрасный вид на округу».

В Цесисе мы пробыли довольно долгое время. По пути мы осмотрели поселение племени вендов, которое сохранено как музей-заповедник.

По возвращении в Ригу господин Рауль приготовил для меня еще один сюрприз и презентовал мне все свои книги. Каждую из них он надписал по-разному своим изящным каллиграфическим почерком (еще одно проявление его поэтической природы!). На одной из них такая надпись:

«Нико Джавахишвили, который знает, сколько сейчас времени на песочных часах истории! С наилучшими пожеланиями, автор».

Впечатленный поездкой в Цесис по следам Г. Орбелиани Р. Чилачава написал прекрасное стихотворение «Григол Орбелиани в Риге пишет стих своей сестре Ефимии», у которого есть посвящение – «Нико Джавахишвили».

30 августа 2013 года во время презентации моей монографии, проходившей в Академической библиотеке Латвийского университета, представитель посольства Украины в Латвии зачитал собравшимся приветственное письмо, присланное господином Раулем Чилачава из Киева, в котором говорится:

"Мысленно представляя себя в зале, где вы сегодня собрались и где в свое время неоднократно имел честь выступать, хочу искренне приветствовать главного виновника торжества – моего талантливого молодого друга, замечательного человека и ученого, профессора Николая (Нико) Джавахишвили.

Книга, представляемая им сегодня латвийской публике, уникальна по объему собранного и проанализированного документального материала и является совершенно новой страницей в освещении многовековых грузинско-балтийских, в частности, грузинско-латышских связей.

Здесь множество малоизвестных, а то и неизвестных фактов, сведений, архивных находок, подтверждающих непрерывные и активные контакты наших предков в разные эпохи.

Я был свидетелем зарождения первых фрагментов будущей монографии Нико Джавахишвили и очень рад, что, благодаря свойственному упорному труду и прирожденному исследовательскому таланту, ему удалось по крупицам собрать и восстановить впечатляющую картину политических, экономических и культурных отношений Земли Марии Богородицы с Террой Марианой.

Нет, я не оговорился, это вовсе не тавтология: именно так себя именуют и Грузия, и Латвия, и, возможно, в этом и заключается момент истины, скрываются первопричины взаимного притяжения наших народов.

Я обязательно напишу развернутую рецензию на этот замечательный и достойный труд, а сегодня еще раз поздравляю автора с его презентацией в Риге, в любимом моем городе, где я навсегда оставил частицу своего сердца.

Передаю всем собравшимся большой привет и наилучшие пожелания.

Поклон замечательной и незаменимой Венте Коцере, деловое участие и искренняя поддержка которой давно уже стали важным компонентом межнациональных научно-культурных связей Латвии с другими государствами.

Искренне Ваш,

Рауль Чилачава".

Без преувеличения могу сказать, что среди важнейших событий, произошедших со мной во время моей первой научной командировки в Латвию, одно из самых ярких впечатлений на меня произвело знакомство и встреча с господином Раулем Чилачава.

Я очень рад тому, что и сегодня с господином Раулем нас связывают интенсивные отношения и переписка.

VIII. Академик Виктор Калнберз

Академик Янис Страдиньш посоветовал мне познакомиться с известным латышским хирургом, академиком Виктором Константиновичем Калнберзом, в профессиональное становление которого большую лепту внёс директор Института травматологии Латвии профессор Арчил Несторович Мачабели (1905-1960).

21 августа 2009 года я приехал на дачу к господину Виктору, которая расположена за городом, в лесопарковой зоне Приедкалне.

Виктор Константинович Калнберз родился в 1928 году, однако для своего возраста он выглядит прекрасно. Это представительный, статный и благородный человек с очень интересной биографией. В

частности, он является обладателем нескольких почетных наград, в том числе кавалером высшей государственной награды Латвии – Ордена Трёх звёзд, Героем социалистического труда СССР, генералом медицинской службы вооруженных сил Афганистана и т. д.

Он предоставил мне много интересных сведений о своём учителе и научном руководителе – Арчиле Мачабели, который до самой своей кончины работал в Латвии. В этой стране его по сей день вспоминают с особым уважением и любовью.

«Это был истинно грузинский рыцарь» – так характеризуют его латыши.

Академик В. Калнберз оказался очень приятным хозяином и собеседником. С Грузией его связывает много хороших воспоминаний. Он с большим теплом вспомнил своих грузинских друзей и коллег, особенно выдающегося грузинского хирурга, ныне покойного Отара Гудушаури, а также встречу со Святейшим и Блаженнейшим Католикосом-патриархом всея Грузии Ильей II, которая состоялась в Тбилиси, и многое другое.

Дом-музей Виктора Константиновича Калнберза украшает много интересных экспонатов, в том числе большое количество фотографий. На самом почётном месте висит огромный портрет его любимого учителя – А. Мачабели...

На прощание академик подарил мне свою книгу со следующей надписью: "Замечательному ученому, борцу за сохранение исторической правды, дорогому Николаю Георгиевичу Джавахишвили с наилучшими пожеланиями от Виктора Калнберза. 21. 08. 2009. Латвия, Приедкалне, дом «Калнберзи»...

7 сентября 2013 года на той же даче состоялась моя вторая встреча с академиком Виктором Калнберзом.

Я подарил ему свою книгу, в которой повествуется и о нём.

За интересной беседой время пролетело незаметно.

Перед моим уходом хозяин подарил мне свою книгу, изданную на высоком полиграфическом уровне, «Моё время», на которой сделал следующую надпись:

"Замечательному человеку, другу моему, профессору Николаю Георгиевичу Джавахишвили с пожеланиями здоровья, счастья, творческих успехов и удач. От автора книги, Виктор Калнберз. 07. 09. 2013 г. Приедкалне, дом "Калнберзи".

Помимо огромных заслуг в медицинской сфере, что общеизвестно, академик Виктор Константинович Калнберз симпатичен мне, в первую очередь, потому, что он так бережно хранит память о своём грузинском учителе...

IX. Доктор Вента Коцере

С директором Академической библиотеки Латвийского университета, доктором Вентой Коцере я познакомился во время своей первой командировки в Латвию.

Кавалер нескольких почётных иностранных наград, госпожа Вента, благородный, любящий Грузию человек. Она всегда с особой теплотой вспоминает свои визиты в Грузию, а также своих грузинских друзей, с которыми она поддерживает тесные связи. Госпожа Вента многократно доказывала делом, что является верным другом Грузии. Она оказала мне всемерное содействие в том, чтобы в период своего пребывания в Латвии я смог собрать весь важный исторический материал, использованный затем в моем труде. Поэтому именно ей я предложил быть рецензентом моей книги, на что она с удовольствием дала свое согласие.

В. Коцере приложила все усилия к тому, чтобы познакомить меня с людьми, связанными с выдающимися грузинами, проживающими в Латвии.

3 сентября 2009 года госпожа Вента повела меня в гости в семью заслуженного деятеля искусств Латвии Яниса Глейздса (1924-2010). Поскольку господин Янис плохо себя чувствовал, с нами поговорила его супруга Нелля (Аннеле) Глейзда. Удивительно, но факт, что Янис Глейздс, которому в молодости ампутировали кисти рук (из-за гангрены, начавшейся в результате обморожения), позднее приобрел всемирную известность как фотохудожник, обладающий оригинальным видением. Его супруга рассказала нам, что во всём этом решающую роль сыграл профессор Арчил Мачабели, который оказывал всестороннее содействие оставшемуся инвалидом, но очень талантливому молодому человеку. Он взял Яниса в штат художника в свой институт и помог ему найти собственное место в жизни.

«Царствие небесное замечательному грузину – Арчилу Мачабели, который, воистину, заменил отца моему мужу», – сказала мне на прощание со слезами на глазах эта седая госпожа…

Госпожа Вента предложила мне провести первую презентацию моего труда в Академической библиотеке Латвийского государственного университета, которая и состоялась 30 августа 2013 года. Впечатления, полученные на этой презентации, навсегда останутся в моей памяти…

В Латвии у меня много друзей. Среди них особое место занимает госпожа Вента Коцере, отличающаяся удивительной верностью и вниманием ко всем своим друзьям.

X. Посол Латвии в Грузии Элита Гавеле

Госпожа Элита уже несколько лет успешно работает в Грузии в качестве чрезвычайного и полномочного посла. По совместительству она же является чрезвычайным и полномочным послом Латвии в Армении.

В течение моей жизни я был знаком со многими государственными деятелями и послами. Многие из них произвели на меня впечатление излишне официальных, довольно закрытых людей.

Элита Гавеле относится к той редкой категории дипломатов, которые, помимо того, что профессионально исполняют свои служебные обязанности, еще и умеют достойно оценить деятельность иностранцев, доброжелательно относящихся к их стране.

Госпожа Элита прилагает максимальные усилия к тому, чтобы на должном уровне представить Латвию в Грузии, в качестве доказательства я могу привести целый ряд примеров. Здесь я вспомню лишь один факт.

29 апреля 2014 года в Национальной научной библиотеке Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили проходила выставка коллекции работ и описаний по тематике балтийского региона известного рижского педагога и художника Иоганна Кристофа Бротце (1742-1823). Этот драгоценный материал хранится в Академической библиотеке Латвийского государственного университета. Поэтому экспозицию в Тбилиси доставили директор этой библиотеки госпожа В. Коцере и его заместитель, господин Валдис.

Я не раз бывал на подобных выставках, однако такой высокий академический уровень встречал редко.


Госпожа Элита благодаря своему большому организаторскому таланту смогла не только блестяще представить эту важную часть национального богатства Латвии, но и собрать на этой выставке общество высокого ранга, значительную часть которого представляли иностранные дипломаты, аккредитованные в Грузии.

Деятельность чрезвычайного и полномочного посла Латвии в Грузии госпожи Элиты Гавеле является лучшим примером того, как каждый дипломат должен заботиться о достойном представлении своей страны за рубежом...

23 июня 2014 года,Тбилиси, Грузия,

«Лиго» (Янов день),
древний латышский праздник летнего солнцестояния

მამია ჯიჯეიშვილი



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საპატიო პროფესორი ბატონი მამია ჯიჯეიშვილი დაიბადა და აღიზარდა ქართველი ინტელიგენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის გრიგოლ ჯიჯეიშვილის და ნადია ტუღუშის ოჯახში. ბ-ნი გრიგოლი თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის სახლში იკრიბებოდნენ ბათუმის თვალსაჩინო მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. ამ გარემომ დიდი გავლენა იქონია ბ-ნი მამიას პიროვნების ჩამოყალიბებასა და პროფესიის არჩევაში. მას ადრეულ ასაკში ჩამოუყალიბდა მომავალი ისტორიკოსის ინტერესები და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. საქართველოს ისტორიით გატაცება მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი ცხოვრების წესად იქცა. იგი 27 წლის ასაკში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, ხოლო 40 წლის ასაკში აკად. გიორგი ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი რესპუბლიკაში.

„შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“-ო – ამბობდა დიდი ილია. ბ-ნმა მამიამაც ღირსეულად განაგრძო მამამისის ფუძენაყარი გზა: ათეული წლების მანძილზე იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ის-

ტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, მოგვიანებით კი ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი. იგი იყო ასევე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის „გახანგრძლივებული უნივერსიტეტის“ პროფესორი და ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის რედაქტორი. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა საგნის სიღრმისეული ცოდნით, კონცეფტუალურობითა და ერისა და ქვეყნის სიყვარულით. 1953-2006 წლებში მას გამოქვეყნებული აქვს 170-მდე ნაშრომი: 15 წიგნი-მონოგრაფია, 14 ბროშურა, 53 მეცნიერული ნაშრომი, 85 საჟურნალო და საგაზეთო წერილი. იყო 10 ასპირანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი, 71 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოფიციალური ოპონენტი, მათ შორის სამჯერ – მოსკოვში.

პროფესორ მამია ჯიჯეიშვილს მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, არჩეულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და აჭარის განყოფილების სწავლულ მდივნად. მის შესახებ ბიოგრაფიული წერილი გამოქვეყნებულია ქართული ენციკლოპედიის XI ტომში.

ბ-ნი მამიას კარიერულ წინსვლაში მისი საოცარი შრომისმოყვარეობის, კეთილსინდისიერებისა და ნიჭიერების გარდა ფორტუნამაც გარკვეული როლი ითამაშა, რადგანაც იგი შესაბამის დროს შეხვდა შესაბამის პიროვნებებს... XX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს მისი კარიერული წინსვლის დასაწყისში აჭარის მაღალმთიანი რაიონის კურორტ ბეშუმის სანატორიუმს, სადაც ისვენებდა ბ-ნი მამია, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების გამგესთან, დამსახურებულ ექიმ გ. ტუღუშთან ერთად, ესტუმრა ბათუმში მიმავალი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. დერეფანში ასვლისთანავე, ბედის გამოისობით, მან დააკაკუნა პირველივე ოთახის კარზე, სადაც ბ-ნი მამია ისვენებდა, მის შეკითხვებს პასუხი გასცა დამსახურებულმა ექიმმა, საუბარი საათნახევარს გაგ-

რძელდა. და ბოლოს, ბ-ნი ვასილის კითხვაზე, – ვინ არის და რას აკეთებს ეს ახალგაზრდა? მიიღო პასუხი: იგი არის ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, აჭარის წარმომადგენელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. გუშინ მან საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკითხებზე ისეთი საუბარი ჩაგვიტარა, რომ გაგვიჩნდა სხვა საკითხებზე ლექცია-საუბრების სურვილი. თბილისში დაბრუნებისთანავე ბ-ნმა მამიამ შეასრულა პირველი მდივნის დავალება და იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში მოინახულა. იქაც, მეცნიერებათა აკადემიის სისტემისა და ეროვნული ისტორიის პრობლემებზე საუბარი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელებულა. ამის შემდეგ, ვასილ მჟავანაძის რეკომენდაციით ბ-ნი მამია დაამტკიცეს ცენტრალური კომიტეტის ლექტორად. ამ დღიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა უამრავ ღონისძიებებში, მათ შორის: ორ რესპუბლიკურ შეკრებაზე მისი პოლიტიკური მოხსენების თემა იყო: „საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ძირითადი მიმართულებანი.“რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის – აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვლის დავალებით ჭიათურის სახალხო თეატრის შენობაში წაკითხულ იქნა მამია ჯიჯეიშვილის ორსაათიანი მოხსენება თემაზე: „ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი“, რომლის ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“, აკადემიკოს მამია დუმბაძის დავალებით კი ქუთაისსა და ჭიათურაში ბ-ნმა მამიამ მონაწილეობა მიიღო „საქართველოს ისტორიის კურსის პროგრამის“ განხილვაში.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში პროფესორ მამია ჯიჯეიშვილის მეცნიერული ინტერესის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა. ის არის საქართველოს ისტორიის ნარკვევებისა (რვატომეული) და აჭარის ისტორიის ნარკვევების (III და IV ტომების) თანაავტორი, ასევე მას ეკუთვნის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე“ და საბჭოთა ხელისუფლებისა და გასაბჭოებამდელი საქართველოს ისტორიის შესახებ ათეულობით მონოგრაფია. მათი კვლევის შემდგომ იგი კვლავ მიუბრუნდა საქართველოს ისტორიის კურსის თანამედროვე პროგრამას. ასევე, მ. ჯიჯეიშვილმა შეადგინა და საქართველოში პირველად გამოაქვეყნა „პოლიტიკური ისტორიის“

და „პოლიტმოძღვრებათა ისტორიის“ ტექსტები, რომლებიც მოიწონა და მხარი დაუჭირა სახალხო განათლების მოღვაწეთა შეკრებებმა. მისი წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს წარსულისა და აწმყოს აქტუალური პრობლემებს. ისტორიული ცოდნა კი ძალად იქცევა, როცა იგი წარსულისა და აწმყოს ეროვნულ ინტერესებს გამოხატავს. ამ კუთხით ბ-ნი მამიას ნაშრომი ძალიან ფასეულია.

1995 წლის 11 აპრილს ბათუმის საშუალო სკოლების მასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლის საქართველოს ისტორიის კათედრათა წევრების, განათლების სამინისტროს თანამშრომლებისა და ამ შეხვედრაზე დასმული პრობლემით დაინტერესებული მრავალრიცხოვანი საზოგადოების ორსაათიან შეკრებაზე განხილულ იქნა საქართველოს ისტორიის კურსის მ. ჯიჯეიშვილისეული პროგრამის ხელნაწერი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნებისა და საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელების შესახებ. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო აგრეთვე აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ჩატარებულმა სამუზეუმო გაერთიანებათა სამეცნიერო საბჭოს სხდომამ, რომელმაც მოისმინა და განიხილა მისი ვრცელი ინფორმაცია საქართველოს ისტორიის პროგრამის შედგენილობის, სიახლეებისა და მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე გამოქვეყნდა მისივე წერილების სერია: „საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია და მისი სწავლების გაუმჯობესების ამოცანები“ – გაზ. „აჭარა“, 1995 წლის 25 აგვისტო; „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და საქართველოს ისტორიის სწავლება“ – გაზ. „სინათლე“, 1995 წლის №14-15, ნოემბერი, „საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია და მისი სწავლების გაუმჯობესება“ – გაზ. „განათლება“, 1996 წლის 11 მაისი „საჭიროა სიახლეთა გათვალისწინება“ – გაზ. „ახალი განათლება“, 1998 წლის 5-11 ნოემბერი, 19-25 ნოემბერი;' „დავით IV ზედსახელის „აღმაშენებლის“ შესახებ“, – გაზ. „აჭარა“, 1996 წლის 10 თებერვალი და ა. შ. საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის განვითარების ოთხი ცნობილი პერიოდისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციების წარმოშობის, ხანგრძლივობის და კავშირურთიერთობის საკითხებზე მისეული შეფასებების რამდენიმე ძირითადი მხარე უკვე გაზიარებულია უკანასკნელ წლებში გამოცემულ ახალი და უახლესი ისტორიის საქართველოს სასკოლო სახელმძღვანელოებში, აგრეთვე, მოსკოვში 2001 და 2002

წლებში გამოქვეყნებულ „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის“ სახელმძღვანელოებში.

ფრიად საინტერესოა მისი გამოკვლევები საქართველოს დიდი მეფეების: დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ბიოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე ამ მოღვაწეთა ისტორიული პერიოდების სწორი გააზრებისათვის.

2006 წელს გამოვიდა ბ-ნი მამიას 400-გვერდიანი ნაშრომი „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სასწავლო-მეთოდიკური ცნობარი“, რომელშიც შერჩევითაა განხილული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები, რომლებიც ტიპობრივია ამა თუ იმ რეგიონის ან საზოგადოების გარკვეული საფეხურისათვის. წარმოდგენილი ნაშრომის ფორმატი: საკითხების ჩამონათვალი, ფაქტობრივი მასალა, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე პირობებში ან ქართულ ან უცხოურ ისტორიოგრაფიაში, ნაკლებადაა შესწავლილი, მათი მეცნიერული ანალიზი, ავტორისეული ინტერპრეტაცია, საკონტროლო კითხვები, ისტორიული და იურიდიული უცხო სიტყვების განმარტებანი და „დანართის“ მასალები იძლევა სასწავლო საგნის ძირითადი პრობლემების სწორად შემეცნების შესაძლებლობას და, ამ თვალსაზრისით, მათი მეცნიერული ღირებულება უდავოა.

2009 წელს ბ-ნ მამიამ დიდი დანაკლისი განიცადა. მან დაკარგა უკეთილშობილესი და ულამაზესი მეუღლე ნათელა ცქიტიშვილი, რომელიც ხუთი ათეული წლის განმავლობაში ინაწილებდა მასთან ერთად სიხარულსა და მწუხარებას. მიუხედავად დიდი ტკივილისა, ბ-ნმა მამიამ შეძლო თავის თავში გამოენახა ძალები, რომ გაეგრძელებინა ცხოვრება და შრომა, რადგანაც ის მარტო არ იყო. მას გვერდით მისი დიდი ოჯახი ედგა.

გრიგოლ ჯიჯეიშვილის ისტორიის სიყვარულის გენეტიკური კოდი არა მარტო ბ-ნ მამიაზე, არამედ მომდევნო თაობაზეც გადავიდა. ბ-ნი მამიას უფროსმა ქალიშვილმა ისტორიისა და სამართლის ფაკულტეტები დაამთავრა და პოლიტიკის დოქტორი დღეს სტუ-ში მოღვაწეობს ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. მისი უფროსი ვაჟიშვილიც – გიორგი ჩხიკვიშვილი პოლიტოლოგიისა და სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებული, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი და პოლიტიკის აკადემიური დოქტორი – სტუ-ში მუშაობს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. ქ-ნი ქეთი მეუღლესთან – ბიოლოგიის მეცნიერება-

თა დოქტორთან, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორთან, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან ირაკლი ჩხიკვიშვილთან ერთად ზრდის კიდევ ერთ ვაჟიშვილს – დავით ჩხიკვიშვილს, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტია და ამავე დროს მუშაობს ნიუ-ჰოსპიტალში.

ბ-ნი მამიას უმცროსმა ქალიშვილმა – თამარ ჯიჯეიშვილმა ბიძის – ანზორ ჯიჯეიშვილის ტრადიცია გააგრძელა და სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ დღემდე მოღვაწეობს „ქართუ"-ს ჯგუფში ადმინისტრატორის თანამდებობაზე. ქ-ნი თამარის მეუღლე – თემურ მაჩაიძე განათლების სამინისტროში ინფრასტრუქტურის სააგენტოს დირექტორის მოადგილეა. მათი უფროსი ვაჟი და რძალი – პაპუნა მაჩაიძე და ბაია თოლორდავა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები – მაგისტრატურაში სწავლას წარმატებით უთავსებენ მუშობას. პაპუნა განათლების სამინისტროში მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის იურისტია, ბაია კი შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანაშემწე. ამავე დროს ქვეყანას უზრდიან პატარა მარიტა მაჩაიძეს. ქ-ნ თამარის უმცროსი ვაჟი ლუკა აბიტურენტია. ამავე დროს მას სერიოზული წარმატებები აქვს სპორტში, არის კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. ბ-ნი მამიას დიდი ოჯახის თითოეული წევრი წარმატებული და რეალიზებული ადამიანია, ვინაიდან მათ ჰყავთ ბ-ნი მამია – მათი ზნეობის სარკე და კათარზისი, აქვთ ცოცხალი მაგალითი, როგორ უნდა იცხოვრონ კაცურად, იშრომონ და ღირსეულად ატარონ პროფესიონალისა და მეცნიერის დიდი და საპატიო ტვირთი.

ბ-ნ მამიას დღესაც, 83 წლის ასაკში ხშირად შეხვდებით საჯარო ბიბლიოთეკასა თუ საჯარო თავშეყრის ადგილებზე ისევ ისეთივე აკურატულს, მოწესრიგებულს, ჰალსტუხსა და პიჯაკში გამოწყობილს და ძველებურად შემართებულს. ესაა მისი ცხოვრების წესი. მას სხვანაირად არ შეუძლია.

კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ სიყვარული ჩვენს თანამედროვეთა მიმართო."

ამ სტატიით ჩვენ გვინდა მოვეფეროთ ჩვენს თანამედროვეს, ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მამულიშვილს, მივულოცოთ მას 83 წლის იუბილე და ვუსურვოთ დიდხანს ყოფნა თავისი დიდი ოჯახისა და სამეცნიერო საზოგადოების საკეთილდღეოდ.

Mamia Jijeishvili

Summary

The doctor of historical science, professor, Honoured Scientist, the member of Georgian Humanitarian Academy, Mr. Mamia Jijeishvili turned 83 years. For decades he was working in Scientific-research institute named Ivane Javakhishvili. also was a professor of Tbilisis state University, Georgian Technical University and State Conservatory. Hi was a head of social-political University of Batumi.

He is the author of about 170 works: books, Monography, scientific and newpaper articles, also hi is one of the authors essays of Georgian History (8 volume) and „Essays of Adjarian History (III, IV volumes). The article about him is in the XI volume of Georgian Encyclopedia. Scientific Society Congratulates him Anniversary.



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014